



პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე
ტენდენციები და გამოწვევები

17-18 ნოემბერი 2017 წელი

შრომების კრებული

PROCEEDINGS

The First International Scholarly and Practical Conference

Competition Policy:
Contemporary Trends and Challenges

17-18 November, 2017

**კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და
გამოწვევები**

COMPETITION POLICY: CONTEMPORARY TRENDS AND CHALLENGES



პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები

კონფერენცია ეძღვნება კონკურენციის პოლიტიკის
25 წლის იუბილეს საქართველოში

შრომების კრებული

თბილისი 2017



The First International Scholarly and Practical Conference

COMPETITION POLICY: CONTEMPORARY TRENDS AND CHALLENGES

The conference is dedicated to the 25th anniversary of competition
policy in Georgia

Proceedings

Tbilisi 2017

სარედაქციო კოლეგია:

ნოდარ ხადური	სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავჯდომარე, თსუ პროფესორი
ნაზირა კაკულია	თსუ ასოცირებული პროფესორი
მარინა ლობჯანიძე	თსუ ასისტენტ პროფესორი
ირმა ტყემალაძე	თსუ დოქტორანტი, პროფესორის ასისტენტი
სლავა ფეტელავა	საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მალხაზ ჩიქობავა	თსუ ასოცირებული პროფესორი

Editorial Board:

Nodar Khaduri	Chairman of the Organizing Committee, Chairman of the Competition Agency of Georgia, Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nazira Kakulia	Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Marina Lobzhanidze	Assistant Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irma Tkemaladze	PhD Student, Professor's Assistant
Slava Fetelava	Head of the Economic Competition Protection Department at the Competition Agency of Georgia, Associate Professor at Grigol Robakidze University
Malkhaz Chikobava	Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ნოდარ ხადური	საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
მიხეილ ჩხენკელი	საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი
ლორენცო ჩიარი	საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ოპერაციული ხელმძღვანელი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
თეიმურაზ ბერიძე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
ირაკლი ბურდული	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
გიგა გაბრიჩიძე	კონკურენციის სამართლის ექსპერტი, სამართლის დოქტორი
ნაზირა კაკულია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მურთაზ კვიციანი	ა(ა)იპ საქართველოს კონკურენციის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
ვასილ კვიციანი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ლაფაჩი	შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი
სლავა ფეტელავა	საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მარიამ ქუჩულოია	ა(ა)იპ კონკურენციის ცენტრის თავმჯდომარე
ეთერ ხარაიშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თეა ალანია	ვიცე პრეზიდენტი, პროექტების მართვა და განვითარება, IOS Partners, Inc
ირინა გოცირიძე	პროექტის მენეჯერი, IOS Partners, Inc
ქეთი მეტრეველი	დირექტორის მოადგილე, პროექტების მართვა, IOS Partners, Inc
ნინო ჭიბუტი	საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამართლის დოქტორი
ნიკა ასანიძე	საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Organizing Committee:

Nodar Khaduri	Chairman of the Organizing Committee, Chairman of the Competition Agency of Georgia, Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Mikheil Chkhenkeli	Deputy Chairman of the Organizing Committee, Vice-Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lorenzo Ciari	Deputy Chairman of the Organizing Committee, The Operation Leader, European Bank for Reconstruction and Development
Teimuraz Beridze	Dean of the Faculty of Economics and Business at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
Irakli Burduli	Dean of the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
Giga Gabrichidze	Expert on Competition Law, Doctor of Law
Nazira Kakulia	Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Murtaz Kvirkvaia	Director General of NNLE Competition Institute of Georgia, Dean of the Faculty of Business and Management at Grigol Robakidze University, Professor
Vasil Kikutadze	Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ketevan Lapachi	Professor at the International Black Sea University
Slava Fetelava	Head of the Economic Competition Protection Department at the Competition Agency of Georgia, Associate Professor at Grigol Robakidze University
Mariam Kuchuloria	Chairwoman of NNLE Centre for Competition
Eter Kharashvili	Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tea Alania	Vice President, Project Management and Development, IOS Partners, Inc.
Irina Gotsiridze	Project Manager, IOS Partners, Inc.
Katty Metreveli	Deputy Director, Project Management, IOS Partners, Inc.
Nino Jibuti	Chief Specialist at the Division for the detection and prevention of competition restrictive agreements of the Economic Competition Protection Department, Competition Agency of Georgia, Doctor of Law
Nika Asanidze	Specialist at the Division for the detection and prevention of dominant position abuse of the Economic Competition Protection Department, Competition Agency of Georgia, PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საქართველომ დამოუკიდებლობა 25 წლის წინ აღიდგინა. სახელმწიფოებრიობის აღდგენის პარალელურად დაიწყო საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების ფორმირება. მათ შორის იყო ანტიმონოპოლიური რეგულირება. კონკურენციის პოლიტიკის შექმნასა და შესაბამისი ორგანოს სტატუსისა და როლის განსაზღვრას საფუძველი 1992 წლიდან ჩაეყარა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ამ ამოცანების შესრულება ომის და ენერგო ბლოკადის პირობებში უწევდა. სამწუხაროდ, ამის გამო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება თანმიმდევრულობით არ გამოირჩეოდა. ანალოგიურად იცვლებოდა მიდგომა კონკურენციის პოლიტიკის გატარებისადმი. 25 წლის წინ დაწყებული პროცესი რამდენჯერმე შეფერხდა, ხოლო შემდეგ საერთოდ მივიწყებულ იქნა, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო კი გაუქმდა.

კონკურენციის აღმასრულებელი დამოუკიდებელი ორგანო, კონკურენციის სააგენტო მხოლოდ 3 წლის წინ შეიქმნა. მიუხედავად ამისა, წელს ჩვენ აღვნიშნავთ კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წლის იუბილეს.

მყარი კანონმდებლობის არსებობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სააგენტოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა, პრინციპების დონეზე, ევროკავშირის კონკურენციის რეგულაციებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, თუმცა ადმინისტრირების მექანიზმები და პროცედურები დახვეწას საჭიროებს.

შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის ტენდენციებისა და გამონვევების შესახებ პირველი საერთაშორისო კონფერენცია ხელს შეუწყობს ახალი, პროგრესული იდეების ფორმირებას და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შემდგომ განვითარებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭანსალი კონკურენტული გარემოს შექმნა მდგრადი ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მეგობარი ქვეყნების კონკურენციის ორგანოებს და ექსპერტებს, ჩვენთვის ასეთ მნიშვნელოვან კონფერენციაში მონაწილეობისა და განუვლი დახმარებისათვის.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას და პროფესორ-მასწავლებლებს კონფერენციის თანაორგანიზებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელობას ამ კონფერენციის მხარდაჭერისთვის. გვჯერა, რომ პროექტები, რომლებიც საქართველოში კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებასა და სააგენტოს ინსტიტუციონალურ გაუმჯობესებას ემსახურება, მომავალშიც იქნება მხარდაჭერილი. ეს უკანასკნელი ახალგაზრდა სააგენტოს საშუალებას მისცემს, რომ გააღრმავოს თანამშრომლობა სხვა კონკურენციის ორგანოებთან მსოფლიოს მასშტაბით, გაიზიაროს მათი გამოცდილება და გააუმჯობესოს კონკურენციის აღსრულება ქვეყანაში.

*პროფესორი ნოდარ ხალერი
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე*

Georgia regained independence 25 years ago. The establishment of institutions, common for any market economy, was started in parallel to recovering the statehood. The formation of antimonopoly regulation was among them. The process of establishing competition policy and defining the status and role of the relevant authority was launched in 1992. Unlike other countries, Georgia had to deal with these challenges under the war and energy blockade. Unfortunately, the implementation of economic reforms was inconsequential due to these circumstances. The approach to competition policy implementation had been varying similarly. The process, which started 25 years ago, has been radically changed several times, even totally neglected once; moreover, competition authority was abolished.

An independent antitrust authority, Competition Agency of Georgia, was established only 3 years ago. However, this year we celebrate the 25th anniversary of practical realization of the competition policy.

The existence of solid legislation has primary importance for the efficient functioning of the agency. It has to be acknowledged that the Georgian competition legislation is in relevance with the regulations and requirements of the European Union in terms of the principles, however, the enforcement tools and flexibility of the procedures have to be improved.

Accordingly, the first International Conference on the Competition Policy Trends and Challenges will encourage to define a new progressive approach and improve the competition legislation in Georgia. As it is common knowledge, the formation of fair competitive environment is an integral part of sustainable economic development.

Many thanks to the Competition Authorities and experts of the friendly countries for contributing and participating in the conference of utmost importance for us.

I would like to express gratitude to the Rector, Administration, and Academia of Ivane Javakhishvili Tbilisi State University for co-organizing the conference.

Special thanks to the Management of the European Bank for Reconstruction and Development for supporting the conference. It is our belief that the projects aiming to improve competitive environment in Georgia and to strengthen institutional capacity of the agency will be supported in the future. This will enable our young agency to enhance cooperation with competition authorities worldwide, share their experience and improve competition enforcement in the country.

*Professor **Nodar Khaduri**,
Chairman of the Competition Agency of Georgia*

სარჩევი

Contents

კობა აბლოთია, თანამედროვე ეკონომიკა და კონკურენცია	17
Koba Ablotia, Modern Economy and Competition	19
პაატა აროშიძე, ბადრი გეჩბაია, სამამულო წარმოების ზოგიერთი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის კვლევა ადგილობრივ ბაზარზე	200
Paata Aroshidze, Badri Gechbaia, Research of Competitiveness of Some of the Domestic Products on the Local Market	255
ნიკა ასანიძე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უარყოფითი გავლენა კონკურენციის პოლიტიკაზე	26
Nika Asanidze, Dominant Position and its Negative Impact on Competition Policy	29
ნონა ახვლედიანი, კონკურენტუნარიანობა ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში(სტატისტიკური ანალიზი)	30
Nona Akhvlediani, Competitiveness under Economic Uncertainty (statistical analysis)	35
დავით ბასიაშვილი, რეგულირებადი ეკონომიკის დერეგულირების პრაქტიკა	36
Davit Basiashvili, The Practice of Deregulation of a Regulated Economy	41
გივი ბედიაშვილი, ბიზნესი და კონკურენციის ინსტიტუციური გარემო ევროინტეგრაციის პირობებში	42
Givi Bedianashvili, Business and Institutional Environment of Competition in the Context of European Integration	47
გიორგი ბენაშვილი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა	48
Giorgi Benashvili, Association Agreement with the EU and the Importance of Creating Competition Policy	522
ნათია დაღელიშვილი, მიხეილ ძაგანია, სახელმწიფო დახმარება	54
Natia Daghelishvili, Mikheil Dzagania, State Aid	59
გულნაზ ერქომაიშვილი, ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა	600
Gulnaz Erkomaishvili, Economic Policy of Achieving National Competitive Advantage	644

მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი, საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური უზრუნველყოფა საქართველოში.....	65
Merab Vanishvili, Nino Vanishvili, The Legislative and Institutional Provision of Banking Competition in Georgia.....	71
თენგიზ ვერულავა, შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე: გადაწყვეტის გზები	72
Tengiz Verulava, Limited Competition in the Healthcare Market: Policy Solutions.....	78
ქეთევან ზუკაკიშვილი, ნინო ჯიბუტი, ანტიდემპინგი: კონკურენცია თუ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა?	79
Ketevan Zukakishvili, Nino Jibuti, Antidumping: Competition or International Competitiveness?	86
ანნა თანდილაშვილი, კონკურენცია, როგორ ზრდის იგი ქალაქების პოპულარობას	87
Anna Tandilashvili, Competition, how it Increases the Popularity of Cities	93
Nino Tandilashvili, Competition in Higher Education System	94
ნინო თანდილაშვილი, კონკურენცია უმაღლესი განათლების სისტემაში	100
ლია თოთლაძე, ეკონომიკური აქტივობის პროგნოზირებისათვის გამოყენებული ბოგიერთი ინდიკატორის შესახებ	101
Lia Totladze, About Some Indicators Forecasting Economic Activity.....	106
ნაზირა კაკულია, ინსტიტუტების ფორმირებისა და მათი ჩამორჩენის საკითხები კონკურენციის პოლიტიკისა და ტრანსფორმაციის მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე	107
Nazira Kakulia, Issues of Formation and Lagging of Institutions Based on the System of Competition Policy and Transformation Indexes	111
მურთაზ კვირკვაია, ვასილ კიკუტაძე, ანტიდემპინგური რეგულირების მიდგომები საქართველოში	112
Murtaz Kvirkaia, Vasil Kikutadze, Anti-dumping Regulation Approaches in Georgia	117
ოთარ კიკვაძე, შოთა გეთია, კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში	118
Otar Kikvadze, Shota Getia, Competition in the Public Purchasing Process	122
თამარ ლაზარიაშვილი, კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე და მისი რეგულირების მექანიზმები	123
Tamar Lazariashvili, Competitiveness on the Insurance Market and its Regulation Mechanisms	127
ქეთევან ლაფაჩი, კონკურენციის ადვოკატირების პრობლემები და გამოწვევები საქართველოში	128
Ketevan Lapachi, Competition Advocacy Problems and Challenges in Georgia	133

თინათინ ლოლაძე , საერთაშორისო ვალდებულებები და თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში	134
Tinatini Loladze , International Commitments and Cooperation in the Field of Competition	138
რევამ ლორთქიფანიძე , კონკურენციის ზოგადთეორიული გააზრებისა და საერთაშორისო პრაქტიკის საკითხები.....	139
Revaz Lortkipanidze , Issues for General-theoretical Comprehension and International Practice of Competition	144
დალი მაგრაქველიძე , ნინო გრიგოლაია, სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში.....	145
Dali Magraqvelidze, Nino Grigolaia , State Antimonopoly Policy and Competition in Georgia.....	149
ნინო მაქაცარია , ლაშა ნარსია, კონკურენციის პოლიტიკა და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში	1500
Nino Maqatsaria, Lasha Narsia , Competition Policy and General Trends of its Development in Georgia	159
ლაშა მგელაძე , კონკურენციის პოლიტიკის ხარვეზები და მათი დაძლევის გზები.....	160
Lasha Mgeladze , Gaps of Competition Policy and the Ways to Overcome them.....	168
სოლომონ მენაბდიშვილი , ქართული კონცენტრაციის რეგულირებაში ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები	169
Solomon Menabdishvili , The Main Legislative Flaws in the Regulation of Concentration in Georgia	175
ნინო მიქიაშვილი , ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და სახელმწიფო შესყიდვები, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი	176
Nino Mikiashvili , Competitiveness of the Country and Public Procurement as a Tool for Competitive Management.....	181
სოფიო მომცელიძე , კონცენტრაციის რეგულირების ცალკეული საკითხები საქართველოსა და ევროკავშირში	182
Sophio Momtselidze , Some Aspects of Merger Control in Georgia and the EU	188
რამაზ ნამიჭეიშვილი , საქართველო აგონიალიბერალური ეკონომიკის კვალზე.....	189
Ramaz Namicheishvili , Following the Agony Liberal Economy of Georgia	195
ია ნაცვლიშვილი , დანახარჯი-სარგებლის ანალიზის გამოყენების შესაძლებლობები კონკურენციის პოლიტიკის განხორციელებაში (თეორიული ასპექტები)	196
Ia Natsvlishvili , Possibilities of Using Cost-Benefit Analysis in the Implementation of Competition Policy (theoretical aspects).....	201

Hovsep Patvkanyan , Exchange Rate Pass-through Asymmetry as a Proxy for High Market Concentration: case of Armenia.....	202
ნანა რამაზაშვილი , კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებით.....	208
Nana Ramazashvili , Competition Law Enforcement towards State Authorities.....	212
ნიკა სერგია , ურთერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტის ფუნქცია და მიზანშეწონილობა ქართულ კონკურენციის სამართალში	213
Nika Sergia , Functionality and Feasibility of the Institute of Integrated Persons in the Competition Law of Georgia	222
მარინა ტაბატაძე , რეგიონული განვითარების რეგულირების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში	223
Marina Tabatadze , Contemporary Trends of Regional Development Regulation in Georgia.....	228
ნინო ფარესაშვილი , ნინო ლობჯანიძე , კლასტერიზაციის როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.....	229
Nino Paresashvili , Nino Lobzhanidze , The Role of Clustering for Supporting the Competitiveness Growth	233
ნანა ფირცხელაგა , ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება საქართველოში	234
Nana Pirtskelava , Regulation of Natural Monopoly in Georgia	239
ლევან ქისტაური , ნინო დამენია , ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI) შეფასება საქართველოსთვის	240
Levan Kistauri , Nino Damenia , Country Competitiveness and the Assessment of Purchasing Managers' Index (PMI) for Georgia	244
გიორგი ღაღანიძე , საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის შედეგები	245
Giorgi Ghaghanidze , Foreign Trade Policy and the Results of Foreign Trade of Georgia, Armenia and Azerbaijan	254
შოთა შაბურიშვილი , თინათინ მეძმარიაშვილი , კონკურენციის რეგულირების მეთოდები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში	255
Shota Shaburishvili , Tinatin Medzmariashvili , Competition Regulation Methods in the State Procurement System of Georgia	259
ალექსანდრე შარაშენიძე , ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორები	260
Aleksandre Sharashenidze , National Competitiveness Improvement Strategy in Georgia	265

გვანცა ჩადუნელი , არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მისი ურთიერთქმედება ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან.....	266
Gvantsa Chaduneli , Dishonest Competition and its Interaction with the Intellectual Property Law.....	272
მალხაზ ჩიქობავა , კონკურენციის დეფინიციის შედარებითი ანალიზი	273
Malkhaz Chikobava , Comparative Analysis of the Definition of Competition	278
ელენე ჩიქოვანი , კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორები.....	279
Elene Chikovani , Indicators of Competition Policy	286
აკაკი ცერცვაძე , ანტიმონოპოლიური რეგულირების ასპექტები	287
Akaki Tsertsvadze , Aspects of Antimonopoly Regulation.....	292
იუზა წონერია , დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.....	293
Iuza Tsotseria , Struggle against Abuse of Dominant Position as One of the Main Directions of Antimonopoly Policy	298
ლევან ჭელიძე, დავით ჭელიძე , სახელმწიფო შესყიდვების სისტემა – კონკურენტული გარემოს ფორმირების ერთ-ერთი ბერკეტი	299
Levan Chelidze, Davit Chelidze , State Purchasing System - One of the Levers for Forming a Competitive Environment.....	306
გიორგი ჭინჭარაული, მაია კაპანაძე , კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.....	307
Giorgi Chincharauli, Maia Kapanadze , About State Politics of Competition	310
ნოდარ ხადური, სლავა ფეტელავა , ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის იმპლემენტაცია საქართველოში.....	311
Nodar Khaduri, Slava Fetelava , The Implementation of Economic Competition Policy in Georgia	319
ეთერ ხარაიშვილი , კონკურენცია ღვინის ბაზარზე და საფასო ქცევის მახასიათებლები.....	320
Eter Kharaisvili , Competition on Wine Market and the Features of Price Behavior	325
ივანე ხასია , კონკურენციის პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ გარემოზე და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელობა ამ პროცესში	326
Ivane Khasia , The Impact of Competition Policy on the Economic Environment and the Importance of International Obligations in this Process.....	330
თამარ ხახიშვილი , ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და სახელმწიფო მხარდაჭერა კომპანიების ჯანსაღი კონკურენციისთვის.....	331

Tamar Khakhishvili, Competitiveness of the Countries and State Support of Healthy Competition of Companies	336
ლიანა ჯაფარიძე, „ერთიანი ეკონომიკური პირის“ ცნების თავსებადობა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან და მისი გამოყენების პრობლემატიკა ქართულ პრაქტიკაში	337
Liana Japaridze, Compatibility of the Term “Single Economic Entity” with the Competition Legislation of Georgia and the Problems of its Application in the Georgian Enforcement Practice	343

თანამედროვე ეკონომიკა და კონკურენცია

კობა აბლოთია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

დოქტორანტი

kobaablota@gmail.com

საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, როცა ხდება მათი ტოტალური შეღწევა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, როცა გლობალიზაციის პროცესში ყველა ქვეყანა ჩართული, ხდება ნაციონალური და მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია. XXI საუკუნის ეკონომიკა ამ ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, ეს არის:

-პირველ რიგში, ინოვაციური საინფორმაციო-ქსელური ეკონომიკა, სადაც ინოვაციები, ინფორმაცია, ახალი ცოდნა არის ეკონომიკური ზრდის და გლობალური ლიდერობის გადამწყვეტი ფაქტორი. საინფორმაციო-ქსელური ურთიერთობა (კოორდინაცია, მოქმედება, ინტერნეტი...) შესაძლებლობას იძლევა სწრაფად, მოქნილად და მრავალმხრივ ადაპტირებისა, სწრაფად ცვალებადი საბაზრო სისტემისადმი;

-მეორე, გლობალიზებულ ეკონომიკაში მზარდი მნიშვნელობა აქვს განვითარების გლობალურ კანონზომიერებებს და ზეეროვნული ორგანოების რეგულირებას;

-მესამე, ეკონომიკა ხდება უფრო მოქნილი და მაღალდინამიური;

-მეოთხე, ქვეყნების ეკონომიკა არათანაბრად ვითარდება, კონკურენციიდან გამომდინარე დომინირებენ ლიდერი ქვეყნები. ასევე მათ შორისაც მიდის ბრძოლა პირველობისათვის;

-მეხუთე, ეკონომიკა - მუდმივად ცვალებადი და მზარდი (აქტიური, აგრესიული) კონკურენციისა, ანუ ჰიპერკონკურენციისა;

-მექვსე, ეკონომიკა სულ უფრო ხდება პროგრამირებული და მართვადი, ხოლო კლასიკური მექანიზმი სტიქიური თვითრეგულირებისა თანდათან ქრება;

-მეშვიდე, ენთროპიული ეკონომიკა, სადაც სულ მატულობს ენთროპია და მცირდება ორგანიზებულობა ეკონომიკურ სისტემაში. ყოველივე ეს საჭიროებს ახალ არატრადიციულ ფაქტორებს და ეკონომიკური ზრდის კრეატიულ წყაროებს.

მზარდი კონკურენციის პირობებში გამარჯვების მთავარი ფაქტორია წინმსწრები დომინანტური ინოვაციები და ჰიპერკონკურენციის ახალი მეთოდები. მთავარი ხდება ადამიანი-ინოვატორი.

გლობალური ეკონომიკის თანამედროვე ეტაპი ეს არის - გლობალური საინფორმაციო-ქსელური და ინოვაციების კონკურენცია, ანუ ჰიპერკონკურენცია. ეს არის ეტაპი, როცა ხდება ნედლეულის, სამუშაო ძალის, საფინანსო-სავალუტო და საფონდო ბაზრების ერთის მხრივ და მეორეს მხრივ საინფორმაციო-საკომუნიკაციო გლობალიზაცია; მესამეს მხრივ ხდება ინფორმაციის ვირტუალური გაცვლა, როგორც ცალკეულ ადამიანებს ისე ორგანიზაციებს შორის და ა. შ. მეოთხე - იძლება საზღვრები სახელმწიფოებს და რეგიონებს შორის. დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას და ინტელექტუალურ საკუთრებას. იზრდება ინოვაციური მეწარმეობიდან მიღებული შემოსავლები; ვითარდება ელექტრონული, დისტანციური დასაქმების ფორმა (ელ.სამუშაო ადგილი, ელ.ოფისები...), და ბოლოს მკვეთრად ძლიერდება კონკურენცია ქვეყნებსა და კორპორაციებს შორის. გამარჯვება ამ ბრძოლაში ითხოვს მუდმივ, წინმსწრებ ინოვაციებს ლიდერობისათვის.

ეკონომიკური კავშირების გლობალიზაცია, წარმოების ინტერნაციონალიზაცია, ღია ეკონომიკები, მსოფლიო სავაჭრო ლიბერალიზაცია ... ტექნოლოგიების ტრანსფერტი - ყოველივე ამან კონკურენციასაც გლობალური ხასიათი მისცა. ეს მდგომარეობა აიძულებს სხვადასხვა მოწინავე ქვეყნებს გადავიდნენ გლობალურ საინფორმაციო-ქსელურ ეკონომიკაზე, ე.წ. საინფორმაციო-ნანო-ბიო-ტექნოლოგიურ მოწყობაზე, რაც განპირობებულია 2030 წლისათვის, ახალი, გამრღვევი ინტეგრალურ-ქსელური ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივით (მათ შორის კომბინაცია კოსმო-, ნანო-, ბიო- და ინფო ტექნოლოგიების). აღნიშნული მოიცავს საზოგადოების მოღვაწეობის ყველა სფეროს, ყველა დონეზე - ტოტალურად.

უნდა ვთქვათ, რომ ასეთ პირობებში აღმოცენდა კონკურენციის ახალი სახეობა - ჰიპერკონკურენცია, იგივე ინოვაციური კონკურენცია; ანუ გლობალური ბაზრის მართვადი ჰიპერკონკურენციული განვითარება, რომელიც განპირობებულია წინმსწრები დომინანტური ინოვაციებით, იგულისხმება ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ-ქსელური ინტეგრაცია გლობალურ სტრუქტურებში, რაც მოიცავს მოწინავე პროგრამულ მეთოდებს, მართვად ზემოქმედებას მიზნებზე, მოტივებზე, ინტერესებზე, მოხმარებაზე და ადამიანთა ეკონომიკურ ქცევებზე, დაპროგრამებული შედეგების მისაღებად.

ასეთ ვითარებაში ნაციონალური მთავრობები ცდილობენ, თავიანთი მაკროეკონომიკური, საგარეო-სავაჭრო და სოციალური პოლიტიკის გატარებისას გაითვალისწინონ გლობალური ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები და მოთხოვნები.

თანამედროვე პირობებში იცვლება კონკურენტუნარიანობის მეთოდოლოგიური მიდგომა და ანალიზი, თუ ადრე საერთაშორისო და ნაციონალური კონკურენტუნარიანობა ითვლებოდა ნედლეულის და ფინანსური რესურსების ბაზაზე, ახლა ის გაფართოვდა საინფორმაციო რესურსის ხარჯზე, საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიისა და ინტელექტუალური კაპიტალის ხარჯზე, ეს ერთი. მეორე - კონკურენტუნარიანობა განიხილება სხვადასხვა დონეზე - ცალკეული კომპანიების, ჯგუფი კომპანიებისა-ცალკე ქვეყანაში. კონკურენტუნარიანობა - ჯგუფი ქვეყნებისა-საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და გლობალური ინოვაციური ჰიპერკონკურენტუნარიანობა, ასევე ქსელური კონკურენტუნარიანობა. მესამე-კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ არა მხოლოდ სტატიკას, არამედ ეკონომიკურ დინამიკას, სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, ინტელექტუალური კაპიტალის მდგომარეობას, ინსტიტუტების განვითარებას, საინფორმაციო-ქსელურ მოქნილობას, წარმოების ინოვაციურობას, ბრენდირებას, მენეჯმენტს...

ჰიპერკონკურენციის სისტემური ელემენტებია: მრავალდონეობა და მრავალასპექტურობა, ახალი ცოდნა(კომპეტენცია), მართვადობა, დინამიზმი, ადაპტირება, მობილურობა, ინოვაციურობა, ეფექტიანობა და სხვა. სწორედ ამით განისაზღვრება მსოფლიო ლიდერი ქვეყნებისა და კორპორაციების უპირატესობანი.

რ. აგენის აზრით მზარდი დაპირისპირება აიძულებს „მოთამაშეებს“ დანერგონ ინოვაციური საქონელი, მცირდება დრო მისი შექმნისათვის, კონკურენცია ხდება უფრო აგრესიული, მეტ მნიშვნელობას იძენს ცოდნა, საჭირო ხდება ახალი მიდგომები სამომხმარებლო მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის.

ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორის მ.ბრუნის აზრით ტერმინი „ჰიპერკონკურენცია“ საბოლოო ჯამში მრავალასპექტიანი, დინამიური და აგრესიული კონკურენციის აღმოცენებაა.

ჰიპერკონკურენციასთან მოცემულ კონტექსტში უპირიანი იქნება გავიხსენოთ ი.შუმპეტრის „კრეატიული დესტრუქცია“ ანუ „ბაზრის შემოქმედებითი რღვევა“, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მან თავის წიგნში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ აღწერა - მოგებას

იღებს ის ვინც სიახლე დანერგა პირველმა. დროთა განმავლობაში, როცა ეს სიახლე ხელმისაწვდომი ხდება ყველასათვის აღნიშნული მოგება ყველაზე ნაწილდება და ფაქტიურად ქრება, საჭიროა ისევ ახალი სიახლე და ა.შ. ანუ მუდმივი სიახლე, უფრო სწრაფად, სხვაზე ადრე ... ადგილი აქვს ციკლს-აყვავება იცვლება დეპრესიით.

ინოვაციებს პირდაპირი კავშირი აქვთ კონტრაქტივის ე.წ. „ეკონომიკურ რხევებთან“. საუკეთესო სიტუაციაა, როცა რაღაც დროის შემდეგ, ინოვაცია ასტიმულირებს ინვესტირებას; ინვესტიცია და ინოვაცია ასტიმულირებს მოთხოვნას ახალ ტექნოლოგიაზე, ეს აძლიერებს კონკურენტუნარიანობას, ეს კი თავის მხრივ იზიდავს ისევ ინვესტიციას. კონკურენტუნარიანობა ინვესტიციის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ინოვაცია-კონკურენტუნარიანობა-ინვესტიცია ეს ციკლი ეკონომიკას ავითარებს.

რადიკალური და ევოლუციური ინოვაციები დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკის განვითარებაზე. პირველია, როცა კომპანიაში თავისივე ინოვაცია ინერგება და ქმნის ნახტომის ეფექტს. მეორეა სხვისი ინოვაციების დანერგვა.

ამერიკელი მკვლევარების, ოლდერისა და სტენსმას ნაშრომებში, ინოვაციის ზემოქმედება კონკურენტუნარიანობაზე და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე, ითვლება როგორც კანონ-ზომიერება.

ინოვაციებისათვის დამთრგუნველია მომავალში შედეგების დონეების გაურკვევლობა, ხოლო კონკურენცია და მოსალოდნელი სარგებელი მას ასტიმულირებს.

ამერიკელი მკვლევარის ბაუმოლის აზრით კაპიტალისტურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ფასს ზოგადად, არამედ ახალ საქონელს. ასევე მნიშვნელოვანია ფირმა იმიტატორების დაშვება-არსებობა ბაზარზე, რადგანაც ისინი ხშირად აუმჯობესებენ საქონელს. მისი აზრით კარგია თუ ფირმა იქნება, როგორც ეფექტიანი ინოვატორი, ასევე ეფექტიანი - იმიტატორი.

მ. ბრუნი ჰიპერკონკურენციის განმასხვავებელ ნიშნებს ასე აყალიბებს:

-ჰიპერკონკურენცია ერთდროულად მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, რომელთაგან მნიშვნელოვანია დანახარჯები, ხარისხი, ვადები, „ნოუ-ჰაუ“, საბაზრო ბარიერების შექმნა, ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება.

-ფირმებმა უნდა გაითვალისწინონ ჰიპერკონკურენციის მრავალასპექტურობა. ის შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვა დონეზე--სასაქონლო ბაზრებზე; რესურსების დარგში; ფირმების გაერთიანებულ შემადგენლობაში ანუ როცა ფირმა მარტო არ იბრძვის კონკურენტებთან, არამედ გაერთიანებულია სხვებთან.

-ჰიპერკონკურენციის მესამე მახასიათებელია ბაზრის დინამიზმი. კონკურენტთა პოზიციები და ძალათა თანაფარდობა იცვლება სწრაფად.

-კონკურენცია ხდება ძალიან აგრესიული.

გლობალური ეკონომიკის და ჰიპერკონკურენციის პირობებში წარმოიშვა ახალი ტერმინი „ჰიპერკონკურენტები“. ასევე ტერმინი „გლობალური ინოვაციური ჰიპერკონკურენცია“--ის მოიცავს კორპორაციებს და ქვეყნებს, ფაქტიურად ბაზრის ყველა სეგმენტს. არსებობს ტერმინი „გლობალური ინოვაციური ჰიპერკონკურენტული კორპორაციები“. ასეთებია: Google, Macrosoft, IBM, Apple, Intel, Samsung ... ისინი განსხვავდებიან ტრადიციული კორპორაციებისგან, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ მაღალ დინამიზმს, ინოვაციურობას, ჰიპერკონკურენტულობას, სტატუსს და ლიდერობას გლობალურ ბაზარზე.

არსებობს ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ-ქსელური ინტეგრალური გაერთიანებები, რომლის ბირთვს, ჩვეულებრივ ქვეყნის ერთ-ერთი დიდი კომპანია წარმოადგენს, ირგვლივ უფრო

პატარა ფორმებით (კორპორაცია-ჰოლდინგები).სწორედ ისინი არიან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ბირთვი.

განასხვავებენ წინმსწრებ და დაგვიანებულ ინოვაციას. პირველი ახასიათებს მსხვილ ჰიპერკონკურენტულ კორპორაციებს, ხოლო მეორე ე. წ. ჩვეულებრივ კორპორაციებს, რომლებიც „დაწვეის” რეჟიმში არიან. შემოღებულია ცნება „დომინანტური ინოვაციებისა”,რაც გულისხმობს ყველა ინოვაციიდან ისეთების ამორჩევას, რომლებიც უფრო მეტად პასუხობენ გამოწვევებს.

სწორედ გიგანტი კორპორაციები განსაზღვრავენ ქვეყნების ლიდერობას გლობალურ ეკონომიკაში. მათი აქციები იყიდება ყველა წამყვან საფონდო ბირჟაზე.

თანამედროვე მსოფლიო ბაზარი პირველ ადგილზე აყენებს, კონკურენციის საკითხებში, ინოვაციური ტექნოლოგიებით წარმოებულ საქონელს, რომელზეც გლობალურად მდგრადი აღმატებითი მოთხოვნაა (ბიო-, ნანო-ტექნოლოგიები).

არანაირი ინოვაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რომელიმე კორპორაციამ, გაერთიანებამ ან ქვეყანამ შეინარჩუნოს ლიდერობა, ეს შეიძლება იყოს დროებითი, ამიტომ ისინი სულ ახლის ძიებაში არიან, თუ არადა სხვა დაასწრებს... ეს კი ეკონომიკის მუდმივი განვითარებაა.

ინოვაციური ჰიპერკონკურენციის მთავარი პირობაა, მიღწეულ იქნეს ოპტიმალური თანაფარდობა კრიტერიუმებისა „ინოვაციურობა-დანახარჯი-ფასი-ხარისხი” და „ჰიპერკონკურენტული ინტეგრალური ეფექტი.” ამ უკანასკნელს აქვს, როგორც სწორხაზოვანი, ისე ქსელური შემადგენელი, სასურველია ის გრძელვადიან ხასიათს ატარებდეს. მნიშვნელოვანია „ინტეგრალურობის (განაწილებადობა დროში და სივრცეში) კონკურენტული ფასეულობის” წარმოდგენარეალურად ეს არის ისეთი საქონელი (წერტილი), რომელიც აკმაყოფილებს „ინოვაციები-დანახარჯი-ფასი-ხარისხი” მოთხოვნას და რომელიც პოტენციურად მიიღწევა გათვლად მომავალში იმ მიზნით, რომ ის დააკმაყოფილებს ასევე „წინმსწრები კონკურენტუნარიანობის” მოთხოვნას და ამავე დროს დანახარჯების მინიმუმზებასთან ერთად მოგვცემს მზარდ, განაწილებადობიდან გამომდინარე, სხვადასხვა შემოსავალს ანუ ინტეგრალურ შემოსავალს, რა თქმა უნდა სასურველი საინვესტიციო კლიმატის პირობებში, ასევე ინსტიტუციონალური გარემოსა და საბაზრო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

ჰიპერკონკურენტული კორპორაციებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აგრესიული ინოვაციურ-ტექნოლოგიური ლიდერობის სტრატეგია, ამის ძირითადი ელემენტია აქტიური ჰიპერკონკურენცია და მენეჯმენტი. აქედან გამომდინარე არსებობს „წინმსწრები, ინოვაციური ჰიპერკონკურენტულობა.“ ასევე მნიშვნელოვანია, რომ კორპორაცია ახალი ცოდნის შედეგით წინმსწრებად გამოვიდეს ბაზარზე, რისთვისაც მან უნდა გამოიყენოს გონივრული მარკეტინგი, მენეჯმენტი და პერსპექტიული პოზიციონირება. მისი მიზანია შეინარჩუნოს ან გააფართოოს ბაზრის თავისი სეგმენტი, დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება, ბრენდები და სავაჭრო მარკები, ფინანსური და ქსელური შემოსავლები და ეფექტები, რომლებიც განიხილება, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინდიკატორები.

კორპორაციები გლობალურ ინოვაციური კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის რეალიზაციიდან გამომდინარე ღებულობენ ინოვაციურ ჰიპერკონკურენტულ მოგებას, სტატუს-ბრენდის და საინფორმაციო-ინოვაციურ რენტას.

გლობალურ საინფორმაციო ეკონომიკაში ეს კორპორაციები ღებულობენ სხვადასხვა საინფორმაციო-ქსელურ ეფექტს. საინფორმაციო-ქსელური მულტიპლიკაციური ეფექტი-ეს არის ინოვაციური ეფექტი, ეს არის სინერგიულ-ქსელური (ინტეგრალური) ეფექტი. ეს ეფექტები შეიძლება მიღებულ იქნეს მოწინავე ინოვაციების გამოყენებით, წინმსწრები პროგრამირებით, კონკურენტებისა და მომხმარებელთა მანიპულაციით, ჰიპერკონკურენტული კრეატიული

მარკეტინგის, მენეჯმენტის, ლოჯისტიკისა და სხვათა გამოყენებით. საბოლოოდ ინტეგრალური ოპტიმალური მოგების მისაღებად.

ტოტალური გლობალიზაციის და მსოფლიო ბაზრის ჰიპერკონკურენტული განვითარების პირობებში, საჭიროა ახალი კონცეფციის წარმოდგენა, რომელსაც შესაძლოა დაერქვას „საინფორმაციო-ქსელური ეკონომიკა, ინოვაციურ-ჰიპერკონკურენტული დომინანტური განვითარება,“ რომელიც დაეფუძნება ახალ ცოდნას, საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიას, ჰიპერკონკურენტული ბრძოლის აქტიურ მეთოდებს, წარმოების ინოვაციურ მენეჯმენტს და ყოველივე ამის ბაზისი იქნება ინოვაციური ჰიპერკონკურენტული კომპანიები და სახელმწიფო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aveni R. - (1994) Hypercompetition: Managing the Dynamics of strategic Maneuvering /R. Aveni-New York: The Free Press , P.57.
2. Allred B. – (2005)The influence of industry and home country characteristics on firms' pursuit of innovation /B. Allred, K. Steensma // Management international rev. – Wiesbaden, Vol. 45, № 4. – P. 385.
3. Baumol W.J. – (2004) An Entrepreneurial economist on the economics of entrepreneurship / W.J. Baumol, G. Eliasson, M. Henrekson // Small business economics. – Dordrecht etc., Vol. 23, № 1. – P. 5, 18.
4. Drucker P.F. – (1985)Innovation and entrepreneurship: Practice and principles / P.F. Drucker. – N.Y. etc.: Harper and Row.
5. Брун М. – Гиперконкуренция: характерные особенности движущие силы и управление.
6. Варшавский А. Е.-(2000) Наукаемкие и высшие технологии: определение, показатели, техническая политика/эк.наука современной России №2 С.63-83./
7. Дятлов С. А. – (2009) Гиперконкурентность как фактор лидерство в глобальной экономике №3 т.1 ст.110-118.
8. Дятлов С. А. – (2010) Глобальная инновационная гиперконкуренция как фактор трансформации мировой экономики /Дятлов С. А./ Философия хозяйство №4, ст.113-131.
9. Дятлов С. А. – (2011) Гиперконкурентность как фактор лидерство в мировой экономике , №9 ст.50-56.
10. Шумпетер Й.-(1982) Теория экономического развития - М.Прогресс.
11. Шоститко А.-(2008) Конкуренция и антимонопольная политика в неоавстрийской школе./эк.политика №2 ст.107-126 /.

Modern Economy and Competition

Koba Ablotia

*Phd student of the Technical University of Georgia
kobaablotia@gmail.com*

R e s u m e

The article deals with the global innovation hypercompetition in the modern economy. The globalizations of economic relations, internationalization of production and openness of national economies have made the competition global. A new type of competition such as hypercompetition has emerged. It is a special type of global markets development under the conditions of using advance dominant innovation. The main questions of hypercompetition influence on the main market players, state and the economic system as a whole are examined in the article.

სამამულო წარმოების ზოგიერთი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის კვლევა ადგილობრივ ბაზარზე¹

პაატა აროშიძე

*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
aroshidze.paata@bsu.edu.ge*

ბადრი გეჩბაია

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gechbaia.badri@bsu.edu.ge*

არამდგრადი ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის, ასევე სოციალური პრობლემების მოგვარებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციის შენარჩუნებისათვის, ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლება. მით უმეტეს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებობს შეთანხმება ასოცირების შესახებ, რომელიც მოიცავს ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) კომპონენტს. გარდა ამისა, 2000 წლის 14 ივნისიდან, საქართველო გახდა სსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სრულფასოვანი - 137-ე წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო სრულფასოვნად ვერ იყენებს ვერც ერთ იმ შეღავათს, რომელიც დაწესებულია როგორც ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, ისე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდებით. ვერ ვიტყვით, რომ 2015 წლის შემდეგ (როცა საქართველომ დადო ხელშეკრულება ევროკავშირთან), საექსპორტო მაჩვენებელი ევროკავშირის მიმართულებით რადიკალურად გაიზარდა.

ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდა, პირდაპირაა დაკავშირებული ამ პროდუქციის ცნობადობის ამაღლებასთან. ის ბუნებრივი უპირატესობანი, რომელიც გაგვაჩნია, მხედველობაში გვაქვს ბიოლოგიურად სუფთა კვების პროდუქციის წარმოება, რომელზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა ევროპულ ბაზარზე, კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ. ფაქტია ისიც, რომ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მაგალითად თაფლი, ევროპულ ბაზარზე, უცხოურს კონკურენტციას ვერ უწევს, რადგან სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ჩვენის აზრით, მანამ სანამ ქართული წარმოების პროდუქცია ევროპულ ბაზარზე გავა, კარგი იქნება, თუ ადგილობრივ ბაზარზე გახდება კონკურენტუნარიანი. კვლევის ჩატარების დროს, აქცენტი გაკეთებული გვაქვს გამაგრებელი წვენების ბაზარზე. ასეთი არჩევანი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- ბათუმი წარმოადგენს ქვეყნის უმსხვილეს ტურისტულ ქალაქს;
- ტურისტული პოტენცილი ვლინდება არა მარტო შიდა ტურიზმის, არამედ საგარეო ტურიზმის მიმართულებითაც;
- ზაფხულის პერიოდში დიდია მოთხოვნა გამაგრებელი სასმელების მიმართ;
- ადგილობრივ ბაზარზე წარმოდგენილა როგორც სამამულო წარმოების, ასევე იმპორტირებული პროდუქცია;

¹ სტატია იბეჭდება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა იგი არ ასახავდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს), გრანტის ნომერი: ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი YS15_2.5.2_30

- ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მსყიდველობითი უნარი საშუალოზე მაღალია;

- წარმოდგენილია ყველა ის სავაჭრო ქსელი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს;
- არჩეული პროდუქცია არ მიეკუთვნება არც ფუფუნების საგანთა რიცხვს და არც პირველადი მოთხოვნილების პროდუქციას;

- მომხმარებელთა მხრიდან, არჩევანის თავისუფლება გარანტირებულია, რადგან მწარმოებელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია;

გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნის მასშტაბით, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავლები შეზღუდულია, კონკურენციის მთავარ სახედ გვევლინება ფასობრივი კონკურენცია. დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანი ცდილობს ფიქსირებული თანხით უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია შეიძინოს, ამ შემთხვევაში, მისთვის არჩევანის გაკეთების მთავარი მოტივია დაბალი ფასი. ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა ხარისხი, მეორე რიგში დგას. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბათუმის, როგორც სკვლევი ქალაქის არჩევა განაპირობა იმანაც, რომ ზაფხულის ტურისტული სეზონის პერიოდში, მოსახლეობის საშუალო შემოსავალი მაღალია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბათუმის მცხოვრებნი, განსხვავებით საქართველოს სხვა ქალაქებიდან თუ რეგიონებიდან, უფრო მეტ შემოსავალს იღებენ, შემოსავლებში სხვაობა ძირითადად განპირობებული იმით, რომ ტურისტულ სეზონზე ბათუმს სტუმრობს უამრავი უცხოელი ტურისტი, რომელთა ხარჯზეც ხდება საშუალო სტატისტიკური შემოსავლის ზრდა.

სამართლიანია ვიფიქროთ, რომ ფასობრივი კონკურენციის მიხედვით, ადგილობრივი წარმოების პროდუქცია კონკურენტუნარიანი იქნება იმპორტირებულთან შედარებით, რადგან, უმეტესი იმპორტირებული პროდუქციის ფასის ნაწილს შეადგენს იმპორტის გადასახადი და საპროცედურო მოსაკრებლები, რამაც თავის მხრივ თუ მნიშვნელოვნად არა, საკმაოდ უნდა აამაღლოს პროდუქციის ღირებულება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით (იმპორტის გადასახადის განაკვეთები), იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იბეგრება ხილის წვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით, ან მათ გარეშე. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილია მომსახურების გაწევის საფასურები და მათი განაკვეთები, კერძოდ: საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთამდე პირის მიერ ელექტრონულად წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე საბაჟო დეკლარაციის შევსება და საქონლის გაფორმება:

- ✓ 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი;
- ✓ 3000-დან 15000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 300 ლარი;
- ✓ 15000 ლარის ზევით საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 400 ლარი

მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული პროდუქცია ქვეყნის ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილების დროს იბეგრება გადასახადებითა და მოსაკრებლებით, ადგილობრივი წარმოების პროდუქციისაგან ფასით დიდად არ განსხვავდება.

ჩვენი კვლევისათვის აღებული პროდუქცია, წარმოებულია სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგიერთ ქვეყანასთან საქართველოს აქვს შეღავათიანი სავაჭრო პირობები, ხოლო ზოგთან - არა. მიუხედავად ამისა, რადიკალური განსხვავება პროდუქციის ფასებში არ არსებობს.

ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: საწარმოს ეფექტიანობა და ეკონომიკური პოტენციალი, მწარმოებლურობა და სანედ-

ლეულო ბაზა, საკვლევ-სამეცნიერო პოტენციალი, ფინანსური მდგომარეობა, კლიენტთა კონცენტრაცია იმიჯი და ა.შ. ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია პროდუქციის ხრისხი, მაგრამ კვლევის გამარტივებისათვის დაუშვათ, რომ ყველა პროდუქციის ხარისხი მაღალია და აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ამ კრიტერიუმებისა და ფასების კვლევის საფუძველზე, ჩვენს მიერ შედგენილია ცხრილი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია განვსაზღვროთ ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებლები. მიუხედავად იმისა, რომ აღებულია ერთი სახეობის პროდუქცია (ნატურალური წვენი), შესაძლებელია, სპეციფიკის გათვალისწინებით კვლევა განვაზოგადოთ სხვადასხვა პროდუქციის მიმართულებითაც, რადგან, ის პრობლემები, რომლებიც ფერხებენ ეროვნული წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს, ზოგადია და პრობლემის გადაჭრა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

კვლევისათვის აღებულია ერთნაირ საფუთავში (ქაღალდი/მინა) მოთავსებული, ერთნაირი ტევადობის (1 ლიტრი) პროდუქცია, რომელიც სარეალიზაციოდ იყო გამოტანილი სხვადასხვა სუპერმარკეტში. უმეტესი დასახელების ხილის წვენები გვხვდება ყველა სუპერმარკეტში, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე სუპერმარკეტში გვხვდება.

ცხრილი № 1

პროდუქციის ფასები სხვადასხვა სუპერმარკეტში

მწარმოებელი	ქვეყანა	ფასი (ლარი) 1 ლიტრი				
		გუდვილი	იალჩინი	ვილმარტი	spar	კარფური
"კამკა"	საქართველო	2,75	3,6	3,5	3,25	-
ჩერო	საქართველო	-	-	-	-	3,0
kula	საქართველო	3,45	3,85	3,4	-	3,1
„Фруктовый сад»	რუსეთი	3,1	2,8	-	2,7	-
"Parmalat-santal"	იტალია	6,65	-	6	6,3	4,4
Садочок	რუსეთი	2,6	2,3	2,5	2,7	-
Happy day	ავსტრია	-	4,1	4,0	-	3,95
bravo		-	3,2	3,0	-	2,95
соковита	უკრაინა	-	-	-	-	1,95
Моя семья	რუსეთი	-	-	3,15	-	2,4
Sandora	უკრაინა	3,7	3,8	3,7	4,3	-
granini	გერმანია	6,95	6,6	7,2	-	-

შენიშვნა: ფასები აღებულია 2017 წლის 19-29 ივლისს, ბათუმის სხვადასხვა სუპერმარკეტებში ავტორთა მიერ

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართული წარმოების პროდუქციის ფასი მცირედ განსხვავდება იმპორტირებული პროდუქციის ფასისაგან. შესაბამისად, თეორიულად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მისი კონკურენტუნარიანობა დაბალია სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ მიზეზთაგან, ჩვენის აზრით უმთავრესია: ბრენდის ცნობადობა - როგორც ქართველ, ისე უცხოელ მომხმარებელს სურს შეიძინოს ცნობილი ბრენდის მიერ წარმოებული პროდუქცია და ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი წარმოების პროდუქციას; ფასების დონე - შესაძლებელია ქართველი მომხმარებელი ყიდულობს სამამულო პროდუქციას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან ფასში განსხვავება მცირედია (ზოგ შემთხვევაში კი ადგილობრივი წარმოების პროდუქცია უფრო ძვირია), მომხმარებელი იძენს იმპორტირებულ პროდუქციას, მით უმეტეს, უცხოელი დამსვენებელის არჩევანი კეთდება იმპორტირებულ პროდუქციაზე; ხარისხი - კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის

დროს უმთავრეს ფაქტორს მიეკუთვნება. თუმცა, ქართველ მომხმარებელში ჯერ კიდევ შემორჩენილია სტიგმა: „უცხოური პროდუქცია მაღალხარისხიანია“. თუ ფასების შესახებ ინდფორმაციასა და კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმებს ცხრილის სახით განვალაგებთ, მივიღებთ შემდეგი სახის მატრიცას:

ცხრილი № 2

კონკურენტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	შეფასების დიაპაზონი		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
ბაზრის წილი	ჩერო, bravo, соковита,	„Фруктовый сад», Happy day, Моя семья,	Kula, "კამპა", "Parmalat-santal", Садочок, Sandora, granini
ფასი	Садочок, соковита	ჩერო, „Фруктовый сад», bravo, Моя семья,	"კამპა", kula, "Parmalat-santal", Happy day, Sandora, granini
განმასხვავებელი ფაქტორები	"კამპა", ჩერო, Kula, „Фруктовый сад» соковита, Моя семья	Садочок, bravo, Sandora	Granini, "Parmalat-santal", Happy day
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დონე		"კამპა", ჩერო, Kula, Садочок, Соковита	Sandora, "Parmalat-santal", Happy day, granini
კონკურენციის სიმწვავე	Садочок, Соковита	"კამპა", ჩერო, Kula, Sandora,	"Parmalat-santal", Happy day
კლიენტთა კონცენტრაცია	Соковита, Happy day	"კამპა", ჩერო, Kula, „Фруктовый сад», granini	Sandora, "Parmalat-santal",
იმიჯი	Садочок, Соковита,	"კამპა", ჩერო, Kula,	Sandora, "Parmalat-santal", Happy day

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია Grandars.ru-ს მიხედვით და ჩვენი გათვლების საფუძველზე

- ბაზრის წილის ფლობის მიხედვით, ქართული წარმოების ნატურალური წვენები, მაღალკონკურენტუნარიანნი არიან, რადგან მოიცავენ ქართული ბაზრის ყველა სეგმენტს. ამის მიზეზი არის ის, რომ დისტრიბუციის ქსელი საკმაოდ გამართულია და შესაძლებელია მისი ტრანსპორტირება საქართველოს ყველა რეგიონში, მაშინ როცა, არის ზოგიერთი დასახელების პროდუქცია, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ადგილზეა წარმოდგენილი. ჩვენის აზრით, ქართული წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ამ კრიტერიუმის მიხედვით საკმაოდ მაღალია;

- ფასის მიხედვით კონკურენცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს კონკურენტულ სტრატეგიებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დაშვების პირობად მივიჩნიეთ ის, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების შემოსავალი საშუალოზე მაღალია, შეუძლებელია უგულვებლევით ფასისმიერი კონკურენციის მნიშვნელობა, მომხმარებელი ქვეცნობიერად პირველ აქცენტს აკეთებს ფასზე, ხოლო შემდეგ, სხვა ფასეულობებზე. ამ ფაქტორის მიხედვით, ქართული და უცხოური პროდუქციის ფასები თითქმის იგივეა, რაც გარკვეულ პარადოქსს წარმოადგენს. მიზეზი ისაა, რომ ქართული წარმოების წვენები, რომელთა ფასებიც იგივეა, რაც უცხოური წარმოებისა, შედგება მთლიანად იმპორტირებული ნედლეულისაგან და საფუთავისაგან, რომელთა თვითღირებულებაც მოიცავს იმპორტის გადასახადსაც, ამიტომ მათი ფასი მცირედით ჩამორჩება უცხოურ ანალოგიურ პროდუქციას, ხოლო ზოგჯერ გადაამეტებს მას;

- განმასხვავებელ ფაქტორებში ძირითადად იგულისხმება საფუთავი, კვლევისათვის აღებული პროდუქციის საფუთავი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება, უფრო მეტი განმასხვავებელი ნიშნები გააჩნია ევროპაში წარმოებულ პროდუქციას;

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ასევე ყველა პროდუქცია ერთნაირ საწყის ეტაპზე დგას, უფრო უკეთესი პოზიცია გააჩნიათ ევროპაში წარმოებულ პროდუქციას, რაც შეეხება ქართულ პროდუქციას, ისიც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა შექმნილი;

- კონკურენციის სიმწვავის მიხედვით ჩვენ გამოვყავით ის პროდუქცია, რომელთა ღირებულება დაბალია (პირობითად 3 ლარზე ნაკლები), საშუალოა (3-4 ლარი) და მაღალია (4 ლარზე მეტი). ამ კრიტერიუმების მიხედვით, ქართული პროდუქცია მოექცა საშუალო დიაპაზონში;

- კლიენტთა კონცენტრაცია - შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ პირდაპირ კავშირშია პროდუქციის იმიჯთან, რადგან, რაც უფრო მაღალია პროდუქციის ცნობადობა, მით მაღალია კლიენტთა კონცენტრაცია. საკვლევ ობიექტზე, უცხოური წარმოების პროდუქტის უფრო მაღალი იმიჯი და კლიენტთა კონცენტრაცია ახასიათებთ, ვიდრე ქართული წარმოების პროდუქტებს, ამის ახსნა რამდენიმე ფაქტორითაა შესაძლებელი. ა) ბათუმში, როგორც საკვლევ ქალაქში, როცა კვლევა ჩატარდა, უცხოელ ტურისტთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო, რამაც გავლენა მოახდინა არსებულ სიტუაციაზე, შესაბამისად, უცხოური პროდუქციის იმიჯი უფრო მაღალია. ქართული წარმოების პროდუქციის იმიჯი საშუალო დონეზეა, რადგან მისი მომხმარებლები ძირითადად ქართველები არიან, თუმცა ისინიც კი, ხშირ შემთხვევაში უცხოური წარმოების პროდუქციას ამჯობინებენ.

დასკვნის სახით შესაძლებელია ჩამოვყავალიბოთ შემდეგი მტკიცებულებები და რეკომენდაციები:

1. ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია სარეალიზაციო ფასზე, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქცია უპირატეს მდგომარეობაშია იმპორტირებულთან შედარებით (შემოტანილი პროდუქცია იბეგრება იმპორტის გადასახადით და პროცედურათა მოსაკრებლებით), ეს ნაკლებად აისახება ფასზე, ამის მიზეზია ის, რომ ადგილობრივი წარმოების საკვლევ პროდუქციაში ნაკლებდაა ადგილობრივი ნედლეული ჩართული;

2. ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი ფასების პირობებში, მყიდველი არჩევანს აკეთებს იმპორტირებულ პროდუქციაზე, რადგან ასეთი პროდუქციის იმიჯი საზოგადოებაში მაღალია, რაც ახდენს გავლენას მყიდველის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე;

3. კონკურენტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, ჩვენს მიერ გამოკვლეული პროდუქცია, სამამულო ბზარზე იჭერს საშუალო მაჩვენებლის ნიშას;

4. სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაღლებისათვის, სახელმწიფო ვერ გატარებს პირდაპირ ღონისძიებებს, რადგან მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრობის პრინციპიდან გამომდინარე, საგადასახადო ან არასაგადასახადო პრეფერენციების მინიჭება და ზოგადად პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება მიუღებელია. სახელმწიფოს როლი ამ შემთხვევაში, შესაძლებელია შემოიფარგლოს ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარებით, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ნატურალური წვენების ბაზარი მონოპოლიზებულია;

5. რეკომენდაციის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მეწარმეებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების თაობაზე, სახელმწიფომ შესაძლებელია ჩამოაყალიბოს მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ფერმერებისაგან, კოოპერატივებისაგან მიიღებენ ხილის ნედლეულს, რომელსაც გამოიყენებს ადგილობრივი მწარმოებლები. ერთი მხრივ, ეს გააიაფებს მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს, ხოლო მეორეს მხრივ, მოახდენს სასოფლო სამეურნეო წარმოების სტიმულირებას;

6. შესაძლებელია ისევ სახელმწიფოს მონაწილეობით ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სასაქონლო ბირჟა, სადაც თვალნათლივ იქნება წარმოდგენილი მიწოდება-მოთხოვნის ბალანსი, ეს კი საშუალებას მისცემს მწარმოებელს თუ სემსყიდველს ზუსტად დაგეგმოს საჭირო მოცულობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგზია ბ., მამულაძე გ. ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტები ევროკავშირში და მისი ფორმირების თანამედროვე პრობლემები. ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, #2, 2016 წ. გვ., 9-12;
2. ბარათაშვილი ე., გეგზია ბ., ღლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012;
3. ლორთქიფანიძე რ., ეკონომიკური კონკურენციის ძალის შეფასებისათვის, ჟ. „ახალი ეკონომისტი“, 2011, #2;
4. ხარაიშვილი ე., ღვინის ბაზარი, და მევენახეობა - მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბ. 2017;
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 2017 წლის 21 09
6. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ, <http://www.eu-nato.gov.ge/eu/association-agreement>;
7. Энциклопедия Экономиста, <http://www.grandars.ru/> <http://www.rs.ge/4837>;
8. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova”, ECORYS და CASE-ის კვლევა, 2012;

Research of Competitiveness of Some of the Domestic Products on the Local Market

Paata Aroshidze

*Candidate of Economic Sciences, Associate Professor
Batumi Shota Rustaveli State University
aroshidze.paata@bsu.edu.ge*

Badri Gechbaia

*Academic Doctor of Economics, Associate Professor
Batumi Shota Rustaveli State University
gechbaia.badri@bsu.edu.ge*

R e s u m e

To stabilize sustainable economic situation, as well as to solve social problems and stabilize national currency rates, one of the measures is to increase the country's potential of export. Before the products of the domestic production will be exported to the international market, it is necessary to compete with the imported products on the local market.

For solving this problem, in the summer of 2017, we have examined the natural juice market in Batumi. It turned out that the main factor to ensure the competitiveness of local products was price. In the terms of same or similar prices, the buyer chooses the imported products as the image of such products is high in society and it affects the decision made by the buyer. The government can't take direct measures in order to increase the competitiveness of domestic products, as it is unacceptable, due to the principle of membership of the World Trade Organization, to carry out the protectionist policies. As a recommendation, it may be noted that entrepreneurs should be advised to use local raw materials, and the state may form a reciprocating processing enterprise that will get fruit raw materials from farmers, cooperatives, which will be used by local manufacturers. On the one hand it will make cheaper the products produced by them and on the other hand will stimulate agricultural production.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უარყოფითი გავლენა კონკურენციის პოლიტიკაზე

ნიკა ასანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სპეციალისტი

nikaasanidze@gmail.com

კონკურენცია გულისხმობს ბაზარზე არსებულ დამოუკიდებელ სუბიექტთა შორის მრავალ-მხრივ საქმიანობას, რომელიც შეჯიბრის სახით გვევლინება. საზოგადოების ნაწილს ძლიერი კონკურენციული სისტემის ჩამოსაყალიბებლად მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ჩარევამ და ანტიმონოპოლიურმა კანონმდებლობამ მხოლოდ ცუდი შედეგი შეიძლება მოიტანოს. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ბაზარი არ არის თვითრეგულირებადი და სახელმწიფო ანტიმონოპოლიური უწყების ზომიერი ჩარევა აუცილებელია. შეიძლება აღინიშნოს, რომ დღეისათვის მსგავსი მოსაზრება ნამდვილად არ არის პოპულარული. ამიტომ, მნიშვნელოვანი და გადასაწყვეტი არის მხოლოდ ერთი - თუ რა როლი უნდა ქონდეს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ უწყებას ბაზარზე და რა დონით მოახდინოს ჩარევა მიმდინარე პროცესებში.

კონკურენციული პოლიტიკის დიდი როლი და მისი მნიშვნელობა ვლინდება ყველა სფეროში. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეკონომიკის ტრანსფორმაცია, მისი სტრუქტურული დემონტაჟი და ეროვნული ეკონომიკური სისტემის რეფორმების პარალელურად ეკონომიკის გადაყვანა თანამედროვე, დასავლურ საბაზრო ურთიერთობებზე უაღრესად რთული, მრავალმხრივი და გრძელვადიანი პროცესია. უდავოა, რომ თითოეული გარდამავალი ქვეყნის, ახალ ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ მატერიალურ და ადამიანისეულ რესურსს მოითხოვს. თუ არ გავითვალისწინებთ თვისობრივად ახალ ურთიერთობებზე გადასვლას პრიორიტეტული სფეროებისა და ურთიერთობების მიხედვით და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ძალების და შესაძლებლობების კონცენტრაციას, ამ მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემაში უმთავრესი როლი სწორედ კონკურენციის პოლიტიკაზე გადის.

უმნიშვნელოვანესია კონკურენციის პოლიტიკის ხელშეწყობა, რადგანაც სწორედ მაღალი კონკურენციის პირობებში ცდილობენ კომპანიები დანერგონ ინოვაციები, რაც აწვითარებს როგორც ეკონომიკის ცალკეულ სექტორს, ისე მთელ ეკონომიკას. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ეკონომიკის სწრაფი ზრდის შესაძლებლობას. კონკურენციის არარსებობის შემთხვევაში კომპანიებს არ ექნებათ მოტივაცია დანერგონ ახალი წარმოების მეთოდები და წარმოადგინონ ახალი დასახელების პროდუქტები. ასევე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საზოგადოება არის ყოველმხრივ ძებნის პროცესში და სწორედ ამ თავისებურებას ეფუძნება კონკურენციის პოლიტიკის მუდმივი აქტუალურობა.

კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელობას ის ძირითადი ფაქტორები განაპირობებს, რომლებიც შესაძლებელია მოვაქციოთ რამდენიმე ძირითად საკითხში. სწორი კონკურენციული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მიიღება:

- დაბალი ფასები ყველასთვის;
- პროდუქციის უკეთესი ხარისხი;
- მეტი არჩევანი;

- მეტი ინოვაცია;
- უფრო ძლიერი კონკურენტები საერთაშორისო ბაზარზე.

თუმცა, კონკურენციული პოლიტიკის სრულყოფილად განსახორციელებლად და მისი საშუალებით შესაბამისი უპირატესობების მოსაპოვებლად უმნიშვნელოვანესია მისი დაცვა, ანუ რეგულირება. იგულისხმება ისეთი დარღვევების თავიდან აცილება, როგორებიცაა: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკურენციის შემზღვევადი კონცენტრაციების წინასწარი პრევენცია, ასევე იმ ტიპის სახელმწიფო დახმარებების თავიდან აცილება, რომელიც ეწინააღმდეგება კონკურენციის სამართალს.

საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს კანონდასჯად ქმედებას და შესაბამისად დაუშვებელია.

საქართველოს კანონით კონკურენციის შესახებ, დომინირებული მდგომარეობა განიმარტება, როგორც: შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტების და საბოლოოდ, მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. ასევე, თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებულ მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

ეკონომიკურ პოლიტიკაში ცნება „დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი“ შესაძლებელია განვმარტოთ სუბიექტად, რომელიც ზემოქმედებს შესაბამის ბაზარზე სხვა სუბიექტებისგან დამოუკიდებლად. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობით (UNCTAD-ის და WB-OECD კანონებით) იკრძალება არა დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნა, არამედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკაში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მრავალ ფორმას ვხვდებით, მაგალითად:

- დისკრიმინაციული ფასის ან ვაჭრობის განსხვავებული პირობების გამოყენება;
- ერთი და იგივე კატეგორიის პარტნიორების არსებობის შემთხვევაში, სხვადასხვა პირობების გამოყენება, რომელიც ნეგატიურად აისახება პარტნიორის კონკურენტუნარიანობაზე;
- არაგონივრული და დაუსაბუთებლად მაღალი ფასების დაწესება;
- ხელახლა გასაყიდი, ანუ გადასაყიდი ფასის დადგენა;
- გარიგებაზე ან გაყიდვაზე დაუსაბუთებელი უარი;
- მტაცებლური ფასების პრაქტიკა;
- მომსახურების ცალკეული ობიექტების გამოყენების უფლების წართმევა;
- გაყიდვები თავმოხვეული პირობების შეთავაზებით და უამრავი სხვა ფორმით.

დომინირებული მდგომარეობის შენარჩუნების მცდელობა არ წარმოადგენს ანტიკონკურენციულ ქმედებას, მაგრამ კონკურენციის პროცესში არასწორი ჩარევა, მათ შორის: გარიგებაზე ან გაყიდვაზე დაუსაბუთებელი უარი წარმოადგენს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მაგალითად: თუ დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური აგენტი უარს ამბობს ნედლეულის ან სხვა პროდუქტის მიყიდვაზე მისი კონკურენტი კომპანიისთვის და ამით ხელს უშლის კომპანიის ბაზარზე შესვლას, სწორედ ესაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ცალკეულ შემთხვევებში, დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისთვის საკმარის მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკა დაკვირვებადი ეკონომიკის შესახებ. გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა ხელმისაწვდომი კრიტერიუმები და წყაროები, მათ შორის, მონაცემები დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ, ბაზარზე გავლენის ანალიზი და ა. შ. ყველა შესაძლო შემთხვევაში საბაზრო წილის გაანგარიშებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული დაუკვირვებადი ეკონომიკა. კონკურენციის ჩარჩო კანონი განსაზღვრავს დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინების პრინციპს. კანონქვემდებარე აქტები უზრუნველყოფენ დეტალურ ახსნას, როგორ და როდის უნდა იქნეს გათვალისწინებული დაუკვირვებადი ეკონომიკა.

საერთაშორისო ორგანიზაციების კანონმდებლობაშიც თვალნათლივ განსაზღვრულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა. მაგალითად: TFEU 102-ე მუხლით კრძალავს ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, როგორც შეუსაბამოს საერთო ბაზართან, თუ მას შეუძლია იმოქმედოს საერთო ბაზარზე და მნიშვნელოვნად შეზღუდოს ვაჭრობა წევრ სახელმწიფოთა შორის.

ცხადია, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ქმნის საფუძველს მოხდეს ეკონომიკური კონკურენციული პოლიტიკის დასუსტება. საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ისეთი ტიპის ბაზრებზე, სადაც ვხვდებით ლიბერალიზებულ ინფრასტრუქტურულ სექტორებს. სწორედ ასეთი ტიპის ბაზრებზე დასამკვიდრებლად მუდმივად აქტუალურია რიგი დარგობრივი პარამეტრების გაუმჯობესების მიუხედავად საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემები.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ ნამდვილად ძალიან დიდია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უარყოფითი გავლენა ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკაზე. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება პირდაპირპროპორციულად აფერხებს და ასუსტებს კონკურენციულ პოლიტიკას. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არსებობის დროს შეუძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან სწორედ თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. სწორედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება აფერხებს და უარყოფით გავლენას ახდენს ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფასების რეგულირება (ანუ ფასების შემცირება) და სიახლეების (ინოვაციების) ხელშეწყობა. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება საბოლოო მიზნის მიღწევა - საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა. ქვეყნების შესაბამისი უწყებები უნდა ცდილობდნენ არ შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც რომელიმე ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს ბოროტად გამოიყენოს საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე მნიშვნელოვანი გავლენა, რაც შესაბამისად შეზღუდავს კონკურენციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია. თბილისი, „ლოი“, 2012.
2. ლაფაჩი ქ., დომინირებული მდგომარეობა და მისი ბოროტად გამოყენების ფორმები. თბილისი, „EUGBC“, 2015.
3. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 2012.
4. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში, www.competition.ge
5. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის ანგარიში, www.competition.ge

Dominant Position and its Negative Impact on Competition Policy

Nika Asanidze

PhD Student of Tbilisi State University

Specialist of Competition Agency of Georgia

nikaasanidze@gmail.com

This article analyzes negative impacts on a competition policy. Competition puts businesses under constant pressure to offer the best possible range of goods at the best possible prices, because if they don't, consumers have the choice to buy elsewhere. In a free market, business should be a competitive game with consumers as the beneficiaries. But Sometimes companies try to limit competition. To achieve competition, the Competition Agencies monitors: agreements between companies that restrict competition, abuse of a dominant position, financial support for companies and etc.

A company can restrict competition if it is in a position of strength on a given market. A dominant position is not in itself anti-competitive, but if the company exploits this position to eliminate competition, it is considered to have abused it.

The motivation to study abuse of a dominant position is the step to introduce more possibilities in competition policy.

კონკურენტუნარიანობა ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში (სტატისტიკური ანალიზი)

ნონა ახვლედიანი

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

nona.axvlediani@yahoo.com

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად უნდა ემყარებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების კონტროლს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება, და ამავე დროს სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში. თანამედროვე ეკონომიკაში, ინოვაციები კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რადგან ინოვაციებს მიყვავართ პროდუქტის თვითღირებულებისა და ფასების შემცირებასთან, ახალი მოთხოვნების გაჩენასთან, ვალუტის მოზიდვასთან, ახალი პროდუქტის მწარმოებლის იმიჯის ამაღლებასთან, ახალი, მათ შორის შიდა და რეგიონული ბაზრებზე შეღწევისა და დაპყრობასთან, შემოსავლების ზრდასთან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინოვაცია უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია რისკთან. ინოვაციების მიღება და განხორციელება დაკავშირებულია სტრუქტურული ადჟმის სიმყიფესთან. ცნობილია, რომ ქვეყნის სიმდიდრეს და კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე ქმნის ინოვაციებზე დაფუძნებული ეროვნული წარმოება და ბიზნესი. ინოვაციური სისტემა ცალსახად შეესატყვისება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საწარმოო ძალების გაზრდას, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ის ფუნქციონირებს. ქვეყნებს შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვეიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). აღნიშნული ორგანიზაცია 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს გარემო. აღნიშნული ანგარიში მთავრობებს ეკონომიკური ზრდის ხელშეშლელი ფაქტორების გამოვლენაში, ხოლო ბიზნეს სექტორს მომავალი ინვესტირების გადაწყვეტილების მიღებისას ეხმარება. საერთაშორისო ბიზნესში ბიზნესმენები თავიანთი ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ეკონომიკურად განუსაზღვრელობის გამო მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის გარკვეულ რისკთან არიან დაკავშირებული. ბიზნესმენმა უნდა იცოდეს, რომ მოვლენების განვითარება ეკონომიკასა და ბუნებისმეტყველებაში ორი ფორმის კანონოზომიერებას ექვემდებარება. ესენია: 1) დინამური და 2) სტატისტიკური კანონზომიერებანი. ეს კანონზომიერებანი მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის ფორმების მიხედვითაა განსხვავებული. დინამიკური კანონზომიერებანი, მაგალითად, თან ახლავს მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის ფუნქციონალურ ფორმას, რომლის პირობებში ერთი მოვლენის ან ფაქტორის ან კიდევ ფაქტორთა ჯგუფის ცვალებადობა დროსა და სივრცეში იწვევს მეორე მოვლენის ცვალებადობას ყოველთვის, ყველგან და ყველა პირობებში. ამიტომ ასეთ ურთიერთკავშირებს ბუნებასა და საზოგადოებაში სხვაგვარად სრულ კავშირებს უწოდებენ. ერთი მოვლენის ცვალებადობა იწვევს მეორე მოვლენის ცვალებადობას არა ყოველთვის, ყველგან და ყველა პირობებში, არამედ საშუალოდ, მხოლოდ უმრავლეს შემთხვევაში. მაგალითად, ბიზნესმენი, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს სოფლის მეურნეობაში, არაა გარანტარებული, რომ ყოველთვის ყოველ წელს, ან ყველა დარგში, ან ყველა სახის მიწის ნაკვეთზე, მიიღებს სათანადო მოგებას ანუ ამ შემთხვევაში ინვესტიციების გადიდება არ გამოიწვევს ყველგან და ყველა შემთხვევაში მოგების გადიდებას, ან კიდევ ავიღოთ ბიზნესმენების მიერ ნავ-

თობის ბიზნესში ინვესტირების პროცესი. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მაინც წარმოჩინდება კანონზომიერება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ინვესტიციების გადიდება საშუალოდ (და არა ცალკეულ ყველა შემთხვევაში) თან მოჰყვება მოგების გადიდება. რასაც ეწოდება სწორედ სტატისტიკური კანონზომიერება. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისას დიდ ყურადღება ექცევა სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ სისტემებს, რომლებიც საბაზრო მექანიზმზე დაყრდნობით ზემოქმედებენ ეკონომიკაზე ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.


საერთაშორისო ბიზნესში განვითარებული მოვლენების განუსაზღვრელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური სტატისტიკის ისეთი მძლავრი მეთოდები, როგორცაა: საშუალო სიდიდეების, მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის, ვარიაციული, დინამიკური, შერჩევითი დაკვირვების, საინდექსო და სხვა. ამ მეთოდების გამოყენებით დგინდება თუ რამდენად და რა ხარისხითაა განუსაზღვრელი კონკრეტული მოვლენები ბიზნესსა და ეკონომიკაში, როგორია მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებანი დროსა და სივრცეში და ა.შ., აღნიშნული მეთოდები ძალიან ფართოდ გამოიყენება ბიზნესმენთა ქვეყნის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისათვის პირველ რიგში ინვესტიციების დაბანდების ეტაპზე, რასაც განსაზღვრავს ძირითადად ბიზნეს გარემო და მისი განვითარების პერსპექტივები მოცემულ ქვეყანასა და რეგიონში. მეორე სფერო ამ მეთოდების ფართოდ გამოყენებისათვის არის თვით საქონლისა და მომსახურების წარმოება. აღნიშნულ ეტაპზე თავს იჩენს წარმოების სხსხ. ფაქტორთა ურთიერთშე-
ნაცვლებადობის პროცესში მეწარმეობის უნარიანობა მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის შესაბამის კონკურენციულ ბრძოლაში. World Economic Forum-ის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის საქართველოს პოზიცია 1 ადგილით გაუმჯობესდა, რის შედეგადაც ქვეყანამ 70-ე ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოს მიერ მიღებული ქულა მაქსიმალური 7-დან 3.7-ია. ინდექსის კომპონენტების მიხედვით საქართველოს პოზიციები ასე გამოიყურება:

- ბიზნეს გარემო - მსოფლიოში 22-ე ადგილი
- ✓ უსაფრთხოება - მსოფლიოში 29-ე ადგილი
- ✓ ჯანმრთელობა და ჰიგიენა - მსოფლიოში 36-ე ადგილი
- ✓ მუშახელი - მსოფლიოში 51-ე ადგილი
- ✓ ტექნოლოგიური განვითარება - მსოფლიოში 67-ე ადგილი
- ✓ ტურიზმი პრიორიტეტებს შორის - მსოფლიოში 41-ე ადგილი
- ✓ საერთაშორისო გახსნილობა - მსოფლიოში 66-ე ადგილი
- ✓ ფასების კონკურენტუნარიანობა - მსოფლიოში 66-ე ადგილი
- ✓ საავიაციო ინფრასტრუქტურა - მსოფლიოში 90-ე ადგილი
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურა - მსოფლიოში 63-ე ადგილი
- ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურა - მსოფლიოში 70-ე ადგილი
- ✓ ბუნებრივი რესურსები - მსოფლიოში 106-ე ადგილი
- ✓ ბიზნეს ტურიზმი - მსოფლიოში 81-ე ადგილი

პოზიციები გაუარესდა შემდეგ კრიტერიუმებში: ჯანმრთელობა და ჰიგიენა - 36-ე ადგილი (6,10 ქულა), ადამიანური რესურსები - 51-ე პოზიცია (4,78 ქულა), საერთაშორისო გახსნილობა - 66-ე პოზიცია (3,13 ქულა), ტურისტთა მომსახურების ინფრასტრუქტურა - 70-ე პოზიცია (4,03 ქულა). უცვლელი დარჩა ფასების კონკურენტუნარიანობა - 66-ე პოზიცია (4,90 ქულა). 2017 წლის პირველი კვარტალის ანგარიში ასე გამოიყურება, ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, საუკეთესო ათეულში შედიან: ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, შტატები, ავსტრალია, იტალია, კანადა და შვეიცარია. საქართველო ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის ინდექსში უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ეგვიპტე, მონტენეგრო, უკრაინა, მოლდოვა. 2017 წლის პირველი კვარტალის ანგარიშის მი-

ხედვით, ყველაზე ნაკლები ქულები ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით დააგროვეს შემდეგმა ქვეყნებმა: ნიგერია, მალი, სიერა ლეონე, მავრიტანია, კონგოს დემკრატიული რესპუბლიკა, ბურუნდი, ჩადი და იემენი. ჯამში, კომოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში საქართველომ ყველა მოცემულ კომპონენტში აჩვენა პროგრესი, გარდა ტურიზმის სერვისის ინფრასტრუქტურის კომპონენტისა. ამ კომპონენტში 2015 წელს საქართველო 50-ე ადგილზე იყო, 2017 წელს 70-ე ადგილზე გადაიწია. „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ მიხედვით, საინტერესოა, 2013 წელს რომელი კრიტერიუმების მიხედვით განიცადა საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა ან უკუსვლა 2012 წელთან შედარებით. წინსვლა არის შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საკუთრების უფლებების დაცვის მაჩვენებლით 120-ე ადგილიდან 85-ე ადგილზე გადაინაცვლა, სასამართლოს დამოუკიდებლობით 91-დან 65-ე ადგილზე გადაინაცვლა, შიდა კონკურენციის ზრდით 123-დან 105-ზე, ექსპორტის მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მოცულობით 97-დან 76-ზე, საბანკო სექტორის სიძლიერით 82-დან 67-ზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს კრიტერიუმი (გარდა ექსპორტისა) დგინდება კომპანიების უშუალო გამოკითხვის გზით და არ ემყარება ოფიციალურ სტატისტიკას. 2013 წლის შეფასებით, შესამჩნევი უკუსვლა იყო შემდეგ კრიტერიუმებში: პირდაპირი უცხოური ინვესტიციებითა და ტექნოლოგიების ტრანსფერით 101-ე ადგილიდან 113-ე ადგილზე გადაინაცვლა, სესხის აღების სიმარტივით 98-დან 110-ზე გადაინაცვლა, გზების ხარისხით 60-დან 65-ე ადგილზე. აღნიშნული მაჩვენებლებიც კომპანიების უშუალო გამოკითხვას ემყარება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და 69-ე ადგილიდან 66-ზე (4,22-იანი ქულით) გადმოინაცვლა 140 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა - სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი). საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან 1 ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან - 58 ქვეკომპონენტში. გაუმჯობესებული ფაქტორები – ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (Efficiency Enhancers) – მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; UNESCO; World Health Organization, IMF და სხვა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელიც მოიცავს კითხვარების შევსებას ბიზნეს-სექტორის მიერ. განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. 2015-2016 წლის კვლევა მოიცავს 140 ქვეყანას GCI მოიცავს ქვეყნის განვითარების სამ ძირითად საფეხურს (ფაქტორ-მამოძრავებელი; ეფექტიანობის მამოძრავებელი; ინოვაციის მამოძრავებელი), რომელიც აერთიანებს 12 კომპონენტს: სამ ფაქტორთა ჯგუფში შემავალი 12 კომპონენტი, თავის მხრივ, მოიცავს 114 ქვე-კომპონენტს. საქართველო GCI-ს კვლევაში ჩართულია 2004 წლიდან. 2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა, სამი ადგილით ზემოთ გადაინაცვლა 2013 წლის პოზიციიდან. 2017-2018 წლის ანგარიშით ბოლო 7 წლის განმავლობაში პირველად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს რეიტინგი გაუარესდა. 137 ქვეყანას შორის საქართველო 67-ე ადგილს იკავებს. გასული წლის ანგარიშის (2016-2017) მიხედვით, საქართველო 59-ე ადგილზე იყო. საქართველოს ჯამური ქულა არ შეცვლილა, ის ისევ 4.3-ია, თუმცა, სხვა ქვეყნების ქულების გაუმჯობესების გამო რეიტინგში პოზიცია გაგვიუარესდა.

გრაფიკი 1: საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, 2007-2017 წლები



თითოეული წლის რეიტინგი წინა წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობით არის შედგენილი. მაგალითად, 2017-2018 წლების ანგარიში 2016 წლის შეფასებას ემყარება. ძალშიშნული ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, თითოეული ქვეყანა 114 კრიტერიუმით ფასდება. პოზიციის მიხედვით, ყველაზე დიდი უკუსვლა ფიქსირდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში როგორცაა: სოფლის მეურნეობის პოლიტიკა (მინუს 39 პოზიცია), დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩო (-26 პოზიცია), სასამართლოს დამოუკიდებლობა (-25 პოზიცია), ფასიანი ქაღალდების რეგულირება (-21 პოზიცია), ბიუჯეტის დეფიციტი (-16 პოზიცია), სასკოლო განათლების ხარისხი (-13 პოზიცია), ფავორიტიზმი მთავრობის გადაწყვეტილებებში (-12 პოზიცია), ბიუჯეტის ხარჯების ეფექტურობა (-10 პოზიცია), ქრთამის აღება (-7 პოზიცია). მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა შემდეგ კრიტერიუმებში: ინფლაციის დონე (ასახავს 2015 წლის მდგომარეობას; +79 პოზიცია), საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა (+19 პოზიცია), ვენჩურული (ბიზნესის დაწყებისთვის) კაპიტალი (+14 პოზიცია) და ინვესტორთა დაცვა (+13 პოზიცია).

ცხრილი 1: საქართველოს ქულის და პოზიციის ცვლილება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით

ინდექსის შეფასების კრიტერიუმები	ქულა		პოზიციის ცვლილება
	2016	2017	
სოფლის მეურნეობის პოლიტიკა	3.8	3.3	-39
დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩო	4	3.5	-26
სასამართლოს დამოუკიდებლობა	4	3.6	-25
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	21.7	19.4	-22
ფასიანი ქაღალდების რეგულაციები	4.1	3.8	-21
ანაზღაურება და პროდუქტიულობა	3.9	3.6	-20
ბიუჯეტის დეფიციტი (მშპ-ის %)	-1.2	-1.6	-16
ქვეყნის შიდა კონკურენცია	5	4.8	-16
სასკოლო განათლების ხარისხი	3.4	3.1	-13
ფავორიტიზმი მთავრობის გადაწყვეტილებებში	3.5	3.3	-12
ორგანიზებული დანაშაული	5.8	5.4	-12
განათლების სისტემის ხარისხი	3.3	3	-12
ბიუჯეტის ხარჯების ეფექტურობა	3.2	3	-10
ქრთამის აღება	5.6	5.4	-7
ინფლაცია	4	2.1	79
საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	4	4.3	19
ვენჩურული (ბიზნესის დაწყებისთვის) კაპიტალი	2.6	2.7	14
ინვესტორთა დაცვა	6.8	7.7	13

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღების მიღმა არ დარჩეს ისეთი საკითხები, როგორცაა: სასამართლოს დამოუკიდებლობა, კორუფცია, ბიუჯეტის ეფექტურად ხარჯვა, განათლება და ა.შ.

ინდექსში წლების მიხედვით საქართველოს პოზიცია ასე იცვლებოდა:

- ✓ 2017–2018 წლის ინდექსი 67 ადგილი 4.3 ქულა
- ✓ 2016–2017 წლის ინდექსი 59 ადგილი 4.3 ქულა
- ✓ 2014–2015 წლის ინდექსი 69 ადგილი 4.2 ქულა
- ✓ 2013–2014 წლის ინდექსი 72 ადგილი 4.2 ქულა
- ✓ 2012–2013 წლის ინდექსი 77 ადგილი 4.1 ქულა

ინდექსში საქართველოში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორებია გამოყოფილი. საქართველოში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები: სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; ინფლაცია; მაღალი ბიუროკრატია; არასაკმარისი ინფრასტრუქტურა; არათანმიმდევრული პოლიტიკა ბიზნესის მიმართ; მწირი გარემო ინოვაციების მისაღწევად; დაბალი შრომის ეთიკა; გადასახადების დონე; საგადასახადო რეგულაციები და ადმინისტრირება. ყველაზე რთული მდგომარეობა საქართველოს ინოვაციების მიმართულებით აქვს. ამჟამაჩვენებლის მიხედვით, ის რეიტინგში 116-ე ადგილზე იმყოფება. დაბალი ინოვაციების დონე კომპანიების მხრიდან საკმაოდ დაბალ კვლევის მაჩვენებელს (R&D), უნივერსიტეტების მხრიდან კვლევაზე დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობას უკავშირდება. საქართველო კონკურენტუნარიანობის მიხედვით ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანას, მათ შორის საბერძნეთსა (86-ე ადგილი) და კვიპროსს (83-ე ადგილი) უსწრებს. მეზობელი ქვეყნებიდან საქართველო მხოლოდ სომხეთს (79-ე ადგილი) უსწრებს. რეგიონის ქვეყნების მიხედვით ყველაზე მაღალი 37-ე ადგილი აზერბაიჯანს აქვს, რუსეთი 43-ე ადგილზე, თურქეთი კი 55-ე ადგილზეა. ანგარიშში მიმოხილულია 140 ქვეყნის ეკონომიკა. საუკეთესო ქვეყნები 113 ინდიკატორის გათვალისწინებით 12 კატეგორიაში გამოავლინეს. ეს კატეგორიებია: სინსტიტუციები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური გარემო; ჯანმთელობის სისტემა და დაწყებითი განათლება; უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება; სასაქონლო ბაზრის ეფექტურობა; შრომითი ბაზარი და მისი ეფექტურობა; ფინანსური ბაზრის განვითარება; ტექნოლოგიური მზაობა; ბაზრის მოცულობა – ღირებულების მაჩვენებელი ბაზარში, ძირითადად წელიწადში, კონკრეტული საქონლის ერთობლივი გაყიდვებით; ბიზნესი; ინოვაციები. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, მსოფლიოს 10 ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებია: 1. შვეიცარია; 2. სინგაპური; 3. აშშ; 4. გერმანია; 5. ჰოლანდია; 6. იაპონია; 7. ჰონგ-კონგი; 8. ფინეთი; 9. შვედეთი; 10. დიდი ბრიტანეთი.

ბოლო წლებში, ტენდენციები, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკის დარგების განვითარებას, დასტურია იმისა, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარება განხორციელდება ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზით. ამ პროცესში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ტექნიკური პროგრესი, საბაზო ინოვაციების გამოვლენა და დანერგვა (ნანოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და ა.შ.) და რასაკვირველია უპირველეს ყოვლისა ცოდნის ფართოდ გამოყენება. ასეთი გარემო მოგვეცემს საშუალებას ზუსტად ჩამოყალიბდეს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია ნებისმიერი შემავრცელებელი ფაქტორებისა და მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით. განვითარების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარების სწორი ხედვა, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა და ინოვაციური მიმართულებების იმპლიმენტირება; აუცილებელია აგრეთვე, სოციალური პასუხისმგებლობის - მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების მაქსიმალური გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გაბიძაშვილი „სტატისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური კვლევები ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში – აწსუ, 2009წ. (500 გვერდი)
2. ნ. ახვლედიანი; დ. კბილაძე; „საერთაშორისო ბიზნესგარემოს როლი ბიზნესმენტა ტაქტიკურ-სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“. 6-7 აპრილი , 2012 წელი, თბილისი.
3. ნ. აბესაძე; დ. კბილაძე; შ. მეტრეველი; „სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა“, თბ., 2007.
4. www.geo.stat.ge

Competitiveness under Economic Uncertainty (statistical analysis)

Nona Akhvlediani

Associate professor of Akaki Tsereteli State University

nona.axvlediani@yahoo.com

R e s u m e

Competitiveness is the country's ability to produce goods and services that are relevant to the demand in international markets, and at the same time to stabilize the real incomes of the population in the long term. In the modern economy, innovations are one of the key factors in the growth of competitiveness. The Global Competitiveness Index (IGC), which defines the World Economic Forum, measures the level of the macroeconomic environment, the state of the country's state institutions and the level of technological readiness. The globalization of international business events and not due to the uncertainty about the quality attributive characterized by unilateral or in other words, they are non-deterministic, stochastic, probabilistic events and processes that are managed solely based on probabilistic calculations, it determines the behavior of business tactics and strategies in time and space or time and space to separate sections according to the chronological data. Unspecified adverse developments in international business in order to avoid the consequences of such powerful methods can be used for economic statistics such as average values, variations, dynamic, selective observation, and zip code. These methods shall be determined by how much and what specific events quality unlimited business and economics, what their development trends and regularities in time and space etc. It is difficult to be realized at all those factors into the business, which it operates and a complex figure in the party, which will be guided by their own technical and business strategic decision-making. Creates difficulty is that factors are qualitative and are not characterized other than auditorable multiplications characteristics and therefore cannot be reproduced or summarized.

რეგულირებადი ეკონომიკის დერეგულირების პრაქტიკა

დავით ბასიაშვილი

*ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მთავარი სპეციალისტი
dbasiashvili@yahoo.com*

დღევანდელი ადამიანის ყოფა წარმოდგენილია ელექტროენერგეტიკის, კომუნიკაციის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების და სარკინიგზო გადაზიდვების გარეშე. ეს სფეროები ყველა ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ - საქართველოში ამ სფეროების წილი მშპ-ში 2016 წლისათვის შეადგენდა 11,5%-ს.

ელექტროენერგეტიკის, კომუნიკაციის, გაზის, წყალმომარაგების და სარკინიგზო გადაზიდვების მახასიათებელი ის არის, რომ თავის ინფრასტრუქტურულიდან გამომდინარე არის ქსელური ხასიათის, გვევლინებიან მონოპოლისტებად, შესაბამისი ბაზარი წარმოადგენს რეგულაციის სფეროს და მათი საქმიანობა თითქმის ყველა ქვეყანაში რეგულირდება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ. პირველი მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანო შტატებს შორის კომერციის კომისია (Interstate Commerce Commission (ICC)) ამერიკაში კომერციული აქტის საფუძველზე 1887 წელს შეიქმნა და მისი ამოცანა იყო დისკრიმინაციული ტარიფების შემცირება სარკინიგზო და შემდგომ საავტომობილო ტრანსპორტზე სატვირთო და სამგზავრო ტარიფების გადაზიდვების და სატელეფონო კომპანიების მომსახურებაზე.

ელექტროენერგეტიკის, რეგულირების პირველი პრეცედენტი შეიქმნა აშშ-ში XIX საუკუნის ბოლოს. ეროვნული ელექტროენერჯის ასოციაციის პრეზიდენტმა ამერიკელმა სამუელ ინსულმა, შეამჩნია რა, რომ ელექტროენერგეტიკას ახასიათებდა მაღალი ფიქსირებული და ცვალებადი დანახარჯები, მიხვდა, რომ უფრო ეფექტიანი იქნებოდა ელექტროენერგეტიკის სფეროს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რეგულირება და ეს საკითხები განსახილველად წარადგინა მუნიციპალიტეტში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან მაღალგანვითარებულ განვითარებულ ქვეყნებში ადგილი აქვს ქსელური ხასიათის ეკონომიკის დარგების დერეგულირებას და როგორც პრაქტიკა ცხადყოფს ამ დროიდან ეს დარგები წარმატებით ფუნქციონირებენ კონკურენციულ გარემოში.

დერეგულაციამდე ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრო ბაზარი კონტროლირებული იყო სახელმწიფო და ადგილობრივი ელექტრო კომუნალური სამსახურების მიერ. ქვეყნის მასშტაბით ბიზნესს და მოსახლეობას დენის და სხვა ენერჯის (მაგ. ბუნებრივი აირის) მიღება შეეძლოთ მხოლოდ მათი ადგილობრივი კომუნალური კომპანიიდან და იძულებულნი იყვნენ გადაეხადათ ნებისმიერი ფასი, რასაც კომუნალური კომპანია შესთავაზებდა.

დელეგირებულ ელექტრო ბაზარზე კი, შინამეურნეობების და ბიზნესს საშუალება აქვს დიდი საფასო არჩევანის პირობებში ამოირჩიონ მათი სასურველი მომწოდებელი, გაზარდონ კონკურენცია ელექტრომომარაგების კომპანიებს შორის და ფასი შემცირონ.

მომხმარებელთა თვალსაზრისით, ცხოვრება იმ შტატებში, სადაც ადგილი აქვს ელექტრობაზრის დერეგულირებას, საცხოვრებლად არის ყველაზე კარგი არჩევანი, ვინაიდან მათ შეუძლიათ აირჩიონ ის კომუნალური კომპანია, რომელიც ყველაზე იაფად მიაწვდის ელექტროენერჯას, რაც საბოლოოდ განაპირობებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაზრდას, მოქნილ გადახდისუნარიანობას და ფასების დაბალ დონეს.

რაც შეეხება ბიზნესს, რომელიც ყოველთვის ეძებს თვითღირებულების შემცირების და ეფექტურობის ზრდის გზებს, ახალი საწარმოო სიმძლავრის მშენებლობისას არ არის გამორიცხული, რომ არ განიხილავდეს დარეგულირებულ ენერგო ბაზარს ადგილმდებარეობის შესაცვლელად.

დერეგულაცია, მათი პრაქტიკის შესწავლა, გაზიარება და შემდგომ მისი პრაქტიკული გამოყენება საქართველოს პირობებში არ უნდა იყოს მოკლებული ლოგიკას. სწორედაც, რომ ამერიკის და სხვა მაღალ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების და რეკომენდაციების საფუძველზე, გარდამავალი ეკონომიკის საწყის ეტაპზე, განხორციელდა ბაზრებზე რეგულაციების შემოღება და მარეგულირებელი ორგანოების შექმნა. თუმცა ბაზრების დერეგულაცია არ ნიშნავს მარეგულირებელი ორგანოების და რეგულაციების გაუქმებას. პირიქით, დერეგულაციის პროცესმა შეიძლება დასაწყისი მისცეს მარეგულირებლების და რეგულაციების ტრანსფორმირების პროცესს და თვით ამ დარგებში ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას, რასაც ადგილი აქვს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

კალიფორნია იყო პირველი შტატი, რომელმაც 1996 წელს დაიწყო ელექტრო ენერგეტიკის ბაზრის დერეგულირება. 1996 წლისათვის კალიფორნიის შტატში დენის ტარიფის განაკვეთი 50%-ით აღემატებოდა ქვეყანაში არსებულ საშუალო დენის ტარიფს. კალიფორნიაში დენის ტარიფის ზრდა განაპირობა მრავალმა ფაქტორმა - ელექტროენერჯის უმეტესობის გამომუშავება ხდებოდა ქვანახშირზე და გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებში, რომელთა უმეტესობა აღჭურვილი იყო მოძველებული ტექნოლოგიით, იყო არაეფექტური, ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და გარემოზე მოქმედებდა უარყოფითად. ამას დაემატა კალიფორნიის შტატის მთავრობის ზრუნვა გარემოზე. მაღალი დენის ტარიფის გამო ტეხასის შტატში განლაგებული კომპანიები, რომლებიც დიდი რაოდენობით მოიხმარდნენ ელექტროენერჯიას გახდნენ არაკონკურენტუნარიანები. ზოგიერთი გაკოტრდა, ხოლო ზოგიერთებმა დაიწყეს ბიზნესის გადატანა მეზობელ შტატებში.

დერეგულაციის პროცესს კალიფორნიაში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, მასზე გავლენა მრავალმა ფაქტორმა იქონია. ერთ-ერთი ფაქტორი იყო ის, რომ კალიფორნიას არ გააჩნდა სათანადო ენერგოსექტორის განვითარების პოლიტიკა და მოკლევადიან პერიოდში დერეგულაციის დაწყებიდან ადგილი ჰქონდა ელექტროენერჯის ტარიფის ზრდას. თუმცა დერეგულაციის შემდეგ 2016 წლისათვის კალიფორნიის შტატის დენის ტარიფი საშუალო ეროვნული ტარიფის განაკვეთს მხოლოდ 20 %-ით აღემატებოდა. 2016 წელს კი - კალიფორნიის შტატი, რომლის მოსახლეობაც 39 მილიონს შეადგენს, მე-6 ეკონომიკა იყო მსოფლიოში და უსწრებდა ისეთ ქვეყნებს, როგორცაა საფრანგეთი და ბრაზილია. დერეგულაციამ ხელი შეუწყო ალტერნატიული, იაფი, ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი ენერგო წყაროების ინდუსტრიულ გამოყენებას. 2016 წელს მზის ენერჯის სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა კალიფორნიის შტატში 43 000 კაცი შეადგინა.

1975 წლამდე ტეხასის შტატის ქალაქები პასუხისმგებლები იყვნენ მათი ელექტროენერჯით მომსახურებასა და ტარიფებზე. 1975 წელს ტეხასის შტატის საკანონმდებლო ორგანომ გამოსცა „საზოგადოებრივი კომუნალური რეგულირების კანონი“ Public Utility Regulatory Act (PURA). ამ კანონის მიზანი იყო მიეცა მეტი უფლებამოსილება შტატისათვის, რათა განეხორციელებინა ელექტროსისტემის ტარიფების და მომსახურების რეგულაცია. თუმცა აქტი ძალიან შეზღუდული იყო, ვინაიდან ჯერ კიდევ ტეხასის ქალაქებს უტოვებდა საშუალებას გაეკონტროლებინათ ელექტროენერჯის ტარიფები.

იმავე პერიოდში ელექტროენერჯის კომუნალურმა სამსახურებმა დაიწყეს გაერთიანება მომსახურების ყველა ეტაპზე - დენის წარმოებიდან მომხმარებელზე მიწოდების ჩათვლით. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბაზარმა დაიწყო მონოპოლიზირება, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქები ცდილობდნენ „საზოგადოებრივი კომუნალური რეგულირების კანონის“ საფუძველზე შეენარჩუნებინათ თავისუფალი და გონივრული სატარიფო განაკვეთები.

ბაზრის მონოპოლია განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. 1978 წელს ნავთობის და გაზის კრიზისის გადასაწყვეტად კონგრესმა მიიღო „აშშ-ს საწვავის გამოყენების“ კანონი. ეს კანონი აიძულებდა კომუნალურ სამსახურებს შეეწყვიტათ ბუნებრივი აირის გამოყენება თბოსადგურებში და სამრეწველო საქვებებში, ატომური ენერჯის და ქვანახშირის ჩანაცვლებით.

საწვავის ასეთმა ჩანაცვლებამ, ტურბულენტურ და ინფლაციურ ბაზართან ერთად, განაპირობა ელექტროენერჯის დეფიციტი. ასე გაგრძელდა 1995 წლამდე, სანამ არ დაიწყო პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ელექტროსისტემის დერეგულირების გზით.

1995 წელს ტეხასის სენატმა გამოსცა კანონი #373. ეს კანონი ითვალისწინებდა რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ელექტრობაზარზე, რომელიც უმეტესად ეხებოდა ტეხასის ელექტროუსაფრთხოების საბჭოს (ERCOT). ტეხასის ელექტროუსაფრთხოების საბჭო შეიქმნა 1970 წელს და დღემდე პასუხისმგებელია მართოს ელექტროენერჯის მიწოდება მომხმარებელთა უმეტესობაზე, რომლებიც ცხოვრობენ ტეხასის შტატში. ის ასევე ნაწილობრივ პასუხისმგებელი იყო დახმარებულა ტეხასის კომუნალურ სამსახურებს რეგულაციების მართვაში.

ტეხასის შტატის სენატმა 2002 წლის 1 იანვარს მიიღო კანონი „BILL 7 -ელექტროსისტემის დერეგულირების შესახებ“. კანონის თანახმად, რამდენიმე წლის განმავლობაში ეტაპობრივად უნდა გაუქმებულიყო სახელმწიფო კონტროლი, რისთვისაც უნდა შექმნილიყო რესტრუქტურისაციის საკანონმდებლო ზედამხედველობის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა კანონის განხორციელებას.

კანონი აიძულებდა ელექტროუსაფრთხოების საბჭოს (ERCOT) შეექმნა კონკურენცია საცალო ელექტრო მიწოდების სფეროში. კანონის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო ფასების შემცირების კონცეფცია. გარდა ამ იდეისა, ჩამოყალიბებული იქნა ფასების რეგულირების კონცეფცია, რომელიც საშუალებას იძლეოდა ელექტროენერჯის ფასების კონტროლს.

დენის საცალო მომწოდებლების განმარტება, პასუხისმგებლობა და მათი რეგულაციები დეტალურად იქნა განსაზღვრული სენატის „BILL 7 - ელექტროსისტემის დერეგულირების შესახებ“ კანონში - „საცალო ელექტრო კომუნალური საწარმო ნიშნავს პირს, პოლიტიკურ ქვეგანაყოფს, ელექტრო კოოპერატივს ან სააგენტოს, რომელიც ოპერირებს, გამართულ მდგომარეობაში ინახავს საწარმოო ობიექტებს, ან აკონტროლებს საწარმოო ობიექტებს ამ შტატში რათა მიაწოდონ საცალო ელექტრო კომუნალური მომსახურება“. სენატის მიღებულ კანონში იყო დათქმა ფასების შესახებ, პროექტის ტექნიკური საბჭოს შესახებ და იდეა რეგულირებადი ტარიფების შესახებ, რომელიც მართული იქნებოდა ყოფილი ენერჯის სისტემის ქვევით.

ტიპიური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ფასების ოპტიმიზაცია ხდება კონკურენტულ და გამჭვირვალე ბაზარზე და არა პოლიტიკოსების ან მეცნიერების მიერ. ელექტრობაზრის დერეგულირებისას, იყო მოლოდინი რომ ელექტრომომარაგების მოქმედი ოპერატორები შეამცირობდნენ ფასებს ბაზრის ახალი მონაწილეებისათვის, ხელს შეუშლიდნენ კონკურენციას და მომწოდებლების არსებული მონოპოლია მუდმივი იქნებოდა.

ამის გამო, შტატის სენატის მიერ მიღებულ კანონში გათვალისწინებული იყო დროითი ფაზა, რომლის განმავლობაში დაწესებული იქნებოდა ფასის ქვედა ზღვარი, რათა საშუალება მისცემოდა ბაზრის ახალ მოთამაშეებს დამკვიდრებულიყვნენ ბაზარზე. ბაზარზე შემოსულებს შეეძლოთ შეეთავაზებინათ დაბალი ფასი, მაგრამ ბაზარზე უკვე არსებულ ფირმებს არ შეეძლოთ არსებული ფასის დაწევა. ასე გრძელდებოდა 2002 წლიდან 2007 წლის იანვრამდე. 2007 წლისათვის ტეხასელ ინვესტორებს, რომლებიც ფლობდნენ ელექტროსისტემის საშუალებებს აღარ შეეძლოთ ფასების საშუალებით შეემცირებინათ ტარიფი.

ელექტროსისტემის დერეგულირების შედეგად ტეხასის ელექტრო მომხმარებლების 85%-ს შეუძლიათ ამოირჩიონ და მიიღონ ელექტროენერჯია სხვადასხვა საცალო ელექტრო მომწოდებლისგან, მათ შორის უკვე არსებული მომწოდებლებისაგან. ამავე დროს ელექტრო ბაზარზე დერეგულაციამდე არსებულ მომწოდებლებს დღემდე ეკუთვნის და ექსპლოატაციას უწევს ადგილობრივი ელექტროენერჯიის გადაცემის ხაზებს და გადაცემის ხაზები ეს არ წარმოადგენს დერეგულირების საგანს.

თავისუფალი ბაზრის ერთ-ერთ უპირატესობად ითვლება ის, რომ თავისუფალი ბაზარი მომხმარებელს სთავაზობს არჩევნის ფართო საშუალებას, არჩევანი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბაზარზე მოქმედ ფირმებს შორის, ასევე მრავალფეროვან პროდუქტს შორის, რასაც ბაზარზე მოქმედი ფირმები სთავაზობენ მომხმარებელს. ტეხასის შტატში დერეგულაციის პირველ ათწლეულში ბაზარმა განიცადა ღრმა ცვლილება ორივე განზომილებით. 2002 წელს დენის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს დალას-ფორტის ტერიტორიაზე შეეძლოთ არჩევანი გაეკეთებინათ 10 დენის მომწოდებელს შორის, რომელიც სთავაზობდა ფასის 11 ვარიანტს. 2012 წლის ბოლოს კი - 45 დენის დისტრიბუტორი იყო, რომელიც ბაზარზე, დენის საყოფაცხოვრებო მომხმარებელს, სთავაზობდა 258 სხვადასხვა ფასის ვარიანტს. იმავე პროცესს - დენის საცალო მომწოდებლების და ფასების ვარიანტების ზრდას ჰქონდა ადგილი შტატის სხვადასხვა ადგილებში.

კონკურენციის ერთ-ერთი სასურველი ეფექტი არის სამომხმარებლო ფასების შემცირება. ტეხასის შტატში ელექტროსისტემის დერეგულირებამ და ბაზარზე ახლი დისტრიბუტორების შემოსვლამ განაპირობა დენის ტარიფის შემცირება. დასაწყისში, 2002 წლის დერეგულაციის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, მოქალაქეთა მომსახურების დენის ტარიფი გაიზარდა 7-ჯერ და 2006 წელს დენის ტარიფმა 1 კვ/სთ-ზე 15 ცენტი შეადგინა. თუმცა, 2007 წლისათვის ფასების შემცირებამ მიაღწია მიზანს, რაც განპირობებული იყო ბაზარზე ახალი კონკურენტების შესვლით. 2016 წლისთვის ტეხასის შტატში დენის საყოფაცხოვრებო ტარიფი 17 %-ით ნაკლები იყო საშუალო ეროვნულთან შედარებით და 11,27 ცენტი შეადგინა 1 კვ/სთ - ზე, ხოლო სამრეწველო მოხმარების დენის ტარიფი კი საშუალო ეროვნულ სამრეწველო მოხმარების დენის ტარიფთან შედარებით 30%-ით დაბალი იყო და შეადგინა 5,43 ცენტი.


ენერგობაზრის დერეგულირების სარგებელი აშშ-ის ენერგომომხმარებელზე აისახა შემდეგნაირად:

1. ენერგობაზრის დერეგულაციამ შექმნა ბაზარზე ერთიანი წესი შემდგომი კონკურენციისათვის და გარანტიები, რათა ყველა კომპანიებს ჰქონდეთ ერთნაირი შესაძლებლობა ელექტრო მომხმარებელთა მომსახურების გაწევსათვის. დერეგულაციის ძირითადი არსი არის ის, რომ მომხმარებელი და არა დენის მომწოდებელი კომუნალური საწარმო კარნახობს პირობებს ელექტროენერჯიის ბაზარზე.

2. ენერგობაზრის დერეგულაციამ შეამცირა დენის სამომხმარებლო ფასი, ვინაიდან დენის მომხმარებლებს მიეცათ საშუალება აერჩიათ ელექტროენერჯიის მომწოდებელი.

3. ენერგობაზრის დერეგულაცია ათანაბრებს დენის ფასის გაუმართლებელ სხვაობას ტერიტორიულ ჭრილში. აშშ დენის ტარიფის საშუალო ღირებულება დაახლოებით 7 ცენტია ერთ კვ/სთ-ზე და დენის ტარიფის ცვლილება შტატიდან შტატამდე საგრძნობია და მერყეობს 5 - 10 ცენტის ფარგლებში. დერეგულაციების ინიციატივები ამჟამად მიმდინარეობს ყველა შტატში, რაც იმის მანიშნებელია, რომ შტატების მოსახლეობის უმეტესობა მიიღებს ენერგოუზრუნველყოფის დერეგულაციის სარგებელს.

ენერგო და ბუნებრივი გაზის დერეგულაცია აშშ-ს შტატების მიხედვით



4. ენერგო დერეგულაცია ზრდის სამუშაო ადგილებს და სარგებელი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სამწუხაროდ, ბევრ დიდ კომუნალურ საწარმოს, რომელსაც მონოპოლური მდგომარეობა აქვთ ბაზარზე, არ სურთ, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ ალტერნატიული ენერგო მომწოდებლის არჩევის უფლება. ეს კომპანიები იყენებენ დაშინების ტაქტიკას, ამლიერებენ ლობირებას და პირდაპირ ტყუილს რათა დაარწმუნონ, რომ დერეგულირება მათ დააზარალებთ.

5. ენერგო დერეგულაცია ზრდის მომსახურების საიმედოობას. რეგულირებადი მონოპოლური მოდელის დროს, მომხმარებელს არ შეუძლია შეიცვალოს ელექტრო კომპანია. კონკურენციის პირობებში, მომსახურების გაუარესება გამოიწვევს მომხმარებელთა რეაქციას და შედეგად შემოსავლების დაკარგვას, რაც შემდეგ განაპირობებს ინიციატივების გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომსახურების მაღალი სტანდარტი. ისე როგორც სხვა ინდუსტრიებში, დერეგულაციამ და კონკურენციამ გამოიწვია უსაფრთხოების და საიმედოობის გაუმჯობესება.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი წარმოდგენილია კომერციული ოპერატორით, ენერგო გენერატორებით, ელექტროგადამცემისა და დისპეტჩერიზაციის ცენტრებით და სადისტრიბუციო კომპანიებით. საქართველოში მონოპოლიზებულია არა ელექტროენერჯის წარმოება, არამედ, მისი დისტრიბუცია. საქართველოში მხოლოდ 3 სადისტრიბუციო კომპანიაა, რომელთაც მთლიანად აქვთ ბაზარი გადანაწილებული და, ფაქტობრივად, კონკურენციის ნაცვლად მონოპოლიური სისტემაა ჩამოყალიბებული.

ეს კომპანიებია:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, რომელიც ენერჯის დისტრიბუციას ახდენს ქვეყნის ტერიტორიის 60%-ზე;
2. სს „თელასი“, რომელიც ენერჯის დისტრიბუციას ახდენს მხოლოდ თბილისში.
3. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, რომელიც ელექტროენერჯის დისტრიბუციას ახდენს კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

მონოპოლიური ბაზრის არსებობის პირობებში მუდმივად იქნება შენარჩუნებული სადისტრიბუციო კომპანიების მოგების მაღალი მაჩვენებელი ტარიფში და სატარიფო პოლიტიკაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა მომხმარებელთა სასიკეთოდ თითქმის შეუძლებელი იქნება.

ამრიგად, თუ საქართველო შეძლებს დანერგოს საზღვარგარეთ უკვე აპრობირებული სადისტრიბუციო ქსელის დელეგირებული და კონკურენტული მოდელი, რომლის ანალოგიც არსე-

ბობს აშშ-ი და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ეს საშუალებას მოგვცემს რეგულირებადი და საქართველოს პირობებში მაღალი კონცენტრაციის ბაზრის გვერდით თანდათანობით ჩამოყალიბდეს დერეგულირებული და კონკურენტული საცალო ბაზარი, რომელზეც სადისტრიბუციო კომპანიებს ექნებათ ბაზარზე თავისუფალი შესვლის საშუალება და საბოლოოდ მომსახურე ტერიტორიაზე, ჩამოყალიბდებიან საცალო კომუნალურ მიმწოდებლებად და ელექტროენერჯის სამრეწველო და შინამეურნეობების მომხმარებლებს მიეცემათ საშუალება, რეგულირებადი ტარიფის ნაცვლად აირჩიონ ბაზრის მონაწილე სადისტრიბუციო კომპანიების მიერ შემოთავაზებული კონკურენტული ტარიფი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://business.directenergy.com/what-is-deregulation>
2. <https://www.electricchoice.com/blog/guide-texas-electricity-deregulation/>
3. <https://www.electricchoice.com/map-deregulated-energy-markets/>
4. <https://www.electricchoice.com/blog/guide-texas-electricity-deregulation/>
5. https://www.eia.gov/electricity/monthly/epm_table_grapher.php?t
6. <https://www.google.ge/search?q=deregulation+of+us+energy+markets&source>

The Practice of Deregulation of a Regulated Economy

Davit Basiashvili

PhD of Economics,

Associate Professor of the Georgian University of St. Andrew

the First-Called Patriarchate of Georgia

Chief Specialist of the Competition Agency of Georgia

dbasiashvili@yahoo.com

R e s u m e

The energy, communication, gas and water-supply sectors by its infrastructure belong to the grid sectors of economy. For this feature and exclusivity of services provided by these sectors they are monopolists in relevant markets, and the corresponding markets are the subject of regulations.

From 80s of last century the high developed countries started deregulation of grid sectors of economy and these markets demonstrate perfect operation in competition environment.

The article is dedicated to deregulation experience and value results of energy systems of the states of California and Texas, as well as the possible use of their experience in Georgian reality, where only three companies are operating on energy distribution market.

If Georgia will be able to share and follow the deregulation experience of retail energy market tested of USA and EU countries, this will ground for the gradual formation of deregulated and competitive energy distribution market.

ბიზნესი და კონკურენციის ინსტიტუციური გარემო ევროინტეგრაციის პირობებში

გივი ბედიაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის
ეკონომიკური და სოციალური პრობლემების
კვლევის ინსტიტუტის დირექტორი
g.bedianashvili@eu.edu.ge*

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ საქმიანობაში კონკურენციის უზრუნველყოფას. საქართველოსთვის ეს უფრო აქტუალური ხდება მისი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შემდეგ. ამასთან, ფრიად საყურადღებოა ქვეყნისთვის როგორც შიგა კონკურენციის ცალკეული მექანიზმების სრულყოფა, ასევე კონკურენციის მთლიანი ინსტიტუციური გარემოს სისტემურობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული პრობლემატიკის განხილვისას საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოში კონკურენციული მექანიზმისა და კონკურენციის პოლიტიკის თანდათანობითი სრულყოფის დინამიკის ანალიზი, რასაც წარმოგვიდგენს მათი განვითარების ქრონოლოგია უშუალოდ საქართველოში [გოგიაშვილი 2009, გოგიაშვილი 2013, ფეტელავა, გოგიაშვილი 2013, ფეტელავა, გოგიაშვილი 2013, ფეტელავა, გოგიაშვილი 2006, გოგიაშვილი, ფეტელავა 2007, Gogiashvili. 2015, პავლიაშვილი 2012, პავლიაშვილი . 2013, პავლიაშვილი, ჯანგულაშვილი 2014, პავლიაშვილი 2015, Bedianashvili, Gogiashvili, Pavliashvili 2015] და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში [Atterhöög 2005, Draft Summary of the Discussion of the Round Table on Competition and Regulation in the Legal 2007, Kee, Hoekman 2007, Levenstein, and Suslow 2004, Lalive, and Schmutzler 2007, Motta 2004, Symeonidis, 2008, Trujillo, Serebrisky 2004, Shepotylo, Vakhitov 2012, Voigt 2009]. ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში კონკურენციული პოლიტიკის მიმართულებით არსებული ნორმატიული დოკუმენტების რეტროსპექტიული ანალიზის სააფუძველზე შეიძლება გამოიყოს მათი რამდენიმე საერთო ნაკლოვანება: ერთიანი, სისტემური და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა; ნორმებისა და დებულებების დეკლარაციული ხასიათი, კონკრეტული ამოცანების რეალიზაციის უზრუნველყოფი მექანიზმების არარსებობა. ფაქტობრივად ეს მიუთითებს კონკურენციის ინსტიტუციური საფუძვლების სისუსტეზე.

საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა კონკურენციის სფეროს გარკვეული მოწესრიგება და ევროსტანდარტებთან მისი დაახლოება. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად რამოდენიმე წელია ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები ამ მიმართულებით, განიხილება სხვადასხვა კანონპროექტები თუ რადიკალურ ცვლილებათა პროექტები მოქმედი საკონკურენციო კანონმდებლობის სრულყოფისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს რაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის. მართლაც, ევროკავშირის შესაბამისი საკონკურენციო ორგანოების რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა სამოქმედოდ ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობა, განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც გააფართოებს და განამტკიცებს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებებს, მნიშვნელოვნად სრულყოფს მის სტრუქტურას, ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

ამასთან ერთად, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ღონისძიებები, რომელთა გარეშეც კონკურენციის სამსახური ვერ იმუშავებს ჯეროვნად [Bedianashvili, Gogiashvili, Pavliashvili 2015]:

სააგენტოს საქმიანობა ვერ იქნება ეფექტიანი, მარეგულირებელი ორგანოების (კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, გაზის, წყლისა და შუქის მარეგულირებელი კომისიები) ქმედითი თანამშრომლობის გარეშე (კონკურენციის სააგენტოს ფუნქციონირების სისტემურობა, კომპლექსურობა).

აუცილებელია შემუშავდეს ბაზრის თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიები, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორია მონოპოლიების გამოვლენის მეთოდოლოგიის შემუშავება და დახვეწა. ყოველი ასეთი დოკუმენტი უნდა პასუხობდეს კითხვას: ზღუდავს თუ არა იგი მიმწოდებლების რაოდენობას, ზღუდავს თუ არა მომხმარებლის არჩევანს (ბაზრის თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების უწყვეტი მონიტორინგი)

ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა იყოს ისეთი მარეგულირებელი სააგენტო, რომელიც დაარეგულირებს კომპანიების ქცევას ბაზარზე ისე, რომ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა იქნება უზრუნველყოფილი და არა და არამც იგი არ უნდა გაიგივდეს როგორც დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოდ. დანაშაულთან ბრძოლა მთავრობის ძალოვნების პრეროგატივაა და არა მარეგულირებლის (კონკურენციის მექანიზმის ეფექტიანობის სოციალური ორიენტაცია).

ამდენად, ქვეყნის შიგნით კონკურენციის მექანიზმების სრულყოფის კონტექსტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიმართებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის საზოგადოების ცალკეული ცალკეული სფეროების და ინსტიტუციური გარემოს მკაფიო სისტემური წარმოდგენა, მათი სტრუქტურების დინამიკის მონიტორინგი და შესაბამისი ბრობლემების სწორი გადაწყვეტა [ბედიანაშვილი 2015, ბედიანაშვილი 2014]. ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცალკეული სფეროს განვითარების დონის იდენტიფიცირებისას, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნას ცნობილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index - GCI), რომელიც 2004-2005 წლიდან დაწყებული ასახულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ მოხსენებაში [Bedianashvili, Gogiashvili, Pavliashvili 2015; <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018>].

რაც შეეხება უშუალოდ ინსტიტუციურ სტრუქტურას, როგორც ქვეყნისშიგა და ინსტიტუციური კონკურენციის, ასევე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფა, ჩვენი აზრით, მთავარ ფაქტორს [Bedianashvili 1995], მისი იდენტიფიცირება და მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მსოფლიოს ქვეყნების განვითარების სხვადასხვა ინდექსებით, მათ შორის, მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით.


ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მუშავდება (გამოითვლება) გაზეთ Wall Street Journal და კვლევითი ცენტრის Heritage Foundation მიერ 1995 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ჭრილში. ინდექსები ქვეყნდება წელიწადში ერთხელ და 2017 წლის მონაცემებით მოიცავს 180 ქვეყანას [<http://www.heritage.org/index/>].

აღსანიშნავია ცნობილი ფაქტი იმის შესახებ, რომ ამ ინდექსის რეგულარული შემუშავების ინიციატივით პირველად 1985 წელს გამოვიდა ამერიკელი ეკონომისტი, 1976 წლის ნობელის პრემიის ლაორეატი მილტონ ფრიდმანი, ხოლო მისი გათვლების საერთო მეთოდოლოგია ეფუძნება ადამ სმიტის ცნობილ ზოგად პრინციპებს (რომლებიც ეხება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობას, შრომის განაწილებას, ბაზრის ფუნქციებს, თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო მნიშვნელობას), გადმოცემულს მისივე XVIII საუკუნის (1776 წ.) ასევე კარგად ცნობილ ნაშრომში

„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (შემოკლებით „ერების სიმდიდრე“) [სმიტი, ა. (1938)].

ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსი მოწოდებულია ასახოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მახასიათებლები. ეს ინდიკატორი ინტეგრირებული სახით მოიცავს რამოდენიმე ათეულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელს, თავის მხრივ გაერთიანებულს შემდეგ ჯგუფებში: 1. საკუთრების უფლებათა დაცვა; 2. სასამართლოს ეფექტიანობა; 3. მთავრობის კეთილსინდისიერება; 4. საგადასახადო ტვირთი; 5. მთავრობის ჩართულობა; 6. ფისკალური სიჯანსაღე; 7. ბიზნესის თავისუფლება; 8. შრომითი ურთიერთობების თავისუფლება; 9. მონეტარული თავისუფლება; 10. ვაჭრობის თავისუფლება; 11. ინვესტიციური თავისუფლება; 12. ფინანსური თავისუფლება. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილია 4 გამსხვილებულ ჯგუფად: მართლწესრიგი და კანონის უზენაესობა (1;2; 3), ხელისუფლების შეზღუდულობა (4; 5; 6), რეგულირების ეფექტიანობა (7; 8; 9), ბაზრის გახსნილობა (10; 11; 12). ეს მაჩვენებლები თავის მხრივ შეიძლება განხილულ იქნას ქვეყნის კონკურენციული გარემოს გარკვეულ ინდიკატორებად. ყოველი აღნიშნული ინდექსი იზომება 0-დან 100-მდე. სკალაში. მნიშვნელობა 100 შეესაბამება მაქსიმალურ თავისუფლებას, ხოლო 0 - მინიმალურს. ზემო აღნიშნული ყოველი ფაქტორი შედის თანაბარი წონით ინტეგრალურ ინდიკატორში (ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსში), რომელიც წარმოადგენს მათ საშუალო არითმეტიკულს.

ეკონომიკურ თავისუფლების ინდექსის 2017 წლის მაჩვენებლების მიხედვით (რომელიც მოიცავს 2015 წლის მეორე ნახევრისა და 2016 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს [<http://www.heritage.org/index/>]) გაუმჯობესდა ისეთი კომპონენტები, როგორიცაა საკუთრების უფლებათა დაცვა, ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება და მთავრობის ჩართულობა. გაუარესდა ისეთი კომპონენტები როგორიცაა მონეტარული თავისუფლება, საგადასახადო ტვირთი და მთავრობის ჩართულობა. უცვლელი დარჩა შემდეგი ინდიკატორები: სასამართლო საქმიანობის ეფექტიანობა, ფისკალური თავისუფლება, ინვესტიციური თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება და ვაჭრობის თავისუფლება. თუ გავანალიზებთ ინსტიტუტების სისტემურობის დონეს და მის შედარებით მდგომარეობას ევროპის ინსტიტუციურად დახვეწილ ორ ქვეყანასთან მიმართებაში, ნათელი გახდება, რომ აქტუალურია ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენების დაძლევა (ნახ.2).



ნახ. 1. საქართველოს შედარებითი მდგომარეობა ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის დონის მიხედვით

ბუნებრივია დაისვას შეკითხვა, მაგალითად, არის თუ არა ჩამორჩენები ბაზრის გახსნილობის (ინვესტიციური თავისუფლების და ფინანსური თავისუფლების) დონით და მართლწესრიგის ინსტიტუტის (საკუთრების უფლებათა დაცვის და მთავრობის კეთილსინდისიერების - მოიცავს კორუფციის მასშტაბს, მის აღქმას და მექრთამეობის დონეს, საზოგადოების ნდობას პოლიტიკოსების მიმართ და მთავრობისა და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობას) განვითარებით ქვეყნისთვის არსებითი? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ტიპის ქვეყნისთვის მართლწესრიგის ინსტიტუტის არასაკმარისი განვითარებულობა არსებითად ხელშემშლელია ევროპული ტიპის კონკურენციული გარემოს შექმნისათვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფისთვის და მის ტერიტორიაზე ბიზნესის ნორმალური მაღალეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეზისის დასადასტურებლად ჩატარებულია მთელი რიგი კვლევები [Лисин 2013]. მართლაც, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია და თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მთავარი დეტერმინანტი ამ მიმართებით არის საკუთრების ინსტიტუტი (საკუთრების უფლებათა გარანტია) და ხელისუფლების თვითნებობისაგან ადამიანების, ბიზნესის დაცვის ეფექტიანი მექანიზმი (ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის 40-იან წლებში წერდა ჯონ სტიუარტ მილი ამის შესახებ - იხ.: [Миль 1980]).

ამდენად, ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნული ჩამორჩენის ეტაპობრივი დამლევა უნდა წარმოადგენდეს საქართველოსთვის სისტემური ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რაც მოგვცემს საშუალებას უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თანამედროვე ევროპული ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურის და ევროკავშირის ბიზნესგარემოს პოტენციალი. უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიან ღონისძიებებათა კომპლექსის რეალიზაცია გათვალისწინებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში [Association Agenda between the European Union and Georgia], ასევე საინტერესო ღონისძიებებია მოცემული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020) [Social-economic Development Strategy of Georgia, "GEORGIA 2020"].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Association Agenda between the European Union and Georgia.
http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-georgia_association_agenda.pdf
2. Atterhöq, M. (2005) Increased Competition in the Swedish Housing Market and Its Effect on Rents and Quality of Housing Services for Households, *Housing, Theory and Society*, Vol. 22, No. 1, 32-49.
3. ბედიანაშვილი, გ. (2015) ევროკავშირის ბიზნესგარემო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ფაქტორები: მაკროსისტემური ასპექტი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 12, თბილისი, გვ. 143-159.
4. ბედიანაშვილი, გ. (2014) ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენეფიციარების საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №5, გვ.12-21.
5. Bedianashvili, G. (1995) *State, Power Structure and Socio-Economoc Reforming of Society*. P. Gugushvili Institute of Economics of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi: Metsniereba.
6. ბედიანაშვილი, გ. (2014) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ინსტიტუტები და სისტემური ინსტიტუციონალიზაცია. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის «ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები» მასალები

- (მიძღვნილი პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 70-ე წლისთავისადმი).ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, გვ.158-161.
7. Bedianashvili, G., Gogiashvili, S. and Pavliashvili, S. (2015). European Union, Georgia and Institutional Environmental of Competition. European Cooperation, Vol. 5(5).
 8. Draft Summary of the Discussion of the Round Table on Competition and Regulation in the Legal (2007). October. OECD, Working Party No. 2 on Competition and Regulation.
 9. Лисин, В., Янковский, К. и др. (2011) Институциональные ограничения современного экономического роста. М.: Издательский дом «Дело» РАНХиГ.
 10. Global Competitiveness Index (GCI), Scores, 2004 – 2013. <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>
 11. The Global Competitiveness Report 2014–2015. <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2014-2015/>
 12. გოგიაშვილი, შ. (2013) საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ქრონოლოგია. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №2, გვ. 17-29.
 13. გოგიაშვილი შ. (2009) კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. “ინოვაცია”, თბილისი.
 14. ფეტელავა, ს., გოგიაშვილი, შ. (2013) საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულეებები. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, №1, გვ. 31-44.
 15. ფეტელავა, ს., გოგიაშვილი, შ. (2006) ევროკავშირის საკონკურენციო სამართლის მიმოხილვა. ჟურნალი „ეკონომიკა“, № 9-10, გვ.173-180.
 16. გოგიაშვილი, შ. ფეტელავა, ს. (2007) კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება. თბილისი.
 17. Gogiashvili S. (2015) Economic Policy of Competition in Georgia: Retrospective and Perspektive. E-gospodarka w Europie Srodkowej I Wschodniej, Terazniezosc I perspektywy rozwoju. Pod redakcja Romana Sobieckiego. Wydawnictwo KUL. Lublin, 136-142. http://www.kul.pl/files/384/Program_konferencji.pdf.
 18. <http://www.heritage.org/index/>
 19. <http://www.heritage.org/index/explore>.
 20. Kee, H. Hoekman B.(2007). Imports, Entry and Competition Law as Market Disciplines. European Economic Review 51 (4).
 21. Levenstein, M., Suslow, V. (2004). Contemporary International Cartels and Developing Countries: Economic Effects and Implications for Competition Policy” Antitrust Law Journal 71 (3).
 22. Lalive, R., Schmutzler, A. (2007). Exploring the Effects of Competition for Railway. Markets, University of Zürich.
 23. Милль, Дж.С. (1980) Основы политической экономии. М.: Прогресс, Т. 1.
 24. Motta, M. (2004) Competition Policy, Theory and Practice. Cambridge University Press.
 25. პავლიაშვილი, ს. (2015) ევროკავშირი და კონკურენციის ინსტიტუციური შეფასება. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 12, თბილისი, გვ.67-81.
 26. პავლიაშვილი, ს. (2012) ანტიმონოპოლიური რეგულირების თავისებურებანი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 10, თბილისი, გვ. 52-67.
 27. პავლიაშვილი, ს. (2013) საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია და პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 11, თბილისი, გვ. 42-53 .

28. პავლიაშვილი, ს., ჯანგულაშვილი, ლ. (2014) ანტიმონოპოლური სამსახურის გენეზისი პრობლემები და პერსპექტივები. ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება N2 (10), გვ. 3-10 .
29. სმიტი, ა. (1938) გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ტ.1.
30. Symeonidis, G. (2008) The Effect of Competition on Wages and Productivity: Evidence from the UK. *Review of Economics and Statistics* 90 (1).
31. Trujillo, L., Serebrisky, T. (2004). An Assessment of Port Reform in Argentina: Outcomes and Challenges Ahead. World Bank.
32. Shepotylo, O., and V. Vakhitov (2012) Services Liberalization and Productivity of Manufacturing Firms: Evidence from Ukraine. Policy Research Working Paper 5944, World Bank, Washington, DC.
33. Social-economic Development Strategy of Georgia, "GEORGIA 2020". <http://www.adb.org/sites/default/files/linked-documents/cps-geo-2014-2018-sd-01.pdf>
34. <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018> <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>
35. Voigt, S. (2009) The Effects of Competition Policy on Development: Cross-Country Evidence Using Four New Indicators. *Journal of Development Studies* 45 (8).

Business and Institutional Environment of Competition in the Context of European Integration

Givi Bedianashvili

*Doctor of Economic Sciences, Professor
Director of European University's Institute
for research of Economic
and social problems of Globalization
g.bedianashvili@eu.edu.ge*

R e s u m e

The focus is on ensuring the institutional environment of the competition. As a result of researches, it is possible to use the Global Competitiveness Index to examine the problems of development of individual spheres of socioeconomic system while discussing the problems of promoting competition.

The institutional environment of the institutional structure of the society as well as the main factor in ensuring the sustainability of socio-economic development of the country can be identified and monitored by the Index of Economic Freedom. Recent positive transformations in the context of improving indicators can distinguish the day even more attractive business environment, effective anti-corruption measures, directed the law enforcement and judicial systems, as well as fiscal and public service sector in the reconstruction of society and further perfection of a liberal trade policy; Implementation, the establishment of preferential trade regimes. In addition, there is still some backwardness with the emergence of market openness and development of the institution of law.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა

გიორგი ბენაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ევროპული საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი
giorgi.benashvili@tsu.ge*

დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია მუდმივად და მტკიცედ იყო დაკავშირებული ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობასთან. სწორედ ამავე პერიოდიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან იწყება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები.

სახელმწიფოებრივი განვითარების რთულ გზაზე, რომელიც მტკივნეული რეფორმებითა და ევროპულ ოჯახთან დაახლოების პრაგმატული სურვილით ხასიათდებოდა, ევროკავშირი მუდმივად იყო საქართველოს მტკიცე პარტნიორი და მხარდამჭერი. ამავე პერიოდიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის არაერთი ფორმა ჩამოყალიბდა, რომელიც მიზნად ისახავდა, როგორც საქართველოს ფინანსურ დახმარებას, ისე ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისთვის აუცილებელი რეფორმების მხარდაჭერას.

მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებით, სხვადასხვა ფორმით საქართველო სიღრმისეულად თანამშრომლობდა ევროკავშირთან. რამაც დროთა განმავლობაში პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის უფრო გაღრმავების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს ყოვლისმომცველ შეთანხმებას, რომლითაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები რეგულირდება. იგი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში სამომავლო თანამშრომლობა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება განიხილება, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე მორგებული ასოცირების შეთანხმებების “ახალი თაობა”. რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, იგი მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep And Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. შეთანხმება ქმნის სივრცეს ევროკავშირთან უფრო ღრმა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის, სადაც ერთიანდება პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტები.

საქართველოსა და ევროკავშირთან შორის ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები კი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შესახებ შეთანხმებით (DCFTA) განისაზღვრება, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის ძირითადი ბირთვია და მოიცავს ტარიფების და არასატარიფო ვაჭრობის ბარიერების შესახებ შეთანხმების ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან, მიიღოს სამი: საქონლის, მომსახურების, და კაპიტალის

გადაადგილების თავისუფლება. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შედეგად გაუქმდება საბაჟო გადასახადები იმპორტზე, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის საქართველოს ეკონომიკას.

ევროკავშირმა საქართველოსთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით პროცესების დაჩქარებისათვის პოლიტიკური ნება ჯერ კიდევ ევროპული საბჭოს 2008 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადასტურა. 2008 წლის შემოდგომაზე ევროკომისიას დაევალა, შეეფასებინა საქართველოს მზაობა DCFTA-ის თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. 2009 წლის მარტში ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა ქართულ მხარეს გადასცა აღნიშნული მოლაპარაკებებისათვის საქართველოს მზადყოფნის შეფასების დოკუმენტი და შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტი. დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები ეხმარება საქართველო-ევროკავშირის ENP-ის სამოქმედო გეგმას და რიგ შემთხვევაში ახდენს მისი დებულებების შემდგომ განმარტებასა თუ დაკონკრეტებას. ამ რეკომენდაციების შესრულება მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობად განისაზღვრა.

მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელი პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, 10 მიმართულებიდან (ტარიფების და არასატარიფო ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო ადმინისტრირება, ინვესტიციები და მომსახურება, წარმოშობის სერტიფიკატი, ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მდგრადი განვითარება (გარემო, სოციალური საკითხები), ევროკავშირმა საქართველოსთვის 4 შედარებით პრობლემატური სფერო გამოყო. მათ შორის ერთ-ერთი საკითხი ზოგადად კონკურენციას, კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ეხებოდა.

ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კონკურენციის დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება. ამიტომაც, მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას და კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობას.

კონკურენციის პოლიტიკის მეშვეობით ხდება საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას (მათ შორის, შემცირებას), ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და შესაბამისად, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას. ჯანსაღი კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნისთვის.

კონკურენციის განვითარება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროკომისიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, კავშირის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი ნორმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის პარალელურად, მაქსიმალურად ცდილობს ქმედითი კონკრეტული დახმარებები აღმოუჩინოს კავშირის არაწევრ ქვეყნებსაც, რაც საბოლოო ჯამში უფრო დაცულსა და მომგებიანს ხდის ბიზნესის წარმოებას.

ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებლებს თავიდანვე კარგად ესმოდათ, რომ ერთიანი და თავისუფალი ბაზრის შესაქმნებლად მხოლოდ ქვეყნებს შორის არსებული საბაჟო გადასახადებისა და სხვა საბაჟო ბარიერების ეტაპობრივი გაუქმება არ იქნებოდა საკმარისი. ვინაიდან, ბაზრის თავისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს თავად მეწარმეთა ქვევა წარმოადგენს - ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ქვეყნების მიერ გახსნილი ბაზარი მონოპოლისტი კომპანიე-

ბის ან კარტელების მიერ ხელახლა გადანაწილდეს და დანაწევრდეს, რაც მთავრობების მიერ ძალისხმევას ფაქტობრივად უშედეგოს ქმნის. ამიტომ, ევროპის ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბებისთანავე, მის სადამფუძნებლო დოკუმენტში შევიდა არა მარტო საერთო ბაზრის ჩამოყალიბების, არამედ ამ ბაზარზე კონკურენციის დაცვის ქმედითი ზომების ჩამონათვალი. კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფა კი ევროკომისიას დაეკისრა.

დღესდღეობით, ევროკავშირის ყველა ქვეყანა ვალდებულია კონკურენციის დაცვის სახელმწიფო ორგანო გააჩნდეს. ყველა ეს ორგანო გაერთიანებულია ევროპის კონკურენციის ქსელში, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და ურთიერთდახმარება საქმეთა გამოკვლევისას. ქსელის მთავარი მიზანია ევროკავშირის საერთო ბაზრის ერთობლივი, თანმიმდევრული და თანაბარი დაცვა კონკურენციის დარღვევისგან.

კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, იყო ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის.

შესაბამისად, ევროკომისიის რეკომენდაციის თანახმად, საქართველოში უნდა მომხდარიყო კონკურენციის შესახებ ახალი კანონის შემუშავება. თუმცა, ანტიმონოპოლიური რეგულაციების საკითხი და ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკა არ განიხილებოდა იმ დროინდელი მთავრობის დერეგულაციის პოლიტიკის პირობებში პრიორიტეტულად. ამიტომ სფერო ევროკავშირთან მოლაპარაკებებში პრობლემატურად რჩებოდა დიდხანს.

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება ჯერ კიდევ 1992 წლიდან არსებობს. ამავე პერიოდიდან, სხვადასხვა ფორმით ფუნქციონირებდა ანტიმონოპოლიური სამსახურიც. 2005 წელს მოხდა სფეროს ძირეული რეფორმა: მანამდე არსებული კანონმდებლობა ჩანაცვლდა კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც ეხებოდა კონკურენციის დარღვევის მხოლოდ ერთ ფორმას - სახელმწიფო დახმარებებს. ამ დროს გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად შეიქმნა დროებითი მცირე ზომის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზომები ერთგვარი გარდამავალი ხასიათის იყო და ხელისუფლებას უახლოეს მომავალში კანონის სრულყოფა ჰქონდა განზრახული, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები 2012 წლამდე არ განხორციელებულა.

სიტუაცია შეიცვალა 2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბება მიიჩნია, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო ევროკავშირთან დაახლოებისა და ასოცირების გზაზე. კონკურენციის დაცვის, ბაზარზე ღია და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის საკითხები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაში ერთ-ერთი წამყვანი იყო. ამ მიმართულებით ქართული კანონმდებლობა ევროპულთან შესაბამისობაში ძირითადად 2014 წლამდე, ასოცირების შეთანხმების დადებამდე მოვიდა.

იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელს მიღებული კანონი კონკურენციის შესახებ მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა, აუცილებელი იყო მისი ცვლილება ისე, რომ კანონი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებულიყო და მისი საშუალებით შესაძლებელი გამხდარიყო თავისუფალი კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე სახელმწიფოს მიერ რეალური, ქმედითი ზედამხედველობის განხორციელება.

2013 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის სამინისტრომ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა და საზოგადოებას წარუდგინა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების კანონპროექტი. მისი საჯარო განხილვა-

ბი რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოოდ, კანონის ცვლილებები მიღებული იქნა 2014 წლის 21 მარტს და ამოქმედდა 2014 წლის 31 მარტიდან.

საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი, ისევე, როგორც „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მომზადდა. კანონის დებულებები, მთლიანობაში, შეესაბამება კონკურენციის სფეროში არსებულ ევროკავშირის რეგულაციებს. კერძოდ:

- კანონი არ კრძალავს ბაზარზე კომპანიის/კომპანიების მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას; აკრძალულია მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;

- კანონი აწესებს მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის წესს; კერძოდ, კომპანია (ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები) მონოპოლისტად მიიჩნევა, თუ მას შესაბამისი ბაზრის (საბაზრო ბრუნვის) არანაკლებ 40 პროცენტი უკავია;

- კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც კომპანია ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები ბოროტად იყენებენ დომინირებულ პოზიციას და არსებობს ისეთი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება, რომლებიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას (მაგალითად, კომპანიები აწესებენ შეთანხმებულ ფასს მომხმარებელთა საზიანოდ);

- კანონი ასევე ითვალისწინებს კონცენტრაციების (კომპანიების სრული ან ნაწილობრივი შერწყმის, პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის მოპოვების) რეგულირების შემოღებას;

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ფარგლებში გაუქმდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი, რომელიც მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ასეთი პასუხისმგებლობის ნაცვლად „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ქმედების ჩამდენი ეკონომიკური აგენტის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმება არ ზღუდავს მხარეებს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნან ან შეინარჩუნონ სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები ან მიანიჭონ რომელიმე საწარმოს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლება. თუმცა, მკაცრად არის განსაზღვრული სახელმწიფო სუბსიდიების საჯაროობის უზრუნველყოფა. კერძოდ, საქართველომ ევროკავშირს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიების შესახებ, რომელიც გაცემულია მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებისთვის.

2014 წლის ცვლილებებით, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ყველა ძირითადი დებულება. აღსანიშნავია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს იმასაც, რომ გარდა მხარეების ვალდებულებისა, ჰქონდეთ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ჩამოაყალიბონ შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოც. ამ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის აპრილში შეიქმნა საქართველოს კონკურენციის სააგენტო.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე საქონლითა და მომსახურებით შეუზღუდავ ვაჭრობას გულისხმობს, საქართველოს საშუალებას აძლევს მოახდინოს ექსპორტის მოცულობის ზრდა. ეს კი მხოლოდ იმ

შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ქვეყანა მოახერხებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

კონკურენციის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი ქართული კანონმდებლობის შექმნა და აღსრულება საშუალებას მისცემს საქართველოს ჩამოაყალიბოს თავისუფალი, კონკურენტული და ევროკავშირით მოთხოვნებთან თავსებადი ბაზარი. რაც ცალსახად შეუწყობს ხელს ქვეყნის შიდა ბაზრის ლიბერალიზაციას, ასევე გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაძე, თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
2. Benashvili. G. (2017) The Impact of Regional Economic Cooperation - Case of South Caucasus, Development & Growth, Economic Impact of Globalization, Edition: First Edition, pp.63-78, IJOPEC Publication
https://www.academia.edu/33227772/The_impact_of_regional_economic_cooperation__case_of_South_Caucasus
3. Cadier, D. (2013), Is the European Neighbourhood Policy a Substitute for Enlargement?, http://www.lse.ac.uk/IDEAS/publications/reports/pdf/SR018/Cadier_D.pdf
4. EUMM, Delegation of the European Union to Georgia, http://eumm.eu/en/eu_in_georgia/delegation_of_the_eu_commission
5. Rinnert, D. (2011). The Eastern Partnership in Georgia (Increasing efficiency of EU Neighborhood Policy in the South Caucasus)
6. Papava, V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.Geostat.ge
8. საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/>
9. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka>
10. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო <http://www.economy.ge/>

Association Agreement with the EU and the Importance of Creating Competition Policy

Giorgi Benashvili

PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Director of the European Education Center

giorgi.benashvili@tsu.ge

Resume

Since destruction of Soviet Union and announced the state independence, Georgia has experienced pro-western foreign policy. It means the ambition of joining to the European democratic family. From that period, Georgia faced huge cooperation at the different level of relations with the EU.

The Association Agreements/Deep and Comprehensive Free Trade Areas (AA/DCFTAs), concluded in 2014, have brought the relations between the EU and Georgia to a new level. These agreements aim at strengthened political association and economic integration and create new opportunities in the country as increasing economic development. Georgia has a chance to use intensely its national economic resources.

But Georgia should improve its legislation system and will connect it to the EU standards. Upgrading competition system is part of unified agreement, which necessary for integration Georgia's national economy to the EU. The issues of competition is high demanded to increase export of goods and services to the European markets.

სახელმწიფო დახმარება

ნათია დაღელიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასისტენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პროექტის ოფიცერი
ndaghelishvili@gmail.com

მიხეილ ძაგანია

ეკონომიკის დოქტორი
mishadzagania@yahoo.com

კონკურენციის დაცვა, სამართლიანი, ღია, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა. შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედებისას ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მიღწევებს კონკურენციის მიმართულებით, კერძოდ, 2014 წლის ცვლილებებით საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში ასახულია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ყველა ძირითადი დებულება; 2014 წლის 14 აპრილს შეიქმნა სსიპ კონკურენციის სააგენტო; 2014 წლის განმავლობაში, შესაბამის ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სააგენტომ მოამზადა და დაამტკიცა მისი ეფექტური მუშაობისთვის საჭირო დებულებები და 2015 წლიდან დაიწყო ბაზრის კვლევა კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოსავლენად.

ზოგადად, კონკურენციის დარღვევის/შეზღუდვის სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

- კონკურენციის შეზღუდვა ერთი მეწარმის მიერ, დამოუკიდებლად (მონოპოლია, ოლიგოპოლია, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება);
- კონკურენციის შეზღუდვა რამდენიმე მეწარმის მიერ ერთობლივად (კარტელი, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებები და ერთობლივი ქმედებები);
- კონკურენციის შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ (რომელიმე მეწარმის ან მეწარმეთა ჯგუფის დახმარება ან პირიქით, შეზღუდვა).

წარმოდგენილი სტატია მიმოიხილავს ამ უკანასკნელის, კერძოდ სახელმწიფო დახმარების გაცემის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს და კონკურენციის სააგენტოს როლს სახელმწიფო დახმარების გაცემის და შემდგომი კონტროლის პროცესში, ასევე მიმოიხილავს ევროპულ გამოცდილებას.

ასოცირების შეთანხმების IV კარი - „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები“, მე-10 თავი (მუხლი 203-209) განმარტავს კონკურენციას. საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის მიმართ ასოცირების შეთანხმების მთავარი მოთხოვნა მის ქმედითობაში, ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის რეალურად დაცვაში მდგომარეობს.

2014 წელს საქართველომ მიიღო ცვლილებები კონკურენციის კანონმდებლობაში, რომლითაც იგი ევროპულთან ძირითადად შესაბამისობაში მოვიდა, იმავე წლის აპრილში შეიქმნა კონკურენციის სააგენტოც და როგორც თავისი ინიციატივით, ასევე საჩივრების საფუძველზე, დაიწყო ბაზარზე კონკურენციის შესაძლო დარღვევების კვლევა.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო დახმარება (გაიგივებულია სახელმწიფო სუბსიდიასთან), წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებულ

გადაწყვეტილებას, რომელიც მოიცავს ა) გადასახადებისაგან გათავისუფლებას, ბ) გადასახადის შემცირებას ან გადავადებას, გ) ვალის ჩამოწერას, დ) რესტრუქტურისაციას, ე) სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას, ვ) საოპერაციო აქტივების გადაცემას, ზ) ფულადი დახმარების გაწევას, თ) მოგების მიღების გარანტიის მიცემას, ი) შეღავათების მინიჭებას და ა.შ.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში მომზადდა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, რომლის 4.1.6 პუნქტი ეხება სახელმწიფო დახმარებას. კერძოდ, ევროკავშირის რეგულაციების და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის შესაბამისად, მოქმედებს სახელმწიფო დახმარების ex-ante რეგულირება, რაც ნიშნავს იმას, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ევროკომისიას წინასწარ შეატყობინონ დაგეგმილი სახელმწიფო დახმარების თაობაზე. დაუშვებელია სახელმწიფო დახმარების გაცემა კომისიის თანხმობის გარეშე. თუ სახელმწიფო დახმარების გამცემი დაარღვევს კომისიის გადაწყვეტილებას, კომისიას აქვს სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ევროკავშირის რეგულირება ასევე განმარტავს de minimis (მცირე მნიშვნელობის) სახელმწიფო დახმარებას, როგორც ერთ საწარმოზე გაცემულ სახელმწიფო დახმარებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ევროს სამი წლის მანძილზე. ეს ზღვარი მოქმედებს დახმარების ფორმის ან მიზნის მიუხედავად. აღნიშნული სახელმწიფო დახმარება არ ექვემდებარება ევროკომისიისათვის წინასწარ შეტყობინებას (TFEU-ს 108(3) მუხლი). კონკურენციის ჩარჩო კანონით წინასწარ შეტყობინებას არ დაექვემდებარება:

- de minimis სახელმწიფო დახმარება
- ჩარჩო კანონით განსაზღვრული გამონაკლისი ჯგუფი

ამავდროულად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეიძლება დაშვებულ იქნას სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სსიპ კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის:

ა) გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;

ბ) მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;

გ) მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას;

დ) მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

ე) გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით.

ვ) მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება.

კონკურენციის სააგენტოს როლი სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცესში უკავშირდება (ა. საკუთარი ინიციატივით, ბ. მომართვის საფუძველზე) ბაზარზე კონკურენციის დარღვევის შესაძლო კვლევას და გადაწყვეტილების/შესაბამისი რეკომენდაციების ცნობას საქართველოს მთავრობისათვის. თუ იზღუდება კონკურენცია, დავა გრძელდება სასამართლოში.

აქ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რამდენად ინფორმირებულია კონკურენციის სააგენტო სახელმწიფო დახმარებების გაცემის შესახებ და ამასთანავე, რამდენად ქმედითია იგი. ზემოთ ჩამოთვლილია 6 დაშვება, როდესაც დახმარება არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას (შესაბამისად არც პოსტფაქტუმ ხდება ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული სახელმწიფო დახმარებების/სუბსიდიების შესახებ), რაც აკნინებს კონკურენციის სააგენტოს

როლს - არ ფლობს ინფორმაციას და, შესაბამისად, მისი ძირეული ფუნქცია დაიცვას კონკურენცია, ვერ სრულდება სათანადოდ.

გარდა ინფორმაციის სიმწირისა ან არქონისა, უფრო ყურადსაღებია სსიპ კონკურენციის სააგენტოს ქმედითი როლის შეფასება, კერძოდ ინფორმირებულობის შემთხვევაში რამდენად რეალური ბერკეტები გააჩნია კონკურენციის დასაცავად, იქნება ეს დავის გადაწყვეტა, დახმარების შეჩერება/უკან გამოთხოვა თუ გარკვეული ადმინისტრაციული სანქციის დაწესება.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ გასაცემი სახელმწიფო დახმარება ზღუდავს კონკურენციას, სააგენტოს მხოლოდ სამართლებრივი დასკვნის ან რეკომენდაციების გაცემა შეუძლია საქართველოს მთავრობისათვის, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის სააგენტოს გვერდის ავლით გაიცა ისეთი სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას, ან კიდევ სააგენტოსთან შეთანხმებით გაცემული სახელმწიფო დახმარების შემდგომ შეიქმნა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეფერხების საშიშროება - კონკურენციის სააგენტოს ამ შემთხვევაშიც, მისი მოწესრიგების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, გარდა სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისა.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის სააგენტოს ქმედითი როლი სახელმწიფო დახმარების გაცემის და შემდგომი მონიტორინგის პროცესში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ასევე კონკურენციის ჩარჩო კანონში ასახულ თითოეულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე (სახელმწიფო დახმარების გამცემის მიერ, სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების ვალდებულება) შესაბამისი ადმინისტრაციული სანქციის არარსებობა აკნინებს სააგენტოს როლს, ისევე როგორც თუ დახმარების გაცემის შედეგად, ამ დახმარების გაცემის შემდეგ ადგილი აქვს კონკურენციის შეფერხების ფაქტს, დახმარების შეჩერების (შეწყვეტა) მექანიზმი არ არსებობს. ევროკავშირთან კონკურენციის პოლიტიკის ჰარმონიზაციის პროცესი საკმაოდ წარმატებულია, თუმცა აღსრულების მექანიზმს გააჩნია ხარვეზი და საჭიროებს რეაგირებას.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებას სახელმწიფო დახმარების პოლიტიკის მიმართულებით, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის სადამფუძნებლო შეთანხმების 92-ე მუხლი ზოგადად კრძალავს ნებისმიერი სახის სახელმწიფო დახმარებებს, რომელსაც „რომელიმე მეწარმის ან პროდუქტის ხელშეწყობის გამო შეუძლია შეაფერხოს კონკურენცია“. ამავე დროს, იგივე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო დახმარებების დაშვებულ ფორმებს. კერძოდ, დაშვებულია სოციალური დახმარებები ინდივიდუალური მომხმარებლებისადმი და დახმარებები სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, „შესაძლოა დაშვებული იქნას“ ისეთი სახელმწიფო დახმარებები, რომელიც გამიზნულია შედარებით ჩამორჩენილი ან მაღალი უმუშევრობის დონით გამორჩეული რეგიონების ეკონომიკის ასაღორძინებლად, ან ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პროექტის განსახორციელებლად, ან კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. აგრეთვე შეიძლება დაიშვას დახმარებები ეკონომიკის ცალკეული სფეროებისთვის - ე.წ. სექტორული დახმარებები, - „თუკი ეს არ აფერხებს ვაჭრობას იმდენად, რომ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საზიანო იყოს“. შეთანხმების 93-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო დახმარებების შესაბამისობა ამ კრიტერიუმებთან ევროკომისიამ უნდა დაადგინოს. ამისათვის კი მთავრობებმა შესაბამისი ინფორმაცია მას დროულად, როგორც წესი დახმარების გაცემამდე უნდა წარუდგინონ. ევროკომისიის გადაწყვეტილება კონკრეტული დახმარების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან და შესაბამისად, საერთო ბაზართან შეუსაბამობის თაობაზე მთავრობამ შეიძლება გააპროტესტოს ევროპის საბჭოში, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლება გააფართოვოს და-

საშვები სახელმწიფო დახმარებების წრე ან მიიჩნის რომელიმე კონკრეტული დახმარება ბაზრის შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ იგი 92-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებში არ ჯდება¹. თუ მთავრობის მიმართვას საბჭოს ამგვარი რეაქცია არ მოჰყვა, მთავრობა ვალდებულია დადგენილ ვადებში გააუქმოს ევროკომისიის მიერ დაწუნებული დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკომისია მიმართავს ევროპის სასამართლოს.

გარდა ამისა, 80-ანი წლების მეორე ნახევრიდან თანდათან ჩამოყალიბდა სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი უფრო ზოგადი, ე.წ. ჰორიზონტალური დახმარებების წესები. ისინი მოიცავენ დახმარებებს კვლევა-განვითარების ხელშეწყობისთვის, გარემოს დაცვისა და ენერგოეფექტურობისთვის, რეგიონების თანაბარი განვითარებისთვის, ეკონომიკის ძველი სექტორების გადარჩენა-გარდაქმნისთვის, აგრეთვე დახმარებებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. ამავე პერიოდში დადგინდა დახმარებების ე.წ. de minimis პრინციპი, რომლის მიხედვით მცირე ზომის სახელმწიფო დახმარებები კონკურენციაზე უმნიშვნელო ზემოქმედების მქონედ იქნა მიჩნეული. ასეთად ჩაითვალა საწარმოსთვის ჯამურად 200 ათასი ევროს 3 წლის განმავლობაში.

ამჟამად ევროკავშირში დაშვებული სახელმწიფო დახმარებები დიაგრამაზეა ასახული:



წყარო: http://ec.europa.eu/competition/state_aid/scoreboard/index_en.html

ყველა დახმარება, როგორც წესი, ექვემდებარება ევროკომისიისათვის წინასწარი შეტყობინების პროცედურას. გამონაკლისია მხოლოდ de minimis დახმარებები და ჰორიზონტალური დახმარებები, რომელიც ე.წ. „ზოგადი ჯგუფური გამონაკლისის რეგულაციით“ არის დაშვებული. ესენია:

- საინვესტიციო და დასაქმების დახმარებები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
- დახმარება ქალი მეწარმეების მიერ მცირე საწარმოების შესაქმნელად;

¹ თანამეგობრობის საბჭოში ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად სადამფუძნებლო ხელშეკრულება სრულ კონსენსუსს ითხოვს.

• დახმარება გარემოსდაცვითი ზომების გასატარებლად, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად და არსებულზე უფრო მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების დასაწესებლად

• დახმარებები სარისკო კაპიტალის სახით (სახელმწიფოს მონაწილეობა საინვესტიციო ფონდებში)

• დახმარებები კვლევა-განვითარებასა და ინოვაციებისთვის, ტრენინგებისთვის, კონსულტაციებისთვის, მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტების დასაქირავებლად, სამეწარმეო გამოფენებში მონაწილეობისთვის, ინტელექტუალური საკუთრების შეძენისთვის და სხვა;

• დახმარება სოციალურად დაუცველი ან შეზღუდული შესაძლებლობის პირების დასაქმებისთვის.

• რეგიონული დახმარებები დამტკიცებული მრავალწლიანი გეგმის ფარგლებში.

ითიუეული ამ ტიპის დახმარებისთვის დადგენილია დამატებითი მოთხოვნები და ზღვრები, რომელთა დაცვის შემთხვევაში მათზე მოქმედებს ჯგუფური გამონაკლისი. ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში დახმარების გასაცემად არ არის საჭირო ევროკომისიის თანხმობა. საკმარისია შესაბამისი მთავრობის მიერ ევროკომისიის მხოლოდ ინფორმირება - და ისიც დახმარების გაცემის შემდგომ.

ევროკომისიას შეუძლია გამოიძიოს დახმარება, რომლის თაობაზე მას შესაბამისი მთავრობისგან წინასწარი შეტყობინება არ მიუღია, ან დახმარება, რომელიც ევროკომისიის მიერ ადრე მიჩნეული იქნა დასაშვებად, მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ იგი არასათანადოდ იყო გამოყენებული. თუკი ევროკომისია დაასკვნის, რომ უკვე გაცემული დახმარება უკანონოა, წევრი-ქვეყანა ვალდებულია გაცემული დახმარება და შესაბამისი პროცენტი ბენეფიციარს უკან დააბრუნებინოს².

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისევე როგორც საქართველოში, ევროკავშირის სამართალშიც არსებობს გამონაკლისები (ე.წ. ჰორიზონტალური დახმარებების წესები, ასევე დახმარებების ე.წ. de minimis პრინციპი), რაც არ საჭიროებს ერთი მხრივ, კონკურენციის სააგენტოსთან, მეორე მხრივ ევროსაბჭოსთან შეთანხმებას, თუმცა ევროპული გამოცდილება ორ უმთავრეს განსხვავებას ემყარება: 1. გამონაკლისების შემთხვევაშიც კი ევროსაბჭოს მიეწოდება ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარებების შესახებ; 2. ევროსაბჭო ქმედითი ორგანოა კონკურენციის დაცვის თვალსაზრისით და აქვს როგორც დაცვის გადაწყვეტის, ისე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული დახმარების უკან დაბრუნების ბერკეტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფეტელავა ს., ჯანჯღავა ჯ., ჟურნალი „ეკონომიკა“, 2014 წელი, #10-12, გვ. 35-40.
2. ფეტელავა ს., მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, „ლოი“, თბ., 2007.
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით).
4. „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის #529 დადგენილება.
5. ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შეთანხმება, <http://www.dcfra.gov.ge/ge/agreement>
6. ვებგვერდი <http://asocireba.ge/>, კონკურენციის ნაწილში ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ანგარიში.

² მოქმედებს 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის გასვლის შემდეგ მიღებული დახმარება დაბრუნებას აღარ ექვემდებარება.

7. Community framework for State aids for research and development, OJ C 83, 11.4.1986, p. 2–6.
8. Information from the Commission - Community guidelines on State aid for small and medium-sized enterprises (SMEs), OJ C 213, 19.8.1992, p. 2–9
9. Commission Regulation (EC) No 1998/2006 of 15 December 2006 on the application of Articles 87 and 88 of the Treaty to de minimis aid.
10. Commission Regulation (EU) No 651/2014 of 17 June 2014 declaring certain categories of aid compatible with the internal market in application of Articles 107 and 108 of the Treaty.
11. Guidelines on regional State aid for 2014-2020, Official Journal C209, 23.07.2013.
12. Council Regulation No 659/1999 of 22 March 1999 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union of the EC Treaty.
13. Commission Notice on a Simplified procedure for the treatment of certain types of State aid OJ C136, 16.06.2009, p. 3-12.

State Aid

Natia Daghelishvili

PhD of Economics,

Assistant of Grigol Robakidze University,

Project Officer of Georgian Institute of Policy (GIP)

ndaghelishvili@gmail.com

Mikheil Dzagania

PhD of Economics,

mishadzagania@yahoo.com

R e s u m e

The article “State Aid“ analyzes the process of issuance state aid, main exceptions, the role of competition agency in terms of competition protection and main obstacles of agency operations. It should be noted that state aid mechanisms are analyzed in comparison to the EU practice.

In addition, in the article harmonization process to the EU regulations and main hinders of efficiency of law enforcement mechanisms are assessed.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა

გულნაზ ერქომაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი ეკონომიკურ პოლიტიკას ეკისრება. ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი ბიზნეს გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებას, რაც დამოკიდებულია სტაბილურ კანონებზე და მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე.

გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიები კიდევ უფრო აძლიერებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალაუფლებას და სხვა ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხს. სწორედ ასეთი ქვეყნებია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი. დღევანდელი შეზღუდული რესურსების პირობებში თითქმის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს ყველა პოზიციაში.

საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 138 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზეა [11]. აღნიშნული ინდექსი წინა წელთან შედარებით 7 პოზიციით არის გაუმჯობესებული. 2015-2016 წლის ინდექსში საქართველო 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილს იკავებდა. 2011-2012 წლების მონაცემებთან შედარებით (88-ე ადგილი) კი შედეგი 29 პოზიციით არის გაუმჯობესებული. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა ძალიან მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური კრიტერიუმების მიხედვით არის გაუმჯობესებული.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის უმაღლეს შეფასებას - 7.0 არცერთი ქვეყანა არ ფლობს. ინდექსის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა (5,9) პირველადი განათლებისა და ჯანდაცვის კატეგორიაში აქვს. ყველაზე დაბალი ქულა (2,8) ინოვაციების ნაწილში და რეიტინგში 116-ე ადგილზე იმყოფება. დაბალი ინოვაციების დონე სკომპანიების მხრიდან საკმაოდ დაბალ კვლევის მაჩვენებელს (R&D), სუნივერსიტეტების მხრიდან კვლევაზე დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობას უკავშირდება. საქართველოს დაბალი ქულა 3.0 ბაზრის ზომამაც აქვს მიღებული, ამ ქულით იგი 101-ე ადგილზეა. დაბალი ქულის მიღების მიზეზი ლარის გაუფასურებაა. ბაზრის ზომაზე ნეგატიური გავლენა შემცირებულმა საგარეო ვაჭრობამაც იქონია.

საქართველო კონკურენტუნარიანობის მიხედვით ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანას, მათ შორის სასაბერძნეთსა (86-ე ადგილი) და კვიპროსს (83-ე ადგილი), ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ სომხეთს (79-ე ადგილი) უსწრებს. რეგიონის ქვეყნების მიხედვით ყველაზე მაღალი 37-ე ადგილი აზერბაიჯანს აქვს, რუსეთი 43-ე, ხოლო თურქეთი 55-ე ადგილზეა.

2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე - კონკურენტუნარიანი ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: შვეიცარია, სინგაპური, აშშ, ნიდერლანდები, გერმანია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, იაპონია, ჰონ კონგი, ფინეთი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (შვეიცარია, ჟენევა) ყველაზე ცნობილი და დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ფორუმის ანგარიში ქვეყნების ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტური და დამოუკიდებელი ანალიზის საფუძველზე ემსახურება პრაქტიკული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი განვითარებისათვის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს 1979 წლიდან აქვეყნებს. ყოველწლიური ანგარიში ადარებს 140-ზე მეტი ქვეყნის ბიზნეს გარემოს და კონკურენტუნარიანობას. კვლევას საქართველო 2004 წელს შეუერთდა.

აღნიშნული რეიტინგები გავლენას ახდენენ ინვესტორების განწყობაზე. ინვესტორის დადებითი განწყობა ქვეყნის მიმართ ხელს უწყობს საინვესტიციო ნაკადების ზრდას, რაც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს საკითხი მწვავედ დგას საქართველოში. უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემებია.

2016 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1565.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და 2015 წლის მაჩვენებელს 0,1 %-ით აღემატება. რეინვესტირების ოდენობამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32 პროცენტი შეადგინა.

2016 წელს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის, ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციებია განხორციელებული ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებში, თუმცა განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპი სამშენებლო სექტორს აქვს [10].

საერთოდ, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მთავარ პრობლემებად ისევ რჩება: დაფინანსების ხელმიუწვდომელობა, მუშაკთა კვალიფიკაციის შეუსაბამობა, ინფლაცია, გადასახადების რეგულაცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, ინფრასტრუქტურის არაადეკვატური უზრუნველყოფა, გადასახადების სიდიდე და სხვა ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტთა კვლევები, ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედარებითი ანალიზი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამალღებით, ჩვენს ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, დასაქმების დონის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას.

როგორც მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებაში მიღწეული წარმატებები, სტაბილური ბიზნეს გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია. ამასთან სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების მაღალ დონეს, ხოლო სულ უფრო ნაკლები ბუნებრივ რესურსებს. ამის ნათელია მაგალითია იაპონია. ამდენად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. აუცილებელია სახელმწიფოს ზრუნვა ქვეყნის მოსახლეობის განათლების მაღალ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებთან ადაპტაცია და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გადრმავება.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკო-

ნომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ-აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები, რომლებმაც სწორედ ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია აირჩიეს და საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანობის მაღალ ხარისხს მიაღწიეს (სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი).

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ სავაჭრო საქმიანობის სფეროში ინტეგრაცია წარმოადგენს. მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის ზრდის შედეგად ქვეყნები სპეციალიზდებიან სწორედ იმ საქონლის წარმოებაში, რომლის წარმოებაშიც ისინი ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას არა მხოლოდ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად, გლობალურ დონეზე.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესურსების ექსპორტს, რომლებიც Eგამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში და ისინი უზარმაზარ შემოსავალს იღებენ იმპორტიდან.

საქართველოში ექსპორტის ბოლო პერიოდის სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. 2016 წლის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთი იყო: სპილენძის მადნები - 14,8%, თხილი - 8,5%, ფეროშენადნობები - 8%, მსუბუქი ავტომობილები - 7,9%, ღვინო - 5,4%, სამკურნალო საშუალებები - 5,1%, სპირტიანი სასმელები - 4,3%, ოქრო - 3,8%, აზოტოვანი სასუქები -3,1%, დანარჩენი - 35,3% [4].

ამგვარად, ექსპორტში მაინც მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა ჰქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა) განვითარებას. U

უცხოელი ექსპორტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

2016 წლის მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ ჭარბობდა, თუმცა 2007 წელთან შედარებით ეს უკეთესი მმაჩვენებელია (აღნიშნულ წელს და წინა წლებში იმპორტი 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს) [10]. Eექსპორტის წილის გაზრდის გარეშე ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება. ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით ყველაზე მეტი შანსი აქვს ხუთ სექტორს. ესენია: სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი და ფინანსური ინსტიტუტები.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. Eეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომსახურების სფეროს ისეთ კონკურენტულ დარგებზე, როგორცაა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი და დაზღვევა. მათი განვითარება დაკავშირებულია ტურიზმთან. B ტურიზმის განვითარებისათვის კი აუცილებელია ლიბერალური პოლიტიკის გა-

ტარება. სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს. სახელმწიფო თუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დააბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები გავლენას ახდენენ საბანკო სისტემაზეც. მართალია, საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით ერთ-ერთ გამართულ სისტემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა დარგების ეკონომიკურ სისტემებს შორის, მაგრამ მათი ლიკვიდობის დონე და განხორციელებული ოპერაციები მაინც ვერ პასუხობენ გლობალიზაციის ეპოქის მოთხოვნებს. დღეისათვის კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე, რაც აჩვენებს საქართველოს კომერციული ბანკების სუსტ მონაწილეობას რეალური ეკონომიკის დაკრედიტებაში.

საქართველოს ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა მისი სატრანზიტო ფუნქციაა, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნების წარმოდგენის საშუალებას. კერძოდ, კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციონარული რეფორმები საკმარისი არ არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. მთავარ პრობლემებად რჩება: პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა; კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთები; საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები; სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა; კვალიფიკაციის შეუსაბამობა; ინფლაცია.

მიუხედავად ამისა, ინსტიტუციების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, უმაღლესი განათლების, შრომითი ბაზრის ეფექტურობისა და სხვა მიმართულებით საქართველოს პროგრესი მნიშვნელოვანია.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭიროა:

- მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტორებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და შენარჩუნება; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის თანამედროვე სისტემის შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.

- მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა (საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, განაკვეთების ოპტიმალური დონე);

- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა (საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.);

- მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და მისი რეალიზაცია;

- კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს კონსულტირებისა და ტრენინგ-ცენტრების თანამედროვე სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016.
2. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, „უნივერსალი“, 2013.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
4. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2017.
5. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბილისი, 2010.
6. ხრაიშვილი ე., კონკურენცისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი, „უნივერსალი“, 2011.
7. G. Erkomaishvili, The strategy for Increasing the Competitiveness of Georgia. International Conference on Economics, Industrial and Business Management. World Academy of Science, Engineering and Technology, Barselona, Spain, 27-28 October, 2014. [www. waset.org](http://www.waset.org)
8. [www. geostat.ge](http://www.geostat.ge)
9. www.weforum.org

Economic Policy of Achieving National Competitive Advantage

Gulnaz Erkomaishvili

Associate Professor of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

R e s u m e

The paper discusses economic policy of increasing national competitiveness, the tools and means which help country to improve the competitiveness.

The sectors of the economy, in which the country can achieve the competitive advantage, are studied. It is noted that the country's economic policy plays an important role in obtaining and maintaining the competitive advantage - authority should take measures to ensure high level of education; scientific and research activities should be funded by the state; foreign direct investments should be attracted mainly in science-intensive industries; adaptation with the latest scientific achievements of the modern world and deepening of scientific and technical cooperation. Stable business environment and export oriented strategy is the basis for the country's economic growth.

The studies have shown that institutional reforms in Georgia are not enough to significantly improve the country's competitiveness.

საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური უზრუნველყოფა საქართველოში

მერაბ ვანიშვილი

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი,
merabvanishvili@yahoo.com*

ნინო ვანიშვილი

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი,
ninivanishvili@yahoo.com*

ფინანსური სექტორი მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე რეგულირებადი სექტორია. მისი რეგულირების ინსტრუმენტების შესახებ ჩამოყალიბებული საერთო ხედვა ასახულია ბაზელის კომიტეტისა და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს დოკუმენტებში, ასევე ევროდირექტივებში, სადაც მოცემულია ის ძირითადი მიდგომები, რომლებიც ფინანსური ბაზრების რეგულირებისას უნდა იქნას გამოყენებული. თუმცა, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ინსტიტუციური სტრუქტურა არის საჭირო აღნიშნული რეგულირების განხორციელებისათვის, ნაკლებად განიხილება.

ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური მოთხოვნები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე. ამასთან დაკავშირებით, გარკვეული ამოცანები დგება საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, მისი მარეგულირებელი და საზედამხებველო როლის გააქტიურების თვალსაზრისით.

სათანადო კვლევებით დადგენილი და დადასტურებულია, რომ ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა ეყრდნობა საბანკო საქმისა და ზედამხედველობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, საკუთრივ ზედამხედველობის რეჟიმს, შესაბამის სამართლებრივ გარემოსა და აღრიცხვის მეთოდებს [1, გვ. 21]. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კომერციული ბანკი განისაზღვრება, როგორც ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი მეშვეობით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას [2].

კანონით დადგენილი დებულებების თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზირების პროცედურა უნდა იყოს მკაცრი და ზედმიწევნით დაცული. ამასთან, საბანკო საქმიანობის ლიცენზირების, მისი გაუქმების ან შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, კომერციული ბანკების მდგრადობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, ძირითადად მხრივ, საბანკო საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და, მეორე მხრივ, მძიმე კანონების უმოქმედობა. ეს ეხება როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე კანონს გაკოტრების შესახებ ანტიმონოპოლიურ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციაში გამარჯვებული უნდა გამოდიოდეს ის ეკონომიკური აგენტი (ბანკი), რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის

საჭირო) ფინანსურ მომსახურებას მომხმარებლისთვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას აღნიშნული წესების უგულვებელყოფა და მათი გვერდის ავლის ცდუნება.

კონკურენციაში „არბიტრის“ ფუნქციას თავისი არჩევანით, როგორც წესი, მომხმარებელი ასრულებს. მაგრამ, საბაზრო სიტუაციის გართულების გამო, იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს ამ როლის შესრულებას და რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ საბაზრო „თამაშის წესებს“.¹

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობებით და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით, ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;
- მატერიალურ ზიანს აყენებს (ან შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს ან ჩრდილში აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს კონკურენციული კანონმდებლობა. ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 21 მარტის №2159 კანონის მე-11³ მუხლის 1-ლი პუნქტით „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუმეგობელია“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი „არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს“ [3, მუხლი 11³].

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და რეგულირების პრობლემატიკის სრულად განხილვის მიზნით, დროულად უნდა გადამუშავდეს არსებული კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება და მაქსიმალურად დაუახლოვდეს იგი ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას და ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში. ამასთან ერთად, საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ შესატანია ცვლილება და მას უნდა დაემატოს ერთი თავი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ბანკს გარკვეულად ვალდებულს გახდის დაარეგულიროს და ხელი შეუწყოს საბანკო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ბანკების ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს უშლის ისეთი ნორმატიული აქტების არარსებობა, როგორცაა, მაგალითად, იპოთეკის მარეგულირებელი კანონი. საბანკო საქმიანობაში იპოთეკის გამოყენებას კი, ჩვენი აზრით, ხელს უშლის უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის კანონის არარსებობა, აღსანიშნავია ასევე დეპოზიტების დაზღვევის კანონმდებლობის და საბანკო

¹ თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის, არამედ, საერთოდ, მთელი საზოგადოების ინტერესებს და, საზოგადოდ, პროგრესის სტიმულირებას.

სფეროში ანტიმონოპოლიური საქმიანობის კანონმდებლობის არარსებობა. ამიტომ აუცილებელია ამ კანონების დამუშავებისა და პარლამენტის მიერ მათი მიღების პროცესის დაჩქარება.

ამასთან, საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა აქტებში არსებული ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიც. ეს, უმეტესად, ეხება საგადასახადო კანონმდებლობას. გარდა ამისა, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში განზოგადებული არ არის გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხები, რაც საგადასახადო სამსახურს საშუალებას აძლევს, ეს გაურკვევლობა თავის სასარგებლოდ, გადასახადის გადამხდელის ინტერესების საზიანოდ გამოიყენოს, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა აფერხებს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემას. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, ის ძირითადად, მოკლევადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული, და ამიტომ რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტის მიღება მისგან, ეკონომიკის აღმავლობის თვალსაზრისით, შეუძლებელია.

კომერციულ ბანკებს არ შეუძლიათ რეალური სექტორის დაკრედიტების გაფართოება, თუ იგი სახელმწიფო სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნისას მათი ინტერესების დაცვას არ უზრუნველყოფს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ სახელმწიფო კრედიტორთა უფლებების დაცვის ინსტიტუტებს არ შექმნის, რეალური სექტორის დაკრედიტების სტიმულირებისაკენ მიმართულ არანაირ სპეციალურ ღონისძიებას სათანადო ეფექტი არ ექნება.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, უნდა ვეძებოთ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერას. კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევა მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს საბანკო რისკების ოპტიმალურ მართვას, რაც, საბოლოო ჯამში, ბანკებს გაკოტრებისაგან და საბანკო სისტემას კრიზისისაგან დაიცავს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ანაზრების დაცვის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საშუალება, რომელიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, მეანაზრეების თანხების გასტუმრებას ითვალისწინებს [2, მუხლი 37].

სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, აღნიშნული მოთხოვნების შესრულება, ფაქტობრივად, გართულებულია, ვინაიდან მეანაზრეებმა, ვერ დაიბრუნეს თავიანთი სახსრები, რაც საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობას კიდევ უფრო ამცირებს. ამიტომ მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პირობებში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის, რომ მოსახლეობის ანაზრების (დანაზოგების) დაცვის უზრუნველყოფა, ბანკების გაკოტრებისას წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირება შეუძლებელია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის გარეშე.

ამდენად, საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება, მისი ამოქმედება სტრატეგიულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით, გადაუდებლად მიგვაჩნია საქართველოს კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონის და მისი ამოქმედების მექანიზმების დამუშავება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მარტო კომერციული ბანკებისა და მთელი საბანკო სისტემისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

საზედამხედველო სისტემის ინსტიტუციური მოწყობა მსოფლიოს გარშემო დინამიურ ცვლილებებს განიცდის. კერძოდ, ერთ დროს ფართოდ გავრცელებული კლასიკური მოდელი, სადაც საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების სექტორების ზედამხედველობა განცალკევებული იყო, დღეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკი აწარმოებს გამოკითხვას 100-მდე ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ [4]. აღნიშნულ მონაცემებში არის ინფორმაცია ინსტიტუციურ მოწყობაზე, რომლის თანახმადაც სახეზე გვაქვს ფინანსური ზედამხედველობის ინტეგრირების მნიშვნელოვანი ტენდენცია. ადგილი აქვს როგორც ზედამხედველობის, ისე მომხმარებელთა დაცვის ინტეგრირებას.

ფინანსური ზედამხედველობის ინსტიტუციური მოწყობის მრავალი მოდელი არსებობს, რომელთაგან, ზოგადად, შესაძლებელია გამოიყოს ოთხი ძირითადი მოდელი: (1) ინსტიტუციური, (2) ფუნქციური, (3) ინტეგრირებული და (4) ტყუპი პიკის.

ინსტიტუციური მიდგომით, ზედამხედველობის დაყოფას განსაზღვრავს რეგულირების ქვეშ მყოფი ინსტიტუტის იურიდიული სტატუსი. ამგვარი მიდგომის გამოყენების მაგალითს ჩინეთი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ფინანსური სექტორის ზედამხედველობა მთლიანად ცენტრალური ბანკის მიერ ხორციელდებოდა, დღეს სადაზღვევო, ფასიანი ქაღალდებისა და საბანკო სექტორების ზედამხედველობა სხვადასხვა სააგენტოების მიერ ხორციელდება.²

ფუნქციური მიდგომით, ფინანსური ზედამხედველობის რეგულირება განისაზღვრება არა ინსტიტუტის იურიდიული სტატუსით, არამედ მისი საქმიანობით. აღსანიშნავია, რომ ფუნქციური მიდგომა საკმაოდ წააგავს ინსტიტუციურ მიდგომას, რის გამოც ხშირად მას ცალკე არ გამოყოფენ და ინსტიტუციურ მიდგომასთან ერთად განიხილავენ [6, 7]. ფუნქციური მიდგომის გამოყენების მაგალითია იტალია. აქ ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელია ზოგადად, სისტემურ სტაბილურობასა და საბანკო სექტორის მაკროპრუდენციულ რეგულირებაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საინვესტიციო და აუდიტორული საქმიანობის რეგულირებას ცალკე სააგენტო ახორციელებს (CONSOB). ასევე, ცალკე ზედამხედველი ჰყავს სადაზღვევო საქმიანობას (ISVAP) და საპენსიო ფონდებს (COVIP).

ინტეგრირებულ მიდგომაში მოიაზრება უნივერსალური ზედამხედველი, რომელიც მთლიანად ფინანსური სისტემის უსაფრთხოებაზე და ფინანსური პროდუქტების მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ზრუნავს. ინტეგრირებული ზედამხედველის გამოყენების მაგალითია გერმანია. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ ბანკს (Bundes-bank) გააჩნია მნიშვნელოვანი საზედამხედველო ფუნქციები, ბაფინი (BaFin) წარმოადგენს საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების სექტორების ზედამხედველს. საზედამხედველო ფუნქციების კოორდინირებას და ცენტრალური ბანკის ჩართულობას სწორედ ბაფინი (BaFin) განსაზღვრავს.

ტყუპი პიკის (Twin Peaks) მიდგომა ერთმანეთისაგან აცალკევებს ფინანსური სტაბილურობის ფუნქციასა და მომხმარებელთა დაცვის ფუნქციას. ამგვარი მიდგომის გამოყენების მაგალითია ავსტრალია. ამ ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობა ზრუნავს ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საკრედიტო კავშირების და საპენსიო ფონდების ფინანსურ მდგომარეობაზე. მომხმარებელთა უფლებების დაცვა მთლიან საფინანსო სექტორში ევალება ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისიას (ASIC). ცენტრალური ბანკი ზრუნავს მთლიანი საფინანსო სისტემის სტაბილურობაზე და შეუძლია ბოლო ინსტანციის სესხის ინსტრუმენტის გამოყენება.

ამდენად, საზედამხედველო სტრუქტურის ეფექტურობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საჯარო სექტორის ზოგად ხარისხზე, ზედამხედველობის ეფექტურობა ადამიანური კაპიტალის ხა-

² საყურადღებოა, რომ ფინანსური სიდრმის დაბალი დონის მიუხედავად, ჩინეთის რეფორმა არსებული ტენდენციების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს, რადგან სექტორებს შორის მზარდი კავშირი სააგენტოებს შორის კოორდინირების აუცილებლობას იწვევს. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების ინტეგრაციის კვალდაკვალ ზედამხედველობის კოორდინირების პრობლემა გარკვეული წინააღმდეგობების შემცველია, თუმცა, ჩინეთისათვის სააგენტოებს შორის კოორდინირება ამ ეტაპზე პრობლემას არ წარმოადგენს [5].

რისხის მიმართ ძალზე მგრძობიარეა. სწორმა საზედამხედველო პოლიტიკამ შესაძლებელი დაჩრდილოს სტრუქტურის ესა თუ ის ნაკლოვანება, და პირიქით.

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული მოწყობის სისუსტე მოითხოვს საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, 2008 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ჩამოერთვა, კერძოდ საბანკო და არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტები საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს სახით გამოიყო. საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნული ბანკისთვის ჩამორთმევა, კომერციულ ბანკებზე უკანონო ზეწოლასთან დაკავშირებით, არაერთ კითხვას აჩენდა. ამიტომ ზემოაღნიშნული დეპარტამენტები 2009 წელს ისევ შეურთდა ეროვნულ ბანკს და ამით, ვფიქრობთ, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა.

2015 წლის 1 ივლისიდან ეროვნული ბანკის კანონში შესული ცვლილებების თანახმად, ეროვნულ ბანკს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია გამოეყო და ჩამოყალიბდა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო. აღნიშნულმა ცვლილებამ საქართველოში საკმაოდ სერიოზული ვნება-თაღელვა გამოიწვია. თავდაპირველად პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ ვეტო 81 ხმით დაძლია, რის შემდეგაც პრეზიდენტმა კანონპროექტს ხელი მოაწერა და სააგენტო უფლებამოსილი გახდა.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თხოვნის გათვალისწინებით, სააგენტოს მუშაობის გარდამავალი პერიოდი, რაც სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივ მუშაობას მოიაზრებს, 4 თვით განისაზღვრა. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭო დაკომპლექტდა შვიდი წევრით, დაინიშნა საბჭოს ხელმძღვანელი და ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი. 10 ოქტომბერს, დახურულ რეჟიმში გაიმართა საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც საორგანიზაციო საკითხები იქნა განხილული, თუმცა, 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა ახალი საბჭოს მუშაობა და დაადგინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „ზედამხედველობის სააგენტოს“ ფუნქციებს შეასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიღებისას არ იყო გათვალისწინებული საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო პრაქტიკის ის მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ გამოიკვეთა, როდესაც ცხადი გახდა საბანკო ზედამხედველობის ცენტრალური ბანკებისგან გამოყოფის მანამდე გავრცელებული პრაქტიკის სისუსტეები. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ ევროპის ცენტრალურ ბანკს დაემატა საბანკო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია, ხოლო ინგლისის ბანკში, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბანკია, კვლავ მოხდა მონეტარული ფუნქციების და ფინანსური ზედამხედველობის გაერთიანება.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ცვლილებას მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია. კერძოდ, გაუგებარია, როგორ შეიძლება ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა საბანკო ზედამხედველობის გარეშე, ვინაიდან საბანკო ზედამხედველობა მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის, გარე შემოწმების, აქტივების კლასიფიკაციის, საოპერაციო რისკების მართვის და სარეზერვო მოთხოვნების საკითხებს და სხვა, რაც პირდაპირ განაპირობებს ფინანსური სექტორის სტაბილურობას.

საგულისხმოა, რომ მოქმედი სისტემით, ეროვნული ბანკის მმართველი ორგანოს წევრები განეკუთვნებიან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კა-

ნონით განსაზღვრული თანამდებობის პირის კატეგორიას და ვალდებულნი არიან შეასრულონ ამ კანონით დაკისრებული ვალდებულებები, მათ შორის ყოველწლიურად წარადგინონ ქონებრივი დეკლარაციები. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კი შესაძლებელია დადგეს ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს გამჭვირვალობაზე, კორუფციული რისკებისაგან და ინტერესთა კონფლიქტისაკან კანონისმიერი გარანტიების დაცვაზე. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ეროვნული ბანკის კანონში შესული ცვლილებებით, არაფერია ნათქვამი სააგენტოს საბჭოს წევრთა თუ სააგენტოს უფროსის ვალდებულებაზე წარმოადგინოს დეკლარაცია, თუ დაემორჩილოს აღნიშნული კანონის მოთხოვნებს.

ზაზგასამელია ისიც, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას¹ და დღის წესრიგს, რომელიც წარმოადგენს 2014-2016 წლებში საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი მუშაობისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას.² საქედან გამომდინარე, ირღვევა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №59 განკარგულება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აწერს ხელს. ასოცირების დღის წესრიგის ეკონომიკური თანამშრომლობის პარაგრაფში (2.5) და შემდგომ უკვე მთავრობის განკარგულებაში ნათლად წერია, რომ საქართველოს ცენტრალური ბანკის კანონმდებლობის გადასინჯვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირის ექსპერტიზით და ევროპის ცენტრალური ბანკის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, შემოთავაზებული ცვლილებები არ შეესაბამება ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს“, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელო პრინციპები საბანკო ზედამხედველობის სფეროში. ბაზელის კომიტეტის პრინციპების გათვალისწინება საკანონმდებლო ცვლილებების დროს პრინციპულად საჭიროა, რადგან სწორედ მასთან შესაბამისობას ადგენენ ინვესტორები ქვეყანაში შესვლის წინ. დოკუმენტის მიხედვით, აუცილებელია საბანკო ზედამხედველობას ჰქონდეს შესაბამისი დამოუკიდებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის დატოვება ეროვნული ბანკის შემადგენლობაში. თუმცა, თუ მაინც გადაუდებელი გახდება ზედამხედველობის გატანა საქართველოს ეროვნული ბანკიდან, აუცილებელია, რომ აღნიშნული ცვლილება თანხვედრაში მოვიდეს ბაზელის ძირითად პრინციპებთან ეფექტური საბანკო ზედამხედველობის შესახებ. ასევე, ცალსახად უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა გარანტია ექნება ნებისმიერ ახალ სააგენტოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები/ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. - თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2006. - 31 გვ: <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/thematicpublications/nbg7.9directo-rysupervisiongeo.pdf>
2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/kommerciuli_bankebis_shesaxeb_kanoni.pdf

3. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 „კონკურენციის შესახებ“: [http:// adjara.gov.ge/uploads/Docs/4df7243daab340a1ae38b5893424.pdf](http://adjara.gov.ge/uploads/Docs/4df7243daab340a1ae38b5893424.pdf)
4. World Bank, 2013: <http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTDEC/EXTGLO-BALFIN-REPORT/0,,contentMDK:23267422~pagePK:64168182~piPK:64168060~theSitePK:-881609700.html>
5. G30, 2008, The structure of Financial Supervision: Approaches and Challenges in a Global Marketplace, The Group of Thirty, Washington, D.C.
6. Herring, Richard J. and Carmassi, Jacopo, 2008, The Structure of Cross-Sector Financial Supervision. Financial Markets, Institutions & Instruments, Vol. 17, Issue 1, pp. 51-76.
7. GDFR 2013, Global Development Report: Rethinking the Role of the State in Finance, World Bank, Washington D.C.

The Legislative and Institutional Provision of Banking Competition in Georgia

Merab Vanishvili

*Doctor of Business Administration
Georgian Technical University, Professor
merabvanishvili@yahoo.com*

Nino Vanishvili

*Doctor of Business Administration
Georgian Technical University, Arch-teacher
ninivanishvili@yahoo.com*

R e s u m e

In the article, based on the latest literary sources and legislative acts, there is a consistent study of financial theory and economic practice, such as legislative and institutional provision of banking competition in Georgia.

It is highlighted that the country's banking system reforms are largely dependent on increasing its competitiveness and efficiency. Creating a competitive space in the banking sector is directly related to the improvement of the legislative-normative base on the competition.

The conclusion is on the removal of the existing Law on Competition and the National Bank of the Structural Unit of the Banking Supervision Function.

In this regard, it has been proposed to appeal to the European Union to take into consideration the commitment to undertake the Association Agreement with the EU in order to improve banking supervision and central bank legislation with the support of the European Union and the European Central Bank.

შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე: გადაწყვეტის გზები

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი

ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ინსტიტუტის დირექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Tengiz.verulava@tsu.ge

ჯანდაცვის ბაზარი თავისი ძირითადი მახასიათებლებით წარმოადგენს არასრულყოფილ კონკურენციის ბაზარს და ხშირად კლასიფიცირდება როგორც მონოპოლისტური ბაზარი და ოლიგოპოლია. ჯანდაცვის სისტემის შეზღუდულ კონკურენციას თავისი მიზეზები აქვს, კერძოდ, სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია, სამედიცინო ბაზარზე კონკურენტთა მცირე რაოდენობაა, სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდების იერარქიული სისტემაა, სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეს არ გააჩნია მისი შემცველი, სამედიცინო მომსახურება არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს [1].

ჯანდაცვის სისტემის შეზღუდული კონკურენცია ნეგატიურად მოქმედებს არამარტო სამედიცინო მომსახურების ხარისხზე, არამედ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ეფექტურ ხარჯვაზე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, სადაც ჯანდაცვაზე ისედაც მწირი სახსრები გამოიყოფა [2, 3].

შეზღუდული კონკურენციის უარყოფითი ეფექტების გადასაწყვეტად ბევრმა ქვეყანამ სხვადასხვა მეთოდები გამოიყენა. ამ თვალსაზრისით საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ჩვენი ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ჯანდაცვის სისტემაში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების ორი საყოველთაოდ ცნობილი მექანიზმი: კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი და ჩანაცვლებითი ფორმების როლი უნივერსალურ, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში და საავადმყოფოების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმებს შორის კონკურენციის ხელშეწყობა.

ამ მხრივ, საინტერესოა, რომ 2017 წლის მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს მსოფლიოში გავრცელებულ პრაქტიკას ჯანდაცვის დასაფინანსებლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად კერძო სამედიცინო დაზღვევის გამოყენებას და ამით სადაზღვევო სისტემაში კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას.

ამ ცვლილებების თანახმად, სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებს, ასევე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოსახლეობას, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000 ლარამდე მერყეობს და

6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს სრულად შეუნარჩუნდებათ „საბაზისო პაკეტი“. ამასთან, მათ არ ეზღუდებათ კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

დაბალი შემოსავლის მქონე (თვეში საშუალოდ 1000 ლარამდე), ასევე, თვითდასაქმებულ, არარეგულარული შემოსავლის მქონე და სხვა პირებს, კერძო დაზღვევის მიუხედავად, შეუნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უფლება, თუმცა მცირედ შეზღუდული პაკეტით. ასევე, გარდამავალ პერიოდში მათ ეძლევათ პრივილეგია, ჩაერთონ კერძო სადაზღვევო სქემებში. კერძოდ, თუ ასეთი პირი შეიძენს კერძო სადაზღვევო პაკეტს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ურგენტული სერვისები მაინც მიეწოდებათ უცვლელად. ამ კატეგორიისთვის, პროგრამის ფარგლებში, ასევე ხელმისაწვდომი რჩება ონკოლოგიური დაავა-

დებების მართვა (ქიმიო, ჰორმონო და სხვიური თერაპია) და მშობიარობა/საკეისრო კვეთის მომსახურება.

საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებმა, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40000 ლარს, უნდა გააკეთონ არჩევანი კერძო დაზღვევასა და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამას შორის. ამ კატეგორიის პირებს, მიუხედავად კერძო დაზღვევისა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეუნარჩუნდებათ ხელმისაწვდომობა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაზე (ქიმიო და ჰორმონოთერაპია), ასევე, მშობიარობა/საკეისრო კვეთის მომსახურებაზე.

მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40000 ლარს აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ. პროგრამის ფარგლებში ყველა მოქალაქეს უნარჩუნდება მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება და შეეძლება ჯანდაცვის სამინისტროს სხვა სახელმწიფო პროგრამებით სრულფასოვნად სარგებლობა.

ამგვარად, ცვლილებების შედეგად, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს დიფერენცირებულ პაკეტებს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების მიმართ და კერძო დაზღვევის გამოყენებას როგორც შევსებითი, ასევე ჩანაცვლებითი ფორმით. ამ მხრივ, საინტერესოა, ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად რომელი განეკუთვნება კერძო დაზღვევის ჩანაცვლებით ფორმას და რომელი - შევსებით ფორმას, და რამდენად უწყობს იგი ხელს სადაზღვევო სექტორში კონკურენტული გარემოს შექმნას.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში კერძო სამედიცინო დაზღვევის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ საქართველოში დაახლოებით 530000 პირი დაზღვეულია კერძო სამედიცინო დაზღვევით და მათზე, როგორც წესი, არ ვრცელდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა.

უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვის თუ სოციალური დაზღვევის სისტემის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება კერძო სამედიცინო დაზღვევა. მისი როლი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც სახელმწიფო სრულად აფინანსებდეს ჯანდაცვის ყველა სერვისს. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ბაზისურ პაკეტში ჯანდაცვის გარკვეული სერვისები შეიძლება საერთოდ არ შედიოდეს, ან შესაძლებელია ფინანსდებოდეს ნაწილობრივ (მაგ., სერვისი, სადაც გათვალისწინებულია ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდა). ასეთი მოუცველი ან ნაწილობრივ მოცული სერვისების დაფინანსების უზრუნველყოფა ხდება კერძო სამედიცინო დაზღვევით.

კერძო სამედიცინო დაზღვევა უნივერსალურ, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში გამოიყენება ჩანაცვლებითი, შევსებითი და დამატებითი სახით. განვიხილოთ თითოეული მათგანი. ზოგიერთ ქვეყნებში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები (მაგ., მაღალშემოსავლიანი პირები ან სახელმწიფო მოხელეები) არ არიან მოცულნი უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვით. ასეთი ადამიანებისათვის უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვა მთლიანად ჩანაცვლებულია კერძო სამედიცინო დაზღვევით. ამრიგად, *კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა* მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის წარმოადგენს ქვეყანაში არსებული უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ალტერნატიულ (ჩანაცვლებით) ფორმას. კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა გამოიყენებენ ნიდერლანდებში, გერმანიაში (მაღალშემოსავლიანი პირებისათვის), ესპანეთში (სახელმწიფო მოხელეებისათვის).

ჩანაცვლებითი კერძო სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში მოსახლეობის ამ ჯგუფებისათვის განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების ისეთივე სახეები, რაც უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვითაა გათვალისწინებული. მაგალითად, გერმანიაში პირებს, რომელთა შემოსავალი

აღმატება 40 000 ევროს შეუძლიათ გამოვიდნენ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სისტემა-დან ან დარჩნენ იმავე სისტემაში. ამასთან კერძო დაზღვევის სისტემის არჩევის შემდეგ კანონით მათ ევრძალვებათ უნივერსალურ, საყოველთაო დაზღვევის სისტემაში დაბრუნება. ასევე, ნიდერ-ლანდებში პირები, რომელთა შემოსავალი აღმატება 30 700 ევროს გამორიცხული არიან სავალ-დებულო სამედიცინო დაზღვევის სქემიდან და იყენებენ ჩანაცვლებითი კერძო სამედიცინო დაზღვევის სისტემას. ესპანეთში მაღალშემოსავლიანი პროფესიის ადამიანები (დამოუკიდებელი მოსამართლეები) მოცულნი არ არიან სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით.

2017 წლის 1 მაისიდან, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოში ინერგება ჯანმრთელობის ჩანაცვლებითი კერძო სადაზღვევო სქემა. კერძოდ, მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღმატება, გამოირიცხებიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან და მას ჩანაცვლებენ კერძო სამედიცინო დაზღვევით. რაც შეეხება საშუალო შემოსავლის მქონე პირებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღმატება 40 000 ლარს, მათ უნდა გააკეთონ არჩევანი კერძო დაზღვევასა და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამას შორის. ეს უკანასკნელიც კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის პირებს კერძო დაზღვევასთან ერთად შეუნარჩუნდებათ ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამით დადგენილ გარკვეულ სერვისებზე.

ჩანაცვლებითი კერძო სამედიცინო დაზღვევის გარდა, თანამედროვე მსოფლიოში უფრო მეტად გამოიყენებენ *შევსებით კერძო სამედიცინო დაზღვევას*. ამ შემთხვევაში ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი უნივერსალური ბაზისური პაკეტი, რომელიც საყოველთაო მთელი მოსახლეობისათვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია სამედიცინო მომსახურების იმ სახეების ნაწილობრივი, ან მთლიანი დაფინანსება, რომლებსაც საერთოდ არ მოიცავს (მაგ., სტომატოლოგიური სერვისები), ან ნაწილობრივ მოიცავს (მაგ., თანაგადახდა) საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა. მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში თანაგადახდის არსებობისას, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცდილობს დამატებით დაეზღვიოს კერძო სამედიცინო დაზღვევის ფონდში, რითაც ავადმყოფობის შემთხვევის დადგომისას თანაგადახდისაგან თავისუფლდება. საფრანგეთში შევსებითი კერძო სამედიცინო დაზღვევით მოცულია მოსახლეობის 86%, სლოვენიაში - 70%, კანადაში - 60%, ავსტრალიაში - 40%, ფინეთში - 40%.

2017 წლის 1 მაისიდან, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ჯანმრთელობის ჩანაცვლებითი კერძო სადაზღვევო სქემასთან ერთად ფუნქციონირებს შევსებითი კერძო სამედიცინო დაზღვევა კერძოდ, ამ ცვლილებების თანახმად, სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებს, ასევე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოსახლეობას, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000 ლარამდე მერყეობს და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის „საბაზისო პაკეტთან“ ერთად შეეძლებათ კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობა. ასევე, დაბალი შემოსავლის მქონე (თვეში საშუალოდ 1000 ლარამდე), ასევე, თვითდასაქმებულ, არარეგულარული შემოსავლის მქონე და სხვა პირებს, კერძო დაზღვევის მიუხედავად, შეუნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უფლება, თუმცა მცირედ შეზღუდული პაკეტით.

გარდა ჩანაცვლებითი და შევსებითი კერძო სამედიცინო დაზღვევისა, შედარებით უფრო მცირედ გამოიყენება *დამატებითი კერძო სამედიცინო დაზღვევა*. იგი გულისხმობს სამედიცინო დახმარების იმ სახეების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შედიან საყოველთაო ჯანდაცვის

პროგრამაში, ან შედის მაგრამ დამატებითი დაზღვევით პაციენტს სამედიცინო დახმარების მიმწოდებლების თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს, რაც ზრდის სერვისების სწრაფ ხელმისაწვდომობას (მაგალითად, გეგმიური სამედიცინო დახმარების ან სპეციალისტთან კონსულტაციის რიგგარეშე ჩატარება). ამ დროს, კერძო სამედიცინო დაზღვევის კომპანიები დაზღვეულებს სთავაზობენ როგორც მაღალი ხარისხით მომსახურებას, აგრეთვე მომსახურების განსაკუთრებულ პირობებს (ცალკე, კეთილმოწყობილ პალატაში მკურნალობა, რომელსაც აქვს ტელევიზორი და სხვა).

ჩვეულებრივ, სპეციალისტებთან კონსულტაციების ჩასატარებლად საჭიროა ზოგადი პრაქტიკის ექიმების მიმართვა და ხანგრძლივი რიგის გავლა, დამატებითი კერძო სამედიცინო დაზღვევის მქონე პირთათვის ასეთი შეზღუდვები არ ვრცელდება. პაციენტს უფლება აქვს საჭირო სამედიცინო დახმარება მისთვის სასურველ დროს ჩაიტაროს.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქვეყანაში კერძო სამედიცინო დაზღვევის სამივე ფორმის გამოყენება. საყოველთაო ჯანდაცვაში ადამიანების გაწევრიანება უნდა განისაზღვროს არა იმის მიხედვით, მათ აქვთ თუ არა კერძო სამედიცინო დაზღვევა, არამედ მათი ქონებრივი და შემოსავლების მიხედვით. პირები, რომელთა შემოსავალი აღემატება გარკვეულ ზღვარს შესაძლებელია გამოირიცხონ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან და დაეზღვიონ კერძო სამედიცინო დაზღვევით (კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა). ამით გამონთავისუფლებული თანხებით უნდა გაფართოვდეს მოწყვლადი ფენების სადაზღვევო პაკეტი. იმ პირებს, რომლებიც არც ძალიან ღარიბები არიან და არც ძალიან შეძლებული, ჩართულნი არიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, უნდა მიეცეთ სახელმწიფო პროგრამით მოუცველ ან ნაწილობრივ მოცულ სერვისებზე კერძო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობის შესაძლებლობა (კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი ფორმა). ამრიგად, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამების ეფექტური თანაარსებობა, რაც ხელს შეუწყობს კერძო სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციას.

ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის რამდენიმე ფორმა არსებობს: არაკომერციული, მომგებიანი, სახელმწიფო, სახელმწიფო-კერძო პარტნიორული. ასეთი მრავალფეროვნება ხელს უწყობს კონკურენციას სამედიცინო ბაზარზე. აღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოში უმთავრესად სამედიცინო დაწესებულებების მესაკუთრეობის უპირატესად კერძო მომგებიანი ფორმა განვითარებული (სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა ძალიან მცირეა), რაც აფერხებს სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმებს შორის კონკურენციას. ამ მხრივ, საინტერესოა, გავარკვიოთ, რამ განაპირობა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მესაკუთრეობის მხოლოდ ორი ფორმის არსებობა და რა არის მისი უარყოფითი მხარეები, რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მსოფლიოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არაკომერციული ორგანიზაციაა. ხშირად სიტყვა „არამომგებიანი“ არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ და წარმოვიდგენენ ისეთ ორგანიზაციად, რომელიც არ ეწევა მომგებიან საქმიანობას. სინამდვილეში კი არამომგებიან, ისევე როგორც მომგებიან, ან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში ცდილობენ მიიღონ მოგება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიღებული მოგების განაწილების თვალსაზრისით. კერძოდ, არამომგებიან საავადმყოფოებში, მომგებიან საავადმყოფოებისგან განსხვავებით, მოგების განაწილება არ ხდება მესაკუთრეებზე. მათ მართავენ საბ-

ჭოები და მიღებული მოგება ნაწილდება სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ახალი სადიაგნოსტიკო მოწყობილობების შექმნაზე, სამედიცინო პერსონალის ხელფასის გაზრდაზე [4].

არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესი განვითარება აღინიშნება როგორც ევროპის ქვეყნებში, სადაც უმთავრესად უნივერსალური ჯანდაცვაა განვითარებული, ასევე აშშ-ში, სადაც ჯანდაცვა უმთავრესად განიხილება როგორც სამედიცინო ბაზარი. ევროპის ქვეყნებში არაკომერციული სამედიცინო ორგანიზაციები შეადგენენ 70-80%-ზე მეტს, ასევე, აშშ-ში - 57%-ს შეადგენს არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციები, 26% - სახელმწიფო საავადმყოფოები, ხოლო კერძო მომგებიანი საავადმყოფოები - 17 % [5].

საქართველოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მხოლოდ ორი ფორმა არსებობს - საავადმყოფოთა 88.6% კერძო, მომგებიანი ორგანიზაციებია (მათ შორის 42% სადაზღვევო კომპანიებს ეკუთვნის, ფიზიკურ პირებს - 29 %, სხვა ტიპის კომპანიებს - 18.4%), ხოლო 8% - სახელმწიფოს (ძირითადად, ფსიქიატრიული და სპეციფიკური სამედიცინო მომსახურების გამწევი საავადმყოფოებია) [6].

აქვე აღსანიშნავია, რომ გასაბჭოებამდე საქართველოშიც არსებობდა საქველმოქმედო საავადმყოფოები. ასე, მაგალითად, თბილისში, ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ადგილზე 1908 წლიდან, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ტაძართან განთავსდა ლაზარეთი. დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთი იყო განთავსებული. ისინი წარმოადგენდნენ არაკომერციულ საავადმყოფოებს. 1921 წლიდან, გასაბჭოების შემდეგ, არაკომერციული საავადმყოფოები გადაკეთდა სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციებად. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში საავადმყოფოების საკუთრების მხოლოდ ორი - სახელმწიფო და კერძო ფორმებია გავრცელებული [7]. ამგვარად, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს ჯანდაცვის სისტემა განვითარების იმ ხაზს ასცდა, საითკენაც ვითარდებოდნენ ევროპის ქვეყნები.

დასავლეთის ქვეყნებში არაკომერციული საავადმყოფოების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა სახელმწიფოს მხარდაჭერამ. მათი შემოსავალი და ქონება უმთავრესად გათავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისგან [8]. გარკვეული წვლილი მიუძღვის საზოგადოების მხრიდან ნდობის ფაქტორს. სამედიცინო ბაზარზე, სადაც პაციენტი მცირედაა ინფორმირებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. პაციენტები უფრო ენდობიან არამომგებიან საავადმყოფოებს, რადგან იგი არ არის დაინტერესებული მოგების მიღებით და არ ცდილობს პაციენტის არაინფორმირებულობის გამო მიიღოს სარგებელი [9].

გარდა ამისა, არამომგებიან საავადმყოფოს საქმიანობას ზედამხედველობს საზოგადოება, სადაც ექიმებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ საავადმყოფოს პოლიტიკა, შეიძინონ მათთვის სასურველი სამედიცინო მოწყობილობები, პაციენტებს დაბალ ფასად მიაწოდონ ძვირადღირებული სერვისები. ამგვარად, არამომგებიანი საავადმყოფოები მეტად შეესაბამება ექიმების ფინანსურ ინტერესებს [10].

არამომგებიანი საავადმყოფოების უპირატესი განვითარება დაკავშირებულია თავად ჯანდაცვის დარგის თავისებურებებით. ჯანდაცვის ბაზარზე მომხმარებლები ნაკლებად არიან კომპეტენტური შეაფასონ მიღებული მომსახურების ხარისხი. შედეგად, ექიმი განსაზღვრავს პაციენტისათვის საჭირო სერვისებს, განსხვავებით ჩვეულებრივი ბაზრისაგან, სადაც მყიდველი განსაზღვრავს მიწოდებას. ამგვარად, სამედიცინო ბაზარზე მოთხოვნას განსაზღვრავს მიმწოდებელი. მიმწოდებელს შეუძლია მის ხელთ არსებული ინფორმაციული უპირატესობით სტიმული მისცეს პაციენტისათვის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მომსახურების მოთხოვნას. ამ ფენომენს ჯანდაცვის ეკონომიკაში უწოდებენ მიწოდებით წარმოებულ მოთხოვნას [11]. მომგებიანი საავადმყოფოები

ცდილობენ სამედიცინო მომსახურებაზე ისეთი ფასები დააწესონ, რომ მაქსიმალურად გაზარდონ მოგება. არამომგებიანი საავადმყოფოები ცდილობენ სერვისებზე ისეთი ფასი დააწესონ, რომ გაწეული ხარჯების დასაფარად გააჩნდეთ საკმარისი შემოსავლები [12].

დასავლეთის ქვეყნებში არაკომერციული საავადმყოფოების განვითარებას ხელი შეუწყო მათი შემოსავლებისა და ქონების გათავისუფლებამ სახელმწიფო გადასახადებისგან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში არაკომერციულ ორგანიზაციებზე გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, მისი მხოლოდ ჩანაწერის სახით არსებობა არაა საკმარისი არაკომერციული საავადმყოფოების ხელშესაწყობად. საჭიროა საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების შემდგომი დახვეწა და ევროპული გამოცდილების გათვალისწინება.

სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის აღნიშნული ფორმების გარდა, მსოფლიოში გავრცელებულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ორგანიზაციები. ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის თანამშრომლობას, სარგებლების, ხარჯების და რისკების ერთმანეთს შორის განაწილების მეშვეობით [13]. აღსანიშნავია, რომ საქართველოში იგეგმება კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის დანერგვა.

ამგვარად, სამედიცინო ბაზარზე არსებული შეზღუდული კონკურენციის უარყოფითი ეფექტების გადასაწყვეტად საჭიროა კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი და ჩანაცვლებითი ფორმების გამოყენება საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში, ასევე საავადმყოფოების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების (კერძო არაკომერციული, კერძო მომგებიანი, სახელმწიფო და სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ორგანიზაციები) განვითარების ხელშეწყობა. ამით, გაიზრდება სადაზღვევო კომპანიებსა და სამედიცინო ორგანიზაციებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ხარჯების შემცირებას, სამედიცინო ხარისხის და რაც მთავარია, ჯანდაცვის სერვისებზე მოსახლეობის კმაყოფილების ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ვერულავა (2016). ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. თენგიზ ვერულავა. 2017. ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში: შედარებითი ანალიზი, შეფასება. თსუ-ის II საერთაშორისო კონფერენციის „პოლიტიკა კავკასიის გარშემო“ შრომათა კრებული. თსუ. გვ. 101-116
3. საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი (2012). საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. თბილისი.
4. ვერულავა თ. (2017). არამომგებიანი საავადმყოფოების როლი ჯანდაცვის სისტემაში, მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო. ეკონომიკა და ბიზნესი. თსუ.
5. ვერულავა თ. (2007). ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ვერულავა თ. (2016) *სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინოვაციური მექანიზმი*. თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული. 130-134.
7. AHA, 2007. American Hospital Association. Hospital Statistics. Chicago: AHA.
8. Feldstein P.J. (2011). Health Policy Issues: An Economic Perspective, Fourth Edition Chicago AUPHA press.
9. Folland S., Goodman A.C., Stano M. (2007). The economics of health and health care. New Jersey.

10. Gruber, J. (1994). The Effect of Competitive Pressure on Charity. Hospital Responses to Price Shopping in California. *Journal of Health Economics*. 13. (2) 183-212.
11. Norton E., Staiger. (1994). How Hospital Ownership Affects Access to Care for Nonprofits Different? *Health Affairs* 18. (3): 167-73.
12. Verulava, T., Maglakelidze, T. (2017). Health Financing Policy in the South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 11 (2): 143-150.
13. Walker. D, M. (2005). Nonprofit, For-Profit and Government Hospital Uncompensated Care and Other Community Benefit. Testimony before the Committee on Ways and Means, House of Representatives.

Limited Competition in the Healthcare Market: Policy Solutions

Tengiz Verulava

Doctor of Medicine

Director of Health Policy and Insurance Institute

Professor of Ilia State University

Tengiz.verulava@tsu.ge

R e s u m e

The healthcare market is classified as a monopolistic market and oligopoly. The limited competition in the health care system is conditioned by the specifics of the medical market. Restricted competition negatively affects not only the quality of health care but also on effective spending of funds allocated for health care. This problem is especially important for a country like Georgia where small funds are allocated for health care.

Many countries have used different methods to address adverse effects of limited competition. The goal of the work is to review the two mechanisms for improving the competitive environment in the healthcare system: the role of complementary and replacement forms of private health insurance in the universal health care system and promotion of competition between different forms of ownership of hospitals. In this regard, it is interesting that since May 2017, there have been some changes in the universal health care program that encompasses promoting competitive environment in the insurance system.

ანტიდემპინგი: კონკურენცია თუ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა?*

ქეთევან ზუკაკიშვილი

სამართლის მაგისტრი

ევროპის კოლეჯი (ბრუგე, ბელგია)

ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის აკადემიური ასისტენტი

ketevan.zukakishvili@coleurope.eu

ნინო ჯიბუტი

სამართლის დოქტორი

საქართველოს კონკურენციის სააგენტო

მთავარი სპეციალისტი

nino_jibuti@yahoo.com

I. შესავალი

დღეისათვის საქართველოში აქტიურად განიხილება დემპინგურ ქმედებებზე სახელმწიფოს რეაგირების მოწესრიგების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით დისკუსია მიმდინარეობს როგორც თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს შორის. წინამდებარე სტატიის მიზანია, სიცხადე შეიტანოს ანტიდემპინგური ღონისძიებების არსში და რეგულირების ასპექტებში. რამდენადაც „დემპინგური ფასის“ ცნება ხშირად ერევათ კონკურენციის სამართლით განსაზღვრულ „მტაცებლურ ფასში“, სტატია ასევე განიხილავს ამ ორი ცნების ურთიერთმიმართებას, შესაბამისად, სვამს კითხვას - შეიძლება თუ არა კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო იმავდროულად ანტიდემპინგურ ღონისძიებებსაც აღასრულებდეს. სტატია, ცნებათა ერთმანეთისგან გამიჯვნის გზით, ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთგვარი მცდელობაა.

II. რა არის დემპინგი?

დემპინგი საერთაშორისო ვაჭრობაში გავრცელებული ფასდადების პრაქტიკაა, რომელიც იმპორტირებული საქონლის უსამართლოდ დაბალ ფასად რეალიზაციას გულისხმობს. უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის დემპინგურ ფასად გაყიდვა, როგორც წესი, იმპორტიორი ქვეყნის ადგილობრივ ინდუსტრიას ვნებს. ზიანის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილეები ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ. დემპინგისგან მიყენებული ზიანის კომპენსაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული ანტიდემპინგური ღონისძიებებით ხდება.

III. როგორია ანტიდემპინგური ღონისძიებების საერთაშორისო რეგულირება?

ვაჭრობის ლიბერალიზაციას, მათ შორის, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების დადებას (ტარიფების დაწევა, სხვა სავაჭრო ბარიერების მოხსნა ან შემცირება) თან ახლავს იმპორტისა და ექსპორტის ზრდა. საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივების კვალდაკვალ, ადგილობრივ მეწარმეებს უცხოელი კონკურენტები უჩნდებათ. ერთი მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობის შედეგია მომხმარებლის წვდომა უფრო მეტ, განსხვავებულ და იაფ პროდუქციაზე. მეორე მხრივ, იმპორტის სწრა-

* სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები პირადია და არ გამოხატავს ავტორების დამსაქმებლების პოზიციას.

ფი ზრდა, განსაკუთრებით კი, თუ ამას თან ახლავს დემპინგი, ეროვნული მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ამ დროს ერთმანეთს უპირისპირდება ორი ღირებულება: თავისუფალი ვაჭრობის შედეგად გაზრდილი მომხმარებლის კეთილდღეობა და ადგილობრივი წარმოების შენარჩუნება ან/და განვითარება. ეს უკანასკნელი, ცხადია, გავლენას ახდენს ლოკალური დასაქმების მაჩვენებელზეც. აღნიშნული ღირებულებების დასაბალანსებლად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (შემდგომში - „მსო“) წევრმა სახელმწიფოებმა სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციეს საერთაშორისო ვაჭრობა, მათ შორის, დემპინგი და მის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსო-ს სისტემა, ზოგადად, მიმართულია ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ. თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც მსო-ს წესები საშუალებას აძლევენ წევრ სახელმწიფოებს, თავი დაიცვან უსამართლო ვაჭრობის ან მოჭარბებული საქონლისგან და ამით ადგილობრივ ინდუსტრიას დაეხმარონ. ასეთი გამონაკლისებია: წესები ანტიდემპინგური ღონისძიებების, სუბსიდირების საკომპენსაციო მექანიზმებისა და მოჭარბებული იმპორტისგან თავდაცვის შესახებ.

დემპინგის პრობლემატიკას ეძღვნება ტარიფებსა და ვაჭრობაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლი (შემდგომში - „GATT VI მუხლი“), რომელსაც ავსებს და განავრცობს შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის გამოყენების შესახებ (შემდგომში - „შეთანხმება ანტიდემპინგის შესახებ“).

GATT VI მუხლის მიხედვით, დემპინგი ერთი სახელმწიფოს პროდუქციის მეორე სახელმწიფოში ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად სავაჭროდ შეტანაა. იმპორტიორ ქვეყანაში ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად პროდუქციის სავაჭროდ განთავსებად ჩაითვლება, თუკი საქონლის ფასი იმპორტიორ ქვეყანაში ნაკლებია შესადარ ფასზე, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ისეთ საქონელზე, რომელიც გამიზნულია მოხმარებისთვის ექსპორტირების ქვეყანაში. სხვა სიტყვებით, თუკი მსო-ს წევრ A სახელმწიფოში მოხმარებისთვის გამიზნული X პროდუქტის ფასი, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, არის 10 დოლარი, დემპინგად ჩაითვლება იმავე საქონლის A-დან B სახელმწიფოში ექსპორტი 7 დოლარად.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტიორ სახელმწიფოში არ ხდება იმავე საქონლის რეალიზაცია, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არ არსებობს ასეთი „შიდა სახელმწიფოებრივი ფასი“, მაშინ დემპინგი დგინდება შემდეგნაირად: იმპორტიორ ქვეყანაში შეტანილი საქონლის ფასი შეედრება ექსპორტიორი ქვეყნიდან ნებისმიერ მესამე ქვეყანაში საექსპორტო ფასს ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში ან წარმოშობის ქვეყანაში საქონლის წარმოების ფასისა და დამატებით რეალიზაციასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების ჯამს, და იგი რომელიმე მათგანზე ნაკლები არ უნდა იყოს. აღნიშნული მოიაზრებს, რომ A სახელმწიფოში შეტანილი საქონლის ფასი დემპინგური იქნება, თუ სავაჭროდ ჩაშვებული პროდუქტის ფასი A სახელმწიფოში ნაკლებია B-დან C სახელმწიფოში საექსპორტო ფასზე, ან B-ში იმავე საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯების ჯამზე.

GATT VI მუხლი აკეთებს დათქმას, რომ ზემოთ მიმოხილული გამოთვლების ჩატარებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები საქონლის რეალიზაციის პირობებსა და საგადასახადო სისტემაში, ასევე, ნებისმიერი ისეთი განსხვავება, რამაც შესაძლოა ფასების შედარებაზე გავლენა იქონიოს.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, დემპინგის ფაქტის დადგენა მნიშვნელოვან გამოწვევებთანაა დაკავშირებული, რადგან საჭიროა საქონლის სარეალიზაციო ფასის დადგენა არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მესამე ქვეყნებში. დემპინგის დადგენის დეტალური მეთოდოლოგია ანტიდემპინგის შესახებ შეთანხმების მე-2 მუხლშია გაწერილი.

IV. რა შემთხვევაში გამოიყენება ანტიდემპინგური ღონისძიებები?

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის შესახებ ლიტერატურაში არსებობს კონსენსუსი, რომ დემპინგი „უსამართლო“ სავაჭრო პრაქტიკაა, მსო-ს წესების მიხედვით, იგი თავისთავად აკრძალული არაა. მსო-ს წესების თანახმად, სახელმწიფოს, რომელიც მიიჩნევს, რომ დემპინგის მსხვერპლია, შეუძლია თავდაცვითი მექანიზმების ამოქმედება. ამ შემთხვევაში, იმპორტიორმა სახელმწიფომ დემპინგის ფაქტთან ერთად, ასევე, უნდა დაამტკიცოს, რომ დემპინგის შედეგად მის ადგილობრივ ინდუსტრიას მნიშვნელოვანი ზიანი ადგება, არსებობს ასეთი ზიანის საფრთხე, ან მნიშვნელოვნად გვიანდება ადგილობრივი ინდუსტრიის შექმნა. სავალდებულოა დემპინგისა და ზიანის ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადასტურებაც.

ზიანის ფაქტის დადგენა უნდა მოხდეს ანტიდემპინგის შესახებ შეთანხმების მე-4 მუხლის შესაბამისად. იმპორტიორმა სახელმწიფომ ზიანის ფაქტი უნდა დაადასტუროს ობიექტური შესწავლის შედეგად და პოზიტიურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მოიცავს დემპინგური იმპორტის მოცულობისა და ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი საქონლის ფასზე ასეთი იმპორტის გავლენის, ასევე, მსგავსი საქონლის მწარმოებელი ადგილობრივი ინდუსტრიის საქმიანობაზე დემპინგის შედეგების ანალიზს. თითოეული ზემოაღნიშნული ელემენტის დადგენას თავისი დეტალური წესები აქვს.

როგორც აღინიშნა, ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება მსო-ს წევრ სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა დადასტურებულია სამივე ელემენტის არსებობა: დემპინგის ფაქტი; ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანი; მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დემპინგურ იმპორტსა და ზიანს შორის.

აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური ღონისძიებების დაკისრების მიზნით შესწავლა იწყება ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადების საფუძველზე. სავალდებულოა, რომ შესწავლას ითხოვდეს იმპორტირებული საქონლის მსგავსი პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებელთა მინიმუმ 25%. მათვე ეკისრებათ დემპინგის, ზიანისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა. საკუთარი ინიციატივით შესწავლის დაწყება შემსწავლელ ორგანოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია, როდესაც ყველა აღნიშნული მტკიცებულება უკვე მის ხელთაა. შესაბამისად, ნათელია, რომ ანტიდემპინგური ღონისძიებების დაკისრების ბიძგი იმპორტირებულის მსგავსი საქონლის ადგილობრივი მწარმოებლებისგან მოდის.

მსო არ ავალდებულებს, არამედ ნებას რთავს წევრ სახელმწიფოებს, დემპინგის პრევენციის ან განეიტრალების მიზნით გამოიყენონ ანტიდემპინგური მექანიზმები, რომლებმაც შესაძლოა სამგვარი სახე მიიღოს: დროებითი ღონისძიება (ძირითადად, დროებითი ტარიფის სახით); (ნებაყოფლობითი) ვალდებულებები ფასზე; საბოლოო ანტიდემპინგური ტარიფი.

ანტიდემპინგური ღონისძიებების მიზანი დემპინგური ზღვრის (განსხვავება ნორმალურ ღირებულებასა და დემპინგურ ფასს შორის) განეიტრალება, შედეგი კი - დემპინგურ საქონელზე ფასის ზრდაა. ერთი მხრივ, დემპინგური იმპორტირებული საქონლის ფასის ნორმალურ ნიშნულამდე აყვანა მას იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას აკარგინებს, რაც ადგილობრივ ინდუსტრიას საშუალებას აძლევს, კვლავ გაუწიოს კონკურენცია უცხოურ პროდუქციას. ეს სასარგებლოა არამარტო კონკრეტული ადგილობრივი მეწარმეებისთვის, არამედ მათ მიერ დასაქმებული მუშახელისთვისაც. მეორე მხრივ, დემპინგის განეიტრალება იწვევს უცხოურ პროდუქციაზე ფასის ზრდას, რაც მომხმარებლის ინტერესებს ვნებს. ამდენად, ანტიდემპინგური ღონისძიების დაკისრებამ შესაძლოა უფრო დიდი ზიანი გამოიწვიოს, ვიდრე სარგებელი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ხსენებული მექანიზმების გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიღმისეული შესწავლა და თანმდევი ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების ანალიზი.

V. ანტიდემპინგური ღონისძიებები - სავაჭრო პოლიტიკის ნაწილი

ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარება მსო-ს სისტემაში არსებული შეთანხმებების შესაბამისად ხორციელდება. თავად მსო-ს შეთანხმების VI მუხლი არ არსებობს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების სხვა ნაწილებისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, დემპინგის განსაზღვრა ხდება მსო-ს სამართლისა და წევრი სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკის გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ თავად GATT VI მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, ასევე, ეხება სუბსიდიების საკომპენსაციო მექანიზმების დაკისრებას. გამოდის, რომ ანტიდემპინგური ღონისძიებების მარეგულირებელი ნორმა, ასევე, ნაწილობრივ არეგულირებს ვაჭრობაში თავდაცვით კიდევ ერთ ღონისძიებას - აკრძალული სუბსიდიების წინააღმდეგ საკომპენსაციო ტარიფის დაკისრებას. ვაჭრობაში თავდაცვით მექანიზმებს, როგორც ვაჭრობის პოლიტიკის ერთ-ერთ ნაწილს, ერთად აჯგუფებს ევროკავშირიც. ანტიდემპინგურ ღონისძიებებს ვაჭრობის კარში, ვაჭრობაში თავდაცვითი მექანიზმების თავში მიმოიხილავს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაც.

ანტიდემპინგურ ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში შედის საერთაშორისო ვაჭრობაზე პასუხისმგებელი ორგანოების კომპეტენციაში. ევროკავშირში დემპინგზე რეაგირება ევალევა ევროკომისიის ვაჭრობის გენერალურ დირექტორატს, აშშ-ში - საერთაშორისო ვაჭრობის კომისიას, ჩინეთში - ვაჭრობის სამინისტროს, კანადაში - სასაზღვრო სააგენტოს, ინდოეთში - ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროს ვაჭრობის დეპარტამენტს, თურქეთში - ეკონომიკის სამინისტროს იმპორტის დირექტორატს და ა.შ. მათ მიერ შესწავლის შედეგად დაკისრებული ანტიდემპინგური ღონისძიების გასაჩივრება შესაძლებელია არამართო ეროვნულ სასამართლოებში, არამედ

მსო-ს დავების გადაწყვეტის მექანიზმის ფარგლებში დავის წამოწყების გზითაც, რაც მოითხოვს საერთაშორისო ვაჭრობის, განსაკუთრებით კი - მსო-ს სამართალში ექსპერტიზას.

ბოლოს, ანტიდემპინგური მექანიზმების არათანაზომიერმა გამოყენებამ შესაძლოა სახელმწიფოს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში სერიოზული პრობლემები შეუქმნას. ამდენად, ანტიდემპინგური ღონისძიებების აღმასრულებელი ორგანო უნდა იყოს შესაბამისი ავტორიტეტის მქონე როგორც სახელმწიფოს გარეთ, ისე სახელმწიფოს შიგნით, რათა ადგილობრივი ინდუსტრიის წინებს გაუძლოს და ანტიდემპინგური შესწავლა მხოლოდ მაშინ დაიწყოს, როდესაც ამის საშუალებას ობიექტური გარემოებები (და არა პროტექციონისტული ინტერესები) იძლევიან.

VI. კონკურენციის სააგენტო - ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანო?

ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღსრულების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ნათელია, რომ მწელად მოიძებნება იურისდიქცია, სადაც ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღსრულება არის კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილება. ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ აღსრულებს ანტიდემპინგურ კანონმდებლობას სხვა ორგანო და არა კონკურენციის სააგენტო. კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ვაჭრობისა და კონკურენციის პოლიტიკა.

VII. სად გადის ზღვარი ვაჭრობის პოლიტიკასა და კონკურენციის პოლიტიკას შორის?

ტერმინი „კონკურენციის პოლიტიკა“ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, ზოგადად, შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს ღონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიების ქმედებასა და წარმოების სტრუქტურაზე იმ მიზნით,

რომ მიღწეულ იქნეს ეფექტიანობა და მაქსიმალური კეთილდღეობა. კონკურენციის სამართალი კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. კონკურენციის პოლიტიკა, ფართო გაგებით, მარეგულირებელ ნორმებსა და ინსტიტუტებსაც (სტრუქტურებს) მოიცავს, რომლებიც ბაზრის ლიბერალიზაციისკენაა მიმართული.

ვაჭრობის პოლიტიკა, თავის მხრივ, მოიცავს საერთაშორისო შეთანხმებებისა და შიდა-სახელმწიფოებრივი რეგულაციების ფართო სპექტრს, რომელიც არეგულირებს იმპორტსა და ექსპორტს. აღნიშნული მოიცავს იმპორტის გადასახადებს, მათ შორის, ტარიფებს, ასევე, ქვოტებს, ტექნიკურ რეგულაციებს და ა.შ. ვაჭრობის პოლიტიკის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობაში სახელმწიფოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა. როგორც უკვე აღინიშნა, ანტიდემპინგური ღონისძიებები ვაჭრობის პოლიტიკის ნაწილია.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, ვაჭრობის პოლიტიკა (ანტიდემპინგის ჩათვლით) და კონკურენციის პოლიტიკა ერთმანეთს კვეთს. რიგ შემთხვევაში, ისინი ერთსა და იმავე ქმედებას შეიძლება (განსხვავებულად) არეგულირებდნენ. თუმცა, ამ ორ პოლიტიკას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა როგორც პრაქტიკულად, ასევე კონცეპტუალურადაც. კონკურენციის სამართალი ამჯობინებს დინამიკურ, მუდმივად ცვალებად ბაზარზე ძლიერ კონკურენტებს, ანტიდემპინგური კანონმდებლობა კი - ბაზრის უფრო სტატიკუს მოდელს, სადაც, უპირველეს ყოვლისა, დაცულია ინვესტორებისა და მუშახელის ინტერესები.

ასევე, მიიჩნევა, რომ კონკურენციის სამართალი უფრო გამჭვირვალე, პროცედურულად სამართლიანი და ნაკლებად დისკრიმინაციულია უცხოური კომპანიების მიმართ, ვიდრე ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების სამართალი. სწორედ სავაჭრო და კონკურენციის პოლიტიკას შორის ამ დისპარმონიამ განაპირობა ის, რომ ორივე პოლიტიკამ თავისი ადგილი დაიმკვიდრა ნაციონალურ იურისდიქციაში. დისპარმონია მოიცავს ისეთი საკვანძო საკითხების განსხვავებულად გაგებასა და განმარტებას, როგორცაა ფასის დისკრიმინაცია. ანტიდემპინგური კანონმდებლობა თავდაპირველად ისეთი შემთხვევისთვის ამოქმედდა, როგორც იყო „ფასის საერთაშორისო დისკრიმინაცია“ და კონკურენციის კანონმდებლობის გაფართოებად განიხილებოდა. თუმცა, დღესდღეობით, თანამედროვე ანტიდემპინგური პრაქტიკის შედეგი, ნაწილობრივ, კონკურენციის შეზღუდვაცაა.

კონკურენციის კანონმდებლობა მხოლოდ „მტაცებლურ ფასებს“ კრძალავს, რაც ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიის მიერ შეუსაბამოდ დაბალი ფასის დადგენას გულისხმობს. ამ ქმედების მიზანი ან შედეგია ბაზრიდან კონკურენტების განდევნა. კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული „მტაცებლური ფასის“ შემადგენლობას სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას ბაზარზე დომინანტი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანია აკეთებს და იგი არ კრძალავს ყველა შემთხვევაში (მაგ. არა დომინანტი კომპანიის მიერ) თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვას. კონკურენციის სამართლის გადასახედიდან, თვითღირებულებაზე დაბალ ფასად საქონლის რეალიზაცია, თუკი ამას არადომინანტი კომპანია აკეთებს, ბაზარზე შესვლის და სწრაფად გაფართოების სრულიად მისაღები სტრატეგიაა.

მეორე მხრივ, ანტიდემპინგური სამართლის მიხედვით, დემპინგის სუბიექტი შესაძლოა ნებისმიერი უცხოური კომპანია აღმოჩნდეს საქონლის „უსამართლოდ დაბალ ფასად“ რეალიზაციის შემთხვევაში, კომპანიის საბაზრო წილის მიუხედავად. რადგან ანტიდემპინგური კანონმდებლობის მთავარი მიზანია, დაიცვას „ადგილობრივი წარმოება“ და საბოლოო ჯამში, ბაზრის მონაწილეები, იგი სანქციას უწესებს საერთაშორისო ფასის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, რომელიც ადგილობრივ წარმოებას აშკარა ზიანს აყენებს. შესაბამისად, იგი თავისუფლად შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს კონკურენციის სამართალთან. ამდენად, მხედვე-

ლობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ კონკურენციის სამართალი და ანტიდემპინგური სამართალი მსგავს ქმედებას განსხვავებულ შეფასებას აძლევს, სხვადასხვა სტანდარტის (ტესტის) საფუძველზე. შედეგად, ერთი და იმავე ორგანოს მიერ ორი ხსენებული უფლებამოსილების შეთავსება საკმაოდ რთულად წარმოსადგენია.

ამასთან, დემპინგის ცნება ისეთი მექანიკურია, რომ მის მოტივს საერთოდ არ ენიჭება მნიშვნელობა. კომპანია შეიძლება გახდეს ანტიდემპინგური მოკვლევის ობიექტი ავტომატურად, განზრახვის მიუხედავად. ამის საპირისპიროდ, კონკურენციის კანონმდებლობა არეგულირებს მხოლოდ ფასის დისკრიმინაციას „მტაცებლური მოტივით“, ანუ იმ მიზნით ან/და შედეგით, რომ ბაზრიდან კონკურენტები გააძეოს.

გარდა ამისა, ანტიდემპინგური კანონმდებლობის ფარგლებში, ნაციონალურ ხელისუფლებას დიდი დისკრეტია ეძლევა. დემპინგის დადგენის მეთოდოლოგიაში მცირედი, უმნიშვნელო ცვლილების საფუძველზე, შესაძლებელია პრიორიტეტი მიეცეს ადგილობრივ კომპანიებს და მოხდეს დემპინგის ხელოვნურად დადგენა. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ადგილობრივი კომპანიების არაეფექტიანი საქმიანობა შეიძლება მარტივად მიეწეროს დემპინგს, განსაკუთრებით, ეკონომიკური რეცესიის დროს.

არსებობს უფრო რადიკალური მოსაზრებაც, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობის უბრალო არსებობაც კი ადგილობრივ მწარმოებლებს უკვე აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ პროდუქციას მაღალი ფასები დაადონ, რაც ანტიდემპინგური კანონმდებლობის არარსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა, რადგან იარსებებდა საფრთხე, რომ იმპორტიორები ფასების აგრესიულ პოლიტიკას განახორციელებდნენ.

აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ ანტიდემპინგური კანონის არსებობა აზიანებს კონკურენციას ორივე მხრიდან: ერთი მხრივ, აიძულებს ექსპორტიორებს, გაყიდონ პროდუქცია მაღალ ფასად და მეორე მხრივ, ადგილობრივ მწარმოებლებს აძლევს თავისუფლებას, დააწესონ მაღალი ფასები, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ ჩანასახშივე შეიძლება ითქვას რომ ანტიდემპინგური კანონი არის პროტექციონისტური, რადგან იგი სარგებლის მომტანია ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, მომხმარებლის ხარჯზე გარე კონკურენციის შეზღუდვის საფუძველზე და ამიტომაც კონფლიქტშია კონკურენციის სამართლის მიზნებთან.

დაბოლოს, განვითარებად იურისდიქციებში ანტიდემპინგური კანონმდებლობის შეტანა მნიშვნელოვან გამოწვევას უკავშირდება. არსებობს მომეტებული რისკი, რომ ეკონომიკური აგენტები, იმის მაგივრად, რომ ჯანსაღი ფასის კონკურენციით მიაღწიონ მოგების მაქსიმიზებას, ეცდებიან, განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომელიც იმპორტზე ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების საფუძველი გახდება. კომპანიებს, რომლებსაც კავშირები აქვთ, შეუძლიათ, დაარწმუნონ სახელმწიფო სტრუქტურები იმაში, რომ გამოიყენონ მსო-ს ანტიდემპინგური შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებები, რაც, საბოლოო ჯამში, საგარეო კონკურენციას ეფექტიანად დალუქავს. ხსენებულთან, ცხადია, წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის სამართლის წამყვანი პრინციპი, რომ ის იცავს ბაზარზე თავისუფალ კონკურენციას და არა კონკრეტულ კონკურენტებს. ანტიდემპინგური კანონმდებლობის შემოღებისას, საჭიროა აღნიშნული რისკების გათვალისწინება.

VIII. დასკვნა

ანტიდემპინგური ღონისძიებების სამართალი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩოს განუყოფელი ნაწილია და მისი მიზანი ვაჭრობაში უსამართლო ქმედებებისგან თავის დაცვა, ამ გზით საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაა. ანტიდემპინ-

გური ღონისძიებები, გარკვეულწილად, პროტექციონისტულია და მიზნად ისახავს არა მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევას, არამედ (თუნდაც, ნაკლებად ეფექტიანი) ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვას. კონკურენციის პოლიტიკა, თავის მხრივ, საყოველთაო კეთილდღეობის ზრდის გზას მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტიანობაში ხედავს, რაც კონკურენტულ გარემოში მიიღწევა. ამდენად, მისი დაცვის ობიექტს წარმოადგენს კონკურენციის პროცესი და არა კონკრეტული კონკურენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა, კონკურენციის ორგანო არ აღასრულებდეს ანტიდემპინგურ კანონმდებლობას, რადგან:

- ის წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელ ორგანოს და ვერ იჭრება ვაჭრობის პოლიტიკის იმ ნაწილში, რომელიც კონკურენციის პოლიტიკას სცდება;

- კონკურენციისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების მარეგულირებელი კანონმდებლობა სხვადასხვა მიზნებს ემსახურება;

- ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღსრულება, შესაძლოა, ბაზარზე კონკურენციის ნორმების წინააღმდეგ წასვლას გულისხმობდეს. შესაბამისად, არაა მიზანშეწონილი, რომ ერთმა ორგანომ დაარეგულიროს ორი საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც, თეორიულად, შეიძლება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდეს.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელ ორგანოს ანტიდემპინგური შესწავლის ფუნქციებიც მიენიჭება, აუცილებელი იქნება ფუნქციების გამიჯვნა ისე, რომ არ მოხდეს ამ ორი პოლიტიკის უხეში გადაკვეთა და თავიდან იქნეს აცილებული ბაზარზე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩარევები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bagwell K., Bermann G., Mavroidis P., *Law and Economics of Contingent Protection in International Trade*, Cambridge University Press, 2010, 306 et seq.
2. Barfield C., *High-tech Protectionism – The Irrationality of Antidumping Laws*, American Enterprise Institute, Washington, 2003.
3. Brusick Ph., Alvarez A.M, Cernat L., *Competition Provisions in Regional Trade Agreements: How to Assure Development Gains*, United Nations Conference on Trade and Development, UN, Geneva, 2005.
4. Chowdary U.S., Kalasala S.D.M.S.M., *Benefits and Importance of Anti-Dumping Act*, IRACST – International Journal of Commerce, Business and Management, Vol. 2, No.4, August 2013.
5. Chugh N., *Antidumping and Competition Law: Indian Perspective*, National Law School of India University Bangalore, (<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.620.3481&rep=rep1&type=pdf>)
6. Czako J., Human J., Miranda J., *A Handbook on Anti-Dumping Investigation*, Cambridge University Press, UK, 2003.
7. Debroy B., Chakraborty D., *Uses and Misuses of Anti-Dumping Provisions in World Trade – a Cross-Country Perspective*, Academic Foundation, New Dehli, 2006, 25 et seq.
8. Drexel J., Kerber W., Podszun R., Elgar E., *Competition Policy and the Economic Approach – Foundations and Limitations*, Edward Edgar Publishing Limited, UK, 2011.
9. Harriott, Kevin: *Antidumping and Competition Law in Conflict*, Fair Trading Commission, 2010, (http://www.jftc.com/Libraries/Staff_Opinions/Antidumping_and_Competition_Law_in_Conflict.sflb.ashx).
10. Ikenson D., *Antidumping Exposed - The Devilish Details of Unfair Trade Law*, Washington, D.C, 2003, 103 et seq.
11. Mastara Sh., *Anti-Dumping or Protection: An analysis of competition issues in dumping investigation*, Dissertation, University of Cape Town (UCT), 2015.

12. Mitschke A., The Influence of National Competition Policy on the International Competitiveness of Nations – A Contribution to the Debate on International Competition Rules, Physica-Verlag, 2008.
13. National Board of Trade – Kommers-kollegium: Dumping or Competition?, 2012, (<http://www.kommers.se/Documents/dokumentarkiv/publikationer/2012/rapporter/report-dumping-or-competition.pdf>).
14. Norman G., Thisse J-F., Market Structure and Competition Policy – Game-Theoretic Approaches, Cambridge University Press, 4 et seq.
15. Raji K.D., World Trade Organization Agreement on Anti-Dumping – A GATT/WTO and Indian Jurisprudence, Wolters Kluwer, 2008.
16. Reinert K., Rajan R., Encyclopedia of the World Economy, Vol. I, Princeton University Press, 2009, 67. Lou Y., Anti-dumping in the WTO, the EU and China, Wolters Kluwer, 2010, 90 et seq.
17. <http://commerce.nic.in>
18. <http://ec.europa.eu/>
19. <http://english.mofcom.gov.cn>
20. <http://www.economy.gov.tr>
21. <https://www.cbsa-asfc.gc.ca>
22. <https://www.oecd.org>
23. <https://www.usitc.gov>
24. <https://www.wto.org>.

Antidumping: Competition or International Competitiveness?*

Ketevan Zukakishvili

Master of Laws

European College (Bruges, Belgium)

The academic assistant of the EU legal department

ketevan.zukakishvili@coleurope.eu

Nino Jibuti

Doctor of Laws

The Competition Agency of Georgia

Chief Specialist

nino_jibuti@yahoo.com

R e s u m e

The draft law of Georgia „On Antidumping Measures“ envisages the Competition Agency of Georgia as an enforcer of antidumping legislation, in addition to its current antitrust competences. Such a preliminary arrangement has fueled the academic debate in Georgia concerning desirability of combining enforcement of these two policies under the same body. Against this background, the article explores the theoretical underpinnings and the practical aspects of antidumping regulation, its place in trade policy and its possible implications for developing countries. The article also delineates competition and trade policies and distinguishes “dumping” from “predatory pricing” – one of the types of abuse of a dominant position under competition rules. Finally, the article refers to international experience of antidumping enforcement and concludes that given the policy and practical differences in competition and antidumping enforcement, combining these two competences under the same agency might not be the best option.

* The expressed views are personal and may not represent the view of employee.

კონკურენცია, როგორ ზრდის იგი ქალაქების პოპულარობას

ანნა თანდილაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

annatandilashvili@yahoo.com

თანამედროვე კონკურენტულ ეპოქაში ეკონომიკური განვითარების მხოლოდ ობიექტურ კანონზომიერებებზე ორიენტირება ვერ უზრუნველყოფს საბაზრო კონიუნქტურაში ოპტიმალურ პოზიციონირებას, ერთ-ერთი მძლავრი მარკეტინგული მეთოდი, რომლითაც ზემოქმედება ხდება საზოგადოების აღქმაზე და მის გადაწყვეტილებებზე, ქალაქის იმიჯის გაუმჯობესება, მისი პრიორიტეტების აქცენტირება და საზოგადოებისათვის სწორი შეთავაზებაა. ქალაქების პოპულარობის ზრდა მათი რესურსების პრიორიტეტული გამოყენებით, სწორი ადმინისტრირებით და სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერით მიიღწევა. კონკურენციის გაძლიერებასთან ერთად, იზრდება ქალაქების მკაფიოდ ფორმულირებული საბაზრო პოზიციონირების და სტრატეგიული განვითარების პროგრამის შექმნის აუცილებლობა. ქალაქის რეპუტაციის ამაღლება, მისი მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას ემსახურება, ამ დამოკიდებულების მეცნიერული შესწავლა აუცილებლად მოითხოვს ქალაქებს შორის კონკურენტული ურთიერთობების მართვის მეთოდების, შესაბამისი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების შეფასებას, ქალაქების იდენტობის დადგენას და განვითარების კონცეფციის განსაზღვრას.

კონკურენტულ ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლად ქალაქი თავად უნდა აღიქვამდეს საკუთარ უნიკალურობას, მისი სტრატეგია უნდა ემყარებოდეს საკუთარი აქტუალობის და ღირებულების ლეგიტიმაციას. პროგრამის წარმატებას განვითარების კონცეფციის ფორმულირება და მისი შედეგების შეფასება განაპირობებს. ამ საკითხის შესწავლისას მ.პორტერი გამოყოფს დაბალი დანახარჯებისა და საქონლის დიფერენციაციის სტრატეგიებს, როგორც სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტული ლიდერობის ძირითად ფაქტორს [1].

ქალაქის კონკურენტუნარიანობა განმაზოგადებელი ცნებაა, რომელიც აღნიშნავს მის უნარს თავისუფალი კონკურენციის პირობებში შექმნას პროდუქტი ბაზრების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ქალაქის მიმართ ინტერესის ზრდისათვის აუცილებელია შესაბამისი მოტივაციის გაძლიერება, რომლის ჩამოყალიბებაზეც ზემოქმედებას ისტორიული, ეროვნული, სოციალური, ჯგუფური, ასაკობრივი და ეკონომიკური ფაქტორები ახდენს. ადამიანთა მოთხოვნილებები მუდმივად ცვალებადია, შესაბამისად, საჭიროა ყალიბდებოდეს დაძირვეწებოდეს მისი რეალისტური, კონკურენტუნარიანი, სტრატეგიული ხედვა.

ბაზრებზე პოზიციონირებას უკავშირდება ქალაქის მახასიათებლების რანჟირების კრიტერიუმები: ავთენტურობა, ისტორია, ხელოვნება და კულტურა, ტერიტორიული ნიშნები, უსაფრთხოება, რეკრეაცია, ბუნებრივი გარემოს მიმზიდველობა, ღამის ცხოვრება, შოპინგის შესაძლებლობები, ივენთ-აქტივობები, მოსახლეობის კეთილგანწყობა ვიზიტორების მიმართ, ცხოვრების სტანდარტები, ბიზნეს-გარემო, საქმიანი შეხვედრის შესაძლებლობები, პოლიტიკური თავისუფლება, საქმიანი ტურიზმის პირობები, პროდუქციის და მომსახურების მაღალი დონე, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები და სხვა. ქალაქების მაღალი ცნობადობა მისი ძირითადი ღირებულებების და მისი ეფექტური რეალიზებით მიიღწევა. თანამედროვე ურბანისტიკის კონცეპტუალური საფუძველი, ქალაქის რესურსული უპირატესობა და მისი გამოყენების შესაძლებლობებია. კონკურენტულ ფარდობით უპირატესობებს სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებები

შეისწავლის, კერძოდ, კონკურენტუნარიანობის თეორიაში სამი წამყვანი სკოლა: გამოიყოფა: [2. გვ.205]

- ამერიკული სკოლა, - მ. პორტერი - „კონკურენტული უპირატესობის რომბის თეორია“, მ. ენრაიტი - წარმოების ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ფორმები;

- ბრიტანული სკოლა,- ხ. შმიტი, რ. კაპლინსკი, ჯ. ჰემფრი, კ. ფრიმენი-გლობალური ურთიერთკავშირები რეგიონულ და ლოკალურ კლასტერებთან;

- სკანდინავიური სკოლა, - ბ. ო. ლუნდვალი, ბ. იანსონი - რეგიონების სოციალურ - ეკონომიკური სეგმენტაცია, ინოვაციების რაციონალური სისტემა.

ქალაქის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მისი პოზიტიური იმიჯია, მას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მის მომავალზე, ამიტომაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება იმიჯის მართვას, - ს. ანჰოლტი [3]. სწორედ ეფექტური საინვესტიციო იმიჯის მქონე ქალაქებს უკავშირდება წარმატებები საერთაშორისო ბაზრებზე /ცხრ.1/. ეკონომიკური და სოციალური აღმავლობისათვის გადამწყვეტი ფაქტორი ქალაქისადმი მაღალი ნდობაა, როდესაც ნდობა იკლებს, ფრენსის ფუკუომას აზრით, „ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას ეკისრება ყველანაირი გადასახადი“ [4].

საინვესტიციო მიზიდველობის რეიტინგის ფაქტორები [5]

მყარი ფაქტორები	რბილი ფაქტორები
<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური, პოლიტ. სტაბილურობა • შედარებითი ეფექტურობა • შეფასებითი საწარმოო დანახარჯები • დამოკიდებულება საკუთრებისადმი • საჯარო მომსახურება • ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> • ცხოვრების ხარისხი • ადამიანური /პროფესიული/ რესურსები • კულტურა და სოციალური გარემო • სამეწარმეო ინიციატივა

პოზიტიურ იმიჯს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ქალაქის პოლიტიკურ სტაბილურობაში, მისი ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაში, იგი ძირითადი ინსტრუმენტი მსოფლიო საინვესტიციო და ტურისტულ ბაზრებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოსახდენად, გლობალურ გარემოში სწრაფი ინტეგრირებისათვის.

საქალაქო განვითარების წარმატებას, ძირითადად, პოლიტიკოსების და ქალაქის ხელმძღვანელობის ახლებური მიდგომები განაპირობებს, სტანდარტულ აზროვნებას თანდათან ორიგინალური მიგნებები და თანამედროვე ტექნოლოგიები ცვლის, კრეატიული აზროვნება ქალაქდაგეგმარების პროცესში მიმდინარე თანამედროვე ტრანსფორმაციებს განაპირობებს და აძლიერებს საზოგადოების მიერ ქალაქის ახლებურად აღქმის მოტივაციას. შემოქმედებითი აქტივობების შედეგად მრავალი ქალაქის კულტურა და მათი ბრენდული სახე შეიქმნა, რამაც ხელი შეეწყო მათი დადებითი საერთაშორისო რეპუტაციის ფორმირებას. სწორედ კრეატიული იდეების სიმრავლე გახდა პარიზის „სიყვარულის ქალაქის“, მილანის „მოდის დედაქალაქის“, ბერლინის „სიყვარულის ფესტივალის“, ჰელსინკის „ტექნოლოგიური ნოვაციების“, ტილბურგის „მმართველობითი სიახლეების“ ქალაქ-ბრენდებად ჩამოყალიბების წინაპირობა. „კრეატიული ქალაქის კონცეფციაში ცენტრალური ადგილი ორგანიზაციული კულტურის პრობლემებს უჭირავს, ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქებში უნდა არსებობდნენ ლიდერები (მოქალაქეები, ორგანიზაციები), რომელთაც შეეძლებათ ძალაუფლების სხვების სასარგებლოდ დათმობა საკუთარი ეფექტურობის ამადლების მიზნით“ [6, გვ.17]. „გარდიანის“ შეფასებით, წარმატებული ინოვაციური ბრენდინგ-

კამპანიები ჰქონდა ქალაქებს: პარიზი - „City of Romance“, ჰონგ-კონგი - „Asia World City“, ნიუ-იორკი - „I Love New-York“, გლაზგო - „People Make Glasgow“, ამსტერდამი - „I Amsterdam“, ვენა - „Viena- now or never“, ლას-ვეგასი - „What happens here, stays here“, ედინბურგი - „Inspiring Capital“, სიდნეი - „Destination NSW“ და სხვა. ამ ქალაქების ბრენდად ჩამოყალიბებამ, დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო საინვესტიციო და ტურისტულ ბაზრებზე მათ წარმატებებს.

თანამედროვე ტენდენციები განსაკუთრებით ზრდის ქალაქების პასუხისმგებლობას საკუთარი ცნობადობის ამალგების და საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარობის მიღწევაში. ახალი მიდგომების ნიმუშია აშშ-ის ასი მცირე ქალაქის კატალოგი, - The Best Small Town in America (Norman, Cnampton), სადაც ქალაქების პოზიციონირება ხდება ისეთი დივერსიფიცირებული ნიშნებით, როგორცაა - „კეთილგანწყობილი მეზობლები“, „სიმშვიდე“, „უსაფრთხოება“, „კარგი ეკოლოგიური გარემო“, „საუკეთესო სკოლები ბავშვებისთვის“ და სხვა.

ძირითადი ფაქტორების მიხედვით ქალაქებს შორის განსხვავების შეფასება რეიტინგული მეთოდის გამოიყენებით ხდება, რაც საფუძვლად ედება მისი კონკურენტუნარიანობის განსაზღვრას. ამ მიზნით, პირველ რიგში, რეიტინგის მაჩვენებელი შეირჩევა, შემდეგ გროვდება კონკრეტული სტატისტიკური მონაცემები, ხდება სვალირებული სიდიდეების აგრეგირება მიკროინდექსების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელში. დღეს ყველაზე პოპულარულია გლობალური და საქმიანი კონკურენტუნარიანობის ინდექსები.

- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, - /ხავერ-სალა მარტინი -კოლუმბიის უნივერსიტეტი/, 9 საბაზო აგრეგატული ფაქტორი 200 მაჩვენებლით: სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკა; ჯანმრთელობის დაცვა და დაწყებითი განათლება; უმაღლესი და პროფესიული განათლება; ბაზრის ელასტიურობა; ტექნოლოგიური განვითარება; ბიზნესის განვითარება; ინოვაციები.

- საქმიანი კონკურენტუნარიანობის ინდექსი, - /მაიკლ პორტერი -ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა/, იგი გამოიანგარიშება კონკრეტული კომპანიების საქმიანობის ანალიზით, საქმიანი გარემოს, ტექნოლოგიური განვითარების დონის და ბიზნეს-გარემოსთან დაკავშირებული სხვა საკითხების კვლევით.

მ.პორტერი თავის ცნობილ მოდელში, „ბრილიანტი“ იძლევა ქალაქის ეკონომიკური განვითარების შეფასების ოთხ მახასიათებელს: სტრატეგიული განლაგება; მოთხოვნა შიდა ბაზარზე; ადგილობრივ კლასტერებთან ინტეგრაცია; ადამიანური რესურსები [7]. 3. კრესლი ქალაქის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ორი ტიპის ფაქტორს გამოყოფს:

1. ეკონომიკური დეტერმინანტები /მდებარეობა, წარმოების ფაქტორები, ინფრასტრუქტურა, ქალაქის ღირსშესანიშნაობები, დასასვენებელი ადგილები/;
2. სტრატეგიული დეტერმინანტები /მართვის ორგანოები, ქალაქის განვითარების სტრატეგია, საზოგადოებრივდ პარტნიორობა და ინსტიტუციური მოქნილობა/.

ქალაქების შესაფასებლად ინტეგრირებულ მაჩვენებლად ცხოვრების ღირებულება გამოდის, მასთან ერთად განიხილება თანამედროვე საქალაქო კეთილმოწყობა, მომსახურების ხარისხი სამომხმარებლო ფასები, ადამიანური განვითარების ინდექსები და სხვა. რეიტინგის განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი ერთიანი საერთაშორისო შკალა:

- ეკონომიკური პირობები: ადგილობრივი მეურნეობის სტრუქტურა, ზრდის პერსპექტივა, დემოგრაფიული მდგომარეობა;
- ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურა: ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთობა, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობა, მართვის სისტემები;

• ფინანსური საქმიანობის შედეგები: ლიკვიდურობის დონე, სასესხო ვალდებულებების მოცულობა, ბალანსგარეშე დავალიანებების სიდიდე.

ქალაქის კონკურენტუნარიანობის ზოგად ფაქტორებად იბეგი მაკროეკონომიკურ განვითარებაში წმინდა ეკონომიკური და შემოქმედებითი /ინოვაციური/ ფაქტორების ხვედრით წილში ცვლილებებს განიხილავს [9, გვ.795-809]. ს. იანსენ-ბატლერი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელად ქალაქებში ინოვაციების და მმართველობითი სეგმენტის ცენტრალიზაციის ფაქტორს მიიჩნევს. კ. კრესლი და ბ.ჰინგსი ქალაქის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავენ დამატებული ღირებულების ცვლილების, საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის და ბიზნეს-მომსახურების ღირებულების ინდიკატორების ერთობლიობით. ი. ბრამეზა თვლის, რომ მაღალი ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მიღწეული იყოს ლოკალური ფაქტორებით, - მაღალხარისხიანი ბიზნეს-გარემოთი და კვალიფიციური კადრებით. ქალაქის მიმზიდველობას ასევე განსაზღვრავს მისი ტერიტორიული განლაგება, სამუშაო ძალის ღირებულება, კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ბუნებრივი გარემოს მიმზიდველობა. ქალაქის კონკურენტუნარიანობის მახასიათებლები კომპლექსურად აისახა მისი შეფასების მატრიცაში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2.

ქალაქის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმების შეფასების მატრიცა

კონკურენტუნარიანობის სუბიექტი	მოსახლეობა	მეწარმე	ინვესტორი	სავაჭრო სექტორი
კრიტერიუმები	სიცოცხლის ხარისხის განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა	საქმიანობის რენტაბელობა და რესურსებით უზრუნველყოფა	საინვესტიციო გარემო	პროდუქტების მნიშვნელობა და მათზე მოთხოვნა
მაჩვენებლები	თვითრეალიზაციის პირობები და შესაძლებლობები	ბაზრის მოცულობა	საინვესტიციო მიმზიდველობა	ვაჭრობის მოცულობა
	რეკრეაციის პირობები და შესაძლებლობები	ინსტიტუციური ბარიერები	საინვესტიციო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები	ბაზრების დივერსიფიცირება
	გარემოს მდგომარეობა	გადასახადები		საშუალო-საცალო ფასები

ქალაქის შეფასების მრავალი მეთოდიდან ყველაზე მეტად გამოიყენება GCI და IRPEX ინდექსები, სააგენტო MERCER HR-ის სამომხმარებლო კალათა, ჟურ. ECONOMIST-ის რეიტინგი, მსოფლიო ქალაქების ბრენდის რეიტინგი (NBI), ასევე SWOT, STEP, ABC და XYZ -ანალიზები. თითოეული ინდექსი ემსახურება ქალაქების განვითარების დონის, მათი კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას და განვითარების ყველა ძირითადი რესურსის გამოვლენას.

ქალაქის კონკურენტუნარიანობის შეფასების მიზნით, აღნიშნულის გარდა, გამოიყენება დავოსის ეკონომიკური ფორუმის ინდექსი და ლოზანის ბიზნეს-სკოლის რეიტინგები. ამ კვლევებში ინფორმაციის 2/3 სტატისტიკური ოფიციალური მონაცემია, დანარჩენი კი ანკეტური გამოკითხვის შედეგები. მსგავს გამოთვლებს ატარებს სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია, რომელთა მეთოდოლოგია საკმაოდ არაერთგვაროვანია და ზოგჯერ არ მიესადაგება დავოსისა და ლოზანის რეიტინგებს, მიზანშეწონილია, ლოკალური კერძო ინდექსების ნაცვლად, უპირატესობა განმაზოგადებელ რეიტინგებზე გაკეთდეს /მაგ. ცხოვრების დონე/, რადგანაც შუალედური ინდექსი ვერ იძლევა ქალაქის სრულყოფილი შეფასების რეალურ სურათს.

„გაეროს“ ადამიანთა განსახლების ცენტრმა (UNCHS-Habitat) 1995 წელს შეიმუშავა ქალაქების განვითარების ინდიკატორების მსოფლიო ბაზა 110 ქვეყნის 237 ქალაქის მაგალითზე [8]. მონაცემთა ბაზაში დამუშავდა 40 საკვანძო ინდიკატორი. მაგრამ, ამ მოდელს არსებითი ნაკლი გააჩნიათ, კერძოდ ხშირ შემთხვევაში ისინი მხოლოდ მკვლევარების შეფასებას ეყრდნობიან, ქვეყნის იმიჯის მათეზური აღქმა კი, შეიძლება განსხვავდებოდეს მომხმარებელთა აღქმისაგან. მიზანშეწონილია, რეიტინგებში პერსპექტიული კლიენტების ხედვაც აისახებოდეს, ინდექსაციაში ნაკლებად გაითვალისწინება ადამიანთა ფსიქოლოგიური განწყობები და, ფაქტიურად, იგნორირებულია იმიჯის კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ფუნქცია. ძალიან მნიშვნელოვანია მიწოდებული ინფორმაციის წარმომავლობის სიზუსტეც. კარგი ინფორმაციული რესურსი და და ეფექტური რეკლამა იძლევა ქალაქის წარმატებული „შეფუთვის“ საშუალებას და ხელს უწყობს მსოფლიო ბაზრებზე მის ეფექტურ პოზიციონირებას.

ქალაქის კონკურენტუნარიანობის შეფასების ყველაზე პოპულარული კრიტერიუმია „ქალაქების რეპუტაციის რანჟირების ინდექსი“, რომელსაც 10 მაღალგანვითარებული და 10 განვითარებადი ქვეყნის მაშტაბით ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე ადგენს კომპანია, - Anhoit - GFK ROPER/, შეფასება ხდება საერთაშორისო სტატუსის გარემო პირობების, კულტურის და ურთერთობების, ივენთების და ღონისძიებების ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის პარამეტრის მიხედვით [10, გვ.1]. ბოლო კვლევებით, ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულა აქვს პარიზს, ლონდონს, ნიუ-იორკს. ამჟამად „გაეროს“ ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა ქალაქის განვითარების ახალი აგრეგირებული მაჩვენებლების შემუშავებისათვის. სიახლე უკავშირდება ქალაქის რეიტინგის განსაზღვრას მისი კრედიტუნარიანობის საექსპერტო შეფასებით, რაც ინვესტორებს წარმოდგენას შეუქმნის კონკრეტული ქალაქის ფასიან ქალაქებში ინვესტირების შესაძლებლობის და რისკის შესახებ.

განვითარებად ქვეყნებში რეიტინგებში ყველაზე პოპულარულია საცხოვრებელი ფართის ფასის შემოსავალთან თანაფარდობის სიდიდე და ქალაქის მთლიანი პროდუქტი ერთ მცხოვრებელზე გაანგარიშებით. პირველი მაჩვენებელი თბილისში 8.43 შეადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ მოსახლეზე ქალაქში 23 კვ.მ. ფართი მოდის /1კვ.მ-665 დოლარი/, 15.3 ათასი დოლარის საერთო ღირებულებით, შემოსავალი ერთ მოსახლეზე კი, - 1813 დოლარია /4.1 ათასი ლარი/; მეორე ინდიკატორის მიხედვით, მშპ თბილისის ერთ სულ მოსახლეზე 2016 წელს 5090 დოლარი/-12000ლარი/ იყო.

ქალაქის მაღალ იმიჯზე და კონკურენტულ უპირატესობებზე ნათლად მეტყველებს ტურისტების სიმრავლე და ინვესტორების აქტიურობა. PR -ის სპეციალისტების ამოცანაა ქალაქის ისეთი იმიჯის შექმნა, რომელიც პოზიტიურად განაწყობს სულ უფრო მეტ სტუმარს. ამ მიზნით ხდება მოპოვებული მასალის და შექმნილი მოდელების დაწვრილებითი სტრუქტურირება, მათი არგუმენტირებული პრეზენტაცია და დიფერენცირებული შეთავაზება კონკრეტული აუდიტორიისათვის. ამ მიდგომით მრავალმა ცნობილმა ქალაქმა მოიპოვა საყოველთაო აღიარება მსოფლიო ბაზრებზე. მაღალგანვითარებული საინვესტიციო და ტურისტული ბაზის, სრულყოფილი ინფრასტრუქტურის შექმნის და ეკონომიკური განვითარების გზით, მათ დომინანტი ადგილები მოიპოვეს მსოფლიო მაღალკონკურენტულ ბაზრებზე. საქალაქო მეურნეობის რადიკალური გარდაქმნის და ქალაქების წარმატებული რეაბილიტაციის საყოველთაოდ აღიარებული მოდელები შექმნეს ისეთმა ქალაქებმა, როგორცაა: ბილბაო - ქალაქის ტრანსფორმაცია პირველ რიგში, შეეხო ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას და ძველი ურბანული სტილის სრულ მოდერნიზაციას; ბარსელონა - იგი გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ურბანული ტრანსფორმაციის და საოცარი პრომოციის ნიმუში; ჰააგა - მისი კრეატიული მარკეტინგის კონცეფციაა -

„სამართლის და მშვიდობის საერთაშორისო ქალაქი“, მან მსოფლიოში პირველმა გამოყენებაპრომოციისათვის აუდიო-ვიზუალური ლოგო ;

კონგ-კონგი - ქალაქმა განავითარა ბრენდინგის კამპანია, რომელიც ხაზს უსვამდა მის კოსმოპოლიტურ ფასეულობებს და მიზანს - განიხილებოდეს საეტაპო ქალაქად აზიაში. დუბაი - თავდაპირველი ჩანაფიქრი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე ცენტრის შექმნა იყო, თანდათან კი იგი ქალაქ-ბრენდად იქცა, მის იმიჯზე განსაკუთრებული გავლენა იქონია 2008 წლის პროექტმა „სილიკონი ქვიშისაგან“ – Sand to Silicon;

ცნობადობის ზრდის უნიკალური რესურსია საქალაქო სივრცე, იგი მოიცავს არქიტექტურულ პროექტებს, ლანდშაფტის დიზაინს და თემატურ ზონირებას, ადგილის იდენტობის ვიზუალიზაცია ქალაქს განსაკუთრებულ სახეს აძლევს და გამორჩეულს ხდის კონკურენტულ ბაზრებზე, ამის საუკეთესო ნიმუშებია: ეიფელის კოშკი/პარიზი/, ბიგ-ბენი /ლონდონი/, „თავისუფლების ქანდაკება“ /ნიუ-იორკი/, „წმინდა სოფიას ტაძარი“ /სტამბული/, კრემლი /მოსკოვი/, „ბურჯა ალ-არაბი“ /დუბაი/, ტაჯ-მაჰალი/ ინდოეთი/, სვინქსი-/გვეიპტე/, ოპერის თეატრი /სიდნეი/, „მამაი-ყორდანი“ /ვოლგოგრადი/, „ალი და ნინოს“ კომპოზიცია ბათუმში, სვეტიცხოველი და ჯვრის სამონასტრო კომპლექსი მცხეთაში, ბაგრატის ციხე ქუთაისში და სხვ. ქალაქის იდენტობის გამომხატველად, როგორც წესი, ხშირად რელიგიური და ისტორიული ძეგლები გვევლინება, ამ თვალსაზრისით დიდი პოტენციალის შემცველია ლანდშაფტის დიზაინი, პარკებისა და სკვერების სივრცითი დაგეგმარება. თემატური ზონირება ქალაქის დაგეგმვაში ცვლილებების შეტანის ხერხია, როცა ცალკეულ უბანს ენიჭება ფუნქციონალური დატვირთვა მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, რაც ძირეულად განსხვავდება ტრადიციული პრინციპებით ტერიტორიული ზონირებისაგან /კულტურულ-ისტორიული ზონა, სამრეწველო, დასვენების ზონა და ა.შ./ ამ თვალსაზრისით, ყველაზე სრულყოფილი ექსპერიმენტი განხორციელდა სეულში, სადაც თითოეული რაიონის გამოყოფა მოხდა მიზნობრივი აუდიტორიისათვის, ასევე ეფექტური აღმოჩნდა ჩიკაგოში 200-მდე კულტურული ანკლავის გამოყოფა, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გავრცელდა კულტურულ-ეთნიკური კვარტლების შექმნა, მაგალითად, მსოფლიოს თითქმის ყველა მეგაპოლისში მოიძებნება „პატარა იტალია“, „ჩინური უბანი“, „ებრაული კვარტალი“ და ა.შ. დღეისათვის ეს ზონები თითქმის ღია მუზეუმებად არის ქვეული, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქალაქების პოპულარიზაციას.

ქალაქის განვითარების კონცეფცია სისტემურ ხასიათს უნდა ატარებდეს, რადგანაც ცალკეული სეგმენტის განვითარების მოკლევადიანი, ინდივიდუალური გეგმების რეალიზაცია ვერ უზრუნველყოფს მის პოპულარიზაციას, აუცილებელია ქალაქის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება და საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა. ამ მიზნით საჭიროა განისაზღვროს ქალაქის საკვანძო ფასეულობები და მათი კომბინირების გზით, ცალკეული მიზნობრივი ჯგუფისათვის მათი დიფერენცირება იმგვარად, რომ ისინი უზრუნველყოფილი იყოს რელევანტური უპირატესობები თითოეული ჯგუფისთვის, შემდეგ შემუშავდება ქალაქის განვითარების ინტეგრირებული პლატფორმა, კომუნიკაციური სტრატეგია და მისი რეალიზაციის გეგმა.

ქალაქის ეფექტური პოზიციონირების კონცეფციამ პირობები უნდა შექმნას მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, იგი მის პოპულარიზაციასუნდა უზრუნველყოფდეს ქალაქის უპირატესობების და ძირითადი ფასეულობების აქტივიზაციას და საზოგადოებისათვის მათ სწორ მიწოდებას. კარგი იმიჯი საუკეთესო გზაა თანამედროვე მაღალკონკურენტულ ბაზრებზე ქალაქის წარმატებული პოზიციონირებისათვის და მისი განვითარების სტრატეგიის რეალიზაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ციმიტია კ. „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება“, თბ. 2008
2. Porter M. E. “The Competitive Advantage of Nations”, New York: Free Press, 1990
3. Anhoit S., Competitive Identity: the New Brand Management for Nations, Cities and Destinations. New York: Palgrave Macmillan, 2007
4. Gad T. & Rosencrevtz A. “Managing brand me”, Momentum, WC2E , 2002
5. Kotler P. & Gentner D. «Country as Brand Product, and Leyond A. Ploce Marketing and rand Management Perspective», Journal of Brand Management; Vol 9, 4/5, 2002
6. Porter M. E. “How Competitive Forces Shape Strategy”, Harvard Business Review, March, 1979
7. <https://unhabitat.org/>
8. Лэндри Ч. «Креативный город“ М. Изд.,„классика XXI“, 2014
9. Маркетинг города“, По материалам журнала „Профессия-директор“, 2008
10. <http://placebrandobserver.com-index-reputation-ranking-anholt-roper>

Competition, how it Increases the Popularity of Cities

Anna Tandilashvili

Doctor of Business Administration

annatandilashvili@yahoo.com

R e s u m e

The article discusses the peculiarities of socio-economic development of modern cities and the impact of global competitive environment on their development strategy; analyses the competitive identity issues of cities, key Features of Competitiveness Assessment, its regulatory mechanisms and main trends of improving these indicators. Research priorities are increasingly moving from the sphere of production to socio-economic development of spatial units.

City Development Strategy has brought forward the development of its image and the promotion of advertising, orientation on specific customer demands and on the main activities of cities. The growing competitive environment significantly increases the motivation of subject to realize its preferences and to form positive attitudes towards it. Competition stipulates the necessity of creating an individual image of the city by its own identity and makes its positive offer to the public. The article examines the theoretical aspects of these issues and discusses the world's achievements of increasing popularity in the conditions of acute competition.

Competition in Higher Education System

Nino Tandilashvili

Professor of Paris Nanterre University

tandilashvili_nuka@yahoo.com

Number of countries worldwide have engaged themselves in the university modernisation processes from the 1990s: UK, USA, Australia, Netherlands, Denmark, etc. Since this time, the French university, traditionally a government funded public organization, faced new challenges, like increased competition and financial difficulties. To answer these challenges the French university found itself engaged in a comprehensive reform and modernization processes (Baumgartner and Solle 2010, Musselin 1998, 2011, Bronner 2005). The implementation of reforms took place in a context of decentralization and empowerment, particularly in 2007 through the law LRU – The Law of University Liberty and Responsibility.

The main ideology of the law LRU corresponds to the one of the worldwide public administration reforms, known as New Public Management, Neoliberalism or Managerialism (Tandilashvili, 2016). These reforms promote introduction of new concepts in public administration, such as efficiency, effectiveness, autonomy, accountability, client satisfaction, etc. In the context traditional Weberian bureaucracy is highly questioned. Solution to this issue is seen in decentralisation of management to autonomous organisations (Amar and Berthier, 2006, Bartoli and Hermel, 2007, Vinkour, 2008, Come, 2011).

The scientific literature questions the limits of university autonomy in the French context (Côme, 2011, Gibert, 2012, Petitjean et al., 2014). Critics rest on existing of important control systems that are more useful for external requests than internal steering (Petitjean et al., 2014) and on existing of important national guidelines that prevent universities to elaborate local strategies (Gibert 2012). These debates are also found in number of non-scientific public administrative reports. However, the academia and general public opinion are unanimous to agree, that the management reforms did impact the traditional functioning of higher education at macro level: relationship between the ministry and the HEIs, between the HEIs and inside each institution between, faculties, departments and individuals.

The goal of this research is to analyse the intended and unintended impacts of management modernisation reforms to the university functioning. In this paper, we highlight the character of the changes experienced by representatives of three French universities. The research is based on the case study of three French universities. In the first part, we explain the choice of theoretical framework in which enters our research. Then we explain the research methodology and its results in order to, finally, develop a conceptual framework.

Organisational autonomy became a question of numerous governmental debates since the XVIII century in France, but the most important reforms were undertaken in this direction since the 1960s. These reforms are characterised by the desire of the central government to increase local autonomies by transferring them a certain power. The decentralisation reforms were accompanied by other reorganisations, like increased accountability, new management tools and methods, etc. The main ideology of these movements is based on the assumption that the performance of all organizations, despite their character and their public mission, can be optimized by applying private sector management techniques. (Rourke and Brooks, 1966, Olsen, 1988 Van Vught, 1989 Peters, 2001). They also promote the introduction of market logic in the public sector management (Enteman 1993 Trow, 1994, Meek 2003). The beginning point of these New Public Management reforms is an assumption, that traditional public bureaucratic administration is “inefficient, excessively bureaucratic, self-centred, unable to innovate and motivate individuals and constrained by a hierarchy and overstaffed” (Come, 2011, p. 44). The introduction of managerial logic and strengthened institutional foundations was perceived as a necessary response to “public governance out of its

paralysis”. Olsen (2009) argues that the modern public administration reforms are not always consistent on understanding the concept itself of autonomy. The authors of these reforms conceptualise the autonomy as a management tool to achieve better efficiency. They use the term to hide the replacement of traditional external dependences (political, legal, and bureaucratic) by new dependences (markets, managers, “stakeholders”, external rating and ranking institutions) (Olsen, 2009, p. 5).

By changing the university governance, giving them more autonomy and granting new missions, the Law of University Liberty and Responsibility (law LRU), also known as the law on autonomy, is the reform that affected the most the functioning of universities in France. (Vinkour 2008 Musselin and al. 2011). The law was adopted in 2007 and was implemented in university management from 2009 to 2012. One of the most obvious and immediate change introduced by the law concerned the possibility to locally manage the budget and human resource - New Responsibilities and Competences (NRC). The law also changed the power repartition inside universities centralising it to the president and the administrative council¹.

This autonomy of management, together with other changes was widely criticized by the academics. Implementation of this law even aroused a strong opposition from the faculty and students. The main critics concerned the limits of autonomy and a possible danger on the traditional nature of the French university. As mentioned by Petitjean at al. (2014), the LRU autonomy is limited by two main reasons. On one hand, university objective are “negotiated” with the ministry during the signature of the five-year contracts. At the same time, they have to be “closely articulated” with the respect of national higher education objectives.

Similarly, Giber (2012) doubts the possibility that the university can elaborate local strategies because of existence of national performance measurement indicators implemented with the low of Finance (2006). The European University Association published a report in 2011 comparing autonomy of 28 European countries. The report separated organisational, financial, human resource and academic autonomy. France holds very low position in each category. In general, the country received 46% and entered at the scale of “medium low”. A “high” group of countries scoring between 100% and 81%, a “medium high” group scoring between 80% and 61%, a “medium low” group scoring between 60% and 41%, a “low” group scoring between 40% and 0%.

Table 1: Position of France in the Autonomy Scorecard 2010, EUA.

	Organisational Autonomy	Academic Autonomy	Financial Autonomy
Position of France	16/28	28/28	22/28
%	59 %	37 %	43 %
Category	« average low »	« low »	« average low »
Research methodology	<ul style="list-style-type: none"> · Selection procedure for the executive head · Selection criteria for the executive head · Dismissal of the executive head · Term of office of the executive head · Inclusion and selection of external members in governing bodies · Capacity to decide on academic structures · Capacity to create legal entities 	<ul style="list-style-type: none"> · Capacity to decide on overall student numbers · Capacity to select students (BA, MA) · Capacity to introduce programs (BA, MA, PhD) · Capacity to terminate programs · Capacity to choose the language of instruction (BA, MA) · Capacity to select quality assurance mechanisms and providers · Capacity to design programs 	<ul style="list-style-type: none"> · Length and type of public funding · Ability to keep surplus · Ability to borrow money · Ability to own buildings · Ability to charge tuition fees for national/ EU students (BA, MA, PhD) · Ability to charge tuition fees for non-EU students (BA, MA, PhD)

¹ University reforms are not limited to the autonomy reforms. On the contrary, a great number of reforms were implemented in France treating the questions of funding, change of governance and management structures, switch in accountability measures, etc. Some international reforms also impacted university management, like the implementation of the Bologna Process in 2003.

Our research question - *what are the intended and unintended impacts of university management reforms on academic identity in France* - involves understanding the discourse and experience of academics to identify the nature and the reason of changes. To do so, we chose to conduct a qualitative study. As our research aims to understand how and why the identity changes operate, we favoured the case-study method - the preferred strategy "for research questions asking *why* or *how* of a phenomenon" (Yin, 2003, p 1.).

We did a case study of three French universities where we conducted fifty-one semi-structured interviews. Our choice of cases is based on two criteria: date of implementing the law LRU and the disciplinary spectrum. To keep the anonymity of the interviewees, we rename universities as: university A (UA), university B (UB) and university C (UC). The thematic content analysis was performed using the NVivo software. It allowed us to identify the main concerns, "interests" (Bardin 2003) of respondents and group them into the main categories of our analysis.

Our data analysis show a clear difference between the intention of the autonomy reforms and its real impacts. The interviewees differentiate clearly the official discourse on autonomy and the reality of autonomy". To respect this difference we used the term of "the principal of autonomy" and "the reality. The majority of interviewees regret the way the autonomy was understood in this law of autonomy. As a results, they have "troubles to see it" (U1_12_Dir). We distinguish three main reasons of this situation in the discourse of the faculty: very important strategic role of the State, rise of accountability and financial difficulties.

The state remains the main sponsor of the French university. It finances 85% of university budget in average (the figure varies per region between 80% to 95%). This limits the autonomy to a simple "redistribution of resources" (U3_2_PR) and prevents universities to define their own strategy. But what is the biggest obstacle to a real autonomy, is the existence of the national guidelines in terms of academic and administrative organisation that is common for all universities. Similar to Giber (2012) the majority of the interviewees consider that the law LRU "didn't give any margins for autonomous decisions and actions" (U2_24_Dir).

The second main reason can be defined as the rise of accountability. The autonomy delivered to universities resulted in the increase of control of their activities. The interviewees understand that the publicly funded university should be controlled and that is "normal that the university reports to the state" (U1_4_PR), but they regret that the important volume of control, reporting and evaluation has turned the autonomy to an "autonomy of shortage" (*autonomie de pénurie*). The transition to autonomy resulted in replacing the "*a priori*" control by "*a posteriori*" control.


Last reason that limits the autonomy is increasing financial difficulties. The application of the law LRU was made in the context of decreased resources. The representatives of all functions confirm to be forced to "make very difficult choices while elaborating budget" (U3_7_PR).

This assertion allowed us to define the French university autonomy as a functional decentralisation. This type of administrative decentralisation in public sector corresponds to the transfer of political and juridical authorities and responsibilities from the state central administration to subordinate and semi subordinate governmental organisations (Rondinelli, 1981, p. 137). Accordingly, the autonomy with the law LRU resulted in increase of administrative tasks for the faculty, professionalization of management function for the administrative personnel, namely with new recruitments and increase of competition at various levels. These changes are judged negative by the interviewees.

Besides the general opinion that the university autonomy is a simple functional decentralisation, the law LRU did bring actual margins of action for some actors. Since the LRU, many decisions are made locally, namely on local recruitments, bonuses, promotions and additional hours. The transit on autonomous management on also helped universities to accelerate the processing time for certain procedures. However,

as the law LRU made significant changes in terms of power repartition within universities, presidents and administrative council got important power. President is the person who manages the university with the help of administrative council. Department autonomy has not been increased either as they have to make the central administration accept all their projects (even local recruitment). That is why, some department directors even consider that their power was considerably decreased in consequence of increase of president's role and rise of accountability.

Figure 1: University autonomy in France



The above figure resumes our analysis on university autonomy. Even if the law LRU is designated as the source of autonomy, interviewed academics highlight the difference between the principal of autonomy and the reality. For them, the implementation of law LRU mostly resulted in functional decentralisation of administrative tasks from the ministry to the universities. Different picture is observed at the level of high hierarchy, where law LRU did bring significant margins for autonomous actions especially for the presidents of universities.


In the context of increase of administrative tasks and financial difficulties universities found themselves involved in competition at various levels. At the organisational level, universities compete for public and private funding. Traditionally, they also universities compete against Grandes Ecoles for better student profiles and better reputation. Since the introduction of university international rankings, the French universities started to compete not only against foreign institutions, but against each other for better positioning and “visibility”. Similar situation is identified at department level where different units also compete in order to “better negotiate with the presidency and get larger share than others” (U3_3_EC). The figure below sums up the main reasons of increased competition.

Figure 2: The source of competition in the higher education system



Competition in the higher education system should be understood at the classical competition described by Porter (1979) where universities try to differentiate from each other for the better market share. As often described in American and British scientific literature, our study shows that the French HEIs in competition, often put backwards academic challenges in order to achieve better market positioning (Lechuga, 2006). The diagram below gives some example of this competition at various level.

Figure 3: Introduction of competition in higher education system after management reforms.



Data analysis brings out a general regret du of increased competition. This new value is considered as an extremely important change as it “means giving up the idea of egalitarianism in universities” (U3_2_PR). Attached to these traditional values of the French education system, the totality of interviewees, judge the introduction of competition negative. For them, during the financial difficulties the competing institutions are obliged to give up on traditional missions, like teaching (not under pressure for better performance) as they “do not have the power to compete at all levels” (UB_22_Dir).

The present research had for objective to identify the impact of management modernisation reforms to the university functioning in France. Universities, exclusively public organisations, were traditionally funded and management by the ministry. With the law of autonomy (LRU, 2007) universities, as other higher education institutions, are given the power to locally manage their HR, budget and other assets. However, our research revealed the limits of this autonomy.

Thus, our first result shows that the autonomy was applied as a functional decentralisation of some administrative task from the ministry to HEI, without any real liberty to locally elaborate strategies, mainly because of important national frameworks. We consider this as the main intended impact of the management modernisation reform.

At the same time, as the application of the autonomy reform took place during important financial difficulties and during the introduction of international rankings, we also observe the increase of competition at organisational and individual levels. This, unintended impact changed the traditional functioning of public universities to more market oriented competition driven activities, as a regret of the interviewees.

Bibliography:

1. Amaral A., V.L. Meek et I.M. Larsen eds (2003) *The Higher Education Managerial Revolution?* Dordrecht: Kluwer.
2. Baumgartner E. et Solle G., (2009), « Le pilotage universitaire en mutation: résistance(s) et participation des acteurs, Communication au troisième congrès de l'AFS.
3. Bleiklie I., Lepori B. J., Enders et Musselin Ch. (2011). "NPM, Network Governance and the University as a Changing Professional Organization." In *The Ashgate Research Companion to New Public Management*, ed. Tom Christensen and Per Laegreid, 161-176.
4. Clark B.R. (1998). *Creating Entrepreneurial Universities: Organizational Pathways of Transformation*. Surrey, UK: Pergamon Press.
5. Come T., (2011) «Gouvernance des universités en Europe: nouveau management public ou nouveau d'un service public?», *Les universités en Europe Centrale, 20 ans après*, Coll. «Europe des universités», Vol 2, Éditions.
6. Fumasoli T., Gornitzka A. and Maassen P. (2014) "University Autonomy and Organizational Change Dynamics", ARENA Working Paper 8/2014
7. Gibert P. (2012) « Les ambiguïtés de l'indépendance et la légitimation", Communication au 2ème colloque AIRMAP, Paris, 5 et 6 décembre 2012
8. Olsen J.P. (2009) "Democratic Government, Institutional Autonomy and the Dynamics of Change", *West European Politics*, 32(3): 439–465.
9. Petitjean J-L. Ory J.-F. et Come T. (2014) « Entre besoins internes et exigences externes, la difficile mise en oeuvre d'un contrôle de gestion à l'université », *Recherches en Sciences de Gestion*, 2014/4 N° 103, p. 141-160.
10. Pollitt, C. and Bouckaert, G., (2000), *Public management reform: A comparative analysis*, Oxford, Oxford university Press
11. Rondinelli, D. A., (1987), *Development administration and U.S. foreign aid policy*, Lynne Rienner Publishers, Boulder & London
12. Tolobari S. (2005) « New Public Management and Education", *Policy Futures in Education*, Vol 3, N° 1, p.75-89
13. Vught Van F., (1989) *Governmental Strategies and Innovation in Higher Education*, Higher education policy series, London: Jessika Kingsley Publishers

კონკურენცია უმაღლესი განათლების სისტემაში

ნინო თანდილაშვილი

პარიზის ნანტერის უნივერსიტეტის პროფესორი

tandilashvili_nuka@yahoo.com

ა ნ ო ტ ა ც ი ა

1990-იანი წლებიდან საფრანგეთის უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნივერსიტეტების ავტონომიის გაზრდაა. ამ რეფორმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 2007 წელს მიღებული „უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის კანონი“, რომელმაც აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კრიტიკა და მნიშვნელოვანი ოპოზიცია გამოიწვია. კრიტიკის მთავარი მიზეზი ავტონომიის შემთხვევაში კონკურენციის გაზრდა, და ამით უნივერსიტეტის იდენტობის ცვლილება იყო. კონკურენციის და მეტოქეობის ცნება წინააღმდეგობაში მოდის ტრადიციულად თანასწორობის პრინციპზე დამყარებული სისტემსთან. ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ამ რეფორმის მიზანმიმართული და დაფარული შედეგების შესწავლაა. ამისათვის, განვიხილავთ ფრანგული უნივერსიტეტის ფუნქციურ ცვლილებებს სამი უნივერსიტეტის მაგალითზე. კვლამ აჩვენა, რომ ავტონომიის გარდა უამრავი სხვა ფუნქციური ცვლილება მოხდა ბოლო ათწლეულის მანძილზე. ამ ცვლილებებიდან აღსანიშნავი სწორედ კონკურენციის გაღვივებაა, რომლის მიზეზიც რეფორმების გარდა უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი ტენდენციების გაჩენაა. ბოლოს, განვიხილავთ კონკურენციის გავლენას უნივერსიტეტების ორგანიზაციულ და აკადემიურ ფუნქციონირებაზე.

ეკონომიკური აქტივობის პროგნოზირებისათვის გამოყენებული ზოგიერთი ინდიკატორის შესახებ

ლია თოთლაძე

*ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
Lia.totladze@tsu.ge*

ნებისმიერი ქვეყნისათვის, განვითარების რომელ ეტაპზეც არ უნდა იყოს იგი მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების ტენდენციების წინასწარ განჭვრეტა. განვითარების ტენდენციების შეფასებისა და პროგნოზირებისათვის კი როგორც მკვლევარები, ასევე პრაქტიკოსები სხვადასხვა გზას იყენებენ. საკმაოდ გავრცელებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური განვითარების პროგნოზები ეყრდნობა ელემენტარულ ექსტრაპოლაციას, შესაძლებელია საკმაოდ რთული ეკონომეტრიკულ მოდელების გამოყენებაც, ასევე საკმაოდ პოპულარულია ექსპერტთა და ანალიტიკოსთა შეფასებები. ერთ-ერთ საინტერესო და საკმაოდ ეფექტიან მიდგომას წარმოადგენს წინმსწრებ ინდიკატორთა მეთოდი. იგი მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთათვის როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. მრავალი წლის განმავლობაში წინმსწრები, თანამდევნი და ლაგური ინდიკატორების მეშვეობით აშშ-ს ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (NBER) მიერ წარმატებით ხორციელდება ბიზნეს-ციკლების შეფასება. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ მონაწილე ქვეყნებისთვისაც ტარდება ამგვარი ტიპის ანალიზი. რეგულარულად წარმოებს დაკვირვება, მონაცემთა გადამუშავება და მათ საფუძველზე იმ მაჩვენებელთა გაანგარიშება, რომლებმაც შესაძლოა შეასრულონ საპროგნოზო როლი.

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის არამდგრადი ბუნებიდან გამომდინარე, ბიზნეს და სახელმწიფო სექტორებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჰქონდეთ წინასწარი ინფორმაცია ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ინდიკატორების ზუსტი მნიშვნელობების შესახებ. იგი ღირებული იქნება როგორც სამთავრობო წრეების, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. შედეგები გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ყოველთვიური დაკვირვებების შეზღუდული რიცხვისა, სავსებით შესაძლებელია შევაფასოთ ეკონომიკურად და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ამსახველ ინდიკატორებსა და ეკონომიკური აქტივობის მიმდინარე და მომავალ მიმართულებას შორის. უნდა აღინიშნოს რომ, წინმსწრები ინდიკატორების ინდექსის მეშვეობით შესაძლებელი გახდა 50 წლის განმავლობაში ყველა 7 ოფიციალური რეცესიის პროგნოზირება ამერიკის ეკონომიკაში, თუმცა იყო 5 შემთხვევაც, როდესაც ინდექსმა იწინასწარმეტყველა რეცესია, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ მოხდა.

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს NBER მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდა იმ ეკონომიკური ცვლადების მონიტორინგს, რომლებიც მეტად მგრძობიერენი იყვნენ ეკონომიკის ციკლური ცვლილებებისადმი. NBER-ის მკვლევართა გუნდი ბერნსისა და მიტჩელის ხელმძღვანელობით იკვლევდა ეკონომიკურ ცვლადების ჯგუფებს, რათა დაენახათ მათი ფლუქტუაციები იყო წინმსწრები, თანამდევნი თუ ლაგური აშშ ბიზნეს-ციკლებთან მიმართებაში.

მურმა და მიშკინმა 1967 წელს პირველად შეიმუშავეს და გამოიყენეს ეკონომიკური ცვლადების შეწონვის ფორმალური სქემა, ციკლორობისა და ბიზნეს ციკლებთან დამოკიდებულების მათი როგორც ეკონომიკური მნიშვნელოვნების, ასევე სტატისტიკური მნიშვნელოვნების მიხედვით. მათ მიერ შემუშავებული ეკონომიკური ცვლადების შერჩევა და მათი შეწონვა რა თქმა უნდა გარკვეულწილად სუბიექტური იყო და არ მოიცავდა ფორმალურ ეკონომეტრიკულ ანალიზს. [2]

OECD 1987 წლიდან დაიწყო წინმსწრები ინდიკატორების გამოქვეყნება და ეხლაც რეგულარულად აქვეყნებს ინდიკატორების და ინდექსების ყოველთვიურ მნიშვნელობებს წვერი ქვეყნებისათვის, გაიანგარიშება აგრეთვე აგრეგირებული მაჩვენებლები გეოგრაფიული ზონების მიხედვითაც. შეიძლება ითქვას, რომ NBER და OECD მეთოდები წინმსწრებ ინდიკატორთა საფუძველზე ინდექსების გაანგარიშებისას მსგავსია. ორივე მეთოდი ეყრდნობა ექსპანსიის (ე.წ. პიკების) და რეცესიის (ე.წ. ფსკერის) ანალიზს. რა თქმა უნდა არსებობს მცირე განსხვავება ამ ორ მეთოდოლოგიას მაგრამ ისინი არაა არსებითი.

წინმსწრებ ინდიკატორებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაკრომაჩვენებლები, რომლებიც იცვლება იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც იცვლება მთლიანად ეკონომიკა, მაგრამ გარკვეული პერიოდით ადრე (ეს პერიოდი შესაძლოა მერყეობდეს 3-დან 9 თვემდე). ეს დეფინიცია გვიჩვენებს წინმსწრები ინდიკატორების რამოდენიმე მნიშვნელოვან ატრიბუტს. ყველაზე მნიშვნელოვანი რა თქმა უნდა მათი საპროგნოზოდ გამოყენების შესაძლებლობაა. [4]

NBER-ის მეთოდოლოგიის თანახმად განსაზღვრულია 10 წინმსწრები ინდიკატორი აშშ-ისათვის. ინდიკატორები, რომლებიც განისაზღვრება OECD მეთოდოლოგიით განსხვავდება აშშ-ისთვის შერჩეული ინდიკატორებისაგან. ინდიკატორთა შერჩევა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეკონომიკის თავისებურებებზე, მის ადგილზე მსოფლიო ეკონომიკაში. მაგალითად, ბელგიისათვის განსაზღვრული ინდიკატორებია: ახალი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია (მანქანების), უმუშევრობის ტრენდი, ექსპორტი; ერთობლივი მოთხოვნა, პროდუქციის გამოშვების მოცულობა, მომხმარებელთა ნდობის ინდექსი. განსხვავებულია ინდიკატორთა ნაკრები პოლონეთისათვის, რომელთა შემადგენლობაში შედის ქვანახშირზე ფასები, ხოლო ნიდერლანდებისათვის განსაზღვრული 5 ინდიკატორიდან 4 ნდობის ინდიკატორია. ხშირ შემთხვევაში მაჩვენებლები ეყრდნობა კვლევებს (მაგალითად მომხმარებელთა ნდობის ინდექსი). ზოგიერთი ქვეყნისათვის განსაზღვრულ ინდიკატორთა ნაკრებში განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკური შინაარსის მაჩვენებლები, არამედ ფსიქოლოგიურიც, რომლებიც აღწერენ მომხმარებელთა ქცევას, მოლოდინებს და ა.შ.

წინმსწრებ ინდიკატორთა საფუძველზე გაიანგარიშება სხვადასხვა ტიპის ინდექსები როგორც კომპოზიტიური ინდექსი, დიფუზიური ინდექსი. კომპოზიტიური ინდექსი ზომავს მთლიანად ბიზნესის აქტიურობას და ემყარება შერჩეულ ინდიკატორთა პროცენტული ცვლილებების გაანგარიშებას. თუ ინდიკატორთა მნიშვნელობები უმჯობესდება (იზრდება) 50%-ზე მეტად ეს მიანიშნებს ეკონომიკის გაფართოებას, ხოლო თუ მისი მნიშვნელობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში 50%-ზე ნაკლებია ეს მოასწავებს ეკონომიკის შემცირებას. კომპოზიტიურ ინდექსის გამოყენება მიზანშეწონილია ბიზნეს აქტივობის ცვლილების მოცულობის იდენტიფიკაციისათვის, მეორე მხრივ დიფუზიური ინდექსის გამოყენება კი საშუალებას აძლევს მკვლევარებს განისაზღვროს გარდატეხის წერტილები ეკონომიკისათვის. შესაბამისად მისი ინტერპრეტირება შესაძლებელია შემდეგნაირად: მისი მნიშვნელობის 50%-ზე მეტობის შემთხვევაში ეკონომიკა ფართოვდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მცირდება. ამ ინდიკატორთა საფუძველზე თავად ინდექსი გაიანგარიშება როგორც ზემოთაღნიშნული კომპონენტების საშუალოშეწონილი სიდიდე:

$$LEI = \sum_{i=1}^n W_i \cdot L_i ,$$

სადაც W_i - წონითი კოეფიციენტი, ხოლო L_i - ერთ-ერთი ინდიკატორი.

რას შეეხება წონითი კოეფიციენტებს - იგი სხვადასხვანაირად განისაზღვრება, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩატარებული გაანგარიშებების შედეგად მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თანაბარი წონების შემთხვევაშიც ინდიკატორი მუშობს არანაკლებ კარგად, ვიდრე უფრო რთული ვარიანტების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინდექსის იდეა ემყარება მისაზრებას, რომ ეკონომიკის მთვარი მოტივატორი არის სამომავლო შემოსავლების მიღების მოლოდინი. შემოსავლების ზრდის მოლოდინით კომპანიები აფართოებენ წარმოებას და მომსახურების მოცულობას, ინვესტიციებს. ამიტომაც ინდექსი იმგვარადაა ფორმირებული რომ მოიცავს საქმიანი აქტივობის ძირითად სფეროებსა და მაჩვენებლებს. [1]

როგორც აღვნიშნეთ, კომპოზიტური და დიფუზიური ინდექსის გაანგარიშებისას ერთ-ერთ რთულ საკითხს წარმოადგენს სწორედ წინმსწრები ცვლადების შერჩევა. ამ მეთოდოლოგიის პიონერების ბერნსისა და მიტჩელის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევის შემდეგ ეკონომიკურ მაჩვენებელთა შერჩევა მთავარი საკითხია, რომელსაც უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკურ ლიტერატურაში (მაგ. ზარნოვიცი და ბოსკანი).

მურისა და შიშკინის (1967) მიერ ფორმალზეზებულ იქნა მაჩვენებელთა შეფასების ფართოდ გავრცელებული სისტემა, რომლის მიხედვითაც კრიტერიუმებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: (i) იცვლებიან დროში სისტემატურად (სისტემატური განსაზღვრა პიკებისა); (ii) აქვთ კარგი საპროგნოზო თვისებები არა მხოლოდ პიკების და ფსკერის განსაზღვრისას; (iii) ეკონომიკური მნიშვნელოვნება (აღიარებული ეკონომიკური თეორიაშიც შესაძლო როგორც ბიზნეს-ციკლის მიზეზი ან უფრო მეტად მნიშვნელოვანი); (iv) მონაცემთა შეგროვების სტატისტიკური რეალურობა, რაც ითვალისწინებს მათ სიზუსტეს; (v) შესაძლებელია მათი გამოყენება მნიშვნელოვანი ცვლილების (შესწორების და ა.შ.) გარეშე; (vi) ახასიათებთ ყოველთვიური გლუვი ცვლილებები. [1]

აშშ-თვის შერჩეულ ინდიკატორთა პირდაპირი გადმოტანა შეუძლებელია არა მხოლოდ კოპირების არასასურველობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოსათვის შეუძლებელია სრულყოფილი და საიმედო ინფორმაციის მოძიება, ხოლო ზოგ შემთხვევაში ასეთი სტატისტიკა არც არსებობს. ბერნსისა და მიტჩელის მეთოდოლოგიის მიხედვით, მნიშვნელოვანია ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩეს მახასიათებლები. შერჩევისას აუცილებელია დავეყრდნოთ მათ ეკონომიკურ მნიშვნელოვნებასა და კავშირს მშპ-ს დინამიკასთან. ამ კრიტერიუმების მიხედვით ვფიქრობთ აუცილებელ ინდიკატორებს უნდა მივაკუთვნოთ: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მონეტარული აგრეგატი (M1), საპროცენტო განაკვეთის სპრედი, წინმსწრები კომპოზიტური ინდექსი OECD ქვეყნებისათვის, ტრანზაქციები უძრავ ქონების შეძენაზე, სამომხმარებლო ნდობის ინდექსი.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი CPI - სამომხმარებლო ფასების ინდექსი იძლევა ქვეყანაში ფასების დონის ცვლილების სურათს და მნიშვნელოვანი ინდიკატორია მონეტარული ტრენდის შეფასებისათვის.

მონეტარული აგრეგატი M1 - მოიცავს ინფორმაციას მონეტარული პოლიტიკის შესახებ. ესაა ფულის ყველაზე უფრო ლიკვიდური ფორმა და მჭიდრო კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელთან, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. ფულზე მოთხოვნის ზრდა ან კლება ზემოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე სხვადასხვა გზით.

საპროცენტო განაკვეთის სპრედი – ესაა მახასიათებელი რომელიც შედის თითქმის ყველა ქვეყნის ინდიკატორთა სისტემაში და სამართლიანადაც. პრედი წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების შემოსავლიანობის მნიშვნელოვან დეტერმინანტს. ფინანსური სექტორის როლი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის კი საყოველთაოდაა აღიარებული. ამ მახასიათებლის გამოყენებათან დაკავირებულია სხვადასხვა მიდგომა. გაიანგარიშება ორი სახის პრედი: 1. The term spread და იგი წარმოადგენს სხვაობას გრძელვადიან და მოკლევადიან განაკვეთებს შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიანგარიშება ეყრდნობა განაკვეთებს გრძელვადიან და მოკლევადიან სახელმწიფო ობლიგაციების განაკვეთებს (10 წლიანი და 3 თვიანი განაკვეთები) შორის. ეს მაჩვენებელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ისეთი ცვლადების პროგნოზირებისათვის, როგორცაა გამოშვების ზრდა, ინფლაცია, მოხმარება, რეცესია. ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდაა ემპირიული კვლევები, რომლებშიც დადატურებულია გრძელვადიან და მოკლევადიან განაკვეთებს შორის სხვაობის ეკონომიკური აქტივობის საპროგნოზოდ გამოყენების მიზანშეწონილობა. ემპირიული კვლევებით დასტურდება დამოკიდებულება term spread -ს და ეკონომიკურ აქტივობას შორის.

ეკონომიკური აქტივობის პროგნოზირებისათვის ზოგი მეცნიერი ემხრობა საპროცენტო სპრედის გამოყენებას, რომელიც გაიანგარიშება როგორც სხვაობა კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების განაკვეთსა და დეპოზიტების განაკვეთს შორის. როგორც საბანკო, ასევე საფინანსო სისტემა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, განვითარებად ქვეყნებში ბანკები თამაშობენ დომინანტ როლს, ხოლო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე საფონდო ბაზრები უფრო მეტადაა განვითარებული და ისინი ეფექტიანი და აქტიურია. ფინანსურ სისტემებს შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა და კეთილდღეობის დონე ქვეყანაში, ხოლო არატაბილურობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ფინანსური ინსტიტუტები მდგრადობას და გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დანახარჯები. ზოგადად, საპროცენტო განაკვეთების სხვაობა ზომავს საფინანსო სექტორის აქტივობის შემოსავლიანობას. როდესაც საუბარია ინდიკატორებზე რომლებიც შესაძლოა განვიხილოთ წინმსწრებად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ქვეყნის მდგომარეობა, მისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, რამდენადაა იგი ღია, რამდენადაა დამოკიდებული გარე შოკებზე. ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, რა თქმა უნდა აუცილებელია ამ ფაქტორი გათვალისწინებაც. საქართველო მცირე ღია ეკონომიკის ქვეყანაა და დამოკიდებულია იმპორტზე. შესაბამისად აუცილებელია ისეთი მაჩვენებლის გათვალისწინება, რომელიც ასახავს მდგომარეობას მეზობელ, პარტნიორ ქვეყნებში. ასეთად კი შესაძლოა გამოდგეს წინმსწრები კომპოზიტური ინდექსი გაიანგარიშებული OECD ქვეყნებისათვის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.

ტრანზაქციები უძრავი ქონების შეძენაზე (საცხოვრებელი)დ ეს მაჩვენებელი ასევე გამოხატავს ეკონომიკური აქტივობის დონეს და ამავდროულად მომხმარებელთა დამოკიდებულებას მომავალთან დაკავშირებით. უძრავი ქონების შეძენის ზრდა ორგვარად მოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე. პირველი - იგი გვიჩვენებს ინვესტიციებს უძრავ ქონებაში რაც ცხადია გავლენა ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, მეორეც იგი უბიძგებ შენამეურნეობებს გასწიონ დანახარჯები აცხოვრი გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციაზე. უძრავი ქონების ბაზარი (ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ან შეძენა) საუკეთესო ინდიკატორია ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი - მომხმარებელთა ნდობა წარმოადგენს მომხმარებელთა ოპტიმიზმის ხარისხის საზომს მთელი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის, ასევე მათი პერსონალური ფინანსური მდგომარეობის შესახებ. რამდენადაც მაღალია ხალხის განცდა ქვეყანაში სტაბილურობასთან ან პირად ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ცხადია ინდექსის მნიშვნელობა იზრდება. ცხადია, თუ მომხმარებელთა ნდობა მაღალია, ისინი მეტს დახარჯავენ და შესაბამისად ეკონომიკა გაიზრდება. მეორე მხრივ კი, თუ მომხმარებელთა ნდობა დაბალია, ისინი ნაკლებს

დახარჯავენ და მეტს დაზოგავენ, რაც არც თუ დადებითად აისახება ეკონომიკაზე. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ნდობის ინდექსები საკმაო პოპულარობით სარგებლობს უკანაკნელი პერიოდის კვლევებში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის პირობებში მათი გამოყენება საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და პროგნოზირებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ინფორმაციული იქნებოდა. სათანადო მონაცემთა დამუშავების შემდეგ შესაძლებელია შეირჩეს ის მაჩვენებლები, რომლებიც ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკასაც. ის, რომ მაჩვენებლები გაიანგარიშდება და გამოქვეყნდება ყოველთვიურად წარმოადგენს წინაპირობას იმისათვის, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებსა და გამტარებლებს ხელთ ექნებათ ერთგვარი „ბარომეტრი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marcellino M. (2005), Leading Indicators. IEP-Bocconi University, IGIER and CEPR;
2. Sorensen P. B. & Whitta-Jacobsen H. J. (2013), *Introducing Advanced Macroeconomics: Growth and Business Cycles*, 2th edition, Mc Graw-Hill.
3. Composite Leading Indicators for Major OECD Non-Member Economies and Recently New OECD Member Countries. Short-term Economic Statistics Division Statistics Directorate OECD, 2006. Available at <http://www.oecd.org/std/leading-indicators/36414874.pdf> ;
4. Estrella A., Trubin Mary R. The Yield Curve as a Leading Indicator: Some Practical Issues. Federal Reserve Bank of New York. *Current Issues in Economics and Finance*. Vol.12, #5, 2006.
5. Estrella, Arturo. “Why Does the Yield Curve Predict Output and Inflation?”. *Economic Journal*, July 2005, 115 (505), pp. 722-44.
6. Estrella, Arturo and Mishkin, Frederic S. “The Predictive Power of the Term Structure of Interest Rates in Europe and the United States: Implications for the European Central Bank.” *European Economic Review*, July 1997, 41(7), pp. 1375-401.
7. Giacomini, Raffaella and Rossi, Barbara. “How Stable Is the Forecasting Performance of the Yield Curve for Output Growth?” *Oxford Bulletin of Economics and Statistics*, December 2006, 68(Suppl. 1), pp. 783-95.
8. Wright, Jonathan, H. “The Yield Curve and Predicting Recessions.” *Finance and Economics Discussion Series No. 2006-07*, Federal Reserve Board of Governors, February 2006; www.federalreserve.gov/pubs/-feds/2006/200607/200607pap.pdf.
9. Wheelock David C., Wohar Mark E. Can the Term Spread Predict Output Growth and Recessions? A Survey of the Literature. *Federal Reserve Bank of St. Louis Review*, 91 (5, Part 1), 2009.

About Some Indicators Forecasting Economic Activity

Lia Totladze

Professor, Doctor of Economics

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lia.totladze@tsu.ge

R e s u m e

Cyclical feature of economies is forcing researchers to search for early signals of turning points. The most appropriate tools to solve this problem are the leading indicators and indexes based on leading indicators. The leading indicators provide qualitative information of the most probable performance of a reference cycle with a significant lead-time of several months.

This paper analyses some aspects of the effectiveness of indicator for predicting economic activity. The article briefly discusses theoretical explanations for why indicator might predict future economic activity and then surveys empirical studies that investigate how well they predict output growth and recessions. The article describes the methodological issues forward leading indicators. The article highlights the peculiarities of its implementation in Georgia. This forecasting method will be the highly actual and interesting for Georgia after solving number of problems.

ინსტიტუტების ფორმირებისა და მათი ჩამორჩენის საკითხები კონკურენციის პოლიტიკისა და ტრანსფორმაციის მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე

ნაზირა კაკულია

ეკონომიკის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

Nazira.kakulia@tsu.ge

მაკროეკონომიკური რეფორმების გატარების გაუმჯობესების მიზნით ინსტიტუტების შექმნის ძირითადი მიმართულებების ფორმირება და მათი ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებების გატარება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ამ მიზნის მისაღწევად შესაძლებელი გახდა საქართველოსა და ესტონეთში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმების შედარება, ასევე ინსტიტუციური ჩამორჩენის ძირითადი მაჩვენებლების იდენტიფიცირება¹.

განხორციელებული რეფორმებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ საკმაოდ ნათელ სურათს იძლევიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მაჩვენებლები, რომლებიც ცნობილია, როგორც ტრანსფორმაციის მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები მოიცავს ექვს ძირითად ჯგუფს:

მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია, მცირე საწარმოების პრივატიზაცია, სახელმწიფო მმართველობა და საწარმოთა რესტრუქტურირება, ფასების ლიბერალიზაცია, სავაჭრო/საფინანსო ბაზრის განვითარება, კონკურენციის პოლიტიკა.

აღნიშნული მაჩვენებლის შეფასების მინიმალური ანუ საწყისი დონე 1.0-ია, ხოლო მაქსიმალური - 4.0 და 4.8 (ზოგ შემთხვევაში წარმატებული რეფორმებისთვის ინდიკატორის შეფასება 4.0-ზე მაღალია).

ფასების ლიბერალიზაციის მაჩვენებელი. საქართველოში, ისევე როგორც ქვეყნების უმეტესობაში, პირველი წარმატების მიღწევა მოხდა ფასების ლიბერალიზაციის კუთხით, 1992 წელს მაჩვენებელი უკვე 3.3-ს უდრიდა, ხოლო 4.0-ს მიაღწია 1996 წელს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, 1991 წელს კალათში არსებული 15 პროდუქტის ფასი განისაზღვრებოდა ადმინისტრაციული წესით, 1992 წელს - უკვე 5 პროდუქტის, 1996 წელს კი - მხოლოდ 3 პროდუქტის ფასი.² 1998 წელს მაჩვენებელმა მიაღწია 4.3-ს, რაც ნიშნავს საქართველოს მიახლოებას თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკაში არსებულ ეკონომიკურ სტანდარტებთან, სადაც ფასები ადმინისტრაციულად არ კონტროლდება. 2012 წლის მდგომარეობით, საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი კვლავ 4.3-ს უდრიდა. რაც ესტონეთს - თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკის სტანდარტებთან მიახლოება ყველაზე ადრე მოხდა - 1993 წელს, როდესაც ფასების ლიბერალიზაციის მაჩვენებელი უკვე 4.3-ს შეადგენდა.

მცირე საწარმოების პრივატიზაცია. საქართველოში მცირე საწარმოების პრივატიზაციის თვალსაზრისით კოეფიციენტის პროგრესი იწყება 1993 წელს (2.0), ხოლო მსხვილმასშტაბიანი

¹ სტატიაში გამოყენებულია 2015 წლის თსუ-ს საგრანტო კვლევითი პროექტი - „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია საქართველოში და ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“ მასალები.

² EBRD, TransitionReport 2000.

პრივატიზაცია 1995 წელს (2.0). მცირე საწარმოების პრივატიზაცია დასრულდა საკმაოდ მალე მისაღები შედეგებით და კოეფიციენტმა მიაღწია სასურველ დონეს უკვე 1996 წელს. ხოლო ესტონეთმა შეძლო სრული მცირე პრივატიზაციის განხორციელება 1994 წლიდან და შედეგად, მაჩვენებელმა მიაღწია 4.0-ს.

მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია. მცირე საწარმოების პრივატიზაციისგან განსხვავებით საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზის გამო, მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, რაც ლოგიკური იყო აქ მომუშავე სამუშაო ძალის რაოდენობის გამო. პრივატიზაციის მომდევნო მნიშვნელოვანი ტალღა დაიწყო 2005 წლიდან, რომელსაც თან ახლდა გარკვეული სოციალური უკმაყოფილება. 2007 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა მიაღწია 4.0-ს, თუმცა დღესაც არსებობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მცირე რაოდენობა, და ამ მხრივ, არსებობს ინსტიტუციური გაუმჯობესების პოტენციალი.

ესტონეთში, ამ თვალსაზრისით, გაუმჯობესება დაიწყო 1993 წელს, როდესაც მაჩვენებელმა შეადგინა 2.0, ხოლო მალევე, 1995 წელს უკვე აკმაყოფილებდა თანამედროვე სტანდარტებს და მიაღწია 4.0-ს.

სავაჭრო და საფინანსო ბაზრის განვითარების მაჩვენებელი. 1995 წელს საქართველოში პირველად შეიქმალა კოეფიციენტი სავაჭრო და საფინანსო ბაზრის განვითარების მაჩვენებლისთვის (2.0) მას შემდეგ, რაც გაუქმდა ტარიფები ექსპორტზე იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენდნენ დსთ-ს წევრებს და დაინერგა ერთიანი სატარიფო სტრუქტურა იმპორტზე. შედეგად, 1997 წელს, ეს მაჩვენებელი უკვე 4.0-ის ტოლი გახდა. 2000 წელს საქართველო შეუერთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, რამაც კიდევ უფრო გაზარდა აღნიშნული მაჩვენებელი 4.3-მდე. ესტონეთში აღნიშნული კუთხით რეფორმები ამ შემთხვევაშიც ადრეულ ეტაპზე გატარდა და მაჩვენებელმა მიაღწია 4.0-ს უკვე 1994 წელს.

კონკურენციის პოლიტიკის კოეფიციენტი. საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი რესპუბლიკების უმეტესობაში, კონკურენციის პოლიტიკის მაჩვენებლის პროგრესი ყველაზე გვიან დაიწყო 1996 წელს (2.0) მაშინ, როდესაც ფასების ლიბერალიზაციისა და მცირე საწარმოების პრივატიზაციის მაჩვენებლებმა მიაღწიეს 4.0-ს. 1996 ესტონეთში ამ მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო 1993 წელს და 2006 წელს მიაღწია 3.7-ს.


ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტად ქვეყნის ინსტიტუციური ჩამორჩენილობის შემცირებაზე მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობა. ამ თვალსაზრისით, მეორე ადგილზე არის ფინანსური თავისუფლება, მესამეზე - ფისკალური თავისუფლება, ხოლო სახელმწიფო ხარჯების გავლენა, სხვა ფაქტორებთან შედარებით მცირეა.

მიღებული შედეგი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნა: თავისუფალი ვაჭრობის ძლიერი გვალენის გამო, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების განვითარება, ვაჭრობის ლიბერალიზაციის კუთხით საქმიანობა, საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქტიური მონაწილეობა, ძლიერად მოქმედებს ერთდროულად, საქართველოს ინსტიტუციურ ჩამორჩენილობასა და ეკონომიკურ ვითარებაზე.


რაც შეეხება მაჩვენებლის მეორე ნაწილს - ფინანსურ თავისუფლებას: მისი შინაარსის საფუძველზე, რაც მეტად ქვეყნის რეიტინგი ამ მაჩვენებლის მიხედვით (შესაბამისად, რაც უფრო დაბალია ჩამორჩენილობა ამ ინსტიტუტის მიხედვით), მით უფრო თავისუფალია ქვეყნის ფინანსური სისტემა, მათ შორის ცენტრალური ბანკი.

კიდევ ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ფისკალური სისტემების მაჩვენებლების მნიშვნელობა და სახელმწიფო ხარჯების კოეფიციენტის უარყოფითი შეფასება. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ თავდაპირველ მონაცემებში: სხვა მაჩვენებლებისგან განსხვავებით, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს შეფასება ესტონეთის შეფასებებზე მაღალია.

გრაფიკი 2: საქართველოს და ესტონეთის ინსტიტუციური განვითარების კორელაციური დინამიკა - ფისკალური თავისუფლება³.
ფინანსური თავისუფლების ინდექსი



გრაფიკი 3: საქართველოს და ესტონეთის ინსტიტუციური განვითარების კორელაციური დინამიკა - სახელმწიფო ხარჯები⁴.
ფისკალური თავისუფლების ინდექსი




ამ ფაქტის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, თუ რატომ აქვს სახელმწიფო ხარჯებს უარყოფითი შეფასება: საქართველოს შეფასების ზრდა (ანუ ამ მიმართულებით ინსტიტუციური განვითარება) იწვევს ეტალონური მაჩვენებლისგან დაშორებას, ისე როგორც საქართველოს თავდაპირველი შეფასება და ასე აღემატება ესტონეთის შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ინსტიტუციური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ყველა ძალა უნდა მიიმართოს საერთაშორისო ვაჭრობასთან და შესაბამის კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების განვითარებისკენ, და ქვეყნის ფინანსური სისტემის გაუმჯობესებისკენ. ბოლო დროს, საქართველოსთვის ევროპულ ბაზარზე შესვლის უფრო მეტი შესაძლებლობები იხსნება, რაც, უდავოდ, დადებით გავლენას ახდენს ჩვენი ინსტიტუტების მდგომარეობაზე: პირველ რიგში, მაღალი სტანდარტების გამო, საქართველო ვალდებული იქნება, იზრუნოს საკუთარი ინსტიტუტების ხარისხის გაზრდაზე, მეორე მხრივ, ვლინდება უცხოური ინსტიტუტების „ტრანსპლანტაციის“ ეფექტი, რომლის დროსაც დაბალგანვითარებული ქვეყნების ურთიერთობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან გადაამწყვეტ როლს თამაშობს განვითარებისთვის.

³ Особенности формирования экономических институтов в россии. Клейнер Г.Б. Экономика и математические методы 2003, т. 39, № 3. с. 8.

⁴ გრაფიკი ეფუძნება გამოთვლების შედეგებს. მონაცემები მიღებულია WGI მაჩვენებლების მნიშვნელობის აბსოლუტური განსხვავებების გაანგარიშების გზით.



ტრანსფორმაციის მაჩვენებლები

წელი	მსხვილ-მასშტაბიანი პრივატიზაცია	მცირე საწარმოების პრივატიზაცია	სახელმწიფო მმართველობა და საწარმოთა რესტრუქტურის რეორგანიზაცია	ფასების ლიბერალიზაცია	სავაჭრო/სავალუტო ბაზრის განვითარება	კონკურენციის პოლიტიკა
1991	1.0	1.0	1.0	1.0	1.0	1.0
1992	1.0	1.0	1.0	3.3	1.0	1.0
1993	1.0	2.0	1.0	3.7	1.0	1.0
1994	1.0	2.0	1.0	3.7	1.0	1.0
1993	1.0	2.0	1.0	3.7	1.0	1.0
1994	1.0	2.0	1.0	3.7	1.0	1.0
1995	2.0	3.0	2.0	3.7	2.0	1.0
1996	3.0	4.0	2.0	4.0	3.0	2.0
1997	3.3	4.0	2.0	4.0	4.0	2.0
1998	3.3	4.0	2.0	4.3	4.0	2.0
1999	3.3	4.0	2.0	4.3	4.0	2.0
2000	3.3	4.0	2.0	4.3	4.3	2.0
2001	3.3	4.0	2.0	4.3	4.3	2.0
2002	3.3	4.0	2.0	4.3	4.3	2.0
2003	3.3	4.0	2.0	4.3	4.3	2.0
2004	3.3	4.0	2.0	4.3	4.3	2.0
2005	3.7	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2006	3.7	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2007	4.0	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2008	4.0	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2009	4.0	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2010	4.0	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2011	4.0	4.0	2.3	4.3	4.3	2.0
2012	4.0	4.0	2.3	4.3	4.3	2.0

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ინსტიტუციური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, ყველა ძალისხმევა უნდა მიიმართოს საერთაშორისო ვაჭრობას-

თან და შესაბამის კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების განვითარებისკენ, და, ქვეყნის ფინანსური სისტემების გაუმჯობესებისკენ. ბოლო დროს, საქართველოსთვის ევროპულ ბაზარზე შესვლის უფრო მეტი შესაძლებლობები იხსნება, რაც, უდავოდ, დადებით გავლენას ახდენს ჩვენი ინსტიტუტების მდგომარეობაზე: პირველ რიგში, მაღალი სტანდარტების გამო, საქართველო ვალდებული იქნება, იზრუნოს საკუთარი ინსტიტუტების ხარისხის გაზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fifteen Years of Transformation in the Post-Communist World, Oleh Havrylyshyn. The Cato Institute, November 9, 2007, #4;
2. The Impact of Institutions and Policy on Informal Economy in Developing Countries: An econometric exploration. Working Paper No. 84. Diego Rei and Manas Bhattacharya. Geneva, April 2008;
3. The Index of Economic Freedom, methodology;
4. The Measurements and Determinants of Institutional Change: Evidence from Transition Economies. Martin Raiser, Maria L. Di Tommaso, Melvyn Weeks. EBRD, Working Paper No. 60, February 2001;
5. The Worldwide Governance Indicators, Methodology and Analytical Issues. Daniel Kaufmann Aart Kraay Massimo Mastruzzi. The World Bank Development Research Group. September 2010;
6. „Анализ институциональной динамики в странах с переходной экономикой“. Л. М. Фрейнкман, В. В. Дашкеев, М. Р. Муфтяхетдинова;
7. Модели коэволюции институциональных и социокультурных составляющих трансформационного процесса. И. А. Батанина. Пятый Всероссийский конгресс политологов. Москва, 2009 г;

Issues of Formation and Lagging of Institutions Based on the System of Competition Policy and Transformation Indexes

Nazira Kakulia

Doctor of Economics

Associate Professor of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Nazira.kakulia@tsu.ge

R e s u m e

The article discussed the institutional reform, analyzed the selection of institutional indicators carried out in Georgia, the estimation of the main indicators of institutional lag. On the basis of factor analysis evaluated the eight institutional indicators, including indicators identified, affecting the economic backwardness of Georgia, argued that a decrease in the country's institutional lag most affect trade freedom, financial freedom and fiscal freedom.

Held on the analysis from the perspective of institutional in some post-communist countries; on the basis of empirical findings justified a strong influence on the institutional development of the real economy; found a positive relationship between institutional development and economic growth.

ანტიდემპინგური რეგულირების მიდგომები საქართველოში

მურთაზ კვიციანი

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიზნესის და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი
საქართველოს კონკურენციის ინსტიტუტის დირექტორი*

გასილ კიკუტაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს კონკურენციის ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი*

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორისაა ანტიდემპინგური რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხის გარკვევა. ცნობილია, რომ ტერმინი „დემპინგი“ აღნიშნავს უცხოეთის ბაზრებზე საქონლის გაყიდვას შიდა ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებად (კონკურენტების განდევნის მიზნით)¹. შესაბამისად, დემპინგის არსებობა აწუხებს ნებისმიერი ქვეყნის მწარმოებელს და ქვეყნები აქტიურად ცდილობენ აღნიშნული პრობლემის რეგულირების გზით მოგვარებას. პირველი ანტიდემპინგური კანონი 1904 წელს კანადაში შეიმუშავა, 1905 წელს ახალმა ზელანდიამ, 1906 ავსტრალიამ, ხოლო 1916 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო აქტი სახელწოდებით „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია“ (Unfair Competition)². 1947 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) VI მუხლის მიხედვით ქვეყნებს მიეცათ უფლება მიეღოს ზომები დემპინგის წინააღმდეგ³. 1968 წელიდან, ევროკომისია იწყებს ანტი-დემპინგური პოლიტიკის, როგორც ევროკომისიის საერთო კომერციული პოლიტიკის ნაწილის განხორციელებაზე საუბარს, თუმცა ანტი-დემპინგურმა პოლიტიკამ მკვლევარების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება 1980-იანი წლებიდან მიიპყრო და გაიზარდა ანტი-დემპინგური პოლიტიკის შესახებ კვლევებისა და სამეცნიერო სატატიების რიცხვიც. შესაბამისად, გამოიკვეთა ანტი-დემპინგური პოლიტიკის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების არგუმენტებიც. მაგალითად, კრუგმანი და ობსფილდი 2003 წელს გამოცემულ კლასიკურ ნაშრომში "საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა", ნეიტრალური პოზიციიდან ხსნიან დემპინგისა და ანტიდემპინგის კონცეფციებს, როგორც პროტექციონიზმის ერთერთ ფორმას და აანალიზებენ მის ეკონომიკურ როლს ფართო კონტექსტში⁴. ჯექსონი 1997 წელს გამოცემულ ნაშრომში „მსოფლიო სავაჭრო სისტემა: სამართალი და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკა“ ხსნის არასამართლიანი ვაჭრობისა და დემპინგის პრობლემებს და აღნიშნავს, რომ ანტიდემპინგი არასამართლიანი სავაჭრო ქცევის პასუხია და ანტიდემპინგი განსაკუთრებით იქ იჩენს თავს, როდესაც ერთმანეთთან განსხვავებული ეკონომიკური სისტემები ვაჭრობენ. ჯექსონი მიიჩნევს, რომ უცხოური კომპანიები იყენებენ თავისუფალი ბაზრის

¹ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ. - ISBN 99940-0-063-2;

² E.Kwan Choi, James C. Hartigan, International Trade, Handbook, Volume II, 2004, p. 360.

³ https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/gt47ds_e.htm

⁴ Paul R. Krugman, Maurice Obstfeld., International Economics: Theory and Policy, ISBN: 0-321-11639, 2003, p. 141-160;

შესაძლებლობებს და პროდუქციას ყიდიან ძალიან დაბალ ფასად რათა ბიზნესიდან განდევნონ ადგილობრივი კომპანიები, შეამცირონ კონკურენცია და შესაბამისად, მიიღონ მონოპოლიური მოგება. გარდა ამისა, ჯექსონი ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრობლემად ასახელებს პროდუქციის „სამართლიანი“ ფასის დადგენას, რაც განსაკუთრებით რთული მისაღწევი ხდება საბაზრო და არასაბაზრო ეკონომიკური სისტემების ურთიერთ-ვაჭრობის პირობებში⁵. გიპლინი წიგნში „გლობალური კაპიტალიზმის გამოწვევა: მსოფლიო ეკონომიკა 21-ე საუკუნეში“ (2000) განიხილავს სავაჭრო პროტექციონიზმსა და სავაჭრო ლიბერალიზაციას შორის ურთიერთმიმართებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს⁶. ხოლო ნაშრომში „გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა: საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გაგება“ (2001), გიპლინი განიხილავს დემპინგის ორ განსხვავებულ კონტექსტს, კერძოდ, როდესაც ოლიგოპოლიებს შეუძლიათ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დემპინგის გამოყენება საკუთარი ძალაუფლების გასაზრდელად და როდესაც ის ხაზს უსვამს ანტიდემპინგური რეგულაციების გავლენას მსოფლიო სავაჭრო სისტემის განვითარებაზე⁷. ბრენდერი⁸ (1981) და ბრენდერი და კრუგმანი⁹ (1983) თავიანთ ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ თუ ფირმები იმყოფებიან კურნოს წონასწორობის წერტილში ანუ თითოეული ფირმა თავად ადგენს მოგების მაქსიმუმიზაციის შესაბამისი გამოშვების დონეს საკუთარი გადაწყვეტილების სხვის ქმედებაზე გავლენისა და ტრანზაქციური ხარჯების გათვალისწინებით, ორმხრივი დემპინგის შედეგად პროდუქციის ფრანკო-საწარმოო ფასი საექსპორტო ქვეყანაში დაბალი იქნება ადგილობრივი ქვეყნის ფრანკო-საწარმოო ფასზე. საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ანტი-დემპინგური რეგულაციები დემპინგის შეკავების საუკეთესო მეთოდი სხვა ავტორებიც განიხილავენ. მაგალითად, ჰოკმანი და მავრიოდისი¹⁰ (1994) განიხილავენ საკითხს დემპინგის გამკლავებისთვის არის თუ არა კარგი საშუალება ანტიდემპინგის შემთხვევების განხილვა იმპორტიორი ან ექსპორტიორი ქვეყნის კონკურენციის სააგენტოებთან მიმართებაში. ამ მიდგომით, დემპინგი განიხილება, როგორც კონკურენციის წესების დარღვევა და ექვედებარება ისეთივე მოქცევას, როგორც ყველა სხვა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ანტიდემპინგური ქმედებების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა გარემოებებით აიხსნას. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გაზრდილი ანტიდემპინგური ღონისძიებები საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობის ქმედების შედეგია, კერძოდ ფაქტია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებში დემპინგის შემთხვევების გამოვლენისას, ქვეყნები მართავენ ანტიდემპინგური რეგულირების გააქტიურებას კანონმდებლობის დონეზე. გარდა, ამისა შეიძლება ითქვას, რომ თუ დემპინგი სატარიფო ლიბერალიზაციის შედეგია, მაშინ სხვადასხვა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით განპირობებულ ტარიფების დაწესების შეზღუდულობა, უბიძგებს ქვეყნებს ადგილობრივი ინდუსტრიების დასაცავად ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარებისაკენ. ზოგიერთი მკვლევარი კი მიჩნევს, რომ

⁵ John H. Jackson, *The World Trading System: Law and Policy of International Economic Relations* (Paperback), Published October 20th 1997 by Mit Press, Second edition, Paperback, 453 p.

⁶ Robert Gilpin, *The Challenge of Global Capitalism: The World Economy in the 21st Century*, Princeton: Princeton University Press, 2000, 373 p.

⁷ Robert Gilpin, *Global Political Economy Understanding the International Economic Order*, Paperback, 2001, ISBN 9780691086774, 440 p.

⁸ Brander, J. (1981), Intra-industry trade in identical commodities, *Journal of International Economics*, Volume 11, 1-14;

⁹ Brander, J and Krugman, P (1983), A reciprocal dumping model of international trade, *Journal of International Economics*, 13, pp 313-21

¹⁰ Hoekman, B. M. and Mavroidis, P. C. (1994), Antitrust-based Remedies and Dumping in International Trade, CEPR Discussion Paper No 1010, London: CEPR;

ანტი-დემპინგური ქმედებები განვითარებულ ქვეყნებში სატარიფო ლიბერალიზაციის შედეგად იმპორტზე კონკურენციის ზრდის შედეგია. აღნიშნული საკითხის გარშემო არაერთი კვლევაა განხორციელებული. მაგალითად მკვლევარებმა ფინგერმა, ჰოლმა და ნელსონმა¹¹ (1982) ჩატარებული კვლევისას აღმოაჩინეს ძლიერი ნეგატიური კავშირი ანტიდემპინგის შესახებ საჩივრების რაოდენობასა და იმპორტის შეღწევადობას შორის. ხოლო კნეტერმა და პრუსამ¹² 2003 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში დაასკვნეს, რომ ანტი-დემპინგის შესახებ შუამდგომლობების რაოდენობა მნიშვნელოვნად იცვლება რეალური გაცვლითი კურსის გამყარების და რეალური მშპ-ს ვარდნის შედეგად, რადგანაც ორივე ეს ფაქტორი ზრდის ადგილობრივ და იმპორტიორ მწარმოებლებს შორის კონკურენციას. ირვინმა¹³ 2005 წელს თავის კვლევაში დაადგინა, რომ ანტი-დემპინგის შემთხვევებზე ძლიერი გავლენა აქვს ქვეყნის უმუშევრობის დონეს და ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს. ირვინის მიხედვით ქვეყანაში ანტი-დემპინგური ღონისძიებების ზრდა დამოკიდებულია იმპორტის შეღწევადობის დონეზე. საინტერესოა, ასევე ბაროუს მიერ 2007 წელს ინდოეთში ანტი-დემპინგური ქცევის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც გამოიკვეთა რომ საკვლევ პერიოდში ინდოეთში ანტი-დემპინგის გაზრდილი შემთხვევების განმაპირობებელი ფაქტორები არც იმპორტიორების მხრიდან გაზრდილი აქტივობა და არც შიდა ფირმების მდგომარეობა არ ყოფილა, არამედ ადგილი ქონდა ინდური ინდუსტრიების დაბალი კონცენტრაციის დონეს, რის გამოც ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა განიზრახეს ადგილობრივი მცირე მწარმოებლების მხარდაჭერა, როგორც მოსალოდნელი ზარალისადმი ყველაზე მეტად მოწყვლადი მხარის დაცვის მექანიზმი.

ანტიდემპინგური რეგულირება საქართველოშიც მწვავე დისკუსიის საგანია. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სხვადასხვა დანტერესებული ჯგუფების მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული საკითხი გააქტიურებული. 2014 წლის 27 ივნისს კი ბრიუსელში ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) კომპონენტებს. საქართველომ აიღო ვალდებულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის უზრუნველყოფისათვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული (მათ შორის ანტიდემპინგური) ვაჭრობის სფეროში დაცვის ტრადიციული ინსტრუმენტების შემოღებისა და გააქტიურების შესახებ. შესაბამისად, 2015 წელს ქვეყანაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო, რომელიც ჯერჯერობით არ არის ფართო განხილვის საგანი. ანტიდემპინგურ რეგულირებას ყავს მოწინააღმდეგეები და მომხრეები, რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს ასაბუთებენ ფუნდამენტური თეორიული მიდგომების, საერთაშორისო გამოცდილების, საქართველოს ეკონომიკაში დღეს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე. ცხადია, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეკონომიკური შედეგები უმრავლეს შემთხვევაში არ არის ისე ნათლად გამოხატული, როგორც მონოპოლიური საქმიანობის უარყოფითი შედეგები, შესაბამისად ის უკავშირდება კონკურენციის “ხარისხის” გაუარესებას და როგორც შედეგი ასახვას პოვნებს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის შემცირებაში¹⁴.

¹¹ Joseph Finger, H Keith Hall, Douglas Nelson, The Political Economy of Administered Protection, American Economic Review, 1982, vol. 72, issue 3, 452-66;

¹² Michael M. Knetter, Thomas J. Prusa, Macroeconomic factors and antidumping filings: evidence from four countries, a University of Wisconsin and NBER, Madison, USA Received 30 November 2001;

¹³ Douglas A. Irwin, The Rise of US Anti-dumping Activity in Historical Perspective, The World Economy, 2005, P. 651-668

¹⁴ გოგიაშვილი შ. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, გამომცემლობა “ინოვაცია”, თბილისი 2009, გვ. 53.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიდემპინგური რეგულირების მიზანშეწონილობის შესახებ არსებობს განსხვავებული მიდგომები, კერძოდ მომხრეების აზრით ანტიდემპინგური რეგულირება უზრუნველყოფს: ადგილობრივი მწარმოებლებისთვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას; ადგილობრივი წარმოების განვითარებას; ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებას; იმპორტიორების მიერ სამართლიანი ფასის დაწესებას და ა.შ. ხოლო, მოწინააღმდეგეების აზრით ანტიდემპინგური რეგულირება გამოიწვევს: საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის გაძვირებას; კონკურენციის შეზღუდვას; კონკრეტულ კომპანიების სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტულ მდგომარეობაში ჩააყენებას; ბიუროკრატიის და კორუფციის რისკს გაზრდას და ა.შ. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ისეთი აქტუალური საკითხზე, როგორცაა ანტიდემპინგური რეგულირება, რაიმე გადაწყვეტილების საკანონმდებლო დონეზე მიღება, საკითხის კომპლექსური სიღრმისეული შესწავლის გარეშე. ფაქტია, რომ მიუხედავად საკითხის აქტუალობისა ჯერ-ჯერობით საქართველოში არ მომხდარა ანტიდემპინგური კანონის შემოღების სავარაუდო შედეგების სიღრმისეული შესწავლა. შეფასებები ძირითადად ზედაპირული ხასიათისაა. ხშირად დაინტერესებული მხარეები არა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, არამედ ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე აფასებენ ანტიდემპინგური რეგულირების სავარაუდო შედეგებს.

ჩვენი, აზრით საქართველოში ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივის, მათ შორის ანტიდემპინგური რეგულირების შესახებ მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, კერძოდ საჭიროა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები დაეფუძნოს „რეგულირების გავლენის შეფასების“ (RIA) მეთოდოლოგიას ანუ საჭიროა განხორციელდეს ანტიდემპინგური რეგულირების შესახებ არსებული საკანონმდებლო ინიციატივის კომპლექსური ანალიზი, რომელიც მოიცავს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: ანტიდემპინგური რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი; რეგულირების კონკურენციაზე ზეგავლენის ანალიზი; საქართველოში ანტიდემპინგური რეგულირების დანახარჯები-სარგებლის ანალიზი; საქართველოში ანტიდემპინგური რეგულირების ალტერნატივების გამოვლენა და ანტიდემპინგური რეგულირების შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე - თბ., 2004 - 483გვ. - ISBN 99940-0-063-2;
2. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, გამომცემლობა “ინოვაცია”, თბილისი 2009, გვ. 53.;
3. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბილისი, ლოი, 2007;
4. ფეტელავა ს., საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები, //ქ. ეკონომიკა და ბიზნესი// 2013 წელი: № 1;
5. E.Kwan Choi, James C. Hartigan, International Trade, Handbook, Volume II, 2004, p. 360.
6. https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/gt47ds_e.htm;
7. Paul R. Krugman, Maurice Obstfeld., International Economics: Theory and Policy, ISBN: 0-321-11639, 2003, p. 141-160;
8. John H. Jackson, The World Trading System: Law and Policy of International Economic Relations (Paperback), Published October 20th 1997 by Mit Press, Second edition, Paperback, 453 p.;

9. Robert Gilpin, *The Challenge of Global Capitalism: The World Economy in the 21st Century*, Princeton: Princeton University Press, 2000, 373 p.;
10. Robert Gilpin, *Global Political Economy: Understanding the International Economic Order*, Paperback, 2001, ISBN 9780691086774, 440 p.;
11. Brander, J. (1981), Intra-industry trade in identical commodities, *Journal of International Economics*, Volume 11, 1-14;
12. Brander, J and Krugman, P (1983), A reciprocal dumping model of international trade, *Journal of International Economics*, 13, pp 313-21;
13. Hoekman, B. M. and Mavroidis, P. C. (1994), *Antitrust-based Remedies and Dumping in International Trade*, CEPR Discussion Paper No 1010, London: CEPR;
14. Joseph Finger, H Keith Hall, Douglas Nelson, *The Political Economy of Administered Protection*, *American Economic Review*, 1982, vol. 72, issue 3, 452-66;
15. Michael M. Knetter, Thomas J. Prusa, *Macroeconomic factors and antidumping filings: evidence from four countries*, a University of Wisconsin and NBER, Madison, USA Received 30 November 2001;
16. Douglas A. Irwin, *The Rise of US Anti-dumping Activity in Historical Perspective*, *The World Economy*, 2005, P. 651–668;
17. Aleshina, E. "Legal Challenges Of Anti-Dumping Regulation For the Eurasian Customs Union, July 26, 2013;
18. *Regulatory Impact Analysis Best Practices in OECD Countries*. OECD PUBLICATIONS. PRINTED IN FRANCE. (42 97 08 1 P) ISBN 92-64-15603-8 – No. 49715;
19. Boardman et al. Chapter 6, "Discounting Benefits and Costs in Future Time Periods."
20. Bruce A. Blonigen, A.B. Prusa, J.T. *Dumping and Antidumping Duties*, February 25, 2016;
21. Boyle, R. *Regulatory Impact Analysis: Lessons from the Pilot Exercise*. Published in 2005 by the Institute of Public Administration 57-61 Lansdowne Road Dublin 4 Ireland;
22. Czako, J. Human, J. Miranda, J. *A Handbook on Anti-Dumping Investigations*. Cambridge University Press, Sep 4, 2003;
23. McCulloch, N; Winters, L.N; Cirera, X. *TRADE LIBERALIZATION AND POVERTY: A HANDBOOK*, Centre for Economic Policy Research, ISBN: 1 898128 62 6;
24. Steinbach, A. German Ministry of Economics, Berlin, Germany, *Price Undertakings in EU Anti-dumping Proceedings – an Instrument of the Past?*, *Journal of Economic Integration*, Vol.29 No.1, March 2014, 165~187 <http://dx.doi.org/10.11130/jei.2014.29.1.165>;
25. Organisation for Economic Co-operation and Development. *Introductory Handbook for Undertaking Regulatory Impact Analysis (RIA)*. October 2008;
26. Wruuck, P. *The Political Economy of Anti-dumping Protection. A Strategic Analysis*. (electronic book). ISBN 9783319112244. 2015;
27. M. *A Guide to the Canadian Anti-Dumping System*, LLP May, 2004;

Anti-dumping Regulation Approaches in Georgia

Murtaz Kvirkvaia

Competition Institute of Georgia. Director.

Grigol Robakidze University. Professor.

Dean of School Business and Management.

M.kvirkvaia@gruni.edu.ge

Vasil Kikutadze

Competition Institute of Georgia. Executive Secretary.

The Ivane Javakishvili Tbilisi State University.

Faculty of Economics and Business. Associate Professor.

Vasil.kikutadze@tsu.ge

R e s u m e

The work presents the history of anti-dumping regulation and the international experience of studying the issue in scientific literature. The authors analyze the arguments of advocates and opponents of the anti-dumping Regulation in Georgia. In particular, the supporters believe that anti-dumping regulation provides: creating a competitive environment for local manufacturers; development of local production; employment of local labour workforce; Fair price by importers, etc. In the opinion of the opponents, anti-dumping regulation will: increase prices of imported products in Georgia; restrict of competition; to put specific companies into a protective position from the state; increase bureaucracy and corruption risk, etc. It is inadmissible to address anti-dumping regulation, adopt any decision-making at the legislative level, without a complex study of the issue. It is a fact that there has not been accomplished any in-depth study of the alleged consequences of the introduction of anti-dumping law in Georgia. Evaluations are basically superficial. Often stakeholders regard the impacts of anti-dumping regulation, not just because of the influence on the country's economy, but because of the narrow interest.

კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში

ოთარ კიკვაძე

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
otokikvadze@gmail.com*

შოთა გეთია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
shotagetia22@gmail.com*

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება, გამომდინარე იქიდან რომ იგი საჯარო ფინანსების ხარჯვის ერთერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში საჯარო ფინანსების მდგომარეობას, კორუფციის დონეს, კონკურენტულ გარემოს, ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას და სხვ.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2010 წლიდან გაუქმდა ე.წ. „ქალაქის ტენდერები“ და შესყიდვების განხორციელება ელექტრონულ ფორმატზე გადავიდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სისტემა დღემდე პერმანენტული ცვლილებებისა და განვითარების რეჟიმშია, რაც თავის მხრივ ასევე განპირობებულია ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებებით.

დღესდღეობით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა სახელმწიფო შესყიდვების შემდეგ საშუალებებს განსაზღვრავს:

- გამარტივებული შესყიდვა - რომელიც მოიცავს ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვას (არა ელექტრონულად) წლის განმავლობაში 5 000 ლარამდე და ასევე კანონით ნებადართულ სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- ელექტრონული ტენდერი - რომელიც მოიცავს ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვას 5 000 ლარიდან ზემოთ;
- კონსოლიდირებული ტენდერი - ზოგიერთი ერთგვაროვანი პროდუქტის შესყიდვა აგრეგირებული მოთხოვნის საფუძველზე: საწვავი, კომპიუტერები, A4 ფორმატის ქაღალდები, სატელეფონო (მობილური) კომუნიკაციის სერვისი, საბურავები.
- კონკურსი - დიზაინთან დაკავშირებული ობიექტების/პროექტების შესყიდვა;
- ორეტაპიანი ტენდერი - საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ფასზე და სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით;
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (ვაჭრობა დაფარული მონაცემებით) - ტენდერში საუკეთესო შეთავაზების გარდა ყველა წინადადება რჩება ხელმიუწვდომელი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის იქამდე, სანამ ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი;
- შესყიდვის განსხვავებული პროცედურა სამშენებლო სამუშაოებზე - პროცედურა მიმდინარეობს ე.წ. პრეკვალიფიკაციის გზით. შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს იწვევს ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი საშუალებებიდან მხოლოდ გამარტივებული შესყიდვა არ ხორციელდება ელექტრონულად. ჩვენი კვლევის საგანს სწორედ გამარტივებული შესყიდვა წარმოადგენს, რადგან მიგვაჩნია, რომ რიგ შემთხვევებში შესყიდვის ამ სა-


შუალეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას ადგილი აქვს მიმწოდებელთა არაკონკურენტულ პირობებში მოქცევას.

გამარტივებული შესყიდვა

გამარტივებული შესყიდვა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფორმაა. მაგ. 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 4 018 097 958 ლარი შეადგინა, აქედან ელექტრონული პროცედურებით განხორციელდა 2 532 805 944 ლარის შესყიდვა (63 %), ხოლო 1 484 292 014 ლარის (37 %) ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელდა (დიაგრამა #1).

სახელმწიფო შესყიდვების განაწილება ელექტრონული საშუალებებისა და გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელებულ შესყიდვებს შორის 2016 წელს საქართველოში.

დიაგრამა.1.



წყარო: www.procurement.gov.ge

როგორც მოყვანილი სტატისტიკიდან ჩანს გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელებული შესყიდვის მოცულობას საკმაოდ დიდი წილი უჭირავს წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვის საერთო მოცულობაში.

როგორც ავნიშნეთ გამარტივებული შესყიდვა ხორციელდება ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვისას წლის განმავლობაში 5000 ლარამდე და კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კერძოდ:

- საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებათ;
- არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;
- მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისგან.
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები.
- ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ჩანაცვლება.
- ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.
- სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით.

- ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.


- საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხორციელდება ლიტერატურის (ბეჭდური, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულს), რეაქტივის, კომპიუტერული პროგრამის, ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალება), ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მონაცემთა ბაზის შესყიდვა;

- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის მიერ რეგენტთა საბჭოს თანხმობის საფუძველზე ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვა. ასეთ შემთხვევაში, რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული მიმართვის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალში პირველი ოთხი გარემოების დადგომის შემთხვევაში აუცილებელია შესყიდვის შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების მაკოორდინირებელ ორგანოსთან - საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და მხოლოდ სააგენტოს თანხმობის შემდეგ შეუძლია სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელ პირს შესყიდვის განხორციელება, ხოლო სხვა გარემოებები სააგენტოსთან დამატებით შეთანხმებას არ საჭიროებს.

გამარტივებული შესყიდვის სხვადასხვა ფორმებს შორის უდიდესი როლი მონეტარული ზღვრის დაცვით (5 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტი) განხორციელებულ შესყიდვას უჭირავს. მაგ. 2016 წელს 213 622 ერთეული ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული შესყიდვის ფორმით, ხოლო აქედან მონეტარული ზღვრის დაცვით დადებულმა ხელშეკრულებების რაოდენობამ 170 713 ერთეული შეადგინა, იხ. დიაგრამა #2.

დიაგრამა #2. გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებების გადანაწილება 2016 წელს საქართველოში.



წყარო: www.procuremnt.gov.ge

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის, ამ შემთხვევაში კი მონეტარული ზღვრის დაცვით შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ვალდებულია შესყიდვა განხორციელოს კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის შესყიდვის ფასი განსაზღვროს ფასთა მოკვლევის საფუძველზე, შესყიდვაში მონაწილე პირებმა ხელი მოაწერონ ინტერესთა კონფლიქტის არარსე-

ბობის შესახებ წერილობით ცნობას და ა.შ. მიუხედავად აღნიშნულისა გამარტივებული შესყიდვის ფორმა გამომდინარე იქიდან, რომ იგი წარმოადგენს ერთ პირთან განხორციელებულ მოლაპარაკებას იძლევა საშუალებას ხელშეკრულება გაფორმდეს სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე შერჩეულ მიმწოდებელთან. ამასთან დაურეგულირებელია შესყიდვის ღირებულებაც, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბაზრის კვლევის კონკრეტულ მეთოდოლოგიას, შესაძლებელია კონკრეტული შესყიდვის ღირებულება გაცილებით მეტი იყოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ამ მიმართულებით გარკვეული აქტივობები განახორციელა. კერძოდ: 2017 წლის პირველი მაისიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი მოდული, რომელიც ითვალისწინებს მიმწოდებელთა, რანჟირებას და სააგენტოს რეკომენდაციით შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამარტივებული ხელშეკრულება უნდა დადოს რანჟირების მოდულში მოცემულ მიმწოდებელთან. აღსანიშნავია, რომ რანჟირება ელექტრონული ალგორითმის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც დაფუძნებულია მიმწოდებელთა სხვადასხვა ტენდერებში მონაწილეობაზე და ხელშეკრულებების შესრულებაზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში უმეტესად რანჟირების სისტემა არაეფექტური და მოუხერხებელია, რადგან შემსყიდველ ორგანიზაციებს უჭირთ სასურველი შესყიდვის ობიექტი მოიძიონ რანჟირებაში მოხვედრილ მიმწოდებელთან და იძულებული არიან ხელშეკრულება რანჟირების გვერდის ავლით განხორციელონ. ამასთან, როგორც ავლნიშნეთ, მოცემული პირობა მხოლოდ რეკომენდაციაა და სამართლებრივად სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია. საბოლოო ჯამში შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ისევ სუბიექტური გადაწყვეტილებების რისკის წინაშე ვდგებით, რაც არათანაბარ და არაკონკურენტულ პირობებში აყენებს მიმწოდებლებს, რაც სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის დარღვევაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებად ფორმას გამარტივებული შესყიდვა, კერძოდ კი გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით (წლის განმავლობაში 5 000 ლარამდე ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა) წარმოადგენს. აღნიშნული საშუალებით შესყიდვის პროცესს მოქმედი კანონმდებლობა მკაფიოდ არ არეგულირებს, რაც ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს. მაგ. ხელშეკრულების გაფორმება „სასურველ“ მიმწოდებელთან, შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მაღალი ღირებულების განსაზღვრა და სხვ. რაც უპირველესად ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომ მიმწოდებლებს გააჩნდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და ამასთან არსებობდეს ჯანსაღი კონკურენტული გარემო.

მიგვაჩნია, რომ გამარტივებული შესყიდვის პროცესში არსებული ზემოხსენებული პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მიმწოდებელთა შეფასების ეფექტური სისტემის შემუშავება, რომელიც დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ ელექტრონული სისტემის კრიტერიუმებსა და ალგორითმზე. შეფასება უნდა განხორციელოს ასევე შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონკრეტული შესყიდვის დასრულების შემდეგ სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით, რასაც შესაძლებელია სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს;

- ძირითადი მოხმარების საგნებზე განისაზღვროს სარეკომენდაციო ღირებულებები, რათა თავიდან აცილებულ იქნას საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით მაღალი ფასით შესყიდვის განხორციელება;

• სახელშეკრულებო ღირებულების სწორად განსაზღვრის მიზნით, ასევე შემუშავებული იქნას ბაზრის კვლევის ეფექტური მეთოდოლოგია;

• გაიზარდოს მონიტორინგი გამარტივებულ შესყიდვებთან მიმართებაში, კერძოდ კი „მონეტარული ზღვრის დაცვით“ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაზე. ყურადღება მიექცეს კონკრეტულად ისეთ შემთხვევებს როგორებიცაა: წლის განმავლობაში ერთი და იგივე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა, სახელშეკრულებო ღირებულების ადეკვატურობა საბაზრო ფასთან მიმართებაში, კონკრეტული შესყიდვის საჭიროება და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, თბ., 2006.
2. სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისთვის, თბ., 2010.
3. შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2013.
4. 250 - ხშირად დასმული შეკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2015.
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“.
6. 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2017.
7. ეფექტიანი უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, თბ., 2014, 18 მარტი, გვ. 3.
8. კიკვაძე ო., მახარაშვილი ნ., მაგანია მ., შესყიდვების ადმინისტრირება, თბ. 2017
9. კიკვაძე ო., სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში, თბ. 2016.
10. მაგანია მ., კიკვაძე ო., სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში, თბ., 2011.

Competition in the Public Purchasing Process

Otar Kikvadze

*Doctor of Business Administration,
otokikvadze@gmail.com*

Shota Getia

*PhD student of Ivane Javakishvili Tbilisi State University,
shotagetia22@gmail.com*

R e s u m e

The state procurement system has been in constant reform in recent years in Georgia. Since 2010, the existing state procurement system has been significantly changed and from this period is being carried out electronically. The State Procurement Agency has provided transparent, nondiscriminatory, fair and simple procurement system enabling users to upload and use tender documentation as well as participate in electronic bidding . However, some of the possibilities of state procurement of the system development and maximizing publicity are still contained in the risks that impede the development of equal, proportionate and healthy competitive environment among suppliers.

კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე და მისი რეგულირების მექანიზმები

თამარ ლაზარიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
tamar.lazariashvili@tsu.ge*

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიად მიიჩნევა სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სადაზღვევო საქმიანობის პოპულარიზაცია და მასზე მოთხოვნილების გაზრდა, ხარისხიანი სადაზღვევო პროდუქტების დანერგვა, ასევე, სადაზღვევო ბაზრის ინფრასტრუქტურის, პროფესიული განვითარების და კონკურენციის დაცვა.


დღეს, როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ სფეროში მომატებულია რისკები და მისგან დასაცავად აუცილებელია ქვეყანაში ფუნქციონირებდეს სრულყოფილი სადაზღვევო ბაზარი, რომელიც ხელს შეუწყობს, რეალური ეკონომიკის განვითარებას, მოსახლეობის დანაზოგების დაცვას ეკონომიკური და სხვა სახის რისკებისაგან, დანაზოგების დაბანდებას გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევაში. საბაზრო ურთიერთობებში დაზღვევა გამოდის, ერთის მხრივ, როგორც ბიზნესისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მიმართული საქმიანობა და, მეორე მხრივ, როგორც კომერციული საქმიანობა, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიების თავისუფალი ფულადი სახსრების (რეზერვების) ინვესტირება. პრობლემა ის არის, რომ სწორად განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების წესები და ფულადი სახსრების განთავსების დივერსიფიკაციის პრინციპები, ანუ რეგიონების საფინანსო დამოუკიდებლობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს რეგიონულმა სადაზღვევო ბაზარმა, რამდენადაც რეგიონულ ჭრილში დაზღვევის ეფექტურ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ფულადი სახსრების გადადინება აკუმულირების წყაროდან ინვესტიციური საქმიანობის სფეროში. პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საინოვაციო პოლიტიკას, კერძო სექტორის ხვედრითი წილის ცვლილებას ინვესტიციებში, რეგიონებში ინვესტიციურ - სადაზღვევო აქტივების ამაღლებას, რაც გულისხმობს პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური და სხვა პროცესების დარეგულირებისთვის გარემოს შექმნას.

საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის ფორმირება-ფუნქციონირება, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია დაიყოს სამ ძირითად ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს, მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2007 წლამდე, ხოლო მესამე ეტაპი – 2007 წლიდან დღემდე პერიოდს. დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მახასიათებლის ზრდის დადებითი ტენდენციები, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ სადაზღვევო კომპანიები აუმჯობესებენ როგორც მენეჯმენტს, ასევე ახორციელებენ სწორ მარკეტინგულ ღონისძიებებს. იზრდება საზოგადოების სადაზღვევო ბიზნეს – კულტურის დონეც, ეს კი აუცილებელი წინაპირობაა სადაზღვევო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა და მათი მდგრადობა განსაზღვრავს ბაზარზე კონკურენციის დონეს. ბუნებრივია, როცა ბაზარზე მოქმედებს რამდენიმე სადაზღვევო კომპანია, კონკურენცია მაღალია, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა. კონკურენციის საზომი არის კლიენტებზე მიწოდებული სადაზღვევო პროდუქტი. იმ შემთხვევაში, როცა ყოველი კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების საკუთარ განსხვავებულ პაკეტს, კონკურენცია ბაზარზე დაბალია, და პირიქით, როცა ერთნაირი მომსახურების პაკეტის მიწოდება ხდება, კონკურენცია მაღალია. ეს, რა თქმა უნდა არის უკიდურესი შემთხვევები. პრაქტიკულად საქართველოს სადაზღვე-


ვო კომპანიები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სადაზღვევო მომსახურების პაკეტით და აქედან გამომდინარე, კონკურენციაც უნდა იყოს მაღალი, მაგრამ, სადაზღვევო კომპანიების შესახებ მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირების გამო, კონკურენცია დაბალია.

საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე 14 სადაზღვევო კომპანია მოქმედებს, რომელთა მიერ 2016 წლის განმავლობაში მოზიდულმა პრემიამ 393 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. თუ შევადარებთ აღნიშნულ მონაცემს 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, მონაცემები ზრდადი აღმოჩნდება (359 მილიონ ლარზე მეტი). დინამიკაში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემია ცვალებადია (იხ. დიაგრამა1).



დიაგრამა 1. 2010-2016 წლებში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემია¹

2016 წელს 2015 წელთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა, დაახლოებით 34 მილიონი ლარის ოდენობით, მაგრამ დიაგრამა 1-ის მონაცემებს თუ გადავხედავთ, შესაბამისი მაჩვენებლები 2012-2013 წლებთან შედარებით შემცირებულია.



დიაგრამა 2 . 2016 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემია²

¹ სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, <http://insurance.gov.ge/> სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.

დიაგრამაზე 2 წარმოდგენილია 2016 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემია გადაზღვევის ჩათვლით. ლიდერ პოზიციებს იკავებს კომპანია „აღლაგი“, „იმედი L“ და „ჯიპიაი ჰოლდინგი“. ამ კომპანიებს, ასევე წამყვანი პოზიციები უკავიათ ზარალის ანაზღაურების თვალსაზრისითაც.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მდგომარეობის ანალიზისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი მაჩვენებლების – ერთ სულ მოსახლეზე სადაზღვევო პრემიის სიდიდისა და მთლიან შიგა პროდუქტში სადაზღვევო პრემიის წილის გაანალიზება. მსოფლიოს მასშტაბით ეს მონაცემები შემდეგია: მსოფლიოს სადაზღვევო ინდუსტრიის წილი მსოფლიო შშპ-ში 6,17%-ია; განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელია 8,15%, ხოლო განვითარებადი ქვეყნების – 2,71%, საქართველოსთვის შესაბამისი მაჩვენებელია 0,83%. მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე 662 დოლარის პრემია მოდის, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელია 3,666 დოლარი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების – 136, საქართველოს მაჩვენებელია \$ 37.

ზოგადად, ასეთი მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ ქვეყანაში (რეგიონში) სადაზღვევო სისტემა ძლიერია, ფართოა დაზღვევის არეალი ანუ ცოტაა დაუზღვეველი ობიექტი, მოქმედებს სავალდებულო დაზღვევები, მაღალია სადაზღვევო კულტურა და დაზღვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკაში. ამ უმნიშვნელოვანესი მონაცემების დაბალი მაჩვენებლები საქართველოში გამოწვეულია ქვეყნის მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობით, რისკების მართვის დაბალი კულტურით, სავალდებულო დაზღვევის სახეობების არარსებობით და საპენსიო/სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განუვითარებლობით.

ერთ სულ მოსახლეზე პრემიის დაბალი მაჩვენებელი და სადაზღვევო ინდუსტრიის შშპ-ში დაბალი მაჩვენებელი სხვა რამეზეც მიგვანიშნებს: სადაზღვევო ბაზარს აქვს დიდი პოტენციალი. სადაზღვევო სისტემის ძლიერება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და ამავე დროს დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობასა და ბიზნესის სიძლიერეზე.

სადაზღვევო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის მისაღწევად აუცილებელია დაიწყოს მუშაობა დაზღვევის სხვა სახეობების, ძირითადად, პროფესიული (პროფესიული საქმიანობის გამწევი პირები და ორგანიზაციები) და სამოქალაქო პასუხისმგებლობის (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მომატებული საფრთხის საწარმოები) სახეობების სავალდებულო წესით შემოღებაზე. მიზანშეწონილია ამოქმედდეს კერძო საპენსიო დაზღვევა. გარდა დაზღვეულთა სოციალური და ფინანსური დაცულობისა, ეს ქვეყნისთვის ათეულობით მილიონი (გრძელვადიან პერსპექტივაში დასეულობით მილიონი) ლარის საინვესტიციო რესურსი იქნება. საქართველოში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო ფონდები, მიმართული არ არის საფონდო ბაზარზე და იმ საინვესტიციო პროგრამებზე, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკაში ინვესტირებას. თუმცა, ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში, ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, საბანკო დეპოზიტების გარდა, პრაქტიკულად, არ არსებობს სხვა, სტაბილური შემოსავლიანი საინვესტიციო ინსტრუმენტები, სადაც შესაძლებელი იქნება კაპიტალის დაბანდება. ცხადია, რომ ქვეყანაში, სადაც დაზღვევის მექანიზმი თითქმის არ ასრულებდა დაცვის ფუნქციას, არ არსებობდა სადაზღვევო ტარიფის აგების მეთოდოლოგია, ვერ იქნება მაღალგანვითარებული. დღეს, როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ სფეროში მომატებულია რისკები, მისგან დასაცავად აუცილებელია ქვეყანაში ფუნქციონირებდეს სრულყოფილი სადაზღვევო ბაზარი. ჯანსაღი კონკურენციის პოლიტიკის დამკვიდრება, ხელშეწყობა და კონკრეტული, მიზანმიმართული ნა-

² სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.

ბიჯები ქმნის პროგრესის საფუძველს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი წინსვლის რეალურ მიმართულებას.

კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც განვითარების მნიშვნელოვანი სტიმულია, მხოლოდ სამართლიან კონკურენტულ გარემოში მიიღწევა. ურთიერთობებს დაზღვევის სფეროში სადაზღვევო ორგანიზაციებსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, აწესრიგებს საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, აგრეთვე თვით სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის ადგენს სადაზღვევო საქმიანობის კონკურენციის სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ნათლად ისახება რამდენიმე ძირითადი პრობლემა: სადაზღვევო ბაზარზე კომპანიის ცნობადობა, მათი სანდობა, ტარიფების სწორი შემუშავება, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, დაბალი ხარისხის მომსახურება, კომუნიკაციის პრობლემა და ენის ბარიერი. არსებული პრობლემების აღმოფხვრისათვის საჭიროა, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის საფუძვლიანი შესწავლა, შედეგების გაანალიზება და გამოცდილების გაზიარება. მიღებული შედეგები საჭიროა შესაბამისად მოვარგოთ სახელმწიფო სადაზღვევო ბაზრის მოთხოვნებს. ამასთანავე, აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა ამ საკითხის გადაჭრაში და სადაზღვევო კომპანიების ერთგვარი წახალისება. სასურველია ბაზარზე კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება; ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ბაზარზე არსებული კომპანიები დღითიდღე ვითარდებიან, მათ გააცნობიერეს, რომ მხოლოდ მოგებაზე ორიენტირება ვერ დაეხმარებათ სამომავლო წინსვლაში და საქმიანობის განმსაზღვრელი გახდა მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნულის გამო, მათი უმრავლესობა ცდილობს სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემების აღმოფხვრას, დასახული პრიორიტეტებისა და მიზნების ცვლილებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო თბილისი, 2012 წ. <http://www.transparency.ge/>
2. სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა, <http://insurance.gov.ge>
3. სტატისტიკა - დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური insurance.gov.ge/Statistics.aspx
4. 2016 წლის ანგარიში, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, თბილისი, 2017
5. Benfield, Aon. Global Insurance Market Opportunities. 2016. <http://thoughtleadership.aonbenfield.com/documents/20160911-ab-analytics-gimo.pdf>
6. Global insurance trends analysis. 2016. [http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-global-insurance-trends-analysis-2016/\\$File/ey-global-insurance-trends-analysis-2016.pdf](http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-global-insurance-trends-analysis-2016/$File/ey-global-insurance-trends-analysis-2016.pdf)
7. OECD. Global insurance Market. 2016. <https://www.oecd.org/daf/fin/insurance/Global-Insurance-Market-Trends-2016.pdf>
8. Rodríguez Sandra Acosta. Effects of Health Insurance Concentration Market on Insurance Coverage in Colombia. <https://www.cjournal.cz/files/172.pdf>
9. Timothy Stoltzfus Jost. The Role of a Public Health Insurance Plan in a Competitive Market Lessons from International Experience. <http://law2.wlu.edu/deptimages/Faculty/Jost%20Role%20of%20a%20Public%20Health%20Insurance%20Plan%20in%20a%20Competitive%20Market.pdf>

Competitiveness on the Insurance Market and its Regulation Mechanisms

Tamar Lazariashvili

Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tamar.lazariashvili@tsu.ge

R e s u m e

The paper discusses competitiveness on insurance market, underlines the importance of insurance and overviews the increasing trend of the demand on it. There are evaluated problems on insurance market that impedes the development of this sector. The paper also discusses the importance of implementing government regulations, trainings for employees, protecting the market from monopoly, developing insurance market and etc.

There is estimated investment potential of insurance companies to develop the countries' economy. It is important to have sustainably developed insurance market to protect risks.

Healthy competitiveness is the main factor for rapid growth in economy. To increase the interest for getting stable development in economy depends on competitiveness between insurance markets and on activating insurance services. The paper also includes conclusions regarding the insurance problems and gives relevant recommendations.

კონკურენციის ადვოკატირების პრობლემები და გამოწვევები საქართველოში

ქეთევან ლაფაჩი

*შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი*

საერთაშორისო ორგანიზაციები კონკურენციის ადვოკატირებას განიხილავენ როგორც: ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში კონკურენტული გარემოს მხარდაჭერას სხვა სახელი-სუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობებითა და კონკურენციის სიკეთეზე საზოგადოების გათვითცნობიერების გზით“;,საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს ხელისუფლების ეკონომიკურ და მარეგულირებელ პოლიტიკაზე დარგის კონკურენციული სტრუქტურის, შესაბამისი კორპორაციული ქცევისა და უკეთესი საბაზრო შედეგების მისაღწევად“(OECD, ICN, UNCTAD).

კონკურენციის ადვოკატირების ცნება უფრო ფართოა ვიდრე კონკურენციის კანონის იძულებითი აღსრულებისა და გულისხმობს კონკურენციის სააგენტოს მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში. კონკურენციის ადვოკატირების მიზანია ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფა, რომელიც “შეამცირებს ბაზარზე შესასვლელ ბარიერებს, წაახალისებს დერეგულირებისა და ვაჭრობის ლიბერალიზების პროცესებს და მინიმუმამდე დაიყვანს მთავრობის ინტერვენციების რისკს“ (WB, OECD 1998).

კონკურენციის ადვოკატირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში, რომლებიც მუდმივი რეფორმების პროცესში იმყოფებიან და სადაც სამთავრობო ინტერვენციები ბიზნესში უფრო ხშირია (რაც ცხადია არც განვითარებულ ქვეყნებში გამორიცხავს კონკურენციის ადვოკატირების საჭიროებას). საჭიროების მიუხედავად, გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების კონკურენციის სააგენტოები, მათი გავლენისა და უნარების გათვალისწინებით, ხშირად მზად არ არიან კონკურენციის ადვოკატირებისათვის, ეს ცნობილი დილემაა, რომლის გადაჭრაც სათანადო პოლიტიკურ ნებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

საერთაშორისო ლიტერატურაში განიხილება კონკურენციის ადვოკატირების წარმატების რამდენიმე წინაპირობა: ა) კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა (როგორც სტრუქტურული, ასევე საოპერაციო) - რომელიც განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო მექანიზმებით, ასევე პიროვნული ფაქტორებით და სხვა თანაბარ პირობებში კონკურენციის სააგენტოს ანიჭებს მეტ თავისუფლებას როგორც კონკურენციის ადვოკატირების, ასევე იძულებითი აღსრულების პროცესში. არსებობს მოზარებაც, რომ დამოუკიდებლობამ შესაძლოა წარმოშვას გარკვეული პრობლემებიც, მათ შორის: წვდომა გადაწყვეტილების მიღებისა და საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე, ნაკლები გავლენა პოლიტიკურ წრეებში (რაც შესაძლებელი იქნებოდა სააგენტოს გავლენიან სამინისტროსთან აფილირების შემთხვევაში). საოპერაციო დამოუკიდებლობა გულისხმობს კომენტარების თავისუფლებას და სხვა საჯარო თუ კერძო პირებისაგან განსხვავებული პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობებს და მისი განმტკიცების საუკეთესო გზად მიჩნეულია სააგენტოსთვის მარეგულირებელი აქტებისა და ქმედებების კომენტარების ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა; ბ) სათანადო რესურსები, როგორც იძულებითი აღსრულების, ასევე კონკურენციის ადვოკატირების განსახორციელებლად და ამ რესურსების ეფექტიანი გადანაწილება პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. კონკურენციის სააგენტოების 62% ადვოკატირებაზე ხარჯავს მხოლოდ რესურს-

სების 20 %-ს, დანარჩენი კი დაახლოებით 20-30%, ტექნიკური უნარების გათვალისწინებით საკითხი რესურსების ოპტიმალური გადანაწილების თაობაზე კიდევ უფრო რთულდება (ICN, 2015); გ) სააგენტოს იმიჯი - სანდო და მიუკერძოებელი ინსტიტუტის იმიჯი მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის, მათ შორის საზოგადოების გათვითცნობიერების მიზნით გაწეული საქმიანობით და უკვე არსებული პრაქტიკის გაზიარებით მიიღწევა.

ლიტერატურაში განიხილება კონკურენციის საჯარო ადვოკატირების რამდენიმე ძირითად პლატფორა: ა) პრივატიზების პროცესი; ბ) საკანონმდებლო საქმიანობა, მთავრობის პოლიტიკა და მარეგულირებელი რეგორმები; გ) კონკურენციის პოლიტიკა რეგულირების პროცესში; დ) საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის განვითარება.

ადვოკატირების გავრცელებული ფორმებია ფორმალური და არაფორმალური მონაწილეობა რეგორმებისა და ეკონომიკის მართვის პროცესებში; სპეციალური კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება; პოლიტიკაში და ბიზნესში სამთავრობო ინტერვენციების ანალიზი, კონკურენციული ეფექტის შეფასება და ზემოქმედება შესაბამის ორგანოებზე; ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება; სხვა სახელისუფლო სტრუქტურებთან და ბიზნესს ორგანიზაციებთან ურთიერთობები;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატირების როლი პრივატიზების პროცესში. კონკურენციის სააგენტო ამ პროცესში გაცილებით ეფექტურია თუ მას კანონით აქვს განსაზღვრული საპრივატიზაციო პროექტების განხილვის, მოდიფიკაციის მოთხოვნის და აუცილებლობის შემთხვევაში, დაბლოკვის უფლება.

კონკურენციის ადვოკატირება ეხება ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ინიციატივას, რომელიც შეიცავს კონკურენციის კომპონენტს. შეზღუდული რესურსებით შეუძლებელია ყველა საკანონმდებლო ინიციატივაზე რეაგირება და აუცილებელია პროცედურული ჩართულობა, რომ საჭირო შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ყურადღების გამახვილება კონკურენციისათვის საფრთხის შემცველ მომენტებზე. გარდა საკანონმდებლო საქმიანობისა, ადვოკატირების როლი მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის სხვა სფეროებშიც, როგორცაა; სახელმწიფო შესყიდვები (სადაც წარმატებული ადვოკატირება უშუალო გავლენას ახდენს საჯარო ფინანსების ეფექტიან გამოყენებაზე. მაგ. სასკოლო ინვენტარის კეისი), სავაჭრო პოლიტიკა, სახელმწიფო დახმარებები და სუბსიდიები და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროები, სადაც განსაკუთრებით ხშირია ღია თუ ფარული წინააღმდეგობები ბაზარზე უკვე დამკვიდრებული და კარგი პოლიტიკური კავშირების მქონე კომპანიების მხრიდან.

საერთაშორისო თანამშრომლობა ქმნის კონკურენციის ადვოკატირების საზღვრებს გარეთ განხორციელების შესაძლებლობებსაც (ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა კეისები);

გარდამავალ ქვეყნებში ადვოკატირების პრობლემები და შესაბამისად კონკურენციის ადვოკატირება განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური რეგორმების პროცესში და ინფრასტრუქტურულ დარგებში, თუმცა როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული პრაქტიკა ადასტურებს, რომ კონკურენციის ადვოკატირების საჭიროება არც სხვა პერიოდებში და სფეროებში იკლებს. მაგ: კონკურენციის დაუსაბუთებელი შეზღუდვა გადაზიდვების სფეროში; ტელემაუწყებელთა საგადასახადო დისკრიმინაციისა და სხვა კეისები (კუტივაძე, 2016; ფეტელავა, 2006).

ადვოკატირების პროცესის ეფექტიანობის აუცილებელი წინაპირობაა კონკურენციის სააგენტოს ადვოკატირების სამართლებრივად განმტკიცებული უნარები: ძირითადი აკრძალვები, სააგენტოს უფლებამოსილებები, ზემოქმედების ბერკეტები. ამ ასპექტში მნიშვნელოვანია: გათვალისწინებულია თუ არა ადვოკატირების პრინციპები კონკურენციის შესახებ ზოგად და დარგობრივ კანონებში; ანიჭებს თუ არა კანონმდებლობა კონკურენციის სააგენტოს ცხად და ფორმალურ

მანდატს კონკურენციის ადვოკატორებისათვის; როგორ განსაზღვრავს კანონმდებლობა ურთიერთობებს სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს, სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, სააგენტოსა და ბიზნესს შორის; აქვს თუ არა სააგენტოს მარეგულირებელი აქტების, ან ქმედებების კომენტარების შესაძლებლობა, რა ეტაპზე, სავალდებულოა თუ არა სააგენტოს ჩართვა ამ პროცესებში; სავალდებულოა თუ არა სააგენტოს რეკომენდაციის შესრულება და სხვა.

კონკურენციის ადვოკატორების კონკრეტული მოდელი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორცაა: ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა, კონკურენციის სააგენტოს ადგილი ზოგად მარეგულირებელ სისტემაში, კონკურენციის კულტურა, ტრადიციები. ზოგიერთი ქვეყანა ადვოკატორების ღონისძიებების ნაწილს საერთოდ სპეციალური სამართლებრივი დებულებების გარეშე ახორციელებს (მაგალითად გერმანია და ნიდერლანდები), აიხსნება ამ ქვეყნების კონკურენციის სააგენტოების კარგი რეპუტაციითა და კონკურენციის ტრადიციებით. თუმცა, საზოგადოდ, სამართლებრივი მექანიზმების ნაკლებობა უარყოფითად აისახება ადვოკატორების პროცესზე (ICN, 2002).

კონკურენციის ადვოკატორების პრაქტიკა საქართველოში

ლიტერატურის მიმოხილვაც და საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ხანმოკლე და არათანმიმდევრული პოლიტიკის ანალიზიც გვიჩვენებს, რომ სახელისუფლებო სტრუქტურების ანტიკონკურენციული ქმედებების ოპონირება კონკურენციის „ახალგაზრდა“ სააგენტოებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის ადვოკატორება, როგორც ტერმინი შედარებით ახალია, კონკურენტული გარემოს განვითარების მხარდაჭერა და დაცვა პრევენციული და არაიძულებითი აღსრულების მექანიზმებით წარმოადგენდა საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის ძირითად ამოცანას მისი განვითარების ყველა ეტაპზე. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის #323 დადგენილება „საქ. რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ იყო პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც პრივატიზებისა და დემონოპოლიზაციის პროცესების კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობას ითვალისწინებდა. ამავე პერიოდში მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ სამეწარმეო ერთეულების სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩამონათვალში ითვალისწინებდა ანტიმონოპოლიური ორგანოს დასკვნას. ხელისუფლების ანტიკონკურენციული ქმედებების აკრძალვას ითვალისწინებდა სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობისა შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ და შემდგომში მიღებული ყველა კანონი კონკურენციის შესახებ (1996,2005,2012), ისევე როგორც სექტორული კანონები ზოგადი დებულებების სახით. რაც შეეხება კონკურენციის ადვოკატორებასთან დაკავშირებული დებულებების აღსრულების მექანიზმებსა და პრაქტიკას, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს პროცესი შედარებით აქტიური, თუმცა არასაკმარისად ეფექტური, იყო კონკურენციის პოლიტიკის განვითარების საწყის ეტაპებზე (რომელსაც უცხოელი ექსპერტები ამბიციურ სტარტს უწოდებდნენ).

1997-2002 წლებში ანტიმონოპოლიური სამსახურის რეკომენდაციებსა და მიწერილობებს ჰქონდა შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი, სამსახური წარმოდგენილი იყო მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებში ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, ინტელექტუალური დაცვის ეროვნულ ცენტრში. ეკონომიკის სამინისტროში გასახილველად შემოსული პროექტები ექვემდებარებოდა ანტიმონოპოლიური ექსპერტიზას კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. აღნიშნული გარკვეულ პირობებს ქმნიდა კონკურენცი-

ის სააგენტოს ჩართულობისათვის მიმდინარე პროცესებში, თუმცა ვერ უზრუნველყოფდა ბიზნესში ყველა სამთავრობო ინტერვენციის შესახებ ინფორმაციის დროულად მიღებასა და რეაგირებას სამსახურის შეზღუდული სტატუსის, შესაძლებლობების და სხვა ფაქტორების (ხელისუფლების წარმომადგენელთა ბიზნეს ინტერესები, ძლიერი კორუფციული ფონი და არასაკმარისი პოლიტიკური ნება) გამო. შედეგად, ცალკეული წარმატებული კეისები ვერ ცვლიდა ბაზარზე დამკვიდრებულ ტენდენციებს (მაგ: კეისები დაზღვევის სფეროდან) და საკანონმდებლო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული დროული რეაგირებაც კონკურენციის შემზღუდავ ინიციატივებზე/ქმედებებზე ყოველთვის ვერ აღწევდა დასახულ მიზანს.

წლების განმავლობაში კონკურენციის ადვოკატორების შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენენ კონკურენციის კანონის გავრცელების შეზღუდული არეალი: საპარლამენტო პროცესებში მონაწილეობის ხარისხი; არასაკმარისი თანამშრომლობა და კოორდინაცია ხელისუფლების სხვა შტოებებთან; სააგენტოს მწირი ბიუჯეტი; კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მათი მოზიდვისა და შენარჩუნების სირთულეებთან ერთად; სასამართლოების მოუმზადებლობა სპეციფიურ საკითხებში; კონკურენციის არასათანადო კულტურა ბიზნეს წრეებში და ე.წ. „ადგილობრივი ჩემპიონების“ ფაქტორი და სხვა.

2002 წლიდან კონკურენციის კანონის გავრცელების არეალი მნიშვნელოვნად შეიზღუდა, 2005 წლიდან კი მისი როლი რეფორმების პროცესში საერთოდ იგნორირებული იქნა. რამდენიმე წლის განმავლობაში კონკურენციის კანონიც და სააგენტოც მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. 2009 წლიდან ევროკავშირთან ასოცირების პროცესების გააქტიურებით კონკურენციის პოლიტიკისა და გაჯანსაღების საკითხებმა კვლავ წამოიწია წინა პლანზე, თუმცა, მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, საკანონმდებლო რეფორმების (მათ შორის 2012-2014 წლების რეფორმების) პროცესში გაძლიერებულიყო კონკურენციის სააგენტოს ადვოკატორების უნარები, შესაბამისი საპროექტო დებულებები არ იქნა გათვალისწინებული.

ამ პრობლემების ფონზე აქტუალურია კითხვები: რას ნიშნავს წარმატებული ადვოკატორება: ბევრ საქმეებს თუ კონკურენტული გარემოს და ტენდენციების გაუმჯობესებას? რა უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტი თუ დასრულებული კეისების რიცხვი? როგორია უკეთეს ინსტიტუტში ინვესტიციის ფასი და სარგებელი? რა, როგორ, რა რესურსით? ადვოკატორება კანონის მოთხოვნით, საკუთარი ინიციატივით თუ მთავრობის ან პარლამენტის დავალებით? ასრულებს თუ არა სააგენტო მთავრობისა და პარლამენტის მრჩეველის როლს კონკურენციის საკითხებში? რამდენად დროულად ხდება სააგენტოს ინფორმირება ამა თუ იმ მარეგულირებელ ქმედებებზე? რა მექანიზმებით, რა უფლებით და რა ეტაპზე შეუძლია მას ზემოქმედება? აქვს თუ არა სააგენტოს დასკვნაში მითითებულ რეკომენდაციებს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი? არის თუ არა საზოგადოება ინფორმირებული ადვოკატორების პროცესებზე და რა სახით? პასუხების გათვალისწინება აუცილებელია კონკურენციის ადვოკატორების ეფექტური ჩარჩოს განსაზღვრისათვის.

დასკვნები და წინადადებები

კონკურენციის ადვოკატორების აქტუალობა განპირობებულია არა მხოლოდ ადგილობრივი ფაქტორებით არამედ კონკურენციის პოლიტიკის საერთაშორისო ტენდენციებით, კერძოდ პრევენტული პრაქტიკის როლის გაძლიერებით აღსრულების ღონისძიებებთან შედარებით, ისევე როგორც RULE OF REASON მიდგომის წინა პლანზე წამოწევით PERSE ILLEGAL - თან შედარებით;

დღეისათვის საქართველოს კონკურენციის სააგენტო, როგორც კონკურენციის საჯარო ადვოკატი, საკმაოდ სუსტად გამოიყურება. მიუხედავად სააგენტოს უნარების გაძლიერების მიზნით

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით ორგანიზებული ღონისძიებებისა და ტექნიკური დახმარებისა, არასათანადო ფორმალური როლი და სტატუსი საერთო სახელისუფლებო სისტემაში მწირი რესურსები (როგორც ადამიანური ასევე ფინანსური) არ იძლევა კონკურენციის დამცველის რანგში სააგენტოს ძლიერ და მიუკერძოებელ ოპონენტად ჩამოყალიბების საშუალებას.

ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს სააგენტოს სტრუქტურული და საოპერაციო დამოუკიდებლობა, შექმნას მისი სტატუსისა და ფინანსური დამოუკიდებლობის მყარი სამართლებრივი გარანტიები; უზრუნველყოს სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო კომისიების (განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება საპრივატიზებო და მსხვილ საინვესტიციო პროექტებს), ისევე როგორც საკანონმდებლო საქმიანობაში; აუცილებელია სააგენტოს გადაწყვეტილებებს ჰქონდეს არა მხოლოდ სარეკომენდაციო, არამედ სავალდებულო და შემზღუდავი ხასიათი.

საზოგადოებრივი კონკურენციის ადვოკატირების პროცესის წარმატება გარდა სააგენტოს მახასიათებლებისა დამოკიდებულია იმ გარემოზეც, რომელშიც იგი ოპერირებს. „... კონკურენციის იდეალური სისტემის შემადგენელია სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილი, დამოუკიდებელი, ტრანსპარენტული, ანგარიშვალდებული და შედეგზე ორიენტირებული კონკურენციის სააგენტო ფართო და მოქნილი მექანიზმების პორტფელით, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია კონკურენციის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მხრიდან შეზღუდვების საწინააღმდეგოდ. სააგენტო მოქმედებს როგორც ნაწილი ყოვლისმომცველი პოლიტიკური ჩარჩოსი, რომელიც აღიარებს კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდისათვის, რომელშიც მომხმარებელს აქვს ძლიერი ხმა და სადაც სასამართლო კარგად ერკვევა კონკურენციის საკანონმდებლო და ეკონომიკურ ასპექტებში (Fingleton, 2011). გარდა სააგენტოს მახასიათებლების კვლავ დღის წესრიგშია კონკურენციის პოლიტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საჯარო პოლიტიკის რანგში აყვანა.

კონკურენციის სააგენტოები არსებობის პირველი 10 წლის განმავლობაში ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორცაა: საზოგადოების ნდობის მოპოვება და დამკვიდრება არსებულ მარეგულირებელ გარემოში ეფექტიანი აღსრულებით, ისევე როგორც ადვოკატირებით, საჯაროობითა და კარგი პროცესით; კარგი ლიდერების მოზიდვა, შენარჩუნება და გუნდის ჩამოყალიბება; საზოგადოების მოლოდინის და მოთხოვნების კონტროლი; გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებლობის (მაგრამ არა იზოლაცია პოლიტიკური პროცესებიდან) მოპოვება და შენარჩუნება; ადმინისტრაციული პროცესის ადექვატურობის უზრუნველყოფა; კავშირების დამყარება სხვა ინსტიტუტებთან, მათ შორის მარეგულირებელ კომისიებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მომხმარებელთა დაცვისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, მედიასთან; ბიზნესისა და საზოგადოების გათვითცნობიერება კონკურენციის კანონებში (კოვასიკი, 2010);

შემდგომ კი ახალგაზრდა სააგენტო ამ გამოწვევებთან გამკლავებას მხოლოდ საკუთარი ძალებით იმ გარემოში: სადაც მისი ინსტიტუციური მშენებლობა ყოველ 10 წელიწადში ერთხელ თავიდან იწყება, მისი დამოუკიდებლობა (ფინანსურიც და საკადროც) კი გაცილებით მცირე ვიდრე მრავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა: სადაც არ ჩანს თანმიმდევრული პოლიტიკური ნება კონკურენციის პოლიტიკის ეფექტური ინსტიტუციური ჩარჩოს შესაქმნელად და საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებზე პასუხია?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fingleton, J., Competition Enforcement Capacity Building and Competition Advocacy, Speech at the 2nd BRICS International Competition Conference, Beijing, 20-22 September 2011
2. Foundation of an effective competition agency. Note by the INCTAD secretariat, 2011
3. ICN (2006), Lessons to be learnt from the experiences of young competition agencies <http://www.internationalcompetitionnetwork.org>
4. ICN, Advocacy and Competition Policy/Report prepared by the Advocacy Working Group/ICN's Conference, Naples, Italy, 2002
5. ICN Framework of Competition Assessment Regimes /Prepared by ICN Advocacy Working Group /Presented at the ICN 14th Annual Conference /Sydney, April 2015
6. Kovacic W.E. (2010). The first decade: challenges facing new competition agencies. Available at <http://www.ftc.gov/speeches>
7. Note by UNCTAD Secretariat, „Ways and means to strengthen competition law enforcement and advocacy”, UNCTAD, 27.04.15
8. OECD, Report on: Competition Advocacy: Challenges for Developing Countries
9. <http://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/32033710.pdf>
10. Simon J. Evenett, Competition Advocacy: Time for a Rethink, Symposium on Competition Law and Policy in Developing Countries
11. <http://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1631&context=njilb>
12. კუტივაძე, ნ., კონკურენციის შეზღუდვის კეისი საფოსტო მომსახურების ბაზარზე, აბრეშუმის გზის მე-11 საერთაშორისო კონფერენციის სტატიათა კრებული, თბილისი, 20-21 მაისი 2016, გვ. 375-387
13. ფეტელავა ს., კონკურენციის პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბილისი, 2006

Competition Advocacy Problems and Challenges in Georgia

Ketevan Lapachi

Professor of the International

Black Sea University

R e s u m e

The paper is related to the competition advocacy needs and problems in Georgia. It focuses on analyzing the foundation for competition advocacy and challenges faced to the Competition Agency of Georgia. A significant accent is made on the competition assessment on the early stages of regulatory decisions. Based on the analysis of international practice and Georgian reality, (including the personal experience of the author) conclusions and policy recommendations to develop effective framework for competition advocacy are elaborated. Mainly, the methods of qualitative analysis (literature review / desk research, case study; Interview with business representatives, executive authorities and NGOs) are used.

საერთაშორისო ვალდებულებები და თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში

თინათინ ლოლაძე

ეკონომიკის მაგისტრი,

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წამყვანი სპეციალისტი

tloladze@competition.ge

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ ხელშეკრულების (AA) უმნიშვნელოვანესი ნაწილია და წარმოადგენს, როგორც ევროპაში ინტეგრაციისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს, ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს „ევროპის საზღვრებთან კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების“ სარტყლის შექმნას.¹ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ევროპის სამხრეთით და აღმოსავლეთით არსებულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობას. შეთანხმებას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, რის შემდეგაც იგი საქართველოს, ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი პირობითად (conditional application) 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს იგი სრულად შევიდა ძალაში.

შეთანხმების „ღრმა და ყოვლისმომცველი“ ნაწილი (DC) ეხება კანონმდებლობის, რეგულაციების და ნორმების მნიშვნელოვან ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტებთან. ვინაიდან, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კონკურენციის ეფექტური პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური სუბიექტების მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და მთავრობის მიერ კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარების გაცემაზე კონტროლს ახორციელებს, უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მე-10 თავი ეძღვნება სწორედ კონკურენციას.

DCFTA-ს კონკურენციის მე-10 თავი მცირე მოცულობისაა. ის რამდენიმე ზოგად დებულებას მოიცავს და პირდაპირ არ ავალდებულებს საქართველოს, დაუახლოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კონკურენციის წესების და სისტემის მოთხოვნებს, რომლებიც აერთიანებს შემდეგ მუხლებს:

- პრინციპები;
- ანტიტრასტული და შერწყმების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი განხორციელება (მუხლი 204);
- სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები და საწარმოები სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებებით (მუხლი 205);
- სუბსიდიები (მუხლი 206);
- დავების მოგვარება (მუხლი 207);
- ურთიერთმიმართება ვმო-სთან (მუხლი 208);
- კონფიდენციალობა (მუხლი 209).

¹ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:r17100>

ეს ნიშნავს, რომ საქართველოს შესაბამის ორგანოებს შედარებით ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნიათ კონკურენციის პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა. კერძოდ, 2012 წლის ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ შვედეთის კონკურენციის სააგენტოს ექსპერტებთან თანამშრომლობით და ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით იქნა შემუშავებული და მიღებული. 2005-2012 წლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა, ერთის მხრივ, არეგულირებდა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების საკითხებს, მეორეს მხრივ, კანონმქვემდებარე ნორმების არ არსებობის გამო ამ ფუნქციას პრაქტიკულად ვერ ასრულებდა. კანონმდებლობის შემდგომი ცვლილებები 2014 წელს განხორციელდა, რომლებიც შემდეგ სფეროებს მოიცავდა:

- ანტიკონკურენციული დებულებები, რომლებიც ეხება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად;
- სახელმწიფო დახმარება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო დახმარების გაწევის პროცედურებს;
- ინსტიტუციონალური დებულებები, რომლებიც ეხება ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, საგამოძიებო და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებებს.

წინ გადადგმული ნაბიჯია ასევე კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებელ და მხოლოდ პრემიერ მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულ სტრუქტურად ჩამოყალიბება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2017 წლის იანვრიდან დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“. პროექტის ხანგრძლივობა ორი წლის ვადით განისაზღვრა და მას საერთაშორისო კონსორციუმის ახორციელებს, რომელსაც “Business and Strategies Europe” ხელმძღვანელობს, ხოლო ერთ-ერთი წევრი ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოა. პროექტის მიზანია გააძლიეროს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარება, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ წინსვლას და მომხმარებელთა კეთილდღეობას, ევროკავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად.

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით (AA), საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერას“ ფარგლებში შეიქმნა დოკუმენტი, სადაც მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს კონკურენციის კანონის საერთაშორისო მოთხოვნებთან, ევროკავშირის კონკურენციის კანონთან და გამოცდილებასთან შესაბამისობის შესახებ, სადაც ნათლად ჩანს საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ არსებული ხარვეზები.

ჩვენ აქ უფრო დეტალურად შევხებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა - კონცენტრაციების სფეროში არსებული პრაქტიკა, როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილ რეკომენდაციებში ერთ-ერთი თავი ეძღვნება კონცენტრაციასაც, სადაც მოცემულია მთელი რიგი ხარვეზები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ კონცენტრაციის ნაწილი საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას. კონცენტრაციის განმარტება დოკუმენტში ძალიან ზოგადია და მისი შეფასების კრიტერიუმში ბუნდოვანი. საქართველოს კანონის „კონკურენციის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტების მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის

შექმნა ან გაძლიერება წარმოდგენილია კონცენტრაციის შეფასების უკიდურეს კრიტერიუმად. მაშინ როდესაც ევროკავშირის რეგულაციაში, (მუხლი 2, მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები, კონცენტრაციის შეფასება)² მოცემულია რომ, კონცენტრაციები, რომლებიც საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში მნიშვნელოვნად არ არღვევენ ეფექტურ კონკურენციას, კერძოდ, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის შექმნის ან გამყარების გზით, მიჩნეულ უნდა იყვნენ საერთო ბაზრის პრინციპებთან თავსებადად. ასევე, კონცენტრაციები, რომლებიც საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში მნიშვნელოვნად არღვევენ ეფექტურ კონკურენციას, კერძოდ, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის შექმნის ან გამყარების გზით, მიჩნეულ უნდა იყვნენ საერთო ბაზრის პრინციპებთან არათავსებადად.

რაც შეეხება საქართველოს გამოცდილებას, უნდა ავლინდეს, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ 2016 წელს შესწავლილ ერთ-ერთ კონცენტრაციაში - შპს „X-ს“ და შპს „Y-ს“ შორის, გამოვლინდა ასევე საკანონმდებლო ხარვეზი, კერძოდ: ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა შპს „X-ის“ მიერ შპს „Y-ის“ 100%-იანი წილის კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე შეძენის საკითხის კანონიერება და დაადგინა, რომ მიღებული შეთანხმებით ირღვეოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და მე- 11¹ მუხლის მოთხოვნები.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საკანონმდებლო ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ განსახილველ შემთხვევაში, წილთა შეძენა წარმოადგენს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონცენტრაციას. ანუ, დაკმაყოფილებული იყო ყველა ფორმალური მოთხოვნა, რაც კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტებს, სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღების აუცილებლობას ავალდებულებდა. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს, დარღვევის დადგენის მიუხედავად, არ გააჩნია მსგავს შემთხვევებზე რეაგირების ეფექტიანი და თანაზომადი სამართლებრივი ბერკეტი (ადმინისტრაციული საჩქების ან სხვა ფორმით), რომელსაც იგი გამოიყენებდა სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციების გამოვლენის შემთხვევაში, რაც, ცხადია, საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს.

შესაბამისად აღნიშნულისა, სააგენტომ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების პარალელურად, მოამზადა და საქართველოს მთავრობას წარუდგინა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

კონცენტრაციებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი საკითხია ექვემდებარება თუ არა კონცენტრაცია განხილავს. საქართველოსთვის კარგი მაგალითია ევროკავშირის მიერ შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მიმოიხილავს შერწყმის რეგულაციის არამაკონტროლებელი წილების ფლობას, რათა მოხდეს კარგად ინფორმირებული და საფუძვლიანი შეხედულებების ჩამოყალიბება მოქმედი საკანონმდებლო პრაქტიკებთან მიმართებაში.

საკანონმდებლო ანალიზმა აჩვენა, რომ მცირე აქციათა შეძენა ცდება გარკვეულ დონეებს ან/და გარკვეულ პირობებს და წარმოადგენს თითოეული კონკურენციის უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებულ შერწყმის მაკონტროლებელ წესებს, მიუხედავად იმისა, აღნიშნული წილების შესყიდვა მყიდველს აძლევს კონტროლის უფლებას თუ არა.

სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი სხვადასხვა კონკურენტული რეჟიმები გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როდესაც საქმე ეხება მცირე არამაკონტროლებელი წილების შესყიდვას. კერძოდ, არსებობს განსხვავებები იურიდიული კრიტერიუმები გახდეს თუ არა

² <http://eur-lex.europa.eu/legal-content/FR/TXT/PDF/?uri=CELEX:32004R0139&from=en>

შერწყმა განხილვის საგანი კონკურენციის ორგანოების მიერ, მაგალითად: გაერთიანებულ სამეფოში (UK) მოქმედი 25%-იანი წილის შეძენა სადავოს ქმნის მატერიალური გავლენის (material influence) აღქმას, მაშინ როდესაც გერმანიაში და ავსტრიაში 25%-იანი წილის შეძენა წარმოადგენს მტკიცე ზღვარს. კიდევ ერთი შესამჩნევი განსხვავება გაერთიანებული სამეფოს (UK) რეჟიმსა და გერმანია-ავსტრიას შორის არის ის ფაქტი, რომ გაერთიანებულ სამეფოში (UK) მოქმედებს შერწყმების ნებაყოფლობითი შეტყობინების სისტემა.

განვიხილოთ შერწყმების მაკონტროლებელ რეჟიმის თვისობრიობის შეფასება ევროკავშირის (EU), გაერთიანებული სამეფოს (UK), გერმანიის და ავსტრიის მაგალითზე.

EU. 2014 წელს ევროკავშირმა გამოუშვა არამაკონტროლებელი აქციების შესყიდვის შესახებ „ვაით ფეიფერ“. სადაც მითითებულია, რომ არამაკონტროლებელი აქციების შესყიდვა კონკურენციის მიზნებისთვის იქნება მნიშვნელოვანი თუ შესაძენი აქციები არის დაახლოებით 20%. ხოლო იმ შემთხვევაში თუ წილი მოთავსებულია 5-20% შორის კონკურენციის მიზნებისთვის შეტყობინება იქნება მნიშვნელოვანი, თუ მას მოსდევდეს უფლება, რომელიც მყიდველს აძლევს დამატებით კონტროლის საშუალებას, როგორც:

- ვეტოს უფლებას (გადამწყვეტი ხმის უფლება);
- ადგილს დირექტორთა საბჭოში;
- წვდომას მყიდველის კომერციულად მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.

UK. გაერთიანებულ სამეფოში მეწარმეთა შესახებ კანონი არეგულირებს აქციონერთა უფლებებს მათ ხელთ არსებული წილების მიხედვით, მაგრამ როდესაც UK-ის კონკურენციის კომპეტენტური პირი (Competition and Markets Authority) განიხილავს არამაკონტროლებელ აქციების შესყიდვას, ძირითადად ყურადღებას აქცევს იმ უფლებებს რომელიც მოსდევს შესაბამის აქციებს. რაც შეეხება შეტყობინების ვალდებულებას იგი წარმოიშვება თუ მყიდველი შეიძენს შემსყიდველი კომპანიის მთლიანი წილის 25% ან მეტს.

გერმანია. გერმანიის (GWB) კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონი მოიცავს ორ მთავარ პირობას არამაკონტროლებელი წილების შეძენასთან დაკავშირებით: შერწყმა მნიშვნელოვანია როდესაც:

1. მყიდველი ყიდულობს 25%-იან წილს ან შეისყიდის იმ აქციათა რაოდენობას რომელიც ჯამში იძლევა 25%-ს (უკვე არსებული წილი+ახალი შენაძენი).

2. თუ წილების შესყიდვა ხდება 25%-მდე და მას მოსდევს გარკვეული გავლენა კონტროლის მხრივ მყიდველი კომპანიის მიერ.

ავსტრია. ავსტრიის კანონი შერწყმის შესახებ მკაცრადაა განსაზღვრული. როდესაც მყიდველი პირდაპირ ან არაპირდაპირ იძენს სხვა ეკონომიკურ აგენტის წილს წარმოემშვებათ კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულება თუ აქციათა წილი მიაღწევს ან გადააჭარბებს 25%-ს, მიუხედავად იმისა იცვლება თუ არა მმართველობა.

ერთერთი საინტერესო მაგალითია Ryanair-ის მიერ ირლანდიური Aer Lingus-ს 29.8%-იანი წილის შეძენა. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია ფრენებს ახორციელებდა ირლანდიიდან და იმყოფებოდნენ მკაცრ ურთიერთ კონკურენტულ გარემოში დაახლოებით 46 ფრენით მიმართულებებით. სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა მთავარი რათა კომისიას მიეჩნია, რომ მოცემული შერწყმა დააზიანებდა მომხმარებლების ინტერესებს და გამოიწვევდა საბაზრო მონოპოლიის ან დომინირებული პოზიციის შექმნას. გაერთიანებული სამეფოს კონკურენციის კომისიამ დაავალდებულა კომპანია Ryanair, რომ 29.8%-იანი წილი დაეყვანა 5%-მდე.³

როგორც ვხედავთ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ ხელშეკრულების (AA) მნიშვნელოვანი ნა-

³ <https://www.gov.uk/cma-cases/ryanair-aer-lingus-merger-inquiry>

წილია და მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს, რომელიც კონკურენციის პოლიტიკასაც ეხება. ვფიქრობ რომ, საერთაშორისო ვალდებულებები კიდევ უფრო გააღრმავებს თანამშრომლობას კონკურენციის სფეროში, რასაც გარდაუვლად მოყვება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა. თავის მხრივ კანონმდებლობის სრულყოფა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, რაც ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, ხელს შეუწყობს სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შექმნას ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონი;
2. Support to Georgia Competition Agency; EuropeAid/137882/DH/SER/GE; “Compatibility of the Georgian Law on Competition with International Obligations and the EU Competition Law Best Practices”.
3. <http://competition.ge/ge/index.php>
4. <http://www.economy.ge/>
5. <http://www.parliament.ge/ge/>
6. <http://www.dcfta.gov.ge/>
7. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:r17100>
8. <https://www.gov.uk/cma-cases/ryanair-aer-lingus-merger-inquiry>
9. <http://ec.europa.eu/competition/publications/reports/KD0416839ENN.pdf>
10. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32004R0139&from=EN>

International Commitments and Cooperation in the Field of Competition

Tinatin Loladze

Master of Economics,

Leading Specialist of Competition Agency of Georgia

tloladze@competition.ge

R e s u m e

Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) agreement, a very significant part of the Association Agreement (AA), is on harmonizing Georgian legislation, regulations and rules with the European Union standards. In chapter 10 of DCFTI document, there are given general provisions on competition; although, it does not require Georgia to harmonize all the laws with European standards, Georgian competition policy has been improving by consideration of European legislation and best practice. European union 2-year-long project – “Support to Georgian Competition Agency” – points out the cooperation of Georgia and EU in competition. This project supports capacity building of Competition Agency, economic development of Georgia and consumer welfare. In the research, I focused on the gaps in concentration control regulation given in the Georgian law on competition and European experience. To be specific, I discussed the merger regulation regarding minority shareholdings using examples from European Union (EU), United Kingdom (UK), Austria and Germany.

კონკურენციის ზოგადთეორიული გააზრებისა და საერთაშორისო პრაქტიკის საკითხები

რევაზ ლორთქიფანიძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,
revazlordkipanidze@gmail.com*

ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს კრიტიკულ შეკითხვას, არის თუ არა ჩემს მიერ გააზრებული კონკურენციის ობიექტური კანონზომიერება და რაციონალური საზღვრების ინდექსები საჭირო და მნიშვნელოვანი?

კონკურენციისა და თავისუფალი ბაზრის პრაქტიკაში ზღვრული ხარჯების კვლევების საუკეთესო შედეგებისათვის, გულწრფელ განსაკუთრებულ პატივს მივაგებ ყოველივე ახალ პროგრესულ ცვლილებას ამერიკის შეერთებული შტატებში და შვეიცარულ, ავსტრიულ, ფრანგულ და ინგლისურ ეკონომიკურ სკოლებს, თუმცა მივიჩნევ, რომ რიკარდოსა და ქეინზის გენიალური მოსაზრებები (კონკურენციის საკითხებზე) და ჰერფილდ-ჰირშმანის ინდექსის მეთოდოლოგია (რომელსაც ამერიკელები და მრავალი სხვა ქვეყანა იყენებს) საჭიროებენ განვითარებას თანამედროვე პირობებში.

ხანგრძლივი კვლევების შედეგად, ვხედავ, რომ კონკურენცია არ ნიშნავს მხოლოდ კონკურენტების დიდ რაოდენობას, ბაზარზე შეიძლება ოპერირებდნენ ყველა ზომის კომპანიები და ჩვენ მეტად დაინტერესებული უნდა ვიყოთ არაკეთილსინდისიერი (ყველაზე სახიფათო) მსხვილი მიმწოდებლების შეფასებით და არა უმცირესების ინდიკატორების გაანგარიშების ხანგრძლივი პროცესით. დარწმუნებული ვარ, რომ კონკურენციის დასაცავად, ჩემს მიერ შემოთავაზებული ინდექსებით, ჩვენ უკეთ შეგვეძლება დავაკვირდეთ ხარისხისა და ფასების მონოპოლიურ ცვლილებებსა თუ მონოპოლიებისა ან არაბუნებრივი ანარქიის რაციონალურ საზღვრებს, სხვა მრავალ ძალზე აქტუალურ პრობლემას საერთაშორისო კონკურენციაში.

ხანგრძლივი კვლევების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ საერთაშორისო კონკურენცია (პირდაპირი მნიშვნელობით - პაექრობა) ღვთისაგან [1; 2] ბოძებული და ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოქმედი ობიექტური ფენომენია. ის ნებისმიერი ორი ან მეტი სუბიექტის (სახელმწიფოები, რეგიონები, ფიზიკური ან იურიდიული პირები და სხვ) ურთიერთობებში ვლინდება და სტიმულს აძლევს მოპაექრე სუბიექტების მეტ ეკონომიკურ ეფექტიანობას, ამდენად, სასიკეთო გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, თუ, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი კონკურენცია არ გადაგვარდება მისი არსებითად დამაზიანებელი ფარული შეთანხმებებით.

მაგალითისათვის, ბავშვები, რომლებიც საერთო ოჯახში იზრდებიან, თავიდანვე, ყოველგვარი სწავლების გარეშე, ინსტიტუტურად ეპაექრებიან ერთმანეთს, რათა უკეთ წარმოჩინდნენ მშობლებისა თუ სხვა ახლობლების წინაშე, მაგრამ ეს მათ არ უშლის ხელს თავგამოდებით უყვარდეთ ერთმანეთი. თუმცა, თუ კეთილი ინსტიტუტები გადაამეტებენ დასაშვებ მორალურ საზღვრებს, ახლობლების ურთიერთობებიც კი შეიძლება არასასიკეთოდ შეიცვალოს. ანუ, თუ ადამიანს სულიერი საწყისები სუსტი აქვს, ის კონკურენციის კეთილ შედეგებს ვერ მოიმკის და, შეიძლება, საპირისპიროდ წაუვიდეს საქმე.

ფიზიკის დენის ძალის კანონის მსგავსად, ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრის შემდეგ ჩატარებულმა კვლევებმა [3; 4; 5], მიიყვანა კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების აღმოჩენასა და მის უმარტივეს ფორმულირებამდე: რაც უფრო ნაკლებია ყველაზე დიდი მიმწოდებლის ხვედრითი წონა ბაზარზე, მით უფრო მეტია კონკურენცია მეწარმეთა შორის. ეს ისეთივე ობიექტური და უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა, როგორც პროდუქტიულობის (მწარმოებლურობის) ზრდის კანონზომიერება, რომელსაც შეცნობა და გონივრულად გამოყენება უნდა. დიქტატორული რეჟიმებისა და ციკლური რყევების მიუხედავად, პროდუქტიულობა, საბოლოო ჯამში, იზრდება და კაცობრიობის ცხოვრების დონე მატულობს, მაგრამ სიმდიდრის გადანაწილება, მონოპოლიების არსებობის გამო, არ აძლევს ადამიანს საშუალებას აამოქმედოს კონკურენციის კანონზომიერების სიკეთეები და მასობრივად იცხოვროს უკეთ.

განსაკუთრებით არ მიყვარს პოპულისტები და ვიცი, თავის გამოჩენის ინტერესად არ ჩამითვლით ჩემს „აღმოჩენას“ და კონკურენციის კვლევის ჩვენს წინამდებარე საკითხებში გენიოსი ეკონომისტების - დავით რიკარდოსა და ჯონ მეინარდ ქეინზის მოსაზრებების განვითარებებს - ნამდვილად გულით მინდა სიტუაციის გაუმჯობესება საერთაშორისო კონკურენციაში, თქვენნი (ჩვენი) არსებითად მეტად ბედნიერი ცხოვრებისათვის.

როგორც ცნობილია, რიკარდომ (1772-1823) აღმოაჩინა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ეკონომიკური მოგების შემცირების ცნობილი კანონზომიერება ბაზრის ყოველი მიმწოდებლისათვის [3; 4; 6]. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები, სრულყოფილი კონკურენციის მახასიათებლებს შორის, უმთავრეს ნიშან-თვისებებად მიიჩნევენ - ბაზარზე გამყიდველთა და მყიდველთა ძალიან დიდ (უსასრულოდ მზარდ) რაოდენობას (როცა არცერთ მათგანს არ შეეძლო საბაზრო ფასზე გავლენის მოხდენა), ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ბარიერების არარსებობასა და თანაბარ და სრულ წვდომადობას ინფორმაციაზე (მ.შ. ფასებზე).

ბუნებრივია, სრულყოფილი კონკურენციის ასეთი მოდელი თითქმის იდეალიზებულია და უფრო მეტიც, სრულყოფილი კონკურენცია, ჩემი აზრით, უფრო ისაა, როცა თანაარსებობენ როგორც მსხვილი, ასევე მცირე მიმწოდებლები. ადამიანებს შორის და ცხოველთა თუ მცენარეულ სამყაროშიც ხომ დიდი განსხვავებებია ზომა-წონაში. წარმოდგენილია ყველა თანაბარი შესაძლებლობის იყოს, მაშინ ხომ განსხვავებათა ბუნებრივ მიმზიდველობასა და მრავალფეროვნებას აზრი დაეკარგებოდა. კარგია, თუ ბაზარზე ძალიან ბევრი კონკურენცია, მაგრამ აღნიშნულსაც, როგორც შემდეგში ვნახავთ, კონკურენციის ინდექსების დახასიათებისას, გარკვეული ზომიერება უნდა.

ე. წ. „დიდი დეპრესიის“ გამოცდილებით, ქეინზმა (1883-1946) მიიჩნია, რომ სრულყოფილი კონკურენცია საერთოდ წარუმატებელია და აუცილებელია გარე ჩარევები ბაზარზე [3; 4; 7]. დავეთანხმები ბატონ ქეინზს, რომ ჩარევები საჭიროა, მაგრამ ეს ჩარევები, ჩემი გაგებით, სრულყოფილი კონკურენციის დაცვას უნდა გულისხმობდეს, ისევე, როგორც პოლიცია უნდა იცავდეს ადამიანებს კრიმინალისაგან, მაგრამ მხოლოდ იცავდეს და არა აზიანებდეს ტენდენციური ჩარევებით. ჩემი აზრით, სრულყოფილი კონკურენცია თავად გულისხმობს ჩარევის აუცილებლობას. სრულყოფილი (ანუ, ჩემი გაგებით, ბუნებრივი და არა ხელოვნურად ფორმირებული გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით) კონკურენცია აუცილებლად გჭკირდება და უნდა ვცდილობდეთ, რომ მაქსიმალურად დავიცვათ ის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქამდე, კონკურენციის მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ კონკურენციის საუკეთესო განვითარება მხოლოდ კონკურენტთა რაოდენობის მატებაშია. მათ მიაჩნდათ, რომ არ ვარგა მონოპოლია, ცოტათი უკეთესია ოლიგოპოლია და მთლად უკეთესია ე.წ. პოლიფონია. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევებში, მართალია, კონკურენციის ძალის ჩვენი ინდექსებიც

მატულობს, მაგრამ კონკურენციის ეფექტიანობა ზოგჯერ შეიძლება ეცემოდეს, ვინაიდან, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ კონკურენციის რაციონალური საზღვრები.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენცია ცალკეული ქვეყნების ინოვაციური მართვის, შესაბამისად, ცხოვრების დონის ზრდისა და, შედეგად, კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის დიდ და მცირე ერებსა და ადამიანებს აიძულებს მეტად მობილიზებულნი იყვნენ მოქმედებებში, რაც მათ პროდუქტიულობასაც არსებითად ამაღლებს. შესაბამისად, პრიორიტეტულად საერთაშორისო და, ამასთანავე, ადგილობრივი ბაზრების კონკურენტულობის დონის შეფასებასა და სისტემატურ აუდიტსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კეთილდღეობის საჭირო მატებისათვის მსოფლიოში.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ბიზნესში მომრავლებული სტრატეგიული ალიანსების შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საერთაშორისო კონკურენციის დაძლევა და ზოგიერთი სახელმწიფოს შიდა ბარიერიერის ალიანსების გზით დაძლევა წარმოადგენს. ალიანსების გარკვეული ნაწილი ამას არაკეთილსინდისიერად აკეთებს, რის სრულფასოვნად გაკონტროლებაც არცერთ სახელმწიფოს არ ძალუძს. გამომდინარე, საერთაშორისო კონკურენციის საერთაშორისო აუდიტი განსაკუთრებით პრიორიტეტულ საქმედ გამოიკვეთა გლობალიზების თანამედროვე ეპოქაში.

მნიშვნელოვან საჭიროებად მიმაჩნია მეწარმეთა ანტიმონოპოლიური კავშირების გააქტიურებაც, რათა ამ გზით, ყოველ მცირე მეწარმეს მეტი საშუალება მიეცეს თავი დაიცვას არაკეთილსინდიდიერი მონოპოლიებისაგან.

საერთაშორისო კონკურენციას, მოგეხსენებთ, სიკეთებთან ერთად, მთელი რიგი სირთულეებიც ახლავს, რაც, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მცირე ერებს თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე არ შეექმნას.

მსოფლიოში მიმდინარე კონკურენტულ პროცესებთან დაკავშირებით, უნდა დავაწყნაროთ გლობალიზების მოშიშრები - გლობალიზების პროცესი უსასრულო არ იყო და მისი კონტურები უკვე შემოიხაზა ინტერნეტის შექმნასთან ერთად. მისი სივრცობრივი გავრცელების მასშტაბები ფაქტობრივად დასრულდა. მსოფლიო ეკონომიკა ფაქტობრივად ერთიან ბაზრად გადაიქცა და ის ხომ ფართობით მეტად ვეღარ გაიზრდება. ვფიქრობ, აქ უპრიანი იქნება საქართველოს უშიშარი და უნიჭიერესი პატრიარქის - ილია II-ს მოსაზრების მოყვანა, რომელიც მან მასთან შეხვედრისას ბრძანა, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევეშინდეთ და, პირიქით, მისი უხვი სიკეთეები შესაძლოდ უნდა გამოვიყენოთ და გავამრავლოთ [5].

თავისუფალი ბაზრის ზოგიერთი თანამედროვე „კეთილი დამცველი“ კი თვლის, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურები საერთოდ არ გვჭირდება [3; 4; 5], ვინაიდან, ისინი ცალკეული ბიზნესების ლობირების ბიუროკრატიულ სტრუქტურებად იქცევიან და მეტწილად კორუფციულ მიდრეკილებებს ავლენენ. „დამცველების“ ამგვარი ლოგიკით, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებიც უნდა გავაუქმოთ (რომლებსაც, სხვათაშორის, ანტიმონოპოლიური სამსახურისგან განსხვავებით, შეიძლება აწყობდნენ კიდევაც, რომ მსხვილი გადამხდელები ჰყავდნენ). ჩვენი რწმენით კი, ამ მეტად საჭირო სამსახურებს ან პოლიციას კი არ უნდა ვებრძოლოთ, მათი მოქმედების მექანიზმების სრულყოფა უნდა შეგვეძლოს, რეალურად ჰუმანურობისა და ქმედითობის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის უკიდურესად საპირისპიროდ, თავისუფალი ბაზრის „კეთილი დამცველები“ თვლიან, რომ მონოპოლიებს (თუგინდ ფარული შეთანხმებებით „გაბერილს“) არ უნდა შევეხოთ, რათა ეკონომიკის ბუნებრივი პირობები არ დავაზიანოთ. მაშინ, გამოდის, რომ არც სტიქიური უბედურებებისაგან სჭირდება ადამიანს დაცვა. მონოპოლისტი შეიძლება კეთილი მიზნებით გახდეს მონოპოლისტი, მაგრამ, როცა ის ბაზარზე მარტო რჩება და მოგების ზრდის

მისი მეწარმული მიდრეკილება ფასების მატებისაკენაც უბიძგებს, ის ამას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გააკეთებს და ეცდება შეინარჩუნოს ეს დიქტატორული სიტუაცია. ამიტომ, საზოგადოება უნდა ცდილობდეს მონიტორინგი აწარმოოს მის ამგვარ მიდრეკილებებზე ბიზნესისა და ადამიანების მასობრივი გადატაკების შესაძლოდ ოპერატიულად შეზღუდვის მიზნით.

ჩემი აზრით, გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში, როცა ერთიანი მსოფლიო ეკონომიკა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებითა თუ ხარვეზებით, რეალობად იქცა, აუცილებელია საერთაშორისო ანტიმონოპოლირი სამსახურის ორგანიზება, ვინაიდან, არაკეთილსინდისიერ მონოპოლიებს ყოველთვის საერთაშორისო ფესვები აქვთ და ცალკეულ მთავრობებს არ ძალუძთ მათი დამოუკიდებლად დამარცხება.

ობიექტური კონკურენცია დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე და, პირიქითაც, საერთაშორისო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონკურენციის თავისუფლების (არშეზღუდვის) ხარისხს. საერთაშორისო კონკურენცია, ბუნებრივია, გამწავების პერიოდებში ომებსა და კატასტროფებსაც იწვევს და სწორედ ამიტომაც აუცილებელი ამ პროცესების ღრმად გააზრება და შესაძლოდ მკურნალობა, მ.შ. საერთაშორისო აუდიტის სამსახურების მიერ.

ობიექტური კონკურენტული გარემო საერთაშორისო პოლიტიკაში ანუ ჭეშმარიტი დემოკრატია უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკური სისტემის არსებობას, რომელიც ხალხების ნებასურვილს გამოხატავს, შეესაბამება ხალხების ხასიათებსა და განწყობილებებს და ადამიანების შესაძლოდ საუკეთესო განვითარების პირობებსაც ქმნის. შესაბამისად, სრულფასოვანი პოლიტიკური სისტემა დიდ გავლენას ახდენს სრულფასოვანი კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესზე ბიზნესში.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში კონკურენციის თავისუფლების ხარისხის გააზრებისას, ბუნებრივია, იბადება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რამდენად უსასრულო და მიზანშეწონილია სახელმწიფოებისა და მათში ფუნქციონირებადი პარტიების რაოდენობის ზრდა, რაც, გვინდა, თუ არა, დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესზეც.

ჩემს მიერ წარმოდგენილი კონკურენციის ინდექსების სახით ჩაწერილი ეკონომიკურ-მათემატიკური შეფასებით, კონკურენციის მოქმედების ეფექტი მინიმალურია, როცა ერთპარტიულ სისტემასთან გვაქვს საქმე (მაშინ კონკურენციის დიდ წინაღობასთან - პოლიტიკურ მონოპოლიასთან გვაქვს საქმე ე.წ. პოსტკომუნისტური, ზოგიერთი თეოკრატიული და ტერორისტული რეჟიმების სახით). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ პარტიათა (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რიცხვის გადაჭარბებული რაოდენობა არანაკლებად ცუდ (ქაოსურ) შედეგს იძლევა და მრავალრიცხოვანი (ზედმიწვევით დაქსაქსული) და, ამდენად, მცირე წინაღობებით გამოწვეული კონკურენციის ძალის ძალზე მაღალმა მუხტმა, შესაძლოა, „მოკლე ჩართვის“ ეფექტის მსგავსად დამანგრეველად იმოქმედოს პოლიტიკურ სისტემაზეც. გამომდინარე ხსენებულიდან, პოლიტიკური პარტიების (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რაოდენობა ოპტიმალური უნდა იყოს და მათი თავისუფლება არ უნდა გულისხმობდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და გლობალური განვითარებისათვის ზნეობრივად შეუთავსებელი პარტიების დაწესების შესაძლებლობასა თუ სხვა მსგავსი სიტუაციების დაშვებას, რაც აუცილებლად უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით. ფარული მონოპოლიის წარმოქმნის პროცესებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არც ქაოსის დაშვება შეიძლება, ამ ბრძოლის მომიზეზებით.

ვფიქრობ, თავისუფალი ბაზრის ფენომენის გასააზრებლად, მიზანშეწონილია მისი ზოგადი ისტორიული მიმოხილვაც მრავალფაქტორულ ჭრილში. ლოკალური ბაზრების ინტენსიური გაძლიერების პროცესი ევროპის მიმართულებით შავი და ხმელთაშუა ზღვების მიმართულებებით გაძლიერდა და ამერიკის აღმოჩენითა და ინგლისის ე.წ. სამრეწველო რევოლუციით გლობალური კონტურები შეიძინა კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტქსელის თანამედროვე ეპოქაში.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ძალის ინტეგრალური მოქმედების შეფასებისათვის, თავდაპირველად მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკურენციის ძალის ორი ინდექსი: პირველი ინდექსი $I1 = U/R1$, სადაც U – ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) საერთაშორისო ბაზრის ტევადობაა (მთლიანი წარმოება ან გაწეული მომსახურება), $R1$ კი – ხსენებულ ბაზარზე ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის (შესაძლოა, პოტენციური მონოპოლისტის) წარმოების ან მომსახურების ოდენობა; მეორე ინდექსი $I2 = U/R2$ სადაც $R2$ – არარეალიზებული წარმოება ან მომსახურებაა, რომელიც, ძირითადად, მოთხოვნილებებთან და მოთხოვნასთან შეუსაბამო დაბალხარისხიანი ან, პირიქით, ზედმეტად ძვირადღირებული (სუპერფემენბელური) ან მონოპოლიურად გამვირებული არასაჭირო (ჭარბი) წარმოების ან უშედეგო მომსახურების ოდენობაა, რაც, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს შედარებით დაბალი კვალიფიკაციის კადრებისა და დაბალი ტექნიკური დონის აპარატურის არსებობითაც, ასევე, სხვა გაუთვალისწინებელი ან მოულოდნელი გარემოებებით.

კონკურენციის ძალის კომპლექსური აუდიტისათვის, მიზანშეწონილია ე. წ. ინტეგრალური კოეფიციენტით მონიტორინგი:

$$K = N \times I1 \times I2,$$

სადაც N – საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ბიზნეს-სუბიექტების საერთო რაოდენობაა.

ზოგადად, თუ რამდენი უნდა იყოს N , $I1$ და $I2$ და, შედეგად, K , დაკვირვება უნდა, როგორც ქვედა, ასევე, ზედა საზღვრების მიმართულებებით, ბაზრის მეცნიერებატევადობისა და სხვა სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე. საჭიროა, გავითვალისწინოთ ბუნებრივი მონოპოლიების შესაძლო არსებობაც ზოგიერთ სუპერმეცნიერებატევად დარგსა და ქვედარგში, მ.შ. მსხვილ ენერგეტიკაში, კოსმოსური და მორფოლოგიური სადამკვირვებლო აპარატურის სისტემებში, მსხვილ მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ ინდუსტრიაში, რომლებიც მცირე ქვეყნებსა და რეგიონებში, ბუნებრივია, მრავლად ვერ იქნება და საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო მეთვალყურეობას, მხარდაჭერასა და რეგულირებას მეტად საჭიროებს.

როგორც ცნობილია, როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. ერთდერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი (ჰერფინდალ-ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი HHI) შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რომლის მიხედვით, საუკეთესო მინიმალური ზღვარის შემთხვევაში, უმსხვილესი ფირმის წილმა მთელი ერთგვაროვანი ბაზრის მესამედს არსებითად არ უნდა გადაამეტოს, რაც თითქმის ემთხვევა ჩვენი $I1$ ინდექსის მოთხოვნას.

შეერთებული შტატების ანტიმონოპოლიურ გამოცდილებას ნამდვილად საუკეთესო შედეგები აქვს და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შესაძლოდ სრულყოფილად ახასიათებს კონკურენციის დონეს, მაგრამ მხოლოდ ერთი მეთოდი ვერ იქნება საკმარისად იდეალური კონკურენციის ურთულესი ფენომენის შეფასებისათვის - საჭიროა მრავალფაქტორული შეფასებების კომპლექსი, მათ შორის ჩვენი, ლინდისა და ბევრი სხვა სიღრმისეული კვლევა. კონკურენციის ეფექტიანობის შეფასებისათვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სტრუქტურის ეფექტიანობის ევროკომისიის მეთოდიკის ჩემს მიერ შემოთავაზებული განვითარებაც, რომელიც აპრობირებულია სადისერტაციო კვლევის პროცესში [3;4;5].

დასკვნისათვის, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რაც განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს - ჩვენმა კვლევამ თვალნათლივ გამოავლინა, რომ კონკურენციასაც კი რაციონალური საზღვრები აქვს და არ უნდა დავუშვათ კეთილსინდისიერი მსხვილი ობიექტების ხელოვნური დანაწევრება

ან სხვა მეთოდებით „რეპრესიები“. დაცვა სჭირდება როგორც კონკურენციასა და მცირე ბიზნესს, ასევე კეთილსინდისიერ მსხვილ ობიექტებსაც, რომლებიც ფასდაუდებელ საქმეს აკეთებენ ბაზრისა და მწარმოებლურობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმაი. - თბილისი, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II კურთხევით, 2005;
2. სადიდებლად ყოვლადწმიდისა თანაარსისა, ცხოველს-ყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა (ლოცვანი დამწყებთათვის). - თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ საგამომცემლო ცენტრი, დასაბამითგან სოფლისაით 7514, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 2006 წელსა;
3. გლობალური ინტერნეტქსელის „ვიკიპედიაში“ (ენციკლოპედია) გამოქვეყნებული ინფორმაციები, მათ შორის რევაზ ლორთქიფანიძის შრომების შესახებ https://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ გამოქვეყნებული ელექტრონული წიგნები, მათ შორის რევაზ ლორთქიფანიძის შრომები <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary>
5. წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით გამოქვეყნებული რევაზ ლორთქიფანიძის შრომების ციკლი ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების საკითხებზე <http://revaz-lordkipanidze.simplesite.com>
6. Ricardo, David (1817), *On the Principles of Political Economy and Taxation* (1 ed.), London: John Murray, retrieved 2012-12-07 via Google Books.
7. Keynes, John Maynard (1936). *The General Theory of Employment, Interest and Money*. London: Macmillan (reprinted 2007).

Issues for General-theoretical Comprehension and International Practice of Competition

Revaz Lortkipanidze

*Doctor of Economic Sciences, Academician of Georgian Academy of Economic Sciences,
revazlordkipanidze@gmail.com*

R e s u m e

Author of work answers on a question - why is his interpretation of the objective law and rational indexes of a competition useful and significant? Author really especially appreciates all new progressive changes in the United States and the best results in the theory of a competition and free market practice of marginal costs from Swiss, Austrian, French and English Economic Schools, but he thinks that genius views of Ricardo and Keynes and Herfindall-Hirschman Index methodology need to the developing in modern conditions.

Author writes that a competition does not mean only a large number of competitors, market can have companies of all sizes and we should be more interested for an estimate of the most dangerous dishonest largest suppliers in a market and not the long process of the minority indicators calculating.

For defend of a competition, Author thinks that with his indexes we can see monopolistic changes of quality and prices, also rational rates of monopoly or unnatural anarchy, etc.

სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში

დალი მაგრაქველიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
d.magrakvelidze@gtu.ge*

ნინო გრიგოლაია

*თბილისი ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
ninini67@mail.ru*

კონკურენცია ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო იყენებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, რომელიც ემსახურება აბსოლუტურ კონკურენციას და მონოპოლისტების გამოდევნას ბაზრიდან. ევროპის ქვეყნებში ასეთი პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ დაარეგულიროს უკვე შექმნილი მონოპოლიები, მიუხედავად იმისა თუ როგორ მიაღწია ამათუიმ კომპანიამ მონოპოლიურ მდგომარეობას.

ეკონომიკაში მრავალი სახის კონკურენცია არსებობს, მაგრამ ყველა როდი არის სწორი და ახდენს დადებით გავლენას ამათუიმ ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა სახელმწიფოს სწორი მიდგომით ანტიმონოპოლიური რეგულირებისადმი შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილი კონკურენციის დონეს და ეკონომიკა მიიყვანოს წონსწორობის მდგომარეობაში. უდავოდ, საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის როლი საკმაოდ დიდია და მას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, მაშინ საბაზრო სიტუაციამ შეიძლება მიაღწიოს სტაბილურ მდგომარეობას და გაუმჯობესდეს. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკური სიტუაციის განვითარების ზოგიერთი რეკომენდაციის დაცვა.

ძედამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება მალევე იქნა შემოღებული – 1992 წელს, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის შესახებ“. იმავე წელს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა დაცვის და მეწარმეთა მხარდაჭერის სამმართველო, რომელიც 1995 წელს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ გარდაიქმნა (საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის №60 ბრძანებულება). 1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, ხოლო 1998 წელს – საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. აღნიშნულ სამმართველოს ამ კანონების აღსრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა. ამასთანავე, იგი 1996 წელს ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიურ სამსახურად გარდაიქმნა, ხოლო 1997 წელს ამ სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №137 ბრძანებულება). ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კვლევის შედეგებით 1999 წლისთვის საქართველოში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული.[1]

2000 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილებების თანდათანობით შეკვეცა და მისი პერმანენტული რეორგანიზების ფაზა. გატარებული რეფორმების შედეგად „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2005 წელს გაუქმდა. იგი ჩაანაცვლა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დახმარების სეგმენტს არეგულირებდა და არ შეიცავდა კონკურენციის პოლიტიკის არსებობისათვის აუცილებელ საბაზისო პრინციპებს, დეფინიციებს (როგორებიცაა, მაგალითად, შესაბამისი ბაზარი, დომინირებული პოზიცია, მნიშვნელოვანი საბაზრო წილი) და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითად პროცედურებს (დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილების, შეთანხმების და კონცენტრაციის რეგლამენტაცია). რეფორმების შედეგად ასევე გაუქმდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში „აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“.

იმ სექტორებში, სადაც მარეგულირებელი ორგანოები მოქმედებენ, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 341 მუხლით გათვალისწინებული იყო მარეგულირებელ ორგანოსთან მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩამოყალიბება. ეს კანონი განსაზღვრავდა საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს.

ამასთანავე, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შემზღვეველი ქმედებებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლით დადგენილი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1592 და 1593 მუხლები ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტის თაობაზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიწერილობის შეუსრულებლობისა და სააგენტოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის. მაგრამ, იმ ეტაპზე სააგენტოს უფლებამოსილება სახელმწიფო დახმარების სეგმენტით შემოიფარგლებოდა და მას არ ჰქონდა სათანადო კომპეტენცია კონკურენციის სფეროში.

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის აუცილებლობა და ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები აღნიშნული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ქვეყნის მზაობის შემფასებელი ევროკავშირის მისიის დასკვნაში (2008 წლის ოქტომბერი). [2] შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა განისაზღვრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) მრავალმხრივი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, 2010 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“.

რეფორმის პირველ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს რეორგანიზაციის (შერწყმის) საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც განისაზღვრა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული საქმიანობის

განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოდ. „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“ ითვალისწინებს, რომ აღნიშნული სააგენტო გახდეს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი უწყება და, შესაბამისად, შეითავსოს კონკურენციის სფეროში არსებული სექტორული მარეგულირებლის ფუნქციები.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი, ისევე, როგორც „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მომზადდა. ამ კანონის მიზანია: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა; დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება

კანონის დებულებები, მთლიანობაში, შეესაბამება კონკურენციის სფეროში არსებულ ევროკავშირის რეგულაციებს. კერძოდ:

- კანონი არ კრძალავს ბაზარზე კომპანიის/კომპანიების მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას; აკრძალულია მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- კანონი აწესებს მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის წესს; კერძოდ, კომპანია (ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები) მონოპოლისტად მიიჩნევა, თუ მას შესაბამისი ბაზრის (საბაზრო ბრუნვის) არანაკლებ 40 პროცენტი უკავია;
- კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც კომპანია ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები ბოროტად იყენებენ დომინირებულ პოზიციას და არსებობს ისეთი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება, რომლებიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას (მაგალითად, კომპანიები აწესებენ შეთანხმებულ ფასს მომხმარებელთა საზიანოდ);
- კანონი ასევე ითვალისწინებს კონცენტრაციების (კომპანიების სრული ან ნაწილობრივი შერწყმის, პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის მოპოვების) რეგულირების შემოღებას;
- კანონი კრძალავს ნებისმიერი ფორმით სახელმწიფო დახმარებას, რომელიც ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მისი შეზღუდვის საშიშროებას, და სხვა.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ფარგლებში გაუქმდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი, რომელიც მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ასეთი პასუხისმგებლობის ნაცვლად „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ქმედების ჩამდენი ეკონომიკური აგენტის მიმართ.

შემოთავაზებული პროგრესული ცვლილებების მიუხედავად, კანონს აქვს ასევე ნაკლოვანებები, კერძოდ:

- კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია როგორც კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის, ისე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის აღსრულებისთვის. შესაბამისად, ახალშექმნილმა სააგენტომ ჩაანაცვლა გასული წლის ბოლომდე მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო. საგულისხმოა, რომ ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულებაზე ზედამხედველობა, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის კოორდინაცია და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგი, თავისი არსით ერთმანეთისგან განსხვავებულია, რის გამოც მათმა გაერთიანებამ და ერთი სააგენტოსთვის დაკისრებამ შესაძლოა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულებისა და სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანი ზედამხედველობის მხრივ პრობლემები შექმნას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაერთიანებული სააგენტოს საქმიანობის ორივე მიმართულების სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა.

- აღსანიშნავია, რომ, ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, აკრძალულია შიდა ბაზართან შეუთავსებელი გარიგებების დადება საწარმოებს შორის (იხ. TFEU, 101-ე მუხლი), რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკურენციის შეზღუდვაზე წევრ სახელმწიფოების შიდა ბაზრებზე. შესაბამისი გამონაკლისები არ უნდა ქმნიდეს იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ კონკურენცია საერთოდ გამოირიცხოს. კანონში ეს მნიშვნელოვანი გარემოება გათვალისწინებული არ არის.

საქართველოში კონკურენტული გარემოს ეფექტიანი რეგულირების მიზნით ეს დებულება დაზუსტებას საჭიროებს – უნდა გაიმიჯნოს კონკურენციის სააგენტოს და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებები და არსებითად არ შეიზღუდოს ამ ორგანოს ძირითადი ფუნქციები (ერთ-ერთი ასეთი ფუნქციაა კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით მარეგულირებელი ორგანოს მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისათვის (ფირმისათვის) განსაზღვრული (სპეციფიკური) ვალდებულებების დაკისრება და მათ აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება). საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციების ეფექტიანი გამიჯვნით არის შესაძლებელი, ქვეყანაში განვითარდეს კონკურენტული გარემო ევროკავშირის რეგულაციებისა და „კონკურენციის შესახებ“ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მოდალური კანონით შემოთავაზებული რეკომენდაციების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სლავა ფეტელავა, „ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“, 2008.
2. “Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement between the European Union and Georgia“, N.79/2008, Case Final Report Georgia, გვ. 83-84.
3. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“
4. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2012.

State Antimonopoly Policy and Competition in Georgia

Dali Magraqvelidze

*PhD of Economics,
Associate Professor of Georgian
Technical University
d.magrakvelidze@gtu.ge*

Nino Grigolaia

*PhD of Economics,
Professor of Tbilisi Open
Teaching University
ninini67@mail.ru*

R e s u m e

There are many types of competition in the economy, but not all are correct, and positively influence the economy of a given country. However, state is able to achieve the level of perfect competition with the correct approach to antimonopoly regulations, and bring the economy into position. Undoubtedly, the role of competition in the market economy is quite large and should be ignored, only then the market situation can reach a stable condition and can be improved. To achieve sated above, it is necessary to protect some of the recommendations of the economic situation.

Considering the international experience, we state that only with effective separation between functions of Competition and State Procurement Agency and independent regulatory bodies operating in different sectors of the business it is possible to develop competitive environment in the country. This is in accordance with the recommendations proposed by the United Nations Trade and Development Conference (UNCTAD) on EU Regulations and Competition.

კონკურენციის პოლიტიკა და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში

ნინო მაქაცარია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ninomaqacaria@gmail.com.

ლაშა ნარსია

ეკონომიკის დოქტორი,
lashanarsia77@gmail.com.

კონკურენცია წარმოადგენს ბაზრის და საბაზრო სისტემის სიმბოლოს. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ სახელმწიფოებში საბაზრო ეკონომიკა წარმოდგენილია კონკურენციის პოლიტიკის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, მათ კეთილდღეობას და მატერიალური ფასეულობების გადანაწილებას. კონკურენციის კანონმდებლობას ქვეყნის ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციას უწოდებენ და მისი, როგორც თავისუფალი ვაჭრობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ბერკეტის აუცილებლობა აღიარებულია მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ფ. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ახლის შეცნობის პროცედურაა, რაც დამახასიათებელია ევოლუციისათვის. ის აიძულებს ადამიანს უნებლიედ ჩაერთოს ახალ სიტუაციაში, რამდენადაც ზრდადი კონკურენციით თანდათან მალდება ეფექტიანობაც.

სწორად განსაზღვრული კონკურენციის პოლიტიკა არის მდგრადი ეკონომიკის განვითარების საწინდარი, რომელიც ასტიმულირებს მოთხოვნის მქონე პროდუქციის ფართო ასოტიმენტის წარმოებას საჭირო რაოდენობით უფრო ნაკლებ ფასად, უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. რაც უფრო კონკურენტულია ბაზარი, მით უფრო მოგებულია საზოგადოება. ადამ სმითი კონკურენციას განიხილავდა, როგორც საქონლის გაიაფების, ეკონომიკურ აგენტთა შორის ფასების შეთანხმების საწინააღმდეგო ფაქტორს, რითაც ხაზს უსვამდა მის როლს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. დ.რიკარდომ განავითარა სმითის შეხედულება, ჯ.მილმა, ა.მარშალმა, ჯ.რობინსონმა მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კონკურენციის თეორიის სრულყოფაში.; თანდათანობით ცვლილებები განიცადა ბევრმა ადრე დამკვიდრებულმა თვალსაზრისმა ეკონომიკაში კონკურენციის როლის შესახებ.

საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკის ფუნქციონირების თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა სმითისეული მიდგომა, რაც გულისხმობდა ბიზნესის „თავის ნებაზე მიშვებას“, თუმცა ეს არ ნიშნავდა რეგულირების არარსებობას, კეძოდ, სამართლებრივი ნორმებით უნდა დარეგულირებულიყო ურთიერთობა ბაზრის მონაწილეებს შორის. კონკურენციის განვითარებას გარდაუვლად მოჰყვება მონოპოლიების წარმოშობა.

ეკონომიკის თეორიიდან ცნობილია, რომ ბაზარზე არსებობს ჩავარდნები, როდესაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიან გადანაწილებას (მაგ., ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა) და, შესაბამისად, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა შეუძლებელია. კომპანიის დომინირებული პოზიცია ბაზარზე შესვლის ლეგალური ბარიერების

არარსებობის (თავისუფალი შესვლა) შემთხვევაშიც კი შეიძლება შენარჩუნდეს შემდეგი მიზეზების გამო:¹

- სექტორისათვის დამახასიათებელი ფიქსირებული ხარჯები (sunk costs);
- ქსელური ეფექტები (network effects);
- ჩაკეტილი წრის ეფექტი (lock-in effects) და გადართვის ხარჯები (switching costs).

ასევე შესაძლებელია, ბაზარზე არსებულმა კომპანიებმა შესაბამისი მონიტორინგის არარსებობის პირობებში გარკვეული ქმედებებით ისე გაზარდონ საკუთარი მოგება, რომ ამით ზიანი მიყენონ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს:

- გარიგება, რომელიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას;
- ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი კომპანიის შერწყმა, რაც კონკურენციის შესუსტებას იწვევს;
- კომპანიების მიერ შეთანხმებული ფასის დაწესება მომხმარებლის საზიანოდ;
- სხვა კომპანიების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვა.

ქვეყანაში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ, ვაჭრობისა და საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაციას, პრივატიზებას და დერეგულაციას, შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კონკურენციული გარემო.

კონკურენციის კანონმდებლობის შექმნისათვის ნიადაგის მომზადებას, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. კერძოდ, ეკონომიკური თვალსაზრისით ანტიმონოპოლიური /აშშ-ში - ანტიტრესტული, ხოლო ევროპაში - მონოპოლიური/ კანონმდებლობის წარმოქმნა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ - თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლისტურით შეცვლამ, ხოლო, მეორე მხრივ, მისი წარმოშობა განაპირობებს იმ გარემოებებმა, რომლის თანახმადაც მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები უკვე აშკარად არაადექვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენციის სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენციის საკითხებზე².

თუ გავიხსენებთ ანტიმონოპოლიური სამართლებრივი აქტების ქრონოლოგიას, მათი მთავარი მიზანი იყო კერძო ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენებაზე კონტროლის დაწესება კონკურენციის დაცვის სხვადასხვა საშუალებით. ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენა-აღკვეთა და კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობა. როგორც ცნობილია კონკურენციის შესახებ ერთ-ერთი პირველი, ე.წ „შერმანის აქტი“, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს მიღებულია 1890 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწორედ ასეთი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების შემოღებას ისახავდა მიზნად „კლეიტონის“ და სხვა ანტიტრესტული კანონები, რომლებიც მიიღეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს. ამავე მიზანს ემსახურება „რომის ხელშეკრულება“ (1957), რომელიც არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებელი სამართლებრივი ნორმა. აღსანიშნავია ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალმხრივი შეთანხმებები და ნორმები ამ მიმართულებით მუდმივ სრულყოფას განიცდიან. მთავრობის ეკონომიკური ფუნქციების ჩამონათვალში ერთ-ერთი პირველი სწორედ კონკურენციის დაცვა და ხელშეწყობაა.

¹ N. Gregory Mankiw “Principles of Economics”, 2010, Harvard University Press.

² ბარათაშვილი ე; ჯოლია გ; და სხვა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, წიგნი 1., თბ., 2011.გვ, 108

კენსიანურმა მოდელმა ჩვეულებრივი ხალხი ბაზრის მტკივნეული რყევებისგან იხსნა, რომელსაც არასტაბილურობა შეჰქონდა მათ ცხოვრებაში ეკონომიკური ციკლების გავლენის გამო. ამდენად ისინი კვლავ რჩებოდნენ პროდუქციის საიმედო და მასიურ მომხმარებლებად, რომელსაც მასიური წარმოების ინდუსტრია აწარმოებდა. უმუშევრობა რეკორდულად დაბალ მაჩვენებელამდე შემცირდა. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფომ არამარტო მისცა მთავრობებს მოთხოვნის მართვის ინსტრუმენტები, არამედ აღმოუჩინა ხალხს დახმარება იმ მნიშვნელოვან სფეროებში რომლებზეც საბაზრო სტრუქტურების პირობებში წვდომა არ არსებობდა. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნა მეტი სტაბილურობა. მოთხოვნის მზარდმა მართვამ კეთილდღეობის სახელმწიფოსთან ერთად, კაპიტალისტური ეკონომიკის დიდი ნაწილი დაიცვა როგორც სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირების შოკისგან, ისე მტრული ძალების შეტევებისაგან. ამ დროს მშრომელების ცხოვრება დაცული იყო ბაზრის კაპრიზებისაგან.

კონკურენცია ის ძალაა, რომელიც მწარმოებლებსა და რესურსების მომწოდებლებს უქვემდებარებს მყიდველთა დიქტატს, ანუ მომხმარებელთა სუვერენიტეტს. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მომხმარებლები ბატონ-პატრონი არიან, ბაზარი მათი აგენტი, ხოლო საწარმოები მათი მომსახურე. მონოპოლიზაციის ზრდა მკვეთრად ცვლის ამ სიტუაციას და, საბოლოო ანგაშით, იწვევს ეკონომიკური რესურსების არარაციონალურ გამოყენებას. საქმე ისაა, რომ მონოპოლიას შეუძლია შეზღუდოს საქონელთა შემოსვლა ბაზარზე, დააწესოს საშუალო საწარმოო დანახარჯებზე გაცილებით მაღალი ფასები. ისინი ვერ გრძნობენ კონკურენტთა მუდმივ ზემოქმედებას, რის გამოც შეიძლება დაეცეს მათი წარმოების ეფექტიანობა ურთიერთკონკურენტულ ფორმებთან შედარებით. რაც შეეხება ახალ ტექნოლოგიებსა და ახალ ასორტიმენტს, მათზე მუდმივად ზრუნავენ ახლადჩამოყალიბებულ ფირმებში, თუმცა მონოპოლიები ხელს უშლიან ასევე ამ ახალი კომპანიების გამოჩენას ბაზარზე, რათა შეინარჩუნონ თავიანთი დომინირებული მდგომარეობა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონოპოლიების არსებობა ობიექტურად გარდაუვალია და მათ სარგებლობაც მოაქვს საოგადოებისთვის. მაგალითად, „ბუნებრივი მონოპოლიები“, რომელთა ტექნოლოგიური და ეკონომიკური პირობები გამორიცხავს კონკურენტული ბაზრის არსებობას. კომპანიების გაერთიანება დანახარჯების შემცირების მიზნით მოითხოვს უფრო ეფექტიანი ერთობლივი წარმოების შექმნას³. კონკურენცია თანამედროვე პირობებში განიხილება, როგორც წარმატებულად განვითარების საფუძველი. კონკურენციის პოლიტიკის გატარება აუცილებელია საზოგადოებაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. კონკურენტუნარიანობის გაძლიერების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომლის სახელმძღვანელო პრინციპები მთავრობას საშუალებას აძლევს გზა გაუხსნას კონკურენციის მექანიზმს. მისი წარმოშობის აუცილებლობა განპირობებულია ეკონომიკაზე მონოპოლიების დამანგრეველი ზემოქმედებითა და საშუალო და მცირე მეწარმეების მიერ მსხვილი კაპიტალის დიქტატით გამოწვეული უკმაყოფილებით. კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეზისს, რომლის მიხედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს.

აკადემიური კვლევის შედეგებია დასტურებს, რომ, თუ პროდუქციის/მომსახურების ფასი ეცემა, ეკონომიკური კეთილდღეობა იზრდება. მომხმარებლის კეთილდღეობის ინდიკატორსა და ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორს შორის ასევე პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. აქედან გამომდინარე, კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიზნები შეიძლება იყოს:⁴

³ თოდუა გ., გოგობია რ., ქუტიძე რ., ეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკა, თბ., 2009. გვ 224

⁴ Massimo Motta, "Competition Policy", 2003, Cambridge University Press

- მცირე ეკონომიკური აგენტების დაცვა;
- ბაზრის ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- ეკონომიკური თავისუფლების დაცვა;
- ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დაცვა;
- სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას გარემოს დაცვის ზედამხედველობა;
- სახელმწიფო პოლიტიკის იმ პრიორიტეტების გათვალისწინება (მაგალითად, ვაჭრობისა

და ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა), რომლებიც გავლენას ახდენს კონკურენციაზე. კონკურენციის პოლიტიკის ანალიზის მნიშვნელობა სწორედ ეკონომიკურ რეფორმების წარმატებაში ამ სფეროს წამყვანი როლით არის განპირობებული.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში ბოლო ათწლეულებში არსებული სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა და კონკურენციის სფეროს რეფორმის არსებითი ელემენტები. საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან დღის წესრიგში დადგა საკონკურენციო სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა. 1992 წელს მიიღეს დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის და კონკურენციის განვითარების შესახებ“. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებას სწორედ ამ დოქტრინაზე ჩაეყარა საფუძველი. განსხვავებით მაღალგანვითარებული ქვეყნებისაგან, საჭირო იყო არა მხოლოდ არსებული კონკურენციის დაცვა, არამედ კონკურენტული გარემოს ფორმირება ზოგადად, რომლის მიღწევა არანაკლებ რთულია. შეიქმნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სამმართველო ეკონომიკის სამინისტროში. აღსანიშნავია 1995 წ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „არაკეთილსინდისიერი რკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“, რომელიც 1996 წელს შეიცვალა კანონით „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“.

1996 წლის II ნახევრიდან 2002 წლის I ნახევრამდე პერიოდს უკავშირდება საქართველოში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ორგანოს - ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება.

საქართველოში, კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციის მოცულობის ზრდის შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა კონკურენციის პოლიტიკის /ანტიმონოპოლიური / აღმასრულებელი ორგანოს სტატუსისა და უფლებამოსილების გაფართოების საკითხი. 1996 წ. 28 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის შესახებ, რომლის კომპეტენციად განისაზღვრა:

- საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის გავითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლი;
- მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;
- ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათზე სახელმწიფო კონტროლი;
- სარეკლამო საქმიანობის რეგულირება;
- შესაბამისი ორგანოს წინაშე დაეყენებინა საკითხი იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევდა ანტიმონოპოლიურ კაონმდებლობას;
- ეკონომიკური აგენტისაგან მიეღო ცნობები მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობის შესახებ;
- სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეემოწმებინა ან ამოეღო ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

- დაეყენებინა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი პირის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

2005 წლის 3 ივლისამდე ანტიმონოპოლიური რეგულირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რომელშიც ერთ-ერთი უმთვერესი პროუქციის უსაფრთხოებაა. სწორედ ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირების გარეშე მომხმარებელთა დაცვა ვერ მოხდებოდა. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში“ რამდენჯერმე შეიტანეს ცვლილება, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო მომხმარებლისათვის პროდუქციის შესახებ იმფორმაციის მშობლიურ ენაზე მიწოდების დებულება.

საქართველოში საკონკურენტო სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა რეკლამის შესახებ კანონმდებლობა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში რეკლამა საქმიანობის სრულიად ახალ მიმართულებას წარმოადგენდა. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ ემსხურებოდა ამ სფეროში ჯანსაღი კონკურენტის განვითარებას, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებლების უფლებების დაცვას, არასათანადო რეკლამის თავიდან ასაცილებლას.

კონკურენტისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგლამენტირებელ სამართლებრივ ნორმებს შეიცავდა ასევე ცალკეული რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, როგორცაა კანონები ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების შესახებ; ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, კავშირგაბმულობისა და ფოსტის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების შესახებ და სხვა.

თუ თვალს გადავავლებთ ამ პერიოდში ანტიმონოპოლიური საქმიანობის ისტორიას, ვნახავთ, რომ 2004 წლიდან დაგების უმეტესობა ანტიმონოპოლიური სამსახურის მარცხით სრულდებოდა, რაც განპირობებული იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის როლისა და სტატუსის შესუსტებით. ამ პერიოდში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“. კანონით „სტატისტიკის შესახებ“ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისთვის მიუწვდომელი გახდა პირველადი მონაცემები ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. ამდენად, საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სარეკლამო საქმიანობის რეგულირებასა და მომხმარებელთა დაცვაზე.

2005 წლისთვის მოქმედი საკომუნიკაციო სამართლებრივი ნორმა იყო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტის შესახებ“, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში მანამდე მოქმედი ყველა საკონსტიტუციო სამართლის ნორმა შესაბამის ინსტიტუტთან ერთად. 2008 წლისთვის ეს კანონი წარმოადგენდა საქართველოში კონკურენტის კანონმდებლობის ძირითად ჩარჩო სამართლებრივ აქტს. თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ამ კანონით საქართველო კიდევ უფრო დაშორდა საერთაშორისო სტანდარტებს კონკურენტის სფეროში, ვიდრე დაუახლოვდა. უფრო მეტიც, ეს იყო „ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვების“ კონცეფცია, რომელმაც ვერ უპასუხა დროის მოთხოვნებს.

„კონკურენტის შესახებ“ საქართველოს კანონი არის ის ჩარჩო ნორმა რომელმაც მოიცვა ყველა ის მიზანი, რასაც უნდა ემსახურებოდეს ზოგადად კონკურენტის პოლიტიკა და რომლის თითოეული პუნქტი სახელმძღვანელო დოკუმენტია კონკურენტის სააგენტოსთვის. ამასთან, სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები, ასევე გაწერილია სსიპკონკურენტის სააგენტოს დებულებაში (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის #288 დადგენილება).

სასაქონლო ბაზარზე კონკურენტის შეზღუდვა გამოიხატა ბაზრებიდან მცირე მეწარმეების განდევნაში, სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქციის ფასების ზრდაში, მომხმარებელ-

თა უფლებების შელახვაში. პოლიტიკურ კლანებს ამოფარებულმა მსხვილმა, მონოპოლიზებულმა ბაზრებმა შეასუსტეს კონკურენცია, არაკეთილსინდისიერი რეკლამა მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მძლავრი ინსტრუმენტი გახდა, ამასთანავე, შესუსტდა ხარისხის მაკონტროლებელი მექანიზმები, რამაც დარტყმა მიაყენა მომხმარებელს, რომელიც ქვეყანაში დაუსრულებლად გახანგრძლივებული გარდამავალი პერიოდის შემდეგ წელში უნდა გამართულიყო.

კეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლებრივი ნორმების მოწესრიგება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად უნდა იყოს მიჩნეული. კომპანიების შერწყმა, ასევე ტრანსეროვნული კომპანიების ქვეყანაში შემოსვლა გარდაუვალია, ამიტომაც აუცილებელია არსებობდეს საკონკურენციო სამართლებრივი ბაზა და შესაბამისი ინსტიტუტები. შესაბამისად, ეკონომიკურ ლიტერატურას და პრაქტიკაში გვხვდება ანტიმონოპოლიური რეგულირების ორი მიმართულება: ნორმატიული და ორგანიზაციული ასპექტების შერჩევითა და ცვლილებით. იქნეს მისი მიზანი და პრინციპები, მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. გლობალიზაციის პირობებში შეინიშნება საერთაშორისო თანაშრომლობის გაღრმავება ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროშიც.

დღეისათვის ნებისმიერი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს კონკურენციის დაცვას ისეთი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან. სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო ათწლეულებში რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არასაკმარისად ითვალისწინებს ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს კონკურენციის დაცვის მიმართულებით. ევროსტანდარტებთან შესატყვისი საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის გარეშე ქვეყანაში ადგილი ექნება კომპანიების მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას; მათ მიერ ფასებით მანიპულირებას კონკურენტების ჩამოცილების მიზნით; კონკურენტ აგენტთა შორის კარტელური შეთანხმების დადებით სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის შეზღუდვას, სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქციის ფასების ზრდას, ბაზრებიდან მცირე მეწარმეების განდევნას, მომხმარებელთა უფლებების შელახვას. საჭიროა მუდმივი სიფრთხილე, რომ ეკონომიკურმა გიგანტებმა არ დაამახინჯონ თავისუფალი ბაზრის ფენომენი.

„კონკურენციის ცენტრის“ მიერ ჩატარდა მომხმარებელთა ინტერნეტ-გამოკითხვა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 300 რესპონდენტი. როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, გამოკითხული რესპონდენტების 87%-ს აზრით, კონკურენციის პოლიტიკა მკვეთრ გავლენას ახდენს მომხმარებელთა უფლებებზე, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მომხმარებელთა უფლებები საქართველოში დაცული არ არის და რიგი ღონისძიებებია გასატარებელი ამ კუთხით.

გამოკითხული მოსახლეობის 74%-ს მიაჩნია, რომ სწორედ კონკურენტული გარემო უწყობს ხელს ქვეყანაში ეკონომიკურ კეთილდღეობას. რესპონდენტების 64% ერთმნიშვნელოვნად თანხმდება, რომ საქართველოში ბიზნესისთვის კონკურენტული გარემო არ არსებობს, გამოკითხულთა 57% ხშირად ხვდება კონკურენციის სამართლის დარღვევის ფაქტებს, 47% ფიქრობს, რომ ბაზარზე კონკურენცია სახელმწიფომ უნდა არეგულიროს, ხოლო 40% მიიჩნევს, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებს კონკურენტულ გარემოს. კონკურენციის სამართლის რეფორმებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია და გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 5%-ს აქვს გარკვეული სახის ინფორმაცია კონკურენციის სამართლის რეფორმასთან დაკავშირებით. კვლევის სფეროში ინფორმაცია იმდენად მცირეა, მოსახლეობა არ არის ინფორმირებული, როგორ უნდა მოიქცეს დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. მაგალითისათვის, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, მოსახლეობის 51%-მა საერთოდ არ იცის, ვის უნდა მიმართოს და გამოკითხულთა მხოლოდ 9% ასახელებს კონკურენციის სააგენ-

ტოს. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობას სურვილი აქვს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს კონკურენციის წესების, რეფორმების და ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.⁵

ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმება ადგენს ძირითად პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო დახმარება არ არის თავსებადი ქვეყნის შიდა ბაზარის პრინციპებთან. სახელმწიფოს ნებისმიერი დახმარება, რომელიც ხორციელდება ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელიც ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მისი შეზღუდვის საფრთხეებს, თუ არ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, მიიჩნევა არათავსებადად ევროპისში და ბაზარის პრინციპებთან და საერთაშორისო ვაჭრობი წესებთან. კონკურენციის შეზღუდვა ხორციელდება გარკვეულ მწარმოებლებისან გარკვეული პროდუქციის წარმოებისათვის შედარებით უკეთ პირობების შექმნის გზით. სახელმწიფო დახმარება არ უნდა იწვევდეს კონკურენციის შეზღუდვას ან ქმნიდეს ამგვარი შეზღუდვის საფრთხეს.

2014 წელს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის მიზანია ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კერძოდ, ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტებისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა და სხვ. კონკურენციის სააგენტოს დებულებასა და სამოქმედო გეგმებში ძალიან კარგადაა ჩამოყალიბებული ძირითადი ამოცანები და მმართველები, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე სახეზეა მონოპოლიზაციის შედეგებით გამოწვეული მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევები, განსაკუთრებით გამოვყოფდით ფარმაცევტულ ბაზარს, რომელსაც ბაზრის მკვლევარები სუსტ „ოლიგოპოლიასკვ უწოდებენ; მომხმარებლის დისკრიმინაციას იწვევს ისევე და ისევე სამედიცინო სფეროში არსებული ჯაჭვი, როცა სამედიცინო კლინიკა, ფარმაცევტული კომპანია, სადაზღვევო კომპანია პირდაპირ, თუ ირიბად ერთი და იმავე ეკონომიკური აგენტის საკუთრებაა. რთის მხრივ, კონკურენციის სააგენტო სწავლობს ფაქტებს, იკვლევს, გამოაქვს დასკვნები, მაგრამ ხდება თუ არა მისი აღსრულება ეს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა. სწორედ ამიტომ საჭიროა ადმინისტრაციული ბერკეტების გაძლიერება. არც ერთი ეკონომიკური აგენტის ინტერესი არ უნდა იყოს პრიორიტეტული.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში აქტიური ინტეგრირების გზაზეა. რაც კონკურენტული პოლიტიკის შემადგენლო ნაწილია; 1997 წლიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP + სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახდა საგარეო ვაჭრობის პირობები და წახალისა ექსპორტის ზრდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ 2009 წელს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით - ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) დავიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები.

⁵ <https://bpn.ge/analizi/13438-konkurenciis-politika-saqarthveloshi.html>

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს. სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ერთის მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორეს მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები. ამ კონტექსტში, 2013 წლის ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირის შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორეს მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-სამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5%-მდე გაზრდას გამოიწვევს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 13,5%-ით გაიზრდება. ყველაზე მაღალი - 55%-ით - ნავარაუდევია ტექსტილის წარმოების ზრდა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზრდა ნავარაუდევია 4%-ით.³ უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ზაფხულში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ აუცილებელია შეთანხმების რატიფიცირება ევროპის ყველა წევრი ქვეყნის მიერ, რაც საკმაოდ დროს მოითხოვს. აღნიშნულ რატიფიცირებამდე ამოქმედდება შეთანხმების გარდამავალი დებულებები. DCFTA საბოლოოდ ჩაანაცვლებს GSP + პრეფერენციათა სისტემას, თუმცა, გარდამავალ პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმიერთდროულად იქნება ძალაში.⁶ ამდენად, საქართველო საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე დინამიურად სწორ გზას დაადგა.

კონკურენცია მიიჩნევა ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო საშუალებად და იმ ძირითად ელემენტად, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის გაცილებით სწრაფ ზრდას, სიღარიბის შემცირებას და მეტად კონკურენტუნარიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული ეკონომიკის არსებობას. შესაბამისად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოპოლიტიკის გატარება, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში მიმზიდველი დაკონკურენტული ბიზნესგარემო შეიქმნება. ეს გულისხმობს სამართლიანი და ერთნაირი თამაშის წესების დაწესებას და არა დისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფას ბაზარზე მოქმედი ყველა სუბიექტისთვის, ბაზარზე შესასვლელი ფორმალური თუ არაფორმალური ბარიერების შეძლებისდაგვარად შემცირებას, ბაზრის დაყოფის მსურველ ფარული (კარტელური) გარიგების მონაწილე სუბიექტებს შორის არაფორმალური გარიგებების აღკვეთას და ბაზარზე თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფას.

კონკურენციის პოლიტიკა შეიძლება მოტივირებულ იქნეს სხვადასხვა მიზნით, როგორცაა სამართლიანობა, ვაჭრობის წახალისება, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, კონკურენციის კანონმდებლობის საბაზრო პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა გაანეიტრალოს ეკონომიკაზე მონოპოლიების დამამუხრუჭებელი ზემოქმედება, უზრუნველყოს ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზარზე თავისუფალი შესვლის პირობები, კეთილსინდისიერი კონკურენციის

⁶ ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო. *ekonomikuri politikis kvlevis centri* 2014.

განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მხრიდან დაუმსახურებელ უპირტესობათა მინიჭების მოსპობა.

კონკურენციის პოლიტიკა, თავის მხრივ, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისეთი პირობების არსებობა, როდესაც კონკურენცია ბაზარზე ისე არ შეიზღუდება, რომ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ზიანი მიადგეს. კონკურენციის პოლიტიკის საბოლოო მიზანია მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება. იგი ცდილობს, ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს კონკურენციის დაცვა და კონკურენტი ეკონომიკური აგენტების დაცვა. მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ადამიანის, როგორც მომხმარებლის უფლებები, ასევე სტიმული არ დაეკარგოს მსხვილი ბიზნესის განვითარებას, გათვალისწინებული იყოს ქვეყნის ეკონომიური ინტერესები გლობალიზაციის პროცესში. კონკურენციის დაცვა არ ნიშნავს მონოპოლიზაციის პროცესის ალაგმვას. ამ მიმართულებით შექმნილი კანონმდებლობა მიზნად ისახავს კეთილდღეობის დაცვას და მის ზრდას, ამიტომაც ხელისუფლებამ უნდა შესძლოს საწარმოთა შერწყმის პროცესის სოციალური სარგებლობის განსაზღვრა და მისი შედარება კონკურენციით გამოწვეულ სოციალურ დანახარჯებთან, კონკურენციისა და მონოპოლიის თანაარსებობაში ოქროს შუალედის გამონახვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფეტელავა 2009: ფეტელავა ს; კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლური რეგულირება საქართველოში, თბ., 2009.
2. ბარათაშვილი 2011: ბარათაშვილი ე; ჯოლია გ; და სხვა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, წიგნი 1., თბ., 2011.
3. თოდუა 2009: თოდუა გ.; გოგობია რ.; ქუტიძე რ.; ეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკა, თბ., 2009.
4. ვარდიაშვილი 1999: ვარდიაშვილი ლ; კონკურენტული გარემოს ორმირების მეთოდების სრულყოფა საქართველოში, თბ. 1999.
5. გოგიაშვილი 2000: გოგიაშვილი შ; კონკურენციის პოლიტიკა და ქართული რეალობა, ჟურნ. გადასახადები, თბ., 2000.
6. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. თბილისი, 2012 წ.
7. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 - ვებგვერდი, 27.03.2014წ
8. ევროკავშირის შეთანხმება დარმადაყოვლის მომცველი თავისუფალისა ვაჭროსი ვრცის შესახებ და საქართველო. ekonomikuri politikis kvlevis centri 2014
9. Афонцев 2010: С.А. политические рынки и экономическая политика; М. 2010.
10. Organizational hteore. 2006 Jorgen Leagaard, Milli Binslev.

Competition Policy and General Trends of its Development in Georgia

Nino Maqatsaria

*Associate Professor of Shota Meskhia Zugdidi State
Teaching University,
ninomaqacaria@gmail.com.*

Lasha Narsia

*Doctor of Economics,
lashanarsia77@gmail.com.*

R e s u m e

Correctly defined policy of competition is the guarantee of development of sustainable economy which gives stimulus to the production of wide range of demanded products in less prices, provides scientific-technical progress and optimal distribution of resources. It represents the symbol of the market. The more competitive the market is, the more obtained the society is.

Competition is one of the prior directions in a deep and comprehensive freetrade agreement between Georgia and the EU. (DCFTA) Importance of political analysis of competition is due to the leading role in success of economic reforms.

Economic reforms, particularly liberalization of trade and investment environment, privatization and deregulation can improve the level of privatization and deregulation. But these steps aren't always enough for complete solving of problems. There's constant danger from dominant companies to remonopolize the market.

Final aim of the policy of competition is to satisfy the demands of consumers' needs. It tries to separate the protection of both competition and competitive economic agents. Competition inside the market is the main determinant for the companies to make investments for improving their competitive opportunities. Accordingly, the higher the competition is, the higher the motivation is to reduce expenses and improve the product quality. Result of academic research confirms that there is a positive correlation between competition and effectiveness as well as between competition and the rate of productiveness. This correlation is the precondition for economic growth.

კონკურენციის პოლიტიკის ხარვეზები და მათი დაძლევის გზები

ლაშა მგელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

დოქტორანტი,

lmgeladze@gmail.com

სტატია შეეხება საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. განხილულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის ძირითადი თეზისები, რომლებიც ავტორის აზრით საჭიროებს დახვეწას და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები. სტატიაში ხაზგასმულია კონკურენციის პოლიტიკის მსოფლიოში აღიარებული/დანერგული პოსტულატების/მდგომარეობების გადახედვისა და მათი დახვეწის აუცილებლობაზე.

ბოლოს შემოთავაზებულია რეკომენდაციები კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის კუთხით. კერძოდ: 1. ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი ორგანო ბაზრის/ეკონომიკის ყველა სექტორში. 2. რეგულირებად ეკონომიკურ სექტორებში რეგულირების საფასური უნდა გაუქმდეს. 3. შეივსალოს/დაიხვეწოს კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური მოდელი. იგი გახდეს უფრო მეტად დამოუკიდებელი. გადავიდეს საკანონმდებლო ორგანოს დაქვემდებარებაში და ხელმძღვანელი არჩეულ იქნას საკანონმდებლო ორგანოს მიერ გარკვეული ვადით. 4. კანონმდებლობიდან გაუქმდეს მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობის ჩანაწერი. 5. გაუქმდეს შერწყმების წინასწარი (ex ante) შეტყობინებებისა და შეთანხმების ვალდებულება. 6. მოხდეს კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია. ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერებისა და ბიზნესზე წნეხის გაზრდის ალბათობის შეზღუდვის კუთხით. 7. გაუქმდეს კარტელური გარიგებების რეგულირება/მონიტორინგი, სანამ ბიზნესი არ მიაღწევს ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას. 8. გამკაცრდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ნორმატიული აქტების რევიზიის მონიტორინგი.

რა არის კონკურენცია?! ალბათ, პასუხი ყველასთვის ნათელია! კონკურენციის გარეშე ეკონომიკა ვერ ვითარდება, ვერ მიისწრაფვის იგი სრულყოფისაკენ. უფრო მეტიც, ქვეყნებს შორის კონკურენციამ, კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის კონკურენციამ, ინდივიდებს, პირებს შორის კონკურენციამ და ა.შ. გამოიწვია ომები, რესურსების (მათ შორის ბუნებრივი რესურსების) დატაცების სურვილი/დატაცება, ერების დომინანტად გადაქცევის სურვილი/გადაქცევა; სწორედ კონკურენციულ ბრძოლას შეეწირა (გაქრა) ესა თუ ის ქვეყანა, კონკურენციულ ბრძოლაში განადგურდა მთელი რიგი ცივილიზაციები, და სწორედ კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად გადარჩა და განვითარდა მთელი რიგი ერები სწორედ კონკურენციული ბრძოლის შედეგად განვითარდა და დღევანდელი ფორმით ჩამოყალიბდა მსოფლიო.

საბოლოო ჯამში, კონკურენციას იმხელა დადებითი ეფექტი მოაქვს, რომ ხშირ შემთხვევაში, გახსნებადაც არ ღირს ამ ბრძოლას შეწირული ინდივიდები, ერები, რესურსები, ეკოლოგიური გარემო და ა.შ. სწორედ კონკურენცია არის გადარჩევის ის ბუნებრივი პროცესი, რომელსაც მოაქვს, სუსტების დამარცხების და ძლიერების/ყოჩაღების გამარჯვების ხარჯზე, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ ზნეობრივი/მორალური პროგრესი.

აქვე ჩნდება საფრთხე იმისა, რომ პროცესში ხელოვნური ჩარევის, კონკურენციული მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით ხელოვნურად გადადგმული ნაბიჯების შედეგად არ მივიღოთ უკუეფექტი, დავაზიანოთ კონკურენტული გარემო (მაგალითად, უფრო სუსტს არ

მივცეთ განვითარების საშუალება უფრო ყოჩაღის/ძლიერის ხარჯზე; მისი განვითარების შეფერხების ხარჯზე) და ხელი არ შეუშალოთ განვითარებას. შესაბამისად, დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო სანამ კონკურენციის პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით, მასში ხელოვნურად ჩარევის თვალსაზრისით, მივიღებთ გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა - საით და რა ფორმით უნდა იყოს მიმართული ჩვენი ქვეყნის კონკურენციული პოლიტიკა. რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება უფრო მეტად და რომელი მიმართულებები უნდა იქნას დატოვებული ნაკლები რეგულაციების ქვეშ (რეგულაციების გარეშე) იმისთვის, რომ არ მივიღოთ უკუეფექტი და ხელი შეუწყოთ სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს, ქვეყნის განვითარებას.

ჩვენ, ამ ეტაპზე, არ შეუდგებით კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დეტალურ განხილვას. ყურადღებას გავამახვილებთ იმ მნიშვნელოვან პრინციპებზე, რომელზეც აგებულია კანონმდებლობა და ჩვენი აზრით, საჭიროებს დახვეწას. რადგან თუ თავიდანვე არ იქნა სწორი ორიენტირები განსაზღვრული, თუ ჩანსაბში არ განვსაზღვრეთ სწორად კონკურენციის პოლიტიკის პრინციპები (ჩვენ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე), ვერ ავაგებთ სისტემის მარეგულირებელ კანონმდებლობას ისე, რომ იყოს ეფექტიანი და ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე სწორად ორიენტირებული.

გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

1. ჩვენი ქვეყნის კონკურენციული პოლიტიკა მიმართულია სისტემის სექტორებად დაყოფისკენ. ზოგადად, კონკურენციული გარემოს სრულყოფაზე ზრუნავს კონკურენციის სააგენტო. იქ, სადაც ითვლება რომ კონკურენცია შეზღუდულია, ეგრეთწოდებულ რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში, კონკურენციას იცავს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საბანკო სფეროში - ეროვნული ბანკი. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, კონკურენციის პოლიტიკა დანაწევრებულია.

დანაწევრებული კონკურენციის პოლიტიკა იწვევს სისტემის მარეგულირებელი ორგანოს დანაწევრებას, რაც იწვევს: ფუქციების დუბლირების მაღალ ალბათობას, კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში გამყოფი ხაზის იდენტიფიცირების გაძნელებას (სად მთავრდება ერთი ორგანოს უფლებამოსილება და სად იწყება მეორეს ფუქციების შესრულება); მთელ რიგ შემთხვევებში, სფეროს მარეგულირებელ სხვადასხვა ორგანოებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც კიდევ უფრო ხისტს და მოუქნელს ხდის სისტემას. ასევე, ზრდის სტიმულს, რაც შეიძლება მეტი ბიუროკრატიული ფუნქციით (დამატებითი რეგულირების მექანიზმებით) იყოს აღჭურვილი ესა თუ ის ორგანო, რათა მეტი გავლენა ჰქონდეს ვიდრე სფეროს მარეგულირებელ კოლეგა ორგანოს და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის პოლიტიკის დარგობრივ ჭრილში დაყოფა და სხვადასხვა დარგში კონკურენციის პოლიტიკის შესაბამისი მარეგულირებელი ინსტიტუტების საშუალებით გატარება. მიზანშეუწონელია, ქვეყანაში, სადაც ბიზნესი ფეხს იდგამს, დაქსაქსო მისი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოები და შექმნა რეგულირების უფრო მეტი ბიუროკრატიული ბარიერები/მექანიზმები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკომისიასთან აქტიური მოლაპარაკებებისა და შეთანხმების შედეგად, 2010 წლის 3 დეკემბერს მთავრობის #1551 განკარგულებით დამტკიცდა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია. სტრატეგიაში, რომელიც ევროკომისიასთან შეთანხმებულია, ცალსახად არის აღნიშნული, რომ ქვეყანაში კონკურენციის დაცვაზე ეკონომიკის ყველა სფეროში (მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში) პასუხისმგებელი უნდა ყო-

ფილიყო ერთი უწყება - კონკურენციის სააგენტო. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ ეტაპზე, როდესაც 1996 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილება, კონკურენციის დაცვის კუთხით, ვრცელდებოდა ეკონომიკის ყველა სექტორზე. მოგვიანებით, 2002 წელს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის რეგულირების კომპეტენციიდან გამოყვანილი იქნა ის სფეროები, სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები არსებობდნენ (ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია; კომუნიკაციების ეროვნული კომისია; ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო; მოგვიანებით ტრანსპორტის სფეროს მარეგულირებელი სააგენტოები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის ზედამხედველობა განხორციელოს ერთმა პასუხისმგებელმა ორგანომ - კონკურენციის სააგენტომ ეკონომიკის ყველა სფეროში. მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში.

2. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების ძირითად წყაროს რეგულირების საფასური შეადგენს. კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პირი, რომელიც ახორციელებს ან აპირებს განხორციელოს საქმიანობა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში, ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის ოდენობა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,75 % მაუწყებლობის სფეროში კი, რეგულირების საფასურის ოდენობაა მაუწყებლის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 %. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისია უფლებამოსილია წლის განმავლობაში დარჩენილი ნაშთი მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში რეგულირების საფასური განისაზღვრება „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაფინანსების მსგავსი მოდელი. პირი არეგულირებს/აკონტროლებს სფეროში მოქმედ საწარმოებს და აღნიშნული კონტროლისათვის დაფინანსებას/თანხას ართმევს კომპანიებს რომელსაც, აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლიოში ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა, ჩვენი აზრით, არასწორია.

საწარმო იხდის კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში და მასზე დაკისრებული ყოველი დამატებითი გადასახადი დამატებითი წნეხია. სისტემას ხდის ხისტს და არაეფექტურს, აუარესებს ბიზნეს გარემოს და აქვეითებს ბაზარზე შესვლის სტიმულს. შესაბამისად ამცირებს თავისუფალი კონკურენციის მასშტაბს.

თუ სახელმწიფო თვლის, რომ კონკრეტულ სფეროში ესაჭიროება მაკონტროლებელი ორგანო, იგი უნდა დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (კომპანიები იხდიან გადასახადებს, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ მსგავსი ფუნქციების განხორციელებისათვის). დამატებითი საფასურების შემოღება, მითუმეტეს იმ პირებისათვის, ვისაც აკონტროლებ, მიზანშეწონილი და არაეფექტიანია.

ასევე, ეს არაპირდაპირი წნეხია მომხმარებელზე (არადა კანონმდებლობით მარეგულირებელი კომისია - მომხმარებელთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა), რადგან რეგულირების საფასური ზრდის მომსახურების ღირებულებას.

ასევე, ქმნის კორუფციის მაღალ რისკს, რადგან დიდია სტიმული იმისა, რომ კომისიამ მიიღოს რაოდენობრივად უფრო მეტი სახსრები. მაგალითად, თუ ბაზარზე ახალი კომპანიის შემოსვლის შემდეგ დიდია ალბათობა, რომ ფასები შემცირდეს და ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების ბრუნვა შემცირდეს, იზრდება ალბათობა/სტიმული იმისა, რომ კომისიამ მხარი არ დაუჭიროს მსგავსი მოვლენების განვითარებას.

ასევე, არასწორად მიგვაჩნია წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების უფლებამოსილება (ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მე-12 მუხლი). თუ მარეგულირებელ ორგანოს წლის ბოლოს რჩება აუთვისებელი სახსრები, ეს ნიშნავს, რომ რეგულირების საფასური არის საჭიროზე მაღალი. ტარიფი უნდა იყოს დაანგარიშებული გონივრულობის პრინციპით და უნდა ამოდიოდეს მხოლოდ მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების საჭიროებიდან. თუ წლის ბოლოს ნაშთი რჩება, მაშინ უნდა შემცირდეს მომდევნო წლის რეგულირების საფასური, როგორც ეს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, მარეგულირებელი ორგანოსათვის დაფინანსების წყაროდ რეგულირების საფასურის განსაზღვრა. ეს კიდევ უფრო მოუქნელს/ხისტს ხდის სისტემას, აზარალებს შესაბამის სფეროში ბიზნესგარემოს და აქვეითებს საინვესტიციო მიზიდველობას; მაღალია კორუფციის რისკი; რეგულირების გადასახადი დამატებითი წნეხია მომხარებლისათვის.

3. საქართველოს კონსტიტუციითა (მუხლი 30) და ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად დაუშვებელია ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა. კანონმდებლობის მიხედვით: აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხარებელთა უფლებები დაცული უნდა იყოს კანონით.

მიზანშეუწონელია, მეწარმეს, რომელმაც თავისი თავდაუზოგავი შრომით, ინოვაციური პროდუქტების დანერგვით, მენეჯმენტის მაღალი ხარისხის მიღწევით და ა.შ. მიაღწია მონოპოლიურ მდგომარეობას (აქ ალბათ, უფრო დომინირებული მდგომარეობის მიღწევა უნდა ვიგულისხმოთ და არა მონოპოლიური, რადგან მონოპოლიური მდგომარეობა საქონლის ურთიერთგანაცვლებადობიდან გამომდინარე, რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად მიღწევადია ცალკეული გამოწვევის შემთხვევების გარდა), აიძულო დააქუცმაცოს თავისი ბიზნესი. გაუქრო სტიმული მეწარმეს იყოს ძალიან წარმატებული თავისი საქმიანობის სფეროში. გაუგებარია, პირს, რომელმაც თავისი ყოჩაღობის გამო მიაღწია მონოპოლიურ მდგომარეობას და პატიოსნად აწარმოებს თავის ბიზნესს (ბოროტად არ იყენებს თავის მონოპოლიურ მდგომარეობას), რატომ უნდა აუკრძალოს საქმიანობა და მოთხოვოს ბიზნესის დაქუცმაცება. აღნიშნული აქრობს ბიზნესის განვითარების სტიმულს და უზიძვებს ეფექტურ/წარმატებულ მეწარმეებს ბაზრიდან გასვლისაკენ. მაგალითად, კომუნიკაციების ბაზარზე ოპერირებდნენ რომელიმე კომპანიამ თუ გამოიგონა მომსახურების მიწოდების ისეთი მეთოდი/ტექნოლოგია, რომელიც მკვეთრად, პირობითად სამჯერ, აიაფებს მის პროდუქტს და მოიპოვებს მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე (იმის გამო, რომ სხვა კომპანიების საქმიანობამ უბრალოდ აზრი დაკარგა, წამგებიანი გახდა და გავიდნენ ბაზრიდან), რატომ უნდა აუკრძალოს საქმიანობა (რა სტიმული უნდა ჰქონდეს კომპანიას, რომ გააუმჯობესოს თავისი პროდუქტის/მომსახურების ხარისხი ისე, რომ იყოს საუკეთესო ბაზარზე; გაიმარჯოს კონკურენტულ ბრძოლაში). კომპანიას, რომელმაც თავისი შრომით, ყველა წესის დაცვით მიაღწია მონოპოლიურ მდგომარეობას, იხდის გადასახადებს და არ იყენებს ამ მდგომარეობას ბოროტად, რატომ უნდა შეუზღუდოს ფუნქციონირება ან დააკისრო სანქციები, გაუგებარია.

მითუმეტეს, მსოფლიო დიდი ხანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბაზარზე მონოპოლიური ან დომინირებული მდგომარეობა არ უნდა აიკრძალოს. უნდა აიკრძალოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ანუ კონკურენციის კანონმდებლობის მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა უკვე ითვალისწინებს არა მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვას, არამედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას.

3.1 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების უფლებამოსილება. კანონმდებლობის მიხედვით, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად, კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო დაადგენს, რომ ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, იგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხასიათიდან გამომდინარე, განსაზღვრავს აღნიშნული პირებისთვის დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს (მაგ. ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება; დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება; დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება; სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი მიდგომა მკვეთრად აუარესებს ბიზნესგარემოს და მიმართულია ეფექტური/ყოჩადი მეწარმეების დასაჯისაკენ. თუ პირი კარგად შრომობს და სხვა, ბაზარზე მოქმედ, კომპანიებთან შედარებით უფრო ეფექტური და ნაყოფიერია, რის შედეგადაც ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას აღწევს, ისჯება. ანუ, შესაძლებელია მისი ეფექტიანობის გამო, მარეგულირებელმა კომისიამ დააკისროს დამატებითი სპეციფიკური ვალდებულებები, რათა უკეთ აკონტროლოს იგი.

აღნიშნული კიდევ უფრო აფრთხობს ბიზნესს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფო ყველა ფეხის ნაბიჯზე გაკონტროლებს, რაც ინვესტიციების მოზიდვის და ახალი, მსხვილი ბიზნესის წამოწყების სურვილის გაქრობას იწვევს; ზრდის რისკს, რომ სახელმწიფოსგან ან კერძო ჩინოვნიკებისგან მიღებული გარანტიების (მათთან გარიგების) გარეშე არ წამოიწყოს ან განავითაროს ბიზნესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობისა და ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ორგანიზაციებისათვის დამატებითი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გამორიცხული კანონმდებლობით.

4. კონკურენციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანო. კანონმდებლობის მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანო სსიპ. კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რაც მას პრემიერ-მინისტრზე (არაპირდაპირ კი საქართველოს მთავრობაზე) დამოკიდებულს ხდის.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მათი გადაწყვეტილებების, მათ მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტების კონკურენციული კუთხით კონტროლი და ექსპერტიზა წარმოადგენს.

თავისუფალ ბაზარზე კომპანიის მიერ დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ძალიან რთულია. მითუმეტეს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პროცესი დროებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. თავისუფალ ბაზარზე აუცილებლად გამოჩნდება კონკუ-

რენტი კომპანია, რომელიც არ მისცემს საშუალებას დომინანტ კომპანიას ბოროტად გამოიყენოს თავისი მდგომარეობა.

ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მიღწევა ბევრად მარტივია სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად (სპეციფიკური შეღავათების მინიჭების, არაპირდაპირი მხარდაჭერის, ლობირების და ა.შ. შედეგად). სწორედ ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის მარეგულირებელმა ორგანომ აქტიურად აკონტროლოს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ნორმატიული აქტები, ინიციატივები და ა.შ.

ვფიქრობთ, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს დღეს არსებული ინსტიტუციური მოდელის პირობებში, ძალიან რთულია სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის დაცვის კუთხით კონტროლის განხორციელება. მარეგულირებელ ორგანოს არ აქვს დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხი. იგი აღმასრულებელი ხელისუფლების (სახელმწიფო სისტემის იმ შტოს დაქვემდებარებაშია, სადაც ანტიკონკურენციული გადაწყვეტილებების მიღების ყველაზე მაღალი რისკია) მეთაურის წინაშე ანგარიშვალდებული, რაც არაპირდაპირ იწვევს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებულებას. სააგენტოს ხელმძღვანელს ნიშნავს ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და იგი არ ინიშნება გარკვეული ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს მიენიჭოს დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი. დაწესებულების ხელმძღვანელი არჩეული იქნეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ, გარკვეული ვადით. ასევე, დაწესებულება ანგარიშვალდებული უნდა იყოს საქართველოს საკანონმდებლო და არა აღმასრულებელი ორგანოს წინაშე.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებელია (მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყნის ეკონომიკა ძალიან მგრძობიარეა ნებისმიერი არასასურველი ფაქტორის მიმართ). შესაბამისად, მიზანშეწონილია, მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებები არ იყოს ერთპიროვნულად მიღებული და განხილვებში აქტიურად იქნას ჩართული მხარეები, რომლებსაც უნდა მიეცეთ საკუთარი პოზიციების დაცვის მეტი შესაძლებლობა.

5. 2010 წლის 3 დეკემბერს მთავრობის #1551 განკარგულებით დამტკიცებული კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია (რომელიც შემუშავებულია ევროკომისიასთან შეთანხმებით) და კონკურენციის კანონმდებლობა აცდენილია ერთმანეთს - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განკარგულება შემუშავებულია ევროკომისიასთან აქტიური თანამშრომლობისა და მათი რეკომენდაციების საფუძველზე. რეალურად კი მოხდა ისე, რომ კანონმდებლობა არ მოვიდა შესაბამისობაში მთავრობის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ დოკუმენტაციასთან. შეუსაბამოა, როგორც არსებული ინსტიტუციური მოდელი, ისე კონკურენციის პრინციპების აღსრულების დებულებები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი აზრით, როგორც განკარგულება, ისე კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა (მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი), ზედმეტად მკაცრია. ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე; მაშინ, როცა ბიზნესი (კერძო სექტორი) ჯერ ისევ იდგამს ფეხს და არ მოძლიერებულა; მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტი ისევ დეფიციტურია და პოლიტიკა დამატებითი სახსრების ხელოვნურად მოძიებისკენ არის მიმართული; მაშინ, როცა თითოეულ კონკურენციულ ბრძოლაში გაძლიერებულ და გამართულ კომპანიას უდიდესი, ფაქტობრივად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ჩვენ გვაქვს, ჩვენი აზრით, ზედმეტად მკაცრი კანონმდებლობა, რამაც შეიძლება უკუშედეგი, კონკურენციის შეფერხება და ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნა გამოიწვიოს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოხდეს კონკურენციის კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია. ორიენტირი, ძირითადად, უნდა იქნას აღებული სახელმწიფო დაწესებულებების, ჩინოვნიკების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ნორმატიული აქტების კონკურენციის კუთხით მონიტორინგზე (მხოლოდ აღნიშნული კუთხით უნდა იქნას გამკაცრებული კანონმდებლობა). მარეგულირებელი ორგანო უნდა იქნეს აღჭურვილი მცირე კონკურენციის რეგულირებისათვის გარდაუვლად აუცილებელი ფუნქციებით, რათა ტვირთად არ დააწვეს ბიზნესს და არ მოხდეს (მაქსიმალურად შემცირდეს ალბათობა) კონკურენციის უნებლიე შეფერხება/შეზღუდვა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასევე, გადაიხედოს კონკურენციის პოლიტიკის მსოფლიოში აღიარებული ძირითადი პოსტულატები/მიდგომები და მოხდეს მათი განახლება/დახვეწა. მაგალითად:

- ერთის მხრივ, აღიარებულია, რომ ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე არ არის პრობლემა, სანამ ის ამ მდგომარეობას ბოროტად არ იყენებს. მეორეს მხრივ კი, კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას მოითხოვო კომპანიების შერწყმის წინასწარი (ex ante) რეგულირება (კომუნიკაციების შესახებ კანონშიც შერწყმების წინასწარი შეთანხმების ვალდებულებაა). გაუგებარია, რატომ უნდა შეუთანხმოს კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს კომპანიამ შერწყმების შესახებ გადაწყვეტილება წინასწარ და ელოდოს მის პასუხს. მითუმეტეს, რომ ევროკომისიის გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით: „შერწყმების 89% მტკიცდება პირველ ფაზაში (ყოველგვარი შემზღუდავი ვალდებულებების გარეშე); შერწყმების 5% მტკიცდება მეორე ფაზაში (ცალკეული შემზღუდავი ვალდებულებების დაწესებით); შერწყმების მხოლოდ 0,3% იკრძალება; შერწყმების დაახლოებით 5,7% არის შესწავლის პროცესში (წყარო: www.ec.europa.eu)“¹. ასევე, არავინ არ ითვლის კომპანიები შერწყმაზე თანხმობის მოლოდინში რამხელა ეკონომიკურ ზარალს იღებს (მითუმეტეს, თუ გადაწყვეტილების მიღება დროში ხანგრძლივდება) რაც ასევე, აისახება ბიუჯეტში შეტანილ გადასახადებზე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ა.შ.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ორი პრინციპი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის და შერწყმების წინასწარი შეტყობინებისა და შეთანხმების ვალდებულება უნდა გაუქმდეს. ის მაქსიმუმ უნდა იყოს შემდგომში შეტყობინების ვალდებულებით (ex post).

- ასევე, გაუგებარია, კარტელური გარიგებების კონტროლი (განსაკუთრებით ჰორიზონტალურ ნაწილში) თუ იგი ორ დომინანტ კომპანიას შორის არ ხორციელდება.

მაგალითად ორი კომპანია, რომელიც ბაზრის 10-10%-ზე მეტ წილს არ ფლობენ და გადაწყვეტენ ერთიანი ფასების დაწესებას ან პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივ შეთანხმებას, რატომ უნდა დაისაჯონ. ესეც ხომ კონკურენციული ბრძოლის ნაწილია, მოიპოვო უპირატესობა ბაზარზე. ან რატომ ითვლება იგი არაკეთილსინდისიერ ქმედებად თუ აღნიშნული კომპანიების ბაზარზე მომძლავრების შედეგად იზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროდუქციის ხარისხი, შემოდის ინოვაციური მიდგომები და ა.შ. (თუნდაც არცერთი ზემოთჩამოთვლილი არ ხდებოდა და გარიგების შედეგად კომპანია უბრალოდ ძლიერდებოდა, ეს მისასალმებელია).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კარტელური გარიგება უნდა იზღუდებოდეს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს შორის. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მიღწევამდე კარტელური გარიგებების შეზღუდვა მიზანშეწონილად მიგვაჩნია. მითუმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფალი ბაზრის პირობებში, სახელმწიფოს დახმარების გარეშე, დომინირებული მდგომარეობის მიღწევისა და დიდხანს შენარჩუნების

¹ 2010 წლის 3 დეკემბერს მთავრობის #1551 განკარგულებით დამტკიცებული კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია

ალბათობა ძალიან მცირეა. ასევე, ჩვენი აზრით, შედეგი არ იქნება გარიგების გამოვლენისათვის დახარჯული რესურსის ადექვატური.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის კუთხით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება გამახვილდეს, დაიხვეწოს შემდეგი ძირითადი პრინციპები/მიდგომები: 1. ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი ორგანო ბაზრის/ეკონომიკის ყველა სექტორში. კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო და სექტორული მარეგულირებლები უნდა გაერთიანდნენ. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს პასუხისმგებელი კონკურენციის მონიტორინგზე ფინანსურ სფეროშიც (საბანკო, ფასიანი ქაღალდების და ა.შ. სფეროები). ასევე, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო უნდა ეწეოდეს სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის მონიტორინგსაც, რადგან აღნიშნული ბაზრის რეგულირება ძირითადად ბაზარზე კონკურენციის დაცვასა და კორუფციული გარიგებების შემცირებისაკენ არის მიმართული (კონკურენციის დაცვაც და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების/საქმიანობის კონკურენციის კუთხით კონტროლი, რაც არაპირდაპირ კორუფციული გარიგებების გამოვლენასთან არის დაკავშირებული, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებია). 2. რეგულირებად ეკონომიკურ სექტორებში რეგულირების საფასური უნდა გაუქმდეს. იგი უნდა ჩანაცვლოს საბიუჯეტო დაფინანსებამ. თუ მოკლე დროში, ბიუჯეტში არც არის შესაძლებელი გამოინახოს დაფინანსების წყაროები, საბიუჯეტო დაფინანსების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, ყოველწლიურად რეგულირების საფასურის შემცირებისა და საბიუჯეტო დაფინანსებით ჩანაცვლების ხარჯზე. 3. გაუქმდეს კანონმდებლობიდან მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობის ჩანაწერი. ასევე, კანონმდებლობაში გაუქმდეს მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირისათვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების შესაძლებლობა 4. შეიცვალოს/დაიხვეწოს კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური მოდელი; გახდეს მეტად დამოუკიდებელი. გადავიდეს საკანონმდებლო ორგანოს დაქვემდებარებაში და ხელმძღვანელი არჩეულ იქნას საკანონმდებლო ორგანოს მიერ გარკვეული ვადით. 5. მოხდეს კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია. ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერებისა და ბიზნესზე წნეხის გაზრდის ალბათობის შეზღუდვის კუთხით. 5.1. 2010 წლის 3 დეკემბრის მთავრობის #1551 განკარგულება და კანონმდებლობა მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან (ზემოთ აღნიშნული პრინციპის - კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაციის შესაბამისად). 6. გაუქმდეს შერწყმების წინასწარი (ex ante) შეტყობინებებისა და შეთანხმების ვალდებულება. 7. გაუქმდეს კარტელური გარიგებების რეგულირება/მონიტორინგი, სანამ ბიზნესი არ მიაღწევს ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას (მოხდეს კანონმდებლობის რევიზია სხვა მსგავსი შეზღუდვების/კონტროლის დომინირებულ მდგომარეობამდე გაუქმების მიმართულებით). 8. გამკაცრდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა (გადაწყვეტილებების კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურები) და ნორმატიული აქტების რევიზიის მონიტორინგი.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, რეფორმის წარმართვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონკურენციის პოლიტიკის გაუმჯობესებას ქვეყანაში. თუ სწორად არ იქნა ძირითადი მიმართულებები განსაზღვრული, ვერ მოხერხდება ეფექტური/ეფექტიანი კანონმდებლობის ჩამოყალიბება. აუცილებელია, ის მიმართულებები, რომელიც ქმნის კანონმდებლობის საფუძველს (რომელზეც უნდა აიგოს კანონმდებლობა) სწორად, ქვეყნის განვითარებისათვის ყველაზე უფრო საჭირო მიმართულებით იქნას განსაზღვრული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“
2. საქართველოს კანონი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“
3. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“
4. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“
6. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“
7. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“
8. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“
9. სლავა ფეტელავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“ - გამომცემლობა „ლოი“, თბილისი 2007 წელი
10. ლაშა მგელაძე - სტატია „კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები საქართველოში“; საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ 2016წ. #3

Gaps of Competition Policy and the Ways to Overcome them

Lasha Mgeladze

Phd Student of Technical University of Georgia,

lmgeladze@gmail.com

R e s u m e

The article deals with the basic principles of competition policy in Georgia. The author reviews main theses defined by the Georgian legislation that need to be refined and suggests its solution ways. The article emphasizes the need to revise and refine the world's recognized/implemented postulates/approaches in the competition policy.

Finally, recommendations are suggested to improve competition policy. Specifically: 1. One body should be responsible for monitoring competition policies in all sectors of the market/economy in the country. 2. Regulation fee should be abolished in regulated economic sectors. 3. Change/improve the institutional model of the regulatory body of competition. Become more independent. Move under the subordination of the legislative body, which will elect the Chairman for a certain period of time. 4. Remove from legislation the excerpt about inadmissibility of monopoly. 5. Abolish the obligation of the prior (ex ante) notification and commitment prior to the merger. 6. Enable further liberalization of the legislation to restrict excessive bureaucratic barriers and likelihood of increasing pressure on business. 7. Revoke regulation/monitoring of cartel transactions until business reaches dominance in the marketplace. 8. Tighten the monitoring of the revision of decisions and normative acts taken by the government institutions.

ქართული კონცენტრაციის რეგულირებაში ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები

სოლომონ მენაბდიშვილი

სამართლის დოქტორი

კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა

დაცვის ცენტრის დირექტორი,

კავკასიის უნივერსიტეტისა და ტექნოლოგიებისა და

ინოვაციების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

smenabdishvili@gmail.com

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტის დახვეწა, რომელსაც ევროკავშირი საქართველოს სთხოვდა აღნიშნული დოკუმენტის ხელმოსაწერად, წარმოადგენდა 2012 წელს მიღებული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი.¹

ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ვალდებულია იქონიოს ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე. კონკურენციის კანონმდებლობა ასევე უნდა ითვალისწინებდეს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.²

კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის არ დაუშვას ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ხელში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების თავმოყრა, რადგან ამას შეიძლება ბაზარზე სერიოზული უარყოფითი გავლენა ჰქონდეს. საბაზრო ძალაუფლების ორი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ხელში კონცენტრაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტები შეთანხმებულად მოქმედებენ ბაზარზე; ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტი მეორე კომპანიაზე მოიპოვებს კონტროლს ან ისინი ერთიანდებიან და ბაზარზე ერთი, გაერთიანებული ბრენდის სახელით გამოდიან. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ქმედებით შეიძლება კონკურენციის შეზღუდვაც და მომხმარებლისთვის ზიანის მიყენებაც. შესაბამისად, კონკურენციის სამართალი იბრძვის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ხელში თავმოყრის წინააღმდეგ, რადგან მის შედეგად შესაძლებელია ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა და მომხმარებელთათვის ზიანის მიყენება.

სტატიის მიზანია გამოაშკარავოს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არსებული ძირითადი ხარვეზები ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის ეფექტური კონტროლის კუთხით.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁴ მუხლში გამოყენებული ტერმინი „შერწყმა“ გულისხმობს მეწარმე სუბიექტების შერწყმა-გაერთიანებას.³ ამ ტერმინის ნაცვლად კონკურ-

¹ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (დღეის მდგომარეობით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>.

² ასოცირების შეთანხმების სრული ტექსტი <<http://www.mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx>>.

³ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408>>.

რენციის სამართალში გამოიყენება ტერმინი „კონცენტრაცია“. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ევროკავშირის შერწყმების რეგულაციით 139/2004 კონცენტრაცია შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ხერხით:

პირველი, ეკონომიკურ აგენტების გაერთიანებით, რომლის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება. გაერთიანების მაგალითად გამოდგება ორი ეკონომიკური აგენტის „ალტა“ და „ოკ“ გაერთიანება 2016 წელს, რომლის შედეგადაც ბაზარზე კომპანია „ალტაოკ“ შეიქმნა;

მეორე, კონცენტრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე ირიბი ან პირდაპირი კონტროლის მოპოვება ხდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, კონტროლის მომპოვებელ კომპანიას უკვე უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი ეკონომიკური აგენტის კონტროლის საშუალება იმისთვის, რომ მოხდეს კონცენტრაციის კონკურენციის სამართლის რეგულირების ქვეშ მოქცევა. ტერმინ „კონტროლში“ იგულისხმება ეკონომიკური აგენტზე ან მის ნაწილზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ეს კი შეიძლება გამოდინარეობდეს ფასიანი ქაღალდების ან აქტივების შეძენიდან, ასევე აქტივების სრულად ან ნაწილობრივი გამოყენების უფლებიდან, შეთანხმებიდან და სხვა ფაქტორებიდან და გარემოებიდან. კონტროლის შესაძლებლობა შეიძლება ასევე გამომდინარეობდეს უფლებიდან, რომელიც მის მატარებელს საშუალებას აძლევს ეკონომიკური აგენტის მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, ხმის უფლებაზე და გადაწყვეტილებაზე არსებითი ზემოქმედება მოახდინოს.

კონტროლის შესაძლებლობის განხილვისას მხედველობაში მიიღება როგორც სამართლებრივი, ასევე სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებები. სამართლებრივი კონტროლი გამომდინარეობს მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტი ხმების უმრავლესობას იძენს სხვა კომპანიაში. გარდა ამისა, ის შეიძლება გამომდინარეობდეს მაშინ, როდესაც წილების უმცირესობა მის მფლობელს აძლევს სპეციალურ უფლებას შეძენილ კომპანიაში სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღოს. რაც შეეხება ფაქტობრივ კონტროლს, მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც წილების უმცირესობის მფლობელ პირს უფლება აქვს ვეტო დაადოს ეკონომიკური აგენტების სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები, თუმცა შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეს დაბლოკოს გადაწყვეტილებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია განახორციელოს არსებითი გავლენა კომპანიაზე. ასეთ ფაქტობრივ კონტროლს ნეგატიურ კონტროლს უწოდებენ.⁴ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება, გარკვეულ პირობებში, უმცირესობა წილების მფლობელ(ებ)ი საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობას წარმოადგენდეს და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაც ჰქონდეს. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეზე: COMP/M.4994 Electrabel/Compagnie Nationale du Rhône. კერძოდ, Electrabel-ი CNR-ში წილების უმცირესობას ფლობდა, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში მას დე-ფაქტო ხმათა უმრავლესობის უფლებას აძლევდა საერთო კრებაზე.⁵ პრეცედენტულ სამართლით დადგენილია, რომ 25 პროცენტზე ნაკლები წილის მფლობელს შეუძლია გარკვეულ სიტუაციებში არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. მაგალითად, CCIE-მ შეიძინა ხმების 19 პროცენტი კომპანია EDIL-ში, რის შედეგადაც მან კონტროლის შესაძლებლობა მოიპოვა, რადგან დანარჩენი წილი ეკუთვნოდა დამოუკიდებელ საინვესტიციო ბანკს, რომლის თანხმობა არ იყო საჭირო მნიშვნელოვანი კომერციული გადაწყვეტილებების მიღებისას.⁶

⁴ R. Whish & D. Bailey, Competition Law, 7th Ed., Oxford Uni., 2012, 836.

⁵ საქმე: COMP/M.4994 http://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m4994_20090610_1465_en.pdf

⁶ საქმე: IV/M.258 http://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m258_en.pdf.

კონცენტრაციის მეორე შემთხვევაში ხშირად ხდება ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკური აგენტის შთანთქმა და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის ბაზრიდან გაუჩინარება. ამის მაგალითად გამოდგება სს „თიბისი ბანკი“-ს მიერ სს „ბანკი რესპუბლიკი“-ს აქციების შეძენა. აღნიშნული სახის კონცენტრაციის დროს ასევე შესაძლებელია კონცენტრაციაში მონაწილე ორივე ეკონომიკურმა აგენტმა გააგრძელოს ბაზარზე ფუნქციონირება საკუთარი სახელით. ამის მაგალითად კი გამოდგება სს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ შპს „ნუგეში“-ს 100 წილის შეძენა. ნუგეშის მალაზიების ქსელი ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა მისი მართვა ნიკორა ტრეიდის მენეჯმენტის მეშვეობით ხდება;⁷

კონცენტრაციის მესამე სახე შეიძლება გამომდინარეობდეს ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველო ორგანოებში მონაწილეობით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი პირი ორ ან რამდენიმე კომპანიაში იკავებს დირექტორის ან/და დირექტორთა საბჭოში პოზიციას;

გარდა აღნიშნული სამი შემთხვევისა, კონცენტრაციად ითვლება ორი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის მიერ ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელიც ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.⁸ ასეთ ერთობლივ საწარმოს „სრულ-ფუნქციური ერთობლივი საწარმო“ ეწოდება. თუ ის არ წარმოადგენს სრულ-ფუნქციურს, მაშინ იგი შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც კარტელი.⁹

ზემოთ იყო ნახსენები, კონცენტრაცია კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და მისი სრულყოფილი რეგულირება კანონმდებლობით აუცილებელია იმისათვის, რომ არ მოხდეს ბაზარზე კონკურენციის შეცირება. ყველა განვითარებულ ქვეყანას, ვისაც კონკურენციის სამართლის ნორმები გააჩნია, აქვს შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რომელიც კონცენტრაციის ეფექტური რეგულირებას მოიცავს.

კონცენტრაციის ეფექტური რეგულირებისათვის სახელმწიფოების უმრავლესობა კანონმდებლობით გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს კონცენტრაციაში მონაწილე მხარეებს. ეს ვალდებულებები შემდეგი სახისაა:

პირველი, ეკონომიკურ აგენტებს კონცენტრაციის იმპლემენტაციამდე მოეთხოვებათ მოახდინონ დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენციის ორგანოსთვის შეტყობინება.

მეორე, გარდა წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისა, ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია ავალდებულებს იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც შეიტანენ შესაბამის კონკურენციის ორგანოში განცხადებას დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ, დაელოდნონ კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებას შეტყობინებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ და ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოახდინონ კონცენტრაციის იმპლემენტაცია.

მესამე, ევროკავშირის შერწყმის რეგულაციით, ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ ასევე კონკურენციის ორგანოების მიერ დაგეგმილი კონცენტრაციის თაობაზე უარყოფითი დასკვნის უგულებელყოფა და კონცენტრაციის გარიგების რეგისტრაცია შესაბამის ორგანოებში.

მეოთხე, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ასევე ვალდებულნი არიან კონკურენციის ორგანოებს მიაწოდონ საქმესთან დაკავშირებული უტყუარი და სწორი ინფორმაცია, რაც შესაბამისი ორგანოებისათვის მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოხდეს შეტყობინებული კონცენტრაციის სრულყოფილი შესწავლა და შეფასება.

⁷ <http://competition.ge/ge/page4.php?b=371>

⁸ ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია # 139/2004, 3.4.

⁹ Jones A., *Sufrin B.*, EU Competition Law Text, Cases, and Material, 4th ed., Oxford University Press, 2011, 986.

აღნიშნული ვალდებულებების დარღვევისათვის ევროკავშირში სხვადასხვა ოდენობის ჯარიმა გათვალისწინებული. კერძოდ, ესენია:

პირველი, ჯარიმა საერთო ბრუნვის ერთ პროცენტამდე შეიძლება დაეკისროთ შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს თუ ისინი განზრახ ან გაუფრთხილებლად მიაწვდიან კონკურენციის ორგანოს არასწორ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. იგივე ოდენობის ჯარიმა შეიძლება დაკისრებული იქნეს იმ შემთხვევაში თუ მოხდება კონკურენციის ორგანოს წარმომადგენლის მიერ დადებული ლუქის დაზიანება;¹⁰

მეორე, შესაბამისი ეკონომიკური აგენტების საერთო ბრუნვის 10 პროცენტამდე ჯარიმა შეიძლება დაეკისროთ ეკონომიკურ აგენტებს შემდეგ შემთხვევაში:

- თუ ეკონომიკური აგენტები განზრახ ან გაუფრთხილებლად შესაბამისი კონკურენციის ორგანოს წინასწარი შეტყობინების გარეშე მოახდენენ კონცენტრაციის იმპლემენტაციას;

- არ დაელოდებიან კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებას შეტყობინებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობაზე და ისე მოახდენენ მის იმპლემენტაციას;

- მიუხედავად კონკურენციის ორგანოს უარყოფითი დასკვნისა, ეკონომიკური აგენტები მოახდენენ კონცენტრაციის იმპლემენტაციას;

- არ შეასრულებენ კონკურენციის ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ღონისძიებებს, პირობებს და ვალდებულებებს;¹¹

ჯარიმების მესამე სახეს კი წარმოადგენს პერიოდული საჯარიმო გადახდები, რაც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტს. აღნიშნული სახის ჯარიმები შეიძლება დაეკისროთ ეკონომიკური აგენტებს იმისათვის, რომ ისინი აიძულონ:

- მიაწოდონ კონკურენციის ორგანოს სრული და სწორი ინფორმაცია
- არ შეუშალონ ხელი კონკურენციის ორგანოს ეკონომიკური აგენტის ინსპექტირებაში
- შეასრულონ კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული ვალდებულებები
- შეასრულონ კონკურენციის ორგანოს მიერ მითითებულ ღონისძიებები.¹²

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით კონცენტრაციასთან მიმართებაში ჩამოთვლილი სამართალდარღვევებიდან არცერთ დარღვევაზე არ არსებობს რაიმე სახის ჯარიმა. კანონის 33-ე მუხლი ჯარიმებს მხოლოდ კარტელური საქმიანობისა და დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების მიმართ ითვალისწინებს. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის სააგენტოსათვის მიუწოდებლობისათვის. ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, „მხარის მიერ მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად“. ამ ოდენობის ჯარიმის დაკისრება ვერ იქნება სერიოზული სადამსჯელო ღონისძიებად აღქმული სანქციის მიზნებიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კონკურენციის სააგენტომ 2016 წელს დაასრულა შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ შპს „ნუგემის“ კონცენტრაციის საქმის შესწავლა.¹³ საქმეზე მოკვლევა კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის განცხადების საფუძველზე

¹⁰ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციის კონტროლის შესახებ ევროკავშირის რეგულაცია #139/2004 (Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings), <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32004R0139>>, 14.1.

¹¹ იქვე, 14.2.

¹² იქვე, 15.

¹³ <http://competition.ge/ge/page4.php?b=371>

დაიწყო. როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნული კონცენტრაცია სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელდა, რაც საქართველოში არსებული კონკურენციის ნორმების დარღვევად იქნა მიჩნეული. თუმცა, სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო დამრღვევი ეკონომიკური აგენტებისათვის რაიმე სახის ჯარიმის დაკისრება. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლით ნაკისრ ვალდებულებებთან წინააღმდეგობაში მოდის, რის გამოც კონკურენციის სააგენტომ კანონში შესატანი ცვლილების პაკეტი შეიმუშავა. პროექტის თანახმად, იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც წინასწარ არ შეატყობინებენ დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენციის ორგანოს დაეკისრებათ ჯარიმა წლიური ბრუნვის 1 პროცენტამდე. ფიზიკური პირების შემთხვევაში კი ჯარიმა არ უნდა აღმატებოდეს ხუთასი ათას ლარს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ეკონომიკური აგენტები არ დაელოდებიან კონკურენციის ორგანოს დასკვნას შეტყობინებული კონცენტრაციის კონკურენტულ ბაზართან თავსებადობის შესახებ და განხორციელებულ კონცენტრაციას ან ისინი სააგენტოს უარყოფით დასკვნას არ მიიღებენ მხედველობაში და მოახდენენ კონცენტრაციას, დამრღვევ კომპანიებს შეიძლება დაეკისროთ წლიური ბრუნვის 2 პროცენტამდე ჯარიმა. ფიზიკური პირების შემთხვევაში ჯარიმა არ უნდა აღმატებოდეს ერთ მილიონ ლარს. გარდა ამისა, კონკურენციის ორგანოს უფლება აქვს კონცენტრაციის მხარეებს მოსთხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.¹⁴ ცვლილების პაკეტით ჯარიმის გათვალისწინება, ბუნებრივია, პროგრესული ნაბიჯია. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯარიმის ოდენობა ძალიან მცირეა. ევროკავშირში ასეთი სახის დარღვევებზე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ბრუნვის 10 პროცენტამდე ჯარიმა შეიძლება დაეკისროთ. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პროექტი ერთი წლის წინ შემუშავდა, თუმცა ჯერ არ მომხდარა მისი საპარლამენტო განხილვა.

ევროკავშირის შერწყმების რეგულაციის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტებს დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენციის ორგანოში შეტყობინების ვალდებულება მაშინ აქვთ, თუ მათი ერთობლივი წლიური ბრუნვა გარკვეულ ოდენობას აღემატება. საქართველოში გარდა კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი ბრუნვისა, მათი აქტივების ოდენობასაც ექცევა ყურადღება. კერძოდ, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-3 მუხლის მიხედვით შეტყობინების წინასწარი ვალდებულება მხოლოდ ორ შემთხვევაში არსებობს:

პირველი, საქართველოს ტერიტორიაზე კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს (ამასთან, თითოეული ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვა უნდა აღემატებოდეს 5 მილიონ ლარს);

მეორე, როდესაც შესაბამისი ეკონომიკური აგენტების აქტივების ჯამური ღირებულება საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 4 მილიონ ლარს.¹⁵

დაგეგმილი კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება იმისთვის არსებობს, რომ კონკურენციის ორგანომ შეაფასოს რამდენად თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან მოცემული კონცენტრაცია. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით, კონცენტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნებადართული, როდესაც ის არ ზღუდავს ეფექტიან კონცენტრაციას ბაზარზე. ევროკავშირის შერწყმების რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად კი მთავარია, რომ კონცენტრაციამ მნიშვნელოვნად

¹⁴ ცვლილებების პაკეტი სამწუხაროდ არ არის ატვირთული კონკურენციის სააგენტოს საიტზე.

¹⁵ კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი <http://competition.ge/ge/page2.php?m=141>

არ შეზღუდოს ეფექტური კონკურენცია ერთიან ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში. კომისიის აზრით, განსაკუთრებით ისეთი კონცენტრაცია იქნება ერთიან ბაზართან შეუსაბამო, რომელსაც შედეგად მოჰყვება დომინანტი პოზიციის შექმნა ან გაძლიერება. აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე, ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც დომინანტ პოზიციას ქმნიან ან აძლიერებენ, პირდაპირ შეიძლება აკრძალული იქნეს. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი. მოცემული პუნქტის ჩანაწერი შემდეგნაირია: „კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან“. როგორც ვხედავთ, კონცენტრაცია, რომელსაც დომინანტი პოზიციის შექმნა ან გაძლიერება მოჰყვება დასაშვებია, მთავარია არსებითად არ შეიზღუდოს კონკურენცია. მეტი სიცხადისათვის, 2016 წლის 26 დეკემბერს მივმართე კონკურენციის სააგენტოს იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება კანონიდან გამომდინარე კონცენტრაციის შეფასების ტესტი ევროკავშირში არსებულ ნორმას. სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის #02/2264 წერილით ირკვევა, რომ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „დისპოზიციის გათვალისწინებით, კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიჩნეული(ა) კონცენტრაცია, რომელიც მართალია იწვევს ეკონომიკური აგენტის დომინირებულ მდგომარეობას, თუმცა არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას“.

აქვე უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტიც, რომ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 1 მაისის #04/99 ბრძანებით დამკვიცბული სარეკომენდაციო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც ეკონომიკური აგენტების ძირითად ვალდებულებებს ეხება, არასწორ განმარტებას შეიცავს კონცენტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, „კანონით არ დაიშვება კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და იწვევს დომინირებულ მდგომარეობის მოპოვებას ან გაძლიერებას“.¹⁶

კონცენტრაციის ეფექტური რეგულირება კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საქართველოში ეკონომიკური აგენტების შერწყმების ეფექტური რეგულირება, რაც მოიცავს იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც კონცენტრაციაში მონაწილეობენ, დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენციის ორგანოებისათვის წინასწარ შეტყობინების ვალდებულების დაკისრებას და ამ ვალდებულების დარღვევისათვის შესაბამისი სანქციების დაწესებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეტყობინების შემდეგ, ეკონომიკური აგენტები დაელოდნონ სააგენტოს გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, დაემორჩილონ მას. საქართველოში შესაბამისი სანქციების არ არსებობა კონცენტრაციების ეფექტურ კონტროლს გამორიცხავს, რადგან ეკონომიკურ აგენტებს თავისუფლად შეუძლიათ შერწყმა-გაერთიანება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს შეტყობინების გარეშე განხორციელებული კონცენტრაციის ბათილად გამოცხადებას.

გარდა ამისა, ხარვეზია ასევე ისიც, რომ კანონიდან გამომდინარე შეუძლებელია ისეთი კონცენტრაციის პირდაპირი აკრძალვა, რომელიც დომინანტ პოზიციას ქმნის ან აძლიერებს. უმჯობესია ასეთი კონცენტრაციები პირდაპირ იქნეს აკრძალული, რადგან დომინანტობის მოპოვების შემდეგ სააგენტოს გაუჭირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბაზარზე კონკურენტული გარემოს შენარჩუნება და გაერთიანებული კომპანიის წინააღმდეგ რაიმე სერიოზული ღონისძიების განხორციელება.

¹⁶ <http://competition.ge/images/upload/>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება
3. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი
4. ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციის კონტროლის შესახებ ევროკავშირის რეგულაცია #139/2004
5. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი
6. საქმეები: COMP/M.4994, IV/M.258 და შპს „ნიკორა ტრეიდი“ და შპს „ნუგეში“ კონცენტრაცია
7. R. Whish & D. Bailey, Competition Law, 7th Ed., Oxford Uni., 2012.
8. *Jones A., Sufirin B.*, EU Competition Law Text, Cases, and Material, 4th ed., Oxford University Press, 2011

The Main Legislative Flaws in the Regulation of Concentration in Georgia

Solomon Menabdishvili

Doctor of Law

Director of Competition Law and Consumer Protection Center

Associate Professor of Caucasus University and Technologies

and Innovations University

smenabdishvili@gmail.com

R e s u m e

New Georgian Competition Laws have been adopted in 2012 and amended in 2014. It contains provisions on cartel, abuse of a dominant position, concentration, state aid, etc. Under the Association Agreement Georgia has undertaken the obligation to adopt comprehensive competition rules, inter alia effectively controlling mergers. This implies, first of all, correct definition of concentration. Secondly, the parties to the concentration should be obliged to notify in advance about their planned concentration to the competition authority; the implementation of concentrations should be suspended until a final decision of the competition agency is adopted and the parties should comply with the decision of the authority. Thirdly, if these conditions are ignored, the parties face serious fines. Georgian competition rules have some serious flaws in the context of effectively controlling mergers.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და სახელმწიფო შესყიდვები, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი

ნინო მიქიაშვილი

*ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
nino.mikiashvili@tsu.ge*

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვრავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ეროვნულ უსაფრთხოებასაც კი. შესაბამისად, ყოველი მთავრობა უნდა ცდილობდეს მინიმუმ კონკურენტუნარიანობის მიღწეული დონის შენარჩუნებას და ამასთანავე იმ რეზერვების ამოქმედებას, რომლებიც აღნიშნული დონის ამაღლებას შეუწყობენ ხელს. გლობალური განვითარების თანამედროვე ტენდენციები აშკარად მიანიშნებენ, რომ მხოლოდ მუდმივი, გეგმაზომიერი და ქმედითი ღონისძიებები თუ უზრუნველყოფენ ქვეყნის მდგრად და მზარდ განვითარებას. მსგავსი განვითარება განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნებისთვის, რომლებსაც რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბით საკუთარი ნიშის მოძიება-- დამკვიდრება, უკეთეს შემთხვევაში კი არსებული პოზიციების გამყარება--გაფართოება აქვთ მიზნად დასახული. გლობალიზაციის პროცესი დიდი ზომის ქვეყნებს უკეთეს სასტარტო პირობებს სთავაზობს. მათ გარკვეული სახის უპირატესობები (რესურსების, ბაზრის მოცულობა, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წევრობა, პოლიტიკური თუ სამხედრო გავლენა და მსგავსი) უმეტეს შემთხვევაში საერთაშორისო ასპარეზზე მთავარ „მოთამაშეებად“ აქცევთ და დანარჩენ ქვეყნებს აიძულებენ მათ „წესებს“ დაემორჩილონ. სწორედ ამიტომ მცირე ზომის ქვეყნებს მეტი ძალისხმევის გაწევა სჭირდებათ, რათა მათი ინტერესი რეგიონალურ თუ საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშგასაწევი გახდეს [9, გვ.65-70].

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას საქართველოს მაგალითზე განხილული და შესწავლილი იყოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ამაღლების საკითხები სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების მეშვეობით, ამასთან გამოვლინდეს ის თავისებურებები, რომლებიც ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მექანიზმის სრულყოფას შეუწყობენ ხელს.

მსოფლიო და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო მეტად იზრდება კონკურენტუნარიანობის შესწავლის ინტერესი. სხვადასხვა კვლევის შედეგებში ყურადღება გამახვილებულია კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებულ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: ეროვნული იდეოლოგია, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება კონკურენტუნარიანობის შესწავლის საქმეში, ინვესტიციების მიმზიდველობა და ა.შ. [5, გვ.4]. სწორედ ასეთ მიდგომას შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს ის მრავალფეროვნება, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო გვთავაზობს. მცირე ზომის ქვეყნებს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ ამ მიმართულებით. თუ ისინი შეძლებენ ტრადიციული და თანამედროვე (მოდერნიზებული) საქმიანობების (შეხედულებების) ორგანულ ერთიანობას, მაშინ მათი ეროვნული ინტერესი შედარებით უმტკივნეულოდ იქნება გაზიარებული პარტნიორების მიერ.

კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბოლო ათწლეულში უპირატესად ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას დაუკავშირდა [11, გვ.77-80]. შესაბამისად, თუ ქვეყანამ ვერ გამოიყენა ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, სამომავლოდ მრავალი სირთულე იჩენს თავს. აღსანიშ-

ნავია, რომ კონკურენტუნარიანობის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა [8], მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზება არც თუ ისე მარტივია, განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის პირობებში. ისეთი მაკროეკონომიკური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და საწარმოო ფაქტორების ეფექტიან გამოყენებას, უმეტესად დამოკიდებულია ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასა და მისი აღსრულების მექანიზმზე [10, გვ.485-489].

კონკურენტუნარიანობის კვლევის დროს სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატი. მათემატიკური მეცნიერება უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისთვის. ისინი ქმნიან მაღალეფექტიან, უნივერსალურ ტექნოლოგიებს [7, გვ.101]. ეს რესურსიც ასამოქმედებელია. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესწავლის პროცესში რაოდენობრივის გარდა შეიძლება ძირითად ფაქტორად თვისობრივი, არამატერიალური ფაქტორებიც განიხილებოდეს, კერძოდ, სოციალური ფაქტორები, კორუფციის დონე და სხვ. [3, გვ.87-102].

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად კონკურენტუნარიანობის ინდექსს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ითვლის. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებია, სადაც ყოველწლიურად გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსს (GCI) აქვეყნებენ 12 ფაქტორის გათვალისწინებით (ინსტიტუციები, როგორც კერძო, ასევე საჯარო; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური გარემო; ჯანდაცვა და დაწესებულებების განათლება; უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება; საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა; შრომის ბაზრის ეფექტიანობა; ფინანსური ბაზრის განვითარების დონე; ტექნოლოგიური მზაობა; ბაზრის სიდიდე; ბიზნესის განვითარების დონე; ინოვაციები) [13]. მაკროეკონომიკური გარემოს შესწავლისას გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ითვალისწინებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი, მთლიანი ეროვნული დანაზოგი, ინფლაცია, სახელმწიფო ვალი და ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი.

მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ ბოლო ანგარიშში [13] საქართველომ 4,2 ქულით (უმაღლესი შეფასება 7 ქულა) დაიკავა 69-ე ადგილი 144 ქვეყანას შორის. საქართველო ფორუმის ანგარიშებში გვხვდება 2004 წლიდან. ბოლო 11 წლის განმავლობაში პროგრესი სახეზეა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ქვეყანა კონკურენტებს ძირითადად კონკურენტციას იაფი სამუშაო ძალითა და ბუნებრივი რესურსებით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით საქართველო იმყოფება განვითარების იმ სტადიაზე, სადაც ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ბუნებრივ ფაქტორებზე და გარე ფინანსურ რესურსებზე.

სახელმწიფო შესყიდვებში ქართული ნაწარმის შესყიდვების სტიმულირებას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. იმპორტულ საქონელში დახარჯვასა და ადგილობრივი წარმოების საქონელში დახარჯვას განსხვავებული გავლენა აქვს ქვეყანაში სიმდიდრის დაგროვებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუ სახელმწიფო შესყიდვები განიხილება, როგორც ინვესტიცია, მისი რეგულირებით ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებაც ლოგიკური იქნება. სასურველია გამოვლინდეს ის გამოუყენებელი შესაძლებლობები სახელმწიფო შესყიდვების მხრივ, რომლებმაც შეიძლება მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას შეუწყოს ხელი.

სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა ხელს უწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას. 2011 წლიდან სახელმწიფო შესყიდვები გადავიდა ელექტრონული შესყიდვების განხორციელების რეჟიმში, ხოლო 2012 წლიდან აისახება გამარტივებული (ტენდერის გარეშე) შესყიდვები. 2011 წლამდე შემსყიდველი ორგანიზაციები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ე.წ. მყარი ასლების სახით.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობამ 4018 მლნ.ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით მთლიანი შიგა პროდუქტის (33921,6 მლნ.ლარი მიმდინარე ფასებში) 11,84%-ს შეადგენს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით ტენდერებზე განაწილებული შესყიდვის ობიექტების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საქონელი 13035 (49%), მომსახურება 7215 (27%), სამშენებლო მასალები 6581 (24%). ეს მონაცემები არ მოიცავს GEO და DEP ტენდერებს, ასევე „ვაჭრობას პრეისკურანტით“ [16, გვ.13]. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დიდი წილი აქვს გამარტივებულ (ტენდერის გარეშე) შესყიდვებს. მაგალითად, 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიშის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვები დაახლოებით 1500 მლნ.ლარია, რაც მთლიანი შესყიდვების 37%-ია, ანუ ეს თანხა ღია კონკურენციული ტენდერების გარეშე დაიხარჯა. უფრო მეტიც, გამარტივებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებში იზრდება კიდევ. კერძოდ, ეს მაჩვენებელი 2014 წელს იყო 32%, 2015 წელს 34% [17]. რამდენად აუცილებელია, ტენდერების გარეშე შესყიდვების განხორციელება, ეს ცალკე საკვლევე საკითხია.

თავის მხრივ, ეკონომიკის ზრდას სახელმწიფო შესყიდვებზე გაწეული თანხების ზრდა მოსდევს, რაც გარკვეულწილად, ლოგიკურია. მაგალითად, 2015 წელს სახელმწიფო შესყიდვები დაახლოებით 3,2 მლრ.ლარი იყო, 2016 წელს კი 800 მლნ. ლარით გაიზარდა. დასახულებული და საინტერესოა, სახელმწიფო ტენდერების შემდეგ რამდენი თანხა რჩება ქვეყანის შიგნით (უფრო მეტიც, ქართული კაპიტალით ან/და მისი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში) და რამდენი გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მითუმეტეს, სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულია 68 ქვეყნის 1123 არარეზიდენტი პირი. აქედან, ყველაზე მეტი მოდის უკრაინასა (222) და თურქეთზე (133). რეზიდენტი პირების რაოდენობა კი 29581-ია. თუმცა ამ შემთხვევაში რეზიდენტობა თავისთავად არ გულისხმობს ადგილობრივ წარმოებას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით, საქონლის შესყიდვების 65% (რაშიც არ შედის ნავთობი) იმპორტირებულია, 35% კი ადგილობრივი წარმოებისაა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შესყიდული მომსახურება და სამშენებლო სამუშაოები (საერთო შესყიდვების 51%), თუმცა მხოლოდ საქონლის შესყიდვებთან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები გაედინება საზღვარგარეთ. შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკის გასაძლიერებლად უპრიანია გადინებული თანხის შემცირების მიზნით კოორდინირებული სამუშაოების ჩატარება. ცხადია, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა კვლევა, რამდენად შეუძლია მიმდინარე პერიოდში, ან სამომავლოდ რა პერსპექტივები გააჩნია ამა თუ იმ დარგს, შეუფერხებლად აწარმოოს და მიაწოდოს სახელმწიფოს შესყიდვებით განსაზღვრული პროდუქცია.

საინტერესო და გასათვალისწინებელი უცხოური გამოცდილება. ევროკავშირის ქვეყნებში, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე, სახელმწიფო შესყიდვები დახურული იყო სხვა სახელმწიფოებისთვის, თუმცა ევროინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად, წევრ-სახელმწიფოებს თანამშრომლობის მეტი შანსი მიეცათ. მიუხედავად ამისა, იმპორტის წილი ევროკავშირის სახელმწიფო ტენდერებში 7%-ს არ აჭარბებს [12]. რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე იმპორტის წილი საწარმოო სექტორში (იმპორტის წილი კერძო სექტორში) ასე ნაწილდება: რუმინეთი 18% (19%), ირლანდია 9,4% (27%), გერმანია 6,5% (17%), ევროკავშირი 7,5% (19%), ჩინეთი 6,1% (10,2%), იაპონია 4,7% (7,1%), აშშ 4,6% (7,5%) [4, გვ.14]. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ დაბალია საჯარო სექტორში იმპორტის წილი, რაც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას უდაოდ გასათვალისწინებელი ფაქტია.

მნიშვნელოვანია გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) კვლევებისა და გამოცდილების გაზიარება სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში. იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სახელმწიფო შესყიდვებს, რადგან ამ გზით შესაძლებელია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, რაც თავის მხრივ გაზრდის დასაქმებას, შეამცირებს სოციალურ დაძაბულობას და ა.შ. საქართველოს „კანონით შესყიდვების

შესახებ“ [1] არ გულისხმობს უპირატესობებს ადგილობრივი მეწარმეებისათვის. გარდამავალი პერიოდი, რომელიც გონივრული ვადით განისაზღვრება, ადგილობრივ წარმოებას პოზიციებს გაუმყარებს, შემდეგ კი კონკურენცია წინსვლისა და განახლების საშუალებას მისცემს. სასურველია საბიუჯეტო სახსრები ადგილობრივი წარმოების მხარდასაჭერად იყოს მიმართული თანაბარი ხარისხისა და მოცულობის მიწოდების შემთხვევაში მაინც.

გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვების მართვის კუთხით. კერძოდ, ადგილობრივი მეწარმეებისა და/ან ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა. მაგალითად, საკმაოდ ცნობილია ისეთი რეგულაციები, როგორებიცაა: „The buy American act“ [6] და „Buy American provisions“ [2]. „The buy American act“ აშშ-ში მოქმედებს 1933 წლიდან და საფასო უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ მეწარმეებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, როგორც ნედლეულზე, ასევე იმ ფირმების სამრეწველო პროდუქციაზე, რომელთა 50% ადგილობრივი წარმოებისაა და მწარმოებელიც ამერიკული ფირმაა. „Buy American provisions“ კი არეგულირებს შესყიდვებს სატრანსპორტო სფეროში იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვები აღემატება 100 ათას \$-ს. მსგავსი პოლიტიკაა აეროპორტებთან მიმართებაში („Airport and Airways Facilities Improvement Act“). იგი უპირატესობას ანიჭებს 60%-იან ადგილობრივი წარმოების სამრეწველო პროდუქციას, რომელიც საბოლოოდ აწყობილია აშშ-ს ტერიტორიაზე.

საერთაშორისო პრაქტიკა რიგ შემთხვევებში მართალია საშუალებას აძლევს უცხოურ ფირმებს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადებულ ტენდერებში, მაგრამ უპირატესობას ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლებს (და/ან ამ წარმოებული პროდუქციისთვის საჭირო ნედლეული ადგილობრივი წარმოებისაა) ანიჭებს. პრაქტიკაშია ასევე „შემხვედრი ვაჭრობის ხელშეკრულებები“, როცა სახელმწიფო შესყიდვებზე უფლების ნაცვლად უცხოურ ფირმებს ავალდებულებს სხვადასხვა სახის სარგებლის (ტექნოლოგია, მენეჯერული მომსახურება, ინვესტიცია, დაკრედიტება, წარმოების ლიცენზია თუ ერთობლივი წარმოება) ადგილობრივ მეწარმეებზე გადაცემას [15], რაც ფაქტიურად საერთაშორისო გამოცდილების, უახლესი ტექნოლოგიის, ცოდნის „„+““ იქნება და კაპიტალზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის. მაგალითად, თურქეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვებში 15%-მდე საფასო შეღავათს ადგილობრივ ფირმებს ანიჭებს [15]. სხვადასხვა შეღავათებია ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ისრაელში, იაპონიაში. სტიმულირების, შეღავათების მეთოდები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დარგის გასავითარებლად. მთურქეთი ასევე იყენებს „კომპენსირების ვალდებულებას“, რაც გულისხმობს ტენდერებში გამარჯვებული უცხოური ფირმების მიერ ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემას ადგილობრივ მეწარმეებზე, განსაკუთრებით სამხედრო შესყიდვების დროს.

ამგვარად, სასურველია ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდული კორექტირება და ახალი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის კუთხითაც. ასევე უცხოური გამოცდილების კრიტიკულად გააზრება სამრეწველო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების კოორდინირებული ქმედებისთვის.

ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად ხორციელდება ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პროგრამები („აწარმოე საქართველოში“, „აგროკრედიტი“, საპარტნიორო ფონდის მიერ ინვესტირებული მიმართულებები და ა.შ.). მიუხედავად ამისა, სტრუქტურული ტრანსფორმაციის მხრივ ქვეყანა ნელა ვითარდება. საქართველოს აქვს შესაძლებლობა სახელმწიფო შესყიდვებისთვის გამოყოფილი 4 მლრდ-იანი რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართოს ქართულ ეკონომიკაში და ამით გააძლიეროს ადგილობრივი წარმოება, თან დააწესოს გარკვეული რეგულაციები მსხვილი ცოდნის, ინვესტიციების თუ ტექნოლოგიების გაცლის მიზნით.

მნიშვნელოვანი დასკვნების ჩამოყალიბების საშუალება მოგვცემს დარგობრივ ჭრილში გაწეული დანახარჯების ოდენობის დაკონკრეტება, ასევე თანხის რა ნაწილი მიიღეს უცხოურმა ფირმებმა და რა ნაწილი ქართულმა, ან/ ერთობლივმა ფირმებმა. აქცენტი უნდა იყოს ქართულ, საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე და არა უცხოური საქონლის შემომტან ქართულ ფირმებზე. მიზანშეწონილია საქართველოს საჯარო უწყებების წახალისება, ქართული ნაწარმით მოამარაგონ დაქვემდებარებული დაწესებულებები. მითუმეტეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მსგავსი გამოცდილება აქვს.

შესამუშავებელია ადგილობრივი სტანდარტები და რეგულაციები, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში უცხოური ფირმების შემოსვლას გარკვეულწილად შეზღუდავენ. ფაქტიურად ყველა ქვეყანას ბაზრის დაცვის ინდივიდუალური მექანიზმები აქვს. რაც შეეხება სახელმწიფო ფულს, რაციონალურია რომ იგი მაქსიმალურად დაიხარჯოს დოვლათის შექმნასა და სამამულო პროდუქციის შესაქმნელად.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავრობას და განსაკუთრებით კი მის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებაზე და შესაბამისად მისი კონკურენტუნარიანობის მსოფლიო მასშტაბით ამაღლებაზე.

შემდგომ კვლევებში მნიშვნელოვანი უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების განხილვა განვითარებული ეკონომიკისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შედარების საფუძველზე. რამდენად არის იმის პერსპექტივა, რომ 21-ე საუკუნის შუა პერიოდში განვითარებადი ეკონომიკა რამდენიმე ათწლეულში განვითარებულ ეკონომიკად გარდაიქმნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. (2005).
http://procurement.gov.ge/files/_data/geo/samartleblivi_aqtebi/saqartvelos_kanoni_saxelmwifo_shesyidvebis_shesaxe.pdf
2. Buy American vs Buy America: What a Difference an 'n' Makes. (2016). *Risk and Compliance Magazine. Jan-Mar*. Retrieved from: <https://riskandcompliancemagazine.com/buy-american-vs-buy-america-what-a-difference-an-n-makes>
3. Csath, Magdolna. (2007). The Competitiveness of Economies. Different Views and Arguments. *Society and Economy 29*.
4. Commission Staff Working Paper: Evaluation Report Impact and Effectiveness of EU Public Procurement Legislation. Part 1. SEC (2011) 853 final. 27 June.
5. Lodge, George C. , Vogel, Ezra F. (1987). Ideology and National Competitiveness: An Analysis of Nine Countries. Boston. Harvard Business School Press. Retrieved from:
http://books.google.ge/books?id=9upmTBrF87EC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false
6. Manuel K.M. (2016). The Buy American Act. Preferences for “Domestic” Supplies: In Bried. Legislative Attorney. April 26. Congressional Research Service. Retrieved from: www.crs.gov;
<https://fas.org/sgp/crs/misc/R43140.pdf>
7. Mathematical Sciences, Technology, and Economic Competitiveness (1991), National Academy Press, Washington, D.C.
8. McConnell C.R., Brue S., Flynn S.M.. Economics: Principles, Problems, and Policies. New York: McGraw-Hill/Irwin. 2012.

9. Mikiashvili, N., Giorgobiani, M. (2015). Competitiveness of a country and some peculiarities of improving it on the example of a small open economy. 15th International Conference at Brno University of Technology, Faculty of Business and Management, Perspectives of Business and Entrepreneurship Development May 28-29, Brno, Czech Republic. <http://konference.fbm.vutbr.cz/ic/proceeding-papers.html>, p.65-71
10. Mikiashvili N., Chokheli E. The Ways for the Improvement of Competitive Environment and Some Directions of Antimonopoly Regulation (Example of Georgia). *Economics and Management*: 2013. 18 (3) ISSN 2029-9338. Retrieved from: <http://ecomanager.ktu.lt/index.php/Ekv/article/view/3872/3029>
11. New York's Nanotechnology Model: Building the Innovation Economy: Summary of a Symposium. (2013). National Research Council. The National Academies Press. Washington, D.C. www.nap.edu
12. Woolcock St. (2012). Public Procurement in International Trade. European Union. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/JOIN/2012/457123/EXPO-INTA_ET\(2012\)457123_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/JOIN/2012/457123/EXPO-INTA_ET(2012)457123_EN.pdf)
13. World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2014–2015. New York: Oxford University Press for World Economic Forum. Retrieved from: <http://www.weforum.org/>
<http://www3.weforum.org/docs/GCR2014-15/Georgia.pdf>. <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015>
14. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია <https://stat.unido.org/>
15. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის 2013 წლის ძირითადი ანგარიში. (2013). https://www.unido.org/fileadmin/user_media/Research_and_Statistics/UNIDO_IDR_2013_main_report.pdf
16. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის ანგარიში. (2017). http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/Angarishi_2016_geo_web.pdf.aspx
17. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. <http://procurement.gov.ge>

Competitiveness of the Country and Public Procurement as a Tool for Competitive Management

Nino Mikiashvili

PhD of Economics,

Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University

nino.mikiashvili@tsu.ge

R e s u m e

The competitiveness of a country determines a range of issues of a vital importance, which concern even the economic or national security of the country. Consequently, every government must try to maintain the existing degree of competitiveness and activate the reserves, which will help improve the said level. In order to improve competitiveness, a complex of economic reforms must be developed stimulating and creating the preconditions for public procurement. In this respect, the critical analysis of the opportunities to use the mechanisms approved in the developed economies must be a priority.

Stimulating purchases of Georgian products in public procurement can play an important role in the economic development of the country. Expenditures on foreign goods and expenditures on local goods have a different effect on the accumulation of wealth and the economic growth of the country.

კონცენტრაციის რეგულირების ცალკეული საკითხები საქართველოსა და ევროკავშირში

სოფიო მომცელიძე

სამართლის მაგისტრი,

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

Smomtselidze@competition.ge

კონცენტრაციების კონტროლი კონკურენციის კანონმდებლობის რეგულირების ერთ-ერთ მთავარ ობიექტს და ამ კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყების მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით დასტურდება, რომ კონცენტრაცია, თავისი არსით, სულაც არ არის კონკურენციის საწინააღმდეგო მოვლენა და მათი უმეტესობა არ ვნებს ჯანსაღ კონკურენციას. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, კონცენტრაცია ფასების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების ზრდის საშუალებას იძლევა¹. თუმცა, არსებობს რისკი იმისა, რომ კონცენტრაციის შედეგად, მოხდება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ერთი პირის ხელში თავმოყრა, რომელმაც, შესაძლოა, ეს ძალაუფლება კონკურენტებისა და მომხმარებლების საზიანოდ გამოიყენოს.

ათწლეულების წინ, სწორედ ამ რისკის პრევენციისთვის შემოიღო ევროკავშირის კანონმდებლობამ, დაგეგმილი კონცენტრაციების წინასწარი კონტროლის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, კონკურენციის უწყებების ჩარევა და კონცენტრაციის აკრძალვა საჭირო ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა მოსალოდნელი ანტიკონკურენტული ეფექტი².

დაგეგმილი კონცენტრაციების წინასწარი კონტროლის მექანიზმს, ევროკავშირის კანონმდებლობის მსგავსად, ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობაც. თუმცა, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რამდენად სრულყოფილია ეს რეგულირება და თანხვედრაშია თუ არა იგი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან; რამდენად აქვს შესაბამის სახელმწიფო უწყებას საშუალება, დაიცვას ბალანსი, მეწარმე სუბიექტების ქცევის თავისუფლებასა და აუცილებელ შემთხვევაში, ამ ქცევის შეზღუდვით გამოწვეულ სიკეთეებს შორის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ აღნიშნული პრობლემატიკის წარმოჩენა და მისი გადაჭრის ოპტიმალურ გზებზე მსჯელობა წარმოადგენს.

კონცენტრაციების კონტროლი საქართველოსა და ევროკავშირში - ცალკეული საკითხების შედარებითი ანალიზი

კონცენტრაციის ცნება კონკურენციის კანონმდებლობაში პირველად შემოღებულ იქნა 2012 წელს, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც ადგენდა რეგულირების მინიმალურ სტანდარტს კონცენტრაციებთან მიმართებით.

ხსენებული კანონი განმარტავდა კონცენტრაციის ცნებას³, როგორც:

¹ ICN Recommended Practices for Merger Analysis, The Legal Framework for Competition Merger Analysis, page 1, comment 2, ხელმისაწვდომია: <http://www.internationalcompetitionnetwork.org/uploads/library/doc316.pdf>

² იქვე, page 2, comment 5

³ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ 2012 წლის 8 მაისის საქართველოს კანონი, მუხლი 11, პუნქტი 1

ა) ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმას, რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი უერთდება მეორეს ან ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტი ერთიანდება ერთ ეკონომიკურ აგენტად;

ბ) შემთხვევას, როდესაც პირი, რომელიც აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს, გარიგების საფუძველზე მოიპოვებს სხვა ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს.

კანონი ასევე ადგენდა, რომ კონცენტრაცია არ იკრძალება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი იწვევს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას და ხდება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება⁴. თუმცა, იგი არ ითვალისწინებდა სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს იმ შემთხვევებზე, როდესაც ეკონომიკური აგენტი, კონცენტრაციის შედეგად, მოიპოვებდა შესაბამის ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას. კანონმდებლობა ადგენდა, რომ ასეთ ეკონომიკურ აგენტს „შეუძლია სააგენტოს წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება დაგეგმილი ან არსებული კონცენტრაციის შესახებ“⁵ ამდენად, კონკურენციის ორგანოში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენა ატარებდა ნებაყოფლობით, და არა სავალდებულო ხასიათს.

კონცენტრაციების რეგულირების მექანიზმი მნიშვნელოვნად დაიხვეწა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2014 წლის 21 მარტის საქართველოს კანონით, რომლის მიხედვითაც, ასევე შეიცვალა კანონის სათაური და მას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ეწოდა.

რედაქტირებულმა კანონმა შემოიღო კონცენტრაციის და კონტროლის მოპოვების ახალი ცნებები, ასევე, კანონის მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად განიმარტა, თუ რომელი კონცენტრაციაა თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან⁶ და რომელი კონცენტრაციაა დაუშვებელი⁷.

კანონის 11¹ მუხლის თანახმად, განისაზღვრა, რომ კონკურენციის სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტის/აგენტების როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი აქტივების ღირებულება ან წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიო⁸ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

კონცენტრაციის შეტყობინების სააგენტოს მიერ განხილვისათვის, კანონმდებლობამ დაადგინა 1 თვიანი ვადა, რომელიც, საქმის სირთულიდან გამომდინარე, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირისა. ასევე აღსანიშნავია, რომ დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება⁹, ხოლო სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია¹⁰.

⁴ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ 2012 წლის 8 მაისის საქართველოს კანონი, მუხლი 11, პუნქტი 3

⁵ იქვე, მუხლი 11, პუნქტი 6

⁶ კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან.

⁷ კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, დაუშვებელია.

⁸ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით დამტკიცებული „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“, მუხლი 3

⁹ „კონკურენციის შესახებ“ 2014 წლის 21 მარტის №2159 საქართველოს კანონი, მუხლი 11¹, პუნქტი 3

¹⁰ იქვე, მუხლი 11, პუნქტი 6

ხსენებული ნორმების ანალიზის შედეგად, აშკარაა, რომ კონკურენციის კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კონცენტრაციების რეგულირება მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გაიზარდა კონკურენციის უწყების როლი ამ მიმართულებით. კერძოდ, განსაზღვრულ შემთხვევებში, ეკონომიკურ აგენტებს წარმოეშვათ „ვალდებულება“, ნაცვლად წინა კანონით არსებული „შესაძლებლობისა“, რომ სააგენტოს წარუდგინონ წინასწარი შეტყობინება კონცენტრაციის თაობაზე და კანონმა იმპერატიულად მიუთითა, რომ სააგენტოს უარის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კონცენტრაციის რეგისტრაცია არ უნდა დაუშვას.

თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ კანონმდებლობაში გარკვეული ნორმების დახვეწის და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიუხედავად, კვლავ რჩება მთელი რიგი საკითხები, რაც კონკურენციის უწყებას არ აძლევს საშუალებას, ეფექტური რეაგირება მოახდინოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვაზე და გამოიყენოს შესაბამისი ზომები, ამ მოთხოვნათა დამრღვევი მეწარმე სუბიექტების მიმართ.

კერძოდ, კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სანქციას ან რეაგირების სხვა მექანიზმს იმ შემთხვევებზე, როდესაც შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაცია განხორციელდება სააგენტოს ნებართვის გარეშე. ცხადია, რომ ამგვარი, არასრული სამართლებრივი რეგულირება იძლევა კანონმდებლობის მოთხოვნების გვერდის ავლის საშუალებას.

აღნიშნული რეგულირების არასრულყოფილებაზე უთითებს თავად კონკურენციის სააგენტოც, მისი თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N27 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, რომლითაც დადგინდა შპს „ნიკორა ტრეიდსა“ და შპს „ნუგემს“ შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11¹ მუხლების დარღვევის ფაქტი, სააგენტოს გვერდის ავლით კონცენტრაციის განხორციელების გამო.

როგორც კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, „კონკურენციის სააგენტოს, დარღვევის დადგენის მიუხედავად, სამწუხაროდ, არ აქვს მსგავს შემთხვევებზე რეაგირების ეფექტიანი და თანაზომადი სამართლებრივი ბერკეტი (ადმინისტრაციული სანქციის ან სხვა ფორმით), რომელსაც იგი გამოიყენებდა სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციების გამოვლენის შემთხვევაში, რაც საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს. აღნიშნული რეაგირების მექანიზმის არარსებობა საგრძნობლად აფერხებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დეკლარირებული მიზნების აღსრულების პროცესს, რითაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს ქვეყანაში კონკურენტული გარემოს არსებობას“.¹¹

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციის კანონმდებლობა, უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებს სანქციას, კონკურენციის ორგანოს გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციებზე და ხსენებული სანქციის ოდენობა საკმაოდ სოლიდურია.

მაგალითად, „კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ პოლონეთის აქტის მიხედვით, სავალდებულოა შესაბამისი უწყებისათვის კონცენტრაციის განზრახვის წინასწარი შეტყობინება. ამ ვალდებულების დარღვევა კი იწვევს ჯარიმას, არაუმეტეს მეწარმე სუბიექტის წინა წლის ბრუნვის 10%-ის ოდენობით¹².

პოლონეთის კონკურენციის უწყების გადაწყვეტილებით, 2007 წელს კონცენტრაციის შეტყობინების წარუდგენლობის გამო, კომპანია Sobieski Trade 40,000 პოლონური ზლოტით დაჯარიმ-

¹¹ <http://competition.ge/ge/page5.php?sb=371>

¹² Act of 16 February 2007, on Competition and Consumer Protection, article 106, ხელმისაწვდომია: https://www.uokik.gov.pl/competition_protection.php

და. 2009 წელს, იმავე ტიპის დარღვევისთვის, Porty Lotnicze-ს დაეკისრა სანქცია 70,000 ზლოტის ოდენობით. მსგავსი ჯარიმების გამოყენებას ადგილი ჰქონდა 2012-2013 წლებში¹³.

საფრანგეთის კონკურენციის კანონმდებლობა, კონცენტრაციის შეტყობინების წარუდგენლობისათვის ითვალისწინებს სანქციას: იურიდიული პირებისთვის - წინა ფინანსური წლის ბრუნვის 5%-მდე, ხოლო ფიზიკური პირებისთვის - 1,5 მილიონ ევრომდე ოდენობით. სანქციის დადგენისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, ინფორმაციის შეუტყობინებლობა მოხდა განზრახ თუ დაუდევრობით¹⁴.

კონცენტრაციის შეუტყობინებლობა ასევე მნიშვნელოვანი კანონდარღვევაა ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად და ევროპის საბჭოს No139/2004 რეგულაციით დაწესებული სანქციაც მაღალია - ეკონომიკური აგენტის წინა წლის ბრუნვის 10%-მდე ოდენობით¹⁵.

2014 წელს ევროკომისიამ კომპანია Marine Harvest-ს დააკისრა ჯარიმა 20 მილიონი ევროს ოდენობით, რადგან ამ საწარმომ, Morpol-ზე მოიპოვა დე ფაქტო კონტროლი, კომისიისთვის შეტყობინებამდე¹⁶. 2009 წელს, ასევე 20 მილიონი ევროთი დაჯარიმდა კომპანია Electrabel, რომელმაც შეტყობინების გარეშე შეიძინა Compagnie National du Rhone¹⁷. მეწარმე სუბიექტებმა დაკისრებული სანქციები გაასაჩივრეს როგორც ევროკავშირის გენერალურ სასამართლოში (General Court), ასევე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში (European Court of Justice), თუმცა ევროკომისიის გადაწყვეტილება ორივე ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა.

ამკარაა, რომ ევროპის მოწინავე ქვეყნების მსგავსად, ქართულ კანონმდებლობაშიც უნდა აისახოს კონცენტრაციების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რომელთა შორისაც, ერთ-ერთი უმთავრესია - სანქციის დაკისრების შესაძლებლობა სააგენტოს გვერდის ავლით კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევებზე. სავარაუდოდ, სწორედ ამ მექანიზმის არარსებობა უნდა მივიჩნიოთ, კონკურენციის სააგენტოში წარდგენილი კონცენტრაციის შეტყობინებების ძალზე მცირე რაოდენობის მიზეზად (2015-2016 წლებში - 3-3 შეტყობინება¹⁸). აღნიშნული რეგულირება არ წარმოადგენს მხოლოდ სადამსჯელო მექანიზმს, არამედ მისი შემოღებით შეიქმნება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევათა პრევენციის საუკეთესო საშუალება.

კიდევ ერთი მიზეზი, რაც, მნიშვნელოვნად აფერხებს დაგეგმილი კონცენტრაციების ეფექტიან კონტროლს და ბაზარზე მისი მოსალოდნელი გავლენის სრულყოფილად შეფასების პროცესს, არის კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის ძალზე მცირე ვადა. კონკურენციის სააგენტოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კვითხულობთ: „ამკარაა, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული 1 თვიანი ვადა, ვადის დინების შეჩერების ყოველგვარი საფუძვლის არსებობის გარეშე, არ არის საკმარისი სააგენტოს მიერ შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარების სრულყოფილად შესასწავლად და დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესაფასებლად. გარდა ამისა, ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს

¹³ <https://gettingthedealthrough.com/area/20/jurisdiction/39/merger-control-poland/>

¹⁴ Code de commerce - Article L430-8 (French Commercial Code); ხელმისაწვდომია: https://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do;jsessionid=2DE1BA3DA92597ECF5C4FB5AD1A6AF06.tpdj_o03v_2?idArticle=LEGIARTI000019295186&cidTexte=LEGITEXT000005634379&dateTexte=20090210

¹⁵ Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings, article 14.2; ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32004R0139>

¹⁶ http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-862_en.htm

¹⁷ http://europa.eu/rapid/press-release_IP-09-895_en.htm

¹⁸ კონკურენციის სააგენტოს 2015 და 2016 წლის ანგარიშები, ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>

კანონის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ითვლება.¹⁹

განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან, ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციის კანონმდებლობა ითვალისწინებს გაცილებით მოქნილ ვადებს კონცენტრაციის შეტყობინების შესწავლისათვის. ასევე, უმეტეს იურისდიქციებში, შემოღებულია კონცენტრაციების განხილვის 2 ეტაპიანი სისტემა, რაც კონკურენციის სფეროში მოქმედი უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციის - კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენს. ICN-ის მიერ გამოცემულ კონცენტრაციების ანალიზის სარეკომენდაციო დოკუმენტში მითითებულია, რომ ანალიზის პროცესში, კონკურენციის უწყებებმა უნდა უზრუნველყონ წარმოდგენილი შეტყობინებების დიფერენცირება. კერძოდ, კონცენტრაციები, რომლებმაც, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ანტიკონკურენტული ეფექტი, უნდა გაიმიჯნოს იმ კონცენტრაციებისგან, რომლებიც, პოტენციურად, საფრთხეს შეუქმნიან კონკურენციას და საჭიროებენ დეტალურ შესწავლას. ეს ხელს შეუწყობს შესაბამის უწყებათა რესურსების ეფექტიან გამოყენებას და კრიტიკული სამართლებრივი და ეკონომიკური საკითხების სიღრმისეულ ანალიზს.²⁰

ამ რეკომენდაციისა და ზოგადად, მრავალწლიანი პრაქტიკის საფუძველზე, ევროკავშირის ბევრ ქვეყანას დადგენილი აქვს კონცენტრაციების განხილვის 2 ეტაპიანი სისტემა: შედარებით მარტივი კონცენტრაციების განხილვა I ეტაპზევე სრულდება, ხოლო II ეტაპზე გადადის კონცენტრაციის ის შეტყობინება, რომელიც სიღრმისეულ ანალიზსა და კვლევას საჭიროებს.

მაგალითად, გერმანიის კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით, პირველი ფაზა ერთ თვიანია, ხოლო მეორე ფაზაში გადასული კონცენტრაციის შეტყობინების განხილვისათვის დადგენილია - 4 თვე. მხარეთა თანხმობით, შესაძლებელია 4-თვიანი პერიოდის გაგრძელებაც.²¹

მსგავსი რეგულირება დადგენილი პოლონეთის, ჩეხეთის, საფრანგეთის და ევროკავშირის სხვა ქვეყნების კანონმდებლობითაც. მაგალითად, საფრანგეთში კონკურენციის უწყებას შეუძლია მარტივ კონცენტრაციებზე 25 სამუშაო დღის ვადაში გასცეს თანხმობა, ხოლო მეორე ფაზა შესაძლებელია გაგრძელდეს 65 სამუშაო დღე.²²

დამატებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ითვალისწინებს ვადის დინების შეჩერებას, თუკი ერთ-ერთი განმცხადებლის ბრალით, კომისიამ ვერ მიიღო სრულყოფილი ინფორმაცია და მოუხდა მის მოსაპოვებლად კითხვარების გაგზავნა ან ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმება.²³

დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ დააფიქსირა სწრაფვა თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის განსავითარებლად და აიღო ვალდებულება, შემოეღო ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, უზრუნველყოფს „შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნე-

¹⁹ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 7 მარტის N32 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.15

²⁰ ICN Recommended Practices for Merger Analysis, The Legal Framework for Competition Merger Analysis, page 1, comment 3, ხელმისაწვდომია: <http://www.internationalcompetitionnetwork.org/uploads/library/doc316.pdf>

²¹ http://www.bundeskartellamt.de/EN/Mergercontrol/Notifiedmergerprojects/Notifiedmergerprojects_node.html

²² http://www.autoritedelaconurrence.fr/user/standard.php?lang=en&id_rub=535&id_article=2195

²³ Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings, article 10.4; ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32004R0139>

ლოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით²⁴.

2014 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდგომ, კონკურენციის კანონმდებლობა, პრინციპების დონეზე, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროკავშირის რეგულაციებთან. თუმცა, მაინც რჩება ცალკეული საკითხები - ადმინისტრირების ეფექტიანი მექანიზმების თუ მოქნილი პროცედურების სახით, რაც, საჭიროებს გაუმჯობესებას.

აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს, რომ კონკურენციის კანონმდებლობა, ისევე როგორც მისი აღმასრულებელი უწყების ფუნქციონირება, გახდეს მეტად ეფექტიანი და ქვეყანაში სრულად იქნეს უზრუნველყოფილი თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“, <https://matsne.ov.ge/ka/document/view/2496959>
2. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
3. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523208>
4. Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32004R0139>
5. Act of 16 February 2007, on Competition and Consumer Protection, https://www.uokik.gov.pl/competition_protection.php
6. Code de commerce (French Commercial Code); https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=8EA67DE686D516E2BFAC3EF83E929720.tplgfr34s_3?cidTexte=LEGITEXT000005634379&dateTexte=20090210
7. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება;
8. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 7 მარტის N32 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
9. <http://competition.ge>
10. ICN Recommended Practices for Merger Analysis, <http://www.internationalcompetitionnetwork.org/uploads/library/doc316.pdf>
11. http://www.bundeskartellamt.de/EN/Home/home_node.html
12. <http://europa.eu/rapid/search.htm>
13. <http://www.autoritedelaconurrence.fr>
14. <http://eur-lex.europa.eu/homepage.html>
15. <https://gettingthedealthrough.com/area/20/jurisdiction>

²⁴ „ასოცირების შესახებ შეთანხმება - ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“, კარი IV, თავი X, მუხლი 204, ხელმისაწვდომია: [http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)); ქართული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>

Some Aspects of Merger Control in Georgia and the EU

Sophio Momtselidze

Master of Law

Head of Legal Department,

Competition Agency of Georgia

Smomtselidze@competition.ge

R e s u m e

Merger control is one of the main object of competition regulation and important mission of competition enforcement authorities. The best international practice shows, that most mergers do not harm competition. Many mergers enable the merged firm to reduce costs and become more efficient, leading to lower prices, higher quality products, or increased investments in innovation. Some mergers, however, may harm competition by creating or enhancing the merged firm's ability or incentives to abuse market power. Competition authorities should only intervene to prohibit or remedy a merger when it is necessary to prevent anticompetitive effects that may be caused by that merger.

Georgian Competition Legislation includes regulations on merger control, but it is important, to analyze, either these regulations are sufficient or not. This paper aims to show the problematics of merger control in Georgia, as well as discuss alternatives of their optimal application.

საქართველო აგონიალიბერალური ეკონომიკის კვალზე

რამამ ნამიჭეიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,

სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი

ramaz.namichishvili2011@yandex.ru

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები, ნობელიანტები ჯ. სტიგლიცი, პ. კრუგმანი; ზ. ბჟეზინსკი, ფ. ფუკუიამა; იელის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯ. სტენლი; ფრანგი ეკონომისტი თ. პიკეტი; ფინანსისტი ჯ. სოროსი; ამერიკელი სოციოლოგი ე. ვალერსტაინი და სხვები ყოველგვარი შეფარვის გარეშე სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების საფუძველზე აცხადებენ, რომ დასავლეთი, კერძოდ კი აშშ და დასავლეთ ევროპის ლიბერალური ეკონომიკა ისეთ ღრმა კრიზისში არიან, რომელსაც აქამდე არ მოსწრებია კაცობრიობა და რომლისგანაც თითქმის არაპროგნოზირებადი გლობალური სოციალური კატასტროფებია მოსალოდნელი.

დასახელებული ავტორები თანხვედნილი არიან იმაში, რომ თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი გამომდინარეობს მისი ლიბერალური მოდელის არასიცოცხლისუნარიანობიდან, მან უკვე ამოწურა თავისი თავი. ჯ. სტიგლიცის აზრით საბაზრო ფუნდამენტალიზმი, ეს უფრო ზოგიერთი ეკონომისტის პირადი შეხედულებაა, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი საბაზრო ეკონომიკური მოდელი. ბაზარი საზოგადოებრივ კეთილდღეობას არ აწარმოებს, არ ესწრაფვის ადამიანურ კაპიტალის ინვესტირებას. ამიტომ, წერს იგი, საჭიროა რაღაც კეინზის მსგავსი პოლიტიკა. ნობელიანტი არ გვთავაზობს ეკონომიკის ახალი მოდელის პრინციპებს. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის უხეირობის საილუსტრაციოდ ჯ. სტიგლიცი იძლევა აშშ ეკონომიკის სტატისტიკურ ინტერპრეტაციას და აჩვენებს სოციალურ-ქონებრივ პოლარიზაციას, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა. მისი აზრით, ერთის მხრივ, უთანაბრობას საბაზრო ძალები განაპირობებენ სათანადო ტექნოლოგიის დეფიციტის და რესურსების უკმარისობის პირობებში, მოთხოვნა-მიწოდების ჩვეული წესების ჩარჩოებში. მეორეს მხრივ, დიდ როლს თამაშობს მთავრობა.

ჯ. სოროსი მიიჩნევს, რომ საბაზრო ფუნდამენტალისტებს სჯერათ თითქოსდა საერთო კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო საშუალება არის პირადი კეთილდღეობისაკენ ყოვლად შეუზღუდავი მისწრაფება, რომელიც ყალბი რწმენაა.

ზ. ბჟეზინსკის აღიარებით კაპიტალიზმი მსოფლიო მძიმე ეკონომიკურ კრიზისშია. საჭიროა განსაზღვრული მორალური კრიტერიუმების მიღება, რათა მიღწეულ იქნეს თვითკონტროლი გამდიდრებაზე როგორც თვითმიზანზე.

ეკონომიკური კრიზისი გამოიხატება სიმდიდრის სწრაფი კონცენტრაციით მცირერიცხოვანი ბანკოკრატის ხელში. ამის საილუსტრაციოდ ჯ. სტიგლიცი აცხადებს იმას, რომ აშშ ქონების უდიდესი ნაწილი მოსახლეობის ზედა ფენებს და საზოგადოების 1 პროცენტს ეკუთვნის. წერს, რომ ამ მდგომარეობის გარდმავების ალბათობა საკმაოდ დიდია, ვინაიდან უთანაბრობა ისეთი სწრაფი ტემპებით იზრდება, რომ განცვიფრებას იწვევს. 1947 წლიდან 1973 წლამდე (კეინზის დოქტრინის დომინირების პირობებში) 20%-ზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ამერიკელი ოჯახების შემოსავალი 116%-ზე მეტად გაიზარდა მოსახლეობის სხვა დანარჩენ ფენებთან შედარებით. 1974-2004 წლებში (ნეოლიბერალიზმის ერა) ამ ჯგუფის შემოსავლების ზრდა 2,8% იყო. დიდ ბრიტანეთში ეროვნული შემოსავლის წილი, რომელსაც ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 10% ღებულობდა, 1979 წლის 4,2%-დან 2002 წლის 2,7%-მდე შემცირდა. ამჟამად საშუალო ამერიკელი მუშის რეალური საშუალო ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე 1979 წელს იყო. მაშინ ამერი-

კული საოჯახო მეურნეობების პირადი ვალი მშპ 46%-ს შეადგენდა, ახლა 98%-ია. დიდ პრიტანეთში ეს მაჩვენებელი, იმ პერიოდში, 30%-დან 80%-მდე გაიზარდა.

მიზეზებს, თუ რა განაპირობებს ასეთ უთანასწორობას ეკონომიკის ავტორიტეტები თვითონვე იძლევიან. მაგალითად, პ. კრუგმანი წერს, რომ მდიდრები უფრო მიდრეკილი არიან თაღლითობისაკენ, ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან ეკონომიკური თამაშის წესებს და ზოგჯერ კანონებსაც, იშვიათად იჩენენ თანაგრძნობას (ეს ყველაფერი პირობადებულია მაცხოვრის სიბრძნით: უმაღლესი აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველში). ჯ. სტიგლიცი აღიარებს, რომ დღევანდელ ეკონომიკაში ხელისუფლება ადგენს ეკონომიკური თამაშის წესებს და განსაზღვრავს ბაზრიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებას, ცვლის მატერიალური ფასეულობების დინამიკას და ა.შ. თუმცა იქმნება ისეთი პროგრამები, რომლებიც ქვეყნის რესურსებს მდიდრების ხელში აქცევს ან გავლენიანი ნაცნობების პრივილეგია ხდება. ბოლოს გამოდის ისე, რომ ჩვენ ვგაქვს ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც ძალაუფლებას აძლევს საზოგადოების ზედა ფენებს. ყველაფერი იქმნება იმისთვის, რომ პირიდან ლუკმაპური გამოგლიჯონ საზოგადოების ქვედა ფენებს.

მეცნიერება, განსაკუთრებით ეკონომიკური, იძულებით, ფარულად დიდხანს ემსახურებოდა ფინანსური იმპერიის ინტერესებს, დაბოლოს მოსახლეობის ძარცვის ეკონომიკა იმ მონსტრის ზომამდე მივიდა, სადაც ყველაფერი თვითხილვადი და პრაქტიკულად იოლად აღქმადია. ფულის მოყვარულ ინტელექტებს მადა უფუჭდებათ, თავის დამკვრენის და შეფარების მყუდრო ადგილები აღარ დარჩათ. ყველასათვის ცხადად ცნობადია, რომ ფინანსური იმპერიის თავკაცებს ფული საშუალებას აძლევს თავის ჭკუაზე მოაქციონ პოლიტიკური სისტემები, რომელიც მათი კერძო პიროვნული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი ხდება. კაპიტალიზმი თავისი არსებობის ამოწურვის ზღვარს სწრაფად უახლოვდება. ეს ყველაფერი ჩვენთვის, ვინც უკვე 60 წელს გადავცდით, არ ახალია, ამას 30 წლის წინათ გვასწავლიდნენ ინსტრუქტებში და ასპირანტურაში-კაპიტალიზმი მოგების ამოქაჩვის ინსტიტუტია მქონებული კლასის ხელში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს დაღუპავს მოგებისადმი გამოდევნებული ზღვარდაუდებელი მისი სიხარბე. უცნაურად მეჩვენება მეთაურად წარმოჩენილი აზრი, რომ თურმე მდიდარს არ მოაქვს სიკეთე ხალხისთვის, ვინაიდან სიმდიდრე ძღვარგადასვლა-ბევრის მფლობელს, კიდევ მეტი უნდა და ამისთვის იგი ყველაფერზე წამსვლელია, სულაც არ ანადვლებს როგორ ცხოვრობენ მისი ახლობლები, მითუმეტეს, როგორ ცხოვრობს მისი ქვეყნის ხალხი.

ლიბერალური ეკონომიკა რომ მსოფლიოს კრახის პირზე მიიყვანდა, საუკუნის წინ იყო ცნობილი. მართალია ლიბერალი ზომიერი, კომპრომისული ადამიანის სინონიმია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ასეთი მშვენიერი სიტყვა ხშირად ხდება სატყუარა მზაკვრული აზრის ინტერვენციისთვის. საზოგადოება კაი ხანს ვერ გებულობს დიადი სიტყვის მიღმა დამალულ შორეულ სტრატეგიას, რომელიც მერე მის ტრაგედიად იქცევა. ეკონომიკის წინსართი ლიბერალიზმა მას თითქოს თავისუფლების, ადამიანის უფლებების ღრმა ფენომენალური შინაარსით ავსებს. სინამდვილეში თავისუფლება და ადამიანის უფლებები არა მარტო წინააღმდეგობრივია და ერთმანეთს გამორიცხავს, წყვეტს ადამიანს ისეთი ნამდვილად ჭეშმარიტი რეალობებისაგან, როგორცაა ეკლესია, ნაციონალიზმი, სახელმწიფო. ადამიანის ნამდვილი თავისუფლება არის არა მხოლოდ გარეშე მონობიდან გამოსვლა, არამედ თავისი თავის მონობიდან გამოსვლა, საკუთარი მისწრაფებების, სიმდაბლის დაძლევა და მონაწილეობა. ასეთი ადამიანურობა მხოლოდ მართლმადიდებლურ რელიგიაში არის შესაძლებელი. არაფრით შეუზღუდავი ეკონომიკური ინდივიდუალიზმი, რომელიც მთელ სამეურნეო ცხოვრებას მთლიანად უთმობს ეგოისტურ ბრძოლას და კონკურენციის ხელისუფლებას, არ აღიარებს არავითარ მარეგულირებელ პრინციპს, თითქოს არა აქვს არავითარი ვალდებულებითი კავშირი ლიბერალიზმის სულიერ ბირთვთან ანუ ადამიანის უფლებების

მტკიცებულებასთან... ინდივიდუალისტური ლიბერალიზმი წყვეტს ინდივიდუუმს ყველა ისტორიული წარმონაქმნებისაგან. ასეთნაირი ინდივიდუალიზმი აცარიელებს ინდივიდუუმს, გამოაქვს იქედან ყველა მისი ზეინდივიდუალური შინაარსი, მიღებული ისტორიიდან, ინდივიდუუმის გვარზე და სამშობლოზე, სახელმწიფოზე და ეკლესიაზე, კაცობრიობაზე და კოსმოსზე ორგანული კუთვნილებისაგან.

მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეკონომიკურად უჭირს. თუმცა ერთი შეხედვით პლანეტის ზოგადი სურათი სიმშვიდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხალხი ნამდვილად ცხვარია და კიდევ: წყნარია. საპროტესტო დემოსტრაციები, არეულობა, მასობრივი გაფიცვები და რევოლუციური გამოსვლები ჩვენი მძიმე ცხოვრების სინამდვილიდან წაშლილია. ლიბერალურმა ეკონომიკამ და პოლიტიკამ ისე გამოშიგნა ინდივიდუუმი, როგორც საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა ფილოსოფოსმა ნ. ბერდიაევმა. ატომიზებულ სუბიექტებად დაშლილ ინდივიდუუმებს თანამგრძნობ ჯგუფებად, კოლექტივებად გაერთიანება არ შეუძლიათ, არც ასეთი გამაერთიანებელი რაიმე პოლიტიკური ბირთვი არსებობს. ასეთ მოლოდინზე მიუთითებდა სტალინი...ადრე ბურჟუაზია ნაციის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ნაციის უფლებასა და დამოუკიდებლობას, აყენებდა რა მას „ყველაფერზე მაღლა“. ახლა „ნაციონალური პრინციპიდან“ ნაკვალევით არ დარჩა. ახლა ბურჟუაზია დოლარზე ყიდის ნაციის უფლებასა და დამოუკიდებლობას. ნაციონალური დამოუკიდებლობის და ნაციონალური სუვერენიტეტის დროშა ბორტს იქეთ აგდია. არ არის ეჭვი, რომ ამ დროშის აღება მოგიხდებათ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, და წაიღებთ წინ, თუ გინდათ იყოთ საკუთარი ქვეყნის პატრიოტები, თუ გინდათ იყოთ ნაციის ხელმძღვანელი ძალა. სხვა ამ დროშის ამწევი არ არის.

როგორც იტყვიან, სხვაგან წასვლა არ გვჭირდება, ვინაიდან ჩვენთვისაც ყველაფერი ხილვადია. არანაირი თანაგრძნობა, მხარდაჭერა, გამოქომაგება. ყველა თავის ტყავს უფრთხილდება და რაც უფრო მეტად უფრთხილდება, მით უფრო უმძიმდება მდგომარეობა, რომლის შემჩვევაც მას არ შეუძლია ეკონომიკური სიბეცის გამო. ადამიანი ახლა მარტოა და ზნედაცემული, პასუხისმგებლობა დაკარგა. ბოლომდე ჩაიძირა და ჩაიძინა თავის თავში. ინიციატივა არა აქვს, ვიღაცის დამახეხებას ელოდება, ყური გამახვილებულ აქვს. დასავლეთი აღქმულ ქვეყნებად ესიზმრება. გამოღვიძებისთანავე ცდილობს, როგორმე აიკრას გუდანაზადი მამისეული კერიიდან და ხელზე მოსამხსახურედ მიექირავოს გადამთიელს.

საქართველოს ხელისუფლება გადაგვარებულია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი ხალხი მოაღოროს, დაპირებებით შეიტყუოს, მერე უყურადღებოდ მიაგდოს და როცა მომავალი არჩევნების დრო დადგება, პენსიონერებს 20 ლარიან წანამატს გადაუგდებს და ათასჯერ წამოაყვედრის-პენსია გაგიზარდეთ. არ უნდა იყოს ქართველი კაცი ასეთი გულუბრყვილო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსური იმპერიისაგან ისე დაჩმორებულია, როგორც საერთოდ მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. მეორეს მხრივ, ჩვენი მოსახლეობა, ჯერ კიდევ, ძველი ცნობიერების ტყვეობაშია. ჰგონია, რომ ხსნა საზღვარგარეთიდან მოდის. იქაური დიპლომატები ჩვენს ქვეყანას უკეთ ააშენებენ. იყო მართლა ასეთი პერიოდი იქეთა საუკუნის 20-30-იან წლებში. ევროპის ქვეყნებში სასწავლებლად წასული ახალგაზრდობა ქვეყანას ნამდვილი ცოდნით აღჭურვილი უბრუნდებოდნენ და მერე მის სამსახურში იღწვოდნენ. ამაზე სპეკულირებს ახლა პრემიერ-მინისტრი და გაიძახის: ჩვენ საზღვარგარეთ გავაგზავნით ახალგაზრდებს და როცა ქვეყანაში დაბრუნდებიან სამსახურში მიღებაზე უპირატესობას მივცემთო. ამ აზრის გარმელება ის არის, რომ საზღვარგარეთ გადიპლომებული და მერე ქვეყანაში დაბრუნებული ახალგაზრდა თავის სამშობლოს კი არა, იმით ინტერესებს მოემსახურება, საიდანაც გამოაგზავნეს. სხვა საკითხია როგორი განათლება მიიღო საზღვარგარეთ. ამაზე პასუხის გასაცემად მგონია ისევ ჯ. სტენლის დამოწმება აჯობებს: აშშ რიტორიკა განათლების შესახებ მკაფიოდ ანტიდემოკრატიუ-

ლია. მოქალაქეები ისეთ „ეფექტურ“ საგანმანათლებლო სისტემას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც ბავშვებს სპეციალობას და პროფესიულ საკითხებს შეასწავლის, და არა იმ განათლებას, რომელიც საზოგადოებას ანალიტიკური აზროვნებისაკენ უბიძგებს, ზრდის მის ავტონომიურობას და სამოქალაქო ჩართულობას. სათქმელი არ დაგვიტოვია, თითქოსდა ჩვენს მაგიერ თქვა. ჩვენ კიდევ ჩვენი ბოლომდე სათქმელი ადგილზე დავდეთ. გასული საუკუნის სტატისტიკით, საქართველოში 12 ქალაქი ირიცხებოდა. ახლა 57 ადმინისტრაციული ერთეულია აღრიცხული ქალაქის სტატუსით. ამ ქალაქებში ამჟამად 75 უმაღლესი სასწავლებელია არაავტორიზებულითა მიუთვალელოდ. გამოდის რომ ქვეყნის ყოველ 50 მოსახლეზე ერთი უმაღლესი სასწავლებელი ირიცხება, მაშინ როცა ინგლისში ეს მაჩვენებელი 400, საფრანგეთში 735, ხოლო გერმანიაში 320. მიახლოებითი ანგარიშებით გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს. ამ სტატისტიკის მიღმა რომ ნამდვილი განათლება იგულისხმებოდეს, ახლა ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე გასული საუკუნის 80-იანი წლების დონეზე მაღლა უნდა იდგეს. მაგრამ თუკი უფრო შორს გავყვებით სტატისტიკას, გამოვა რომ ქვეყნის მოსახლეობა 1980 წლის მონაცემთან შედარებით მესამედით შემცირებულია, მაშინ როცა უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 4 ჯერ გაიზარდა, ხოლო მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობა 4,7 ჯერ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინა საუკუნის 80-იან წლებში მეცნიერებათა დოქტორების საშუალო ასაკი ხანდაზმულობისაკენ იხრებოდა, მაშინ ნათელი გახდება ის, რომ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს კადრები ბუქსირზე ჰყავს გამოზრდილი და დოქტორის აკადემიურ ხარისხამდე და პროფესორის თანამდებობამდე ქაჩავენ, ბუქსირზე მიბმის მსურველები კი, იცოცხლე ბევრია. მეცნიერებისაკენ არქარებულად მოძრაობენ. აი, საიდან გველოდება კატასტროფა.

განათლებას, განსაკუთრებით კი, უმაღლეს განათლებას, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ფინანსური იმპერია განაპირობებს. მისი მიზანი ნათელი და ცხადია. რაც მას თავისი ინტერესებისთვის სჭირდება, იმას აკეთებს, ნიჭიერ ახალგაზრდებს ნამდვილ ცოდნას აძლევს თავის უნივერსიტეტებში, ხოლო დანარჩენ სწავლის მსურველს იდეოლოგიურად ამზადებს პროფესიის პრეტენზიით და მას თავის მსახურად იხდის. საქართველო ამ მხრივ ფაქტობრივი ილუსტრაციაა. ქვეყნის რეფორმირება განათლებაზე შეტევით დაიწყო-დაშალეს ეროვნული აკადემიური მეცნიერების ფართო ქსელი, ზოგი სტრუქტურული ერთეული უმაღლეს სასწავლებლებს მიუერთეს ინსტიტუტებად, ბევრი გააუქმეს. საფუძველი გამოაცალეს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, კერძო პირებზე დაანაწილეს. გაყიდეს პროფესიული სასწავლებლების კორპუსები, ლაბორატორიები და საწარმოო და ტექნიკური ბაზები. დაითხოვეს ცნობილი მეცნიერები უმაღლესი სასწავლებლებიდან, ხელი მიუშვეს კერძო სტრუქტურების წარმოქმნას, მეცნიერების განვითარებას მოუშალეს სახელმწიფო შეკვეთა, აზნაურობის მაძიებლობის კვალში ჩააყენეს პროფესორობაზე გამოდევნება, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების ე. წ. ავტონომიზაციით დააკნინეს სამეცნიერო საბჭოების როლი და იგი რექტორების მოსამსახურე ამყობ რგოლებად აქციეს, ხოლო თვით რექტორები სკამის მაძიებლებად. დაიკარგა განათლების ავტონომიურობა და სისტემურობა, იგი კერძო პირების გამდიდრების საშუალება გახდა. ამიტომ არის, რომ საქართველოში მთავრობისა და განათლების მინისტრის შეცვლა, ავტომატურად ნიშნავს განათლებაში რაღაც მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც ერთი და იგივე საქმის ყოველთვის ახლიდან დაწყების ასოციაციაცაა.

ზემოთაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. ლიბერალური, საბაზრო ეკონომიკა აგონიაში შედის, ვინაიდან მისი ეფექტიანობის იდეოლოგიური მითი გამყდარებული და შიმშველია;
2. ქართული სახელმწიფოს მეთაურები აღარ არიან ნაციონალური ინტერესების გამტარებლები. ისინი ერთიანი მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორების დაქირავებული მწარმოებლები არიან;

3. საზოგადოება დაშლილია და კოლექტიურობის უნარები დაკარგული აქვს. არ არის რაიმე ეროვნული სოციალური მოძრაობა, რომელიც მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენების მეთაური ძალა გახდებოდა და მათ გაიყოლიებდა უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში;

4. ფინანსური იმპერია არის ფულის, იარაღის და პოლიტიკური ზემოქმედების ძლევამოსილება, რომლის წინაშე ახლა ყოველგვარი სოციალური წინააღმდეგობა განწირულია დასაღუპად;

5. განსაკუთრებით მძიმეა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მდგომარეობა. ამ ქვეყნის მთავრობები გარე და შიდა წინააღმდეგობებისაგან ცეცხლად აფეთქების პოტენციალური ფაქტორებია, რომლის შესახებ ყოფილმა საბჭოელებმა კარგად იციან;

6. ფინანსური იმპერია და მისი ცალკეული სტრუქტურები ინტელექტუალების კონცენტრაციაა, რაც არანაირად არ ითქმის ქართული სახელმწიფოს მთავრობებზე. ფულის ძალაუფლების მიღმა ჩანს მისი ძლევამოსილების ნამდვილი გენერატორი-გენიალური აზროვნების ნაღები გუნდები. ფული რანაირი ბევრი არ უნდა იყოს იგი, მის მესაკუთრეს იმპერატორად ვერ აქცევს. ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება უმდიდრეს ადამიანად დარჩეს რამდენიმე ხანს და ისიც ჩრდილში. თანამედროვე ფინანსური იმპერია იმიტომ კი არა არის ძლემოსილი, რომ ფულის მესაკუთრეა, პირიქით, მან გენიალური უზარმაზარი აზროვნება ჩააყენა თავის სამსახურში, რომელსაც მანამდე ზნეობა გამოაცალა.

ასეთი ვითარებაა ახლა დასავლეთში. რაც შეეხება თვით დასავლეთ ევროპას, რომელზეც ჯგარს იწერენ მისი ცქერით დატყვევებული ჩვენი პოლიტიკანები და მათი მსგავსნი, იქაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. ევროკავშირის დაშლას წინასწარმეტყველებენ დ. ტრამპი, ჯ. სოროსი, ექსპერტები და ანალიტიკოსები. იმათი კვლევითი მასალებიდან ირკვევა, რომ დასავლეთის დაშლის მიზეზები მრავალგვარია, ფუნდამენტალური ხასიათისაა. ასეთებია შრომითი მიგრაცია აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპიდან, რაც, ერთი მხრივ, დემოგრაფიული დეფიციტის შევსების წყაროა, ხოლო, მეორეს მხრივ, მშვიერი და ნახევრად მშვიერი მასების შემოტევა, რომელიც ევროპის ნაციონალურ თვითმყოფადობას გადაშენებით ემუქრება. ჯერ კიდევ არ დამცხრალა ემიგრაციების ტალღა პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ბალტიისპირეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, მოლდავეთიდან, სამხრეთ კავკასიიდან და ბალკანეთის დასავლეთიდან. აქედან გამომდინარეობს ევროკავშირის ბიუჯეტის აუცილებლობა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოსათანაბრებლად. ამას პირდაპირ მივყავართ ფინანსური რესურსების პრობლემასთან, რომლის გადაჭრა მძიმე ტვირთად დააწვება საფრანგეთს, გერმანიას და სკანდინავიის ქვეყნებს.

ევროპის კავშირის მდგომარეობა, კიდევ უფრო გაუარესდება მაშინ, თუკი აშშ მიაღწევნ შეთახმებას ევროპასთან ტრანსატლანტიკური სავაჭრო-საინვესტიციო ვაჭრობის თაობაზე, რომელიც შემზღაუდავი ბარიერების მოხსნას გულისხმობს. ეს კი ევროპის მეწარმეობას სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს. ამას კარგად გრძნობენ დასავლეთ ევროპის ეროვნული ძალები და ევროკავშირის გაფართოების მკაცრი მოწინააღმდეგენი არიან. როგორც ყოველთვის აქაც თავისი გავლენა აქვს ძლიერის პოზიციას-მხედველობაშია საფრანგეთისა და გერმანიის ისტორიული დაპირისპირების გაგრძელება.

რალაც უკმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა და გადავწყვიტე ბოლო კითხვებს ისევ მივუბრუნდე. არ არის ტოლობის ნიშანი სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა გაერთიანებას, იგივე ევროკავშირის შორის. სახელმწიფო ათასწლოვანი წარმონაქმნია და იგი ისტორიულად მთლიანია, რომელსაც ნაციონალური ენერგია ამოძრავებს. ევროკავშირი ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების წარმონაქმნია და ამდენად ბუნებრივად ცენტრიდანული და ფორმაცვალებადია, ვინაიდან როგორც კომპლექსი მთელის პრეტენზიით მასში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტს ზღუდავს, ტრადიციებსა და ეროვნულ თვითმყოფადობას

გადაშენებით ემუქრება. სხვადასხვა ტიპის მთელეები ერთსაზ მთლიანი რომ გახდეს, ისინი ახალ ფუნქციონალურ სუბიექტებად უნდა იქცნენ. ამას კი ნაციონალური თვითმყოფადობის გამოწვევა მოჰყვება. შემთხვევითი არ არის ევროპის უმველესი ქვეყნის, ინგლისის გასვლა ევროკავშირიდან. პრეტენზია ჰქონდათ ინგლისელებს: სუვერენიტეტის დაკნინების, ნაციონალური კანონების მეორეხარისხოვნება ევროკავშირის კანონებთან შედარებით, მიგრანტების შემოტევა და ამის გამო ადგილობრივი მუშახელისთვის სამუშაო ადგილების შემცირება, გადასახდების გადამეტება ევროკავშირის წევრობის გამო სარგებელთან შედარებით. ინგლისს, ისედაც დაბალი შობადობის გამო გართულებული სიტუაცია კატასტროფულად დაემაბა აფრიკის ქვეყნებიდან იაფი მუშახელის ინტენსიური შემოდინებით, რომელმაც თვით ინგლისში, არაფორმალური კულტურული ავტონომიის ფორმა მიიღო. არის კიდევ რაღაც, რომელიც ახლა არახილვადია.

ზემოთ მოტანილი მასალების კრიტიკული ხედვა ასეთ სურათს იძლევა: ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთი გამოვიდა, ხოლო შესვლაზე უარს აცხადებენ მდიდარი სახელმწიფოები ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცია, ისლანდია. საქართველოს ხელისუფლება ევროპარლამენტს არ ასვენებს, მიშველეთ, ევროკავშირში მიმიღეთო. ჩვენი „მამამთავრების“ მუხლებზე დგომა გასაგებია, მაგრამ ევროკავშირს რა ინტერესი აქვს მიიღოს საქართველო მის წევრად? არადა, ევროკავშირის კანდიდატობის წევრი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ პრინციპებს, როგორცაა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, დემოკრატიის განუხრელი დაცვა (ეს კიდევ რა არის, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის), ნაციონალური (ქართული) კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის სამართლებრივ ბაზასთან (ეს ხომ საქართველოს დაქვევა იქნება) კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, დადებითი სავაჭრო ბალანსი და სხვა. ეს დამშეული, კიდიდან კიდემდე უსამართლო ქვეყანა როგორ შეიძლება ევროპის მდიდარი ქვეყნების კავშირში აღმოჩნდეს. ანდა რომ აღმოჩნდეს, რა ხეირს მიიღებს. ანალოგიური კითხვა გაჩნდა უკრაინის მიმართ, რომელსაც ჩვენი, ქართველების მსგავსი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ევროკავშირში „მთარბენინებდნენ“ თავიანთი ჭკუით. „სიმართლე რომ ვთქვათ, უკრაინას ყოველთვის ეკისრებოდა ანტირუსული ამოცანა, ევროპას ის მხოლოდ იმისთვის უფრო სჭირდება, რომ გასაცვლელი მონეტა იყოს ევროკავშირის რუსეთთან რთულ ურთიერთობებში. ევროპაში, გასაგებია, ამას არავინ იტყვის. საშუალებას არ აძლევს ელემენტალური პოლიტკორექტულობა (არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხმამაღლა თქვა ის, რასაც ფიქრობ, თუკი ეს ეწინააღმდეგება „დემოკრატიულ პრინციპებს“). იქ თქვენ სხვას გეტყვიან, რომ სწორედ დემოკრატიულ უკრაინას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს „რუსეთის დემოკრატიული განვითარების ევოლუციაზე“. ამაზე იტყვიან: მულო შენ გითხარი და რძალო შენ გაიგონე. ეს ჩვენი პრაქტიკულად არაფრისმკეთებელი ხელისუფლება ევროპას ეხვეწება კავშირში მიმიღე და მე რუსეთს ყფით ავიკლებო. ამით სამი რამ კეთდება: ფინიები რუსეთს ბოხი ხმით უყფავენ, ქარავანი მიდის, ფინიები საკუთარ ქვეყანას მარცვავენ, მაგრამ რუსეთი თუ მოგვიბრუნდა, „ქვეყნის პატრონები“ საზღვარგარეთ მოკურცხლავენ და ნაქურდალითა და ნამარცვით იქ განცხრომაში იცხოვრებენ თავიანთი ოჯახებით. ამდენად, ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა საშინელი უფსკრულის პირას, როცა ლიბერალური ეკონომიკური სისტემა უკანასკნელ დღეებს ითვლის, ახალი ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის კონტურები არახილვადია, ევროკავშირი დაშლის პირასაა, ფინანსური იმპერია ლუკმა-ლუკმად გვჭამს, რომელსაც ნაჭრებად უთლის ჩვენი ხელისუფლება სამშობლოს სხეულიდან.

საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივობა, მისი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა განსაზღვრულია მისი ისტორიული გამოცდილებით, რომელიც მონარქიის ინსტიტუტის გამოწვევაა, რომლის ფუნდამენტური საყრდენია ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტიგლიც ჯ. გლობალიზაცია: Тревожные тенденции. М., 2003.
2. სტიგლიც ჯ. Цена неравенства. Чем расслоение общества грозит нашему будущему. Москва: 2015.
3. Кругман П. Великая ложь: Сбиваясь с пути на рубеже одиннадцатого века. М., 2004.
4. Пикетти Т. Капитал в XXI веке. М., 2015.
5. Сорос Дж. Открытое общество. Реформируя глобальный капитализм. М., 2001.
6. Бжезинский Зб. Вне контроля. Мировой беспорядок на пороге двадцать первого века. New York, 1993.
7. Конец экономического либерализма? www.contrtv/print/3082
8. Бердяев Н. Философия неравенства. Письмо седьмое. О либерализме.
9. ი. სტალინი. გამოსვლა 1952 წლის 14 ოქტომბრის პლენუმზე
10. [http://European.ge/rogor-amaxinjebis-tavisufali-bazris-ideologia-demokratiis-leqsikons/Cpyringht European.ge](http://European.ge/rogor-amaxinjebis-tavisufali-bazris-ideologia-demokratiis-leqsikons/Cpyringht%20European.ge)
11. Трамп назвал причину распада ЕС. whoswhoh.org/150554-tramp-nazval... Сорос: развал Евросоюза теперь неизбежен. zss.novostimira.com/n_8012854.html. Политика расширения ведет к распаду Евросоюза. rubaltic.ru/article/plitika-i-...
12. зачем Евросоюзу нужна украине? В чем игра и цели ЕС? ru/exrus/eu/Zachem-Yyrosoyuzu...

Following the Agony Liberal Economy of Georgia

Ramaz Namicheishvili

Phd of Economics,

President of Scientific

Organization "Niko Nikoladze"

ramaz.namicheishvili2011@yandex.ru

R e s u m e

There are examined actual materials on the basis of which liberal economics (market economics) is antisocial and anti-economic institute which allows the financial empire to force the government of any country to come under the influence of its interests (in the space of management), to impoverish absolute majority of population and become a leader of the global economics. And on the other hand, to destruct traditional moral values to the country, to rob it from natural wealth and obliterate its uniqueness.

There are presented negative events of public individualization on forming moral clusters of the country's nationality that makes catastrophic jeopardy to Georgian national identity. There is a opinion that there is no any union or amalgamation which can serve to the defence and reviving of the country and that the creation of the union means compatibility of characteristics of its subjects.

There is offered logical opinion of the research on the basis of which the future state system, its economic and social prosperity is determined by historical experience of the country that is the provocation of monarch institute which is the fundamental support for Georgian orthodox church.

დანახარჯი-სარგებლის ანალიზის გამოყენების შესაძლებლობები კონკურენციის პოლიტიკის განხორციელებაში (თეორიული ასპექტები)

ია ნაცვლიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ia.natsvlishvili@tsu.ge*

დანახარჯი-სარგებლის ანალიზი არის პოლიტიკის შეფასების მეთოდი, რომელიც ფულად ფორმაში ზომავს საზოგადოების ყველა წევრზე პოლიტიკის განხორციელების შედეგებს. დანახარჯი-სარგებლის ანალიზი უკავშირდება პოლიტიკას, პროგრამებს, პროექტებს, რეგულაციებს და სხვა სახელმწიფო ინტერვენციებს. პოლიტიკის მთლიანი ღირებულება იზომება მისი წმინდა სოციალური სარგებლით. დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ასეთ განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს ორი სახის უთანხმოება. პირველი, კრიტიკოსები კამათობენ დანახარჯი-სარგებლის ანალიზში სარგებლიანობის თეორიის იმ ფუნდამენტური დაშვებების გამო, რომ ინდივიდუალური სარგებლიანობათა ჯამის მაქსიმიზაცია უნდა მოხდეს და, ამავე დროს, დასაშვებია ვიღაცის სარგებლიანობის გაზრდა სხვისი სარგებლიანობის შემცირების ხარჯზე. მეორე, საჯარო პოლიტიკის პროცესის მონაწილეები ვერ თანხმდებიან ისეთ პრაქტიკულ საკითხებზე, როგორცაა პოლიტიკის თუ პროექტის ზემოქმედება გრძელვადიან პერიოდში, ინტერვენციის შედეგებისთვის ფულადი ღირებულების მინიჭება, აწმყოსა და მომავალს შორის არჩევანის გაკეთება და სხვა.

სახელმწიფო სექტორის ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები ცდილობენ, დაასაბუთონ სახელმწიფოს ჩარევა ინდივიდების მიერ არჩევანის გაკეთების პროცესში. საბაზრო ჩავარდნები კარგი მიზეზია სამთავრობო ინტერვენციისთვის. საჭიროა დასაბუთდეს, რომ კონკრეტული ინტერვენცია ალტერნატივებზე და არსებულ ვიტარებაზე (სტატუს-ქვოზე) უფრო ეფექტიანია. ამ მიზნისთვის ანალიტიკოსები იყენებენ დანახარჯი-სარგებლის ანალიზს.

დანახარჯი-სარგებლის ანალიზი თავდაპირველად გამოიყენეს აშშ-ში 1930-იან წლებში. 1952 წლიდან დანახარჯი-სარგებლის ანალიზის გამოყენებას დიდი სტიმული მისცა აშშ-ს საბიუჯეტო ბიუროს რეგულაციებმა, ასევე, ოტო ეკსტეინის, ჯონ კრუტილას და სხვების აკადემიურმა შრომებმა (Pearce, 1971).

1960-იანი წლების შუა ხანებში მის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის სამინისტრომ. 1960-იანი წლების ბოლოს ის გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით და გამოიყენებოდა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. ამჟამად, დანახარჯი-სარგებლის ანალიზი გამოიყენება ბევრ განსხვავებულ კონტექსტში მრავალი მიზნისთვის. თითქმის ყველა განვითარებულ დასავლურ ქვეყანას აქვს მარეგულირებელი პროტოკოლები, რომელიც ფარავს სამთავრობო პროგრამების ფართო სპექტრს დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ჩატარების კუთხით. მაგალითად, კანადის მარეგულირებელი პოლიტიკა მოითხოვს დანახარჯი-სარგებლის ანალიზის განხორციელებას რეგულაციაში ნებისმიერი ცვლილებისთვის (Boardman, et al., 2011).

დანახარჯი-სარგებლიანობის ანალიზი მოიცავს რამდენიმე საფეხურს. თითოეული საფეხურისთვის დამახასიათებელია პრაქტიკული სირთულეები. დანახარჯი-სარგებლის ანალიზში იგულისხმება შემდეგ ძირითად ეტაპები: დადგინდეს ალტერნატიული პროექტების სიმრავლე; განისაზღვროს, რომელი სოციალური ჯგუფების სარგებელი და დანახარჯები უნდა დავითვალოთ; დადგინდეს ზემოქმედების კატეგორიები, მოხდეს მათი დაჯგუფება და შეირჩეს გაზომვის

ინდიკატორები; შემუშავდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში ზემოქმედების რაოდენობრივი პროგნოზები; გამოისახოს ყველა ზემოქმედება ფულად ფორმაში. ამასთან, აუცილებელია სარგებლის და დანახარჯის დისკონტირება მათი მიმდინარე ღირებულებების მისაღებად; დაანგარიშდეს თითოეული ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება; ჩატარდეს ანალიზი მგრძობიარობაზე და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რეკომენდაციები.

პრაქტიკაში ხშირად ვაწყდებით სირთულეებს პირველივე ეტაპზე. ბევრი პროექტისთვის ალტერნატიული პროექტების რაოდენობა დიდია. რესურსების და შემეცნების შეზღუდვები განაპირობებს იმას, რომ ანალიტიკოსი, ჩვეულებრივ, ანალიზებს მხოლოდ მცირე რაოდენობით ალტერნატივებს. საუკეთესო შემთხვევაში ინდივიდებს შეუძლიათ დაახლოებით მხოლოდ ოთხიდან შვიდამდე ალტერნატივებზე ფოკუსირება (Miller, 1956).

ანალიზის შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ვისი სარგებელი და დანახარჯები უნდა გავითვალისწინოთ პროექტში. დანახარჯი-სარგებლის ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ადგილობრივ, რეგიონულ ან გლობალურ ჭრილში. ადგილობრივ და რეგიონულ ჭრილში ანალიზი აფასებს მხოლოდ იმ დანახარჯს და სარგებელს, რასაც მიიღებენ კონკრეტულ ადგილზე და რეგიონში მცხოვრებნი, ადგილობრივი თუ რეგიონული მთავრობის დანახარჯებისა და სარგებლის ჩათვლით. გლობალურ ჭრილში ანალიზი მოიცავს სარგებელს და დანახარჯს, რომელსაც მიიღებს ყველა მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. ეს საკითხი ზოგჯერ საკამათოა. მაგალითად, ადგილობრივ მთავრობებს სურთ მხოლოდ იმ სარგებლის და დანახარჯების გათვალისწინება, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები იღებენ და იგნორირებას უკეთებენ მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების ან უფრო მაღალი დონის ტერიტორიული გაერთიანებების დანახარჯებსა და სარგებელს.

მესამე ეტაპი ანალიტიკოსისგან მოითხოვს, განსაზღვროს ალტერნატიული პროექტების ზემოქმედების კატეგორიები, დააღაგოს ისინი დანახარჯებისა და სარგებლის მიხედვით და დააზუსტოს საზომი ინდიკატორები ზემოქმედების თითოეული კატეგორიისთვის. ტერმინს ზემოქმედება ვიყენებთ ფართო გაგებით, რათა მოიცვას როგორც საჭირო რესურსები, ასევე შედეგები. დანახარჯი-სარგებლის ანალიზის თვალსაზრისით, ანალიტიკოსებს აინტერესებთ პროექტის მხოლოდ ის ზემოქმედება, რაც ეხება ინდივიდების სარგებელს. ზემოქმედება, რომელიც არ ეხება ადამიანებს, არ შედის ანალიზში. პოლიტიკოსები ხშირად საუბრობენ პროექტის ზემოქმედების შესახებ ზოგად კონტექსტში. დანახარჯი-სარგებლის ანალიზი მოითხოვს ანალიტიკოსისგან, რომ ნათლად განსაზღვროს ის გზები, რომლითაც პროექტი გააუმჯობესებს ინდივიდების მდგომარეობას. ანალიტიკოსებმა ასევე უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, თუ როგორ აღიქვავენ ამა თუ იმ შედეგს ადამიანების განსხვავებული ჯგუფები. ჩვეულებრივ, ზემოქმედების საზომი ინდიკატორების განსაზღვრა ხდება იმ დროს, რა დროსაც ხდება ზემოქმედების კატეგორიების განსაზღვრა. საზომი ინდიკატორის შერჩევა დამოკიდებულია ხელმისაწვდომ მონაცემებსა და ფულად ფორმაში გამოხატვის სიმარტივეზე.

მეოთხე ეტაპია ყველა ზემოქმედების რაოდენობრივი გაანგარიშება დროის თითოეული პერიოდისთვის. პრაქტიკაში ზემოქმედების პროგნოზირება განსაკუთრებით რთულია იქ, სადაც პროექტები უნიკალურია, გრძელვადიანია ან რთულია დამოკიდებულება ცვლადებს შორის. მესამე და მეოთხე ეტაპის განხორციელების პრაქტიკული საკითხები დაკავშირებულია ზემოქმედების კატეგორიების გამოტოვებით გამოწვეული გაუგებრობის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არცოდნის და პროგნოზირების შეცდომებთან, ასევე, დანახარჯების და სარგებლის განაწილების საკითხებთან.

მეხუთე ეტაპზე ანალიტიკოსმა ფულად ფორმაში უნდა გამოსახოს თითოეული ზემოქმედება, რაც ნიშნავს მისი ღირებულების შეფასებას. ზოგჯერ, ინტუიციურად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გავლენების ფულადი ფორმით გამოსახვა რთულია. განსაკუთრებით სადაოა გარემოზე გავლენის ღირებულების შეფასება. დანახარჯი-სარგებლის ანალიზში შედეგის მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, იზომება „გადახდის სურვილის“ („გადახდისთვის მზადყოფნის“) ასპექტით. იქ, სადაც ბაზარი არსებობს და მუშაობს კარგად, გადახდის სურვილი შეიძლება განისაზღვროს შესაბამისი საბაზრო მოთხოვნის მრუდიდან. პრობლემები წარმოიშობა იქ, სადაც ბაზარი არ არსებობს ან ცუდად მუშაობს. ზემოქმედების ამ კატეგორიებისთვის ფულადი მნიშვნელობების მინიჭებას, შესაძლოა, დიდი დრო დასჭირდეს. პრაქტიკაში დანახარჯი-სარგებლის ანალიზი არ ცდილობს „ბოროტის“ თავიდან გამოგონებას. ის ეყრდნობა წარსულ კვლევებს და იყენებენ უკვე დადგენილ მნიშვნელობებს. თუ არცერთი ინდივიდი არაა მზად, გადაიხადოს თანხა გარკვეული ზემოქმედებისთვის, ამ გავლენის მნიშვნელობა დანახარჯი-სარგებლის ანალიზში ნული იქნება.

ანალიზის მეექვსე ეტაპზე რამდენიმეწლიანი პროექტისთვის უნდა მოვახდინოთ იმ სარგებლის და დანახარჯის გაერთიანება, რასაც ადგილი ექნება სხვადასხვა წლებში. დანახარჯი-სარგებლის ანალიზში ხდება მომავალი დანახარჯის და სარგებლის დისკონტირება, რათა მოხდეს მათი მიმდინარე ღირებულებების დადგენა. დისკონტირებას საერთო არ აქვს ინფლაციასთან, თუმცა ინფლაციის გათვალისწინებაც საჭიროა. შესაფერისი დისკონტირების განაკვეთის არჩევა სადავო საკითხია და საჭიროებს მგრძნობიარობაზე ანალიზს. მთავრობის ანალიტიკოსებისთვის, ხშირად, დისკონტირების განაკვეთი განსაზღვრულია მთავრობის შესაბამისი სააგენტოს მიერ. პრაქტიკაში გამოყენებული დისკონტირების ნორმის მაგალითები დამოკიდებულია რამდენიმე პარამეტრზე. პროექტების უმეტესობისთვის, რომლებსაც არ აქვთ ზემოქმედება 50 წელზე მეტი ხნით (არ არის ინტრაგენერაციული, არ არის მოქცეული ერთი თაობის ფარგლებში) რეკომენდირებულია 3.5%-ის ტოლი რეალური სოციალური დისკონტირების განაკვეთი. თუ პროექტი ინტერგენერაციულია (არის თაობათაშორისი), რეკომენდირებულია დროში კლებადი დისკონტირების განაკვეთები. (Moore, et al., 2004).

ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა გაანგარიშდეს თითოეული ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება. გადაწყვეტილების მიღების ძირითადი წესი ერთადერთი ალტერნატიული პროექტისთვის (სტატუს-ქვოსთან მიმართებით) მარტივია: შევარჩიოთ პროექტი თუ მისი წმინდა მიმდინარე ღირებულება დადებითია. თუ არსებობს სტატუს-ქვოს ერთზე მეტი ალტერნატივა და ყველა ალტერნატივა განსაკუთრებულია, წესი შედარებით რთულდება: შევარჩიოთ პროექტი ყველაზე დიდი წმინდა მიმდინარე ღირებულებით. თუ არცერთი ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება არ არის დადებითი, მაშინ არცერთი ალტერნატივა არ არის სტატუს-ქვოზე უმჯობესი და სტატუს-ქვო უნდა შენარჩუნდეს. ამრიგად, უდიდესი წმინდა მიმდინარე ღირებულების მქონე პროექტის შერჩევა წმინდა სოციალური სარგებლის უდიდესი მიმდინარე ღირებულების მქონე პროექტის შერჩევის ექვივალენტურია.

წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმის მთავარი ნაკლია ის, რომ იგი მხოლოდ რეალურ შემოთავაზებულ ალტერნატივებს განიხილავს. სხვა ალტერნატივები შეიძლება უკეთესი იყოს. ამ კრიტერიუმით ანალიზს მივყავართ რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილებისკენ, მაგრამ არა ყველაზე უფრო ეფექტიანი განაწილებისკენ. ზოგჯერ ოპტიმალური გადაწყვეტილების რეკომენდირება არ ხდება, რადგან ის არ შედიოდა შესაფასებელ სიმრავლეში. წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმის გამოყენებას მივყავართ სტატუს-ქვოსთან შედარებით უფრო ეფექტიან შედეგამდე, მაგრამ არა აუცილებლად ყველაზე ეფექტიან შედეგამდე. შესაძლებელია,

რომ ოპტიმალური გადაწყვეტილება არ იყოს ალტერნატივებს შორის რამდენიმე მიზეზის გამო: (1) საბიუჯეტო და პოლიტიკური შეზღუდვები, შესაძლოა, ამცირებდეს განსახილველი ალტერნატივების რაოდენობას და (2) ოპტიმალური რაოდენობა არ იყო ცნობილი ანალიზის ჩატარებამდე.

დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ბოლო ეტაპზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება, მაგრამ მანამდე აუცილებელია მგრძობიარობაზე ანალიზის ჩატარება. ანალიზის ჩატარებისას ხშირად არსებობს დიდი გაურკვევლობა, როგორც მოსალოდნელი შედეგების, ასევე, ზემოქმედების თითოეული ერთეულის სათანადო ფულადი შეფასების შესახებ. მგრძობიარობაზე ანალიზი ცდილობს შეამციროს ასეთი გაურკვევლობები. მგრძობიარობაზე ანალიზში არსებობს პრაქტიკული შეზღუდვები, რადგან, თეორიულად, დანახარჯი-სარგებლის ანალიზში ყველა დაშვება შეიძლება იცვლებოდეს. დანახარჯი-სარგებლის ანალიზზე შეიძლება გავლენას ახდენდეს ანალიტიკოსის სუბიექტური აზრიც. ზოგადად, ანალიტიკოსმა იმ პროექტის განხორციელებას უნდა მისცეს რეკომენდაცია, რომლის წმინდა მიმდინარე ღირებულებაც დიდია. მაგრამ მგრძობიარობაზე ანალიზი შეიძლება აჩვენებდეს, რომ ყველაზე დიდი მოსალოდნელი წმინდა მიმდინარე ღირებულების მქონე ალტერნატივა არ არის აუცილებლად საუკეთესო ალტერნატივა ყველა სიტუაციაში.

საბოლოოდ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანალიტიკოსები გასცემენ რეკომენდაციებს, ისინი არ იღებენ გადაწყვეტილებებს. დანახარჯი-სარგებლის ანალიზი იძლევა რეკომენდაციას, თუ როგორ უნდა განაწილდეს რესურსები. ის ნორმატიულია. ის არ არის პოზიტიური აღწერითი თეორია იმის შესახებ, თუ რეალურად როგორ მიიღება რესურსების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებები. ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ასპარეზზე. დანახარჯი-სარგებლის ანალიზი მხოლოდ ერთი ნაწილია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი მიზანია ხელი შეუწყოს რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებას. დანახარჯი სარგებლის ანალიზი ყოველთვის წარმატებული არ არის. პოლიტიკოსებს ხშირად არ სურთ, რომ გაითვალისწინონ ეკონომიკური არგუმენტები.

პრაქტიკაში დანახარჯი-სარგებლის ანალიზი ხშირად არასათანადოდ ტარდება, როდესაც მასში ერევან ბიუროკრატები ან პოლიტიკოსები. გამომდინარე საკუთარი სააგენტოს პოზიციიდან, ბიუროკრატები სხვაგვარად ხედავენ „დანახარჯებს“ და „სარგებელს“. ბიუროკრატები დიდ გავლენას ახდენენ დანახარჯი-სარგებლის ანალიზის შესახებ წარმოდგენაზე. კონკრეტულად, „სარგებლის“ და „დანახარჯების“ შესახებ მათ აღქმაზე გავლენას ახდენს ის, თუ ვინ არიან ისინი - ანალიტიკოსები, „მხარჯველები“ თუ „მზრუნველები“ (Borins and Good., 1987). ეს სტატუსები მიუთითებს სამ განსხვავებულ ხედვაზე, რითიც ბიუროკრატები აფასებენ პროექტს. ანალიტიკოსის ხედვა სტანდარტული დანახარჯი-სარგებლის ანალიზის შესაბამისია. „მზრუნველებს“ და „მხარჯველებს“ აქვთ მნიშვნელოვნად განსხვავებული ხედვები.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა დანახარჯი-სარგებლის ანალიზზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი კარგად განხორციელება ბევრ რესურსს (დრო, უნარები, ფული) საჭიროებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროექტები დიდია, რთული და უნიკალური. დიდი მასშტაბის შეფასებები კეთილდღეობის და სამუშაო ადგილების პროექტებისთვის, სადაც დანახარჯი-სარგებლის ანალიზი ერთ-ერთი კომპონენტია, მილიონობით დოლარი ჯდება (Boardman, et al., 2011).

დანახარჯი-სარგებლის ანალიზი ნორმატიული ინსტრუმენტია და არა იმის აღწერა, პოლიტიკოსები და ბიუროკრატები თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს. რადგანაც დანახარჯი-სარგებლის ანალიზი არ ითვალისწინებს პოლიტიკოსების და ინტერესთა ჯგუფის მოთხოვნებს, მისი იგნორირების ან სხვადასხვა ამომრჩევლების და ინტერესთა ჯგუფების სურვილებზე მორგების მცდელობის მიზნით ანალიტიკოსებზე დიდი ზეწოლა არსებობს.

მიუხედავად დანახარჯი სარგებელის ანალიზის ჩატარების ზემოთ აღნიშნული სირთულეებისა და თეორიული შეზღუდულობებისა, დანახარჯი-სარგებლის ანალიზი წარმატებით გამოიყენება ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარების შემთხვევებშიც კი. მაგალითად, კანადის კონკურენციის აქტის 9 ა ნაწილი აშკარად უკრძალავს კონკურენციის საბჭოს ჩაერიოს კომპანიების შერწყმის პროცესში თუ შერწყმისგან მიღებული ეფექტიანობის სარგებელი უფრო დიდია, ვიდრე პოტენციური ანტიკონკურენციული ეფექტი. შესაბამისად, ეს მოითხოვს დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ჩატარებას. უნდა განისაზღვროს, შერწყმა არის თუ არა ალოკაციურად ეფექტიანი, აქვს თუ არა მას დადებითი წმინდა სოციალური სარგებელი (Boardman, et al., 2011.)

საქართველოს შესახებ კონკურენციის კანონი განსაზღვრავს იმ კონცეპტუალურ საფუძველს, რომელიც საშუალებას გვაძლევს კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების პროცესში გამოვიყენოთ დანახარჯი-სარგებლის ანალიზი. კერძოდ, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლები აწესებს აკრძალვებს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებზე. ამავე დროს მე-9 მუხლი ითვალისწინებს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობას სწორედ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. მე-7 და მე-8 ამკრძალავი მუხლები არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ფირმათა შორის ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და ერთობლივ ქნედებებს შეუძლიათ გამოიწვიონ წარმოებისა და მიწოდების გაუმჯობესება, ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი და უზრუნველყოს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას. საზოგადოების კეთილდღეობაზე დადებითი ზემოქმედების გარემოებების დასაბუთება ევალებათ შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გათვალისწინებული გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით საქართველოს მთავრობის მიერ (საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 2014).

მასადაამე, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების დაშვების შემთხვევაში იმის დასადგენად, თუ რამდენად ზრდის მომხმარებელთა კეთილდღეობას ფირმათა შორის შეთანხმებებში, შესაძლებელია დანახარჯი-სარგებლის ანალიზის გამოყენება, რადგან დანახარჯი-სარგებლის ანალიზი ფულად ფორმაში ზომავს წმინდა სოციალურ სარგებელს და, შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრზე პოლიტიკის განხორციელების შემოქმედებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159; <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=62>;
2. Boardman, Anthony E., Greenberg, David H., Vining, Aidan R., Weimer, David L., Cost-Benefit Analysis. Concepts and Practice. (Prentice Hall, 2011);
3. Borins Sanford., Good David A., "Spenders, Gurdians and Policy Analysts: a Game of Budjeting Under the Policy and Expenditure Managments Systems", Toronto, Case Program in Canadian Administration, Insitute of Public Administartion of Canada, 1987 (revised 1989);
4. Miller, G.A. " The Magical Number Seven, Plus or Minus Two: Some Limits on Our Capacity for Processing Information," Psychological Review 65(1) 1956, 81-97.
5. Moore, Mark A., Boardman, Anthony E., Vining, Aidan R., Weimer, David L., and Greenberg, David H. "Just Give Me a Number! Practical Values for the Social Discount Rate" Journal of Policy Analysis and Management 23(4) 2004, 789-812.
6. Pearce, D.W. Cost-Benefit Analysis (London: MacMillan, 1971).

Possibilities of Using Cost-Benefit Analysis in the Implementation of Competition Policy (theoretical aspects)

Ia Natsvlshvili

Associate Professor of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ia.natsvlshvili@tsu.ge

R e s u m e

Georgian Law on Competition defines the conceptual bases that creates the possibilities of using Cost-Benefit Analysis (CBA) in the process of competition policy implementation. CBA is the method of policy evaluation that measures in monetary terms the impacts of policy implementation on all members of the society. CBA is the normative instrument and it does not describe how politicians and bureaucrats take decisions. Since CBA does not take into consideration views of politicians and other interests groups, attempt to ignore it and put pressure on analysts to fit the analysis to wishes of different voters and interest groups is one of disadvantage of CBA. Nowadays CBA is used in different context for different purposes including implementation of competition policy. Since CBA measures the Net Social Benefit it can be used to identify whether exceptions from the prohibition of restrictive agreements contribute to economic development and guarantee a adequate increase in consumers' benefit and social welfare.

Exchange Rate Pass-through Asymmetry as a Proxy for High Market Concentration: case of Armenia

Hovsep Patvkanyan

Lecturer, Russian-Armenian University

Consultant, EBRD Office in Yerevan

hovseppatvakanyan@gmail.com

One of the ways to proxy high concentration in the commodity markets and the abuse of the respective companies is by estimating the exchange-rate pass through. If the market enjoys high competition it would imply that 1% appreciation/depreciation of the local currency would lead to 1% price decrease/increase of the imported goods. On the other hand, if the market is highly concentrated and firms abuse their monopolistic position, this would imply that 1% appreciation of the local currency would not lead price decrease of the imported good (or would lead to the decrease less than 1%), while 1% depreciation of the local currency would entail increase of the prices by a higher margin than 1%. To assess the speed and degree of the exchange rate pass-through onto the inflation/prices within a specified time interval, we will apply the methodology of vector autoregression (VAR). As a statistical model, VAR-model is widely used to evaluate the transmission of exchange rate fluctuations on domestic prices and the identification of linear interdependencies between multiple time series. For the purposes of our estimations, we will use quarterly data from first quarter of 2004 to 3rd quarter of 2015, thereby providing 47 observations. Thus, our model will be specified as follows:

$$Y_t = A(L^t)Y_{t-t} + Z_t + E_t,$$

where $Y_t = [\text{monetary mass (M2), exchange rate (exch), CPI (cpi)}]$ – vector of endogenous variables;


$Z_t = [\text{index of world oil prices (oil_price), index of world commodity prices (commodity)}]$ – vector of exogenous variables.

The variables are ordered in this exact sequence, as the exchange rate shock is formed both from its own and monetary shocks, and shocks to those variables together impact the CPI. The data for the endogenous variables are taken from the database of the Central Bank of Armenia, for the exogenous variables – from the database of the International Monetary Fund (IMF), and are presented in logs for further interpretation of the results on the percentage rather than unit level. Eviews 8.0 software will be used to evaluate the given specification. But before moving directly to the estimations, we will firstly check out whether the raw data to be used is stationary or not.

As the graphical analysis show, the variable of monetary mass (M2) has a variable trend in the period under review, for the removal of which the Hodrick-Prescott filter was applied. Further, the extended Dickey-Fuller test (RDF) was used to check for stationary of the time series, the results of which indicate non-stationarity (unit root) of the initial series of monetary mass, exchange rate and the consumer price index (see Table 1).

Table 1. Results of the extended Dickey-Fuller (RDF) test for level and differentiated variables

RDF test: Level variables					RDF test: differentiated variables				
Null Hypothesis: unit root					Null Hypothesis: unit root				
Sample: 2004Q1 2015Q3*					Sample: 2004Q1 2015Q3*				
Time series	Prob.	Lag	Max. lag	Observ.	Time series	Prob.	Lag	Max lag	Obs.
CPI	0.167	4	10	42	CPI	0.008	4	10	41
Exch. Rate	0.201	0	10	46	Exch. Rate	0.000	0	10	45
Mon. Mass	0.478	0	10	46	Mon. Mass	0.000	1	10	44



To solve this problem, the variables were transformed into first differences, and as RDF test results show, the hypothesis of a unit root is rejected for the new setting with 1% statistical significance. Moving on with the estimation characteristics, it should be noted that the results of Granger test indicate the causal link between the exchange rate and inflation (one-sided causality from exchange rate to CPI) with statistical significance of 1%, and between the money supply and inflation (one-sided causality - from money supply to CPI) with statistical significance of 5%. As can be seen from Table 2, the VAR results of our original model specification imply significant exchange rate pass-through for the next four quarters.

In particular, short-term pass-through is estimated to be 0.32 (lag 1), while the medium-term pass-through is 0.46, implying that following the exogenous shock, *ceteris paribus*, a change of the exchange rate by 1% will lead to a 0.32% change in the consumer price index for the first quarter, and 0.46% for the fourth quarter. Some researchers find it unreasonable to enter the variable of money supply into the model to estimate the exchange rate pass-through. This way, following the theoretical settings of modern monetarists, an increase in the money supply would lead to higher prices, and at the same time, to the depreciation of the national currency, which would imply additional inflationary pressures. However, it should be noted here that the exchange rate is one of the interim indicators of the Central Bank's monetary policy, and, thus, appears to be endogenous in respect to money supply fluctuations.

Table 2. Results of VAR estimates of exchange pass-through

Number of the Model	Period under review	Comments to the model specification	Pass-through estimate			
			Lag 1	Lag 2	Lag 3	Lag 4
Model 1	2004Q1:2015Q3	Original	0.3221 (0.4069)	0.1537 (0.4144)	0.7377 (0.4345)	0.4673 (0.5194)
Model 2	2004Q1:2015Q3	Without money supply	0.2788 (0.3672)	0.1432 (0.3776)	0.7101 (0.3992)	0.4053 (0.4668)
Model 3	2004Q1:2015Q3	With IPI	1.2433 (0.8354)	0.8127 (0.6128)	0.9141 (0.1541)	0.9465 (0.3627)
Model 4	2009 Q1:2015Q3	Original	0.9761 (0.7477)	0.4436 (0.4170)	0.3478 (0.8118)	0.1546 (0.4876)


Note: Standard deviations of the coefficients are given in the brackets

Many works deemed the matter from the perspective of bias estimates in case the variable of money supply is omitted. Parsley, Popper (1998)¹ point out that the introduction of the money supply in the system allows to find out the net effect of the exchange rate and monetary policy on changes in the domestic prices. Moreover, if we do not take into account the impact of monetary policy within the

¹ D. Parsley, H. Poper, 1998. "Exchange rates, Domestic Prices and Central Bank Actions: Recent US Experience". Southern Economic Journal, vol. 63, N 4: p. 11

system, the pass-through estimate will be lower than the real ones. The latter can also be traced in our system: in the model 2 (without the money supply variable), we can see that the pass-through was 0.27 in the first quarter, and 0.4 - in the fourth, which is significantly lower than the values in the standard specification, hence our assumption is confirmed. Having an estimate over 1 can be explained by the “safe side effect”: when the national currency depreciates by 1%, importers, feeling high uncertainty, raise their prices by more than 1% in order to minimize the potential consequences of the future similar shocks. Furtherly, we reviewed specification of the model 3, where the pass-through from exchange rate fluctuations onto the index of average import prices (not on inflation) has been estimated. This way, the pass-through was 1.24 in the first quarter, and remained at a high level until the fourth quarter. Many studies in recent years indicate weakening of the pass-through, given the declining volatility of inflation, the transition to the inflation targeting regime in many countries, and the development of foreign exchange markets in those countries. Even though inflation volatility in Armenia decreased in the period of 2009 – 2015 and inflation targeting regime has been declared since 2006, results of the autoregression for the 4th model (see Table 3) indicate a more substantial pass-through in recent years, reaching out to almost 1. To understand these tendencies and identify factors under influence of which the above mentioned characteristics were in place, we would set forth the hypothesis of exchange rate pass-through asymmetry. The latter implies disproportionate response of the CPI to 1% positive or negative change of the exchange rate in the conditions of low and high dollarization of the economy.

Figure 2. Dollarization of the Armenian Economy in 2000 – 2015, in %



For the purposes of testing the hypothesis, we will conditionally divide our sample into the periods of dram appreciation from 1st quarter of 2004 to 4th quarter of 2008, and dram depreciation from the 1st quarter of 2009 to the 3rd quarter of 2015, and estimate the pass-through for each of the periods. As shown in Figure 2, these 2 periods are characterized by varying degrees of dollarization, and, accordingly, it is necessary to make an additional distinction in selected periods, because the degree of dollarization is one of the factors that affect the speed and the margins of the pass-through.

Table 3. Estimates of the exchange rate pass-through onto the inflation for the periods of AMD appreciation/depreciation dependent on the dollarization of the economy			
Number of Lag	Pass-through estimate in the periods of AMD appreciation: 2004Q1 – 2008Q4		Pass-through estimate in the period of AMD depreciation: 2009Q1 – 2015Q3
	High Dollarization: 2004Q1 – 2007 Q2	Low Dollarization: 2007Q3 – 2008 Q4	
Lag 1	0.2939 (0.2816)	0.0922 (0.1198)	0.9761 (0.7477)
Lag 2	0.3227 (0.3525)	0.1897 (0.3651)	0.4436 (0.4170)
Lag 3	0.2918 (0.2114)	0.1423 (0.0918)	0.3478 (0.8118)
Lag 4	0.0962 (0.2351)	0.1184 (0.2234)	0.1546 (0.4876)

Note: Standard deviations of the coefficients are given in the brackets

With the final breakdown of the time intervals, we've conducted respective estimations for each of them. According to the results (see Table 3), AMD depreciation by 1% entails an expected increase in prices by 0.97% in the first quarter, 0.15% in the fourth quarter. At the same time, it can be observed that the proportionate appreciation of dram entails decrease in inflation by only 0.29% in the first quarter and 0.09% in the fourth. It should also be noted that in the last case, the higher pass-through is estimated in the conditions of high dollarization which corresponds to the initial theoretical assumptions.

Summing up the results, we can say that our hypothesis on exchange rate pass-through asymmetry is confirmed: in the case of dram depreciation the pass-through is much larger than in case of the national currency strengthening. This asymmetry can be explained by the factors of inflation expectations by economic agents, the import elasticity to exchange rate fluctuations, or the degree of competition in the market.

Despite the transition to inflation targeting regime from 2006 on, the monetary authorities of Armenia failed to implement a stable monetary policy in curbing and managing of the inflation expectations amongst population as in most cases the targets of the Central Bank of Armenia have not been achieved, thus leading to the population losing its confidence in the Central Bank, as an institution. Given the high dollarization of the Armenian economy and its exogenous dependency, the main indicator forming inflation expectations has grown to be depreciation of the national currency. For this reason, any devaluatory fluctuations have a significant impact on the domestic prices due to a secondary effect induced by inflationary expectations of economic agents. As already noted, one of the possible sources for the revealed asymmetry can be import elasticity to exchange rate fluctuations. This way, the appreciation of the dram leads to cheaper imports and an increase in imports, which, in its turn, entails a rise in the marginal transportation costs. In this conjuncture, import prices reduced by a smaller margin than the appreciation of the dram.

However, a more plausible explanation of the revealed asymmetry is the existing monopolization of the Armenian imports given the high concentration in the Armenian markets of goods represented in the consumer basket. Conceptually, if market enjoys high degree of competition, then in the conditions of dram appreciation, the importers will be more apt to commensurately lower prices in order to maintain

their market position². In the Armenian markets of imported goods, where the level of concentration for a range of food products varies within 60 - 99% interval and which are represented by only one or few companies, there is a completely different picture. In the conditions of dram appreciation from 1st quarter of 2004 to 4th quarter of 2008 the downward pass-through was almost three times less, as importers having monopoly power were not prone to a proportionate decline in prices, and made enormous profits at the expense of dram appreciation in the given period. For a more thorough analysis, let us compare the pass-through margins in the given time intervals separately for food, non-food products and services. As shown in Table 11, the asymmetry of the pass-through is observed in the sectors of food and non-food products, but it's negligible in the service sector. According to the obtained results, regardless the period under consideration, the pass-through margin is highest in the case of non-food products, and in the case of 2nd and 3rd quarters is greater than 1, indicating enactment of the previously mentioned “safe side effect”.

Lag	Food-stuff price index		Non-food stuff price index		Service price index	
	2004Q1: 2008Q4	2009Q1: 2015Q3	2004Q1: 2008Q4	2009Q1: 2015Q3	2004Q1: 2008Q4	2009Q1: 2015Q3
1	0.2871 (0.3201)	0.7821 (0.5768)	0.5693 (0.3921)	0.9272 (0.5443)	0.0019 (0.0012)	0.002 (0.0028)
2	0.3299 (0.1192)	0.8912 (0.6533)	0.5482 (0.3192)	1.0981 (0.6893)	0.0010 (0.0002)	0.001 (0.0011)
3	0.2724 (0.1345)	0.7521 (0.5981)	0.6309 (0.4229)	1.0022 (0.8753)	0.0012 (0.0091)	0.0013 (0.0085)
4	0.1892 (0.1982)	0.6487 (0.2991)	0.5121 (0.3920)	0.8574 (0.5576)	0.0008 (0.0001)	0.0009 (0.0012)

Note: Standard deviations of the coefficients are given in the brackets

The relatively high figures for the latter case can be explained by a different degree of substitution of imported goods by cheaper domestic goods in these sectors. This way, the main food products represented in the consumer basket are cereals, meat, dairy products, butter and vegetable oil, which have analogues of domestic production and, in case prices for the given imported goods rise, they can easily be replaced by their domestic analogues. On the other hand, the largest weight in the non-food consumer basket is covered by private cars, gasoline, medications, clothing and textiles, cosmetics, which, as such, do not have Armenian substituted, hence making switching on cheaper domestically produced goods impossible in case dram depreciates and prices for imported goods rise. It is worth to mention, that the asymmetry margin of the exchange rate pass-through in the non-food sector (the difference between the columns 5 and 4) is much less than the respective indicator in the food sector (the difference between the columns 3 and 2), which indicates weak competition in the latter sector. At the same time, it should be noted that in the case of services, which also includes state-regulated tariffs, we observe neither a pass-through as such, nor asymmetry across the periods under review. This can be explained by the non-tradable nature of services, the weak link between the tariffs regulated by the State and exchange rate fluctuations, as well as the high level of competition in the areas of recreation, communications, education which have the largest weights in the consumer basket of services.

² A. Yakhshibekian, 2014. “Problem of high market concentration in key food markets of Armenia and priorities to develop competition”, Finance and Economics: http://www.fineco.am/pdfs/Ashot_Yakhsibekyan_2.pdf

This observation once again verifies our hypothesis that the transmission of exogenous shocks on inflation in Armenia is distorted due to a number of institutional factors with the most prominent being high monopolization of commodity markets. Thus, fluctuations in world prices of commodities such as gasoline, natural gas, sugar, grain, etc., represented in the consumer basket, as well as dram appreciation/depreciation does not affect the price of similar goods in Armenia in the intended degree, and result in monopolies gaining excessive profits. Validity of the latter can easily be tracked down when considering reports of the State Commission on Protection of Economic Competition (SCPEC) of Armenia³, the RA Tax Service, the Armenian Statistical Office.

Commodity Market	Number of agents on the market		Concentration on commodity markets			
	Previous study	Current study	in percentage		in degree	
			Previous study	Current study	Previous study	Current Study
Flour	43	51	78.9	87.6	High	High
Sugar	21	6	99.9	100.0	High	High
Butter	23	20	84.1	67.6	High	Medium
Eggs	12	6	85.9	80.6	High	High
Frozen fish	11	20	72.5	62.3	High	Medium
Rise	19	28	66.6	62.8	High	Medium
Petroleum	7	5	89.9	93.9	High	High
Gasoline	11	7	76.3	95.1	High	High

*Source: Program of annual activities of 2011 by the State Commission on Protection of Economic Competition (SCPEC) of Armenia, p. 8:
http://competition.am/uploads/resources/vor_arm_2010_09_285prilog.pdf*

As shown in Table 5, the major commodity markets have indeed a high concentration and presented by either absolute monopolies or companies with a dominant position, which substantiates our hypothesis on exchange-rate pass through asymmetry and its reasons.

Bibliography:

1. D. Parsley, H. Poper, 1998. "Exchange rates, Domestic Prices and Central Bank Actions: Recent US Experience". Southern Economic Journal, vol. 63, N 4: p. 11
2. Yakhshibekian, 2014. "Problem of high market concentration in key food markets of Armenia and priorities to develop competition", Finance and Economics:
http://www.fineco.am/pdfs/Ashot_Yakhsibekyan_2.pdf
3. RA SCPEC reports with the calculation of concentration in the commodity markets: www.competition.am
4. Database of the Central Bank of Armenia: <http://databank.cba.am>
5. Database of the Armenian Statistical Office: <http://armstat.am>

³ RA SCPEC reports with the calculation of concentration in the commodity markets are available only until 2011

კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებით

ნანა რამაზაშვილი

საქართველოს კონკურენციის სააგენტო

მთავარი სპეციალისტი

n.ramazashvili@competition.ge

საბჭოური ეკონომიკური მოდელის კოლაფსის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერებას ემსახურებოდა. კონკურენციის პოლიტიკის იმპლემენტაცია კვლავ რჩება თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოწვევად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კონკურენციის პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირების წინაპირობებს უნდა ქმნიდეს, ხშირ შემთხვევაში სწორედ

სახელმწიფო გვევლინება კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევ სუბიექტად, რაც ნეგატიურ ეფექტს ახდენს ეკონომიური თავისუფლების ხარისხზე.

სახელმწიფოები, ერთი მხრივ, გამოხატავენ ნებას კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობა მოიყვანონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში, ხოლო მეორე მხრივ, თავად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები გარკვეულწილად ზღუდავენ თავისუფალ კონკურენციას. შეზღუდვა გამოიხატება მათ მიერ მიღებულ ისეთ

გადაწყვეტილებებსა თუ განხორციელებულ ქმედებებში, რომლებიც თვისობრივად ეწინააღმდეგება თავისუფალი კონკურენციის ძირითად პრინციპებს.

სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის პრაქტიკა განსაკუთრებით დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. სწორედ ამიტომ, განვითარებადი ქვეყნების კონკურენციის კანონმდებლობა როგორც წესი, მოიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უკრძალავს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებას. მაგალითისათვის, უკრაინის კონკურენციის კანონის სამი მუხლი (15, 16 და 17) ეხება სახელმწიფო უწყებების მიერ კონკურენციის კანონდარღვევის ფაქტებს. აღნიშნული მუხლები უკრაინის ანტიმონოპოლიურ კომიტეტს ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებას აკონტროლოს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული კონკურენციის კანონის საწინააღმდეგო ქცევა. კანონი, რეგულირების ქვეშ აქცევს სახელმწიფო დაწესებულებების ფართო სპექტრს, თუმცა რეგულირების გარეთაა დატოვებული პარლამენტი, პრეზიდენტი, მინისტრთა კაბინეტი, სასამართლოები, ეროვნული ბანკი და პროკურორი. ხსენებული კანონის მე-15 მუხლი სახელმწიფო ორგანოებს უკრძალავს ისეთი ქმედებების განხორციელებას (იქნება ეს გარიგებაში შესვლა, ნორმატიული აქტის გამოცემა ან გაბათილება) თუ ისინი იწვევენ/გამოიწვევენ კონკურენციის შესუსტებას ან გაუქმებას. შემდგომი მუხლები მე-15 მუხლის შემავსებელ ნაწილებს წარმოადგენენ. მაგალითად, მე-16 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებს ეკრძალებათ უფლებამოსილების გადაცემა ბიზნეს ერთეულებისათვის, ასოციაციებისათვის ან საწარმოებისათვის, თუ ეს ქმედება იწვევს კონკურენციის შეზღუდვას. ზემო აღნიშნული მუხლების დარღვევის საფუძველზე წარმოებული მოკვლევები ანტიმონოპოლიური კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენს. ყველაზე გავრცელებულ კანონდარღვევის ფორმად შედგავთების მინიჭება და კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ლეგიტიმაცია განიხილება.

აღსანიშნავია, რომ გარდა განვითარებადი ქვეყნებისა, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ჩანაწერების არსებობის პრაქტიკა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც აქტუალურია. შედარებისათვის, რუმინეთის კონკურენციის კანონის მე-9 მუხლი საჯარო ინსტიტუტებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე უკრძალავს ისეთი აქტების მიღებას, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას ან დისკრიმინაციას უკეთებს ბაზრის მოთამაშეებს. რუმინეთის კონკურენციის საბჭოს უფლებამოსილება აქვს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ემსახურება კონკურენტული გარემოს აღდგენის მიზანს. როგორც წესი, აღნიშნული მუხლის დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევები რუმინეთის კონკურენციის საბჭოს მიერ იწყება საკუთარი ინიციატივით ან არაფორმალური საჩივრის საფუძველზე. მოკვლევის დროს საბჭო აღჭურვილია ყველა იმ საშუალებით, რომელთა გამოყენებაც მას შეუძლია ე.წ. „ნორმალური“ მოკვლევების დროს. აღნიშნული მუხლი განსაკუთრებით ეფექტიანად სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში კონკურენციის დარღვევის ფაქტების შესწავლის დროს გამოიყენება.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებაში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაც არ წარმოადგენს გამონაკლისს და ისეთივე წარმატებით ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის კანონის დარღვევის ფაქტებს, როგორც ამას, მაგალითად, უკრაინის კონკურენციის კანონი ემსახურება. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით „სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვა დაუშვებელია“¹. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონი უკრძალავს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც იწვევენ კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ასეთი ქმედებები შესაძლოა იყოს:

- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას;
- ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას;
- ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება;
- საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას;
- ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას.

როგორც საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკამ აჩვენა, მე-10 მუხლის დარღვევა განსაკუთრებით თავს იჩენს სახელმწიფო შესყიდვების წესით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში. მე-10 მუხლის დარღვევის საფუძველზე სააგენტოს მიერ განხორციელებული მოკვლევების უმეტესი ნაწილი სწორედ ელექტრონულ ტენდერებში დაწესებულ შეზღუდვებსა და ხელოვნურ ბარიერებს ეხება.

¹ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ შესყიდვებში დახარჯული თანხა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 12%-ს შეადგენს². სახელმწიფო შესყიდვის პროცესში კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა კი შესყიდვების პროცესის ეფექტიანი მართვის ქვაკუთხედაა. მიმწოდებლების რაოდენობის ზრდა ქმნის უკეთეს კონკურენტულ გარემოს შესყიდვის პროცესში, ისევე, როგორც შესყიდვის ფასის შემცირების უკეთეს წინაპირობებს. შესაბამისად, კონკურენცია ხელს უწყობს სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვასაც, რაც სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზებისას ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

როგორც შესაბამისი ბაზრების შესწავლიდან გამოიკვეთა, სახეზეა შემდეგი ტენდენცია: ერთი მხრივ, სახელმწიფო ქმნის ლიბერალურ კლიმატს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების პროცესში საქონლის/მომსახურების მიმწოდებლების სახით არიან წარმოდგენილნი, ხოლო მეორე მხრივ, თავად სახელმწიფო ზღუდავს მათ სამეწარმეო საქმიანობას მათთვის დამატებითი პირობებისა და ხელოვნური ბარიერების დაწესების გზით. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები პირდაპირ ან ირიბად ცდილობენ შედარებით უფრო გამოცდილ და უფრო „დიდ“ მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებას მომსახურებისა და საქონლის მიწოდების სანაცვლოდ.

შედარებისათვის, სადაზღვევო კომპანიების მიერ გაწეული საქმიანობის შესყიდვის დროს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კომპანიებს სთხოვენ ისეთი მახასიათებლების დაკმაყოფილებას, რომელთა საფუძველზეც ხდება სადაზღვევო კომპანიების წრის შეზღუდვა. ასეთი შეზღუდვების დაწესების პროვოცირებას გარკვეულწილად საფინანსო ბაზრების გამჭვირვალე სტატისტიკა წარმოადგენს. ვინაიდან სადაზღვევო კომპანიების ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლები საჯაროა, შემსყიდვლები ფლობენ ინფორმაციას თითოეული ასეთი მაჩვენებლის შესახებ. ხელისუფლების ორგანოები ხელოვნურად შექმნილი ბარიერების დაწესებით უპირატესობას ანიჭებენ შედარებით მძლავრი ფინანსური მაჩვენებლებისა და ხანგრძლივი გამოცდილების მქონე კომპანიებს. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებლების კონკრეტული ზღვრების დაწესებით (ასეთი შეიძლება იყოს მოზიდული/გამომუშავებული პრემიის კონკრეტული ოდენობის მითითება, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სადაზღვევო კომპანია), ხდება შესაძლო მიმწოდებელი სადაზღვევო კომპანიების წრის შევიწროება.

მეორე მხრივ, თუ მომსახურების მიწოდება სადაზღვევო და საფინანსო სექტორის მიერ თანაბარი წარმატებით ხორციელდება, აქ შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები უპირატესობას ამ უკანასკნელი სფეროს წარმომადგენლებს ანიჭებენ, ვინაიდან ამ „უფრო საიმედო“ ინსტიტუტებად განიხილებიან. მიზეზად კომერციული ბანკების მაღალი გადახდისუნარიანობის ფაქტორი სახელდება. ასეთი სახის შეზღუდვის დაწესება კი ორმაგი ეფექტი აქვს. მაგალითად, როდესაც ხდება მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარდგენის მოთხოვნა, ერთი მხრივ, კონკურენცია იზღუდება საბანკო გარანტიების გაცემის ბაზარზე კომერციული ბანკების სასარგებლოდ, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო აფერხებს იმ მიმწოდებლების სამეწარმეო საქმიანობას, რომლებიც შეზღუდულ დროში ვეღარ იღებენ კომერციული ბანკებისაგან საბანკო გარანტიებს, თუმცა მათი მიღება შეუძლიათ სადაზღვევო კომპანიებისაგან. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ სადაზღვევო სექტორი წარმოადგენს რეგულირებად სფეროს და ზედამხედველი აკონტროლებს თითოეული სადაზღვევო კომპანიის საქმიანობას. აღნიშნული პრაქტიკაც ორმაგი სახის მატარებელია, კერძოდ, სახელმწიფო ქმნის მარეგულირებელს,

² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში - http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/Angarishi_2016_geo_web.pdf.aspx

რომელიც შემსყიდველი სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ, თავად სახელმწიფო „არ/ვერ ენდობა“ ზედამხედველს და უზღუდავს მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ კერძო კომპანიებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების თავისუფლებას.

მე-10 მუხლის დარღვევის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო წინადადებები ან/და რეკომენდაციები შესაბამის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით. თუმცა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელმწიფოს 100%-იანი წილით დაფუძნებული საწარმოებთან სააგენტოს მიმართება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ შესყიდვების პროცესის ორგანიზების დროს ასეთი საწარმოებიც ისევე წარმატებით აწესებენ ხელოვნურ ბარიერებს და შემზღუდველ პირობებს, როგორც დანარჩენი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საწარმოების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვები საკმაოდ მოცულობითია და მათ მიერ დაწესებულმა ხელოვნურმა ბარიერებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სააგენტო მსგავსი ტიპის საწარმოებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას პირდაპირ ვერ უდგენს, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ „კონკურენციის შეახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დარეგულირებულ სუბიექტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათთვის რეკომენდაციების მიცემა ხორციელდება ირიბი გზების მეშვეობით.

მაინც რატომ ზღუდავენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კონკურენციას? მიზეზი ისევ და ისევ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ერთმანეთის უნდობლობასა და არაეფექტიან საკანონმდებლო ნორმების არსებობაში უნდა ვეძიოთ. მიუხედავად იმისა რომ საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე მრავალი ნორმატიული აქტის ჰარმონიზაცია განხორციელდა, მაინც რჩება ისეთი საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც თანამედროვე პრაქტიკასთან დაახლოებას საჭიროებენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილია კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოს გაძლიერება. მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართ საქართველოს კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია გასცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები, გაცემული რეკომენდაციის აღსრულების კუთხით სააგენტო მხოლოდ გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგით შემოიფარგლება. შესაბამისად, ამ მიმართულებით კონკურენციის სააგენტოს უფლებების გაძლიერება მნიშვნელოვანი ასპექტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Eleanor M. Fox., Deborah Healey., When the State Harms Competition – the Role for Competition Law, Antitrust Law Journal No.3 (2014).
2. UNCTAD Research Partnership Platform Publication Series, Competition Law and the State, Competition Laws Prohibitions of Anti-competitive State acts and Measures, 2015.
3. OECD Publication: Competition Law and Policy in Romania, a peer review, 2014.
4. OECD Publication: Ukraine - Peer Review of Competition Law and Policy 2008.
5. www.competition.ge
6. www.spa.ge
7. www.oecd.org
8. www.unctad.org

Competition Law Enforcement towards State Authorities

Nana Ramazashvili

Georgian Competition Agency

Chief Specialist of Economic Competition Protection Department

n.ramazashvili@competition.ge

R e s u m e

This article discusses anti-competitive conduct by the state authorities. On the one hand, state express willing to implement well designed competition policy but on the other hand, state authorities may act to impede or hinder market competition. Anti-competitive acts and actions of state bodies are a major part of the Georgian Competition Agency's caseload. Such acts and actions are mainly discussed from the procurement procedures perspective. Due to high importance, the article firstly elaborates practical problems Georgian Competition Agency faces in its work and then, suggests some possible solutions to eliminate the state body's anti-competitive behavior.

ურთერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტის ფუნქცია და მიზანშეწონილობა ქართულ კონკურენციის სამართალში

ნიკა სერგია

აიპ „ნიუ ვივენ უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის დოქტორანტი
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს
სამმართველოს უფროსი

სხვადასხვა ზეგავლენის თუ ისტორიული მიზეზის გამო საქართველოში კონკურენციის სამართალს ხშირად ანტიმონოპოლიურ სამართლად მოიხსენიებენ. ეს უპირატესად იმითაა განპირობებული, რომ დღევანდელი კონკურენციის სააგენტოს წინამორბედ ორგანოს ანტიმონოპოლიური სამსახური ერქვა, ხოლო იმ კანონს, რომლის ჩარჩოებშიც სამსახური მოქმედებდა, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი.

ვიწრო გაგებით, მონოპოლიური საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას გულისხმობდეს და შეიძლება ისიც ჩავთვალოთ, რომ ეს სახელწოდება ამ მხრივ არასწორი იყო. თუმცა სემანტიკური გაუგებრობის გასაღები კონკურენციის კანონმდებლობის პრევენციულ ხასიათშია. კერძოდ, სამართლის ამ დარგის დანარჩენი ორი ძირითადი მიმართულება (კარტელები და კონცენტრაცია) მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ არ წარმოიშვას დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტი, ან სუბიექტთა ჯგუფი ბაზარზე, რომელსაც შეეძლება თვითონ უკარნახოს ბაზრის დანარჩენ მონაწილეებს თამაშის წესები. მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა დავაზუსტოთ ისიც, რომ თავისთავად, დომინირებული მდგომარეობა არ წარმოადგენს პრობლემას, არამედ აკრძალულია მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენება.¹

შესაბამისად, სამივე შემთხვევაში - იქნება ეს კარტელები, კონცენტრაცია, თუ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, საქმე გვაქვს თვისობრივად და პოლიტიკურად ერთი და იმავე ხასიათის მქონე რეგულაციასთან. განსაკუთრებით კი ეს ეხება კარტელებსა და კონცენტრაციას.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედი რეგულაცია ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან ცნებასა და ინსტიტუტს, რომლებიც განსაზღვრავენ კანონმდებლობის სამი ძირითადი მიმართულების - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებებისა და კონკურენციის შემზღვეველი კონცენტრაციის - ეფექტიან ფუნქციონირებას. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ ურთიერთდამოკიდებული პირების ცნება, გამონაკლისები კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებებიდან და შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაცია. ამ ინსტიტუტების მოქმედი მოწესრიგებაში საინტერესოა ის სამართლებრივი მდგომარეობა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაცია შეტყობინებას არ საჭიროებს, მაშინ, როცა მათ შორის ჰიპოთეტური კარტელი (მაგ. შეთანხმება სარეალიზაციო ფასზე), ჯარიმის დაკისრების საფუძველი გახდებოდა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაარკვიოს, არსებობს თუ არა შინაარსობრივი კოლიზია ზემოხსენებული ინსტიტუტების მომწესრიგებელ ნორმებს შორის, ხოლო თუ არსებობს, რომელი მათგანის ცვლილება იქნებოდა მიზანშეწონილი.

¹ Jones, Alison/Sufrin, Brenda, EU Competition Law, Oxford University Press, 2014, p.297

საინტერესოა ის ეკონომიკური მოცემულობა, რომ მონოპოლიური ფასწარმოქმნისთვის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს მონოპოლიური საბაზრო სტრუქტურა. მონოპოლიურ სტრუქტურაში ამ შემთხვევაში მოვიაზრებთ ისეთ საბაზრო მოცემულობას, სადაც მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ერთი, ან ერთადერთი ეკონომიკური აგენტი მოქმედებს.

რაც შეეხება მონოპოლიურ ფასწარმოქმნას, იგი გულისხმობს საფასო პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც გამყიდველი აწესებს ფასს საკუთარი მოგების მაქსიმიზაციისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ მასზე არ მოქმედებს კონკურენციული წნეხი კონკურენტების მხრიდან, ან მყიდველის ძალაუფლება.²

ზემოთ მოყვანილი დეფინიცია მოიცავს რამდენიმე განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც მიუთითებს იმ ძირითად წინაპირობებზე, რომლებიც აუცილებელია მონოპოლიური ფასწარმოქმნის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. მათგან უმთავრესს წარმოადგენს კონკურენციული წნეხის არარსებობა კონკურენტების მხრიდან. შესაბამისად, მონოპოლიური ფასწარმოქმნის შესაძლებლობას იძლევიან ისეთი საბაზრო სტრუქტურები, სადაც მიმწოდებელს ან მიმწოდებელთა გარკვეულ ჯგუფს აქვს საშუალება არ გაითვალისწინოს კონკურენტთა კონკურენციული წნეხი.³ ასეთად შეგვიძლია განვიხილოთ ჯგუფური დომინირებული მდგომარეობა (ოლიგოპოლია), ან კარტელური შეთანხმება - როცა მიმწოდებელთა გარკვეული ჯგუფი მოქმედებს ერთიანი ეკონომიკური ინტერესის მიხედვით და ისინი რეალურ კონკურენციაში არ არიან ერთმანეთთან.⁴

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებლის გადმოსახედიდან ერთნაირი შედეგი აქვს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დაწესებულ X ფასსა და რამდენიმე არადომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის შეთანხმების შედეგად მათ მიერ დაწესებულ იმავე ფასს, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ბაზრის უმეტეს ნაწილზე მომხმარებელს არ აქვს საშუალება სხვა ფასად შეიძინოს საქონელი.⁵

შესაბამისად, შესაძლოა, სახეზე იყოს, ერთი შეხედვით, არამონოპოლისტური ბაზარი, სადაც მოქმედებს რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, თუმცა ამავედროულად, ბაზარი მოქმედებდეს მონოპოლისტური ფასწარმოქმნის პრინციპით, მაგ. კარტელის შემთხვევაში⁶. აღნიშნული ერთი მხრივ იძლევა მინიშნებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აღიქმება კონკურენციის სამართალი ხშირ შემთხვევაში ანტიმონოპოლისტურ სამართლად მეორე მხრივ კი აჩენს კითხვებს ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი მოქმედების (შეთანხმების, ან კოორდინაციის სხვადასხვა მეთოდის შედეგად) და მათი გაერთიანების (შერწყმის) ეკონომიკური ბუნების ერთიანობასთან დაკავშირებით, რაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

კარტელი და კონცენტრაცია თითო წინადადებით რომ დავახასიათოთ, პირველი მათგანი წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებას კონკრეტული მოქმედების/გარიგების ფარგლებში, ამ მოქმედების ერთობლივად ან ერთნაირად, ან შეთანხმებისამებრ განხორციელების შესახებ, ხოლო კონცენტრაცია წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა „გაერთიანებას“, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს როგორც ერთი კონკრეტული მოქმედების ფარგლებში, ასევე მუდმივი თანამ-

² Jones, Alison/Sufrin, Brenda, EU Competition Law, Oxford University Press, 2014, p. 394

³ Whish, Richard/Bailey, David, Competition Law, Oxford University Press, London, 2015, p.198

⁴ Spulber Daniel F., Monopoly Pricing, J. L. Kellogg Graduate School of Management, Northwestern University, 1993, p 6

⁵ ამ ნაშრომის ფარგლებში ფასში იგულისხმება ნებისმიერი რელევანტური პირობა, რომელიც გავლენას ახდენს საქონლის ან მომსახურების ღირებულებაზე. შესაბამისად, როცა ვსაუბრობთ ფასზე, ვგულისხმობთ რეალიზაციის პირობას (ავტ. შენ.).

⁶ ob. Rittner/Kulka, Wettbewerbs- und Kartellrecht, 7. Aufl, C.F.Müller Verl., Heidelberg., 2008, s. 293 ff

შრომლობისა და გაერთიანების შესახებ შეთანხმებასაც⁷. გაერთიანება ამ შემთხვევაში არ გულისხმობს აუცილებლად შერწყმას, რაც იმითაც დასტურდება, რომ კანონმდებლებმა კონცენტრაციად ჩათვალა როგორც შერწყმა, ასევე მე-11 მუხლში ჩამოთვლილი სხვა მოქმედებებიც, როგორცაა ხელმძღვანელი პირების „მიმოცვლა“, წილის/საკონტროლო პაკეტის შექმნა და სხვა. აღნიშნულით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეკონომიკური შედეგები საბაზრო კონკურენციის მიმართ ერთნაირად დადგება როგორც უშუალოდ შერწყმის (ერთ იურიდიულ პირად რეგისტრაციის) ასევე სხვა დანარჩენი შემთხვევების დადგომის დროსაც.

მეორე მხრივ, კარტელის აკრძალვის ძირითადი მიზანია ის, რომ შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ქმედებების ურთიერთდამსგავსებით, რომელიც განპირობებული იქნება არა თავისუფალი ბაზრის ზემოქმედებით, არამედ ხელოვნური ჩარევით, არ მოხდეს იმ კონკურენციის გამორიცხვა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომ არა ეს შეთანხმება. ანუ მიზანია, „რამდენიმე“ არ გახდეს „არსებითად ერთი“, ანუ უტრირებულად რომ ვთქვათ, არ ჩამოყალიბდეს მონოპოლია.

იგივე პრინციპი მოქმედებს კონცენტრაციის შემთხვევაშიც - რეგულირების მიზანი არის ის, რომ კონკურენტებს შორის არსებული კონკურენცია არ გამოირიცხოს იმით, რომ ისინი გახდებიან „არსებითად ერთნი“ და მათ შორის კონკურენციამ ეკონომიკური აზრი დაკარგოს. შესაბამისად, სქემატურად, ჰორიზონტალური კონცენტრაცია და ჰორიზონტალური კარტელი მეტწილად ერთი და იმავე ეკონომიკური შინაარსის მატარებელია - ორივე მათგანი გამორიცხავს კონკურენციას იმ გზით, რომ ხდება პოტენციური კონკურენტების გაერთიანება და ამოქმედება როგორც ერთი სუბიექტისა.

ამავე დროს კანონი კონცენტრაციად არ განიხილავს შემთხვევას, როცა შერწყმის, ან მე-11 მუხლის დანარჩენი პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებების მონაწილენი არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. რაც ბუნებრივია, იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია გაერთიანება აუკრძალო, ან სამართლებრივი რევიზიას დაუქვემდებარო მათ, ვინც უკვე არის გაერთიანებული.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კონკურენციის შესახებ საქართველოს მოქმედ კანონში არაფერია მითითებული ურთიერთდამოკიდებულების, როგორც კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების რეგულირებიდან გამონაკლისისადმი მიკუთვნების საფუძვლის თაობაზე.⁸

საყოველთაოდ მიღებულია, რომ საბაზრო სტრუქტურას კაპიტალის კონცენტრაციის კონკრეტული ფორმები ქმნის. მაგალითად, თუ საბაზრო კაპიტალი კონცენტრირებულია ერთი ეკონომიკური აგენტის, ან ერთი ჯგუფის ხელში, საბაზრო სტრუქტურა მონოპოლისტურია, თუ ის რამდენიმე მსხვილ ეკონომიკურ აგენტს შორისაა გადანაწილებული, მონოპოლიური სტრუქტურა იქმნება, ხოლო თუ იგი გადანაწილებულია ბევრ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს შორის, საქმე გვაქვს კონკურენტულ ბაზართან. რა თქმა უნდა, აქ ბევრი სხვა ფაქტორიც გასათვალისწინებელია, თუმცა, საბაზრო სტრუქტურის ფორმირებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას სწორედ კაპიტალის კონცენტრაცია ახდენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ ერთი ეკონომიკური ჯგუფის, ანუ საერთო კაპიტალის გარშემო გაერთიანებული პირები ერთმანეთთან რეალურ კონკურენციაში არ იმყოფებიან, ან თუ იმყოფებიან, ისინი ერთმანეთის შემავსებელ საქონელსა და მომსახურებას სთავაზობენ ბაზარს. კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ Procter & Gamble⁹.

⁷ Monti, M., Fighting Cartels Why and How?, 3rd Nordic Competition Policy Conference, 11-12 sept, 2000, ციტირებულია: Jones, Alison/Sufrin, Brenda, EU Competition Law, Oxford University Press, 2014, p.666

⁸ იხ., კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი 2017 წ. აგვისტოს მდგომარეობით

⁹ https://en.wikipedia.org/wiki/Procter_%26_Gamble

უნდა აღინიშნოს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საგადასახადო კანონმდებლობისა და კონკურენციის კანონმდებლობის მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია. შესაბამისად, რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ურთიერთდამოკიდებულ პირებად მიჩნევა საგადასახადო კოდექსში სხვა მიზნით ხორციელდება და იგი არ ემთხვევა კონკურენციის კანონმდებლობის მიზანს. საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია გაფართოვდეს ურთიერთდამოკიდებულ პირთა წრე და შესაბამისად, საბაზრო ფასზე ნაკლები ფასით განხორციელებული ოპერაციების საბაზრო ფასით დაბეგრისა და კონტროლირებული საერთაშორისო ოპერაციების არეალი. ხოლო კონკურენციის კანონმდებლობისათვის, სადაც ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული კონცენტრაციები რეგულირების მიღმა რჩება, ამ წრის გაფართოების აუცილებლობა არ დგას.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11² მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციად არ ჩაითვლება ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები და შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს არ დაეკისრებათ სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინების ვალდებულება, თუ კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებულ პირების მონაწილეებს ეხება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან საგადასახადო კოდექსით ასეთად მიჩნეული პირები, მაგალითად, ნათესავები, ან ნათესავების მიერ მართული კომპანიები.

შესაბამისად, ვიღებთ სამართლებრივ მოცემულობას, რომელშიც ორი ძმის ორი სხვადასხვა კომპანია ნებისმიერ დროს შეიძლება შეერწყას ისე, რომ საჭირო არ გახდეს კონცენტრაციის შეტყობინება კონკურენციის დაცვის ოფისში, რაც მსოფლიოში არსებული მაგალითების (Adidas & Puma¹⁰) ფონზე კონკურენციის კანონმდებლობის მიზანს აცდენილი ჩანს. გარდა ამისა, კონკურენციის სამართლებრივად რელევანტურად ჩაითვლება ქორწინება ორი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ, ან მფლობელ პირებს შორის.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ურთიერთდამოკიდებული პირები მხოლოდ ოთხჯერ არის ნახსენები, აქედან სამჯერ ცნების განმარტებისას, კანონის მე-3 მუხლში, ხოლო ერთხელ კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულებისგან გათავისუფლების კონტექსტში, მე-11² მუხლში. რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებებთან მიმართებით კანონმდებელი არ იყენებს აღნიშნულ ინსტიტუტს, არც აკრძალვიდან გამონაკლისის და არც სხვა რომელიმე კონტექსტში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი პირდაპირ არ მიუთითებს ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კარტელური შეთანხმების არსებობის თეორიულ შესაძლებლობაზე და არც საგამონაკლისო ნორმებში გვხვდება რაიმე მინიშნება ამ საკითხზე, ცალსახა განცხადების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კარტელური შეთანხმება ისევე დასჯადია, როგორც სხვა, ჩვეულებრივ შემთხვევაში, მაინც შეუძლებელია. ამის თქმის საფუძველს, ყველაზე მცირე, იძლევა ის გარემოება, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირთა სხვადასხვა სახე მართალია სამართლებრივად ერთი და იმავე რეგულირების ქვეშ ექცევა და თანაბარი სტატუსით სარგებლობს, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, კავშირის სხვადასხვა ხარისხით გამოირჩევა. შესაბამისად, საჭირო ხდება ნორმის თელეოლოგიური ანალიზი და კანონმდებლის მიზნის დადგენა.

რეალურ სამართლებრივ პრობლემას ურთიერთდამოკიდებულ პირებთან მიმართებით ქართულ კონკურენციის სამართალში ქმნის წინააღმდეგობრივი კითხვა იმასთან დაკავშირებით,

¹⁰ <http://www.newsweek.com/history-adidas-and-puma-86373>

რომ თუ კანონმდებელი თვლის, რომ ურთიერთდამოკიდებული პირები განხილულ უნდა იქნას როგორც საბაზრო ძალაუფლების ერთიანი სუბიექტი და მათი კონცენტრაცია კონცენტრაციად არ ითვლება, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებული ხელშეკრულება, მაგალითად შეთანხმება ფასზე, ჩათვლება თუ არა კარტელად, იმის გათვალისწინებით, რომ პირდაპირი დათქმა ამის თაობაზე კანონში არ არსებობს? აღნიშნულთან მიმართებით შესაძლებელია განმარტების რამდენიმე ვარიანტის განხილვა, რის საფუძველზეც, გამორიცხვის მეთოდით უნდა მივიდეთ რეალურ შეფასებამდე. ვინაიდან ურთიერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტის ფუნქცია არაერთგვაროვნად არის მოწესრიგებული კარტელებისა და კონცენტრაციის ნაწილში, ხოლო ეს ორი უკანასკნელი ინსტიტუტი ეკონომიკური შინაარსით ერთმანეთთან ახლოს დგას (იხ. წინამდებარე ნაშრომი, ნაწ. II, 1.2.), საჭიროა ან ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოყალიბდეს ურთიერთდამოკიდებულ პირებთან მიმართებით, ან დადასტურდეს განსხვავებული მიდგომის აუცილებლობა, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოიძებნოს ერთმნიშვნელოვანი მოწესრიგების მოდელი კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების ნაწილში, რაც დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არ გვაქვს. შესაბამისად, განსახილველად გვრჩება განმარტების ორი მოდელი: 1. კონცენტრაციის ნაწილში არსებული გამონაკლისი გავრცელდეს კარტელების შემთხვევაშიც. 2. ნორმები განიმარტოს ისე, რომ კონცენტრაციის ნაწილში არსებული გამონაკლისი არ გავრცელდეს კარტელებზე

თუ მიზანშეწონილად მივიჩნევთ განმარტების მეორე მოდელს, ტექნიკურ-სამართლებრივად, პრობლემა მოგვარებული იქნება და საჭირო იქნება მხოლოდ დამაზუსტებელი ჩანაწერი კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების რეგულირების ნაწილში. ხოლო თუ ავირჩევთ პირველ მოდელს, მოგვიწევს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია თვით კონცენტრაციის ნაწილში მოცემული გამონაკლისი ურთიერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტზე იყოს დამოკიდებული და არის თუ არა საჭირო, შემოვიღოთ ახალი, საერთო მიდგომა ორივე ინსტიტუტისთვის, ხოლო ურთიერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტზე ვთქვათ უარი.

იმ შემთხვევაში, თუ ნორმებს განვმარტავთ ისე, რომ ურთიერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტი ვრცელდება მხოლოდ კონცენტრაციის რეგულირებაზე, ხოლო კარტელების შემთხვევაში არ მოქმედებს, ტექნიკურად არ იარსებებს კითხვები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამავდროულად, პრობლემად დარჩება შინაარსობრივი წინააღმდეგობა „ერთობლივი მოქმედებისა და „გაერთიანების, როგორც მსგავსი ეკონომიკური შინაარსის მქონე ცნებების მიმართ განსხვავებული სამართლებრივი მიდგომის კუთხით.

ამ შემთხვევაში ისევ გვექნება სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც ურთიერთდამოკიდებულ პირებს ერთი მხრივ აძლევს უფლებას, ყოველგვარი დამატებით ბარიერის გარეშე შექმნან მაგ. ერთობლივი საწარმო (წარმოადგენს კონცენტრაციის ფორმას), ამ საწარმოს მოქმედების ფარგლებში შეათანხმონ ნებისმიერი, კომერციულად რელევანტური საკითხი, ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა ამ საწარმოს მართვასა და მისი პოლიტიკის წარმართვაში, თუმცა, მეორე მხრივ ამავე ურთიერთდამოკიდებულ პირებს, არ ექნებათ უფლება ერთმანეთთან შეათანხმონ სამოქმედო ტერიტორია, ან წარმოებული საქონლის სარეალიზაციო ფასი, ან სხვა სარეალიზაციო პირობა.

მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს კონკურენციის სააგენტომ უკვე განიხილა ერთი საქმე, რომელიც უკავშირდებოდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კარტელის თეორიულ შესაძლებლობას¹¹. კერძოდ, სმარტფონებისა და სხვა ციფრული ტექნიკის ბაზარზე მოქმედმა ერთ-ერთმა ეკონომიკურმა აგენტმა სააგენტოში უჩივლა ბაზრის სხვა სამ მონაწილეს, რომლებსაც

¹¹ იხ. სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის 04/186 ბრძანება

საცალო სარეალობაციო ფასების შეთანხმებაში ადანაშაულებდა. სააგენტომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კომპანიები წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანის დირექტორი მეორე კომპანიაში 50%-იან წილს ფლობდა და ამავდროულად, მისი მეუღლე მესამე კომპანიაში 28%-იანი წილის მესაკუთრე იყო. მიუხედავად ამისა, სააგენტომ მიიჩნია, რომ ამ პირების ურთიერთდამოკიდებულება არ წარმოადგენდა განმსაზღვრელ ფაქტორს მათ შორის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების სავარაუდო არსებობის გამოსარიცხად თეორიულ დონეზე.

პრაქტიკულად, ამ გადაწყვეტილებით სააგენტომ განმარტა, რომ ურთიერთდამოკიდებულება, როგორც წინაპირობა მიემართება მხოლოდ კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულებისგან გათავისუფლებას, ხოლო კარტელის მოწესრიგების მიმართ იგივე პრინციპი არ მოქმედებს. საინტერესოა ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ საქმეში განსახილველი სადავო პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა იქორწინა მეორე ეკონომიკური აგენტის 28%-იანი წილის მფლობელზე, რითაც აღნიშნული ეკონომიკური აგენტები კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად ურთიერთდამოკიდებულნი გახდნენ. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ამ ეკონომიკური აგენტების შერწყმა, მათ მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, ერთ-ერთის მიერ მეორის შექმნა და ა.შ. აღარ საჭიროებდა კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას და მიჩნეული იქნებოდა მართლზომიერად. ამავდროულად, სააგენტომ მოკვლევის დაწყების შესახებ ბრძანების გამოცემით, დაადასტურა, რომ არსებობდა გონივრული ეჭვი კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების არსებობის შესახებ, რითაც მიუთითა, რომ შეთანხმება აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს შორის საცალო სარეალობაციო ფასზე დაკვალიფიცირდებოდა, როგორც კანონდარღვევა (მისი დადასტურების შემთხვევაში).

კონკურენციის სააგენტომ ზემოთ განხილულ შემთხვევაში პირდაპირი გრამატიკული განმარტების მეთოდის გამოყენებით, უარი თქვა მსჯელობაზე კონცენტრაციისა და კარტელის ეკონომიკური შინაარსის მსგავსებისა და კანონმდებლის მიზნის შესახებ და მიიჩნია, რომ მოცემული სამართლებრივი მოწესრიგების პირობებში შეუძლებელია კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულებასთან მიმართებით არსებული დანაწესები გავრცელდეს კარტელის მომწესრიგებელ ნორმებზეც. სააგენტომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში, ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია მაშინაც, თუ დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ურთიერთდამოკიდებულებული პირების ცნების ქვეშ კანონი მოიაზრებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, ნათესავებისა და მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ჩათვლით, ხოლო კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობის გამორიცხვა პირთა ამდენად ფართო წრისათვის შეეწინააღმდეგებოდა კანონის მიზანს, დაიცვას და უზრუნველყოს კონკურენცია ბაზრის შესაძლო მაქსიმალურ ნაწილზე.“

თუმცა აქ საინტერესოა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საკითხის განხილვისას სააგენტომ დამატებით შემოიტანა ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის (single economic entity) ცნება. აღნიშნულ ცნებას და მისი გამოყენების მიზანშეწონილობას ქვემოთ უფრო ფართოდ განვიხილავთ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ნორმის პირდაპირი გრამატიკული მეთოდით განმარტება და დიფერენცირებული მიდგომა კარტელისა და კონცენტრაციის შემთხვევებთან მიმართებით ვერ იძლევა შესაბამის შედეგს პრობლემის მოგვარების კუთხით და იკვეთება დამატებითი ცნებებისა და რეგულაციების შემოტანის საჭიროება (რაც განახორციელა კიდევ სააგენტომ)¹².

¹² იხ. სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის 04/186 ბრძანება

მეორე მხრივ, პრობლემურია ასევე ერთიანი მიდგომაც. კერძოდ, თუ გავავრცელებთ კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულებისგან გათავისუფლების ნორმის ეკონომიკურ შინაარსს კარტელებზეც, მართალია მოვავარებთ არსებითად ერთნაირი ეკონომიკური აზრის მქონე ქმედებების მიმართ განსხვავებული მიდგომის პრობლემას, მაგრამ ამან შესაძლოა მიგვიყვანოს მეორე უკიდურესობამდე, სადაც ნათესავების კომპანიებს შეეძლება ერთმანეთს შეუთანხმონ კომერციულად სენსიტიური ნაბიჯები და შექმნან კარტელი, მაშინ როცა ისინი ჩვეულებრივ კონკურენტებს უნდა წარმოადგენდნენ (შეგვიძლია მოვიყვანოთ ისევ Adidas & Puma მაგალითი).

ზემო აზრებში დასმული საკითხი მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა რეალურად მდგომარეობს არა ნორმის მოქმედების არეალის განჭვრეტადობაში, არა კრიტერიუმის გამოყენების სფეროს დადგენაში, არამედ თვით ნორმასა და კრიტერიუმში, კერძოდ, ურთერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტში.

ევროპულ კონკურენციის სამართალში, განსხვავებით ქართულისგან, არ არსებობს ურთერთდამოკიდებული პირების ცნება ანალოგიურ კონტექსტში. კერძოდ, ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს კარტელთან თუ კონცენტრაციის შეტყობინებასთან, ყურადღება ექცევა რეალური ავტონომიისა და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობის საკითხს.

კერძოდ, როგორც ცნობილია, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლი კრძალავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი ხელშეკრულების დადებას, ისეთი გადაწყვეტილების მიღებას ან ისეთი შეთანხმებული ქმედების განხორციელებას, რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა¹³. აღნიშნული ნორმიდან და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკიდან ნათელია, რომ კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი მხარე. იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ეკონომიკური აგენტი ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ რეალურად, ბაზარზე მოქმედებს, როგორც ერთიანი სუბიექტი, ევროკავშირის სამართალში გამოიყენება „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ (ე.წ. “Single economic unit”) დოქტრინა. სწორედ რეალური ავტონომიისა და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობაა ის გადამწყვეტი კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის შეფასებისთვის.

საქმეში T-11/89, *Shell International Chemical Company v Commission* ევროკავშირის გენერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „ეკონომიკური აგენტი“ (ინგლ. “Undertaking”) მოიცავს „ისეთ ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებსაც ახასიათებთ პერსონალის, მატერიალური და არამატერიალური ელემენტების ისეთი ერთობლივი ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური, გრძელვადიანი ეკონომიკური მიზანი და შეუძლიათ ხელი შეუწყონ აღნიშნულ მუხლში [TFEU 101] მოცემული დარღვევის ჩადენას“.¹⁴

საქმეში C-73/95 P, *Viho Europe v. Commission* ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომაც დაადასტურა აღნიშნული მიდგომა. ამ საქმეში საკითხი ეხებოდა დედა კომპანიასა და შვილობილ კომპანიებს (წილის 100%-ით) შორის დადებულ შეთანხმებებს. სასამართლომ დაადგინა, რომ დედა კომპანია (მწარმოებელი) აკონტროლებდა შვილობილი კომპანიების (ამავდროულად, მისი დისტრიბუტორების) სტრატეგიას: გაყიდვებს (ფასებს, მარჟებს, თანხის ბრუნვას, ფასდაკლებებს, ა.შ.) რეკლამასა და მარკეტინგის პოლიტიკას; შესაბამისად, შვილობილ კომპანიებს არ

¹³ TFEU 101

¹⁴ „[...] economic units which consist of a unitary organization of personal, tangible and intangible elements which pursues a specific economic aim on a long-term basis and can contribute to the commission of an infringement of the kind referred to in that provision.” (para. 311).

ჰქონდათ „რეალური ავტონომია“ და საკუთარი მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა; არამედ, ისინი ასრულებდნენ თავიანთი მაკონტროლებელი დედა კომპანიის ინსტრუქციებს. შედეგად, აღნიშნული კომპანიები ქმნიდნენ „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, რაც გამორიცხავდა TFEU 101-ის მოქმედებას.¹⁵¹⁶

როგორც ჩანს, სწორედ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინაა ის ინსტიტუტი, რომელიც პასუხობს ქართელი კანონმდებლის წინაშე მდგარ გამოწვევას, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა კანონმდებელი ერთი მხრივ ცდილობს ბაზარზე უკვე არსებული ძალაუფლების კონცენტრაციის შიდა გადანაწილებისათვის დამატებით ბიუროკრატიული მექანიზმი არ შექმნას, მეორე მხრივ კი რეგულირების მიღმა არ დარჩეს პირთა ფართო წრე, რომელთაც შესაძლოა გარკვეული ქმედებებით შეზღუდონ კონკურენცია შესაბამის ბაზარზე.

ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა პასუხობს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელსაც თავის თავში მოიცავს ურთერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტი, მაგრამ ამავდროულად, გულისხმობს დამატებით კრიტერიუმებს, რომლებიც გამორიცხავენ ურთიერთდამოკიდებულების გარეგნული ნიშნებით კონკურენციის სამართლებრივად რელევანტური შედეგების დადგომას, როგორც კონცენტრაციის, ასევე კარტელის ნაწილში.

მეორე მხრივ, ამ დოქტრინის გამოყენების წინაშე დგას მნიშვნელოვანი პრობლემა ტექნიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით - იგი არ არის ინკორპორირებული კანონმდებლობაში, კანონი არ იცნობს ამ ტერმინს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საინტერესო გზა აირჩია სააგენტომ. კერძოდ, სააგენტომ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი განიხილა ეკონომიკური აგენტის ცნების ქვეშ, რომელიც კანონში განმარტებულია.

კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ეკონომიკური აგენტი არის პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.

შესაბამისად, სააგენტომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ეკონომიკურ აგენტად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც არის ბაზრის მონაწილე. კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რა სახის გაერთიანებაზეა საუბარი, თუმცა ნორმის გრამატიკული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ გაერთიანების ამ ნორმით ნაგულისხმევი ცნების ქვეშ არ მოიაზრება არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით დარეგისტრირებული ასოციაციები (ვინაიდან იგი ტექსტში ცალკეა გამოტანილი). ხსენებულთან მიმართებით, სააგენტოს შეფასებით, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში არსებული ცნება „გაერთიანება“, აღნიშნული მოკვლევის მიზნებისათვის, უნდა განიმარტოს ევროკავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინის შესაბამისად.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სააგენტომ მიიჩნია, რომ რადგან ეკონომიკური აგენტის ცნების ქვეშ კანონმდებელმა პრაქტიკულად ყველანაირი სუბიექტი მოიაზრა, „სხვა სახის გაერთიანებების“ განმარტებისთვის, არ რჩებოდა რა, გარდა „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინისა“¹⁷.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოიძებნა გარკვეული სამართლებრივი გზა პრობლემის გადასაჭრელად, კომპლექსური პრობლემა მაინც რჩება. რომლის გადაჭრის გზაც,

¹⁵ საქმე C-73/95 P, *Viho Europe v. Commission*, para. 15-17; იხ. ასევე, საქმე 30/87 *Bodson*, პარა. 20: „[...] that the undertakings pursue the same market strategy, which is determined by the parent company.“

¹⁶ შენიშვნა: აღნიშნულ საქმეებს ასევე ეყრდნობა კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება (დამტკიცებული სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის #04/186 ბრძანებით)

¹⁷ სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის #04/186 ბრძანება

სავარაუდოდ, ურთიერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტის ერთანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინით ჩანაცვლებაზე გადის.

კარტელური შეთანხმება, როგორც ერთობლივი მოქმედება და კონცენტრაცია, როგორც საბაზრო ძალისა და კაპიტალის გაერთიანება ეკონომიკური შინაარსით მსგავსი საბაზრო ქცევები და ანტიმონოპოლიური სამართლის მიმართულებებს წარმოადგენენ¹⁸. შესაბამისად, არამართებულია, ერთი და იმავე პირებისთვის აღნიშნული სამართლის სფეროს ერთი ფრთა გამონაკლისს აწესებდეს, მეორე კი არა.

ზემოაღნიშნულ პრობლემას წარმოშობს ურთიერთდამოკიდებული პირების ინსტიტუტი, რომელიც კონკურენციის სამართალში კალკირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან და უმეტეს შემთხვევაში ცდება კონკურენციის სამართლის მიზნებსა და ფუნქციებს.

ურთიერთდამოკიდებული პირების საპირწონედ ევროპულ კონკურენციის სამართალში ფუნქციონირებს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა, რომელიც ანალოგიური მიზნით უფრო ეფექტიანად გამოიყენება და სასურველია მისი დანერგვა ქართულ კონკურენციის კანონმდებლობაშიც. აღნიშნული პროცესისთვის სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით უკვე შექმნილია პრეცედენტი კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების სახით, რომელიც განხილულ იქნა წინამდებარე ნაშრომში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას და მის ნაცვლად დაემატოს „ლ¹“ ქვეპუნქტი, სადაც განმარტებული იქნება ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი, სადაც ხაზი გაესმება „რეალური ავტონომია“ და საკუთარი მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობას, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ნიშნებს და სწორედ ამ ნიშნების არარსებობის საფუძველზე წარმოდგენილი გაერთიანება განიმარტება, როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი. ამავდროულად, მიზანშეწონილია, მიეთითოს, რომ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი განიხილება, როგორც ერთი ეკონომიკური აგენტი, ხოლო კანონის მე-11² მუხლში არსებული ჩანაწერი ურთიერთდამოკიდებული პირების შესახებ ამოღებულ იქნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, 6148-ლს, 08/05/2012, ვებგვერდი, 25/05/2012
2. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, 3591, 17/09/2010, სსმ, 54, 12/10/2010
3. სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის ბრძანება #04/186
4. C-73/95 P, *Viho Europe v. Commission*, JUDGMENT OF 24. 10. 1996 — CASE C-73/95 P
5. 30/87 *Bodson (BODSON v POMPES FUNÈBRES DES RÉGIONS LIBÉRÉES)*
Whish, Richard/Bailey, David, *Competition Law*, Oxford University Press, London, 2015
6. Rittner/Kulka, *Wettbewerbs- und Kartellrecht*, 7. Aufl., C.F.Müller Verl., Heidelberg., 2008
7. Jones, Alison/Sufrin, Brenda, *EU Competition Law*, Oxford University Press, 2014
8. Spulber Daniel F., *Monopoly Pricing*, J. L. Kellogg Graduate School of Management, Northwestern University, 1993

¹⁸ Whish, Richard/Bailey, David, *Competition Law*, Oxford University Press, London, 2015, p.853-870

Functionality and Feasibility of the Institute of Integrated Persons in the Competition Law of Georgia

Nika Sergia

Doctor of Juridical Sciences of the University of New Vision

Head of the Department of the Competition Agency of Georgia

R e s u m e

This article aims to find out whether there is a collusion between the legal regulation of cartels and mergers in Georgia's competition law considering the issue of interdependent parties regulated in article 3rd of Georgian law on competition.

It is obvious that the interdependency as such could be the ground for exemption from the obligation of merger notification, but it makes no such outcome in case of cartel (e.g. price fixing between interdependent parties). So there could be the discussion about the issue, if it's normal to have such a regulation and if it is or not more efficient to regulate the issue according to the European doctrine of single economic entity (undertaking). As an example there is analyzed one of the last case from the practice of Georgian Competition Agency where the competition authority discussed the very issue.

რეგიონული განვითარების რეგულირების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

მარინა ტაბატაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

marina.tabatadze@tsu.ge

რეგიონული პოლიტიკა სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანიზებასთან არის დაკავშირებული, მან ქვეყნის სივრცობრივი სტრუქტურირება და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების ოპტიმალური ტერიტორიული განაწილება იმგვარად უნდა უზრუნველყოს, რომ დაცული იყოს სახელმწიფოს შიდა სტრუქტურის ერთიანობა. ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იერარქიული პრინციპები და უფლებამოსილებათა რეალიზების ფინანსური ბერკეტები მეცნიერული შესწავლის პრიორიტეტული მიმართულება და თეორიული დისკუსირების საგანია. რეგიონალიზმი, როგორც ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების ორგანიზების კონცეფცია, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აკისრებს, კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და მისი კონტროლის ქვეშ. მართალია, სამეურნეო ავტონომიურობა ტერიტორიულ ერთეულებში მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობას და პერსპექტივებს განაპირობებს, მაგრამ აქტიური დეცენტრალიზაცია გარკვეულ საფრთხეების შემცველიცაა, რამდენადაც რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების სრული დამოუკიდებლობა მათი სიდიდის მკვეთრად გამოხატულ დიფერენციაციას იწვევს რასაც მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების დისპროპორცია მოჰყვება. ამასთან, გამოთანაბრებითი ფინანსური ურთიერთობა ტერიტორიული ერთეულებისათვის ასიმეტრიულ საშეღავათო გარემოს ქმნის, რაც წინააღმდეგობაში მოდის რეგიონალიზმის ევროპული სტანდარტებით განსაზღვრული დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებთან [1; გვ.19-20]. ამდენად, ვერტიკალური მმართველობის ფინანსური უზრუნველყოფის შესწავლა და არსებული გამოცდილების თეორიული განზოგადება კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას და მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად განიხილება.

საკანონმდებლო დონეზე რეგიონული ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატივების შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივაა, ეს არის სამართლებრივი ნორმების და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომლითაც ყალიბდება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური როლი მთლიანად ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთეულების განვითარების საქმეში. სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციებს სახელმწიფო რეგულატორები ასრულებს, მათ შორის აქტუალურია საბიუჯეტო ურთიერთობათა განსაზღვრის საკითხი. ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერა, მისი მიზნობრივი პრიორიტეტები, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების სტრატეგია მუნიციპალური შემოსავლების ფორმირების ძირითად პრინციპებად განიხილება, რეგიონული განვითარების ეს მიდგომები ასახულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, - „საქართველო 2020“. პროგრამაში მითითებულია, რომ ქვეყნის მდგრადი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორებს დეკონცენტრირებული მმართველობითი სისტემა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოადგენს [2].

დეცენტრალიზაცია ტერიტორიული ერთეულებს იმ სამართლებრივი და ინსტიტუციური ფაქტორებით უზრუნველყოფს, რაც აუცილებელი წინაპირობაა მათი ეკონომიკური ზრდისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიის მიხედვით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა ფლობდნენ საკუთარ ფინანსურ რესურსებს და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფლად განკარგავდნენ მათ. ამ რესურსების ნაწილი უნდა ყალიბდებოდეს ადგილობრივი გადასახადებიდან, რომელთა განაკვეთების დადგენა ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა. ევროპული ქარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სუსტად განვითარებული რეგიონების ფინანსურ მხარდაჭერას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სუბსიდირების გზით, „ადგილობრივი ორგანოების სუბსიდირება ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად უნდა შეზღუდოს მიზნობრივი დანიშნულების გარკვეული პროექტების დაფინანსებით, ამასთან, სუბსიდირებამ არ უნდა დათრგუნოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა“ [3].

საქართველო ევროპულ ქარტიას 2004 წელს შეუერთდა, რითაც თავის თავზე აიღო რეალური თვითმმართველობაზე გადასვლის საერთაშორისო ვალდებულება და მისი ფუნქციონირების პრინციპების გატარება, თუმცა, ჯერ კიდევ აქტუალური რჩება თვითმმართველობის დონეზე მოქმედი კანონების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის და ზოგიერთი ნორმატიული აქტის ევროპული ქარტიის მოთხოვნებთან ჰარმონიზების პრობლემა. ამ საკითხს ემსახურება ახალი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი /15.06.2014/, რომლის თანახმადაც, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული გამგებლის (მერის) ფუნქციები, ამასთან შემცირდა თვითმმართველობის ქვედა რგოლების უფლებები. კოდექსის სიახლეა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შემოღება, ეს არის სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორთან არსებულ მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო, რომელშიც შედის ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს ფუნქცია თვითმმართველი სუბიექტების მართვის კოორდინაცია და ცენტრალური რგოლის სტრატეგიულ მიმართულებასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა [4].

ევროპული რეგიონალიზმის საკითხების სამართლებრივ და ინსტიტუციურ უზრუნველყოფას არსებული ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი ახდენს, იგი აყალიბებს თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მოთხოვნებსა და კონცეპტუალურ მიდგომებს, რომლის ამოსავალი პრინციპები ამ მიდგომების ცალკეულ ქვეყანაში ადაპტირების პროცესში ადგილობრივი სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინება და ურთიერთობათა სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზებაა. „საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის იმ მიდგომებით, რომელიც გულისხმობს რეგიონალიზაციის პროცესში ქვეყნის ტერიტორიის ერთიანობის განმტკიცებას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ერთიანობისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში“ [5].

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, პრიორიტეტული დარგების უპირატეს მხარდაჭერას, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და სხვა ფაქტორებს ემყარება, სახელმწიფოს ოპტიმალური რეგიონული პოლიტიკის საფუძვლად კი დეცენტრალიზაციის რაციონალური მექანიზმები განიხილება. ეკონომიკური პროცესების სტიმულირებისათვის აუცილებელია რაციონალური სივრცითი დაგეგმვა, რაც რეგიონის ეკონომიკური აქტივების, მისი შედარებითი უპირატესობების კომპლექსურ შესწავლას და რაციონალურ გამოყენებას ისახავს მიზნად.

სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია ტერიტორიული განვითარების ოპტიმიზაციას და რეგიონული დონეების გამოთანაბრებას ისახავს მიზნად. ტერიტორიული ერთეულების ფინან-

სური მხარდაჭერა მათი განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითად პრიორიტეტებს უნდა შეესაბამებოდეს, ამასთან, იგი უნდა დიფერენცირდებოდეს რეგიონების რესურსული უზრუნველყოფის დონისა და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. განვითარების სტრატეგიამ რესურსების კონცენტრირება ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებზე უნდა მოახდინოს და ხელი შეუწყოს მათ ფართო ხელმისაწვდომობას.

იერარქიული მართვის დაბალანსებისათვის აუცილებელია მთავრობას დეცენტრალიზაციის პროცესის ზედამხედველობის აქტიური მექანიზმები, ადგილობრივ ხელისუფლებას კი მნიშვნელოვანი ფინანსური ბერკეტები და უფლებამოსილებები გააჩნდეს, დეცენტრალიზაციის მიზნებს უშუალოდ უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების სატრანსფერო პოლიტიკაც, ამასთან, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფინანსური საშუაშედილი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას, საფონდო ბაზრის განვითარებას, ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობის ზრდას და მათი რეგულირების მექანიზმების სრულყოფას უნდა შეუწყოს ხელი, ეს დაეხმარება ადგილობრივ ორგანოებს ფინანსური ბაზრის სრულყოფაში და ამ გზით, საკუთარი კომპეტენციის მასშტაბით, თავისუფალი არჩევანის გაკეთებაში. რეგიონების კაპიტალით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია საერთაშორისო და ადგილობრივი საინვესტიციო ინსტიტუტების მოტივირება, მათთვის სტაბილური სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შექმნა, პრეფერენციების მექანიზმების დახვეწა, ინვესტირების დაზღვევის სისტემის ამოქმედება, საფონდო ბაზრების სრულყოფილი ინფორმაციული უზრუნველყოფა, საკუთრების უფლების გარანტიების დაცვა და სხვა ღონისძიებების გატარება.

ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ სტაბილიზაციასთან ერთად, რეგიონთაშორისი კონკურენტული ურთიერთობების მექანიზმიც არის, რის მძლავრ ფაქტორად საგადასახადო ურთიერთობების დარეგულირება გამოდის. საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია სახელმწიფოს მძლავრი ფინანსური ბერკეტია და ძირითადად, ფისკალური ეფექტის მიღებაზეა ორიენტირებული, ამასთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების გატარება და ეკონომიკის ეფექტური რეგულირება, რამდენადაც დაბეგვრა აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, ამაღლებს საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობას და რეინვესტირების გზით აუმჯობესებს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია მიიჩნებს, რომ ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები შესაბამისობაში უნდა იყოს მათ უფლებამოსილებებთან. სასურველია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დიდი ნაწილი საკუთარი წყაროებით იქმნებოდეს /ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები და შემოსავლები ქონებიდან/, ასეთ პირობებში ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი მოტივაცია გააჩნია ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისათვის. ეს ამაღლებს რა მუნიციპალური ორგანოების პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე, ამავე დროს, ზრდის საზოგადოების დაინტერესებასაც მათი საქმიანობის მიმართ.

საგადასახადო სისტემის თავისებურებებს სახელმწიფო მოწყობა, ხელისუფლების ცალკეული დონის ადმინისტრაციული შესაძლებლობები, ბაზრის რეგულირების ხარისხი და განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები განაპირობებს. საქართველოში შედარებით სუსტია საბიუჯეტო დამოუკიდებლობა, რაზეც მიუთითებს ის, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების ზომასთან ერთად, საგადასახადო ბაზასაც ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში აკუმულირების გამო, მაღალია ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმწიფო ფინანსებზე დამოკიდებულების ხარისხი, უმნიშვნელოა ერთადერთი ადგილობრივი გადასახადის, - ქონების გადასახადის ფისკალური ეფექტი, სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანადაა ინტეგრირებული სოციალური სისტემა, ცენტრალიზებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ფორმირების და გადასახადების ადმინისტრირების პროცესი, ამ-

გვარი ცენტრალიზაცია ზღუდავს ადგილობრივი ერთეულების დამოუკიდებლობას, რითაც სუსტდება მათი ფინანსური ინიციატივები და რესურსების ეკონომიური ხარჯვის მოტივაციები.

საქართველოში არათანაბარია ერთ მოსახლეზე საბიუჯეტო შემოსულობების და დანახარჯების დონე რეგიონების მიხედვით, ამგვარ უთანაბრობას ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მინიმალური სოციალური სტანდარტების არარსებობაც უწყობს ხელს. ამ სტანდარტს სახელმწიფო შეიმუშავებს თვითმმართველი ერთეულებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების და შესაბამისი მინიმალური ბიუჯეტის დადგენის გზით, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება გამოთანაბრებითი ტრანსფერის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა. ზოგადად, ფინანსური დეცენტრალიზაციის მთავარი პირობაა, თვითმმართველ ორგანოებს ჰქონდეთ ადგილობრივი გადასახადის /მოსაკრებლის/ დაწესების და ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების პროცესის კონტროლის ფუნქცია, იგი ასევე უნდა აკონტროლებდეს მოზიდულ სახსრებს /ტრანსფერები, სუბსიდიები, სუბვენცია, დონორებისაგან მიზნობრივი შემოსულობები და სხვა/. ცენტრალურმა ხელისუფლებამ თვითმმართველ ერთეულებს ეკონომიკურ აქტივობაში უნდა შეუწყოს ხელი, რითაც შემცირდება სახელმწიფო ტრანსფერებზე მათი დამოკიდებულება. ადგილობრივი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ უნდა იქცეს მუნიციპალური საწარმოების ოპტიმიზაცია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ საწარმოთა კორპორატიულ მართვაზე გადასვლა, რაც უნიტარული საწარმოების მართვისათვის დამახასიათებელი ადმინისტრაციულ-ეკონომიკური პრინციპების და კერძო საწარმოების მართვის საბაზრო-კონკურენტული მექანიზმების სინთეზირებას გულისხმობს. ადგილობრივი შემოსავლების ზრდას უკავშირდება მუნიციპალური კლასტერების შექმნის იდეაც, რამდენადაც, მათში ინვესტირებით თვითმმართველი ორგანოები ახდენენ ადგილებზე ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

რეგიონული ბიუჯეტის შემოსულობების ძირითად ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარებები შეადგენს, ადგილობრივ ბიუჯეტს სამი სახის ტრანსფერი გამოეყოფა: გამოთანაბრებითი, - ექსკლუზიური უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მიზნობრივი, - დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის და სპეციალური, - ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ. 2014 წლის კოდექსი სიახლეს ითვალისწინებს სატრანსფერო პოლიტიკასთან მიმართებაში, კერძოდ, შემოღებულია ახალი ფორმა, - კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტიდან გადაეცემა მონიციპალიტეტებს მიზნობრივი პროექტების განსახორციელებლად, იგი დაკავშირებულია ტრანსფერის მიმდების არაფინანსური აქტივების ზრდასთან, რომლის წესსაც საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს.

ადგილობრივი საბიუჯეტო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასებისათვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული ფისკალური დეცენტრალიზაციის კრიტერიუმების სამი ჯგუფი გამოიყენება, - საბიუჯეტო შემოსავლების, საბიუჯეტო ხარჯების და სავალო პოლიტიკის მიხედვით [6]. საქართველოში ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ ვერ იქცა ისეთი რესურსები, როგორცაა მიწა, წყალი, ბუნებრივი სიმდიდრეები, რამდენადაც ჯერ კიდევ დასახვეწია თვითმმართველი ერთეულებისათვის ამ ქონების საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები. საბიუჯეტო ხარჯების კრიტერიუმის ნაწილში პრობლემას ქმნის მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების არარსებობა, რაც შემოსავლების განაწილების არსებულ პრაქტიკასთან ერთად, ჯერჯერობით, ვერ უზრუნველყოფს რეგიონებისათვის თანაბარი საზოგადოებრივი პროდუქტის მიწოდებას. საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ კანონში პროექტების შესახებ მონაცემები დიფერენცირებული იყოს რეგიონულ ჭრილში. სუსტია მუნიციპალიტე-

ტების საბიუჯეტო ურთიერთობა მხარჯავ ორგანიზაციებთან, ფერხდება მათგან განაცხადების დროულად მიღება, ბიუჯეტის შედგენასა და განხილვაში მოქალაქეთა ჩართულობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, სუსტია ადგილობრივი ბიუჯეტების კონტროლის სისტემა, არ არის დადგენილი თვითმმართველი ერთეულების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების და ფინანსურ ბაზარზე მათი მიწოდების წესი, კერძოდ, ეს შეეხება მოკლევადიანი ვალდებულებების გამოშვებას და ბაზარზე მათ განთავსებას.

რეგიონული ფისკალური სისტემა ჯერ კიდევ მოითხოვს სრულყოფას, კერძოდ, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონალური უფლებამოსილებების გამიჯვნას საფუძვლად პოლიტიკურთან ერთად, ეკონომიკური კრიტერიუმები დაედოს, უნდა დაიხვეწოს რეგიონული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დაემყარება მასტიმულირებელი და მაკონპენსირებელი პოლიტიკის კომპლექსურ გატარებას. საჭიროა დადგინდეს საერთო-სახელმწიფო გადასახადებიდან შემოსულობების რეგიონთაშორის გადანაწილების სამართლებრივი ნორმები, უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე იმ მაღალშემოსავლიანი გადასახადების მიკუთვნება, რომელიც რეალურ პოზიტიურ გავლენას ახდენს ბიუჯეტზე და უზრუნველყოფს ტერიტორიაზე საგადასახადო პოტენციალის ზრდას. ამ მიზნით საჭიროა საგადასახადო შემოსავლების ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადანაწილების გრძელვადიანი ნორმატივების დადგენა, თვითმმართველობისათვის გადასაცემი ქონების ზუსტი ნუსხის კანონით განსაზღვრა, ამ პროცესების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება და საზოგადოების მხრიდან მუდმივი მონიტორინგის დაწესება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება არსებული მმართველობის კიდევ უფრო ცენტრალიზებას, რაც თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობაზე ნეგატიურად აისახება.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის ფინანსურ რეგულირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ოპტიმალური სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, თვითმმართველ ერთეულებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა, ორგანიზაციული საკითხების სამართლებრივი უზრუნველყოფა, ეფექტიანი რეგიონული მართვის ახალი ინსტიტუციების შექმნა, ელექტრონული მმართველობის სერვისების დანერგვა, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა და ადგილობრივი მოხელეების უფლებების მკაფიო ფორმულირება. შეღავათები უნდა დაუწესდეს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც კაპიტალს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განათავსებენ, რაც შესაბამის ცვლილებებს მოითხოვს „ინვენსტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონში. საჭიროა დგილობრივი მოქალაქეების პროფესიული გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობა.

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების სრულყოფის მიზნით, უნდა შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურები, რადგანაც ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტები ვერ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას ადგილობრივი საწარმოების და მათ ბალანსზე რიცხული ქონების შესახებ. ამ სიახლეებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მუნიციპალიტეტების ფინანსურ დამოუკიდებლობას, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მათდამი დახმარების ეტაპობრივი შემცირებისა და საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ხარჯზე.

ტერიტორიული ერთეულების ფინანსური უზრუნველყოფა უნდა შეესაბამებოდეს მათი განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითად პრიორიტეტებს და დიფერენცირდებოდეს ეკონომიკური ზრდის რესურსების გათვალისწინებით. განვითარების სტრატეგია უნდა ემყარებოდეს მმართველობაში სოლიდარობისა და კონკურენციის პრინციპების დამკვიდრებას, ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას და თვითმმართველობის პირველადი რგოლის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების რეაბილიტაციას. რეგიონის განვითარების

პერსპექტივა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი მართვის იერარქიაში კოორდინაცია და პარალელიზმის არმოფხვრა უფლებამოსილებათა განაწილებაში, ადგილობრივი ეკონომიკური სუბიექტებისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება და ამ გზით მათი საინვესტიციო პოტენციალის ამაღლება, ბიუჯეტის დივერსიფიკაცია და დაბეგვრის პრინციპების გარკვეული კორექტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეცენტრალიზაცია საქართველოში. არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები. ანგარიში. თბილისი - 2009
2. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტი- საქართველო2020“, თბილისი - 2015
3. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტია, სტრასბურგი - 1985.
4. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, თბილისი - 2014.
5. ევროკავშირის ტერიტორიული დღის წესრიგი უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მდგრადი ევროპის მრავალფეროვანი რეგიონებისათვის, <http://gov.ge/uv3u4w>
6. Organisation for Economic Cooperation and Development. Fiscal Design across Levels of Government Framework and Survey Findings. – OECD Tax Policy Series, 2001, N6

Contemporary Trends of Regional Development Regulation in Georgia

Marina Tabatadze

PhD of Economics,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

marina.tabatadze@tsu.ge

R e s u m e

Regional policy of the state is related to the organization of government, it has to ensure the optimal territorial distribution of country's spatial structure and functions of the state government, to protect the unity of the internal structure. The territorial organization of the hierarchical principles and realization powers of financial leverage is still subject of the priority areas of scientific study and theoretical debates. Regionalism, the concept of territorial units, local issues imposes on local authorities, within the framework of the legal authorities, independently of the central government and under its control. True, the economic autonomy of territorial units causes socio-economic development status and prospects, but active decentralization contains certain threats, as far as it will cause a socio-economic conditions disproportion for certain regions' inhabitants. The equalization of the financial relationship creates asymmetric preferential environment, that disagrees with regionalism European standards, which is defined by the fundamental principles of democracy. The region's financial support should be based on a strategic plan for the development of their main priorities, it will differentiate by the level of resources and economic growth. Development strategies should reflect local conditions and development Factors, it must ensure the availability of resources, which contributes to an increase in the maximum efficiency of the local government.

კლასტერიზაციის როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

ნინო ფარესაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Nino.paresashvili@tsu.ge

ნინო ლობჯანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
Nino.lobzhanidze@tsu.ge


გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მწარმოებლურობის ზრდა, რაც ინოვაციური სტრატეგიების დანერგვის საფუძველზე განაპირობებს ეფექტიანი გადაწყვეტილებების რეალიზაციას მართვის ყველა დონეზე. მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისას, შეიძლება ავლნიშნოთ, რომ ეფექტიანი გადაწყვეტილებების შემუშავება და რეალიზაცია შესაძლებელია კლასტერიზაციის გზით. კლასტერული ინიციატივები განაპირობებს კერძო და საჯარო სექტორის ეფექტიან თანამშრომლობას და მეტი ინვესტიციის მოზიდვას.

მაიკლ პორტერის თეორიის თანახმად, კლასტერი – ეს არის „ცალკეული ერების, ქვეყნებისა და ქალაქების ცხოვრებაში განსაკუთრებული როლის მქონე ფირმების, მომწოდებლების, უთიერთდაკავშირებული დარგების გეოგრაფიული კონცენტრაცია... კლასტერები განაპირობებენ ახლებურ შეხედულებას ეკონომიკასა და მის განვითარებაზე; ბიზნესის, მთავრობისა და ინსტიტუტების ახალ როლზე და ურთიერთდამოკიდებულებების აგების ახალ ხერხებზე, როგორცაა ბიზნესი–მთავრობა ან ბიზნესი–ინსტიტუტები“¹.


კლასტერების მაღალ კონკურენტუნარიანობას და სტაბილურობას განსაზღვრავს ახალი ტექნოლოგიების გავრცელების, მეცნიერების, განათლების, დაფინანსების, სახელმწიფო პოლიტიკის და მრეწველობის ურთიერთქმედების ხასიათისა და სტრუქტურის მასტიმულირებელი ფაქტორები. თუმცა, საკმაოდ წინააღმდეგობრივია ინოვაციური საქმიანობის ურთიერთობა საბაზრო ეკონომიკასთან, კლასტერის განვითარების გარემოსთან. ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობათა ფარგლებში ვლინდება ისეთი ინოვაციური მოღვაწეობის მასტიმულირებელი კრიტერიუმები, როგორცაა: სოციალური აქტივობა, შემოქმედებითი ინიციატივა, ბაზრის სელექციური უნარი უზრუნველყოს ყველაზე ეფექტიანი და ადაპტირებული ინოვაციების შერჩევა და გადარჩენა. მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობა ვერ ჩაითვლება ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედების სრულყოფილ ფორმად, ვინაიდან ბაზრის სამეურნეო სუბიექტების ქცევაში ჭარბობს მოკლევადიანი კონიუნქტურული გადაწყვეტილებები, ხოლო ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობა გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე; იგნორირებულია არასაწარმოო ფაქტორები - ეკოლოგია, სოციალური სფერო.²

¹ Портер М.Э. Конкуренция/ Пер. с англ. О.Л. Пелявского, А.П. Уриханяна, Е.С. Усенко и др., под ред. Я.В. Заблоцкого, М.С. Иванова, К.П. Казаряна и др. Изд. Испр., М.: ИД «Вильямс», 2005. gv. 28-29

² ბარათაშვილი ევ.; ფარესაშვილი ნ.; აბარალავა თ.; „ბიზნეს მართვის კლასტერული პოლიტიკა“; 2011; გვ. 155



ცალკე უნდა აღინიშნოს სამრეწველო კლასტერის მნიშვნელობა. ინდუსტრიული კლასტერი წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში კომპანიების, მიმწოდებლებისა და დაინტერესებული მხარეების აგლომერაციას. აგრეთვე, ამ პროცესებში ჩართულია სხვადასხვა ეკონომიკური ინსტიტუტი, როგორებიცაა, ფინანსური პროვაიდერები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული სუბიექტები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა გარე ფაქტორითა და კომპლემენტარებით და როგორც წესი, ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ (იხ. ნახაზი 1)³ მათი საქმიანობის ეფექტიანობა დაფუძნებულია ეკონომიკური სარგებლის სინერგიაზე. ასეთი სქემის საშუალებით კლასტერი აკავშირებს სხვადასხვა მწარმოებლებს, ადამიანისულ რესურსს, პროდუქტსა და მომსახურებას. ასეთი კავშირების მეშვეობით ერთი კლასტერი უკავშირდება სხვა კლასტერებს, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკის ეფექტიან და მდგრად განვითარებას.



ნახაზი 1. კლასტერი აგრობიზნესში

³ The World Bank, International Trade Department; A practical Guide and Policy Implications for Developing Clusters Initiatives; “Clusters for Competitiveness”; 2009; გვ. 13

კლასტერების შექმნისკენ მიმართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონულ კლასტერიზაციას. ენრაიტის თანახმად, რეგიონული კლასტერი ეს არის სამრეწველო კლასტერი, რომელშიც წევრი ფირმები გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ⁴. კლასტერიზაციის ქმედითუნარიანობას კონკურენტუნარიანობის ამადლებაში განაპირობებს შემდეგი ძირეული ინსტრუმენტები (იხ. ნახაზი 2)⁵.

კლასტერის განაზღვრა

ინსტრუმენტი 1: კლასტერის ლოკაცია

კლასტერის ანალიზი

ინსტრუმენტი 2: პროდუქტისა და ბაზრის სეგმენტაცია

ინსტრუმენტი 3: SWOT ანალიზი (სიძლიერეები, სისუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები)

ინსტრუმენტი 4: GAP ანალიზი (მდგომარეობის ცვლილების შეფასება)

ინსტრუმენტი 5: პორტერის ხუთი ძალა

ინსტრუმენტი 6: ღირებულებითი ჯაჭვის ანალიზი

ინსტრუმენტი 7: ბაზრის ტენდენციების ანალიზი

ინსტრუმენტი 8: კონკურენტული პოზიციონირების ანალიზი

ინსტიტუციონალური მხარდაჭერის შეფასება

ინსტრუმენტი 9: ძველი და ახალი ინსტიტუტების თანამშრომლობა

პროცესის კონტროლი

ინსტრუმენტი 10: მონიტორინგი და შეფასება

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი ინსტრუმენტები აუცილებელია, მაგრამ არა ამომწურავი. ისინი უზრუნველყოფს კლასტერული ინიციატივის ეფექტიან განვითარებას ინტეგრირებული სახით დ ზრდის თანამშრომლობის ხარისხს კერძო და საჯარო სექტორებს შორის. აღნიშნულ სტატიაში წარმოდგენილი მეორე ნახაზის მიხედვით, პირველ რიგში, საჭიროა კლასტერიზაციის ლოკაციის დადგენა (ინსტრუმენტი 1), რასაც მოჰყვება პროდუქტისა და ბაზრის სეგმენტაცია (ინსტრუმენტი 2), შემდეგ საჭიროა ბაზრის ანალიზის ჩატარება, რისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ კონკურენტუნარიანობის შეფასების პორტერისეული მოდელი - „პორტერის ხუთი ძალა“, ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია ჩატარდეს კონკურენტუნარიანობის ანალიზი პროდუქტის სწორი პოზიციონირების საფუძველზე, რაც მისი კონკურენტუნარიანობის ამადლებას განაპირობებს (ინსტრუმენტები 3-8). ჯაჭვური პროცესის ბოლოს კი, შედარებითი ანალიზის საფუძველზე აუცილებელია ძველი და ახალი ინსტიტუტების თანამშრომლობის შეფასება და მთლიანობაში, ბაზარზე წინა და მიმდინარე მდგომარეობას შორის ძირეული ცვლი-

⁴ Пилипенко И.В. Новая геоэкономическая модель развития страны: повышение конкурентоспособности с помощью развития кластеров и промышленных районов // Безопасность Евразии. 2003, № 3. sv. 580-604

⁵ The World Bank, International Trade Department; A practical Guide and Policy Implications for Developing Clusters Initiatives; “Clusters for Competitiveness”; 2009; pg. 25

ლებების გამოვლენა. ზემოთ აღწერილი ღონისძიებების შედეგიანობისთვის ყურადსაღებია ჩატარებული საქმიანობის კონტროლი და მონიტორინგი (ინსტრუმენტები 9, 10).

განვითარებად ქვეყნებში კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია როგორც მიკროეკონომიკურ ბიზნეს გარემოზე (მაგ., მომწოდებლებისა და მასთან დაკავშირებული რესურსების ხელმისაწვდომობა) ასევე მაკროეკონომიკურ საფუძვლებზე (მაგ. მოთხოვნის პირობები, ფაქტორული პირობები და სწორი სტრატეგია და კონკურენციის ხელშეწყობა). სტატიაში წარმოდგენილ ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ განვითარებად ქვეყნებში კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად წამოწყებული ინიციატივები მოითხოვს კერძო და საჯარო სექტორებს შორის საერთო პლატფორმის განვითარებას, რათა სისტემატურად ჩამოყალიბდეს პრობლემები, განახორციელოს დიაგნოსტიკა და ანალიზი და განისაზღვროს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობი ცვლილებები როგორც მიკრო, ისე, მაკრო დონეზე. უნდა ითქვას, რომ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში არსებობს სასურველი წანამდგრები კლასტერების განვითარებისათვის ამა თუ იმ დარგში. იმ ტერიტორიებს, რომელთაც დღეისათვის მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების სტატუსი, ნამდვილად გააჩნიათ პოტენციური კლასტერების განვითარებისათვის. საქართველოში კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციის შემაფერხებელ ფაქტორებს განეკუთვნება:

- მცირე ბიზნესის არასაკმარისი განვითარება, შედარებით განუვითარებელი ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული პირობები;
- ეკონომიკური საქმიანობის მთავარ სუბიექტებს შორის ნდობის დაბალი ხარისხი, რომელიც ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებებში;
- ფაქტორული პირობების განხილვა (ძირითადად, იაფი რესურსების ხელმისაწვდომობა) კლასტერების წარმატებული განვითარების ძირითად დეტერმინანტად;
- საინფორმაციო გახსნილობის კულტურის არარსებობა, რაც იწვევს კლასტერების პოტენციური მონაწილეების უნდობლობას და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჩამოყალიბებას;
- წარმოების დაბალი კულტურა, აუტსორსინგის საფუძველზე მართვის გამოცდილების უქონლობა;
- ბიზნეს-კლიმატის დაბალი ხარისხი;
- ასოციაციური სტრუქტურების განვითარების დაბალი დონე (სავაჭრო პალატები, სამრეწველო ასოციაციები), რომლებიც ვერ ართმევენ თავს რეგიონული ბიზნესის პრიორიტეტებისა და ინტერესების შემუშავებისა და გატარების ამოცანას;
- დაგეგმვის მოკლევადიანი ჰორიზონტი – კლასტერის განვითარებიდან რეალური სარგებელი მიიღება მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ⁶.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერიზაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა ჩართული მასში ყველა რგოლის დაინტერესებული მხარე, როგორებიც არიან ბიზნეს ლიდერები, სავაჭრო ასოციაციები, მეწარმეები, სტანდარტების შემმუშავებელი სააგენტოები, ხარისხის ცენტრები, ტექნოლოგიური ქსელები და ა.შ. საბოლოოდ, როდესაც კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ სტრატეგიას, რომელიც დაფუძნებულია

⁶ ბარათაშვილი ევ.; ფარესაშვილი ნ.; აბარალავა თ.; „ბიზნეს მართვის კლასტერული პოლიტიკა“, 2011; გვ. 102-103

ამაღლების ახალი ტექნოლოგია, შემდეგ მიზნებს ისახავს: მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, ეფექტიანი ბიზნეს-კლიმატის მხარდაჭერა, რაც ადიდებს ბიზნესის კონკურენტულ უპირატესობებს და სახელმწიფოს ტერიტორიის განვითარების პოტენციალის კომპლექსურ გამოყენებაზე გადასვლას.

კლასტერიზაციაზე შეუძლია უზრუნველყოს რეფორმების განხორციელების ინტეგრირებული პლატფორმა, იმ პირობებში, როდესაც ყველა ჩართული მხარის ინტერესები მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება. კლასტერული მიდგომა, როგორც კონკურენტუნარიანობის

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ევ.; ფარესაშვილი ნ.; აბრალავა, თ.; „კლასტერი, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი“, ჟურნალი „ეკონომიკა“, № 1-2, 2011.
2. ბარათაშვილი ევ.; ფარესაშვილი ნ.; აბრალავა თ.; „ბიზნეს მართვის კლასტერული პოლიტიკა“; 2011.
3. გაგნიძე, ი.; „კლასტერების როლის საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ. #3, გვ. 47-56, 2008.
4. გეგბაია, ბ.; მამულაძე გ.; „ინოვაციური კლასტერის განვითარების მექანიზმის ფორმირება პროფილური ტექნოპარკის საფუძველზე საქართველოში“, გვ. 170-176, თსუ, 2010.
5. Catalin. B.; „Clusters Models, Factors and Characteristics“; International Journal of Economic Practices and Theories, Vol. 1, No. 1, 2011.
6. Viederyte, R.; Didziokas R.; “CLUSTER MODELS, FACTORS AND CHARACTERISTICS FOR THE COMPETITIVE ADVANTAGE OF LITHUANIAN MARITIME SECTOR”; ECONOMICS AND MANAGEMENT: 2014. 19 (2)
7. The World Bank, International Trade Department; A practical Guide and Policy Implications for Developing Clusters Initiatives; “Clusters for Competitiveness”; 2009.
8. Портер, М. Конкуренция. М.: Издат. дом «Вильямс», 2003.
9. Пилипенко И.В. Новая геоэкономическая модель развития страны: повышение конкурентоспособности с помощью развития кластеров и промышленных районов // Безопасность Евразии. 2003, № 3. гв. 580-604
10. Хараишвили, Е.; Гечбаია, Б.; “Кластерные стратегии регионального развития Грузии.” Научно-информационный журнал „Наука и Экономика“. #1(5). ст. 44-49. 2011/Ивановой

The Role of Clustering for Supporting the Competitiveness Growth

Nino Paresashvili

Associate Professor of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Nino.paresashvili@tsu.ge

Nino Lobzhanidze

PhD Student of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Nino.lobzhanidze@tsu.ge

R e s u m e

The paper presents an analysis based on a cluster survey that creates a new platform for the formation of economic policy for economic actors. It usually includes companies, suppliers, service suppliers and associate institutions. The cluster approach provides more efficient diagnostics of the economic conditions for detecting the problems and implementation the main steps for supporting determinants of competitiveness. The article contains an integrated view of a set of clusters and of its relevant initiatives which enables the consensus to achieve stability among the stakeholders and formulate a coherent contingency strategy within the maximum capacity of economic potential.

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება საქართველოში

ნანა ფირცხელავა

ეკონომიკის დოქტორი

nanafircxelava@mail.ru

ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირებისათვის, სულ უფრო აქტუალური ხდება სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებლის როლი. თუმცა არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უხეში ჩარევა ეკონომიკის განვითარების ტემპების შენელებას იწვევს. რეგულირების საჭიროება საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანებებითაა განპირობებული და მოითხოვს საბაზრო მექანიზმის გვერდით სახელმწიფო მარეგულირებლის არსებობას. ნებისმერ ქვეყანაში არსებობს დარგები, სადაც კონკურენცია არ გვაქვს ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიები. მათი არსებობა ეკონომიკაში გამართლებულია და სახელმწიფოს მხრიდან მათ წინააღმდეგ ბრძოლას ადგილი არ აქვს. საუკეთესო შედეგი გვაქვს მაშინ, როცა სახელმწიფო რეგულირების საფუძველზე უზრუნველყოფს კონკურენციული და მონოპოლიური გარემოს შეთანაწყობას.

ბუნებრივი მონოპოლიის გარეშე რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა უბრალოდ შეუძლებელი ხდება. ამასთან, ექსპერტები აღიარებენ, რომ ნებისმიერი სფერო, რომელიც თეორიულად შეიძლება მიჩნეულ იქნას ბუნებრივ მონოპოლიად, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შემთხვევაში ბევრად უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს. რეგულირების მთავარ მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მონოპოლიურად მაღალი ფასებისა და ცუდი მომსახურებისგან მომხმარებელთა დაცვა.

ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან მიმართულია მონოპოლიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად და მომხმარებელთა დასაცავად. სწორედ მათი რეგულირების საფუძველზე არსებული ფასები უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მონოპოლიის ან თუნდაც კონკურენციის არსებობის დროს, აგრეთვე საფუძველი ეყრება დარგის თვითდაფინანსების მნიშვნელობას. მათი ეფექტიანი ფუნქციონირება, ანუ საქონლის მომხმარებელთათვის მაღალხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფა მხოლოდ საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე არ შეიძლება, ასეთ პირობებში სწორედ ეკონომიკური რეგულირება ენაცვლება კონკურენციას.

რეგულირების საფუძველზე სახელმწიფო იცავს მომხმარებელს, ბუნებრივი მონოპოლიების მხრიდან არასწორი ქმედებებისგან, ასევე ხელს უწყობს ბუნებრივი მონოპოლიის განვითარებას ისევ და ისევ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. ამას ადასტურებს საერთაშორისო გამოცდილებაც¹.

ბუნებრივი მონოპოლიის მაგალითს წარმოადგენს: ენერგეტიკა, კომუნალური მომსახურებები, წყალმომარაგება, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება-განაწილება, სარკინიგზო ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები და სხვ. უკანასკნელ წლებში ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეულ სფეროებში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. მაგ: განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ელექტროენერჯის გენერაცია აღარ მიიჩნევა ბუნებრივ მონოპოლიად, რადგანაც ელექტროენერჯის ობიექტების უმრავლესობას სხვადასხვა კომპანიები ფლობენ. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ენერგეტიკის ეს სფერო ფაქტიურად დერეგულირებულია და სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ზეწოლას განიცდის².

¹ თავაძე გ., ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება, 4-8გვ., თბილისი, 2005.

² იქვე

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების სფეროში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მარეგულირებელ ორგანოთა დამოუკიდებლობა სამართლიანი ტარიფების დადგენის მიზნით. მარეგულირებელი ორგანო დაცული უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისგან. ხელისუფლების ორგანოების „ჩარევა“ მარეგულირებელი კომისიების საქმიანობაში, ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, მიუღებელია, რათა არ დაირღვეს ინტერესთა ბალანსი, რომელიც უნდა არსებობდეს პროდუქციის მიმწოდებლებსა და მომხმარებელთა ურთიერთობაში.

მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობა სრულიადაც არ ნიშნავს მის იზოლირებას ქვეყნის საერთო ინტერესებიდან. რეგულირების ეფექტიანობა განისაზღვრება ბაზარზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, ფასების გონივრულობით და მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებით. მაგ. მრავალ ქვეყანაში ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების საკონტროლო პაკეტებს სახელმწიფო ფლობს. ასეთ შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო დაცული არ არის ხელისუფლების გავლენისგან, რაც გარკვეულ წილად შეზღუდავს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის არსებობას და მიგვიყვანს მონოპოლიამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, შესაძლებელია მარეგულირებელი ორგანო ფუნქციონირებდეს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ანუ მისი დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა, გარკვეულწილად იქნას შეზღუდული, რაც შეიძლება გამოხატულ იქნას დარგობრივი სამინისტროს წინაშე ანგარიშვალდებულებაში, რეგულირების მეთოდებისა და რეგულირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სამინისტროსთან შეთანხმების აუცილებლობაში და სხვ. ასეთ დროს რეგულირების სისტემაში იქმნება კიდევ ერთი დამატებითი რგოლი, რომლის ფინანსურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მოსაზრებებს ინვესტორებმა აუცილებლად უნდა გაუწიონ ანგარიში, გარდა ამისა იქმნება საშიშროება იმისა, რომ მარეგულირებელი ორგანო მიიღებს რეგულირების ობიექტისთვის არასასურველ, მაგრამ ეკონომიკურად სამართლიან და მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას, რეგულირების ობიექტი ეცდება გამოსავალი დარგობრივ სამინისტროში იპოვოს, ანუ ეცდება სხვადასხვა ხერხებით მარეგულირებელ ორგანოზე ზეწოლა მოახდინოს. აღნიშნული მოვლენა კი სატარიფო პოლიტიკის განხორციელებას საფრთხეს უქმნის, რომელიც დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სწორ ეკონომიკურ გათვლებსა და გადაწყვეტილებებზე.

საქართველოში მოქმედ მარეგულირებელ ორგანოებს წარმოადგენს: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში დენის, გაზის და წყლის მიწოდება შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ მონოპოლიად, სადაც რეგულირების გარეშე ვერ მოხდება ოპტიმალური ფასის დადგენა. შესაბამისად, ამ სფეროს (მიწოდების) სახელმწიფო რეგულირებისათვის შეიქმნა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია, რომელიც წარმოადგენს "ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირს, რომელიც ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებს არეგულირებს. კომისია მოქმედებს "ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" და "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში³.


საქართველოს კანონის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საფუძველზე კომისია ვალდებულია ყოველი წლის 1 ოქტომბრისთვის დაამტკიცოს მომავალი

³ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია – 2015 წლის ანგარიში

წლის ბიუჯეტი, სადაც ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის ხელფასები. გარდა ამისა კომისია ყოველი წლის 15 სექტემბრისთვის ლიცენზიანტებისგან, იმპორტიორებისგან და მიმწოდებლებისგან მიღებული მომავალი საქმიანობის მოცულობის პროგნოზის საფუძველზე ადგენს რეგულირების საფასურს, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის მომავალი საბიუჯეტო წლისთვის დაგეგმილი ხარჯების დაფარვას, კომისიის 2015 წლის ბიუჯეტი შემდეგნაირად გამოიყურება⁴:


2015 წლის საკასო შემოსავალმა სულ შეადგინა 10151626 ლარი, მათ შორის: ელექტროენერგეტიკის სექტორიდან - 3427745 ლარი, გაზის სექტორიდან - 5183965 ლარი, წყლი სსექტორიდან- 326958 ლარი და სხვა შემოსავლები (დარიცხული პროცენტი, საკურსო სხვაობა და სხვა) – 1212956 ლარი (იხ დიაგრამა 3.1).

დიაგრამა 1. შემოსავლების დინამიკა 2012-2015 წლებში



წყარო: <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>

დიაგრამა 2. ხარჯების დინამიკა 2012-2015 წლებში



წყარო: <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>

რაც შეეხება ხარჯებს, 2015 წლის ბიუჯეტის საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 8108664 ლარი და შესრულება 8958470 ლარის გეგმასთან მიმართებაში არის 90.51%.

კომისიის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვის უფლება აქვს მხოლოდ კომისიას. წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადადის მომავალი წლის ანგარიშზე, რეგულირების საფასურის შესაბამისი შემცირებით. იმ შემთხვევაში თუ რეგულირების საფასურით მიღებული შემოსავალი არ ფარავს კომისიის მიმდინარე დანახარჯებს, კომისია უფლებამოსილია აიღოს

⁴ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის ანგარიში, იხ.: <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>

სესიი, რომლის გადახდაც ხდება მომავალი წლის რეგულირების საფასურიდან. გარდა ამისა დაშვებულია კომისიის სარგებლობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ან თუნდაც გრანტების გამოყოფა.

აკრძალულია კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ელექტროენერჯის წარმოება, დისპეტჩერიზაცია, გადაცემა და განაწილება, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და განაწილება, აგრეთვე წყალმომარაგება. პირი, რომელიც აწარმოებს ელექტროენერჯიას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის და არ არის მიერთებული გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან არ ექვემდებარება ლიცენზირებას.

კომისიის მიერ დგინდება ლიცენზიების მიღებაზე მოთხოვნები, ვადები და განისაზღვრება მომსახურების შეწყვეტა. კომისია ვალდებულია ყოველი წლის 31 მარტამდე მოამზადოს და გამოაქვეყნოს გასული წლის ფინანსური ანგარიში⁵, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. კომისიის ფინანსური საქმიანობის კონტროლს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები, მათ შორის, კომისიის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი.

წყალმომარაგების სექტორი: 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 729 500 ადამიანს, აქედან 56%-ის (2 097 361 ადამიანი) სასმელი წყლით წყალმომარაგებას უზრუნველყოფს 11 ლიცენზიატი კომპანია, ხოლო 44%-ის (1 632 139 ადამიანი) წყალმომარაგება ხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული წყალმომარაგების სისტემებით. რაც შეეხება ტარიფებს, თვალი გადავავლოთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ -კერძო და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ - სახელმწიფო საყოფაცხოვრებო ტარიფებს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის ფარავს წყლის მომხმარებელთა 21%-ს, ამ 21%-ის უმრიცხველო აბონენტთა %-ული წილი აღწევს 77%-ს, ხოლო მრიცხველიან აბონენტთა წილი 23%-ს. რაც შეეხება მთლიან მომხმარებელში შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მრიცხველიან აბონენტთა წილი 5%-ს აღწევს, ხოლო უმრიცხველოთა წილი 16%-ით შემოიფარგლება. რაც შეეხება ტარიფებს დღგ-ს ჩათვლით - საყოფაცხოვრებო ტარიფები: გამრიცხველიანებული (ლარი/მ3)-0.266 თეთრი, გაუმრიცხველიანებული (ლარი/ სულზე/თვეში) – 3.147 თეთრი. არასაყოფაცხოვრებო ტარიფი (ლარი/მ3) – 4.400 თეთრი.


შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ფარავს წყლის მომხმარებელთა 14%-ს, ამ 14%-ის უმრიცხველო აბონენტთა %-ული წილი აღწევს 52%-ს, ხოლო მრიცხველიან აბონენტთა წილი 47%-ს. რაც შეეხება მთლიან მომხმარებელში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მრიცხველიან აბონენტთა წილი 6%-ს აღწევს, ხოლო უმრიცხველოთა წილი 8%-ით შემოიფარგლება. რაც შეეხება ტარიფებს დღგ-ს ჩათვლით - საყოფაცხოვრებო ტარიფები: გამრიცხველიანებული (ლარი/მ3) - 0.499 თეთრი, გაუმრიცხველიანებული (ლარი/სულზე/თვეში) – 2.395 თეთრი. არასაყოფაცხოვრებო ტარიფი (ლარი/მ3) – 4.307 თეთრი. ვნახოთ რა მდგომარეობაა ევროპის ზოგიერთ ქალაქში მოცემულია დიაგრამაზე 3.

წყალმომარაგების სექტორში მოღვაწე ლიცენზიატებიდან 6 წარმოადგენს სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ საწარმოს, ხოლო 5–კერძო. ქვეყნის მასშტაბით

⁵ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის ფინანსური ანგარიში, იხ.: http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/Audit%20conclusion%202015_opt.pdf

⁶ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია – 2015 წლის ანგარიში 4. სადავო საკითხების გადაწყვეტა 137-150 გვ.

დიაგრამა 3. წყალმომარაგების საშუალო ტარიფები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (1 კუბური მ/ €)




წყარო: <http://www.gwp.ge/ka/waterinothercountries>

უმრიცხველო აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მრიცხველიანი აბონენტების რაოდენობას და მათი წილი თითქმის 60%ს შეადგენს. გამრიცხველიანების პროცესი სექტორის სწორი განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

საანგარიშო პერიოდში სასმელი წყლის სექტორში სადავო საკითხებთან დაკავშირებით უშუალოდ კომისიაში შემოვიდა 314 განცხადება/საჩივარი, მათ შორის: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ – 249; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ – 49; შპს „მცხეთისწყლის“ მიმართ – 7; შპს „რუსთავისწყლის“ მიმართ – 2; შპს „ბათუმისწყლის“ მიმართ – 4. 2015 წლის მდგომარეობით სადავო საკითხების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა %-ული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე 3.10.

დიაგრამა 4. სემეკის მიერ სადავო საკითხების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა %-ული განაწილება



წყარო <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>

სემეკი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ: კომუნალური სამსახურების მარეგულირებელი კომისიების ეროვნული ასოციაცია (NARUC), ენერგეტიკის მარეგულირებელთა რეგიონული ასოციაცია (ERRA), ენერგეტიკული თანამეგობრობა (EnergyCommunity) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

ამრიგად, დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეკონომიკის ის დარგი ან დარგის ის ნაწილი, სადაც კონკურენცია არ არსებობს ან შეზღუდულია, საჭიროა ასეთი დარგის რეგულირება, ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებისთვის გამოიყენება საერთაშორისოდ მიღებული მექანიზმი, როგორცაა მარაგულირებელი ორგანოები. საქართველოში ამჟამად მოქმედებს ორი მარეგულირებელი ორგანო, კერძოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თავაძე გ., ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება, 4-8გვ., თბილისი 2005
2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია – 2015 წლის ანგარიში
3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის ანგარიში, იხ.: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის ფინანსური ანგარიში, იხ.: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია – 2015 წლის ანგარიში 4. სადავო საკითხების გადაწყვეტა 137-150 გვ.
4. <http://www.gwp.ge/ka/waterinothercountries>
5. <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>
6. <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>
7. <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>
8. <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2015%20Annual%20report%2004.04.16.pdf>
9. http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/Audit%20conclusion%202015_opt.pdf

Regulation of Natural Monopoly in Georgia

Nana Pirtskelava

PhD of Economics

nanafircxelava@mail.ru

R e s u m e

Regulation of Natural Monopoly from the state is aimed to avoid negative results of monopolization and protect customers, belongs: Power Engineering, Utility Services, Water Supply, Railway transport, Telecommunication and e.t.

In the article is reviewed Natural Monopoly, there Regulation in Georgia on the example of Water Supply Sector. According to the 2015 report, analyzed companies operating in water supply sector and prices which they have, also average prices of some European Countries. Written how the Regulation Body solve disputable issues and took decisions .

The conclusion is made in article, that The best results can be achieved if the state regulates the merger of a competitive and monopoly environment.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI)¹ შეფასება საქართველოსთვის

ლევან ქისტაური

ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი
levanikis@yahoo.com

ნინო დამენია

ბიზნესის მართვის დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
n.damenia@sangu.edu.ge

საქართველოს სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის მაღალი კონკურენტუნარიანობა გლობალურ დონეზე. ქვეყნებს შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვეიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). აღნიშნული ორგანიზაცია 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნესგარემო. ყოველ წელს დგება რეიტინგი, რომელიც ასახავს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პოზიციებს მსოფლიოში.

ეკონომიკური ფორუმის განმარტებით, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, პოლიტიკასა და ბუნებრივ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს. 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში შესწავლილი იქნა 138 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. რომლის მიხედვით, საქართველო 432 ქულით 59-ე ადგილზეა. წინა წელთან შედარებით ქვეყანამ პოზიციები 7 საფეხურით გაიუმჯობესა.

ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმების მიხედვით (ცხრილი 1), საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია (40-ე ადგილი) მაკროეკონომიკური გარემოს მხრივ აქვს. 43-43-ე ადგილზე ვართ ინსტიტუტების განვითარების და შრომის ბაზრის ეფექტიანობის მხრივ. საქართველოს ყველაზე ცუდი პოზიცია აქვს ინოვაციების (116-ე ადგილი) და ბიზნესის სოფისტიკაციის მხრივ (102-ე ადგილი).

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის თანახმად, ევრაზიის რეგიონში ყველაზე მეტად პოზიციები საქართველომ და ტაჯიკეთმა გაიუმჯობესეს. “ორივე ქვეყნის მშპ 2,5 %-ზე მეტით გაიზარდა. ეს არის ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალოზე უფრო დაბალი მაჩვენებელი, მაგრამ უფრო მაღალია ევრაზიის სხვა ქვეყნებთან შედარებით“, - აღნიშნულია ანგარიშში. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის თანახმად, საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის ყველაზე პრობლემატურ ფაქტორებს შორის პირველი ადგილი უკავია არაკვალიფიციურ მუშახელს, მეორე - წვდომას ფინანსებთან, მესამე - ინფლაციას, მეოთხე - არაეფექტურ სახელმწიფო ბიუროკრატიას, მეხუთე კი - ინფრასტრუქტურის არასაკმარის მიწოდებას. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, სომხეთმა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 79-ე, აზერბაიჯანმა 37-ე, თურქეთმა 55-ე, რუსეთმა 43-ე, უკრაინამ 85-ე, მოლდოვამ მე-100 ადგილი დაიკავა. რეიტინგში პირველ ადგილზე მოხვდა შვეიცარია, მეორეზე სინგაპური, მესამეზე კი აშშ. პირველ ხუთეულში მოხვდნენ, ასევე, ნიდერლანდები და გერმანია.

¹ The Purchasing Managers' Index (PMI)

ცხრილი 1: საქართველოს პოზიცია კრიტერიუმების მიხედვით

<u>კრიტერიუმები</u> <u>ჯგუფების მიხედვით</u>	<u>პოზიცია</u> <u>მსოფლიოში</u>	<u>ქულა</u> <u>(მაქსიმუმი 7)</u>
<u>საბაზისო მოთხოვნები</u>	46	4.9
<u>ინსტიტუტები</u>	43	4.4
<u>ინფრასტრუქტურა</u>	65	4.1
<u>მაკროეკონომიკური გარემო</u>	40	5.2
<u>ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება</u>	64	5.9
<u>ეფექტიანობის მასტიმულირებელი</u>	69	4.1
<u>უმაღლესი განათლება და ტრენინგები</u>	89	4.1
<u>საქონლის ბაზრის ეფექტიანობა</u>	46	4.6
<u>შრომის ბაზრის ეფექტიანობა</u>	43	4.5
<u>ფინანსური ბაზრის განვითარება</u>	58	4.2
<u>ტექნოლოგიური მზადყოფნა</u>	65	4.2
<u>ბაზრის ზომა</u>	101	3.0
<u>ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები</u>	113	3.2
<u>ბიზნესის სოფისტიკაცია</u>	102	3.6
<u>ინოვაციები</u>	116	2.8

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად იმპორტის, ექსპორტის, ფასების, სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და სხვა მაჩვენებლებთან ერთად გამოიყენება საქმიანი აქტიურობის ინდექსი (PMI). მას ხშირად ქვეყნის ეკონომიკის ბარომეტრსაც უწოდებენ.

საქმიანი აქტიურობის ინდექსი (PMI) პირველად გაანგარიშებული იქნა აშშ-ში 20 საუკუნის დასაწყისში, 1915 წელს დაარსებული „მიწოდების მართვის ინსტიტუტის“ (ISM) მიერ. ინსტიტუტის სპეციალისტები უკავშირდებოდნენ ქალაქ ტამპას მეწარმეებს ერთიდაიმავე კითხვით: როგორ არის ორგანიზაციის საქმე? პასუხის სამი ვარიანტის შეთავაზებით: უკეთესად, უარესად, უცვლელად. პასუხიდან გამომდინარე კეთდებოდა დასკვნა: თუ უმრავლესობის საქმე წინა თვესთან შედარებით გაუარესდა, ეს იმას ნიშნავს, რომ PMI ეცემა. ხოლო თუ პირიქით გაუმჯობესდა, ე.ი. PMI ზრდადია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მეთოდს გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები, რომელიც საკითხისადმი სუბიექტური მიდგომით განისაზღვრება. საქმიანი აქტიურობის ინდექსი ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზის საშუალებასაც იძლევა. იგი უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ციკლების კონცეფციასთან. ეკონომიკური თეორიის თანახმად, ეკონომიკა არათანაბრად ვითარდება, ეკონომიკური ზრდა ხდება ციკლურად. სწორედ ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება საქმიანი აქტიურობის ინდექსი (PMI). ინდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს მაკროეკონომიკისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისათვის. იგი ასახავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ეკონომიკური კონიუქტურის ცვლილებას.

საქართველოსათვის საქმიანი აქტიურობის ინდექსის გამოსათვლელად საჭიროა გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე, ბიზნესზე და დაიყოს კატეგორიებად: ფინანსები, გაყიდვები და მარკეტინგი, რისკ-მენეჯმენტი, შესყიდვები, საბაზრო გარემო და გარე ფაქტორები. აღნიშნული კატეგორიების გათვალისწინებით დგება კითხვარი და გამოიკითხება ქვეყანაში ფუნქციონირებადი წამყვანი კომპანიები. კომპანიების არჩევასა მნიშვნელოვანია დარგობრივი და გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, ასევე დივერსიფიკაცია ბიზნესის (კომპანიის) სიდიდის მიხედვით.

საქმიანი აქტიურობის ინდექსის განსაზღვრა ხდება %-ში, 0-დან 100-მდე შემდეგი ფორმულით:

$$PMI = 0.30 \times (\text{ახალი შეკვეთა}) + 0.25 \times (\text{წარმოება/მომსახურება}) + 0.20 \times (\text{დასაქმება}) + 0.15 \times (\text{მიწოდება}) + 0.10 \times (\text{მარაგები})$$

საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI) შეფასება წარმოადგენს საშუალოშეწონილ მაჩვენებელს ახალი შეკვეთების, დასაქმების, პროდუქტისა (საქონლის) და მომსახურების, მიწოდების დროის და მატერიალურ-ტექნიკური მარაგების მიხედვით. ამისათვის საჭიროა შედგეს გამოკითხვის ფურცელი. გამოკითხვის მონაწილეები ყოველ საანგარიშო ეტაპზე (მომდევნო თვეს) გააკეთებენ შედარებას წინასთან: „შემცირებული“, „გაზრდილი“ ან „უცვლელი“. ამავე დროს გამოკითხვაში მონაწილე თითოეული კომპანია უფლებამოსილია კომენტარი გააკეთოს თითოეულ პასუხზე. შემდეგ მოხდება ინდექსის გასაშუალოება, რომელიც გამოიყენება საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI) შეფასების ერთ-ერთ შემადგენელად. საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI) მნიშვნელობის ელექტრონული პუბლიკაცია უნდა მოხდეს ყოველი საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის დასაწყისში.

საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI) დინამიკის შეფასებისას შესაძლებელია გაკეთდეს პროგნოზი მრეწველობის ცვლილების, შეკვეთების რაოდენობის, საქონლისა და მომსახურების ფასების, დასაქმების და მშპ-ს დინამიკაზე 6 თვით ადრე. თუ ამ წინმსწრები ინდიკატორის მნიშვნელობა აღემატება 50%-ს, შეიძლება ითქვას, რომ მშპ გაიზრდება, თუ PMI-ს მნიშვნელობა 50%-ზე ნაკლებია, მაშინ მშპ-ს კლების დიდი ალბათობაა, ხოლო თუ PMI-ს მნიშვნელობა 44%-ია, მაშინ მშპ იქნება უარყოფითი.

მონაცემების ანალიზი უნდა გაკეთდეს სხვადასხვა პუნქტის მიხედვით. PMI-ს მნიშვნელობის მიხედვით პროგნოზირებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი კრიტიკული მნიშვნელობები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ სიტუაციებში: უმაღლესი წერტილი, 50%, 44%, ციკლის ყველაზე დაბალი წერტილი. PMI ინდექსი, საქმიანი ციკლის გავრცელების არეალის განსაზღვრის საიმედო ინდიკატორია. PMI ინდექსის მაქსიმუმის ანალიზის საფუძველზე შეიძლება სტაბილურად განისაზღვროს, რომ საქმიანი აქტიურობის ციკლის პიკი მიიღწევა დაახლოებით 7 თვეში, ხოლო საქმიანი აქტიურობის ვარდნა მოსალოდნელია 3 თვეში. 50%-იანი დონის შემთხვევაში, რესპოდენტები უნდა დაიყოს 2 ჯგუფად: ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის, ხოლო მეორე ფიქრობს, რომ - უარესობისკენ.


ძირითადად PMI ინდექსის მნიშვნელობა 50%-ზე ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმიანი ციკლის ვარდნა მოსალოდნელია 2 თვეში. თუ PMI ინდექსის მნიშვნელობა 44%-ზე დაბალია - ეკონომიკამ დაიწყო ვარდნა და მშპ-ს ზრდის ტემპი უარყოფითია. ეკონომიკის რეცესიის პირობებში PMI ინდექსის მნიშვნელობა მცირდება დაახლოებით 34,8%-მდე. თუ მნიშვნელობა 44%-ზე დაბალი არ იქნება, მაშინ მოსალოდნელია ეკონომიკის სწრაფი აღდგენა.

ნახ.1-ზე (PMI ინდექსი დიდ ბრიტანეთში) ჩანს, რომ ინდექსის მნიშვნელობა 50%-ზე მაღალია (მინიმალური მნიშვნელობა 53,4%), რაც ნიშნავს ქვეყნის წარმატებულ ეკონომიკურ მნიშვნელობას.

PMI ინდექსის მნიშვნელობა საშუალოდ 2 თვით უსწრებს Industrial Production ინდექსს. 1992 წელს ამ ორი ინდიკატორის კორელაცია იყო 75%, ამასთან PMI ინდექსი 45,9%-ით მეტი უნდა იყოს სამეწარმეო პროდუქციისაზე. 50%-იანი PMI ინდექსის მნიშვნელობის შემთხვევაში, სამეწარმეო პროდუქციის ზრდის ტემპი წელიწადში 2,1%. კვარტალური შეფასებით, მშპ-ს ზრდის ტემპის თანაფარდობა PMI ინდექსთან შემდეგია: როცა PMI ინდექსის მნიშვნელობა 43,8%, მაშინ მშპ=0; ხოლო როცა PMI ინდექსის მნიშვნელობა 50%, მაშინ მშპ=1,9.

ინფლაციის წინმსწრებ მაჩვენებელს წარმოადგენს ე.წ. ფასების გავრცელების ინდექსი (ფასების დიფუზიური ინდექსი - Prices diffusion index). სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს მაჩვენებელი სწორი პროგნოზის საშუალებას იძლევა.

ნახაზი 1: PMI ინდექსი დიდ ბრიტანეთში



როგორ შეიძლება საქმიანი ციკლის პროგნოზირება PMI ინდექსის საფუძველზე? ინდექსი წარმოების განმსაზღვრელია. როცა ქვეყანა გამოდის რეცესიის ფაზიდან, მოსალოდნელია ერთ-ერთი შემადგენელის (ახალი შეკვეთა) ზრდა, რაც წარმოების ზრდის საწინდარია. თუ ეკონომიკა მზარდია, მაშინ მატერიალურ-ტექნიკური მარაგები და დასაქმებაც იზრდება. ეკონომიკის სიმყარეს კი ფასები მოგვიანებით პასუხობს.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორების გამოყენება, რომლებიც წინსწრებით განსაზღვრავენ მშპ-ს ზრდის (შემცირების) ტემპს და ამ ინდიკატორად შესაძლებელია გამოყენებული იქნას საქმიანი აქტიურობის ინდექსის (PMI) შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დევიდ ნ. უელი - ეკონომიკური ზრდა, მე-3 გამოცემა, თსუ - 2016
2. <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>
3. <http://factcheck.ge/article/globaluri-konkurentunarianobis-indeqsshi-saqarthvelos-monatsemebi-7-pozitsiith-gaumjobsda-138-qveqhanas-shoris-59-e-adgilze-varth/>
4. The Global Competitiveness Report 2016-2017
5. <http://forex-digest.ru/articles,review,1,108.htm>

Country Competitiveness and the Assessment of Purchasing Managers' Index (PMI) for Georgia

Levan Kistauri

PhD of Economics

Professor, St. Andrew the First-Called Georgian

University of the Patriarchate of Georgia

levanikis@yahoo.com

Nino Damenia

Doctor of Business Management,

Associated Professor, St. Andrew the First-Called Georgian

University of the Patriarchate of Georgia

n.damenia@sangu.edu.ge

R e s u m e

In the article is discussed the competitiveness of the country at global scale and position of Georgia according to the report by World Economic Forum (WEF), based different valuation criteria. In order to evaluate economic condition of the country is analyzed usage of business activity index (PMI) with import, export, prices, inventory and other indicators. Is used index calculation formula and is explained forecast change of industry, order quantity, prices of goods and services, employment and GDP. Is explained importance of business activity index (PMI) in order to increase competitiveness of Georgia at world scale.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის შედეგები

გიორგი დაღანიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
Giorgi.gaganidze@tsu.ge*

საგარეო ვაჭრობაში მიჩნეულია, რომ თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს სავაჭრო პოლიტიკის საუკეთესო ფორმას. თავისუფალი ვაჭრობა, ასევე ითვლებოდა კონკურენციის დაცვის საუკეთესო იარაღად. მიუხედავად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, მთავრობებს მაინც რჩებათ საკმაოდ მძლავრი ბერკეტები კონკურენციის შეზღუდვისათვის. ასეთი ინსტრუმენტებია: იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა; ანტი-დემპინგური პოლიტიკა; სახელმწიფო სუბსიდიები; შესყიდვის პრეფერენციული სისტემები და სტანდარტების განსაზღვრა. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვან იარაღად რჩება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. წინამდებარე სტატიის მიზანია განვიხილოთ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მაგალითზე საგარეო ვაჭრობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა, ასევე შევფასოთ აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობის გავლენა საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაზე. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია ორი ჰიპოთეზა. ჰიპოთეზა პირველი: საქართველოსა და სომხეთის საგარეო ვაჭრობა მთლიანად ეყრდნობა ქვეყნების პოლიტიკური განვითარების ვექტორების განსაზღვრას. ჰიპოთეზა მეორე - აზერბაიჯანის აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა ნავთობზე განაპირობებს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას და შესაბამისად ქვეყნის მიერ გატარებულ ვაჭრობის პოლიტიკას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასევე დაიშალა მის ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ქვეყნებში ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობები. ამან ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მეტად მტკივნეული გავლენა მოახდინა. ვაჭრობაში ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას თან ახლდა ურთულესი პრობლემები. სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სხვადასხვა განვითარების ვექტორები აირჩიეს, კერძოდ საქართველომ დაგვიანებით, მაგრამ დააფიქსირა ევროკავშირისაკენ სწრაფვა, სომხეთმა საპირისპიროდ აირჩია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და შემდგომ ევრაზიული საბაჟო კავშირი, ხოლო აზერბაიჯანმა არ დააფიქსირა თავისი პრიორიტეტები. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანს ორი სხვა სახელმწიფოსაგან განსხვავებით აქვს აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა, ისეთ უმნიშვნელოვანეს ენერგეტიკულ პროდუქტზე, როგორცაა ნავთობი. საინტერესოა რა მდგომარეობაა საგარეო ვაჭრობაში, ვინ რა სარგებელი მიიღო გატარებული პოლიტიკიდან და როგორია სამომავლო პერსპექტივები. ეს საკითხები მოექცა წინამდებარე კვლევის სფეროში, რომელიც განხილულია შედარებითი ანალიზის ფონზე. ანალიზისას აქცენტირებულია: საგარეო ვაჭრობის ისეთი ასპექტები, როგორცაა ექსპორტის გეოგრაფია, ძირითადი საექსპორტო პროდუქტები, ცვლილებები საგარეო ვაჭრობაში - იმ დაშვებით, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება განაპირობებს საექსპორტო პოტენციალისა და ექსპორტის მასშტაბების ზრდას სხვადასხვა ძირითად ბაზრებზე, როგორებიცაა ევროკავშირი, დსთ და ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წევრი სახელმწიფოები (ნაფტა). ძირითადი საექსპორტო პროდუქტის ანალიზთან ერთად, ნაშრომში გამოკვლეულია სამივე ქვეყ-

ნის ვაჭრობის ინტენსივობა ევროკავშირთან, ასევე, დსთ-თან და ნაფტასთან. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსმა საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა საექსპორტო პოტენციალის ათვისების მდგომარეობა „სამივე ბაზრის“ მიხედვით. ხაზი უნდა გაესვას, იმ ფაქტს, რომ საქართველომ და სომხეთმა აირჩიეს დაახლოებით ერთნაირი მოდელი საგარეო ვაჭრობაში, კერძოდ ორივე სახელმწიფო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, საქართველო 2000, ხოლო სომხეთი 2003 წელს.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა კონკურენცია, უადრესად მნიშვნელოვანი გახდა ბრძოლა ახალი საგარეო ბაზრებისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ ქვეყნებში, რომლებმაც თავიდანვე ევროპული ვექტორი არ აირჩიეს. საექსპორტო გაყიდვების ზრდა გახდა ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა. მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში მკვლევართა დიდი ნაწილი მიანიშნებდა საგარეო ბაზრების გახსნის აუცილებლობაზე და ამდენად ცხადი იყო სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების სურვილი მიეღწიათ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისათვის ევროკავშირთან (ასევე ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების – ნაფტა, წევრ სახელმწიფოებთან). რამდენად გამართლდა ეს ვარაუდები? რამდენად სწორია და პრაგმატული ეკონომიკური ზრდის მოდელის აგება ბაზრების გახსნილობაზე? დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე. ასეთი მიდგომა განაპირობა საერთო ისტორიულმა წარსულმა, სამივე სახელმწიფოს მიერ განვითარების განსხვავებული პრიორიტეტების არჩევამ.

საკვლევი პრობლემის სხვადასხვა ასპექტი განხილულია სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომებში [1-23].

1. **ექსპორტის როლი ეკონომიკურ ზრდაში:** როგორც უკვე აღვნიშნეთ სამივე სახელმწიფოს აქვს საერთო ნიშნები, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს სხვა მახასიათებლებიც. სომხეთსა და საქართველოსათვის მცირე შიდა ბაზრის პირობებში ეკონომიკის სწრაფი ზრდა წარმოუდგენელია ექსპორტის მასშტაბების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე. შიდა ბაზრის მოცულობით აზერბაიჯანი რასაკვირველია გაცილებით უფრო დიდია, თუმცა მისთვისაც საგარეო ბაზრებზე გაყიდვები ასევე წარმოადგენს სტაბილური, ინკლუზიური ზრდის ერთ-ერთ პირობას. აზერბაიჯანის შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია დიდი ოდენობით ნავთობპროდუქტები, ეკონომიკური ზრდის ამოცანა უმეტესწილად დაიყვანება ნავთობპროდუქტებიდან მიღებული შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების საკითხზე. ამ მხრივ მათი ეკონომიკური განვითარება იმეორებს ახლო აღმოსავლეთის სხვა ნავთობით მდიდარი სახელმწიფოების განვითარების მოდელებს. საქართველოსა და სომხეთისათვის ექსპორტის ზრდის ე.წ. “უპსალას” მოდელი არ გამოდგება. შიდა ბაზრის დაბალი ტევადობა არ იძლევა შესაძლებლობას გაყიდვები ჯერ შიდა ბაზარზე განხორციელდეს, ხოლო შემდგომ მოხდეს მათი საგარეო ბაზრებზე გადანაცვლება. მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოების ექსპორტიორი კომპანიებისათვის ალბათ აქტუალურია ედიტ პერნროუზის მიერ შექმნილი ფირმის განვითარების მოდელი. მკვლევართა უმრავლესობა მიანიშნებდა, რომ: “პენროუზი” აღიარებდა, რომ არა მხოლოდ მენეჯერები აკონტროლებენ და კოორდინირებენ უწყვეტ რესურსებს, არამედ რესურსებიც ახდენენ გავლენას მენეჯერებზე და განსაზღვრავენ მათ გადაწყვეტილებებს.”[2]. ამდენად საექსპორტო სტრატეგიის ფორმირებაში ამოსავალი დებულება იყო თუ რა რესურსებს ფლობდა ფირმა, სწორედ მასზე დაყრდნობით ახდენდნენ ფირმები საექსპორტო სტრატეგიების ფორმირებას და კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციას. ეს დებულება აბსოლუტურად შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც შეზღუდული რესურსების და მცირე ტევადობის მქონე შიდა ბაზრის პირობებში

კომპანიები ორიენტირებული არიან მცირე რაოდენობით საგარეო ბაზრებზე და შეზღუდულ საექსპორტო ასორტიმენტზე. აზერბაიჯანის შემთხვევაში საექსპორტო ზრდა მთლიანად აგებულია ნავთობპროდუქტების ექსპორტის ზრდაზე. განვიხილოთ ექსპორტის როლი სამივე სახელმწიფოს ეკონომიკაში და მისი წილი, მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). (ცხრ. 1).

ცხრილი 1. ექსპორტის წილი (%) მთლიან შიდა პროდუქტში


	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	31.84	31.56	33.75	32.87	31.21	28.62	29.74	34.95	36.24	38.15	44.69	42.94	44.74	43.48
სომხეთი	32.15	29.74	28.81	23.36	19.19	15.05	15.47	20.83	23.76	27.57	28.36	28.57	29.80	33.14
აზერბაიჯანი	42.01	48.79	62.94	66.51	68.13	65.78	51.64	54.31	56.43	52.97	48.33	43.26	37.80	46.45

შედეგად: <http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?end=2016&locations=GE-MD-UA&start=1987&view=chart>; 25.07.2017.

როგორც ვხედავთ, ექსპორტი სამივე სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს და ეკონომიკური ზრდის აუცილებელ პირობას. ამასთან, ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იყო საქართველოში 2003-2012 წლებში. ცხადია, რომ აზერბაიჯანში აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანად უკავშირდება ნავთობპროდუქტების ექსპორტს, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებზე. ამდენად, აზერბაიჯანისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია არასანავთობო სფეროების განვითარება. ამ მოცემულობიდან გამომდინარე გასაგებია, რომ სამივე სახელმწიფოს ოფიციალური პირები ცდილობენ ახალი საბაზრო შესაძლებლობების გამოძებნას.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები დიაგრამულად შემდეგნაირად გამოიყურება.

დიაგრამა 1. ექსპორტის წილი (%) მშპ-ში, 2003-2016 წწ.



შედეგად: <http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?end=2016&locations=GE-MD-UA&start=1987&view=chart>; 25.07.2017.

დასკვნა:

1) განსახილველ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება აზერბაიჯანში. მათ შორის მაქსიმალური მაჩვენებელი აქვს აზერბაიჯანს 2007 წელს (68,13%), რომელიც 2016 წელს 46,45%-მდე შემცირდა;

2) საქართველოსა და სომხეთს აქვთ დაახლოებით ერთნაირი ზრდის დინამიკა, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი უფრო მაღალია. საქართველოში ამ მაჩვენებელთა შესამჩნევი ზრდა (38 %-დან - 43.4%-მდე) დაფიქსირდა 2012-2016 წლებში.

ამჯერად განვიხილოთ ექსპორტის დინამიკის ფაქტობრივი მაჩვენებლები (ცხრილი 2.).

ცხრილი 2. ექსპორტის დინამიკა 2003-2016 წწ., ათას აშშ დოლარში

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	461,406	646,903	865,454	935,139	1,232,361	1,497,485	1,133,629	1,677,299	2,186,407	2,376,634	2,910,582	2,861,043	2,204,676	2,113,734
სომხეთი	670,475	722,912	936,977	1,003,961	1,121,222	1,055,013	683,989	1,011,425	1,320,411	1,428,121	1,467,800	1,490,190	1,487	1,773
აზერბაიჯანი	2,591,719	3,615,450	4,347,151	6,372,165	6,058,319	47,756,229	14,688,728	21,278,420	26,480,189	23,827,186	23,904,108	21,751,737	11,341	12,624

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ სამივე სახელმწიფოში ექსპორტის ზრდა იმეორებდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ ექსპორტი იზრდებოდა 2008 წლის ჩათვლით, შემდეგ მაჩვენებლები შემცირდა, 2013-2014 წწ. კი ისევ გარკვეული ზრდა დაფიქსირდა. ცხადია, აზერბაიჯანის ექსპორტზე გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების დინამიკა, რაც ბოლო პერიოდში აშკარად კლების ტენდენციით ხასიათდება. ამდენად სამივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, რათა ექსპორტმა უფრო სტაბილური ხასიათი მიიღოს. სხვა მხრივ კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ: ექსპორტის ზრდა დაკავშირებულია ექსპორტის ზრდასთან ცალკეულ ბაზრებზე, საქართველოს შემთხვევაში ესაა ევროკავშირი, მაგრამ შემდგომ ექსპორტი აღარ იზრდება, ვინაიდან არაა კონკურენტუნარიანი ახალი საექსპორტო პროდუქტები. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება საგარეო ვაჭრობის სალდოს დინამიკის განხილვა იმავე პერიოდში (ცხრილი 3.).

ცხრილი 3. სავაჭრო ბალანსის დინამიკა, 2003-2016წწ., ათას აშშ დოლარში

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქ.	679,759	1,198,652	1,624,498	2,739,334	3,981,770	4,558,190	3,341,689	3,558,454	4,885,202	5,677,238	5,111,679	5,740,764	5,525,406	5,122,036
სომხეთი	566,109	626,850	754,565	1,190,397	1,931,344	3,046,204	2,490,642	2,770,342	2,788,937	2,838,775	2,788,418	2,669,327	1,774,298	1,454,561
აზერბაიჯანი	34,708	99,589	135,944	1,105,421	346,141	40,594,382	8,569,668	14,681,623	16,747,320	14,185,462	13,140,716	12,573,149	2,115,715	5,479,928

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

სავაჭრო ბალანსის დინამიკა არ იძლევა ცალსახა პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე. კერძოდ, საქართველოში სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო იზრდება, რაც განპირობებულია ექსპორტში საიმპორტო მდგენელის მაღალი წილით; სომხეთში შეინიშნება საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირების ტენდენცია; აზერბაიჯანში კი, საგარეო ვაჭრობის ბალანსი მთლიანად იმეორებს ნავთობპროდუქტების ექსპორტის ტრენდს, მისი ზრდისას დადებითი ბალანსი იზრდება, ხოლო კლებისას მცირდება.

შემდგომ ეტაპზე უნდა განვიხილოთ საექსპორტო ბაზრებისა და წამყვანი საექსპორტო პროდუქტების საკითხები.

II. წამყვანი საექსპორტო პროდუქტები და საექსპორტო ბაზრები: შემდგომი ანალიზი აგებული იქნა საექსპორტო პროდუქტებისა და საექსპორტო ბაზრების ანალიზზე. კერძოდ, აღებული იქნა ხუთი წამყვანი საექსპორტო პროდუქტები ჰარმონიზებული სისტემის 4-ნიშნა დონეზე.

ცხრილი 4. წამყვანი საექსპორტო ჯგუფები 4-ნიშნა დონეზე 2012-2016 წწ. ათას აშშ \$-ში¹

	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	%-ად მთლიან ექსპორტში 44,18	%-ად მთლიან ექსპორტში 47,80	%-ად მთლიან ექსპორტში 49,47	%-ად მთელ ექსპორტში 41,61	%-ად მთელ ექსპორტში 44,47
2603	53,535	161,633	248,008	270,601	311,703
0802	83,658	166,735	183,399	176,632	178,904
7202	260,578	230,748	285,806	194,766	169,265
8703	587,296	703,817	517,787	179,646	166,634
2204	64,828	128,299	180,402	95,796	113,497
სომხეთი	% მთელ ექსპორტში 48,16	% მთელ ექსპორტში 54,61	% მთელ ექსპორტში 55,83	% მთელ ექსპორტში 58,54	% მთელ ექსპორტში 63,92
2603	227,580	279,914	235,872	316,636	356,721
71;(7102;7108)	172,525	187,085	228,000	205,399	336,799
2402	41,841	68,040	115,850	170,541	210,463
2208	164,773	186,193	163,736	92,529	152,308
7607	81,061	80,355	88,478	82,872	78,664
აზერბაიჯანი	% მთელ ექსპორტში 95,01	% მთელ ექსპორტში 94,55	% მთელ ექსპორტში 94,72	% მთელ ექსპორტში 91,08	% მთელ ექსპორტში 95,40
27	22,259,198	22,229,819	20,177,193	9,879,277	11,532,661

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Product_SelCountry_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

ცხრილის მონაცემების მიხედვით, ვიღებთ შემდეგ სურათს, აზერბაიჯანის ექსპორტი მთლიანად მონო ბუნებისაა, სომხეთის და საქართველოს ექსპორტი ავლენს მაღალ კონცენტრაციას, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი უფრო დაბალია. სომხეთისა და საქართველოსათვის ცხადია, რომ საექსპორტო პროდუქციის რაოდენობა მცირეა და ასევე არ იქმნება ახალი საექსპორტო პროდუქტები. ამდენად საქართველოსა და სომხეთის შემთხვევაში ხდება არსებული საექსპორტო პროდუქტების რეალიზაციის ზრდა. ანალიზის შემდეგ ეტაპზე განვიხილოთ საექსპორტო გეოგრაფია. ეს მოგვცემს შესაძლებლობას დავასკვნათ, თუ რომელი მიმართულებით უნდა წარმართოს ექსპორტის ზრდა: ა) არსებული პროდუქტის უფრო დიდი ოდენობით გაყიდვა; ბ) არსებული პროდუქტის უფრო მაღალ ფასად გაყიდვა; გ) ახალი საექსპორტო პროდუქტის გაყიდვა.

¹ ჰარმონიზებული სისტემის კოდები იხ. დანართში 1.

საექსპორტო გეოგრაფიის გასაანალიზებლად შეირჩა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი: ევროკავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და ნაფტა.

ცხრილი 5. ექსპორტის გეოგრაფია, ათასი აშშ დოლარი

	2012	2013	2014	2015	2016
<i>საქართველო</i>	2,376,634	2,910,582	2,861,043	2,204,676	2,113,734
ევროკავშირი	353,016 9(14,85) ²	607,331(20,87)	624,271(21,82)	645,2979(29,27)	571,102(27,02)
დსთ	1,231,166(51,80)	1,607,224(55,22)	1,452,772(50,78)	814,335(36,94)	738,534(34,94)
ნაფტა	341,711(14,38)	221,955(7,63)	262,374(9,17)	174,693(7,92)	120,722(5,71)
<i>სომხეთი</i>	1,428,121	1,467,800	1,490,190	1,482,667	1,775,573
ევროკავშირი	560,934(39,23)	509,196(34,69)	436,814(29,31)	440,390(29,70)	478,154(26,93)
დსთ	397,213(27,81)	460,927(31,40)	413,878(27,77)	380,288(25,65)	552,869(31,13)
ნაფტა	172,335(12,07)	175,822(11,98)	180,425(12,11)	166,155(11,21)	177,872(10,01)
<i>აზერბაიჯანი</i>	23,827,186	23,904,108	21,751,737	11,326,841	12,636,624 ³
ევროკავშირი	11,529,513(48,39)	11,513,568(48,17)	11,567,663(53,18)	6,113,107(53,97)	
დსთ	1,822,711(7,65)	2,030,214(8,49)	1,367,605(6,29)	1,021,662(9,01)	
ნაფტა	1,609,856(6,76)	990,375(4,14)	966,156(4,44)	135,154(1,19)	

შედეგნილი: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

სახეზეა ორი ცალსახად გამოკვეთილი ტენდენცია: საქართველოში იზრდება ევროკავშირის წილი და მცირდება დსთ-ს წილი, ხოლო სომხეთში ეს ტენდენცია პირიქითაა. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ტენდენცია შეესაბამება ამ სახელმწიფოების მიერ აღიარებულ განვითარების პრიორიტეტებს, რაც სავსებით ლოგიკურია. აზერბაიჯანის შემთხვევაში კი, ექსპორტის გეოგრაფია განპირობებულია ნავთობპროდუქტების ექსპორტის გეოგრაფიით. ამდენად ჩვენი ვარაუდი საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში, რომ მოხდა არსებული საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება და არა ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა სავსებით სანდოა. ამავდროულად არსებული საექსპორტო პროდუქტების რეორიენტაცია ატარებს საპირისპირო მიმართულებებს, საქართველოს შემთხვევაში დსთ-დან ევროკავშირისაკენ, ხოლო სომხეთის შემთხვევაში პირიქით, ევროკავშირიდან დსთ-კენ. ამდენად საქართველოსა და სომხეთის განვითარების ვექტორების დადასტურებამ მოახდინა საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება, თუმცა რჩება გარკვეული შესაძებლობები ახალი ინვესტიციების ხარჯზე შეიქმნას ახალი საექსპორტო პროდუქტები. საქართველოს შემთხვევაში ცხადია ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირიდან, ხოლო სომხეთის შემთხვევაში დსთ სივრციდან. ასევე უნდა შევხვით ნაფტას მიმართულებას, ცხადია, რომ აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს სომხეთს, თუმცა ევრაზიული საბაჟო კავშირისაკენ სწრაფვა არ შეიძლება დადებითად აისახოს ამ მიმართულებაზე. საქართველოს შემთხვევაში, რომლისთვისაც ჩრდილო ამერიკა ყოველთვის მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი იყო უნდა ველოდოთ ექსპორტის მოცულობის ზრდას. ამის გათვალისწინებით სავსებით გასაგებია საქართველოს მთავრობის სურვილი მიაღწიოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას აშშ-თან. თუმცა უნდა აღი-

ნიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც მოხდება არსებული საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება, ხოლო ახალი საექსპორტო პროდუქტების შესაქმნელად აუცილებელი იქნება ახალი ინვესტიციები.

საექსპორტო პოტენციალის ათვისების გასაანალიზებლად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კარგად აპრობირებულ მეთოდოლოგია, კერძოდ კი დავიანგარიშოთ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი სამივე სახელმწიფოსათვის სამივე (ევროკავშირი, დსთ, ნაფტა) ძირითადი საექსპორტო ბაზრის მიმართ. ეს ინდექსი, გარკვეულწილად იძლევა კარგ შესაძლებლობას შევადაროთ ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის მიხედვით საექსპორტო პოტენციალი. ფორმულაში გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: X_{ij} - I ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში; X_i - I ქვეყნის მთლიანი ექსპორტი; M_j - j ქვეყნის მთლიანი იმპორტი; M - მსოფლიო იმპორტი. ფორმულას შემდეგი სახე აქვს: $I_{ij} = (X_{ij}/X_i) / (M_j/M)$. თუ მიღებული მაჩვენებელი I_{ij} მეტია 1-ზე, მაშინ მოცემული ქვეყნის სავაჭრო პარტნიორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ვიდრე ეს ქვეყანა სავაჭრო პარტნიორისათვის. თუ მიღებული მაჩვენებელი ერთის ტოლია, მაშინ საექსპორტო პოტენციალი პროპორციულად არის ათვისებული, ხოლო თუ ეს მაჩვენებელი 1-ზე ნაკლებია, მაშინ თქვენ სრულად ვერ იყენებთ სავაჭრო პარტნიორის საექსპორტო პოტენციალს. ამ შემთხვევაში აუთვისებელი საექსპორტო პოტენციალი განისაზღვრება როგორც სხვაობა არსებულ ექსპორტსა და ექსპორტის შესაძლო მნიშვნელობას შორის როცა ინდექსი 1-ის ტოლი იქნებოდა. განვიხილოთ ინდექსის მნიშვნელობა ცალკეული სავაჭრო პარტნიორების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მოლდოვას მაჩვენებლები დათვლილია 2016 წლისათვის, ხოლო აზერბაიჯანის 2015 წლის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 6. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი

	ევროკავშირი	დსთ	ნაფტა
საქართველო	0.84	13.5	0.32
სომხეთი	0.84	15.57	0.53
აზერბაიჯანი	1.74	4.5	0.06

შედეგების: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 17.07.2017.

ცხრილის ანალიზი აჩვენებს, რომ დსთ ყველა სახელმწიფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია, რაც აიხსნება ტრადიციული სამეურნეო კავშირებით. თუმცა საქართველოს შემთხვევაში ექსპორტის წილი აქ შემცირდება, ხოლო სომხეთის შემთხვევაში გაიზრდება. ევროკავშირთან მიმართებაში საექსპორტო პოტენციალის ათვისება საქართველოსა და სომხეთის მიერ ერთნაირია, მაგრამ სამომავლოდ უნდა ველოდოთ საქართველოს მხრიდან კიდევ უფრო მეტად ამ პოტენციალის ათვისებას, ხოლო სომხეთის მხრიდან პირიქით შემცირებას. აზერბაიჯანის მიერ ნავთობპროდუქტების ძირითადად ევროკავშირში რეალიზაცია ცხადია, ევროკავშირთან მიმართებაში ზრდის ინდექსის მნიშვნელობას. ნაფტას შემთხვევაში სომხეთის საკმაოდ კარგი (შედარებით ორ მეზობელთან) მაჩვენებელი უნდა აიხსნას ძლიერი დიასპორით აშშ-ში, თუმცა სამომავლოდ გაცხადებული ევრაზიული მისწრაფებების გამო ძნელად სავარაუდოა ამ მიმართულებით ზრდის პროგნოზირება. ნაფტა წარმოადგენს საექსპორტო პოტენციალის ათვისების დიდ რეზერვს სამივე სახელმწიფოსათვის, თუმცა საქართველოს მიერ უნდა გაძლიერდეს მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მისაღწევად, ხოლო აზერბაიჯანმა უნდა განავითაროს ახალი საექსპორტო პროდუქტები.

საგარეო ვაჭრობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსის მნიშვნელობა. ეს ინდექსი შეიმუშავა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა. ვაჭ-

რობის ხელშეწყობის ქვეშ განიხილება ნებისმიერი ქმედება, რომელიც ვაჭრობის ტრანზაქციულ ხარჯებს ამცირებს და ხელს უწყობს სტანდარტული ეფექტიანობის ზრდას. 2000-იანი წლების დასაწყისში, ცხადი გახდა, რომ სხვადასხვა არასატარიფო ბარიერები, უფრო მეტად მოქმედებენ საგარეო ვაჭრობაზე, ვიდრე ტარიფები. ამდენად შემუშავებული იქნა ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსი. ინდექსი მოიცავს 4 სუბინდექსს, რომლებიც აერთიანებენ 7 სვეტს.ჯამში განიხილება 57 მაჩვენებელი.

ცხრილი 7: ქვეყნების ადგილები, ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსის მიხედვით

	2016	2014
საქართველო	41	46
სომხეთი	68	54
აზერბაიჯანი	71	66

საქართველო და სომხეთი ატარებენ დაახლოებით თანაბარ გახსნილ სავაჭრო პოლიტიკას. საქართველოსათვის ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია გაგრძელდება ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციის კვალობაზე, სომხეთის შემთხვევაში, კი შემდგომი ლიბერალიზაცია შეფერხდება, ვინაიდან გაუგებარია ევრაზიული საბაჟო კავშირის მომავალი. აზერბაიჯანი კვლავ გაატარებს ნეიტრალურ სავაჭრო პოლიტიკას.საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ საექსპორტო პოტენციალის სრულად ათვისებისათვის აუცილებელია ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, რაც ახალი, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე წარმოუდგენელია. სომხეთისათვის ინვესტიციების ძირითადი წყარო უნდა გახდეს დსთ, საქართველოსათვის კი ევროკავშირი.

III. **დასკვნა:** საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობა ძირითადად იმეორებს მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე ტენდენციებს. 2002-2008 წლების აღმავლობა საგარეო ვაჭრობაში აისახა სამივე სახელმწიფოზე. ასოცირების შეთანხმებამ ევროკავშირთან ცხადია მოახდინა სერიოზული გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, ისევე როგორც ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებამ სომხეთზე, ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ნავთობპროდუქტების ფასების კლებამ მსოფლიო ბაზარზე. ცალსახად გამოხატულია ტენდენცია, როდესაც საექსპორტო ბაზრებში მცირდება დსთ წილი, იზრდება ევროკავშირის წილი და პირიქით. ამდენად ხდება გარკვეული ჩანაცვლება საექსპორტო ბაზრებში და არა ახალი საექსპორტო პროდუქტების ფორმირება, წამყვანი საექსპორტო პროდუქტების ჯგუფები სამივე სახელმწიფოში სტაბილურია. ვაჭრობის ინტენსივობის ანალიზის მიხედვით იკვეთება, რომ საქართველოსათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ევროკავშირის ბაზარი, სომხეთისათვის დსთ, ხოლო აზერბაიჯანმა უნდა განავითაროს ახალი საექსპორტო პროდუქტები, ან შექმნას უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქცია ნავთობის ბაზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. O’Cass, Aron and Craig Juliann (2003), “Examining Firm and Environmental Influences on Export Marketing Mix Strategy and Export Performance of Australian Exporters”. European Journal of Marketing, 37 9314) 366-84
2. Best, M.H./ Garnsey, E., Edith penrose, 1914-1996, The Economic Journal, 109,453, 1999, pp.187-201; Garnsey, E, The Resource Based Theory of the Growth of the Firm, in Ellis, k./ Gregory, a./Ragsdell,G. (eds) Critical Issues in Systems Theory and Practice, New York:Plenum Press 1995,pp. 239-244
3. Alberto Portugal-Perez, John S. Wilson, წელი? WB- Policy Research Working Paper, Export Performance and Trade Facilitation Reform.

4. Shoham (1999), "Bounded Rationality, Planning, Standardization of International Strategy and Export Performance: A Structural Model Examination," *Journal of International Marketing*, 7(2), 24-50
5. Lages, Sandy D. Jap, and David A. Griffith (2008), "The Role of past Performance in Export Ventures: A Short-Term Reactive Approach," *Journal of International Business Studies*, 39, (2), 304-325
6. Christophe Cordonnier, EU Export Market Conditions for the Realisation of the Competitive Advantages of Georgian Agricultural Products. Policy Paper, 2010
7. Massimo Motta, Fabrizio Onida, Trade Policy and Competition Policy; *Giornale degli Economisti e Analisi di Economia*, Nouvelle Serie Vol.56;1997, pp67-97.
8. Sakarya, S., Eckman, M. and Hyllegard, K. H. (2007). "Market selection for international expansion: Assessing opportunities in emerging markets", *International Marketing Review*, Vol. 24(2), pp. 208-238.
9. Gaganidze, G.(2016). Georgian Export Potential Utilization on the EU Market, *Journal of International Management Studies*, Volume 16, Number 1.
10. Gaganidze, G.(2015). Export Potential and Competitive Advantage, scientific and practical journal, *Economics and Business*, N3.
11. Gaganidze, G.(2015). Export Potential of Georgian Agricultural Products on the EU Market (Based on Competitive Advantages and Market Entry Modes), *European Journal of Business Research*, Volume 15, Number 2, ISSN 326:1945-2977.
12. Gaganidze, G.(2014) Competitive advantages of Georgian non-agricultural products on the EU Market, International Academic Conference, Business and Globalization, Dubai, 2-3rd February, ABRM, ISBN 2047-2854
13. Gaganidze, G.(2014). Competitive Advantage of Georgian Agricultural Products on the EU Market, International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague, (IAC-EMM 2014) 7-8, August, Conference proceedings, ISBN 978-80-905442-6-0
14. Gaganidze, G. (2014). Systematic Approach to Research the Competitive Advantage, TSU, scientific and practical journal, *Economics and Business*, N4, 2014
15. Gaganidze, G. (2014). Determining the production export potential index, TSU, scientific and practical journal, *Economics and Business*, N1, January-February.
16. Gaganidze, G.(2013). New Challenges in Managing International Companies, Global Business Conference Proceedings, ISSN 1848-2252; p.73. (on English)
17. Gaganidze, G. (2013). Competitiveness of Georgian Agro products and creation of the export strategies on the EU market, TSU, scientific and practical journal, *Economics and Business*, N6 November-December.
18. Mekvabishvili, E., Atanelishvili, T. (2017). GLOBALIZATION: EMIGRATION AND TRANSACTIONS. <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/628>. 17. 07. 2017.
19. Nedelea, Al. (2005). Regionalization, Regional Development and Cooperation in Eastern Europe. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1267188 17. 07. 2017.
20. Papava, V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.
21. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. *Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS)*, pp. 441-448.
22. Silagadze, A., Atanelishvili, T. (2014). The main economic indicators of the EU and Georgia "Topical problems of the development of economy and economic science." Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU, pp.50-52.
23. Kharaisvili, E.(2016). Demand for Georgian Wine and the Evaluation of Competitive Advantage Factors of Viticulture and Winemaking Sector TSU, scientific and practical journal, *Economics and Business*, N4.
24. მსოფლიო ბანკი:
<http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?end=2016&locations=GE-MD-UA&start=1987&view=chart> ; 17.07.2017.
25. ვაჭრობის სერტაშორის ცენტრი: http://www.trademap.org/tradestat/Product_SelProduct_TS.aspx?nvpm=1||||TOTAL|||2|1|1|1|2 ; 17.07.2017.

Foreign Trade Policy and the Results of Foreign Trade of Georgia, Armenia and Azerbaijan

Giorgi Ghaghanidze
Professor of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Giorgi.gaganidze@tsu.ge

R e s u m e

The South Caucasus Republics declared different vectors of their development: Georgian vector is the joining of the European Union, on the contrary Armenia stayed close with CIS and later accepted the Euro-Asian Custom Union, Azerbaijan preferred to stay neutral. The Analysis is focused on several aspects of foreign trade, such as export geography, major exporting products, changes in foreign trade. The analysis of the export results have been undertaken in both directions as export markets and major export product groups. In addition, Trade Intensification Index in all the three States is computed in order to find out the export potential utilization on the major markets – the EU, CIS and NAFTA. Also for all three States were compared the Enabling Trade Index in order to finalize the bottlenecks of the foreign trade. The research led us to the following conclusions: all three States have been heavily influenced by the World Trade trends. In case of Azerbaijan, its foreign trade is fully depend on the oil world prices ;for Georgia EU market is becoming more important, for Armenia CIS, in case of Azerbaijan is clear the urgent need to develop new, not oil connected export products.

დანართი 1.

ტექნიკური დანართი ჰარმონიზებული სასაქონლო სისტემის კოდების გამოფრვა

2603	Copper ores and concentrates
<u>0802</u>	Other nuts, fresh or dried, whether or not shelled or peeled (excluding coconuts, Brazil nuts . . .
7202	Ferro-alloys
8703	Motor cars and other motor vehicles principally designed for the transport of persons, incl. . .
2204	Wine of fresh grapes, incl. fortified wines; grape must, partly fermented and of an actual . .
8544	Insulated "incl. enamelled or anodised" wire, cable "incl. coaxial cable" and other insulated . . .
1206	Sunflower seeds, whether or not broken
9401	Seats, whether or not convertible into beds, and parts thereof, n.e.s. (excluding medical, . . .
1512	Sunflower-seed, safflower or cotton-seed oil and fractions thereof, whether or not refined, . .
1001	Wheat and meslin
1005	Maize or corn
2601	Iron ores and concentrates, incl. roasted iron pyrites
7207	Semi-finished products of iron or non-alloy steel

კონკურენციის რეგულირების მეთოდები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში

შოთა შაბურიშვილი

*ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
shota.shaburishvili@tsu.ge*

თინათინ მეძმარიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს
სამმართველოს უფროსი
tinatinmedzmariashvili@yahoo.com*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება წარმოადგენს. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში თანასწორი მოპყრობისა და კონკურენციის რეგულირების საკითხს.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების რეფორმამ და ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავებამ ხელი შეუწყო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების გამჭვირვალობას, სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და პრეტენდენტებს შორის კონკურენციის ზრდას [3, გვ. 39]. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისათვის 2010 წლის ბოლოს შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ექვსი წევრით და შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპით სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები შედიან. სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია ამ წესის შესაბამისად, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა კანონით ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები [4, გვ. 2]. 2017 წლის 19 ივლისიდან საბჭოში საჩივრის წარდგენა, გარდა სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გასაჩივრებისა, ფასიანია და მისი ოდენობა შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2 %-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარს და არაუმეტეს 500 ლარს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №382 განკარგულებით დამტკიცებული „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომლის თანახმადაც (4.1 პარაგრაფი, გვ. 40-41 და დანართი ცხრილი) საქართველოს დავების განხილვის სისტემის ინსტიტუციური რეფორმა უნდა განხორციელდეს 2017 წელს, იმპლემენტაციის I ფაზაში, რათა

დაკმაყოფილდეს დავების განხილვის ორგანოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ევროკავშირის საკვანძო მოთხოვნები, კერძოდ, „ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში უნდა შეიქმნას მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი (ანუ ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა მხარისა და ეკონომიკური ოპერატორისგან განცალკევებული) სახელმწიფო ორგანო, რომელსაც დაევალება შემსყიდველი ორგანიზაციების გადაწყვეტილებების გადასინჯვა. აღნიშნული ორგანოს გადაწყვეტილებები ასევე უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო წესით გადასინჯვას“. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვისათვის საბჭო იქმნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. შესაბამისად, დავების სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით უნდა შეიქმნას მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც იქნება მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამას გარდა, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოში შესული საჩივრები ყოველწლიურად იზრდება, ევროპის პრაქტიკის გათვალისწინებით, იზრდება დავის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა 10 დღიდან 15 დღემდე. ასევე, თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს (საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში შეადგენს 135 000 ევროს და მეტს, ხოლო სამუშაოს შემთხვევაში 5 225 000 ევროს და მეტს), საბჭოს შემადგენლობაში დამატებით შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თითო-თითო წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური წრეების შესაბამისი პროფილის ერთი წარმომადგენელი. სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს არსებობა ხელს უწყობს კერძო სექტორის მეტ ჩართულობას და უზრუნველყოფს სატენდერო/საკონკურსო პროცედურების გამჭვირვალე და ობიექტურ გარემოში განხორციელებას. დღითიდღე იზრდება საზოგადოების ნდობა დავების განხილვის საბჭოს მიმართ და მხოლოდ 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი იქნა 1,573 საჩივარი, რაც 55%-ით აღემატება 2015 წელს წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობას [7, გვ. 34]. დავების საბჭოს საშუალებით იქმნება მაქსიმალურად ჯანსაღი კონკურენტული გარემო, სადაც აზრისა და შენიშვნის გამოთქმის საშუალება ეძლევა სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. დავების განხილვის საბჭოს გამართული ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფისათვის.

ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ანტიკორუფციული კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილება, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 01 ნოემბერს, ადგენს ცალკეული საფუძვლებით (გადაუდებელი აუცილებლობა, ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება), გამარტივებული შესყიდვების განხორციელების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმების მარეგულირებელ ნორმებს. გამარტივებული შესყიდვების სფეროში გატარებულ რეფორმას ჯანსაღი კონკურენცია და პროცესის გამჭვირვალობა ედო საფუძვლად. გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მისაღებად თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში ავსებენ კითხვარს

და თან ურთავენ შესაბამის დასაბუთებას დოკუმენტური სახით. აღსანიშნავია, რომ სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვასთან ერთად განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ მასთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებებს და ამის შემდგომ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის განვითარებას.

ამასთან, 2017 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი მოდული, რომლის საშუალებითაც ხორციელდება შესაბამის მიწოდების ბაზარზე არსებული კომპანიების იდენტიფიცირება და მათი რანჟირება სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობისას დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. აღნიშნული მოდულის საშუალებით შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ მიიღონ იმ კომპანიათა რეიტინგი, რომლებთანაც შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კონტრაქტის გაფორმება. კომპანიათა რეიტინგის სარეკომენდაციო სია დგება შესყიდვის კონკრეტული ობიექტის გათვალისწინებით შესყიდვის კატეგორიის, სახელშეკრულებო თანხის, მიწოდების ვადებისა და რანჟირების თარიღის გათვალისწინებით. რანჟირების მოდული შესაძლებლობას იძლევა იდენტიფიცირებული იქნას კონკურენტუნარიანი და სანდო პოტენციური მიმწოდებელი. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და მოახდენს კომპანიების სტიმულირებას გახდნენ უფრო მეტად კვალიფიციურები და კონკურენტუნარიანები სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის კანონით გათვალისწინებული მინიმალური ვადები ნაკლები იყო ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით. შესაბამისად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით გაუქმდა გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერების დაყოფა და დღეისათვის გვაქვს მხოლოდ ელექტრონული ტენდერი. ამასთან, გაიმიჯნა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სხვადასხვა მონეტარული ზღვარი და დადგინდა ახალი მონეტარული ზღვრების შესაბამისი ვადები. კერძოდ, 150 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე წინადადების წარსადგენად განისაზღვრა არანაკლებ 7 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 5 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 2 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად, ხოლო 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში - არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად. რაც შეეხება სამუშაოს შესყიდვას, 300 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად, ხოლო 300 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 20 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 15 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად. იმავდროულად, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 25 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე სატენდერო წინადადების წარ-

სადგენად [6, გვ. 16]. ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვარი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში შეადგენს 135 000 ევროსა და მეტს, ხოლო სამუშაოს შემთხვევაში 5 225 000 ევროსა და მეტს. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარული ზღვრებთან დაკავშირებული რეგულაციები ამოქმედდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან. ვადების ზრდა ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვებში კომპანიების მეტ ჩართულობასა და დაინტერესებას, რაც ჯანსაღი კონკურენციის წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები დღეისათვის ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით. ელექტრონული შესყიდვის სისტემა ასახავს საქართველოს ხელისუფლების სწრაფვას, შეამციროს ადმინისტრაციული ხარჯები და რაც შეიძლება მეტად აღმოფხვრას არამართლობიერი და ხელოვნური ჩარევა შესყიდვების პროცესში და განამტკიცოს შესყიდვების სრული პროცესის მთლიანობა [5, გვ. 12]. საკონკურსო ვაჭრობა ეწყობა საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით დანახარჯების მინიმიზაციისათვის. საკონკურსო წესით ვაჭრობა სხვა არაფერია, თუ არა ჯანსაღ კონკურენციულ გარემოში კონტრაქტის პატიოსნად და კეთილსინდისიერად გადაცემის საშუალება, რომელიც გამოირჩევა ფავორიტიზმს, არაპატიოსან გარიგებებსა და კორუფციას [2, გვ. 71]. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ მიმწოდებელ ორგანიზაციებს საშუალება მისცა გამჭირვალე კონკურენციულ გარემოში მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და წარმოადგინონ თავიანთი საქონელი და მომსახურება სასურველი პირობებით [1, გვ. 95]. მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს კერძო სექტორის სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესების საკითხს, რადგან სახელმწიფო შესყიდვები პირდაპირ მონაწილეობას ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში. გამომდინარე აქედან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების მაქსიმალური ჩართულობა და დაინტერესება შესყიდვების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და კომპანიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებული რეფორმები ხელს უწყობს ბაზარზე არსებულ დაინტერესებულ კომპანიებს შორის კონკურენციის განვითარებას, ამცირებს კორუფციის რისკებს და ქმნის სამართლიან გარემოს. ამასთან, მუდმივად იხვეწება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის რეგულირების მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო #4, თბილისი 2012, გვ. 91-96;
2. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., სახელმწიფო შესყიდვები და კონკურენციის უზრუნველყოფის პირობები, ეკონომიკა და ბიზნესი, მაისი-ივნისი, თბილისი 2014, გვ. 69-86;
3. მემმარიაშვილი თ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2015, გვ. 39-43;
4. „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის #1 ბრძანება;

5. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა, 2016;
6. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში.

Competition Regulation Methods in the State Procurement System of Georgia

Shota Shaburishvili

PhD of Economics,

Associate Professor of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

shota.shaburishvili@tsu.ge

Tinatin Medzmariashvili

Phd student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Head of Department of the Ministry of Regional

Development and Infrastructure of Georgia

tinatinmedzmariashvili@yahoo.com

R e s u m e

In the field of public procurement, special importance is given to the issue of equal treatment and competition regulation. It is important for the country to ensure a healthy competitive environment in the process of public procurement, where private entities will be able to utilize their capabilities as much as possible. The state needs to pursue such a type of competition policy that will help organizations that are interested in state procurement become more qualified and competitive in the procurement market. The existence of a competitive environment in the state procurement sector increases the number of private companies involved in the process, which in turn ensures the rational expenditure of the state financial resources and the establishment of a state procurement system.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორები

ალექსანდრე შარაშენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
scharaschenidze@gmail.com*

[
ეკონომიკური კეთილდღეობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგად მიიღწევა, რაც თავის მხრივ, კარგად შემუშავებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკის სტრატეგიული განვითარება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ, როგორებიცაა: კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და პროდუქტიულობა. ხშირ შემთხვევაში ხდება ამ ფაქტორების ერთმანეთში არევა, იმის მიუხედავად, რომ თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი როლი აქვს საბოლოო მიზნის - ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაში.

ინოვაცია კავშირშია პროდუქტიულობასთან და შესაბამისად კონკურენტუნარიანობასთან. იგი განვითარების პროცესის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს და გლობალური კონკურენციის პირობებში მის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. ინოვაციის განმარტება მოცემულია ი. შუმპეტერის მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ – „ინოვაცია ესაა საწარმოო მულტიპლიკაციის პროცესი, რომელიც ეკონომიკურ სტრუქტურაში შიგნიდან ახდენს რევოლუციას და ძველის დანგრევის ხარჯზე ქმნის ახალს.“ [1] ინოვაციას იგი “კრეატიულ განადგურებას/კრახსა” (“creative destruction”) და კონკურენტუნარიანობის ძირითად გამწვევ ძალას უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ ინოვაციის გაწევა ერთადერთია, რაც მნიშვნელოვანია ისტორიაში. მეცნიერმა გააკეთა დასკვნა, რომ ყველას, ვისაც სურს ნახოს მოგება, უნდა იყოს ინოვაციური [2].

ეკონომიკის თეორიტიკოსებში ქრონოლოგიური თვალსაზრისით ინოვაციის შესახებ მოსაზრებები წარმოდგენილია კ. ფრიდმანთან, სიტყვებით „არ გაწიო ინოვაცია ნიშნავს მოკვდენ [3]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ინოვაციას ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან აკავშირებდა, ცივილიზაციის უდიდესი მიღწევები, იქნება ეს არქიტექტურა თუ ფერწერაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, არასოდეს არაა დაკავშირებული ცენტრალიზირებულ ხელისუფლებასთან [4].

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინოვაციის განმარტება შემდეგნაირია: „ინოვაცია არის ახალი პროდუქტის და პროცესის, ან არსებულის გაუმჯობესებისათვის ახალი ტექნოლოგიების, იდეებისა და მეთოდების კომერციულად წარმატებული ექსპლუატაცია. ინოვაცია არის ინტერაქტიული სწავლის პროცესის შედეგი, გულისხმობს რა კომპანიის მრავალი შიდა და გარე ფაქტორების ჩართულობას“ [5]. დაახლოებით იგივენაირად განმარტავს ინოვაციას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, - „ახალი ან საგრძნობლად გაუმჯობესებული პროდუქტის (მატერიალური პროდუქტის ან მომსახურების) პროცესის, ახალი საბაზრო მეთოდის, სამუშაო ორგანიზაციის ან საგარეო ურთიერთობის შექმნა/დანერგვა“ [6]. ინოვაცია სხვა თანამედროვე მკვლევართა სიტყვებით “კრეატიულობის კომერციალიზაციაა” [7] და გულისხმობს: "ორგანიზაციის (საწარმო – საქონლის მწარმოებელი, სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია, კვლევითი ლაბორატორია) შიგნით წარმოების პროცესს (საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ავტომატიზაციით, ენერგოეფექტური სისტემებით, სხვა); პროდუქტის (ახალი პროდუქტები და სერვისები, ახალი პროდუქტების მოდელის, გაუმჯობესებული ხარისხით, სხვა); ორგანიზა-

ციული მოქნილობის (მიწოდების სისტემის გაუმჯობესება, ქსელური კავშირები, მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობის გაუმჯობესება, და ა.შ.) ტრანსფორმაციას" [8]. არსებული განმარტებების შეჯერებისას ეკონომისტი დავით დარსაველიძე ასკვნის, რომ ინოვაცია არის ახალი და არსებული ცოდნის გამოყენების ახლებური კომბინაცია, რათა შეიქმნას ან გაუმჯობესდეს 1. პროდუქტი, 2. საწარმოო პროცესი ან 3. ორგანიზაცია დამატებითი კომერციული სარგებლის/წარმატების მისაღებად. მოცემული განმარტებების საფუძველზე დ. დარსაველიძის აზრით ინოვაცია სხვადასხვა ფორმით, მიმართულებით შეიძლება განვითარდეს და ტერიტორიის, მისი განვითარებით დაინტერესებულ მხარეებისა და მათ მიერ შერჩეულ მოდელზე არის დამოკიდებული [9].

ინოვაცია კავშირშია კონკურენტუნარიანობასა და პროდუქტიულობასთან, მაგრამ მათი სრული გაიგივება არ არის მართებული. მაგალითად, ცალკეული ტექნიკური დეტალის დახვეწამ შესაძლოა გააუმჯობესოს განსაზღვრული წარმოება, მაგრამ ამან შესაძლებელია გავლენა ვერ მოახდინოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე. ცალკეულმა ინოვაციამ შესაძლოა გააუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი, მაგალითად, ამინდის პროგნოზის მეთოდის გაუმჯობესების შედეგად გამოწვეულმა ძვრებმა, ირიბად შესაძლოა იმოქმედოს კონკურენტუნარიანობაზე, მაგრამ ახალი სამკურნალო/სატრანსპორტო საშუალების ან კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოგონება არა მარტო ზრდის მოცემული სამრეწველო სექტორის კონკურენტუნარიანობას, არამედ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხსა და პროდუქტიულობასაც. ამგვარად, ინოვაციამ შესაძლებელია გააუმჯობესოს კონკურენტუნარიანობა და პროდუქტიულობა, მაგრამ არა ყოველთვის.

პროდუქტიულობის ზრდა მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს გლობალურ ბაზარზე გაყიდოს მეტი პროდუქცია და სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე მიაწოდოს იგი ბაზარს, რაც აისახება მათ კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. პროდუქტიულობის ყველაზე მარტივი განსაზღვრება ასეთია, - დანახარჯის ერთ ერთეულზე მიღებული ეკონომიკური შედეგი. დანახარჯი შესაძლოა იყოს შრომის ნაყოფიერება გამოხატული დროით ერთეულში ან მოიცავდეს ყველა პროდუქციის ფაქტორს დროის, დანადგარებისა და ენერჯის გამოყენებას (მთლიანი ფაქტორების გამოყენებას). მიუხედავად საკმაოდ მარტივი განმარტებისა, მისი სხვადასხვანაირი გაგება ხდება. მაგალითად, ჩინეთში წარმოების გადატანამ ცალკეულთა მტკიცებით, იქ არსებული დაბალხელფასიანი სამუშაო ძალის არსებობის მიზეზით, შესაძლებელია გამოიწვიოს პროდუქტიულობის გაზრდა. ფაქტურად კი სამუშაო ადგილების გადატანით შესაძლოა შემცირდეს პროდუქტიულობა, რადგან ჩინურ ფირმებში დასავლურ ევროპულ ფირმასთან შედარებით უფრო ნაკლებად გამოიყენება მანქანა-დანადგარები და შესაბამისად ისინი ნაკლებად ეფექტიანია.

პროდუქტიულობის არსის უკეთ დასადგენად საჭიროა დავაზუსტოთ, რომ ეკონომიკის ზრდა შესაძლოა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში სხვადასხვანაირად გამოიხატოს: სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდით, რომელიმე დარგში მაღალტექნოლოგიური სეგმენტის წილის ზრდით. დასაქმებულების ზრდა არამდგრადი სტრატეგიაა, ამ შემთხვევაში არ ხდება არც პროდუქტიულობის და არც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა. სექტორულ ზრდას - „ზრდის ეფექტს“ უწოდებენ. იგი განისაზღვრება, არა ცალკეული სექტორის ქვეყნის ეკონომიკაში წილის ზრდით, არამედ მაშინ, როცა მაღალი და დაბალპროდუქტიანი სექტორები ერთბაშად ხდებიან უფრო პროდუქტიული. ეს შეიძლება ორი გზით განვითარდეს: 1. როდესაც ყველა ფირმის პროდუქტიულობა იზრდება; 2. დაბალი პროდუქტიულობის ფირმები კარგავენ ბაზრის წილს მაღალპროდუქტიული ფირმების სასარგებლოდ (მაგ. ნაკლებად ეფექტიანი ნაბეჭდი წიგნების გამოცემის ნაცვლად მყიდველთა პრიორიტეტის ცვლილების გამო ბაზრის წილს იკავებს უფრო მაღალპროდუქტიული ელექტრონული წიგნების გამოცემა). მესამე სახის ზრდა მსგავსია ზემოთ მოყვანილი ბოლო მაგალითისა. ამ შემთხვევაში ხდება დაბალპროდუქტიული სექტორის მიზნობრივი ჩანაცვლება მაღალპროდუქტიული სექტორით. ასეთ ცვლილებას

„გადატანის ეფექტს“ უწოდებენ. „გადატანის ეფექტის“ მაგალითია სოფლის მეურნეობის დაბალ-პროდუქტიული სექტორის სამუშაო ადგილების გადანაცვლება განვითარებული ტექნოლოგიების მაღალპროდუქტიულ სექტორში [10].

ისმის კითხვა თუ რომელი სტრატეგია „ზრდის ეფექტი“ თუ „გადატანის ეფექტი“ არის უფრო მნიშვნელოვანი. პასუხი დამოკიდებულია ეკონომიკის სიდიდესა და სექტორის ტიპზე. დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სავაჭრო სექტორის დიდი წილის გამო უფრო ეფექტიანია „ზრდის ეფექტი“. რაც უფრო განკუთვნილია სექტორი შიდა მოხმარებაზე მით უფრო მნიშვნელოვანია ზრდის ეფექტი. მაგალითად, პატარა ქალაქში ავტომობილების მწარმოებელ ქარხანაში მაღალკვალიფიციურ ტექნოლოგიის დანერგვისას იზრდება პროდუქტიულობა, შემცირებული ფასების შედეგად სარგებელს ნახავს მოცემული ფირმის ყველა მომხმარებელი ქვეყნის საზღვრებს შიგნით და მის გარეთ. თავად ქალაქი, სადაც ავტომობილების ქარხანა განთავსებული ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, თუ ქარხნის პროდუქტიულობა აისახება მუშახელისთვის ხელფასების მომატებასა და მუშახელის რაოდენობის გაზრდაში. ზოგადად მსოფლიოში განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სამრეწველო პოლიტიკა ფოკუსირებულია პროდუქტიულობის წახალისებაში. მრეწველობის სექტორის შეცვლა ძირითადად ხდება მრეწველობის სექტორების ნაკრების - მაღალი პროდუქტიულობით ჩანაცვლებით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მრეწველობის სექტორი, დაბალპროდუქტიულიც კი, ცდილობს თავისი შედეგის გაზრდას [11].

მაშასადამე, კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და პროდუქტიულობა განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცნებებია. სტიმულირებული ინოვაცია ხელს უწყობს პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას. ინოვაცია ნიშნავს, რომ მომავლის პროდუქტი არა მართო უფრო იაფი, არამედ უკეთესიც იქნება. ასევე მნიშვნელოვანია სტიმულირებული კონკურენტუნარიანობა. კონკურენტუნარიანი სექტორების გარეშე, ქვეყნის ცხოვრების დონე შემცირდება, ვინაიდან მეტი ფული დაიხარჯება იმპორტზე. დაბალი კონკურენტუნარიანობა უმაღლეს გამოიწვევს გავლენას ზრდის სხვა მაჩვენებლებზე (სავაჭრო სექტორის ინოვაციებსა და პროდუქტიულობაზე). პროდუქტიულობა კი ეროვნულ დონეზე გამოიხატება როდესაც ფირმების პროდუქტიულობა იზრდება ან/და დაბალი პროდუქტიულობის ფირმები/სექტორები კარგავენ ბაზრის წილს მაღალპროდუქტიული ფირმების/სექტორების სასარგებლოდ.

ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამალეების სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მიზნობრივ საკითხებზე: ვაჭრობაზე, გადასახადებზე, ტექნოლოგიებზე. ეს გააძლიერებს რეგიონის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. ინოვაციის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ინოვაციებისკენ მიმართულ გზაზე არსებული ბარიერების აღმოფხვრა (მაგ. ნორმატიულ რეგულირება) და მხარდამჭერი სისტემების გამართული მუშაობა (სამეცნიერო კვლევითი ინსტრუქტები, განათლება) ეს მიგვიყვანს სამივე სექტორში (სამრეწველო, არასამრეწველო, სამთავრობო) ინოვაციების წილის ზრდაზე. პროდუქტიულობის სტრატეგია მისი ზრდის ხელის შემშლელი ბარიერების დასადგენად შეისწავლის ქვეყნის ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორს და მის ფუნქციებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ სტრატეგიას სხვადასხვა მიზანი აქვს, მათი ხშირი ურთიერთგადაკვეთის გამო უმეტეს შემთხვევაში ხდება მათი თავმოყრა და ერთ ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიაში გაერთიანება, რომლის ფორმირება ქვეყანაში არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხდება.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებაზე გავლენას ახდენენ როგორც გარე - ზოგადად მსოფლიოში არსებული, ასევე, შიდა - თავად ქვეყანაში არსებული ფაქტორები. ცალკე გამოსაყოფია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაზე, რაც უდიდეს გავლენას ახდენს, როგორც პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე, შრომის გადანაწილებაზე, ახალი მოთხოვნების გაჩენაზე და შე-

საბამისად ახალი დარგების წინ წამოწევაზე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ხდება კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირება და მის საფუძველზე მიმდინარე ბიუჯეტის დაგეგმვა. სწორედ ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების და ვალდებულებების შესრულებით ეტაპობრივად ხდება გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელება, მათ შორის შესაძლოა მოვიაზროთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაც, ბიუჯეტი კი ამ ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობაა [12]. ბიუჯეტის დაგეგმარებაში საყურადღებოა დანახარჯების სტრუქტურა, რომელიც, თავის მხრივ, შემოსავლების წყაროებს განაპირობებს. ხანგრძლივ პერსპექტივაში დანახარჯების ერთი მიმართულებით გაწევა, საბოლოო ჯამში, საფუძველს უქმნის ქვეყნის სტრატეგიულ ეკონომიკურ მიმართულებას, შესაბამისად გლობალური კონკურენციის სამყაროში ხდება ამა თუ იმ ნიშნით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და მასთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანობის ხარისხის ამაღლება. შეიძლება გამოვყოთ პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ დანახარჯები. პროდუქტიული დანახარჯები მიზანმიმართულია პროდუქციის ფაქტორთა ნაყოფიერების ასამაღლებლად, სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკის მდგრადი ზრდის მხარდაჭერად. შებამისად, პროდუქტიული დანახარჯები, რომლებიც შესაძლებელია სხვანაირად საინვესტიციო დანახარჯებად მოვიხსენიოთ, მიმართული უნდა იყოს საჯარო სერვისებისკენ - ჯანდაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისკენ. იგი, ასევე, მიზნად უნდა ისახავდეს ბიზნეს კლიმატისა და სტაბილური შრომის ბაზრისა დახვეწას, ხელს უნდა უწყობდეს კვლევასა და განვითარებას. არაპროდუქტიული დანახარჯების საპირისპიროდ, მიმართულია მიმდინარე საქმიანობებისკენ, როგორცაა სოციალური დანახარჯები და ცალკეული დარგების სუბსიდირება. სხვადასხვა ქვეყნის დანახარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ პროდუქტიულ დანახარჯებს მივყავართ ეკონომიკურ ზრდისკენ, მაშინ როცა არაპროდუქტიული დანახარჯების ზეგავლენა ამ კუთხით უმნიშვნელოა. ცალკეულმა კვლევებმა აჩვენა კავშირი საინვესტიციო დანახარჯებსა (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის სფეროებში) და ეკონომიკის ზრდასა და შემოსავლების გადანაწილებასთან [13]. ზოგიერთმა განვითარებულმა ქვეყანამ, შეძლო წარმატებით გაეზარდათ პროდუქტიული დანახარჯები და შესაბამისად მიიღეს მაღალი ზრდის ტემპები, რამაც, თავის მხრივ, შემოსავლების უფრო სამართლიანი გადანაწილება გამოიწვია. ამ ქვეყნების მაგალითი მოწმობს, რომ სახელმწიფო დანახარჯების პოლიტიკა უფრო ეფექტიანია, ვიდრე საგადასახადო პოლიტიკა სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების გათვალისწინებით. სახელმწიფო დანახარჯები თუ მას მიზანმიმართულად კვალიფიკაციისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისკენ წავმართავთ და შესაბამის ჩარჩოებში მოვაქცევთ შესაძლოა გახდეს ეფექტიანი ინსტრუმენტი, პროდუქტიულობის მდგრადი ზრდისათვის და დასაქმებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნისთვის, შემოსავლების გადანაწილებისათვის და სიღარიბის დასაძლევად. შესაბამისად, სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურის ცვლილებას ინვესტიციების გაზრდის კუთხით მივყავართ ეკონომიკის მდგრადი ზრდისაკენ. პროდუქტიულ დანახარჯები ასევე, მოიცავს დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სოციალურ დაცვას. პროგრამები, რომლებიც მიმართულია არაკვალიფირებული მუშახელის დატრენინგებაზე პროდუქტიული დანახარჯების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მსგავსი პროგრამების მიზანია სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესება, არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მსგავსი პროგრამები მოქმედებს როგორც განვითარებად, ასევე, განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექმნის მიზნითა და გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი ზეგავლენის შესასუსტებლად.

მოკლევადიან პერიოდში სოციალურ დაცვის ღონისძიებად შესაძლებელია მივიჩნიოთ სუბსიდიები და პირდაპირი ტრანსფერები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდები გრძელვადიან

სტრატეგიაში ვერ გამოიყენება, რადგან მათ მიზნობრივი დანიშნულება აქვთ განსაზღვრულ ფოკუს-ჯგუფებში. ზოგიერთი ქვეყნის მაგალითით კი პირიქით, ისინი ეკონომიკის ზრდის შეფერხებას განაპირობებენ, ანუ სუბსიდიებს და პირდაპირ ტრანსფერებს რეგრესიული ხასიათი აქვთ, ისინი ხელს არ უწყობენ შრომის ბაზრის განვითარებას, არ განაპირობებენ დასაქმებულთა თანაბარ შესაძლებლობებს და არ ზრდიან სამუშაო ადგილებს. ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სუბსიდირება უკარგავს აზრს მწარმოებლურობის გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. ამგვარად, ქვეყნის განვითარებისათვის პროდუქციულ დანახარჯებს უპირატესობა ენიჭება არაპროდუქციულ დანახარჯებთან მიმართებაში.

მეორე მხრივ, კი განვითარებად ქვეყნებში, ისეთი როგორც საქართველოა, მოსახლეობის საკმაო ნაწილი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, შესაბამისად ქვეყანას უწევს სიღარიბესთან ბრძოლა, რაც გულისხმობს არაპროდუქციული დანახარჯების დაშვების აუცილებლობას, რათა მოსახლეობის ყველა ფენამ წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში და ამავე დროს საჭიროების მიხედვით სარგებლობდეს ეკონომიკური ზრდის სიკეთეებით, ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დროს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა ანუ დაცული იყოს ინკლუზიური ზრდის პრინციპები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Schumpeter, J.A. 1942. *Capitalism, Socialism and Democracy*, 3rd edition, London;
2. George Allen and Unwin, 1976, p. 5;
3. Schumpeter, J.A., *The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest and the business cycle*, Harvard Economic Studies, Vol. 46, Harvard College, Cambridge, MA 1934, p. 35;
4. Hart D.A., *Innovation Clusters: Key Concepts*, Department of Land Management and Development, and School of Planning Studies, the University of Reading, UK., 2000, p. 4;
5. Milton Friedman, Rose D. *Friedman Capitalism and Freedom: Fortieth Anniversary Edition*;
6. Green Paper on Innovation, European Commission, *The Innovation Programme*, DG XIII, Luxemburg, 1996, p. 54;
7. Ministerial Report on the OECD Innovation Strategy” (Organization for Economic Cooperation and Development, March 2010), <http://www.oecd.org/sti/45326349.pdf>;
8. Simmie J., Hart D., *Innovation Projects and Local Production Networks: A Case Study of Hertfordshire*, “European Planning Studies”, 7, 1999, p. 447.;
9. Komninos N., *Intelligent Cities*, Spon Press, UK, USA, Canada, 2002, p. 18.;
10. დარსაველიძე დ., ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები, თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების (მაგალითზე) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, 2014, გვ. 35;
11. Robert D. Atkinson, *Competitiveness, innovation and productivity: cleaning up the confusion*, August 2013, p. 12.;
12. James Manyika et al., “How to Compete and Grow: A Sector Guide to Policy” (McKinsey & Company, March 2010);
13. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 2, 2014 წ.;
14. *Towards Sustainable Competitiveness Restructuring Institutions in Egypt The Egyptian Competitiveness Report 2013*. p. 76.

National Competitiveness Improvement Strategy in Georgia

Aleksandre Sharashenidze

PhD Student of

Ivane Javakhisvili Tbilisi State University

e-mail:scharaschenidze@gmail.com

R e s u m e

The National Competitiveness is considered in the article, as well as short and long period improvement strategy. Innovation and Productivity, with their points of intersections and differences are presented on the base of Comparative analysis. Elements of the formation of development strategies of economic categories are analyzed with the opportunity to merge them into unified economic competitiveness strategy on the basis of existing practice. Formation of Priorities of Competitiveness Policy is also described in the article, from the planning of budget revenues and expenditures. The aim of productive and unproductive expenditures and the importance of productive and unproductive expenditures are discussed as well.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მისი ურთიერთქმედება ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან

გვანცა ჩადუნელი

სამართლის მაგისტრი,

უნივერსიტეტი პანთეონ-ასასი პარიზი 2

(სორბონას საუნივერსიტეტო ასოციაცია)

gvantsachadu@gmail.com

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თეორია თავისუფალი კონკურენციის პრინციპიდან გამომდინარეობს.^{1,2} ზოგიერთი ავტორი არაკეთილსინდისიერ ქმედებებს სამ კატეგორიად ჰყოფს³ - ცილისწამება, იმიტაცია, დეზორგანიზაცია. აღნიშნული ტიპოლოგია რჩება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების კლასიკურ პრეზენტაციად, მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინამ დაამატა მეოთხე - პარაზიტიზმი.

პარაზიტიზმის თეორია, გამოიყენება კონკურენტის ინვესტიციების, მიღწევების, გარკვეული იდეების, მოკლედ, ინოვაციების (რომლებიც არ ან აღარ არიან კერძო საკუთრებაში) დასაცავად. ინტელექტუალურ საკუთრების უფლების მფლობელის კი გააჩნია კონტრაქციის უფლება, იმის წინააღმდეგ ვინც ითვისებს ან ახდენს თაღლითურ რეპროდუცირებას. კონტრაფაქცია და კომერციული პარაზიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მჭიდრო კავშირშია, რადგან კერძო უფლების არარსებობის ან ამოწურვის შემთხვევაში სწორედ კონკურენციის თავისუფლება ითავსებს დაცვით ფუნქციას. ამ მხრივ, საინტერესოა ამ ორი სამართლებრივი ელემენტის ურთიერთქმედება,

მაგრამ რა მასშტაბებამდე უნდა გავრცელდეს ეს დაცვა? აღნიშნული საკითხი ეხება განუწყვეტელ დებატებს თავისუფლების დამცველსა და საკუთრების დამცველს შორის, პარაზიტიზმი სთავაზობს მის მფლობელს საკუთრების უფლების მსგავს დაცვას - ლიბერალიზმსა და პროტექციონიზმს შორის.

I. კომერციული პარაზიტიზმის კონცეფციური განსაზღვრა: კანონმდებლის დუმილის პარალელურად, სასამართლო პრაქტიკას აკისრია მოვლეობა განსაზღვროს პარაზიტიზმის ცნება და მისი შემადგენელი კრიტერიუმები.

სასამართლო პრაქტიკა კი თანხმდება იმ ფაქტზე, რომ კომერციული პარაზიტიზმი არის ერთ-ერთი ასპექტი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სასამართლომ აღიარა, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვადასხვა ქმედებებს შორის ზოგიერთი მიეკუთვნება განსაკუთრებულ კატეგორიას - „პარაზიტიზმს“. ეკონომიკური, იგივე კომერციული პარაზიტიზმის ცნებას, რომელიც პრეტორიანული წარმოშობისაა, პირველად ვხვდებით ივ სენ-გალთან 1957 წელს.⁴ ავტორი მას განსაზღვრავს როგორც, „ეკონომიკური აქტორის ქმედებას ჩაერიოს მეორე აქტორის საქმიანობაში, რათა მიიღოს სარგებელი, ყოველგვარი დანახარჯის გარეშე, მისი იდეების, რეპუტაციის და სახელის გამოყენებით.“⁵ აღნიშნული ცნება

¹ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას ითვალისწინებს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1900) მე-10bis მუხლი.

² L. Arcelin-Lécuyer, *Droit de la concurrence* », ISBN 978-2-7535-2753-9, Presses universitaires de Rennes, 2013, გვ. 10, ხელმისაწვდომია: www.pur-editions.fr

³ ამასთან დაკავშირებით იხილეთ: P. Roubier, « Le droit de la propriété industrielle », t. I, éd. Sirey, 1952, n° 110

⁴ ივ. Y-V. Gal *Concurrence parasitaire (ou agissements parasitaires)* : RIPIA 1957, p. 19.

⁵ ივ სენ-გალის მიხედვით, ეს არის „მეწარმის ან მრეწველი მიერ განხორციელებული აქტი, რომელსაც მიზნად არ აქვს ზიანის მიყენება, თუმცა ცდილობს მიიღოს სარგებელი სხვის მიერ ეკონომიკურ

საშუალებას აძლევს მოსამართლეებს სანქცია დაუწესონ იმ საწარმოსაც კი, რომელიც მოღვაწეოს სხვა სსფეროში და ყოველგვარი პირდაპირი კონკურენციის მდგომარეობის გარეშე უსამართლოდ იყენებს მესამე კომპანიის ინვესტიციებსა და მიღწევებს.⁶

მაგალითი ბევრია, შეიძლება აღვნიშნოთ საფრანგეთს ინტერფროფესიონალთა კომიტეტის ცნობილი საქმე „შამპანის ღვინო ივ სენ-ლორანის საწარმოს წინააღმდეგ“,⁷ ამ საქმეში ცნობილმა ბრენდმა „ივ სენ ლორანამ“ გამოიყენა დასახელება „შამპანი“ თავისი ახალი სუნამოსათვის. აღნიშნული დასახელება კი დაცული იყო ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სასმელების სფეროში, ანუ საქმიანობა არ წარმოებდა კოსმეტიკის სფეროში, გარდა ამისა, ეს ორი ოპერატორი არ იყო კონკურენციულ ურთიერთობაში.

მიუხედავად ამისა, 1993 წელს პარიზის სააპელაციო სასამართლომ ეს ქმედება დააკვალიფიცირა კეთილსინდისიერი კონკურენციის საწინააღმდეგო პარაზიტულ აქტად, რადგანაც მიიჩნია, რომ ამ ქმედებით ივ სენ ლორანის სახლი იყენებდა დასახელება „შამპანს“, მისი რეკლამირების მეთოდებსა და ნიშნებს, რომელმაც განაპირობეს აღნიშნული სასმელის პოპულარობა, ამით კი იღებდა გაუმართლებელ სარგებელს.⁸

1. კომერციული პარაზიტის მატერიალური ელემენტები - ბოლო წლებში პარაზიტის მის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის ფონზე, ევროკავშირის მასშტაბით ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში (განსაკუთრებით გერმანია, იაპონია, შვეიცარია), არაკეთილსინდისიერი კონკურენცია გათვალისწინებულია სპეციალური კანონმდებლობით, ნაწილი სახელმწიფოებისა კი არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს ამ სფეროში, რომელიც, შესაბამისად, რჩება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპების დონეზე.⁹

უფლების ნებისმიერი პათოლოგიური განხორციელება, პასუხისმგებლობის წყაროდ განიხილება განსხვავებული პირობების გათვალისწინებით. რაც შეეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედების, როგორც დელიქტური ზიანის ფაქტის დადასტურებას, აუცილებელია სახეზე იყოს სამი ელემენტის კომბინაცია: ბრალთა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ამ ორს შორის.

1.1 ქმედება - სასამართლო პრაქტიკა ეჭვქვეშ აყენებს საკითხს უნდა იყოს თუ არა ქმედება განზრახვით ჩადენილი. საფრანგეთის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ქმედება ბრალეული იქნებოდა განზრახვის ელემენტების არარსებობის შემთხვევაშიც. ამრიგად, 1984 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველი შეიძლება ვიპოვოთ სამოქალაქო კოდექსის 1382 და 1383 მუხლებში და ამ დებულებებში გათვალისწინებული დანაშაულს არ საჭიროებს განზრახვის ელემენტები“. საკმარისია დაუდევრობისა თუ გაუფრთხილებლობის ქმედება, მაშინაც კი, თუ ძნელია ამ ქმედების აღქმა.¹⁰

ამ კუთხით, საინტერესოა, პარიზის სააპელაციო სასამართლოს 1995 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტლება: Bosch-მა წამოიწყო სარეკლამო კამპანია თავისი ჭურჭლის სარეცხი მანქანი-

საქმიანობაში ლეგიტიმურად მოპოვებული სახელით მაშინაც კი, როდესაც არ ქმნის არევის რისკს პროდუქტებსა და საწარმოებს შორის“.

⁶ S. Faber, A. Baudequin, La concurrence déloyale n'est pas qu'entre concurrents directs, le 26 Juillet 2016, ხელმისაწვდომია: http://larevue.squirepattonboggs.com/La-concurrence-deloyale-n-est-pas-qu-entre-concurrents-directs_a2943.html

⁷ პარიზის სააპელაციო სასამართლოს 1-ლი პალატის 1993 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება

⁸ L. Dahmani, Le parasitisme, le 13 avril 2016, ხელმისაწვდომია: <https://droitalparole.com/2016/04/13/le-parasitisme/>

⁹ მაგ: საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382 და 1383 მუხლები

¹⁰ L. Arcelin-Lécuyer, Droit de la concurrence », ISBN 978-2-7535-2753-9, Presses universitaires de Rennes, 2013, გვ. 12, ხელმისაწვდომია: www.pur-editions.fr

სათვის შემდეგი სცენარით: ქალი იღებდა ხელში ჭურჭლის სარეცხ მანქანას შემცირებული ზომით - სუნამოს ბოთლის ზომის მასშტაბით. აღნიშნული რეკლამა განსაკუთრებულ ხაზს უსვამდა ქალის ხელებს, ეს სცენარი ძალიან ჰგავდა გერლენის რეკლამას სუნამო Samsara-თვის, ისევე როგორც ფერების კომბინაცია (წითელი ფერი ქალის ტანსაცმლისათვის და სხეული დაუფარავი ნაწილებისთვის ხორცისფერი და ოდნავ ოქროსფერი). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ იყო აღრევა მომხმარებლის გონებაში ამ ორ პროდუქტს შორის, რადგან ისინი კომერციული საქმიანობის სრულიად განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობდნენ, ამასთან ადგილი არ ჰქონია არც კლიენტების მითვისებას. მიუხედავად ამისა, პარიზის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა რომ „ასეთი თვალნათელი მიმბამძველობა იმ სურათისათვის, რომელიც დიდი ხარჯების გაწევით შექმნა გერლენმა, რათა პრეზენტაცია გაეკეთებინა თავისი პროდუქციის ხაზისათვის „Samsara“ წარმოადგენდა არამხოლოდ სხვისი იმიჯის გაუმართლებელ ექსპლუატაციას, არამედ ამ იმიჯის იდენტურობის შესუსტებისა და შეცვლის მცდელობას“¹¹ - დაკვალიფიცირებულ იქნა კომერციული პარაზიტობის აქტად.

რაც შეეხება დელიტური ქმედების ბუნებას, იგი მოიცავს „კონკურენციის თავისუფლების განხორციელებაში მოვალეობის დარღვევას, რაც ზოგიერთი მათგანისთვის არის სოციალური კომუნალური იმპერატივი.“¹² პარაზიტობაში არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ვაჭრობის წეს-ჩვეულებებს და სცდება ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლად განხორციელების ფარგლებს. ეს განსაზღვრება შეესაბამება პარიზის კონვენციას, რომელიც მას განსაზღვრავს როგორც "კონკურენციის ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება სამრეწველო და კომერციულ საკითხებში კეთილსინდისიერ პრაქტიკას". წეს-ჩვეულებებზე აქცენტის გაკეთებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები - გარდა იმისა, რომ ხასიათდება გარკვეული უზუსტობით, ძნელია იცოდეს ყველა დაუწერელი კანონი და წარმოადგინო დარღვევის შესაბამისი მტკიცებულებები.¹³

1.2 ზიანი - რაც შეეხება ზიანს, იგი უნდა არსებობდეს და უნდა იყოს ზუსტი. უბრალოდ შემთხვევითი ზიანი არ მიიღება მხედველობაში. სამაგიეროდ, მომავალი ზიანი შეიძლება იქნეს ანაზღაურებული, იმ პირობით, რომ იგი გარდაუვლად მიიჩნევა. და ბოლოს, ზიანი უნდა იყოს პირდაპირი. შესაძლოა ამიტომაც, ფრანგმა კანონდებელმა უარი თქვა მომხმარებელთა ასოციაციებისთვის უფლების მინიჭებაზე გაესაჩივრებინათ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი: მომხმარებელს ზიანი მხოლოდ არაპირდაპირ შეიძლება მიადგეს.

ზიანი შეიძლება იყოს მატერიალური ფორმის, რაც, ძირითადად, გამოიხატება კონკურენტი-სათვის კლიენტების დაკარგვაში ან კონტრაქტების დაკარგვაში, რასაც შედეგად ბრუნვის შემცირება მოჰყვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, კლიენტურის შემცირებამ დადებითად იმოქმედა თუ არა ზიანის ავტორზე.

საინტერესოა, რომ თუ საზიანო ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის დათვლა შეუძლებელია, სასამართლოები ზოგჯერ მიმართავენ ხერხს - აკისრებენ ზიანის ანაზღაურებას მორალური ზიანისთვის. ამდენად, ისინი ხშირად მიმართავენ კომერციულ დაბრკოლების ცნებას, რომელიც წარმოადგენს ზიანს სახეობას კლიენტების მითვისებისაგან განცალკევებით და რომელიც საშუალებას აძლევს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მსხვერპლს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება თუ იგი ვერ ამტკიცებს კლიენტის მითვისების ან სხვა ზიანის ფაქტს.¹⁴

¹¹ პარიზის სააპელაციო სასამართლოს 1995 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება, Guerlain c/ Bosch

¹² Encyclopédie Dalloz Commercial Concurrence déloyale, n° 90.

¹³ L. Arcelin-Lécuyer, Droit de la concurrence », ISBN 978-2-7535-2753-9, Presses universitaires de Rennes, 2013, გვ. 12, ხელმისაწვდომია: www.pur-editions.fr

¹⁴ ავიდოთ უკანონო რეკლამის მაგალითი: თუ სასამართლო პრაქტიკისთვის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ყველა აქტი ზიანის შემცველია, ზოგჯერ ეს ზიანი რთულად გამოსახვადია ციფრებში,

1.3. მიზეზობრივი კავშირი - განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანის მიყენება ფაქტობრივად უკავშირდება მისი კონკურენტის მიერ ჩადენილ განზრახ ქმედებას დანაშაულს ან დაუდევრობას. მაგრამ ამ ზიანის მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის დადგენა ზოგჯერ რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ დაზარალებულს მტკიცების ტვირთი გაუმარტივა: ყოველთვის არ არის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის დადგენა, რადგან მისი არსებობა ივარაუდება ბრალის დადგენის ეტაპზე.

II. ინტელექტუალური საკუთრების გავლენა პარაზიტულ კონკურენციაზე - განსაკუთრებით საინტერესოა კომერციული პარაზიტიზმისა და ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობა პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევებში კომერციული პარაზიტიზმის ფაქტი სწორედ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევაში გამოიხატება, ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილი კი ცენტრალურ ადგილს იკავებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის არჩევისას.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება, კერძოდ, რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი უფლება სასაქონლო ნიშნის მფლობელს აძლევს მძლავრ პრეროგატივებს იმ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი თან ერთვის, შეეწინააღმდეგოს ამ ნიშნის უკანონოდ გამოყენებას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების არარსებობის შემთხვევაში კომპანია განიარაღებულია და არ არსებობს სხვა საშუალება რითიც ის შეეწინააღმდეგება სხვა კომპანიის მიერ ამ ნიშნის გამოყენებას? რეალურად, აღნიშნული ფაქტი შეიძლება გასჩვირდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველზე.¹⁵

ამრიგად, პარაზიტიზმი გამოიყენება, როგორც კონტრაფაქციის დამატება, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის ტენდენცია ვითარდება იმგვარად, რომ კომერციულ პარაზიტიზმს მიენიჭოს სასარჩელო საფუძვლის ავტონომიურობა.

III. პარაზიტიზმი: დამხმარე / დამატებითი ქმედება - წლების განმავლობაში, იგი მოხვდა ერთგვარ "catch-all" კატეგორიაში. პარაზიტიზმი, როგორც საფუძველი ბოლო წლების განმავლობაში გამოყენებულია, მაშინ როცა მოსარჩელეს არ აქვს საკუთრების უფლების საფუძველზე სარჩელის აღბერის უფლება.

შესაბამისად, საჭიროა გავმიჯნოთ ორი სხვადასხვა სიტუაცია: პირველი, როდესაც განმცხადებელი კომპანია ფლობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, აღნიშნულ ქმედებას საფუძველად უდევს კონტრაფაქცია ვიდრე პარაზიტიზმი. ხოლო, მაშინ, როდესაც კომპანია არ ფლობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, მას ისღა დარჩენია იმოქმედოს პარაზიტიზმის საფუძველზე.

წარსულში, სასამართლო პრაქტიკა დიდად მიესალმებოდა პარაზიტიზმის დახასიათებას, როგორც დამოუკიდებელ სასარჩელო საფუძველს. მოსამართლეები კი აკისრებდნენ პარაზიტიზმის საფუძველზე, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები მინიმალური დანახრჯით იღებდნენ სარგებელს კონკურენტის მიღწევებისა და სარეკლამო წარმოების გამოყენებით, და, შესაბამისად, ამით ანადგურებდნენ მას.^{16 17}

რადგან რთულია გამოითვალოს კონკურენტ საწარმოზე უკანონო რეკლამის გავლენა, ამიტომ ბევრი საწარმო, რომელიც თავს მიიჩნევს დაზარალებულად, არ შეუძლიათ წარმოაჩინონ აღნიშნული ზიანი და ამიტომაც ვერ იღებენ ზიანის ანაზღაურებას, ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: V. L. Arcelin, « La publicité comparative, à la croisée des intérêts des consommateurs et des concurrents » :1re partie, RLC n° 13/2007, p. 130 ; 2e partie, RLC n° 14/2007, გვ. 177.

¹⁵ J.C. Grall, L'action en parasitisme ? efficace !, la revue des marques - n°41, janvier 2003, გვ. 43

¹⁶ მაგალითისთვის იხ: საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს 2004 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მიმართვის ნომერი: 02-16057

ზემოთ ხსენებული გამიჯვნა ეფუძნება კომერციული პარაზიტის, როგორც „დამოუკიდებელი ფაქტის“ ცნებას, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და პრაქტიკაში გამოყენებულია, რათა თავიდან ავიცილოთ ორი ქმედების კონტრაფაქციისა და პარაზიტის კუმულაცია. ბოლო პერიოდში სასამართლო მკაცრად განმარტავს პარაზიტის ობიექტს. გავიხსენოთ მსოფიოში ორი ცნობილი ბრენდის დავა პარაზიტის საფუძველზე: წითელი ძირების საქმე - კრისტიან ლაბუტინი ივ სენ ლორანის წინააღმდეგ.

აღნიშნული საქმე ნახილულ იქნა ნიუ-იორკში. კრისტიან ლაბუტინმა სარჩელი შეიტანა მანჰეტენის ფედერალურ სასამართლოში ივ სენ ლორანის წინააღმდეგ „პატენტის უკანონოდ გამოყენებისა“ და „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის“ საფუძველით.¹⁸

სარჩელი ეფუძნებოდა პატენტს, რომელიც ლაბუტინმა 2008 წელს მოიპოვა მისი ცნობილი წითელი ძირებისათვის. აღნიშნული კომერციული ნიშანი ლაბუტენს აძევდა ექსკლუზიურ უფლებას შეექმნა ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი წითელი ძირებით. თუმცა, სარჩელის აღძვრის მომენტისათვის პატენტის მოქმედების ვადაც იწურებოდა.

2011 წლის აგვისტოში ნიუ-იორკის სასამართლომ უარი თქვა სარჩელი დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ ფერი ვერ ჩაითვებოდა დარეგისტრირებულ საკუთრებად. ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ კი ცნო კრისტიან ლაბუტენის კომერციული ნიშანი თავის სფეროში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფეხსაცმელი მთლიანად წითელი ფერისაა, როგორც ივ სენ ლორანის შემთხვევაში.

საბოლოოდ, ივ სენ ლორანი დაკმაყოფილდა ამ გადაწყვეტილებით, რომელიც მას ნებას რთავდა შეექმნა მთლიანად წითელი ფეხსაცმელები, თუმცა კრისტიან ლაბუტენის სასაქონლო ნიშნების დაცვის პირობით, რომელიც ფეხსაცმლის წითელ ძირების გამოყენებას გულისხმობს.

რადგანაც მოდის დიზაინი არ არის დაცული საავტორო უფლებით, დიდი ბრენდები ზოგჯერ იყენებენ პატენტს, თუმცა ეს კომპლექსური და ძვირადღირებული პროცედურაა, ყველა დიზაინერი ვერ ასრულებს ამ პროცესს. ამიტომაც, კონტრაფაქცია რეალური პრობლემაა მოდის სამყაროში.¹⁹

პარაზიტისმი - ქმედება, რომელიც სამართლებრივი ავტონომიისაკენ მიისწრაფვის - როგორც წესი, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისას განხორციელებულ საჩივარში ამავდროულად მიუთითებენ პარაზიტისმსაც. მიუხედავად ამისა, დელიქტური ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეიძლება განხორციელებული იყოს მხოლოდ პარაზიტისმის საფუძველზე.

პარაზიტისმი, სასამართლო პრაქტიკის მიერ ავტონომიური გამოყენების საგნად იქცა, სასამართლო აღარ იყენებს პარაზიტისმს როგორც კონტრაფაქციის დამატებით ქმედებას. მოსარჩელები თავიანთ მოთხოვნას უფრო და უფრო ხშირად ამყარებენ მხოლოდ პარაზიტისმის სამართლებრივ საფუძველზე.^{20 21}

¹⁷ M.Cahen, Le «parasitisme» entre deux sociétés, le 20-04-2017, ხელმისაწვდომია: <http://www.juritravail.com/Actualite/concurrence-deloyle/Id/264784>

¹⁸ http://www.francetvinfo.fr/economie/l-affaire-des-semelles-rouges-louboutin-porte-plainte-contre-ysl_1647665.html

¹⁹ M-E. Rochon, Louboutin contre Yves Sainte Laurent: Suite et fin, ხელმისაწვდომია: <http://lapasserelle-montreal.com/2012/10/18/louboutin-contre-yves-saint-laurent-suite-et-fin/>

²⁰ მაგალითისთვის იხ: პარიზის სააპელაციო სასამართლოს მე-4 პალატის 2015 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება <http://www.juritravail.com/Actualite/concurrence-deloyle/Id/264784>

²¹ M. Cahen, Le «parasitisme» entre deux sociétés, le 20-04-2017, ხელმისაწვდომია: <http://www.juritravail.com/Actualite/concurrence-deloyle/Id/264784>

2015 წელს პარიზის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება,²² რომელიც შეეხებოდა ლორეალის კამპანიას - PRODUCT DE LUXE, რომლითაც წარადგინა ივ სენ ლორანის სუნამოს „ოპიუმი“-ს რეკლამას, ამ რეკლამაში გამოყენებული იყო ჭრელი ცოცხალი პანტერა, ასევე, გამოყენებული იყო ბიჟუტერია და წითელი და შავი ფერები, რაც კარტიეს მტკიცებით მათი ბრენდის ასოციაციას ქმნიდა და მისი რეპუტაციით გაუმართლებელი სარგებლის მიღების საშუალებას იძლეოდა. სააპელაციო სასამართლომ აღიარა კარტიეს მონოპოლიური უფლება პანტერის გამოყენებაზე, ისევე როგორც მის ფერებზე და მის საუველირო გამოყენებაზე, თუმცა აღნიშნულს საფუძველად ვერ ექნებოდა საავტორო უფლებები, ეს ფაქტი კი პარაზიტისმიის თეორიას ანიჭებდა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემცველ ფუნქციას, პარაზიტისმი ეწინააღმდეგება ვაჭრობისა და მრეწველობის ფუნდამენტურ თავისუფლებას და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას.

თავისუფალი კონკურენციის პრინციპი, რომელიც, თავისმხრივ გამომდინარეობს ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლების პრინციპიდან, არ არის აბსოლუტური, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლება და მათი არასწორი განხორციელება შეიძლება სანქცირებული იქნას სამოქალაქო კოდექსის 1382 და 1383 მუხლების საფუძველზე, იმ პირობით, რომ მსხვერპლი დაადასტურებს ბრალის, ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობას.

შესაბამისად, ცოცხალი, ჭრელი პანტერის გამოყენების დიდი ისტორიის არსებობის საფუძველზე, იგი გახდა ემბლემატური კარტიეს სახლისათვის, ისევე როგორც, წითელი და შავი ფერის გამოყენება სხვადასხვა ფორმატში. პარიზის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვიზუალური კოდის მითვისება შეადგენდა პარაზიტულ ქმედებას, რომელიც კომპენსირებას ექვემდებარება.²³ კარტიემ მიაღწია ლორეალის წინააღმდეგ მილიონი ევროს დაკისრებას.

დასკვნა: როგორც ვნახეთ, მოსამართლეები თანდათანობით უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ პარაზიტისმიის თეორიის გამოყენების კრიტიკას, ხოლო ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები, როგორც ჩანს, აღნიშნული თეორიის გამოყენების უფრო მკაცრ სტანდარტებს აწესებს.

ამდენად, სასამართლოს სურს კიდევ ერთხელ დაადასტუროს განსხვავება კონტრაფაქციასა, არაკეთილსინდისიერ კონურენციასა და კომერიცულ პარაზიტისმს შორის. ასევე ჩანს, ტენდენცია, რომ უკეთესად იქნეს ადაპტირებული პარაზიტისმიის თეორიის პირობები, რათა მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის მოხდეს, რომელიც მართლაც საჭიროებს დაცვას პარაზიტისმიის მკაცრი ანალიზის საფუძველზე.

პარაზიტისმიის თეორიის ბუნდოვანი და არაჯანსაღი კონცეფციებით განვითარების საშიშროების გათვალისწინებით, მეტად საჭიროა, რომ კანონმდებელს შეისწავლოს იგი და მოჰფინოს ნათელი სასამართლო პრაქტიკაში დაგროვილ ამ ახალ „პროდუქტს“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარაზიტისმიის თეორიის მომავალი ოპტიმისტურია, ერთის მხრივ, მოსამართლეთა ბოლოდროინდელი შეფასებების თვალსაზრისით, რომლებმაც, გააცნობიერებეს თეორიის გამოყენებაში უფრო მკაცრი მოთხოვნების აუცილებლობა და, მეორე მხრივ, მრავალი შესაძლო გადაწყვეტილებების არსებობა ამ „ცეცხლოვანი“ თეორიის ადაპტაციისათვის და საკანონმდებლო ჩარჩოებში მოსაქცევად.

²² პარიზის სააპელაციო სასამართლოს მე-4 პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, № 13/08861

²³ http://www.wilhelmassocietes.com/La-notion-de-parasitisme-commentaire-de-l-arret-du-21-octobre-2015-de-la-Cour-d-appel-de-Paris_a802.html

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 2017 წლის მდგომარეობით
2. L. Arcelin-Lécuyer, Droit de la concurrence », ISBN 978-2-7535-2753-9, 2013
3. Encyclopédie Dalloz Commercial Concurrence déloyale, n° 90
4. J.C. Grall, L'action en parasitisme ? efficace !, la revue des marques - n°41, janvier 2003
5. S. Faber, A. Baudequin, La concurrence déloyale n'est pas qu'entre concurrents directs, 2016
6. L. Dahmani, Le parasitisme, le 13 avril 2016
7. M. Cahen, Le «parasitisme» entre deux sociétés, 2017
8. M-E. Rochon, Louboutin contre Yves Sainte Laurent : Suite et fin, 2012
9. http://www.francetvinfo.fr/economie/l-affaire-des-semelles-rouges-louboutin-porte-plainte-contre-ysl_1647665.html
10. http://www.wilhelmassociés.com/La-notion-de-parasitisme-commentaire-de-l-arret-du-21-octobre-2015-de-la-Cour-d-appel-de-Paris_a802.html

Dishonest Competition and its Interaction with the Intellectual Property Law

Gvantsa Chaduneli

Master of Law

University Pantheon-Aasasi Paris 2

(Sorbonne University Association)

gvantsachadu@gmail.com

R e s u m e

The legal systems that punish parasitic behavior answer the same questions, by different means: should one punish one who benefits from the efforts, know-how or investments of the other without investing himself? How can one distinguish one who is inspired by his neighbor from one who acts truly with disloyalty? Does protection against parasitism not diminish the protection afforded by intellectual property rights?

Despite these different systems, the debate on parasitism in the European system remains the same: whether to promote free competition between market players, or to consider that the copy is contrary to market morality, and that any investment must be protected? The arguments are twofold, and the difficulty of answering these questions is reflected in european jurisprudence who, in the midst of the doctrinal debates, seeks the point of equilibrium, sometimes losing himself on one side or the other, which too often harms the coherence of the law.

კონკურენციის დეფინიციის შედარებითი ანალიზი

მალხაზ ჩიქობავა

ეკონომიკის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

malkhaz.chikobava@tsu.ge

თანამედროვე ეკონომიკაში ადგილი აქვს ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება გლობალიზაციას, განვითარების უთანაბრობას, ქვეყნებს, რეგიონებსა და ფირმებს შორის კონკურენტული ბრძოლის გამწვავებას. თანამედროვე შერეული ეკონომიკა, როგორც სისტემა, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირების შედეგად, რომელიც მოწოდებულია დაარეგულიროს ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტული ქცევები, რაც უზრუნველყოფს თითოეული სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების გარანტიას. შერეული ეკონომიკური სისტემის არსებით ნიშანთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, კონკურენცია და მის საფუძველზე განვითარების პროცესში მყოფი კონკურენტული ურთიერთობები. მანამ, ვიდრე ეკონომიკურ სისტემაში ადგილი აქვს კონკურენციის პირობებისა და მასთან დაკავშირებული კონკურენტული ურთიერთობების კვლავწარმოებას, საბაზრო სისტემა აგრძელებს ფუნქციონირებას და დინამიკურ განვითარებას. კონკურენციის გაქრობასთან ერთად არსებობას წყვეტს მთლიანი ეკონომიკური სისტემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კონკურენციის არაერთი სხვადასხვა დეფინიცია, რომლებიც ასახავს ამ რთული კატეგორიის ცალკეულ ნიშნებს. პირველი, თეორიული დებულება კონკურენციის მამოძრავებელ ძალებზე გაჩნდა XVIII საუკუნის შუა პერიოდში ეკონომიკური აზროვნების კლასიკურ მიმართულებაში. იმ ეპოქის კონცეფციებში კონკურენცია განიმარტებოდა, როგორც ძალა, რომელიც ზღუდავდა სამეურნეო სუბიექტების სტიქიურ ბრძოლას და ხელს უწყობდა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების აქტივიზაციას. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ადრინდელი წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, უილიამ პეტი და პიერ ბუაგილბერი, კონკურენტული ურთიერთობის ფუნქციონირებასთან და განვითარებასთან აკავშირებდნენ სოციალური სამართლიანობის პრინციპის რეალიზაციას და მასთან ერთად ასაბუთებდნენ კაპიტალისტური წყობილების მუდმივობას და ბუნებრივობას. კლასიკური კონკურენციის თეორია განვითარებულ იქნა ადამ სმიტის მიერ თავის „ხალხთა სიმდიდრეში“, სადაც მან პირველმა დაასაბუთა, რომ კონკურენცია განაპირობებს შრომისა და კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებას. ა. სმიტი აიგივებს კონკურენციას ბაზრის „უხილავ ხელთან“ - ავტომატურად წონასწორულ მექანიზმთან. ფასისმიერი კონკურენციის მაგალითზე მან დაასაბუთა მთელი რიგი დებულებები, რომლებიც შედეგად გახდა „მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების“ დოქტრინის პოსტულატები. ა. სმიტის მიერ საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობების თეორიას, დამუშავდა აბსოლუტური უპირატესობის თეორია, რომელმაც დაასაბუთა საერთაშორისო ვაჭრობის მომგებიანობა ამ პროცესში ყველა ჩართული სუბიექტისათვის. მაგრამ, აბსოლუტური უპირატესობის თეორია პასუხს არ იძლევა შეკითხვაზე, იქნება თუ არა ორი ქვეყნის ვაჭრობა მომგებიანი, თუ ერთ უფრო განვითარებულ ქვეყანას შეუძლია ორივე პროდუქტის უფრო ნაკლები დანახარჯებით წარმოება მეორესთან შედარებით.

კლასიკური პოლიტეკონომიის მეორე დიდი წარმომადგენელია დავიდ რიკარდო, რომელიც კონკურენციას საბაზრო ფასწარმოქმნის აუცილებელ პირობად განიხილავდა. თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის პრინციპები“, დ. რიკარდომ ააგო სრულყოფილი კონკურენციის თეორიული მოდელი. მან ძირითადად ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს მოცემული სისტემა გრძელვადიან პერსპექტივაში. ასეთმა მიმდგომამ მას საშუალება მისცა გვერდი აევლო დეტალებისაგან, რომელიც უკავშირდებოდა სახელმწიფო რეგულირებას, მონოპოლიურ ძალაუფლებას, ბაზრების გეოგრაფიულ თავისებურებებს და ა.შ., რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში არ გააჩნია გადაწყვეტი მნიშვნელობა. პირობისათვის, რომელიც განხილულ იქნა დ. რიკარდოს მიერ, პრინციპულია ის, რომ ფასები ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით კონკურენტული ბრძოლის შედეგად.

ამგვარად, კლასიკოსების მიერ დასაბუთებულ იქნა ზრდის პრობლემების გადაჭრის გრძელვადიანი ვარიანტები სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ჩამოყალიბებულ იქნა ღირებულებისა და განაწილების თეორია ზღვრული მწარმოებლურობის საფუძველზე.

სტრუქტურული კონცეფციის ფარგლებში თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში კონკურენცია იყოფა სრულყოფილ და არასრულყოფილ კონკურენციად. უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს სამ მოდელს: მონოპოლიის, ოლიგოპოლიისა და მონოპოლისტური კონკურენციის. კონკურენტული ურთიერთობის განვითარების ანალიზი ხორციელდება ცნებების – მონოპოლიისა და კონკურენციის სინთეზის ფარგლებში. თუ მათი განხილვის შემთხვევაში ვიმოდრავებთ სრულყოფილი კონკურენციის სფეროდან აბსოლუტური მონოპოლიის სფეროსკენ, აღმოჩნდება, რომ იზრდება სირთულეები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ დარგში შესვლას, რომლის შედეგადაც საწარმოთა რაოდენობა მცირდება.

„მონოპოლისტური“ და „არასრულყოფილი“ კონკურენციის ახალი კონცეფციის დასაბუთებასა და განვითარებაში ძირითადი წვლილი შეიტანეს ე. ჩემბერლინმა, ჯ. რობინსონმა, ი. შუმპეტერმა და კლასიკური ეკონომიკური თეორიის სხვა წარმომადგენლებმა.

ე. ჩემბერლინის ერთ-ერთი ძირითადი თეორიული დებულების მიხედვით, მონოპოლისტური კონკურენციის არსი მიწოდებაზე, ანუ, ფასზე კონტროლია, რომელიც მიიღწევა კონკურირებადი საქონლების ურთიერთშემცვლელიობის გაძლიერებით, ე.ი. „პროდუქტის დიფერენციაციით“ [1, გვ. 393]. მან პირველად არა მარტო რეალურად გაანალიზა კონკურენტული და მონოპოლიური საწყისების სინთეზი, არამედ მიუთითა ეკონომიკური სისტემის განვითარების პერსპექტივებზე, მწარმოებლიდან მომხმარებელზე ყურადღების გადატანით.

კონკურენციის თეორიის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯოან რობინსონმა, რომელმაც ჩამოაყალიბა არასრულყოფილი კონკურენციის თეორია. ჯ. რობინსონის შეხედულებით: „ნებისმიერი ცალკეული მწარმოებელი თავის პროდუქციაზე მონოპოლიას ფლობს - ეს საკმარისად ცხადია და თუ მათი დიდი რიცხვი გამოდის გასაყიდად სრულყოფილ ბაზარზე, წარმოიქმნება სიტუაცია, რომელსაც უკვე ჩვეულებისამებრ აღვწერთ, როგორც სრულყოფილ კონკურენციას“ [2, გვ. 65-84].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯ. რობინსონის ნაშრომმა „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკურმა თეორიამ“ და ე. ჩემბერლინის „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიამ“ შეაჯამა დისკუსიები მონოპოლიის პირობებში ფასწარმოქმნის ხასიათსა და კონკურენციის არაფასისმიერი ფორმების წარმოშობაზე. ეს ნაშრომები განპირობებული იყო საბაზრო მექანიზმის მოქმედების ხელახლა გააზრების აუცილებლობით ისეთი ფაქტორების როლის გათვალისწინებით, როგორცაა გამყიდველების შეზღუდული რაოდენობა, პროდუქტის დიფერენციაცია, გასაღების

დანახარჯები, კონკურენციის არაფასისმიერი ფორმის ბაზარზე გამყიდველთა ურთიერთ-ქმედების მნიშვნელობა.

სრულყოფილ კონკურენციზე საუბრისას ი. შუმპეტერი აღნიშნავდა: „... ეს იმ სახის კონკურენცია არაა, რომლის კუთვნილება შეიძლება განვსაზღვროთ არსებული საქონლის ხარჯზე, მაგრამ ამ სახის კონკურენცია შეიძლება იყოს განსაკუთრებით აქტუალური, თუ საუბარი იქნება ახალ საქონელზე, ახალ ტექნოლოგიაზე, ახალ რესურსებზე ან ორგანიზაციის ახალ ტიპზე“ [3, გვ. 85]. თავის ნაშრომებში ი. შუმპეტერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციურ საქმიანობას კონკურენციის განვითარების პირობებში. ავტორი ამართლებს საბაზრო სისტემის მონოპოლიზაციის ნებისმიერ ხარისხს, თუ ის ემსახურება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ნ. პ. გიბალო [4, გვ. 149] ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ინოვაციებში ჩართულია ცვლილებების ყველა მიზეზები წრიული ნაკადით. ფართო საზოგადოებრივ პროცესში, ინოვაციების დანერგვაში მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების დიდი რიცხვი, რის შედეგადაც იცვლება ეკონომიკის გადამწყვეტი ფაქტორები.

ეკონომიკური ზრდის პოზიციიდან გამომდინარე, კონკურენცია წარმოადგენს ძველის მეტოქეობას ახალთან: ახალ საქონელთან, ტექნოლოგიასთან, მოთხოვნილებების უზრუნველყოფის ახალ წყაროებთან, ორგანიზაციის ახალ ტიპებთან.

ჯონ სტიუარტ მილი, აგრძელებდა რა ეკონომიკური აზრის კლასიკური სკოლის ტრადიციებს, აღნიშნავდა: „იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენცია წარმოადგენს ფასების, ხელფასის, რენტის ერთადერთ მარეგულირებელს, ის თავისთავად წარმოადგენს კანონს, რომელიც ადგენს ამ რეგულირების წესს“ [5, გვ. 394].

ნეოკლასიკურმა სკოლამ, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს, კიდევ უფრო ზუსტად და სრულად წარმოადგინა სრულყოფილი კონკურენციის გავლენა საფასე სისტემაზე, მან დააკონკრეტა ეკონომიკური ანალიზი, დააკავშირა კონკურენცია იშვიათი ეკონომიკური სიკეთისა და მომხმარებელთა ფულისათვის ბრძოლასთან. მნიშვნელოვანია ალფრედ მარშალის კონცეფცია. მან გააკრიტიკა წმინდა კონკურენციის მოდელის „პირობითობა“. ბაზარზე ნაწილობრივი და გრძელვადიანი მდგრადი წონასწორობის ანალიზის თეორიის შემუშავებამ შექმნა მონოპოლისტური კონკურენციის, როგორც კონკურენციის ახალი მოდელის თეორიული საფუძველი. განავითარა რა კლასიკოსების ძირითადი დებულებები, ა. მარშალმა თანმიმდევრულად და სრულად დაასაბუთა ბაზარზე წონასწორობის ავტომატურად დამყარების მექანიზმი სრულყოფილი კონკურენციის დახმარებით და ზღვრული სარგებლიანობისა და ზღვრული მწარმოებლურობის კანონების მოქმედებით.

მათემატიკური სკოლის წარმომადგენელმა ა. კურნომ საფუძველი ჩაუყარა წმინდა მონოპოლიისა და დუოპოლიის თეორიის საფუძველებს. გარდა ამისა, ა. კურნომ ასევე ჩამოაყალიბა იდეა იმის შესახებ, რომ სრულყოფილი კონკურენცია არის უკიდურესი შემთხვევა საბაზრო სტრუქტურების მთლიანი სპექტრიდან, რომელიც განსაზღვრულია გამყიდველთა რაოდენობით.

კონკურენცია თავის განვითარებაში მიმდინარეობს გამყიდველისა და მყიდველის უმარტივესი შემთხვევითი კონკურენტული ურთიერთობიდან, ბაზრის სუბიექტების შეზღუდული წრის ფართოდ გაშლილი მეტოქეობის მეშვეობით, თავისუფალი კონკურენციისაკენ. ჩვენი აზრით, სწორედ აქაა კონკურენციის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ცნების ფორმირების ძირითადი წინააღმდეგობა. გამყიდველისა და მყიდველის მეტოქეობა რეგულირდება მათი საქმიანობის კერძო, შინაგანი მოტივებით და მათი ინტერესების გადაკვეთის ურთიერთიძულებით. თითოეული იბრძვის საკუთარი კერძო ინტერესების სრული რეალიზაციისათვის, საკუთარი მონოპოლიის

დამყარებისა და კონკურენტის ნეგატიური ზემოქმედების აღმოფხვრისათვის. ამიტომ, კონკურენცია ხელს უწყობს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობათა ადაპტაციას კონკურენტული გარემოს მუდმივად ცვალებადი გარემოს მიმართ.

ჯონ მეინარდ კეინზი თავის ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, კონკურენციის განვითარების პირობებში ასაბათებს სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობას საბაზრო ეკონომიკაში. კონკურენტული ურთიერთობების ორგანიზაციული ფორმების შინაარსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი განვითარება და სრულყოფა წარმოდგენილია ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობებით, ასევე საზოგადოებრივი რეგულატორების ფორმირებით, მათ შორის, სახელმწიფო ინსტიტუტების სახით. კონკურენცია, როგორც ეკონომიკურად მრავალგანზომილებიანი კატეგორია, შეიძლება განვიხილოთ მრავალი ასპექტით. ვიწრო გაგებით, კონკურენცია შეიძლება დავახასიათოდ, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტების ბრძოლა შეზღუდული ეკონომიკური რესურსებისათვის. როგორც მეურნეობრიობის საშუალება, კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების მოქმედების სისტემას ბაზარზე, მათ შორის, ბრძოლას საკუთარი პროდუქციის გასაღების საუკეთესო შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად მყიდველთა სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

ნ. პ. გიბალოს [6, გვ. 15] აზრით, კონკურენცია საბაზრო მეტოქეობის ურთიერთობათა ფუნქციონირების კონკრეტულ ფორმაა. ავსტრიელი ეკონომისტი ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი [7, გვ. 180] კონკურენციას განიხილავს არა მხოლოდ როგორც მეტოქეობას კაპიტალის უფრო მომგებიანი დაბანდებისათვის, არამედ ისეთი ფაქტორების აღმოჩენის პროცედურად, რომლებიც მის გარეშე დარჩებოდნენ ყველასთვის უცნობი ან, სულ მცირე, გამოუყენებელი.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა პ. ჰეინეს საპირისპირო თვალსაზრისი იმაზე, რომ კონკურენცია წარმოადგენს იშვიათობის შედეგს. „იშვიათობა - ეს არის დამოკიდებულება არსებობასა და სასურველობას შორის, ან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ჩვენ გვიწევს იშვიათი სიკეთეების ამა თუ იმ ხერხით განაწილება. განაწილება წინასწარ განსაზღვრავს შერჩევის კრიტერიუმების გამოყენებას, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს იმას, თუ ვის რა ერგება. კონკურენცია არის სწრაფვა იმისა, რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილდეს იშვიათი სიკეთისადმი ხელმისაწვდომობის კრიტერიუმში“ [8, გვ. 122].

საერთოდ, XX საუკუნეს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში ექვგარეშე შეიძლება ვუწოდოთ კონკურენციის საუკუნე. სწორედ ამ ციკლში კონკურენციის მოვლენამ შეიძინა საერთაშორისო და გლობალური მნიშვნელობა. მაგალითად, კ. მაკკონელი და ს. ბრიუ თვლის, რომ კონკურენციის სავალდებულო პირობაა: „ბაზარზე ნებისმიერი კონკრეტული პროდუქტის ან რესურსის მყიდველებისა და გამყიდველების დიდი რიცხვის არსებობა“, აგრეთვე „მყიდველებისა და გამყიდველების მიერ ამა თუ იმ ბაზარზე შესვლის ან გასვლის თავისუფლება“ [9, გვ. 52].

ჟ. დებრეს [10, გვ. 95] კონკურენციის თეორიაში მოცემულია ვალრასისეული საერთო წონასწორობის ანალიზი და სამეურნეო სუბიექტების ქცევის განსაზღვრება. მან განსაზღვრა, თუ რა პირობებში არსებობს კონკურენტული წონასწორობა, რომლებიც ეხება გემოვნებებს და უზრუნველყოფილია რესურსებითა და ტექნოლოგიებით.

ფართოდ აღიარებულია კონკურენციის განმარტება, რომელიც მოცემულია ცნობილია მკვლევარის, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის პროფესორის, მ. პორტერის მიერ: „კონკურენტული სტრატეგია უნდა ემყარებოდეს დარგის სტრუქტურისა და მისი ცვლილებების პროცესის ყოველმხრივ გაგებას. ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, - მნიშვნელობა არ აქვს, მოქმედებს თუ არა ის მხოლოდ ადგილობრივ ან საგარეო ბაზარზე, - კონკურენციის არსი გამოიხატება ხუთი ძალის მოქმედებით: ახალი კონკურენტების გამოჩენის მუქარით; საქონელმემცველების

გამოჩენის საშიშროებით; მაკომპლექტებელი ნაკეთობების მიმწოდებელთა ვაჭრობის უნარით; მყიდველების ვაჭრობის უნარით; უკვე არსებულ კონკურენტებს შორის მეტოქეობით. თითოეული ამ ხუთი ძალის მნიშვნელობა იცვლება დარგიდან დარგში და, საბოლოო ჯამში, წინასწარ განსაზღვრავს დარგის მომგებიანობის“ [11, გვ. 52-53]. თითოეული ამ ძალის პარამეტრები და მათი ურთიერთქმედება გავლენას ახდენს კონკურენციაზე ნებისმიერ საწარმოო სისტემაში.

კონკურენციის მიმართ მ. პორტერის მიერ შემოთავაზებული მიდგომა მისაღებია ერთდროულად დარგებისთვისაც, რომელთაც კავშირი აქვთ საქონლის წარმოებასთან და იმ დარგებისთვისაც, რომლებიც ახდენენ მომსახურების მიწოდებას. ძირითადი პრინციპები სამართლიანია ბიზნესის ყველა სახისათვის, მათ შორის, საბანკო სფეროსთვისაც. მ. პორტერმა გააერთიანა საქმიანობის ყველა სახე ე.წ. ღირებულებათა ჯაჭვში, სადაც ფირმების საქმიანობის თითოეულ სახეს თავისი წვლილი შეაქვს პროდუქტის საბოლოო ღირებულების ფორმირებაში.

ამგვარად, კონკურენცია ეკონომიკურ თეორიაში განიმარტება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების რეგულირების მექანიზმი, როგორც საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების ურთიერთმეტოქეობის ფორმა და როგორც წინსვლის პროცესი. ცალკეულ მეცნიერთა გაგებით, კონკურენცია ეკონომიკური სუბიექტების მეტოქეობაა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დასახული მიზნის მიღწევაში. წარმოების თვალსაზრისით, ასეთი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია მომხმარებელთა უპირატესობის მინიჭების მოპოვების ხარჯზე. სხვებს კონკურენცია ესმით, როგორც მეტოქეობა ანუ ბრძოლა, ხშირად ორ, მეტნაკლებად მკაფიოდ გამოხატულ მეტოქეებს შორის, რომლებსაც უნარი აქვთ უზრუნველყონ უკეთესი მიწოდება კონკურენტებთან შედარებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული შეხედულება კონკურენციის, როგორც ასეთის გაგებასთან მიმართებაში. კერძოდ, ამ მიდგომით კონკურენცია განისაზღვრება, როგორც საბაზრო მეურნეობის მონაწილეთა შორის მეტოქეობა საქონლის წარმოების, ყიდვისა და გაყიდვის უკეთესი პირობისათვის.

საბოლოოდ, კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური სუბიექტების მეტოქეობის ეკონომიკური პროცესი, ბაზრებზე არსებობის უფრო მომგებიანი პირობისათვის. ჩვენს მიერ განხორციელებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ, რომ კონკურენცია წარმოადგენს ფასების მოწესრიგების გამსაზღვრელ ფაქტორს და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის სტიმულს. ის ხელს უწყობს წარმოებიდან არაეფექტიანი საწარმოების გამოდევნას, რესურსების რაციონალურად გამოყენებას, სპობს მომხმარებელთა მიმართ მწარმოებელთა დიქტატს. კონკურენცია, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ, როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც ვლინდება პროდუქტებისა და ტექნოლოგიების სრულყოფაში, ახალი ბაზრების, ნედლეულის ახალი წყაროების ან ორგანიზაციის ახალი ტიპების ფორმირებაში, რაც, როგორც წესი, საჭიროებს ინვესტიციებს. თავის მხრივ, ინვესტიციების განხორციელების სტიმულებად გვევლინება დადებითი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობა მანამ, ვიდრე ფასისმიერი კონკურენცია არ მიგვიყვანს ფასების შემცირებამდე გრძელვადიანი წონასწორობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Чемберлин Э. Теория монополистической конкуренции: реориентация теории стоимости. — М.: Экономика — 1996.
2. Робинсон Дж. Экономическая теория несовершенной конкуренции. — М.: Прогресс — 1986.
3. Joseph A. Schumpeter. Capitalism, Socialism, and Democracy. — New York: Harper & Row, 1962.

4. Гибало Н.П. Экономическая мысль в ретроспективе. В 3-х т. Т.1. — Тамбов, М., СПб., Баку, Вена: Нобелистика, 2004.
5. Милль Дж. Основы политической экономии. Т.1. — М.: Прогресс— 1980.
6. Гибало Н.П. Конкуренция как перманентная движущая сила рыночной экономики // Вестн. Костромского госуд. педагогического ун-та. № 4, 1999.
7. Hayek F.A. New Studies in Philosophy, Politics, Economics and the History of Ideas. L. — 1978.
8. Хейне П. Экономический образ мышления. — М., 1992.
9. Макконнел К.Р., Брю Л.С. Экономикс: Принципы, проблема и политика. В 2-х т.; Пер. с англ. Т1. — М.: Республика. — 1993.
10. Debreu G. The Theory of Value. — New York.: John Wiley and Sons, 1959.
11. Портер М. Международная конкуренция. — М.: Международные отношения. — 1993.

Comparative Analysis of the Definition of Competition

Malkhaz Chikobava

PhD in Economics

Associate professor of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

malkhaz.chikobava@tsu.ge

R e s u m e

The article is devoted to a comparative analysis of the most important economic category - competition. Some obstacles in determining the competition and the main factors of its formation are presented. Competition is defined as a regulatory factor and a stimulating phenomenon of innovation processes that lead to the exclusion of inefficient actors from production, the rational use of resources and the elimination of the dictatorship of producers over consumers. With this approach, the concept of competition is seen primarily as a dynamic process. It manifests itself in the improvement of products and technologies, the formation of new markets, new sources of raw materials or new types of organization.

კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორები

ელენე ჩიქოვანი

ეკონომიკის დოქტორი,

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი.

Elene_customs@yahoo.com

ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საფუძველს კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. საკითხის გადაწყვეტის მნიშვნელობა მით უფრო აქტუალურია, რომ მიუხედავად კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში გაკეთებული არაერთი მცდელობისა, ინდიკატორების სისტემის ფორმირების ერთიანი მისაღები კონცეფცია დღემდე არ არის ჩამოყალიბებული, რაც კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მრავალმხრივობით, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მრავალფეროვნებით, გაზომვის სირთულეებითა და მეთოდოლოგიური სიმწელებითაც არის განპირობებული.

კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორების ჩამოყალიბებისა და შეფასების მსოფლიო პრაქტიკა ორ მიმართულებად არის დაყოფილი. პირველი მათგანი კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის ინდიკატორების (CLP) სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს, რაც ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინდიკატორების სახელწოდებითაა ცნობილი და ქვეყანათაშორისი შედარებისათვის გამოიყენება [4, გვ. 7-20]. მეორე მიმართულება კი ქვეყნის შიგნით ბაზრის ანალიზისა და კონკურენციის პოლიტიკის გატარებისათვის არის გამოსაყენებადი [2, გვ. 1-11].

კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის ინდიკატორების ევროპული სისტემა სამდონიანი პირამიდის სახით აიგება, რომლის ფუძეზე შეჯამებულია ინფორმაცია 11 დაბალი დონის ინდიკატორების სახით, რომლებიც თავის მხრივ აგრეგირებულია საშუალო დონის ინდიკატორებში, რომლებიც ასახავენ:

1. ანტისატრასტო (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის ძალაში შესვლისა და მოქმედების არეალს.
2. კონკურენციის ორგანოების დამოუკიდებლობის ხარისხს;
3. სექტორის რეგულაციების დამოუკიდებლობის ხარისხს;
4. ქსელის დარგებში შეღწევის დონის შეზღუდვებს.

საშუალო დონის ინდიკატორები დაყოფა ხდება ანტისატრასტო ჩარჩოებისა და ქსელის პოლიტიკის ინდიკატორებად, რომელთა აგრეგირებას კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის უმაღლესი დონის ინდიკატორებამდე მივყავართ.

ინდიკატორთა სისტემაში შემავალი თითოეული ინდიკატორის შესაფასებლად გამოიყენება ბალური სისტემა 0-დან 6 ბალამდე. ხარისხობრივი ინფორმაცია (როგორცაა ანტისატრასტო კანონმდებლობის შეღავათების არსებობა ან არ არსებობა) შესაბამისად არის კოდირებული და ინფორმაცია (როგორცაა კანონმდებლობის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული რესურსები) შეფასებულია რაოდენობრივად ზღვრული სიდიდეების მეშვეობით. მიღებული ინფორმაციის აგრეგირება ხდება წონების სისტემის გამოყენებით. დაბალი დონის ინდიკატორები აგრეგირებულია საშუალო და მაღალი დონის ინდიკატორებში. ინდიკატორთა აღნიშნული სისტემის იერარქია შემდეგნაირად გამოიყურება [4, გვ. 7-10]:

I. კანონმდებლობის არეალი და მოქმედება (ძალაში შესვლა)

1.1 საკანონმდებლო ჩარჩო;

1.2 შერწყმის რეჟიმები;

1.3 შეღავათები;

1.4 დაცვა;

აღნიშნული განყოფილება ყურადღებას ამახვილებს კონკურენციის ზოგად კანონმდებლობასა და ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შეფასებაზე. აღწერს ამ მიმართებით არსებულ შეთანხმებებსა და მათი ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, კონკურენციის ორგანოების ქმედების შესაძლებლობებსა და დარღვევებზე შემოტანილი სანქციების ზომებს;

II. კონკურენციის ორგანოების დამოუკიდებლობა.

აღნიშნული სფერო ყურადღებას ამახვილებს კონკურენციის ორგანოების ინსტიტუციურ მოწყობაზე (დამოუკიდებლობაზე, ძალაუფლებაზე და ანგარიშვალდებულებაზე);

III. ქსელის პოლიტიკა. სექტორალური რეგულაციების დამოუკიდებლობა;

აღნიშნული სფერო ფოკუსირებულია ინსტიტუციონალურ მოწყობაზე როგორცაა: დამოუკიდებლობა, ძალაუფლება და ანგარიშვალდებულება.

IV. ქსელში შეღწევა

4.1 მესამე ძალის შეღწევა;

4.2 სტრუქტურული დაყოფა.

აღნიშნული განყოფილება ყურადღებას ამახვილებს რეგულაციებზე, რომლებიც ზემოქმედებენ ბაზარზე შეღწევასა და ქსელის სექტორების ვერტიკალურ დაყოფაზე.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მეორე მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით ბაზრის ანალიზისათვის გამოყენებული კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორთა სისტემის ჩამოყალიბება. ინდიკატორთა აღნიშნული სისტემა მიმართულია კონკურენციის პოლიტიკის მიზნების რეალიზაციისაკენ და ემსახურება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანების ინფორმაციულ უზრუნველყოფას [2].

კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორების აღნიშნული სისტემა გამოიყენება სასაქონლო და მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას; მისი მეშვეობით ხდება შესაბამისი ბაზრის სტრუქტურის, კონცენტრაციის ხარისხის, დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ხვედრითი წილის, ჯგუფური დომინირებისა და საბაზრო ძალაუფლების შეფასება. იგი გამოყენებადია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვის, შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შემთხვევების ან კანონის დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის შემთხვევების საქმეთა განხილვისათვის; კონკურენციის ორგანოების მიერ კანონით განსაზღვრული ღონისძიებების მონიტორინგის, სასაქონლო ბაზრებზე ასეთი ღონისძიებების შედეგების გამოკვლევისა და შეფასების, კონკურენციის დაცვის თაობაზე მიღებული ან მისაღები ნორმატიული აქტების, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტების დახმარებებზე (სუბსიდირებაზე) მიღებული ან მისაღები გადაწყვეტილებების ან სამართლებრივი აქტების განხილვის, ასევე კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რომლებიც მოითხოვენ სასაქონლო/მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს ანალიზსა და ეკონომიკური აგენტების მდგომარეობის ან ქმედების შეფასებას. [2]

ბაზრის იდენტიფიცირება ხდება ისეთი პარამეტრების გამოყენებით, როგორცაა სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები; სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები; სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები. ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი პარამეტრები როგორცაა:

შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები; შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება; ბაზრის კონცენტრაციის დონე; ბაზარზე შესვლის ბარიერები; ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა; ასევე დამატებითი პარამეტრები. კანონმდებლობით განსაზღვრული პარამეტრების განხილვის საფუძველზე ხდება შესაბამისი ბაზრისა და მასზე არსებული კონკურენტული გარემოს საბოლოო შეფასება.

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას გაითვალისწინება: განსაზღვრულ ტერიტორიებზე საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის, თავისუფალი გადაადგილების/გადატანის შესაძლებლობა; განსაზღვრული ტერიტორიის განსაკუთრებულობა და თავისებურებები (მათ შორის, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების სპეციფიკურობა, მოთხოვნისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები, საქმიანი ურთიერთობების წესები და ჩვევების განსაკუთრებულობა); შესაბამის გეოგრაფიული ბაზარში შემავალ ტერიტორიებზე პროდუქტის ფასების ერთგვაროვნება. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ბუნებრივი მონოპოლიების სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები დგინდება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის (ქსელების) განლაგებისა და მყიდველების ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის /ქსელებზე მიერთების/ შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა ხდება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით, ბაზარზე ჩატარებული დაკვირვებით ან სხვა საშუალებებით. ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. ქვეყნის შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით და მოიცავს ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მოცულობას. მასში არ გაითვალისწინება ეკონომიკური აგენტის მარაგები და მის მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურების ის მოცულობა, რომელიც გამოყენებულია საკუთარი წარმოებისათვის, საქონლის იმპორტის მოცულობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში და შესაბამისი სასაქონლო ბაზრიდან განსაზღვრული საქონლის ექსპორტის მოცულობა. ამასთან, კრიტიკის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მიდგომა უნიფიცირებულია სასურსათო და არასასურსათო საქონლისა და მომსახურებისათვის, რაც არამართებულად შეიძლება ჩაითვალოს. სასურსათო საქონლის ბაზრის მოცულობის განსაზღვრის დროს, ჩვენი აზრით, წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მარაგების, შინამეურნეობების მიერ საკუთარ მეურნეობებში პირადი მოხმარებისათვის წარმოებული პროდუქციის მოცულობა და დანაკარგები. ხოლო ბაზრის მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტების ამონაგების, შეტანილი და გამოტანილი საქონლის, ადგილზე წარმოების მოცულობა, საწარმოო სიმძლავრეები, რესურსების მარაგები, საქონელბრუნვის მოცულობა, და სხვა სპეციფიკური მაჩვენებლები. ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მიმწოდებლის) წილი გაიანგარიშება პროცენტებში, სასაქონლო ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით.

საფინანსო ბაზრის მოცულობის და ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის წილის განსაზღვრა ხორციელდება იგივე პრინციპით, რომელიც გამოიყენება სასაქონლო/მომსახურების ბაზარზე. საკრედიტო რესურსების ბაზარზე ბაზრის მოცულობა განისაზღვრება, შესაბამის ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო კავშირების საკრედიტო აქტივების ჯამით, ხოლო საბანკო სფეროს მიერ გაწეული მომსახურების შეფასება ხდება მომსახურების სახეების სფეციფიკურობის გათვალისწინებით. სადაზღვევო მომსახურების ბაზრის მოცულობა განი-

საზღვრება შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა სადაზღვევო კომპანიის სადაზღვევო შენატანების ჯამით. საკრედიტო რესურსების ბაზარზე კომერციული ბანკის წილის ოდენობა განისაზღვრება ბანკის აქტივების შეფარდებით ბაზრის მოცულობასთან.

ამჟამად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საერთოდ არ არის გათვალისწინებული შრომის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის ჩამოყალიბების პირობები, რაც კონკურენციის პოლიტიკის რეგულირების ამჟამად მოქმედი მიდგომების მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ცნობილია ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება სასაქონლო ბაზრებსა და შრომის ბაზრებს შორის უთიერთქმედების ასპექტები. რომლის მიხედვითაც პროდუქციის ბაზარზე კონკურენციის დონის მოდიფიკაციის მეშვეობით ანტისატრასტო ორგანოებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ კვალიფიცირებულ და არაკვალიფიცირებულ მუშათა რაოდენობაზე ფირმის მოთხოვნილებებზე და შესაბამისად, შრომის ბაზრის სტრუქტურაზე. რათქმაუნდა, შესაბამისად შეიცვლება შრომის ანაზღაურებისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლებიც [5, გვ.1-27].

კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორთა სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინდიკატორთა წრე, რომლებიც ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრის მიზნით გამოიყენება. სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონე წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და ბაზარზე მათი განაწილების სიმჭიდროვეს. კონცენტრაციის დონის მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება კომპანიის ზომის შეფარდებით ბაზრის სიდიდესთან, რომელზეც ის მოქმედებს. პრობლემის გადაჭრისას მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: როგორ უნდა განვსაზღვროთ კომპანიის ზომა. იმის დასადგენად კონცენტრაცია ზღუდავს თუ არა ეფექტიან კონკურენციას კონკურენციის სააგენტო აფასებს ბაზრის შედეგიანობას, როგორც სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის შედეგს, შემდეგი სახის ინდიკატორების საფუძველზე: ა) ფასების სიმცირე; ბ) მოგების სიდიდე; გ) მიღებული პროდუქციის ხარისხი; დ) წარმოებისა და გაყიდვის ხარჯების შემცირება; ე) ტექნიკური პროგრესი. ამისათვის არსებობს 4 ძირითადი მაჩვენებელი: – კომპანიის გაყიდვების წილი მთლიან საბაზრო რეალიზაციაში; – დასაქმებულების წილი სექტორში დასაქმებულებთან მიმართებაში; – კომპანიის აქტივების წილი ყველა კომპანიის აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც მოქმედებენ საკვლევ ბაზარზე; – დამატებული ღირებულების წილი ყველა კომპანიის დამატებული ღირებულებების მთლიან მოცულობაში; მხოლოდ ერთი რომელიმე გზის არჩევის შემთხვევაში კონცენტრაციის შედეგების დადგენისას შედეგები შეიძლება სხვადასხვა აღმოჩნდეს. მაგალითად, მსხვილი კომპანიები ხშირად გამოიყენებენ კაპიტალტევად ტექნოლოგიებს, ამიტომ აქტივების მიხედვით ასეთი კომპანიების კონცენტრაციის ხარისხი უფრო მეტია, ვიდრე დასაქმების, ან გაყიდვების მაჩვენებლის მიხედვით.

შესაბამისი სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონის გამოსათვლელად გამოიყენება საინდექსო მეთოდები, რომელთაგანაც ძირითადად პრაქტიკაში გამოიყენებადი გახდა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) განისაზღვრება როგორც ბაზარზე მოქმედი კომპანიების წილების კვადრატების ჯამი. ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობა პირდაპირ კავშირშია დისპერსიის მაჩვენებელთან (მონაცემთა გაფანტულობის საზომი), რომელიც ასახავს კომპანიების წილებს ბაზარზე [2, გვ. 10].

სასაქონლო ბაზარზე ჯგუფური დომინირების განსაზღვრისას, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსთან ერთად გამოიყენება ლინდის ინდექსი [2, გვ.10-11]. საჭიროების შემთხვევაში, სასაქონლო ბაზრის შეფასებისას გამოიყენება პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებადი სხვა ანალოგიური მაჩვენებლები. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე სასაქონლო ბაზრები კონცენტრაციის დონეების მიხედვით ფასდება – დაბალკონცენტრირებულ, ზომიერად კონცენტრირებულ და მა-

ღალკონცენტრირებულ სასაქონლო ბაზრებად: თუ ერთსა და იმავე ბაზარზე (ერთი და იგივე სა-
ქონლის/მომსახურების მწარმოებელი) მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად
ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი არ აღემატება 1250-ს, ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი
კონკურენციის არსებით შეზღუდვას. თუ ერთსა და იმავე ბაზარზე (ერთი და იგივე საქონლის-
/მომსახურების მწარმოებელი) მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინ-
დალ-ჰირშმანის ინდექსი 1250-დან 2250-მდეა და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან ჰერფინ-
დალ - ჰირშმანის ინდექსი მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონ-
ცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას [2, გვ.7]. ჰერფინდალ-ჰირ-
შმანის ინდექსი, როგორც კონცენტრაციის დონის მაჩვენებელი, კავშირშია ლარნერის მონოპოლი-
ური ძალაუფლების მაჩვენებლთან. მას ხშირად იყენებენ ეკონომიკური კვლევების დროს. მაკრო-
ეკონომიკაში ლარნერის მაჩვენებელი არის სიდიდე, რომლის დროსაც ფასი უფრო მაღალია, ვიდ-
რე ზღვრული ხარჯები. იგი გამოიყენება სრულიად მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ბაზრის
შეფასებისას. გამოყენებულია ასევე, ენთროპიის, ლინდის და ჯინის ინდექსები. ენთროპიის ინ-
დექსი აჩვენებს იმ სიდიდის ლოგარითმის მნიშვნელობას, რომელიც საბაზრო წილის საწინააღ-
მდეგოა და ეს მნიშვნელობა ფორმების საბაზრო წილის მიხედვითაა შეწონილი: ენთროპიის კოე-
ფიციენტი წარმოადგენს კონცენტრაციის საწინააღმდეგო მაჩვენებელს, რაც მაღალია მისი მაჩვე-
ნებელი, მით უფრო დაბალია კომპანიის კონცენტრაციის ხარისხი ბაზარზე. პრაქტიკაში წარმატე-
ბით გამოიყენება ჯინის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკურ მაჩვენებელს: სხვადას-
ხვა კვლევებისა და მიზნებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპანიების კონცენტრაციის
განსხვავებული მაჩვენებლები როდესაც, კომპანიები რანჟირებული არიან საბაზრო წილის მი-
ხედვით [3, გვ. 50-60].

სასაქონლო ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზი მოიცავს ბაზრის სტრუქტურის ხარის-
ხობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რომლის ფარგლებშიც გამოიკვლევა: ბაზარზე შესვლის, გა-
ფართოების და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერების არსებობა პოტენციური კონკურენტებისათვის
და მათი დაძლევის სიმძლეეები; ბარიერების გადალახვის შესაძლო დანახარჯები და ვადები; პო-
ტენციური მიმწოდებლის ფაქტობრივი შესაძლებლობა, გახდნენ მოცემული ბაზრის მონაწილეე-
ბი; შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობა, გააფართოონ ეკო-
ნომიკური საქმიანობის მასშტაბები; საერთაშორისო ვაჭრობისათვის ბაზარზე შეღწევადობა.

ინსტიტუციონალური ბარიერების შესწავლის ფარგლებში განიხილება: ეკონომიკურ აგენ-
ტთა რეგისტრაციის სირთულე; ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება პროდუქტის ექ-
სპორტ/იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით; შესაბამის სასაქონლო/მომსახურების ბაზარს
მიკუთვნებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციების ზემოქმედების საჭიროება და გო-
ნივრულობის შეფასება; მიწის ნაკვეთების, ან საწარმოო ნაგებობების გამოყოფასთან დაკავშირე-
ბული წინააღმდეგობები; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი; ინსტიტუციონა-
ლური ხასიათის სხვა ბარიერები. ბაზრის კონკურენტულობის ანალიზის ამ ეტაპზე მოწმდება
ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობა, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარ-
დოს მოგება ფასების გაზრდის ან ხარჯების/ხარისხის შემცირების გზით ხანგრძლივი დროის გან-
მავლობაში.

ინდიკატორთა სისტემის არსებით შემადგენელ ნაწილს ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძა-
ლაუფლების შეფასება წარმოადგენს. რისთვისაც მოწმდება ეკონომიკური აგენტის შესაძლებლო-
ბა, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარდოს მოგება ფასების გაზრდის ან ხარ-
ჯების/ხარისხის შემცირების გზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საბაზრო ძალაუფლების
გამოთვლისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: სტრუქტურული, რომელიც გულისხმობს შესაბა-
მის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ანალიზს; ანალიტიკური, რომელიც გულის-

ხმობს: ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ეფექტიანობის დონის შეფასებას; ეკონომიკური აგენტის რენტაბელობის დონეს მოკლე და გრძელვადიან პერიოდში; ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის შეფასებას საფინანსო ანალიზისა და ანალოგიის მეთოდის გამოყენებით; კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის ანალოგიური მაჩვენებლების შედარებას. საბაზრო ძალაუფლების შეფასების დროს, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში აღიარებული ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები.

ევროკავშირის ქვეყნებში ბაზრის საზღვრის დადგენისთვის შემდეგი კრიტერიუმები არსებობს: შემოსავლის ცვლილების მაჩვენებელი ფასების ცვლილების პირობებში – იმ შემთხვევაში თუ პროდუქტზე შემოსავლის ცვლილების მაჩვენებელი ფასების ცვლილების პირობებში გაიზარდა, უნდა შევხედოთ როგორ აისახა ეს კომპანიის შემოსავალზე. თუ შემოსავალი გაიზარდა, ბაზარი შეზღუდულია პროდუქტით. თუ შემოსავალი შემცირდა, ნიშნავს, რომ ბაზარზე არსებობს მისი შემცვლელი პროდუქტი. შემდეგ ეტაპზე ხდება პროდუქტის მოძიება და ანალოგიური მეთოდით გაზომვა, რამდენად არსებობს მესამე შემცვლელი პროდუქტი. აღნიშნული მეთოდით ხდება ბაზრის საზღვრის დადგენა. ეს კრიტერიუმი დაფუძნებულია მოთხოვნის ელასტიურობის მაჩვენებელზე, რომელსაც ფასის ცვლილება განსაზღვრავს. პროდუქტზე ფასების კორელაცია დროში – ფასების მოძრაობის პოზიტიური დინამიკა დროის გარკვეულ პერიოდში (3–10 წლიან პერიოდში) ნიშნავს, რომ პროდუქტს გამოუჩნდა შემცვლელი და ისინი ბაზრის ერთ ფორმატში უნდა იქნეს განხილული. ასე რომ, დროის გარკვეულ პერიოდში პროდუქტი უფრო ელასტიური ხდება. პროდუქტზე ფასების მომატება დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ იწვევს პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას. ასეთ შემთხვევაში ბაზრის მონოპოლიზაციაზე მიდგომა უნდა შეიცვალოს და ზედამხედველობა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში უნდა გაგრძელდეს [3, გვ. 49].

ბაზრის გეოგრაფიული შეზღუდულობა – ამ შემთხვევაში კრიტერიუმად შეიძლება ავიღოთ რეგიონალური ბაზარი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვეყანას. კონკურენცია მიმდინარეობს რეგიონალურ ბაზარზე, ქვეყნის შიგნით კი კომპანია შესაძლოა, მართლაც იყოს დომინანტი, თუმცა მის მიმართ განხორციელებულმა ქმედებებმა კომპანია შესაძლოა რეგიონალურ ბაზარზე გახადოს ნაკლებად კონკურენტუნარიანი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელ ფაქტორებში და კრიტერიუმებში ჩნდება ისეთი საკითხები, როგორც არის ტრანზაქციული ხარჯები (სატრასპორტო, სატარიფო, გადასახადები), სამთავრობო მხარდაჭერა (ექსპორტის გათავისუფლება გადასახადისაგან, სუბსიდიები). ბაზრის საზღვრების გამოვლენის შემდეგ მნიშვნელოვანია მოთამაშეების გამოვლენა. რამდენად სწორად არის გამოვლენილი შერჩეულ ბაზარზე კომპანიები, შეიძლება გადამოწმდეს ორი - სპეციალიზაციის მაჩვენებლის და ბაზრის მოცვის მაჩვენებლის მიხედვით. სპეციალიზაციის მაჩვენებელი ასახავს მოცემული პროდუქტის გაყიდვების მოცულობის დამოკიდებულებას ყველა სხვა პროდუქტების გაყიდვების მოცულობასთან, ასეთივე მაჩვენებელი შეიძლება დადგინდეს ერთი კომპანიის შემთხვევაშიც. მოცვის მაჩვენებელი გვიჩვენებს მოცემული კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტის გაყიდვების მოცულობის დამოკიდებულებას სექტორში სხვა პროდუქტის გაყიდვებთან მიმართებაში და მოცემული პროდუქტის გაყიდვების მოცულობის მიმართებას სხვა სექტორებთან მიმართებაში. ამ ორი მაჩვენებლის ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კვლევის ხარისხი.

კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების კონტროლი - სუბვენცია. ევროკავშირის კანონმდებლობით ნებისმიერი სახის სახელმწიფო ჩარევა (ინტერვენცია), სახელმწიფო დახმარება ან სხვა რამ, რომელიც აბრკოლებს/ამახინჯებს კონკურენციას - აკრძალულია. აღნიშნული შეზღუდვა ხელს უწყობს კომპანიებს შორის კონკურენციის გაძლიერებას და ემსახურება შიდა ბაზრებისა და გადამხდელთა ინტერესების დაცვას. დახმარება ყოველთვის ეფექტის მომტანი არ არის. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, რო-

დესაც სახელმწიფო დახმარებები უაყოფითად აისახება საერთო ბაზრის განვითარებაზე და ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო ნაღდ ფულს აძლევს კომპანიებს ყოველდღიური ოპერაციების შესასრულებლად. ასეთი ტიპის დახმარებები ხელს არ უწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ინოვაციური პროექტების განვითარებას. ის როგორც წესი არაეფექტურია და ნეგატიურად ზემოქმედებს კონკურენციაზე. დახმარება სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიზანი სწორად არის განსაზღვრული. ევროკავშირში საზოგადოებისათვის სასარგებლო და ეკონომიკისათვის ეფექტის მომტანი დახმარებების საკითხი კანონმდებლობის დონეზე არის დარეგულირებული. მოქმედი ნორმის მიხედვით ბაზართან თავსებადია და დადებითი ეფექტის მომტანია სოციალური დახმარებები, რომლებიც გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ; რეგიონებში ეკონომიკური სიდუხჭირის აღმოსაფხვრელად და განვითარების ხელშეწყობისათვის; კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით და სხვა. ევროგაერთიანება მუდმივად აკონტროლებს დახმარებისათვის გაცემული თანხების მიზნობრიობას. აღნიშნული საკითხიც კანონმდებლობის დონეზეა დარეგულირებული. თუკი გაირკვა, რომ დახმარების მიზნით გაცემული თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა ამ შემთხვევაში შესაძლოა საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცეს. ამდენად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გამოიყოს ინდიკატორთა წრე, რომელთა მეშვეობითაც აისახება სახელმწიფო დახმარებების მოცულობა, რომლებიც მიმართულია კომპანიებისადმი ყოველდღიური ოპერაციების განსახორციელებლად აგრეთვე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინოვაციური პროექტების განვითარებისათვის მიმართული სახრების მოცულობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გაიცემა და მისი დარგობრივი სტრუქტურა. უნდა დაგინდეს თუ რამდენად არის დაცული ასეთი პროექტების რეალიზაციის შემთხვევაში თავისუფალი კონკურენციის პრინციპები.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დღემდე არ არსებობს კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორების სისტემა, რომელიც კონკურენციის პოლიტიკის დარღვევებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენას ასახავს. ცალკე შესწავლას მოითხოვს გამოვლენილი დარღვევებისათვის გამოყენებული სანქციების ამსახველი ინდიკატორების წრე. სპეციალურ კვლევას მოითხოვს კონკურენციის პოლიტიკის შედეგების გავლენის შეფასება ეკონომიკური კეთილდღეობის დონეზე, რაც ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა გამოისახოს როგორცაა მშპ-ს ზრდის ტემპები, ფასებისა და ხელფასების ცვლილება, დასაქმების დონე. შესწავლას მოითხოვს არაჯანსაღი, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის ბოლო დროს ჩამოყალიბებული ტენდენციები განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, რომელსაც არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულ სფეროებში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან. აღნიშნული პრობლემა ერთის მხრივ სახელმწიფო ხარჯების არასწორი გამოყენების, ხოლო მეორეს მხრივ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული და შესაბამის რაოდენობრივ და ხარისხობრივი ინდიკატორების მეშვეობით უნდა გამოისახოს. კონკურენციის პოლიტიკის ზემოაღნიშნული სოციალური და ეკონომიკური ეფექტების შესწავლა სამომავლო კვლევის საგანს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 - ვებგვერდი, 27.03.2014 წ.
2. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-3 2014 წლის 30 სექტემბერი, ქ. თბილისი „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“

3. ლექვინაძე ირაკლი, საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გავლენა კონკურენციაზე. სადისერტაციო ნაშრომი ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2015 წ.
4. Høj, J. (2007), "Competition Law and Policy Indicators for the OECD countries", OECD Economics Department Working Papers, No. 568, OECD Publishing, Paris. <http://dx.doi.org/10.1787/122166455544>
5. Fabian Bergès-Sennou, Stéphane Caprice, Is Competition or Collusion in the Product Market Relevant for Labour Markets. De Boeck Supérieur | "Recherches économiques de Louvain" 2008/3 Vol. 74 | pages 273 à 298. ISSN 0770-4518 ISBN 9782804158217 <http://www.cairn.info/revue-recherches-economiques-delouvain-2008-3-page-273.htm>
6. Benefits of Competition and Indicators of Market Power. Council of Economic Advisers Issue Brief Updated . May, 2016.

Indicators of Competition Policy

Elene Chikovani

PhD of Economics,

Associate Professor of the Tbilisi Open Teaching

University of Georgia

Elene_customs@yahoo.com

R e s u m e

The article concerns problems of formation of the competition policy indicators in Georgia. The systematization of the competition policy indicators is given. Two main circles of the indicators are singled out: competition low and policy indicators (CLP) used in the aim of country comparisons and indicators used for the analyzing and construction competition policy within the country. The set of the indicators on the both level are characterized. The main positive and negative features in forming of the system of indicators are revealed: including problems related to the separation of the indicators for the analyzing food and nonfood markets. The relation of the competition low and policy indicators to the free and competitive labor market policy issues is substantiated. Special emphases are given to the formation new circle of indicators reflecting assistance issued by the government. Indicators reflecting control measures and sanctions issued in cases of imperfect competition or violations are grounded.

ანტიმონოპოლიური რეგულირების ასპექტები

აკაკი ცერცვაძე

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წამყვანი სპეციალისტი

საქართველოს საპატარჯოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

atsertsvadze@competition.ge

კონცენტრაციის პროცესი ეკონომიკაში გულისხმობს ეკონომიკური აგენტების გაერთიანებას. კონკურენციის კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა განასხვავებს სამი სახის კონცენტრაციას: ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და კონგლომერატულ კონცენტრაციას. ჩამოთვლილთაგან ყველაზე პრობლემურად ჰორიზონტალური კონცენტრაცია მიიჩნევა, რადგან „შესაბამის ბაზარზე იწვევს კონკურენტთა რაოდენობის შემცირებასა და საბაზრო წილების ზრდას (ზრდის ოლიგოპოლიური მდგომარეობის რისკს). ევროკავშირში განსაკუთრებით დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ისეთ კონცენტრაციებს, რომელთა შედეგადაც ბაზარზე ძირითადი კონკურენტების რიცხვი 4-ზე ნაკლები ხდება.¹ 2017 წლის მაისში საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ გამოცემულ გზამკვლევაში ჰორიზონტალური კონცენტრაციის მაგალითებად მოყვანილია ევროკომისიის მიერ განხორციელებული საქმე T-102/96 (Gencor v Commission), რომლის თანახმადაც „ევროკომისიამ უარი უთხრა Gencor-ს სასურველ კონცენტრაციაზე, რადგანაც აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად, პლატინის ბაზარზე კონკურენტების რიცხვი ორამდე მცირდებოდა და შედეგად, მნიშვნელოვნად რთულდებოდა კონკურენციის ეფექტურობის შენარჩუნება. ასევე, T-342/07 (Ryanair Holdings plc v Commission) ევროკომისიამ არ დაუშვა ავიაკომპანიების კონცენტრაცია, რადგან ბაზრის ნაწილზე (მარშუტების გარკვეულ რაოდენობასთან მიმართებით) ხდებოდა მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება.²

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევის თანახმად ვერტიკალური კონცენტრაცია ხორციელდება წარმოებისა და დისტრიბუციის სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ეკონომიკურ აგენტებს შორის. ამ შემთხვევაში კონცენტრაციის მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტი მაინც უნდა ფლობდეს დომინირებულ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე. „საქმეში COMP/M.184 (AOL/Time Warner) ევროკომისიამ განიხილა კონცენტრაცია დომინირებულ ინტერნეტ პროვაიდერ AOL-სა და მუსიკალურ კომპანია Time Warner-ს შორის. კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური აგენტი დომინირებულ მდგომარეობას მოიპოვებდა მუსიკის ინტერნეტით გავრცელების ბაზარზე, რადგან შეეძლებოდა აღნიშნულ ბაზარზე ტექნიკური სტანდარტების კარნახი (მაგ. მუსიკის მიწოდების ფორმატის დადგენა).³

კონგლომერატული კონცენტრაცია მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, რადგან ის წარმოშობს ე.წ. „პორტფოლიოს ეფექტს“. ამის მაგალითად საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევაში წარმოდგენილია ევროკომისიის მიერ განხილული საქმე COMP/M.3304 (GE/Amersham), როდესაც „ევროკომისიამ დააგინა, რომ კონცენტრაციის მოსურნე ორი კომპანიის

¹ საქართველოს კონკურენციის სააგენტო. გზამკვლევი-სახელწოდებით-„ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, 2017 წლის მაისი. გვ. 27

² იგივე

³ საქართველოს კონკურენციის სააგენტო. გზამკვლევი სახელწოდებით-„ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, 2017 წლის მაისი. გვ. 27

პროდუქტები - სადიაგნოსტიკო აპარატი და სადიაგნოსტიკო ქიმიკატები, რომლებიც აპარატის მიერ გენერირებული სურათის სიცხადეს აუმჯობესებდა - ერთი კომპანიის ხელში მოხვედრის შემთხვევაში, შესაძლოა საერთო პორტფოლიოში აღმოჩენილიყო (ე.ი. კომპანიას შეეთავაზებინა კლიენტებისთვის ეს ორი განსხვავებული პროდუქტი ერთიან პროდუქტად, ერთიან ფასად). კონცენტრაცია საბოლოოდ დაშვებულ იქნა, თუმცა მსგავსი სიტუაციები ყოველთვის ხდება მარეგულირებლის განხილვის საგანი.⁴

კონცენტრაციის პროცესი ეკონომიკაში ქმნის მონოპოლიებს, ოლიგოპოლიებს, დუოპოლიებს, კონცერნებს, კარტელებს, კონსორციუმებს, სინდიკატებს და ა.შ. მათი ძალაუფლების ზრდა გახდა ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ბ. ქალენი თავის წიგნში, სახელწოდებით „საერთაშორისო ბიზნესი“, აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ბევრ უმსხვილეს კორპორაციას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნებზე“. მაგალითისთვის იგი ასახელებს ამერიკულ კორპორაცია „ჟოლ-მარტს“, რომლის შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება მრავალი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს.⁵

ერთი მხრივ, საერთაშორისო კორპორაციებს ამა თუ იმ ქვეყანაში, მისი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეაქვთ თანამედროვე ტექნოლოგია, რაც ზრდის ამქვეყნის მწარმოებლურობას და ამაზე არავინ დავობს, მაგრამ მეორეს მხრივ სწორედ ეს ტექნოლოგიური უპირატესობა აძლევთ მათ მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვების ბრწყინვალე საშუალებას და სახეზე გვექნება არასრულყოფილი (არაჯანსაღი) კონკურენცია.

თუ თვალს გადავავლებთ ისეთ მაღალგანვითარებულ ეკონომიკის მქონე ქვეყნის ისტორიას, როგორცაა აშშ, ვნახავთ, რომ მონოპოლიების დომინირებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით ქვეყანამ ჯერ კიდევ 1890 წლის 2 ივლისს მიიღო შერმანის ანტიტრესტული აქტი, რომლის თანახმად ტრესტის ფორმის ნებისმიერი განვითარება, ასევე საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მიმართული იქნებოდა ვაჭრობის ან თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვაზე შტატებს შორის და საზღვარგარეთის სახელმწიფოების მონაწილეობით ურთიერთობების სფეროში, ცხადდებოდა უკანონოდ და ექვემდებარებოდა სასამართლო დევნას.

შემდგომ წლებში, წარმოების კონცენტრაციის პროცესის გაძლიერების კვალდაკვალ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ნაწილობრივ შეიცვალა. ყველაზე არსებითი დამატება შერმანის კანონში გაკეთდა 1944 წელს კლეიტონის აქტით. კლეიტონის გზავნილი შემდეგი იყო: მსხვილი კორპორაციები კი არ უნდა განადგურდეს, არამედ უნდა აიკრძალოს მათი საქმიანობის არასასურველი მხარეები, მიმართული თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვისა და ჩახშობისკენ. ასეთმა მიდგომებმა დადებითი როლი ითამაშა ქვეყანაში სამეწარმეო საქმის განვითარებაში, არ გააჩერა წარმოების კონცენტრაციის პროცესი.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მოქმედებს წამყვანი ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში, ევროკავშირშიც და უმკაცრესი სანქციებია ამ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

➤ მიკროპროცესორების მწარმოებელი მსხვილი ამერიკული კომპანია “intel”-ი სწორედ ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევისთვის 2009 წელს ევროკომისიის მიერ დაჯარიმებულ იქნა 1,45 მილიარდი დოლარით, მონოპოლიზებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ კომპანიის წინააღმდეგ საქმეც კი აღიძრა.

⁴ საქართველოს კონკურენციის სააგენტო. გზამკვლევი სახელწოდებით-„ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, 2017 წლის მაისი. გვ. 28

⁵ J.B. Gullen an K.P. Parboteeah, International Business: Strategy and Multinational Company, New York, 2010, pp. 452

➤ 2004 წელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის “Microsoft”-ი დაჯარიმებული იქნა დაახლოებით 899 მილიონი ევროთი, ვინაიდან მან არ გაითვალისწინა ევროკომისიის გაფრთხილება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, 2007 წელს 1,6 მილიარდი ევროთი დაჯარიმდა. ჯამში, ფირმას 2,5 მილიარდი ევროს გადახდა დაეკისრა.

➤ “British Airways”-სა და “American Airlines”-ს უკვე 15 წელი სურთ შექმნან ტრანს-ატლანტიკური საჰაერო მეგა ალიანსი. ევროკავშირის რეგულატორების განმარტებით, ეს შერწყმა არღვევს ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას.

თუ თვალს გადავავლებთ საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებებს მონოპოლიური ძალაუფლების/დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ ბევრ დამაჯერებელ არგუმენტ ვნახავთ. ექსპერტთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ღარიბ ქვეყნებში მუშებს ექსპლუატაციას უწევენ ტნკ-ები დაბალი ხელფასების, დამატებითი სამუშაო საათების და ცუდი სამუშაო პირობების გამო. Oxfam-ის გლობალური მოძრაობა სიღარიბისა და უსამართლობის წინააღმდეგ კვლევის თანახმად, სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანიები მუშებს განვითარებად ქვეყნებში უხდიან მინიმალურ ხელფასებს და ხშირად აიძულებენ იმუშაონ მრავალი საათის განმავლობაში მძიმე, ხშირად სახიფათო პირობებში, საშუალოდ 3 აშშ დოლარზე ნაკლები ანაზღაურებისათვის, თუმცა ისინი აწარმოებენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ და სასურველ ბრენდებს.

ექსპერტთა განსხვავებული ჯგუფი ფიქრობს, რომ საერთაშორისო კორპორაციები აიძულებენ მთავრობებს მიიღონ შეღავათიანი პირობები, რაც ნიშნავს შემოსავლების დაკარგვას, ეს კი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ადგილობრივ სოციალურ პროგრამებზე.

ინგლისელი მკვლევარი ჯონ მადელი, თავის წიგნში „დიდი ბიზნესი და ღარიბი ხალხი“ ამტკიცებს, რომ ტნკ-ების საქმიანობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობაზე: „მესიჯის „დასავლეთი საუკეთესოა“ გავრცელებით, ტნკ-ები ამცირებენ მოთხოვნას ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე და ამით ზიანს აყენებენ ადგილობრივ მრეწველობას. ღარიბი მოსახლეობა ყიდულობს ტნკ-ების პროდუქტებს და ამავდროულად მუშაობენ კორპორაციებში იმ პირობებით, რომელსაც კორპორაციები აწესებენ; ისინი ცხოვრობენ იმ სივრცეში, სადაც ტნკ-ები ფუნქციონირებენ და განიცდიან გარემოში მიმდინარე ცვლილებების ზეგავლენას, რომლებიც გამოწვეულია კორპორაციების არსებობით.“⁶

ამერიკელი ეკონომისტი ედვარდ ჩემბერლინი, მიჩიგანის, ჰარვარდის, კოპენჰაგენის და სორბონის უნივერსიტეტების პროფესორი, ითვლება მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის ფუძემდებლად, რომლის აზრით: „მონოპოლისტური კონკურენცია გულისხმობს სიტუაციას, რომ ყოველი ფირმა მის მიერ წარმოებული პროდუქციის თუნდაც მცირე თავისებურებებიდან გამომდინარე მონოპოლისტური ძალაუფლების მქონეა, ამიტომ მას ფასით მანიპულირება შეუძლია და ამ დროს ერთადერთ ბარიერს სწორად მსგავსი პროდუქციის მწარმოებელთა სიმრავლე წარმოადგენს. ანუ ედვარდ ჩემბერლინი იძლევა მონოპოლიური ძალაუფლების/დომინირებული მდგომარეობის გამოყენების საწინააღმდეგო მექანიზმს. ეს მექანიზმი კონკურენციის ეროვნული სააგენტოების საქმიანობის ეფექტურობის ზრდაში მდგომარეობს. გადავხედოთ ევროპულ გამოცდილებას. ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოა ევროკომისია და კონკურენციის გენერალური დირექტორატი. ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების ეროვნულ სააგენტოებს უფლება აქვთ გამოიყენონ, როგორც ევროკავშირის კონკურ-

⁶ Madeley J., Big Business, Poor Peoples; How Transnational Corporations Damage The World's Poor, London and New York, 2008, pp.7-8

რენციის სამართლის ნორმები, ასევე შიდა წესები, დადგენილი შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობით.

მნიშვნელოვანი ეტაპი ევროკავშირის კონკურენციის წესების აღსრულებაში დაიწყო 2004 წლის 1 მაისიდან ახალი რეგულაციებით. ევროკომისიას და კონკურენციის ეროვნულ სააგენტოებს შეუძლიათ გამოიძიონ საქმე და დააკისრონ ჯარიმა კანონდარღვევისთვის-სანქცია. ჯარიმის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წლიური ბრუნვის 10%-მდე. ეს წესები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც თუ ქმედება ან შეთანხმება განხორციელდა ევროპის ეკონომიკური არეალის გარეთ, მაგრამ გავლენას ახდენს ევრობაზარზე. კანონმდებლობა არც ფინანსურ ინსტიტუტებს ინდობს: 2016 წლის 7 დეკემბერს ევროკავშირის ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მსოფლიოს სამი უმსხვილესი ბანკი: Credit Agricole, HSBC და JP Morgan ევროზე საპროცენტო განაკვეთების დაწესებისას შეთანხმებული ქმედების გამო დააჯარიმა. გამოიძიება, რომელიც 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, საბოლოოდ, ბანკების გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა. ევროკომისიის კონკურენციის მარეგულირებელმა ორგანომ სამივე ბანკს, ჯამში 485 მილიონი ევროს ოდენობის ფულადი ჯარიმა დააკისრა. მათგან ყველაზე დიდი, 337,2 მილიონი ევროს გადახდა JP Morgan Chase-ს მოუწევს, € 114,7 - Credit Agricole-ს, ხოლო € 33,6 HSBC-ს. ბანკებს ბრალი ედებათ ევროზე საპროცენტო განაკვეთების კარტელური გარიგების შედეგად დაწესების, დერივატივების ფასებით მანიპულირებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლის გამო, რაც ანტიმონოპოლიური კანონების პირდაპირი დარღვევაა.

გარდა საკანონმდებლო ნორმებისა არსებობს კონცენტრაციის (შერწყმის) მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში ანტიმონოპოლიური სამსახურების მიერ. ესენია: კონცენტრაციის კოეფიციენტი, ჰერჰინდალ ჰირშმანის ინდექსი, შედარებითი კონცენტრაციის კოეფიციენტი, ენტროპიის კოეფიციენტი, ფირმის საბაზრო წილის დისპერსიის ლოგარითმი, ჯინის კოეფიციენტი, ჰოლ-ტაიდმანის (როზენბლიუტის) კოეფიციენტი და ლერნერის კოეფიციენტი.

მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ ჰერჰინდალ ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომელიც გამოითვლება შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების კვადრატების ჯამი: $HHI = S^2_1 + S^2_2 + \dots + S^2_n$ სადაც S_1, S_2 დარგში კომპანიების საბაზრო წილების პროცენტული მაჩვენებელია, და გამოხატავს დამოკიდებულებას ფირმის მიერ საბაზრო გაყიდვების და დარგში მთლიან გაყიდვებს შორის. თუ წარმოვიდგენთ ბაზარს, სადაც იდეალური კონკურენციაა, ბაზარზე წარმოდგენილ 100 ფირმას აქვს საბაზრო წილების თანაბარი რაოდენობა, მაგალითად 1%, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: $1^2 \times 100 = 100$; თუ ბაზრის მონაწილე ფირმების რაოდენობა 2-ჯერ შემცირდება, ანუ 50 მონაწილეს საბაზრო წილების 2%, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: $2^2 \times 50 = 200$. როგორც ვხედავთ ბაზრის კონცენტრაციის დონე გაიზარდა. თუ იგივე გათვლებს გვაკეთებთ ბაზრის 25 მონაწილე ფირმისთვის, საბაზრო წილების რაოდენობით 4%, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: $4^2 \times 25 = 400$. ოლიგოპოლიურ სიტუაციაში, ბაზრის 10 მონაწილისათვის, 10%-იანი საბაზრო წილით ინდექსის მაჩვენებელი იქნება: $10^2 \times 10 = 1000$. როგორც ვხედავთ ბაზრის მონაწილე ფირმების არითმეტიკული შემცირებით ჰერჰინდალ ჰირშმანის ინდექსის (HHI) მნიშვნელობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. როგორია ჰერჰინდალ ჰირშმანის ინდექსი (HHI) ზღვრული მაქსიმალური მაჩვენებელი? მისი გამოვლენა ძნელი არაა, ესაა მდგომარეობა, როდესაც წარმოდგენილია 1 მონაწილე ფირმა 100%-იანი საბაზრო წილით. მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: $100^2 \times 1 = 10000$. ანუ ჰერჰინდალ ჰირშმანის ინდექსის (HHI) ზღვრული მაქსიმალური მაჩვენებელია 10000 და იგი მიიღწევა ერთი ფირმის სუფთა მონოპოლიური მდგომარეობით ბაზარზე. 1982 წელს ჰერჰინდალ ჰირშმანის

ინდექსი (HHI) აშშ-ში ცნეს ფირმების შერწყმის და შთანთქმის შეფასების ოფიციალურ მაჩვენებლად. ამერიკული მოდელით, როდესაც $HHI < 1000$ შერწყმა ხდება დაუბრკოლებლად, როდესაც $1000 < HHI < 1800$ საჭირო ხდება შემოწმება იუსტიციის დეპარტამენტის მიერ. ეს მეთოდოლოგია უცხო არაა საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთვის, რადგან „სამართლიანი კონკურენციის პრინციპების ჩამოყალიბება და დაცვა მნიშვნელოვანია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდის, ეფექტიანობის ამაღლების, ყველა დარგის, სფეროს, საწარმოსა თუ შინამეურნეობის განვითარებისთვის.⁷ „2016 წელს კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 3 შეტყობინება და 1 განცხადება სააგენტოს გვერდით ავლით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე. „2016 წლის 7 მარტის ბრძანებით, კონკურენციის სააგენტომ დაამტკიცა გადაწყვეტილება შპს „ალტასა“ და შპს „ვეროტექნიკს ჯორჯია“-ს მიერ ერთობლივი საწარმოს-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ორივე სახის ელექტროტექნიკის იმპორტის ბაზარი იყო დაბალკონცენტრირებული და შესაბამისად, კონცენტრაციაში მონაწილე კომპანიათა წილებიც იყო მცირე. ამ მაჩვენებლისა და იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კონცენტრაცია ნეგატიურად არ აისახებოდა მომსახურების ფასზე, ხელს შეუწყობდა ქვეყნის მასშტაბით ელექტროტექნიკის სარეალიზაციო ქსელებისა და სარეალიზაციო ასორტიმენტის გაფართოებას, სააგენტომ მოსალოდნელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია“⁸.

დასკვნის სახით ვაყალიბებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ საწარმოთა კონცენტრაციისა და მონოპოლიური ძალაუფლების/დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პრობლემებიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია: სწრაფი, რეალური ქმედებებით კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების არეალის გაძლიერება; საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დანერგვა და ცნობადობის, ნდობის ამაღლება; თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდა; კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლების შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო, როგორც პროფესიონალ თანამოაზრეთა ერთობა, არის და იქნება ყველა მხარის უფლების დამცველი და გარანტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტო. გზამკვლევი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, მაისი 2017.
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში
3. ლორთქიფანიძე რევაზ. რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა-ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისთვის. ჟურნალი - ეკონომიკა და ბიზნესი.
4. ფეტელავა სლავა. ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები. ჟურნალი - ეკონომისტი. გუგუშვილის ეკონ. ინსტიტუტი. ოქტომბერ-ნოემბერი #5. თბილისი 2014 წ.
5. კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. ჟურნალი - SEU and Science. #1. თბილისი 2014 წ.
6. პავლიაშვილი სოლომონ. საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი. ჟურნალი-მეცნიერება და ცხოვრება (თბილისის სასწავლო უნი) #2. თბილისი 2014 წ.

⁷ ნოდარ ხადური. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში.

⁸ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში. გვ. 13-14

7. იოზაშვილი თემურ. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ამოქმედდა. ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის-აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. #9. თბილისი 2014 წ.
8. ლეჟვინაძე ირაკლი. როგორი უნდა იყოს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. ჟურნალი-Forbs Georgia. თებერვალი #27. თბილისი 2014 წ.
9. ფეტელავა სლავა, გოგიაშვილი შალვა. ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა. თბილისი 2013 წ.
10. გოგიაშვილი შალვა. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციულ სამართლის დარღვევისათვის. ჟურნალი-ეკონომისტი. დეკემბერი #6. თბილისი 2013 წ.
11. კვიციანი მურთაზ. ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული სახელმძღვანელო. ჟურნალი-ეკონომისტი. #4 თბილისი 2013 წ.
12. სოხაძე კობა. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახეები. ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა. სექტემბერ-ნოემბერი #4-5. თბილისი 2013 წ.
13. სერგია ნიკა. ანტიმონოპოლიური სამართალი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. #3. თბილისი 2013 წ.
14. დოდონაძე ირაკლი. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია. ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა. #12, თბილისი 2012 წ.
15. ცომაია აკაკი. ანტიმონოპოლიური სამსახური დაკანონებს მონოპოლიებს. ჟურნალი-ტაბულა. #120. თბილისი 2012 წ.
16. ხალიანი თათია. კონკურენციის ახალი პოლიტიკა (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა). ჟურნალი-ლიბერალი 15-21 ოქტომბერი #111. თბილისი 2012 წ.
17. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი, 6-7 აპრილი. 2012 წ.
18. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“. ახალი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. ჟურნალი-ლიბერალი. #9. თბილისი 2011 წ.

Aspects of Antimonopoly Regulation

Akaki Tsertsvadze

Leading Specialist of Competition Agency of Georgia

PhD student of St. Andrew The First-Called

Georgian University

atsertsvadze@competition.ge

R e s u m e

In economic relations, concentration means merger of several undertakings. In May, 2017, Georgian Competition Agency issued guideline - “Economic Agents’ Main Obligations Due to Georgian Competition Legislation”. The guideline describes three types of concentration: vertical concentration, horizontal concentration and conglomerate one. On the one hand, international corporations implement new technologies in their home countries and this process increases the country’s productivity, but on the other hand, technological advantage give them possibility to acquire dominant position. At the end economy faces imperfect competition scenario.

Each advanced country has antitrust legislation including EU countries. High fines are imposed in case of infringement of competition legislation.

Although, in market economy, dominant companies use their power to archive their own goals, the strong mechanisms to avoid such cases have not been elaborated yet. In this situation, sharing of international experience is the best possible solution.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება

იუზა ნონერია

ეკონომიკის დოქტორი,

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სამმართველოს უფროსი

itsotseria@competition.ge

ეკონომიკის მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და მონოპოლიური ტენდენციების სახელმწიფო რეგულირების მოქნილი, დაბალანსებული სისტემის არსებობაზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია წარსულში ტოტალიტარული სისტემის მქონე და საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის.

ზოგადად, ეკონომიკის მონოპოლიზაციის პროცესი უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური შედეგების მომტანია იმის მიუხედავად, რომ არსებობს გარკვეული დადებითი მომენტები მონოპოლიური სტრუქტურების მხრიდან ახალი ტექნოლოგიების განვითარების, დანერგვის და პერსონალის მუდმივად გადამზადების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მსხვილი კომპანიების „წარმოების მასშტაბის“ ეფექტი უფრო იაფი და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. მსხვილი კომპანიები კრიზისის დროს უფრო სტაბილურებიც არიან, რაც გარკვეულწილად ამცირებს უმუშევრობის, სხვა სოციალური პრობლემებსა და საზოგადოებრივი დაძაბულობის დონეს.

ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირების აუცილებელი ბერკეტია სახელმწიფოს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკა. მისი ძირითადი ძირითადი პრინციპებია:

- ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება;
- საქონლის, მომსახურების და ფინანსური რესურსების თავისუფალი გადაადგილება;
- პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დიფერენციაცია და დაცვა;
- კონკურენტული ურთიერთობის ხელშეწყობა;
- ბაზრის მონოპოლიზებასა და უსამართლო კონკურენციის საწინააღმდეგო საქმიანობების პრევენცია;

- სპეციალიზაცია ბუნებრივი და სახელმწიფო მონოპოლიების რეგულაციაში.

ამდენად, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: წარმოების მოცულობა; შრომის პროდუქტიულობა; საწარმოთა ფასები, მოგება, ინვესტიციების მოცულობა; ეკონომიკური ზრდის ტემპები, გლობალურ ბაზრებზე ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობა.

სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური და კონკურენციის დაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულებაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება იწვევს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას, ჯანსაღი საბაზრო ფასწარმოქმნის სისტემის დეფორმაციას და საბოლოო ჯამში, მომხმარებელთა უფლებების შელახვას.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არ გულისხმობს დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების აკრძალვას, ან აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალური ამოცანა სახელმწიფო კონტროლის განხორ-

ციელების მონოპოლია, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის გამოსარიცხად. ეკონომიკური აგენტის საქმიანობა, რომელიც გარკვეულ სასაქონლო ბაზარზე დომინანტურ პოზიციას იკავებს, უპირველეს ყოვლისა, თავისი დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებაში გამოიხატება.

ზოგადად, ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრებებით, ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ მას შეუძლია კონკრეტულ ბაზარზე ზემოქმედება კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად და ზღუდავს კონკურენციას. ცნობილია კოლექტიური დომინირების ცნებაც.

როგორც უკვე აღინიშნა, კონტროლის განხორციელება დომინირებული მდგომარეობის მქონე ფირმების საქმიანობაზე, მათ მიერ მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და ადკვეთის მიზნით, ანტიმონოპოლიური რეგულირების ცენტრალური საკითხია. კონკურენციის კანონებით (მათ შორის, UNCTAD-ის და WB-OECD მოდელური კანონებითაც) იკრძალება არა დომინირებული მდგომარეობა (მონოპოლიური მდგომარეობა და დომინირებული მდგომარეობა ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება), არამედ მისი ბოროტად გამოყენება.

არსებობს საბაზრო ეკონომიკის გარკვეული პარადოქსი იმ თვალსაზრისით, რომ ერთის მხრივ, თავისუფალი კონკურენცია ხელს უწყობს მწარმოებლების ინტეგრაციას და დიდი სტრუქტურების (კორპორაციები, კომპანიები, ასოციაციები), წარმოშობას, კაპიტალის კონცენტრაციის გზით წარმოების განვითარების, მისი ეფექტურობის ზრდის და ტექნოლოგიური განვითარების კუთხით. მეორეს მხრივ, ამგვარ სტრუქტურებს ობიექტურად შეუძლიათ დაიკავონ დომინანტური პოზიცია ბაზარზე, ან სხვაგვარად შეზღუდონ კონკურენცია და საბოლოო ჯამში, შეამცირონ ბაზრის ეფექტურობა.

ყველა ქვეყანაში აღნიშნულ საკითხებს სათანადო ყურადღება ექცევა და მის აღსაკვეთად ტარდება მთელი რიგი პრევენციული და სადამსჯელო ღონისძიებები.

აშშ-ს 1890 წლის შერმანის აქტის მე - 2 მუხლი კრძალავს მონოპოლიზაციას, სასაქონლო ბაზრის მონოპოლიზებას, ან მის ნაწილს. ამერიკის კანონმდებლობით დომინირება ითვლება როგორც გავლენის წყარო ბაზრის სტრუქტურაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ამერიკული კანონი ითვალისწინებს იმ სუბიექტთა მიმართ სანქციებს, რომლებიც დომინანტურ პოზიციას იკავებენ, მაგრამ ბოროტად არ გამოიყენებენ.

1940-იან წლებში ამერიკის სასამართლოებმა შეიმუშავეს სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც, უკანონოდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის ბაზარზე არსებული მონოპოლიური პოზიცია, რომელსაც გააჩნია საბაზრო ძალა და იყენებენ მას ბაზარზე კონკურენტების საქმიანობის დაბრკოლებების შესაქმნელად,

ჰარვარდის სკოლის თეორიის მიხედვით, კონკურენციის დაცვის რეალური პოლიტიკა არის ეფექტური კონკურენციის უზრუნველყოფა. პოტენციურად კონკურენტუნარიანი ბაზრის ნორმალური მდგომარეობა შეიძლება იყოს მონოპოლია, ან ოლიგოპოლია, თუ ისინი ყველაზე ეფექტურია ბუნებრივი გზით. სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია და იგი „ბაზრის ძალების“ შესუსტების საშუალებას იძლევა.

ჩიკაგოს სკოლის თეორიის განმარტებით, სამეწარმეო წარმატება სპონტანური ეკონომიკური ეფექტურობის შედეგია. ამიტომ, დომინანტური სუბიექტები ეკონომიკური ეფექტიანობის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. მონოპოლიურობის შეფასების მთავარი ამოსავალი წერტილია ეფექტურობის საკითხია.

ეროვნულში, „რომის ხელშეკრულების“ 102-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია შიდა ბაზარზე ერთი ან რამდენიმე საწარმოს მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება, რადგან ეს ზღუდავს კონკურენციას და შეიძლება საფრთხეს შეუქმნას მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობას.

ევროკომისიის გადაწყვეტილება 13.02.1979 Hoffman-La Roche-ს საქმესთან დაკავშირებით: „დომინირებული პოზიცია უკავშირდება სიტუაციას, რომელშიც კომპანია ინარჩუნებს ეკონომიკურ ძალას, რომელიც საშუალებას მისცემს მას ხელი შეუშალოს ეფექტური კონკურენციის უზრუნველყოფას შესაბამის ბაზარზე, ვინაიდან იგი ასეთ კომპანიას საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად გამოიყენოს კონკურენტები, კლიენტები და მომხმარებლები.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის კანონით, დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება, როგორც: შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/ შეზღუდონ კონკურენცია.

თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება / ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად: არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია; არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გავრცელებული ფორმებია: მტაცებლური, ანუ თვითღირებულებაზე დაბალი ფასის დაწესება ბაზრიდან კონკურენტის გაძევების მიზნით; დისკრიმინაციული ფასის, ან ვაჭრობის განსხვავებული პირობების გამოყენება; გადასაყიდი (ხელახლა გასაყიდი) ფასების დადგენა; გარიგებაზე დაუსაბუთებელი უარი; გაყიდვები დამატებითი/თავსმოხვეული პირობების შეთავაზებით და სხვა. ქვეყნების უმრავლესობის კანონებში ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ანალოგიური მიდგომაა მსოფლიო ბანკის მოდელურ კანონშიც და მის მიერ საქართველოს კანონთან დაკავშირებულ რეკომენდაციებშიც.

საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ლიბერალიზებულ ინფრასტრუქტურულ სექტორებში, რაც გამოიხატება ბაზარზე დამკვიდრებული (ან ახალი და ჯერჯერობით უალტერნატივო) კომპანიების ისეთ ქმედებებში, როგორცაა: ა) ბაზარზე დომინირებული კომპანიის მფლობელობაში არსებულ ქსელებთან დაშვების გართულება, ბ) ჯვარედინი სუბსიდირება და მომხმარებლის ერთი კატეგორიის ხარჯების მეორე კატეგორიის მომხმარებლისათვის დაკისრება, გ) კონტრაგენტების არათანაბარ პირობებში ჩაყენება, დ) მომხმარებლის არჩევანის ხელოვნური შეზღუდვა, ე) ფასით დისკრიმინაცია და სხვ.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად:

1. ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ, ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ) წარმოების, ბაზრების, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და სხვა.

ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის, ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონმდებლობა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის? „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში კანონის დამრღვევ პირს (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს. დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის, ან განმეორების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტს (ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე).

გარდა ამისა, სააგენტო უფლებამოსილია დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას, შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ივნისში საქართველოს კონკურენციის სააგენტოში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველო, რომლის ფუნქციებია: ა) ეკონომიკური აგენტების დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით მოკვლევის წარმოება, საჩივრების/განცხადებების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება; ბ) კონკურენტული გარემოს შეფასება და კონკრეტულ სასაქონლო/მომსახურების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მოკვლევის დაწყების თაობაზე, სააგენტოს თავმჯდომარის წინაშე საკითხის დასასმელად მომზადება; გ) დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას, შესაბამისი ორგანოების წინაშე მისი იძულებითი დაყოფის საკითხის დასმა, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან

კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება; დ) საჭიროების შემთხვევაში, მოკვლევის პროცესის შედეგიანი წარმართვისთვის საჭირო ინფორმაციის განსაზღვრა და შესაბამისი ანალიზის განსახორციელებლად სააგენტოს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტისთვის წარსადგენად მომზადება; ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის შესაძლო ფაქტების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების პროექტების შემუშავება; ვ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ანტიკონკურენციული ქმედების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტოს ხელმძღვანელის წინაშე დასასმელად, საკითხის მომზადება; ზ) კომპეტენციის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებების განხილვასა და შესაბამისი დასკვნის პროექტების მომზადებაში მონაწილეობა; თ) კომპეტენციის ფარგლებში, კონკურენციის კანონმდებლობის პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით წინადადებების მომზადება.

სააგენტოს მთავარი მიზანია, ხელი არ შეუშალოს თავისუფალი კონკურენციის პირობებში კაპიტალის კონცენტრაციის, სწორი მენეჯმენტური სტრატეგიის, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, საინვესტიციო აქტივობების და სხვა კანონიერი მეთოდებით ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას. ამასთანავე, არ დაუშვას ცალკეული სუბიექტების მხრიდან ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ განხილულ იქნა ათამდე საქმე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თაობაზე და გამოტანილ იქნა კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები.

დღეისათვის, სააგენტოსთვის აქტუალურია: ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება; დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე ეფექტური რეაგირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური მექანიზმების შემდგომი დახვეწა უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით; რეგულირებად სფეროებში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კუთხით სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა და სხვა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი უნდა შეუწყოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, 2012
2. ლაფაჩი ქ., EU-GEORGIA BUSINESS COUNCIL, 2015
3. http://ec.europa.eu/competition/consumers/abuse_en.html
4. http://www.competitionbureau.gc.ca/eic/site/cb-bc.nsf/eng/h_00511.html
5. https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/284422/oft402.pdf

Struggle against Abuse of Dominant Position as One of the Main Directions of Antimonopoly Policy

Iuza Tsotseria

PhD of Economics,

Head of Division of Competition Agency of Georgia,

itsotseria@compitition.ge

R e s u m e

The article analyzes and discusses topics such as dominant position in the context of antitrust policy. The article also covers the US, EU, various economic schools and Georgia's approaches to the criteria for determining the dominant position, aspects of its abuse and counter-measures.

It is central direction of the state antimonopoly and competition protection policies the investigation of abuse of the dominant position , as this action leads to restriction of competition on the market, the deformation of a healthy market pricing system and eventually breaking customer rights.

The motivation to study about Competition Agency of Georgia's issues of elimination of the dominant position of abuse, measures, tasks and future plans and its importance for economy is step to introduce more economic possibilities and partnerships in our developing world.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემა – კონკურენტული გარემოს ფორმირების ერთ-ერთი ბერკეტი

ლევან ჭელიძე

*საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
levanchelidze@gmail.com*

დავით ჭელიძე

*ეკონომიკის დოქტორი
d_chelidze@mail.ru*

მრავალრიცხოვან ავტორთა მოსაზრებები ცხადყოფენ, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას სამომხმარებლო ბაზრისა და გადახდისუნარიანი მოთხოვნის სიმცირე წარმოადგენს. დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობა, როგორც წესი, ქვეყნაში შექმნილი რთული ეკონომიკური სიტუაციით არის გამოწვეული, ხოლო ქვეყნის რთულ ეკონომიკურ სიტუაციას, მნიშვნელოვანწილად, ქვეყანაში არსებული არასაკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა განაპირობებს. აქედან გამომდინარე, იქმნება პრობლემათა „მოჯადოებელი წრე“, რომლის დაძლევა უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თვითრეგულირების უნარი საკმარისი არ არის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის დროის მოკლე მონაკვეთში ავტომატურად მიღწევისათვის. ნებისმიერი ქვეყნის განვითარების კონკრეტული ისტორიული ეტაპისათვის ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპის უზრუნველყოფა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეულ ანალიზს, ამ ანალიზზე დაფუძნებული ქმედითი ეკონომიკური (მათ შორის ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის შემუშავებას და მისი რეალიზებისათვის სახელმწიფო ინსტიტუტების მიზანმიმართული ძალისხმევას მუდმივ უზრუნველყოფას საჭიროებს.

ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ აღიარებული ზემოაღნიშნული მიდგომის ლოგიკურობას ადასტურებდა ილია ჭავჭავაძე, 1850 წელს დაფუძნებული „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისადმი“ მიძღვნილ წერილში გამოთქმულ იმ მოსაზრებაში, რომლის თანახმად:

„მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ გრძნობდეს და მეორეს გზით - მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება“. [9]

წმინდა ილია მართლის აღნიშნული მოსაზრების მართებულობის პარალელურად, მისი ავტორის გენიალურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი მოსაზრება თითქმის ერთი საუკუნით ადრეა გამოთქმული, ვიდრე ეკონომიკური აზროვნების ცნობილი სკოლის ფუძემდებლის¹ ჯ. მ. კეინსის მიერ 1936 წელს გამოცემულ ნაშრომში დაფიქსირებული არსით იდენტური ის ქვემომოყვანილი შეხედულებები, რომელთა თანახმადაც:

¹ ხოლო 1944 წლის ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულების შემდგომ, არა მხოლოდ ეკონომიკის მეტრად აღიარებული პერსონა.

„ . . . პროცენტის ნორმა ავტომატურად არ ესადაგება საზოგადოებისათვის ყველაზე სასარგებლო დონეს. იგი მუდმივად მიილტვის მაქსიმალური სიმაღლის მიღწევისაკენ. ამდენად ბრძენი ხელისუფლება კანონებზე, ადათსა და თუნდაც მორალისაკენ მოწოდებაზე დაყრდნობით უნდა ზრუნავდეს მის შემცირებაზე“.[6; გვ. 218]

„ვიმედოვნებ, რომ სახელმწიფო რომელსაც შესწევს უნარი საერთო სოციალურ ინტერესებზე დაყრდნობით, ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივის გათვალისწინებით შეაფასოს კაპიტალური სიკეთის ზღვრული ეფექტურობა, აქტიურად ჩაერთვება ინვესტიციების პროცესის უშუალო ორგანიზებაში“.[6; გვ. 104]

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვა-რეგულირების ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაფუძნებული ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყანაში დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობისას, მისი ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული დატვირთვა სახელმწიფო ხარჯების მიზანმიმართულ გამოყენებაზე გადაიტანება. რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მეშვეობით სახელმწიფო ფინანსების ქვეყნის ეკონომიკაში იმგვარი გადანაწილება, რომ აღნიშნული პროცესით სტიმულირებულმა ერთობლივმა მოთხოვნამ მიწოდების გააქტიურება განაპირობოს.

აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ცხადია, საქართველოს დღევანდელ რეალობაში რაოდენ მნიშვნელოვანია ქვემოთ მოყვანილი ცხრილი #1-ით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი და სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები ცხრილი # 1 [5;8]

	2011	2012	2013	2014	2015	2016
მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)	24344,0	26167,3	26847,4	29150,5	31755,6	33921,6
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (მლნ.ლარი)	5926,8	6641,5	6545,6	7479,5	8158,0	8741,8
სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური თანხა (მლნ. ლარი) მათ შორის:	2662,7	2771,2	2791,1	2847,0	3203,3	4018,1
ელექტრონული ტენდერის გზით განხორციელებული (მლნ. ლარი)	1751,9	1532,5	1710,6	1931,2	2124,2	2532,8
ხვ. წილი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურ ოდენობასთან	65,8%	55,3%	61,3%	67,8%	66,3%	63,0%
გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული (მლნ. ლარი)	910,8	1238,7	1080,5	915,8	1079,1	1485,3
ხვ. წილი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურ ოდენობასთან	34,2%	44,7%	38,7%	32,2%	33,7%	37,0%
ხვ. წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებთან	15,37%	18,64%	16,51%	12,24%	13,23%	17,0%
სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური თანხის ხვედრითი წილი მშპ-თან	10,94%	10,59%	10,4%	9,77%	10,1%	11,85%
სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური თანხის ხვ. წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებთან	44,93%	41,73%	42,64%	38,1%	39,23%	46,0%

როგორც ცხრილიდან ვრწმუნდებით, 2016 წლისათვის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური თანხის ოდენობა, 2011 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 1 355,4 მლნ. ლარით ანუ 50,9%-ით არის გაზრდილი. რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სტიმულირების თვალსაზრისით უდაოდ დადებით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშვნას

იმსახურებს ის ფაქტი, რომ 2011-2016 წლებში სახელმწიფო შესყიდვების ჯამური თანხის ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან 10-12%-ის ფარგლებში მერყეობს და სტაბილურობით ხასიათდება. ასევე სტაბილურია,

44-46 პროცენტის ფარგლებში მერყეობს და საანგარიშო პერიოდში 1,07 პროცენტით არის გაზრდილი სახელმწიფო შესყიდვების ჯამური თანხის ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საერთო ოდენობასთან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საანალიზო პერიოდში საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების ერთგვარი მაჩვენებლის ხვედრითი წილი მშპ-თან რადიკალურად არ განსხვავდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საშუალო და ცხრილი #2-ით წარმოდგენილი ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლებისგან.

უცხოეთის ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების ხვედრითი წილი მშპ-თან ცხრილი # 2^[7]

ქვეყნები და ორგანიზაცია	2011	2012	2013	2014	2015
აშშ	11,14	10,54	9,87	9,5	9,35
გაერთიანებული სამეფო	14,39	14,05	13,93	14,01	13,7
გერმანია	14,63	14,63	14,89	14,9	15,05
ესტონეთი	13,17	14,64	13,93	13,6	14,06
იაპონია	15,81	16,04	16,47	16,51	16,22
იტალია	10,81	10,65	10,7	10,48	10,36
საფრანგეთი	14,78	15,02	15,06	14,83	14,58
ლატვია	15,27	12,7	11,78	11,66	12,02
ლიტვა	10,78	10,65	10,18	10,07	10,67
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საშუალო მაჩვენებელი	13,32	13,16	13,08	13,12	13,18

განხილული ტენდენციების პარალელურად, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას, ცხრილი#1-ით წარმოდგენილი, გამარტივებული შესყიდვების დინამიკის ანალიზი მოითხოვს. საქმე ისაა, რომ 2016 წლისათვის 2011 წელთან შედარებით გამარტივებული შესყიდვების მაჩვენებელი 574,5 მილიონი ლარით, ანუ 63,1%-ით არის გაზრდილი, რაც არასასურველ და მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. რადგან 2014 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან (აშშ დოლარი, ევრო და სხვა) მიმართებაში. რასაც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე უცხოური წარმოების პროდუქციის დომინირებული მდგომარეობისა და გამარტივებული შესყიდვ(ებ)ის განხორციელების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეული ეროვნულ ვალუტაში დადგენილი მონეტარული ზღვრების, 2011 წლიდან, უცვლელად არსებობის პირობებში, გამარტივებული შესყიდვების შემცირების ტენდენცია უნდა გამოეწვია. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს გამარტივებული შესყიდვ(ებ)ის წესით განხორციელებული გარიგებების, მთლიან შიდა პროდუქტთან ხვედრითი წილის, 2014 წელს 12,24%-ის დონეზე დაფიქსირებული მაჩვენებლის, 2016 წლის ბოლოსათვის 17%-მდე ზრდის არასასურველი ტენდენციები.

შექმნილი სიტუაციის სიდრმისეული კვლევის აუცილებლობას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის გამარტივებული შესყიდვების, როგორც რაოდენობრივი, ისე სახელმწიფო შესყიდვების ჯამურ ოდენობასთან ხვედრითი წილის ზრდის არსებული ტენდენციები. როგორც ცხრილი #1-დან ვრწმუნდებით 2011-2016 წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური თანხის 34-37%-ის, (ხოლო 2013 წელს 39%-ის), ტოლი საბიუჯეტო სახსრები გამარტივებული შესყიდვების გზით, პრაქტიკულად არაკონკუ-

რენტულ გარემოში ნაწილდებოდა. რაც საჯარო ფინანსების ხარჯვის გამჭირვალეობის თვალსაზრისით უარყოფითი შეფასების პარალელურად, კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირების ნიშნითაც არასასურველ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთ მიზანს: „სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში *ჯანსაღი კონკურენციის განვითარება*“ [1] წარმოადგენს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვილი წარმოსადგენია სადღეისოდ რაოდენ მნიშვნელოვანია, ცხრილი #1-ით წარმოდგენილი, გამარტივებული შესყიდვის გზით განაწილებული სოლიდური საბიუჯეტო სახსრების თუნდაც ნაწილის, კონკურენტულ გარემოში ტენდერის წესით განაწილების რეჟიმში მოქცევა. რაც სხვა დადებით პროცესებთან ერთად, უდაოდ საჭირო იმპულსს მისცემს სამეწარმეო სფეროში პოზიტიური მოლოდინის ატმოსფეროს ფორმირებისა და აქედან გამომდინარე არსებული ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების პროცესის გააქტიურებას.

საჯარო ფინანსების განკარგვა-გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებების დაძლევისათვის, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებოა მათი ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში გაანალიზება. აღნიშნული მიდგომის მართებულებას ადასტურებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარის, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის“ (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA), მე-8 და მე-10 თავების ის დებულებები, რომლებიც საჯარო შესყიდვებისა და ანტიმონოპოლიური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის ვალდებულებებს ითვალისწინებენ.

კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულებით, სახელმწიფო შესყიდვების საკითხებისადმი მიძღვნილი მე-8 თავის 141-ე მუხლის იმ დებულებების შესაბამისად, რომელთა თანახმადაც: - „მხარეები აცნობიერებენ გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, კონკურენტული და ღია ტენდერის წვლილს ეკონომიკის მდგრად განვითარებაში და მიზნად ისახავენ თავიანთი შესაბამისი შესყიდვების ბაზრების ეფექტიან, ნაცვალგებით და ეტაპობრივ გახსნას“ [2], აბსოლუტურად ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ბერკეტად კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე ორიენტირებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა არის მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების საკითხებისადმი მიძღვნილი ზემოაღნიშნული მე-8 თავის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება ამავე ხელშეკრულებით, კონკურენციის საკითხებისადმი მიძღვნილი მე-10 თავის 204-ე მუხლის ის დებულებები, რომელთა თანახმადაც: - “მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე ... “. [2]

როგორც ვხედავთ, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დებულებების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალე და კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად არის მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, სადღეისოდ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ღია კონკურენტული პროცედურების გვერდის ავლით, პრაქტიკულად ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე განხორციელებული და ამდენად მაღალი კორუფციული რისკების მატარებელი, #1 ცხრილით წარმოდგენილი, გამარტივებული შესყიდვ(ებ)ის მხარედი ტენდენციების დაძლევის აუცილებ-

ლობა. რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ რეალობების კონტექსტში გაანალიზება.

როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების გამჭირვალე და კონკურენტულ გარემოში წარმართვისათვის, მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შესყიდვების ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს. აღნიშნული სისტემის ფარგლებში სახელმწიფო ფინანსების განაწილება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით ხორციელდება.

ამასთან ერთად განსაკუთრებულ შემთხვევებში გამონაკლისის სახით მოქმედი კანონმდებლობა „გამარტივებული შესყიდვის“ შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, რომლის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებს შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით „გამარტივებული შესყიდვ(ებ)ის“ ერთ-ერთ წინაპირობად მიჩნეული „გადაუდებელი აუცილებლობის“ განმსაზღვრელი დებულებები საჭიროებენ.

საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმით „გამარტივებული შესყიდვ(ებ)ის“ ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულ: „გადაუდებელ აუცილებლობად“, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით მიჩნეულია: - „ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება და ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.“

გადაუდებელი აუცილებლობის ზემოაღნიშნული განმარტების ზოგადი და პრაქტიკულად ყოვლისმომცველი ხასიათი, ჩვენი აზრით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირებისათვის „ნაყოფიერ ნიადაგს“ ქმნის კორუფციული გარიგებების განხორციელებისათვის. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული დებულებით განსაზღვრული: „ვითარება, ... რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ...შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას“, სავსებით შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელოვნურად იქნეს ინსპირირებული.

კერძოდ, საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაგეგმილი შესყიდვების შეგნებულად გაჭიანურების გზით წლის ბოლოსათვის ხელოვნურად შექმნილ „ცაიტნოტურ სიტუაციაში“, ერთის მხრივ, ელექტრონული ტენდერის პროცედურების დაცვით შესყიდვების ორგანიზებისათვის დროის არ არსებობის, ხოლო მეორეს მხრივ, ორგანიზაციის ქონებისათვის ზიანის მიყენების საშიშროების თავიდან აცილების არგუმენტებით მოტივირებული „გადაუდებელი აუცილებლობა“ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყენებული იქნეს „გამარტივებული შესყიდვის“ განხორციელების „კანონიერ საშუალებად“.

ზემოაღნიშნულ საშიშროებას კიდევ უფრო რეალურს ხდის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ის დებულება, რომლის თანახმადაც: - „... *გადაუდებელ აუცილებლობად ჩაითვლება ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას ... ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.*“

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე შექმნილ სპეციალურ ნორმატიულ აქტში „გადაუდებელი აუცილებლობის» წარმოდგენილი სახით არსებობა, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია დამატებითი იმპულსის მიმცემი აღმოჩნდეს გამარტივებული შესყიდვების (გ)ის ზრდის არასასურველი ტენდენციების შემდგომი გაღრმავებისა და ტენდერის გვერდის ავლით, არაკონკურენტულ გარემოში, პრაქტიკულად ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისათვის დამახასიათებელი კორუფციული გარიგებების სტიმულირებისათვის.

შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო შესწორებები იქნეს შეტანილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში, კერძოდ, დოკუმენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: -„გადაუდებელი აუცილებლობა - ვითარება, რომელიც არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით ან უმოქმედობით, არ შეიძლება წინასწარ ყოფილიყო განსაზღვრული და რომელიც ფუნქციონირების შეწყვეტისა და მნიშვნელოვანი ზიანის საფრთხეს უქმნის შემსყიდველ ორგანიზაციას და მის ქონებას, ან საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს.“

აღნიშნულის პარალელურად, სათანადო ცვლილებებს უნდა დაექვემდებაროს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისი დებულებები.

მოქმედი ნორმატიული ბაზის წარმოდგენილი სახით კორექტირება მნიშვნელოვნად შეზღუდავს „გამარტივებული შესყიდვების (გ)ის“ განხორციელების შესაძლებლობებს, რადგან მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის საშიშროების არსებობის შემთხვევაში გახდის შესაძლებელს, ორგანიზაციის ქონებისათვის საფრთხის არსებობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის მექანიზმის ამოქმედებას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირების პროცესზე მაქსიმალური ორიენტაციისათვის მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია გარკვეულ ცვლილებებს დაექვემდებაროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #96 დადგენილების ცალკეული დებულებები.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, “ბუნებრივი/საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების დადგენა” შემოსავლების სამსახურის პრეროგატივად და ფასიანი მომსახურების სახეობად არის მიჩნეული. აღნიშნულის შესაბამისად, მეწარმე სუბიექტებს მხოლოდ 5000 ლარის გადახდის შემდგომ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ მათთვის საჭირო ერთ კონკრეტულ პროდუქციაზე ბუნებრივი/საწარმოო ან/და სხვა დანაკარგების დამადასტურებელი ის დოკუმენტები, რომლებიც საგადასახადო შემოწმებების პროცესში მათ თავიდან ააცილებთ მოსალოდნელ გართულებებს. შექმნილ სიტუაციაში მეწარმეები, რომლებიც დაუშვან ათი დასახელების პროდუქციას აწარმოებენ, მეტ-ნაკლებად სტაბილური საგადასახადო გარემოს მიღწევისათვის იძულებულნი არიან, ჩვენი რეალობისათვის საკმაოდ სოლიდური, 50000 ლარის ოდენობით ფინანსური სახსრები გადაუხადონ იმ სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც მნიშვნელოვანწილად მათი მომსახურებისათვის არის შექმნილი და ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

იმ შემთხვევაში თუ საწარმოები გააფართოებენ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტს, განახორციელებენ ტექნიკურ გადაიარაღებას, ან სრულყოფენ ტექნოლოგიურ პროცესებს, მათ ახლად ათვისებული, ახალ მოწყობილობა-დანადგარებზე, ან ახალი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით წარმოებული პროდუქციისათვის, ზემოაღნიშნული ნორმების განახლება და სოლიდური ფინანსური სახსრების ხელმეორედ გაღება მოუწევთ. რაც ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკას, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი წარმოებაში რეინვესტირებულ თანხების ოდენობით საწარმოთა დასაბეგრი მოგების შემცირებას ითვალისწინებს, ცხადია, რა კუროზულ ფაქტთან გვაქვს საქმე.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ შექმნილი სიტუაციაში ფინანსურად ძლიერი სამეწარმეო სტრუქტურები, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობა, თანხის გადახდის გზით, მოიპოვონ საგადასახადო შემოწმებების პროცესში სავარაუდო გართულებების თავიდან აცილების გარკვეული გარანტიის მატარებელი, საწარმოო და/ან საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა დანაკარგების დამადასტურებელი დოკუმენტები, ბანკებისა და სხვა სამეწარმეო სტრუქტურების მიერ აღიქმებიან ნაკლები რისკის მატარებელ და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი უპირატესობის მქონე მეწარმე სუბიექტებად. რაც არათანაბარ პირობებს უქმნის დამწყებ ან/და მწირი ფინანსური პოტენციალის მქონე მეწარმეებს და მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქვეყანაში კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირების პროცესს.

შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილების ტექსტიდან ამოღებული იქნეს 81-ე გრაფით გათვალისწინებული ბუნებრივი და საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების დადგენის საფასურის განმსაზღვრელი დებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება.
4. საქართველოს მთავრობის 2014-2016 წლების #1516; 2015 და #382 განკარგულებები.
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011-2016 წწ. ანგარიშები. <http://procurement.gov.ge>
6. The General Theory of Employment, Interest, and Money by John Maynard Keynes. <http://cas2.umkc.edu>
7. The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) Government at a Glance - 2017 edition <http://stats.oecd.org/>
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2011-2016 წწ. ანგარიშები. <http://www.geostat.ge>
9. “სამკვიდროს გულიდ ამოღება ძნელია”_ილია ჭავჭავაძე პაატა კოლუაშვილი, <https://iberiana.wordpress.com>

State Purchasing System - One of the Levers for Forming a Competitive Environment

Levan Chelidze

*PhD student of St. Andrew the First Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia
levanchelidze@gmail.com*

Davit Chelidze

*PhD of Economics
d_chelidze@mail.ru*

R e s u m e

The data analysis of state procurements for the period of 2011-2016 demonstrates the increasing share of simplified procurements. This undesirable trend jeopardizes competition and create the background for corruption. The reason of it is the bottleneck of State Procurement regulations

Analysis of the Georgian State Procurment Regulations is carried out in the context of commitments taken within the scope of the Association Agreement between Georgia and the EU.

The article suggests the recommendations for State Procurement Legislation that promotes the competitive business environment.

კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ

გიორგი ჭინჭარაული

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,

სესტ უნივერსიტეტის რექტორი

chinharauli66@gmail.ru

მაია კაპანაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

kapinio@yahoo.com

პირდაპირ, რომ ვთქვათ საქართველოში კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკა მოქმედების თვალსაზრისით ან არ არსებობს, ან მისი ფუნქციონირება შეზღუდულია. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში ეკონომიკის განვითარების ერთდერთი მძლავრი ფაქტორის გამოუყენებლობასთან გვაქვს საქმე.

კონკურენცია მრავალი სახისაა. თუ რა ნიშნის მიხედვით განვიხილავთ, კონკურენცია შეიძლება იყოს: სრულყოფილი და არასრულყოფილი; რეგულირებადი და არარეგულირებადი; რეალური და ფორმალური; ლოიალური და არალოიალური; მზარდი და არამზარდი; ჯანსაღი და არაჯანსაღი; დარგთაშორისი და შიდადარგობრივი; პირდაპირი და არაპირდაპირი; სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი; პერსპექტიული და არაპერსპექტიული; ლოკალური და გლობალური; თანამშრომლობითი და არათანამშრომლობითი; ფასისმიერი და არაფასისმიერი; მომგებიანი და არამომგებიანი და ა.შ.

საყოველთაოდ ცნობილია რაციონალური კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შექმნისათვის კონკურენციის აღნიშნული ფორმები. უპირველესად შესწავლილი უნდა იქნეს სოციალურდეკონომიკური და ფუნქციონალური მიმართულებით. სამართლიანი კანონმდებლობის საფუძველზე დამუშავდეს კონკურენციის ფორმირების, დაცვის და სრულყოფის ღონისძიებათა სისტემა ანუ კონკურენციის პოლიტიკა. ამ უკანასკნელის პრაქტიკაში რეალიზაციისათვის უნდა მოქმედებდნენ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ინსტიტუტები, როგორცაა: კონკურენციის სააგენტო, ანტიმონოპოლისტური სამსახური და ა.შ., რაც საქართველოს სინამდვილეში ჯერდჯერობით ზოგიერთი არარსებულად ან არასრულყოფილად გამოიყურება. არსებული თვალსაზრისით, საქართველოში კონკურენციის რეგულირება ევროპული სტანდარტების მიხედვით ანუ ევროპის კანონმდებლობის მიხედვით ხორციელდება, რაც აშკარა არაკომპეტენტურობის ან არაკეთილმოსურნე მოვლენების მაჩვენებელია. ისევე როგორც გოლიათის ტანსაცმლის სტანდარტი მიუღებელია ლილიპუტისათვის, ასევე ევროპის კონკურენციული სტანდარტის, კანონმდებლობის, პოლიტიკის საქართველოში გამოყენების საქმეც. ესეც რომ არა ელემენტარული ფილოსოფიური ჭეშმარიტებაა – იგივეობა შედარებითია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპა და საქართველო არსებითად განსხვავდება: ადათდწესებით;

ზნეღჩვეულებით; ბუნებრივდგეოგრაფიული პირობებით და ა.შ., რომელთა გათვალისწინებით დგინდება სტანდარტები, საზოგადოებრივი ქცევის ზოგადი წესები ანუ კანონები. მოცემული არგუმენტებიც საკმარისია დავასკვნათ, რომ ევროპის კონკურენციის სტანდარტების, კანონმდებლობის და პოლიტიკის საქართველოში გამოყენება მიუღებელია. სხვა საქმეა ევროპის

კონკურენციული სტანდარტების, კანონმდებლობის და პოლიტიკის შესაბამისი ანალოგიების შექმნა. რაც საქართველოში მოისუსტებს ან ზოგიერთი საერთოდ არ არსებობს.

მოქმედების თვალსაზრისით საქართველოში კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის ფუნქციონირების შეზღუდულ ან საერთოდ არ არსებობის კონკრეტული მტკიცებულებებია (რომლებიც მეცნიერული კვლევისა და რაიმე სტატისტიკური მონაცემების გარეშეც თვალნათელია ე.ი. აქსიომატურია). საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაბატონებული მონოპოლიები, რომლებიც არა მარტო ზღუდავენ კონკურენციას, ხელს უშლიან განვითარებას, არამედ ბაზრის მთლიანი ძალაუფლების დაპყრობით ადატაკებენ მოსახლეობას. კერძოდ მედიკამენტების ბაზარზე გაბატონებულ მონოპოლიებს (ავერსი, პე ეს პე) მონოპოლიური მოგების ზრდა ბოლო წლებში, როგორც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, 200%-300%-ს აჭარბებს. წამალს, რომელსაც თურქეთში 37 ლირად ყიდულობენ, საქართველოში 125 ლარად ყიდიან. ამასთანავე მათ სხვა სფეროშიც აქვთ მონოპოლიები. ხორბლის გადამამუშავების სექტორში აზერბაიჯანული კომპანია „კარმენი“ 80%-ის მფლობელია და ა.შ. ანალოგიური მდგომარეობაა იმპორტის სექტორში, ტელეკომუნიკაციების და ინტერნეტის და სხვა თითქმის ყველა სფეროებში, რის გამოც წვრილი მწარმოებლების არსებობა და ახალი ფირმების ბაზარზე შემოსვლა გართულებულია, შეიძლება გამორიცხულიცაა.

სახელმწიფოში ამ დონით არსებული მონოპოლიზაცია, თუნდაც მარტო დედუქციური და ინდუქციური მეთოდის გამოყენებით ვიმსჯელებთ, აშკარად კორუფციის და მაფიის უტყუარი მაჩვენებელია. სახელმწიფო, რომელიც მხარს უნდა უჭერდეს კონკურენციას, ახორციელებდეს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, ფაქტობრივად ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. გააუქმა ანტი-მონოპოლიური სამსახური და თვითონ შექმნა მონოპოლიები (საქართველოს ფოსტა, ლატარიის კომპანია, ერთიანი ეროვნული გამოცდები.) და დაუსაბუთებლად განახორციელა ბუნებრივი მონოპოლიების პრივატიზაცია (წყალკანალი და სხვა), გააუქმა მათი რეესტრი. ასევე სახელმწიფო სტრუქტურები ქვეყანაში ხელს უწყობენ მონოპოლიური მდგომარეობის გაბატონებას: ლიცენზიების (სერტიფიკატების) გაცემის შეზღუდვით, გადასახადების გადაუხდელობით, არასწორი პრივატიზაციით, პოლიტიკური ჩარევებით და ა.შ.

როგორც ვხედავთ საქართველოში ჯანსაღი კონკურენცია და კონკურენციის პოლიტიკა მოქმედებაში მოისუსტებს. აღნიშნულის დასაძლევად საჭიროა კონკურენციის და სხვა კანონმდებლობის სრულყოფა, მის საფუძველზე რაციონალური კონკურენციის პოლიტიკის დამუშავება და ამ პოლიტიკის რეალიზაციის შესაბამისი ინსტიტუტების შექმნა და სათანადო დამოუკიდებელი უფლებამოსილებით აღჭურვა.

საქართველოს კანონმდებლობით მონოპოლიებს და ოლიგოპოლიებს გარკვეული ზომით ეკრძალება ხელოვნურად დეფიციტური მდგომარეობის შექმნა. დემპინგური ფასების დადგენა, სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ხელშემშლელი პირობების შექმნა, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება, ხელშეკრულების დადების იძულება და სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან ეკონომიკური აგენტის და მომხმარებელთა ინტერესების შელახვას. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური აგენტები როცა არღვევენ აღნიშნულ კანონმდებლობას, სახელმწიფო უნდა ატარებდეს კონკურენციის ფორმირების, სრულყოფისა და დაცვისათვის ისეთ რიგ ღონისძიებებს, როგორცაა ფიქსირებული ფასების, რენტაბელობის ზღვრული ნორმის დაწესება; მონოპოლიების დაყოფის (და წვრილი ერთეულების) შესახებ და ა.შ.

ასევე სახელმწიფოს მხრიდან არასრულყოფილად ხორციელდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წესების დაცვა, რომელშიც იგულისხმება: სხვა პირის სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების თვითნებური გამოყენება, მათი რეპუტაციის შელახვა; საქმიანი და ბიზნეს

ეთიკის ნორმების დარღვევა, რომელიც ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს; ბიზნესის ხელშეშლელი არასწორი ინფორმაციის გავრცელება; ბოიკოტისაკენ მოწოდება. კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა მოტყუებით და ა.შ. ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია იმის დასადგენად, რომ საქართველოში აუცილებელია დამუშავდეს კონკურენციის პოლიტიკა ფართო გაგებით, რაც დღემდე არ არსებობს.

სამეცნიერო ლიტერატურაში კონკურენციის პოლიტიკის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია. თითქმის ყველა ეთანხმება აზრს, რომ ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული შეთანხმებები უსამართლოა და კანონით უნდა იკრძალებოდეს, რაც ასახული უნდა იქნეს კონკურენციის პოლიტიკაში. მაგრამ რაც შეეხება ზოგიერთ საქმიანობას, რომელიც გარეგნულად თითქოს კონკურენციას ზღუდავს და რომლის ეფექტიც გარეგნულად არ ჩანს, შესაძლოა სამართლიანი იყოს და კანონმდებლობითაც დაშვებული. კერძოდ, ასეთ კონკრეტულ საქმიანობას მიეკუთვნება რამდენიმე პროდუქციის კომპლექტური გაყიდვა, ე.წ.წმეკვრან, საცალო ფასების შენარჩუნება და ა.შ., რაც არ უნდა იკრძალებოდეს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში არსებული კანონმდებლობის სრულყოფის საფუძველზე უნდა დამუშავდეს ჯერ არ არსებული კონკურენციის პოლიტიკა, რომელშიც კანონმდებლობის გარდა აისახება სახელმწიფოს სხვა ღონისძიებათა ერთობლიობა მიმართული სრული (თავისუფალი, წმინდა) კონკურენციის პრაქტიკაში რეალიზაციისათვის. ეს ღონისძიებები გულისხმობს ბაზარზე ზემოქმედების ყველა ფორმას, რომელიც ხელს უწყობს ანტიკონკურენციული ქმედების შეზღუდვას. ისინი უნდა ეხებოდეს არა მარტო კონკურენტთა შორის კონკურენციას, არამედ სხვა ინსტიტუტებისა და დარგების რეგულირებასაც. კერძოდ: საწარმოთა მოდერნიზაციას, ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციას, ინფრასტრუქტურის ყველასათვის ხელმისაწვდომობას, სახელმწიფო საგადასახადო და არასაგადასახადო ბერკეტებით სტიმულირებას და მხარდაჭერას, დაუსაბუთებელი ბარიერების აღმოფხვრას და ა. შ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს კონკურენციის ფორმირებას, დაცვას და სრულყოფას. საბოლოო ჯამში კი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ფეტელავა, კონკურენციის კვლევა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, სამეცნიერო დისერტაცია, თბ, 2008
2. გ. ჭინჭარაული, ეკ. თეორია(ეკონომიკის ასპექტები), ნაწ.2. თბ.2003
3. გ. ჭინჭარაული, სოციალ-ეკონომიკური ლექსიკონი. თბ.2014
4. მ. კაპანაძე, ბიზნესის ეთიკა. ჟურ. მოამბე XX, თბ. 2014. გვ114–116
5. Циганова А.Г. Конкуренция и антимонопольное регулирование, М. 1999

About State Politics of Competition

Giorgi Chincharauli

*Phd of Economics, Professor,
chincharauli66@gmail.ru*

Maia Kapanadze

*Phd of Economics,
Associate Professor of Technical University of Georgia
kapinio@yahoo.com*

R e s u m e

About State Politics of Competition rezume The state politics of competition is a considerable factor in enhancing the efficiency of the economy which comprises not only the legislation on competition but also the combination of other measures of state for realization of full (free, fair) competition in practice. These measures involve all forms of market impacts that contribute to limiting anti-competitive action. They should not only compete with competitors but also regulate other institutions and fields. In particular namely modernization of enterprises, liquidation of excess rings, availability of infrastructure, stimulating and supporting state tax and non-tax leverage, eliminating unsubstantiated barriers, etc.

Competition forms should be studied in socio-economic and functional direction to comply with the competition policy practice, the institutions that are equipped with appropriate authority should act as the Competition Agency, Antimonopoly Service,. The fair legislation on which the system of competition forms, protection and perfection measures will be developed , which in reality is still used in some non-existent or incomplete terms.

ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის იმპლემენტაცია საქართველოში

ნოდარ ხადური

*საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
nkhaduri@competition.ge*

სლავა ფეტელავა

*საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის
დაცვის დეპარტამენტის უფროსი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
sfetelava@competition.ge*

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დიდი სირთულეებით და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. საბაზრო ეკონომიკის რელსებზე ქვეყნის ეკონომიკის მოდიფიკაციის პროცესი არ იყო მართი და ადვილად განხორციელებადი. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს პროცესი დაიწყო და რაიმე ღირებული წარმატებისათვის მიუღწევიათ, ამ წარმატების უმთავრესი მიზეზი იყო თითოეული ცალკე აღებული სახელმწიფოს პოლიტიკური ნება (სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები), რომლის ერთდერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი – სწორედ, თანმიმდევრული კონკურენციის პოლიტიკის მხარდაჭერა (რეალიზაცია), რომელიც თავის მხრივ, უნდა იყოს ჰარმონიზებული (დაახლოებული) გარე სამყაროსთან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს და ამა თუ იმ ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი, ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად ყურადღება მიექცია ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის გატარებისათვის. უპირატესი ამოცანა მდგომარეობდა მაქსიმალურ ხელშეწყობაში უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო ეკონომიკისა და თავისუფალი სამეწარმეო სისტემის შერწყმა. შესაბამისად, ნაკლები პრობლემებით უნდა მომხდარიყო სოციალისტური ეკონომიკის სისტემიდან (რომელიც მთლიანად ემყარებოდა დირექტიულ სახელმწიფო გეგმას და საწარმოო საშუალებებზე და პროდუქციაზე საზოგადოებრივ საკუთრებას) კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ თავისუფალ სამეწარმეო სისტემაზე გადასვლა.

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხებს, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად, საფუძველი ჩაეყარა 1992 წლიდან, რაშიც, დიდი წვლილი მიუძღვით, ცნობილ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს, ეკონომიკის ყოფილ მინისტრებს - პროფესორ მიხეილ ჯიბუტს და აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, თანამოაზრეთა გუნდთან ერთად. შესაბამისად, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი, ოცდახუთი წელიწადია უკვე მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება. თუმცა, ამის მიუხედავად ფაქტია ისიც, რომ - ამ პოლიტიკის აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანო - საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ქვეყანაში რეალიზებული კონკურენციის პოლიტიკის არათანმიმდევრუ-

ლობის გამო, მხოლოდ სამი წელია (2014 წლის 14 აპრილიდან) რაც ემსახურება თავისუფალი ვაჭრობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების ხელშეწყობას და მის შემდგომ სრულყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს სურვილი, წარმოვაჩინოთ და შევაფასოთ, საქართველოში კონკურენციის/ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის განვლილი 25 წლიანი პერიოდი, რომელიც ჩვენს მიერ დაყოფილია შემდეგ 8 (რვა) ეტაპად (განხილულია ასევე მეცხრე ეტაპის დაწყების სავარაუდო პერიოდი):

პირველი ეტაპი - იწყება 1992 წლის მარტიდან და გრძელდება 1996 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ პერიოდში იქნა მიღებული - „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ - საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის დადგენილება (№323), რომლის მთავარი დანიშნულება იყო სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ მონოპოლიურ ერთეულებს არ შეეშალათ ხელი პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესისათვის, რაც ითვალისწინებდა სავალდებულო ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის გავლას.

მოგვიანებით მიღებულ იქნა - „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 16 ოქტომბრის დეკრეტი, რითაც განისაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და აღკვეთის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები.

გარდა ამისა, მიღებულ იქნა „არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის მარტის ბრძანებულება (№60), რომლის საფუძველზეც, მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის აღსრულების პარალელურად, სარეკლამო საქმიანობის კონტროლის ფუნქციაც დაეკისრა ეკონომიკის სამინისტროს.

კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ამ საწყის პერიოდში იქნა ასევე მიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 26 აპრილის №325 დადგენილება, რომლის შესაბამისად - სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით სავალდებულო გახდა მუდმივი სახელმწიფო კონტროლის ობიექტების განსაზღვრა (მათი საქმიანობის შემდგომი რეგულირების მიზნით). სწორედ ამ მიზნით, „მონოპოლისტი საწარმოებისა და გაერთიანებების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ დებულების (ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება) შესაბამისად, მოხდა პირველი მონოპოლისტების გამოცხადება და შესაბამის რეესტრში შეყვანა. თუმცა, ამ სუბიექტების რეესტრში შეტანის საფუძველი იყო არა შესაბამისი სასაქონლო ბაზრის კვლევა, არამედ ამ ეკონომიკურ აგენტთა მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა და გაწეული მომსახურების ერთადერთობის პრინციპი. სულ 27 საწარმო იყო რეესტრში შეყვანილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზაციის პროცესს, რის გამოც დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა სჭირდებოდა ამ პოლიტიკის აღსრულებას. შესაბამისად, თუ დღევანდელი გადასახედიდან ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ საქართველოს კონკურენციის ორგანომ (ეკონომიკის სამინისტრომ) მის წინაშე მდგარ ამოცანებს (ახალი მონოპოლიური წარმონაქმნების დაუშვებ-

ლობას და სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებას) იმ პერიოდში მეტდნაკლები წარმატებით გაართვა თავი.

მეორე ეტაპი - იწყება 1996 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2002 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით. კერძოდ, ესაა პერიოდი, როდესაც ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის, ასევე სხვა კანონების კოდიფიცირება ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან, თუმცა, აქვე იყო გარკვეული ხარვეზები. მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის რიგი დებულებები გადმოტანილ იქნა ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ ევროპული კავშირის თანამედროვე დირექტივები, მათ შორის დირექტივა სამომხმარებლო საქონლის შესყიდვაზე მასში არ იქნა ასახული.

ეს პერიოდი ემთხვევა ქვეყანაში კონკურენციის სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პროცესს. ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში

მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი (თუ არ ჩავთვლით 2014 წლის აპრილის შემდგომ პერიოდს) ანტიმონოპოლიური ორგანოს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება და დაკომპლექტება (სამხარეო სამსახურებთან ერთად თავდაპირველად შეიქმნა 150 სამტატო ერთეულით, რომელსაც მოგვიანებით 20 სამტატო ერთეული დაემატა).

ამ პერიოდში იქნა მიღებული შემდეგი ნორმატიული აქტები: 1) „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი; 2) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ 1996 წლის კანონი და მისგან გამომდინარე ე.წ. ვაჭრობისა და მომსახურების 21 წესი. ასევე, შეიქმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებათაშორისო საბჭო, რომლის დებულება და შემადგენლობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ იქნა დამტკიცებული; 3) „რეკლამის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონი, შესაბამის ქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან ერთად; 4) „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის №95 ბრძანებულება; 5) „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №426 ბრძანებულება; 6) „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 აპრილის №262 ბრძანებულება; 7) „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის №8 ბრძანებულება; 8) „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის №8/42 ბრძანება; 9) „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები“ – სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს დამტკიცებული ნორმა.

ამ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იქნა განხორციელებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებით. ამ აქტივობების შედეგად, მნიშვნელოვნად იქნა გაჯანსაღებული ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემო. ამ პერიოდში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ისეთი სფეროები/მიმართულებები/საკითხები როგორცაა: ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების საქმიანობა (შპს „თბილწყალკანალი“, შპს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „საქართველოს ფოსტა“, შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“,

შპს „საქაერონავიგაცია“ და ა.შ.); არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის ფაქტები (ყავა „ნესკაფე“ – „ინსკაფე“; სიგარეტი „კონგრესი“ – „კონგრეს-მანი“, ღვინო „შუამთა“-„მთაშუა“ და სხვ.); კონკურენციის შეზღუდვის ფაქტები („დუთი-ფრი“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია; ცემენტის, მინერალური წყლების, ავიაციის, დაზღვევის და სხვა სასაქონლო ბაზრები); დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები (სარკინიგზო გადაზიდვები; კოსმეტიკური ფანქრების რეალიზაცია; ტელეკომუნიკაციები; ავტომობილთრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა და სხვ.); სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამოვლენა და აღკვეთა (სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაცია; დედაქალაქის ნორჩ ტურისტთა ერთდერთი სადგურისთვის ექსკლუზიური უფლებების მინიჭება; ნავთის რეალიზაციის ბაზარი; საავიაციო მომსახურების ბაზარი და სხვ.);

ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობდა შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევა ამ ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების და დომინირებული/მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა გამოვლენის მიზნით.

ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე სარეკლამო საქმიანობის რეგულირების კუთხით. მათ შორის, შეინიშნებოდა გააქტიურება ქართული სამარკო პროდუქციის სასაქონლო ნიშნების დაცვის კუთხით – დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრებზე (ღვინო, მინერალური წყლები). ამ პერიოდში იქნა ასევე მომზადებული საქართველოს რკინიგზის დემონოპოლიზაციის პროგრამა (უცხოელ ექსპერტთა ჯგუფთან ერთად).

საგულისხმო და ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა შეფასებული - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხებოდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს.

მესამე ეტაპი - იწყება 2002 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2004 წლის ნოემბრის ჩათვლით. ეს პერიოდი იწყება საქართველოში ერთიანი ცენტრალიზებული კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების ვიწრო დარგობრივ ჭრილში დანაწევრებით (გადანაწილებით), რაც დაიწყო „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ საქართველოს კანონის მიღებით.

აღნიშნული კანონის მიღების პარალელურად, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურის ზედამხედველობის არეალიდან სრულად გამოვიდნენ რეგულირებადი ეკონომიკის სექტორები (ენერგეტიკა; კომუნიკაციები; გაზის მეურნეობა; ტრანსპორტის სფერო). ამასთან, „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში 2002 წლის 25 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მიუწვდომელი გახდა პირველადი მონაცემები ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ (პროდუქციის წარმოების მოცულობა), რაც მისი საქმიანობის (სასაქონლო ბაზრების შესწავლისა და ამ ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასების) შემაფერხებელ გარემოებად იქცა.

აღნიშნული და სხვა რიგი გარემოებების გამო, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა, კონკურენციის დაცვის კუთხით, ამ პერიოდში გარკვეული შეფერხებებით

მიმდინარეობდა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების მიმართულებებზე.

მეოთხე ეტაპი - იწყება 2004 წლის დეკემბრიდან და გრძელდება 2005 წლის აგვისტოს ჩათვლით. ესაა პერიოდი, როდესაც საქართველოში მოქმედ კონკურენციის ჩარჩო სამართალში ცვლილებების განუხორციელებლად, მოხდა ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს რიცხოვნობის რადიკალური შემცირება (01.12.2004 წელი), რითაც ფაქტიურად უარი ეთქვა, 1992 წლიდან რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას და დაიწყო ინტენსიური მუშაობა, ახალ, განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის სამართლის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად აღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ამ პერიოდში ახალი საქმეების შესწავლა არ დაუწყია და ახალ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის ჩარჩო კანონის პროექტზე მუშაობის პარალელურად, მისი აქტიურობა შემოიფარგლებოდა მიმდინარე (ადრე დაწყებული და დაუსრულებელი) სასამართლო დავებში ჩართულობით.

ეს პერიოდი სრულდება - საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციით (2005 წლის 19 აგვისტო).

მესამე ეტაპი - იწყება 2005 წლის სექტემბრიდან და გრძელდება 2010 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით. ეს პერიოდი იწყება 2005 წლის 3 ივნისის კანონის – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძალაში შესვლიდან (გამოქვეყნებიდან 2 თვის თავზე). აღნიშნული კანონი არ პასუხობდა და არ მიესადაგებოდა ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკას. ის არ მოიცავდა კონკურენციის ზოგადი დებულებების მნიშვნელოვან ნაწილს და მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული თანხმობის გაცემის რეგულაციებს (კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურებს) ადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გაცემის პროცედურის კონკურენციის ორგანოსთან შეთანხმების თაობაზე, შესაბამისი ქვენორმატიული აქტების მიღება, რის გამოც კანონის ეს დებულებები არ ამოქმედებულა.

ამდენად, ფაქტია, რომ კონკრეტული სასაქონლო ბაზრების კვლევა და კონკურენტული გარემოს შეფასება, ამ პერიოდში, არც ერთ სასაქონლო ბაზარზე არ ჩატარებია - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამო.

მეექვსე ეტაპი - იწყება 2010 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2011 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში ლიკვიდირებული იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და მის ნაცვლად, საქართველოს მთავრობის ქუდქვეშ შეიქმნა, იმავე სახელწოდების საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ამოცანად განისაზღვრა - კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობაში წარდგენა. შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ სტრატეგიის პროექტზე მუშაობით, რის გამოც, მას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სხვა აქტივობები ფაქტიურად არ განუხორციელებია. უფრო მეტიც, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ამ მიმართულებით საქმიანობას ვერც განახორციელებდა, რადგანაც შესაბამის ბაზრებზე ანტიკონკუ-

რენტული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს მოქმედი ჩარჩო კონკურენციის სამართალი არ ითვალისწინებდა.

თავის მხრივ, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებული - კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია მიღებული იქნა - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის N1551 განკარგულებით, რის შემდეგ, ფაქტიურად სააგენტომ ამოწურა თავისი უფლებამოსილება.

მეშვიდე ეტაპი - იწყება 2012 წლის იანვრიდან და გრძელდება 2014 წლის მარტის ჩათვლით. ამ პერიოდში კონკურენციის ჩარჩო კანონში („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“) ცვლილებების შეტანის გარეშე (კონკურენციის ზოგადი პრინციპების მასში ასახვის გარეშე) მექანიკურად მოხდა 2012 წლის 01 იანვრიდან სსიპ კონკურენციის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების გაერთიანება (შერწყმა).

მოგვიანებით, უკვე 2012 წლის 8 მაისს, მიღებული იქნა ახალი კანონი - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ - რითაც გაუქმდა ამავე სახელწოდების 2005 წლის 3 ივნისის კანონი. ეს ახალი ჩარჩო საკონკურენციო სამართალი უკვე შეიცავდა კონკურენციის ამოსავალ პრინციპებს და მისი ცალკეული დებულებები მეტ-ნაკლებად ჰარმონიზებული იყო ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან. თუმცა, მთლიანობაში კანონი იყო ხარვეზიანი, რის გამოც ის ვერ უზრუნველყოფდა ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების სრულყოფილად დაცვას.

ამასთან, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ამ პერიოდში („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის კანონის მიღებიდან, სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფამდე) ვერ მოხერხდა ამ კანონიდან გამომდინარე მისაღები ქვემდებარე ნორმატიული აქტების დამტკიცება. შესაბამისად, პრაქტიკული საქმიანობა (სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით), სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს - სათანადო საკანონმდებლო (კანონქვემდებარე) ბაზის უქონლობის გამო, მთელი მეშვიდე ეტაპის განმავლობაში არ განუხორციელებია.

მერვე ეტაპი - იწყება 2014 წლის აპრილიდან და გრძელდება დღემდე. ეს პერიოდი ემთხვევა, ჩარჩო საკონკურენციო სამართალში არსებული ხარვეზების გამოსწორების კუთხით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანას (2014 წლის მარტი) და დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებას (შეიქმნა 2014 წლის 14 აპრილიდან).

ამასთან, კონკურენციის სამართალში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, 2014 წლის 1 ოქტომბრამდე (კანონით განსაზღვრულ ვადებში) მიღებულ იქნა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები: 1) განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებადობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები (30.09.2014 წლის №30/09-1 ბრძანება); 2) თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი (30.09.2014 წლის №30/09-2 ბრძანება); 3) ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები (30.09.2014 წლის №30/09-3 ბრძანება); 4) კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი (30.09.2014 წლის №30/09-4 ბრძანება); 5) საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა (30.09.2014 წლის №30/09-5 ბრძანება).

მთავრობის დადგენილებები: 1) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესი - (მთავრობის 01.09.2014 წლის №529

დადგენილება) და 2) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები (მთავრობის 01.09.2014 წლის №526 დადგენილება).

მოგვიანებით, მიღებული იქნა შემდეგი გზამკვლევი და საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები - 1) ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები (სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 1 მაისის №04/99 ბრძანება); 2) მოკვლევის პროცესში კონკურენციის სააგენტოსა და ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობის პროცედურა და ვადები (სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 დეკემბრის №238 ბრძანება); 3) თანამშრომლობის პროგრამა (სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 13 მარტის №04/66 ბრძანება).

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების შემდეგ - სსიპ კონკურენციის სააგენტომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის სამართლის აღსრულების ყველა მიმართულებით. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებიდან დღემდე, დასრულებული აქვს 21 მოკვლევა (განცხადება/საჩივარი/საკუთარი ინიციატივა), საიდანაც - ექვსი ეხებოდა - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (წყალტუბოს თერმული წყლების ბაზრის მოკვლევა; საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზრის მოკვლევა; საავტომობილო გაზის ბაზრის მოკვლევა; ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზრის მოკვლევა; სიგარეტის ბაზრის მოკვლევა; საპორტო მომსახურების ბაზარზე ახალი სქემის შემოღების (კომბინირებული ტარიფის შემოღება) საკითხის კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მოკვლევა), სადაც დადასტურდა დარღვევის ერთი შემთხვევა (მეწარმე სუბიექტს აკრძალა ახალი სქემის ამოქმედება); ექვსი მოკვლევა ეხებოდა კონკურენციის შემზღვეველ ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს (ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზრის მოკვლევა; საავიაციო ნავთის ბაზრის მოკვლევა; ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზრის მოკვლევა; შავი ზღვის პორტებში ნავთობტერმინალთა ბაზრის მოკვლევა; მობილური ტელეფონების რეალიზაციის ბაზრის მოკვლევა; სკოლის მოსწავლეების ავტოტრანსპორტით გადაყვანის ბაზრის მოკვლევა), სადაც დადასტურდა დარღვევის ერთი შემთხვევა; შვიდი მოკვლევა ეხებოდა სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვას („ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა; შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა; შპს „ინტერტექნიკსი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა; ა(ა)იპ „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისათვის“ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე წარმოებული მოკვლევა; სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ განცხადების საფუძველზე განხორციელებული მოკვლევა (ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი); სკოლის მოსწავლეების ავტოტრანსპორტით გადაყვანის ბაზრის მოკვლევა; სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა (საბანკო გარანტიების გაცემის ბაზარი), სადაც დადასტურდა დარღვევა შვიდივე შემთხვევაში (ერთ შემთხვევაში მე-10 მუხლის სუბიექტებს არ წარმოადგენდნენ მოპასუხე პირები, რის გამოც რეკომენდაციები გაიცა ზემდგომი სახელმწიფო ორგანოებისადმი) და ორი მოკვლევა ეხებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს (სს „ვირსალამის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“-ს საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა; მობილური ტელეფონების ბაზარზე მიმდინარე მოკვლევა), სადაც ასევე, ორივე შემთხვევაში დადასტურდა დარღვევის ფაქტი.

ამასთან, სააგენტომ 4 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რადგანაც მიჩნეული იქნა რომ სააგენტოში შემოსული განცხადება/საჩივარი ვერ აკმაყოფილებდა „გონივრული ეჭვის“ სამართლებრივ სტანდარტებს.

გარდა ამისა, სააგენტოს მხრიდან განხილულია 8 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ და 2 სახელმწიფო დახმარების შესახებ წარდგენილი განცხადება (ორივე ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან). ასევე დასრულებულია 2 სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი (ყავის და ავიაგადაზიდვების სასაქონლო ბაზრები). მთლიანობაში, დასრულებული მოკვლევების (კონცენტრაციები/სახელმწიფო დახმარებები) განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, გაცემულია 50-მდე რეკომენდაცია - საქართველოს მთავრობის, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების და შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიმართ.

ამჟამად, ოფიციალურად გაცხადებული ინფორმაციის შესაბამისად, სსიპ კონკურენციის სააგენტო ახორციელებს - ერთი საქმის მოკვლევას (შპს „ლიბოს“ საჩივარი ეხება - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტს), ერთი მოსალოდნელი კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების შესწავლას კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის კუთხით და ხუთი სასაქონლო ბაზრის მონიტორინგს.

რაც შეეხება კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის მეცხრე ეტაპს - ის დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც/თუ მოხდება საკანონმდებლო დონეზე - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ფუნქციური გაძლიერება (მომხმარებელთა უფლებების დაცვის და/ან ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების მიმართულებით) და/ან მოქმედ ჩარჩო საკონკურენციო სამართალში არსებული ხარვეზები (კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში წარმოქმნილი) აღმოიფხვრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის კანონმდებლობის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დონე არის განმსაზღვრელი საბაზრო ურთიერთობის ხარისხის ქვეყანაში, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობა (დაწყებული 1992 წლიდან), მთლიანობაში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - ცალკეული გამოწვევის პერიოდის გარდა - არ შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად.

ამდენად, თუ წლების მიხედვით საქართველოში რეალიზებული ანტიმონოპოლიური/კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობას შევფასებთ, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტად ის საწყის და ბოლო პერიოდშია გამორჩეული. ანუ - პირველი, მეორე და მერვე ეტაპი - ქართული საკონკურენციო სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც წარმატებული თუ არა, ნაწილობრივ წარმატებულად მაინც, ხოლო სხვა დანარჩენი პერიოდი კი წარუმატებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007;
- 2) ფეტელავა ს., კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი საქართველოში, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №4, 2106 წელი, გვ. 26-32;
- 3) წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, თ., „ლოი“, 2009;
- 4) ხადური ნ., ბაზრის რეგულირების მექანიზმების ფაქტიური გაუქმებით გამოწვეული შედეგების კვლევა, ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება საქართველოში, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბ., 2009;

- 5) საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002-2003 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, თბ., „არადანი“, 2003;
- 6) სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., „Exclusive Print +“, 2012;
- 7) სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის ანგარიში, www.competition.ge
- 8) სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის ანგარიში, www.competition.ge
- 9) სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში, www.competition.ge

The Implementation of Economic Competition Policy in Georgia

Nodar Khaduri

*Chairman of the Competition Agency of Georgia,
Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nkhaduri@competition.ge*

Slava Fetelava

*Head of the Economic Competition Protection Department,
the Competition Agency of Georgia,
Associate Professor of Grigol Robakidze University
sfetelava@competition.ge*

R e s u m e

The article emphasizes the role and importance of competition policy in the process of building a market economy and critically reviews 25-years period of formulation and practical realization of this policy in Georgia. The authors divide this period into 8 stages. The article demonstrates the shortcomings and negative consequences of the process and concludes that, based on actual circumstances, the activities taken for the realization of competition policy in Georgia (starting from 1992) cannot be considered to be successful (except some specific cases).

Consequently, the authors argue that, if we assess the effectiveness of antitrust policy in Georgia year by year, we will see that the initial and final stages were most successful. To specify, the first, second and eighth stages could be considered to be at least partly successful, but not the rest of the period.

კონკურენცია ღვინის ბაზარზე და საფასო ქცევის მახასიათებლები

ეთერ ხარაიშვილი

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
eter.kharaiSvili@tsu.ge*

ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თავისუფალი კონკურენტული გარემოს ფორმირება. კონკურენციის ხარისხი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა პირდაპირპროპორციულ კორელაციაშია, შესაბამისად, ბაზრის მონაწილეებს შორის ეფექტიანი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა კონკურენციის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

კონკურენციის სახეობები შესაბამისი მახასიათებლებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა კეთილდღეობასა და საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებზე. განვითარებული ქვეყნების უმეტესობა კონკურენტული გარემოს შესანარჩუნებლად და ბაზრის მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური სტრუქტურის წარმონაქმნის წინააღმდეგ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მექანიზმს იყენებს, თუმცა, შედეგები ყოველთვის არ არის ეფექტიანი.

ბაზრების სტრუქტურული ანალიზი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს ეკონომიკისათვის, რადგან ქვეყნის ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, კონკურენციის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა.¹ კონკურენციის დონის მაჩვენებლები წინა წლების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ აქტუალურია და აღნიშნულის შესახებ მითითებულია საერთაშორისო შეფასებებშიც. 2016-2017 წლის მონაცემებით გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობის მიხედვით 114-ე ადგილი უჭირავს, ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობით - 78-ე, ბაზარზე დომინირების მასშტაბებით - 76-ე.²

სტაბილური ფასები მდგრად ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. ამასთან, ფასები კონკურენციის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. შესაბამისად, კონკურენციის დონისა და საფასო ქცევის მოდელების შესწავლა დღესაც აქტუალურია და მისი კვლევა დიდი როლს შეასრულებს ეკონომიკური პრობლემის შეფასებაში, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული სექტორია. შესაბამისად, ამ სექტორის განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია ღვინის ბაზარზე არსებული

¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategia_-_sakartvelo_2020.pdf

² The Global Competitiveness Report 2016-2017; Klaus Schwab, World Economic Forum www.weforum.org/docs/GCR2016-2017/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2016-2017_FINAL.pdf

კონკურენციის დონის შეფასებისა და საფასო ქცევის მახასიათებლების გამოკვლევით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კონკურენციის დონის შეფასება, საფასო ქცევის მოდელების გაანალიზება და საბაზრო სტრუქტურების იდენტიფიცირება სხვადასხვა მკვლევარის მიერ არის ჩატარებული. კონკურენციის განვითარების ეტაპებისა და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების განხილვისას მკვლევარები მიიჩნევენ, რომ კონკურენციის მხარდაჭერა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის,³ ასევე, აქტუალურად განიხილება კონკურენციის შეზღუდვის პრობლემა.⁴

არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის მონაწილეთა ქცევის შესახებ კვლევებიდან აღსანიშნავია არასრულყოფილი ბაზრის მონაწილეთა ქცევა და გადაწყვეტილებები.⁵ ამ კვლევის მიხედვით ეკონომიკურ მეცნიერებაში „ნემის წონასწორობა“ უმნიშვნელოვანესია და მისი გამოყენების შესაძლებლობები ეფექტიანია.

კონკურენციის პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე, არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების თავისებურებებზე, ჰორიზონტალური და ვერტიკალური გაერთიანების შედეგებზე, ბაზრის კონცენტრაციის, კარტელური და ოლიგოპოლიური ბაზრების შეფასებზე, ასევე, ჩატარებულია სხვადასხვა კვლევები.⁶ სამეცნიერო ნაშრომებში გაანალიზებულია არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის მონაწილეთა ფასწარმოქმნის მექანიზმები⁷, ეკონომიკური მოდელირების თანამედროვე და რეალისტურ მიდგომები.⁸

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია ეკონომიკის სექტორში კონკურენციის სფეროს რეგულირება, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კანონმდებლობის ფარგლებში. „კონკურენციის ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევით გამოკითხულთა 74%-ს მიაჩნია, რომ სწორედ კონკურენტული გარემო უწყობს ხელს ქვეყანაში ეკონომიკურ კეთილდღეობას, 64% ფიქრობს, რომ საქართველოში ბიზნესისთვის კონკურენტული გარემო არ არსებობს, 57% ხშირად ხვდება კონკურენციის სამართლის დარღვევის ფაქტებს, 47% ფიქრობს, რომ ბაზარზე კონკურენცია სახელმწიფომ უნდა არეგულიროს, 40% მიიჩნევს, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებს კონკურენტულ გარემოს.⁹

ქართულ ბაზარზე შიგა და საექსპორტო მოთხოვნების ანალიზის შესაბამისად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, საშინაო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრება და მეორე მხრივ, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების მკაცრი დაცვა. საქართველომ მაღალი ხარისხისა და უნიკალური პროდუქტის წარმოების სტრატეგია უნდა აირჩიოს და განსხვავებული ნიშა მოძებნოს.¹⁰ ეს ნიშა ბიოღვინომ და ქვევრის ტრადიციულმა ღვინომ უნდა შეავსოს, შესაბამისად ეს ფასწარმოქმნაზეც აისახება.

³ Milton Friedman, *Capitalism and Freedom*, University of Chicago Press, 1962.

⁴ Heyne, Paul T., Prychitko, David L., Boettke, Peter J, *The Economic Way of Thinking*, 12th Edition Publisher: Prentice Hall, 2009.

⁵ Nash, J.F, *Equilibrium Points in n-Person Games*, Proceedings of the National Academy of Sciences, 1950.

⁶ Massimo Motta, *Competition Policy, Theory and Practice*, Cambridge university Press, 2004.

⁷ X. Vivas, “Oligopoly Pricing – old tools and new ideas” Cambridge, London. 2001.

⁸ D. Fudenberg, J. Tirole, 2013, *Dynamic Models of Oligopoly (Fundamentals of Pure and Applied Economics)*, Harwood Academic Publishers

⁹ <https://bpn.ge/analizi/13438-konkurenciis-politika-saqarthveloshi.html?lang=ka-GE>

¹⁰ E. Kharaiashvili, M. Chavleishvili, M. Natsvaladze, Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, 2014.

კონკურენციის პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ადასტურებს, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, თუმცა, სანქციებს არ ითვალისწინებს.¹¹ ამასთან, საყურადღებოა, რომ საქართველოში სიღარიბისა და უთანასწორობის მიმართ სოციალური პოლიტიკა საკმაოდ ლიბერალურია, კერძოდ, უთანასწორობა განიხილება, როგორც კონკურენციის ერთ-ერთი წახალისებელი ფაქტორი.¹²

საქართველოს ბაზარზე ჩატარებული კვლევებით გაკეთებულია დასკვნები კონკურენციის ხარისხის შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა, კონკრეტული ბაზრების მიხედვით პრობლემები დამატებით კვლევას საჭიროებს, მათ შორისაა ღვინის ბაზარი. საქართველოში ღვინის ბაზარზე, უპირველესად, დასადგენია საბაზრო სტრუქტურის ტიპი და შესაფასებელია კონკურენციის დონე. საქართველოს ბაზარზე მოქმედი ღვინის კომპანიების მონაცემების მიხედვით კონკურენციის დონის შეფასება ძირითადად სამი ინდექსით მოვახდინეთ (ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი; ჰერფინდალ-ჰირშმანი ინდექსი; ენტროპიის ინდექსი). კონცენტრაციის ინდექსმა საშუალოდ 0,4 შეადგინა. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით ღვინის ბაზრის მონოპოლიზაციის დონე 1350-ია. ენტროპიის ინდექსის გათვლით მივიღეთ, რომ ღვინის საბაზრო ფასზე მიმწოდებელთა ზემოქმედება არ არის მაღალი (ინდექსმა 2.53 შეადგინა)¹³. ამრიგად, ღვინის ბაზრის საბაზრო წილების უთანაბრობა არ არის მაღალი. ინდექსების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ღვინის ბაზარი ძირითადად მონოპოლისტური კონკურენციის სახეობისაა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბაზარზე არსებული კონკურენტული უპირატესობა.¹⁴ საერთაშორისო ბაზრებზე მთავარი კონკურენტული უპირატესობა არის ღვინის წარმოების უძველესი ტრადიციები და ყურძნის უნიკალური ჯიშები. ბოლო პერიოდში ექსპორტის ზრდა დადებითად აისახება ღვინის წარმოების რაოდენობასა და ფასებზეც, რაც ხელს შეუწყობს „*საქართველოს ზრდას*“ და სარგებელს მიიღებენ როგორც მეწარმეები, ასევე, წარმოებაში უშუალოდ ჩართული პირები.

ღვინის ბაზარზე კომპანიების ქცევას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შიგა და გარე ფაქტორების ჯგუფი, მათგან აღსანიშნავია ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ღვინის გაყიდვების მოცულობა, მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობა, საექციზო გადასახადები და სხვ. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს ღვინისა და ღვინის პროდუქტების წარმოებასა და ფასზე, რადგან ღვინო ადგილობრივი ნედლეულისგან მზადდება, მაგრამ სხვა ფაქტორების გავლენა ღვინის ფასზე პირდაპირია. ღვინის ფასების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბოლო წლებში ეს მაჩვენებლები შედარებით სტაბილურია.

კონკურენციის დონე განსხვავებულია შიგა და საერთაშორისო ბაზრების მიხედვით. ამასთან, ღვინის ბაზარზე კონკურენციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ყურძნისა და ღვინის ფასები, რომლებიც საკმაოდ დივერსიფიცირებულია სეზონებისა და ყურძნის ჯიშების მიხედვით, ასევე, ბოთლისა და ჩამოსასხმელი ღვინის სახეობების მიხედვით. დიდია სხვაობა საოჯახო მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში მიღებულ ერთი და იგივე დასახელების ღვინის ფასშიც.

¹¹ ს. ფეტელავა, შ. გოგიაშვილი, „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია“, თბილისი, 2015.

¹² Vladimir Papava. On the Essence of Economic Reforms in Georgia, or How European is the European Choice of Post-Revolution Georgia? Georgian International Journal of Science and Technology, Vol. 1, No. 1, pp. 1-9, 2008 file:///C:/Users/Admin/Downloads/SSRN-id2181253.pdf

¹³ ე. ხარაიშვილი, ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბილისი, 2017, გვ. 50.

¹⁴ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, გვ. 18.

საქართველოში ძვირადღირებული ღვინის ფასი ხარისხების მიხედვით 20 ლარიდან იწყება. ასეთი ღვინის მომხმარებლები არიან როგორც ადგილობრივები, ასევე, უცხოელები. იაფფასიანი ღვინოების მომხმარებელი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა და ფასიც ხელმისაწვდომია.

ფასები, ასევე, დიფერენცირებულია ბოთლისა და ჩამოსასხმელი ღვინოების მიხედვით. შიგა ბაზარზე ბოთლის ღვინის ბაზარი ძირითადად 4-5 კომპანიას შორის არის გადანაწილებული („თელავის ღვინის მარანი“, „თბილღვინო“, „ბადაგონი“, „ხარება“). შიგა ბაზარზე შედარებით დიდია ჩამოსასხმელი ღვინის არჩევანი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ამ კატეგორიის ღვინოზე დაბალი ფასებით. ჩამოსასხმელი ღვინის ფასი 1.8 ლარიდან, 3 ლარამდე მერყეობს, ხოლო პლასტმასის ჭურჭელში დაბეჭდილი 1 ლიტრი ღვინის ფასი 3 ლარიდან იწყება და 5-6 ლარამდე აღწევს. საფერავის ჯიშის ყურძნისგან დაყენებული დაბეჭდილი 1 ლიტრი ღვინის ფასი თითქმის სტანდარტულია და 5-6 ლარია, რქაწითელის 3-დან 5 ლარამდე იცვლება.

სუპერმარკეტების ქსელში ღვინის ფასები ოდნავ განსხვავდება წარმოების ვადისა და მწარმოებელი კომპანიების მიხედვით, თუმცა, ძირითადად მსგავსია კონკრეტული სახეობებისათვის. ღვინის ქარხნების მიერ წარმოებული ღვინის საბაზრო ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება საოჯახო მეურნეობებში დამზადებული ღვინის ფასებისაგან. მაგალითად, ციციქის ღვინის 1 ბოთლის (0,75) საშუალო ფასი შეადგენს 21 ლარს, ცოლიკოურის 17 ლარს, ტვიშის (ციცქა-ცოლიკოური) 18 ლარს, კრახუნას 21 ლარს, ხვანჭკარის 44 ლარს, უსახელოურის 83 ლარს, ოცხანურის 30 ლარს. საოჯახო მეურნეობებში ციციქის, ცოლიკოურისა და ტვიშის ღვინის 1 ბოთლის საშუალო ფასი არის 3.8 ლარი, კრახუნასი 4.5, ხვანჭკარის 18.8, უსახელოურის 22.5, ოცხანურის 11.3 ლარი.¹⁵ შედარებითი ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფასთა პროცენტული სხვაობა საკამოდ დიდია. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საოჯახო მეურნეობები არ იხდიან გადასახადებს, არ აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიები, ვერ ახდენენ ღვინის ჩამოსხმას, ეტიკეტირებას და სხვ. შესაბამისად, საოჯახო მეურნეობებისათვის ხელმისაწვდომი არ არის საერთაშორისო ბაზრები და ამ თვალსაზრისით კონკურენციაზეც ვერ ახდენენ არსებით გავლენას.

ქვეყრის ღვინოზე ფასები საშუალოდ 5-6-ჯერ აღემატება ბოთლის ღვინის ფასებს. აღნიშნული დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, მოსალოდნელია მომხმარებლის მხრიდან გაჩნდეს მეტი მოთხოვნა ამ სახეობის ღვინის წარმომავლობისა და ხარისხის შესახებ, რაც გაართულებს მაღალი ფასების შენარჩუნების შესაძლებლობებს. აუცილებელია ამ მიმართულებით რეგულირების მექანიზმების შემოღება.

ფასები განსხვავებულია სასაჩუქრე ღვინოების მიხედვითაც, ერთი ბოთლი ღვინის ფასი „კახური წარჩინებულის“ 49 ლარია, „მუსკატის“ - 42 ლარი, „ახაშენი“ - 15 ლარი, „საფერავი როზე“ 12 ლარი და ა. შ.¹⁶ ქართულმა ღვინომ შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე ამ მიმართულებითაც უნდა დაიკაოს ნიშა. ზოგადად, ღვინის ფასებს მნიშვნელოვნად ზრდის გადამზიდავი კომპანიების მიერ დაწესებული მაღალი ფასები. ამ ფასებზე ზემოქმედება ვერ ხერხდება, რადგან მათ ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავთ.

საქართველოს ღვინის ბაზრისა და საფასო ქვეყის მახასიათებლების შესწავლით შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები შემუშავდა:

- ბაზრის კონცენტრაციის, ჰერფინდალ-ჰირშმანისა და ენტროპიის ინდექსების მაჩვენებლების მიხედვით ღვინის ბაზარი მონოპოლისტური კონკურენციის სახეობისაა; სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ღვინის ბაზრის დივერსიფიკაცია შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე;

¹⁵ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემები

¹⁶ <http://pink.ge/reviews/best-gift-wines/>

• კონკურენციის დონე განსხვავებულია შიგა და საერთაშორისო ღვინის ბაზრების მიხედვით. კონკურენციაზე ძირითად გავლენას ახდენს ყურძნისა და ღვინის ფასები, რაც საკმაოდ დივერსიფიცირებულია სეზონებისა და ჯიშების მიხედვით, ასევე, ბოთლისა და ჩამოსასხმელი ღვინის სახეობების მიხედვით. დიდია სხვაობა საოჯახო მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში მიღებულ ერთიდაიგივე დასახელების ღვინის ფასშიც. ფასწარმოქმნის სფეროში სამართლიანი მექანიზმების ამოქმედება ღვინის ბაზარზე კონკურენტულ გარემოს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს;

• საოჯახო მეურნეობებისათვის ხელმისაწვდომი არ არის საერთაშორისო ბაზრები და ამ თვალსაზრისით კონკურენციაზედაც ვერ ახდენს არსებით გავლენას. აუცილებელია სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანად წარმართვა ამ მიმართულებით;

• ღვინის ბაზარზე კომპანიების ქცევას განსაზღვრავს შიგა და გარე ფაქტორთა ჯგუფი, მათგან აღსანიშნავია ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ღვინის გაყიდვების მოცულობა, მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობა, სააქციზო გადასახადები და სხვ. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს ღვინისა და ღვინის პროდუქტების წარმოებაზე, ასევე, ფასზე, რადგან ღვინო ადგილობრივი ნედლეულისგან მზადდება. სხვა ფაქტორთა გავლენა ღვინის ფასზე პირდაპირია. მიზანშეწონილია შესაბამისი რეგულირების მექანიზმებით პირდაპირი და არაპირდაპირი ფაქტორების უარყოფითი გავლენის შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategia_-_sakartvelo_2020.pdf
2. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 - ვებგვერდი, 27.03.2014.
3. საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, თბილისი, 2012.
4. საქართველოსა და ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება <http://www.globalcompetitionforum.org/regions/europe/Georgia/partnership%20eu%20georgian.pdf>
5. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია“, თბილისი, 2015.
6. ხრაიშვილი ე., ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბილისი, 2017.
7. ხრაიშვილი ე., ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბილისი, 2017.
8. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემები <https://bpn.ge/analizi/13438-konkurenciis-politika-saqarthveloshi.html?lang=ka-GE>
8. Friedman Milton, Capitalism and Freedom, University of Chicago Press, 1962.
9. Fudenberg D. J. Tirole, Dynamic Models of Oligopoly (Fundamentals of Pure and Applied Economics), Harwood Academic Publishers, 2013.
10. Heyne, Paul T., Prychitko, David L., Boettke, Peter J, The Economic Way of Thinking, 12th Edition Publisher: Prentice Hall, 2009.
11. Kharaisvili E., M. Chavleishvili, M. Natsvaladze, Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, 2014.
12. Massimo Motta, Competition Policy, Theory and Practice, Cambridge university Press, 2004.
13. Nash, J.F, Equilibrium Points in n-Person Games, Proceedings of the National Academy of Sciences, 1950.

14. Papava Vladimer. On the Essence of Economic Reforms in Georgia, or How European is the European Choice of Post-Revolution Georgia? Georgian International Journal of Science and Technology, Vol. 1, No. 1, pp. 1-9, 2008 file:///C:/Users/Admin/Downloads/SSRN-id2181253.pdf
15. The Global Competitiveness Report 2016–2017; Klaus Schwab, World Economic Forum www.weforum.org/docs/GCR2016-2017/05FullReport/The Global Competitiveness Report 2016-2017_FINAL.pdf
16. Vivas X., “Oligopoly Pricing – old tools and new ideas”, Cambridge, London. 2001.

Competition on Wine Market and the Features of Price Behavior

Eter Kharaisvili

Phd of Economics,

Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University,

eteri.kharaisvili@tsu.ge

R e s u m e

It is shown in the article that there is a correlation between the degree of competition and social welfare. Position of Georgia in global competitiveness index is analyzed according to effectiveness of anti-monopoly policy, intensity of local competition and extent of market dominance. Opinions of Georgian and foreign researchers about degree of competition, its features and forms are assessed.

Degree of competition on wine market in Georgia is evaluated by indices of market concentration, Herfindahl-Hirschman and entropy. A conclusion is made that suppliers don't have a high influence on market price of wine and market is mostly monopolistic.

As a prerequisite for improving competition on wine market and achieving fair price formation, it is considered that market participants need to form effective relations and economic policy, which helps competition, needs to be implemented. Relevant conclusions are made according to problems revealed in the research and recommendations are offered.

კონკურენციის პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ გარემოზე და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელობა ამ პროცესში

ივანე ხასია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
i.khasia@yahoo.com*

საქართველოში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიშვნელოვანი გამოწვევაა ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბება და ინსტიტუციონალიზაცია. ამასთანავე, კონკურენციის პოლიტიკის შემდგომი დახვეწა არის პრიორიტეტული მიმართულება საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

შესაბამისად მნიშვნელოვანია კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განვითარება სწორედ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და თანამშრომლობის გაღრმავებით.

თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემო მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ხოლო კონკურენციის პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას, ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და, შესაბამისად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური გარემოს განვითარებაზე.

როგორც ცნობილია ევროპული კონკურენციის პოლიტიკა აყალიბებს კონკურენციის ზოგად წესების, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კონკურენციას და უმნიშვნელოვანესია ღია საბაზრო ეკონომიკისათვის. ევროპული კონკურენციის წესები კრძალავს არაკონკურენტულ შეთანხმებებსა და ნორმებს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე. ევროპის კონკურენციის წესების საფუძვლები ჩამოყალიბებულია ევროკომისიის ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებში და საბჭოს რეგულაცია (EC) No 1/2003. ევროკომისიის 81-ე მუხლი კრძალავს არაკონკურენტულ ქმედებებს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, ხოლო 82-ე მუხლი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას არეგულირებს. 2002 წლის 16 დეკემბრის საბჭოს დებულება (EC) No 1/2003 81-ე და 82-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესრულების შესახებ, ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ეს დებულება ასევე საშუალებას აძლევს ეროვნულ დონეზე ადგილობრივ ორგანოებს არეგულირონ კონკურენციის წესები. დებულება ითვალისწინებს თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის პროცედურებს, რათა უზრუნველყონ კონკურენციის წესების თანმიმდევრული გამოყენება.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უპირველესი ამოცანაა წარმოების, დასაქმების, ფასებისა და სხვა მსგავსი მოვლენების აღწერა, გაანალიზება, მათი დინამიკის ახსნა, აგრეთვე მათ შორის თანაფარდობის დადგენა, რაც მეტწილად დამოკიდებულია სწორი კონკურენციის პოლიტიკის არსებობაზე, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობის

ზრდა. როგორც ცნობილია კონკურენცია არის ეკონომიკურ აგენტებს (ბაზარზე მოქმედ კომპანიებს) შორის მეტოქეობა ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. კონკურენცია არის პროცესი, რომელიც აიძულებს ეკონომიკურ აგენტს, მომხმარებლის მოთხოვნები (პროდუქციის ფასი, ხარისხი და სხვა მახასიათებლები) გაითვალისწინოს. დროთა განმავლობაში ეს პროცესი მოქმედებს, როგორც შესარჩევი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უფრო ეფექტიანი ეკონომიკური აგენტები ნაკლებად ეფექტიან ეკონომიკურ აგენტებს ჩაანაცვლებენ. კონკურენცია სწორედ იმ საკვანძო ფაქტორად არის მიჩნეული, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის გაცილებით სწრაფ ზრდას და მეტად კონკურენტუნარიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული ეკონომიკის არსებობას.

დღეის მდგომარეობით საქართველოში ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით და ფორმალური ბარიერების სიმცირით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, ბაზრის ზოგიერთ სეგმენტს ქვეყანაში კონცენტრაციის მაღალი ხარისხი ახასიათებს. საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი სტრუქტურული პრობლემა ბაზარზე კონკურენტული გარემოს და, ზოგადად, კონკურენციის სათანადო ინსტიტუციური ჩარჩოს ნაკლებობით არის განპირობებული, ვინაიდან ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის პროცესი კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარმატებული ვერ იქნება.

- ქვეყანაში კონკურენციის მარეგულირებელმა გარემომ 3 მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო, როდესაც 1991 წელს საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანამ დაიწყო რთული მაგრამ დამოუკიდებელი განვითარების ეტაპი. ამ ჭრილში განსაკუთრებით საინტერესოა 1997-2004 წლები, როდესაც ქვეყანაში რთული ეკონომიკური და პოლიტიკურად არასტაბილური ვითარების ფონზე ხდება კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების ჩამოყალიბება.

- მეორე ეტაპი განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც ქვეყანაში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა 2005 წელს მთლიანად უქმდება. შესაბამისად, კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ქმედითი ზედამხედველობა აღარ ხორციელდებოდა, ეკონომიკის სექტორებში ვითარებას კი საბაზრო ლოგიკა განაპირობებდა. ყოველივე ამან ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სუბიექტების ანტიკონკურენტული ქმედებების და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები გაზარდა;

- და მესამე ეტაპი როდესაც 2012 წლიდან საქართველოში შემუშავებული კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით შემოტანილი იქნა კონკურენციის პოლიტიკის არსებობისათვის აუცილებელი საბაზისო რეგულაციები, რაც ეკონომიკური რეფორმების კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე 2014 წელს ჩამოყალიბდა კონკურენციის სააგენტო, რომლის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კერძოდ: ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა; ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა;

ზემოთმოყვანილი ფაქტიური გარემოებები თვალნათლივ აჩვენებს იმ ვითარებას და გამოწვევებს რომლის წინაშეც დგას ქვეყანა. ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში მკვეთრად გამოხატული ტენდენციები შეიძლება მიუთითებდეს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ანტიკონკურენტულ ქმედებებზე და ბაზრის დაყოფის შესაძლებლობაზე, რაც უარყოფითად აისახება მომხმარებელზე, ქვეყნის ეკონომიკაზე, საინვესტიციო იმიჯზე და საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე და კონკრეტულ ინდიკატორებზე. რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს კონკურენციის ორგანოს მნიშვნელობაზე და კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ქმედითი ზედამხედველობის განხორციელების საჭიროებას.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე კონკურენციის პოლიტიკის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამას ადასტურებს ის ვალდებულებებიც რომელიც ქვეყანას გააჩნია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) ისევე როგორც ასოცირების ხელშეკრულებით არის. ამავდროულად აღნიშნული პროცესი იძლევა საინტერესო შესაძლებლობებს საქართველოში კონკურენციის გარემოს შემდგომი განვითარებისათვის ევროპული გამოცდილების გაზიარების შედეგად.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონკურენციის სფეროში თანამშრომლობის დამკვიდრებული ფორმატია ევროპის კონკურენციის ქსელი (European Competition Network (ECN)). ევროკომისიისა და ეროვნულ დონეებზე კონკურენციის ორგანოები ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში ერთმანეთთან თანამშრომლობენ სწორედ ევროპის კონკურენციის ქსელის (ECN) მეშვეობით. რაც ეფექტურ მექანიზმს ქმნის, ისეთი კომპანიების გამოსავლენად, რომლებიც ჩართულნი არიან საზღვრებს მიღმა საქმიანობაში კონკურენციის შეზღუდვაზე. ECN- ის ყველა წევრის მიერ ევროპის კონკურენციის წესები გამოიყენება, ECN ასევე უზრუნველყოფს საშუალებებს მათი ეფექტური და თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ECN საშუალებას აძლევს კონკურენციის ორგანოებს თავიანთი გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება მოახდინონ.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მყოფი ქვეყანა აუცილებელია უფრო აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში, რათა დაიხვეწოს არსებული კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები და გაღრმავდეს ინსტიტუციური გამოცდილება. ასევე საქართველოსთვის ძალიან საინტერესოა ესტონეთის გამოცდილების უფრო დეტალური ანალიზი, რამდენადაც ორ ქვეყანას შორის ბევრი მსგავსებაა. ესტონეთს არ განუხორციელებია რადიკალური ტრანსფორმაცია არამედ მიყვებოდა განვითარებული ქვეყნების მაგალითს და შესაბამისად ჩამოაყალიბა კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი აღსრულების მექანიზმები. საქართველოს მსგავსად ესტონეთშიც, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ყოველთვის აქტუალური იყო შეკითხვა თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკურენციის პოლიტიკა და უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე. რაც ასევე თანხვედრაშია იმ მოსაზრებასთან, რომლის მიხედვითაც პატარა ქვეყნების მაგალითზე კონკურენციის პოლიტიკა საერთოდ არააქტუალურად მიიჩნევა, ისევე როგორც ისმის შეკითხვა თუ რამდენად შესწევთ ასეთ ქვეყნებს უნარი განახორციელონ აღნიშნული რეფორმა წარმატებით. ესტონეთის მაგალითი თვალნათლივ ადასტურებს ეკონომიკური ლიბერალიზმის მნიშვნელობას კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად. ამავდროულად საინტერესოა ესტონეთის კონკურენციის პოლიტიკის შედარება ევროკავშირის (EU) კონკურენციის პოლიტიკასა და მისი წევრი ქვეყნების კონკურენციის წესებთან შედარებით, რაც მნიშვნელოვანია არსებული განსხვავებების და მათი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების დასადგენად.

ესტონეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკის განვითარება მიმდინარეობდა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში. თუმცა ესტონეთში კონკურენციის პოლიტიკამ ასევე განვლო დამოუკიდებელი განვითარების პროცესი, სადაც საკუთარ შეცდომებზე ხდებოდა სწავლება. ასევე ესტონეთის მაგალითზე იკვეთება სახელმწიფო დახმარების კონტროლის მნიშვნელობა, რადგან კონკრეტულმა ჯგუფებმა არ ისარგებლონ პოლიტიკური მხარდაჭერით. სახელმწიფო დახმარების მონიტორინგი უზრუნველყოფს გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფებების სასარგებლოდ შესაძლო პოლიტიკური თამაშების კონტროლს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის იურიდიული და ფინანსური დახმარება, რაც ესტონეთმა მიიღო ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში. კონკურენციის პოლიტიკის კუთხით გატარებულმა რეფორმებმა ასევე უზრუნველყო ესტონეთის მთავრობის უფრო აქტიური ჩართულობა ქვეყნის ეკონომიკაში.

ეკონომიკის თეორიიდან ცნობილია, რომ ბაზარზე არსებობს ჩავარდნები, როდესაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიან გადანაწილებას (მაგ., ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა) და, შესაბამისად, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა შეუძლებელია. კომპანიის დომინირებული პოზიცია ბაზარზე შესვლის ლეგალური ბარიერების არარსებობის შემთხვევაშიც კი შეიძლება შენარჩუნდეს. ასევე შესაძლებელია, ბაზარზე არსებულმა კომპანიებმა შესაბამისი მონიტორინგის არარსებობის პირობებში გარკვეული ქმედებებით ისე გაზარდონ საკუთარი მოგება, რომ ამით ზიანი მიაყენონ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ქვეყანაში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ, ვაჭრობისა და საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაციას, პრივატიზებას და დერეგულაციას, შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს კონკურენციის დონე, მაგრამ ეს ნაბიჯები ყოველთვის არ არის საკმარისი კონკურენციასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის სრულად გადაჭრისათვის. ეკონომიკის დერეგულაციის, პრივატიზების და შიგა ბაზარზე შესასვლელი ფორმალური ბარიერების მოხსნის პარალელურად, კვლავ არსებობს დომინირებული პოზიციის მქონე კომპანიის მიერ ბაზრის რემონოპოლიზაციის საფრთხე, რაც განსაკუთრებით აქტუალურია პატარა ქვეყნების მაგალითზე შესაბამისად, ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის პროცესი კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარმატებული ვერ იქნება.

კონკურენციის პოლიტიკა, თავის მხრივ, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისეთი პირობების არსებობას, როდესაც კონკურენცია ბაზარზე ისე არ შეიზღუდება, რომ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ზიანი მიადგეს. კონკურენციის პოლიტიკის საბოლოო მიზანია მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება. ბაზარებზე არსებული კონკურენცია ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია იქ მოქმედი კომპანიებისათვის, რათა მათ მოახდინონ ინვესტირება თავიანთი კონკურენტული შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია კონკურენცია შიგა ბაზარზე, მით უფრო მეტი მოტივაცია აქვთ კომპანიებს, რომ შეამცირონ ხარჯები და გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. დადასტურებულია, რომ კონკურენციასა და ეფექტიანობას შორის და კონკურენციასა და პროდუქტიულობის ზრდის ტემპს შორის დადებითი კორელაცია არსებობს, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. თავისუფალი კონკურენცია ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული და კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის მთავარი მიზანიც საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაა.

ეკონომიკის გლობალიზაციასთან ერთად, კონკურენციის პოლიტიკის ჰარმონიზება გლობალურ მასშტაბებს იძენს. რაც კარგად ჩანს ასევე ესტონეთის მაგალითზე განსაკუთრებით კი ევროკავშირის წევრობის შემდგომ, რამდენადაც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კონკურენციის პოლიტიკის შემდგომი განვითარებაა. ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელობა სწორედ ეკონომიკური რეფორმების წარმატებაში ამ სფეროს წამყვანი როლით არის განპირობებული.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი იძლევა შესაძლებლობას ქვეყანაში კონკურენციის გარემოს შემდგომი განვითარებისათვის ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისად აუცილებელია საქართველო უფრო აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში, რათა დაიხვეწოს არსებული კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები და გაღრმავდეს ინსტიტუციური გამოცდილება. ამავდროულად აღნიშნული მიდგომის ეფექტიანობაზე მეტყველებს ესტონეთის მაგალითიც, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს ეკონომიკური ლიბერალიზმის მნიშვნელობას კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად და კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელობას ამ პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fabienne Ilzkovitz and Adriaan Dierx, 2015. European Commission (Directorate-General for Competition). Ex-post economic evaluation of competition policy enforcement: A review of the literature
2. IMF, 2017. World Economic Outlook.
3. Jüri Sepp and Diana Eerma, 2006. Developments of the Estonian Competition Policy in the Framework of Accession to the European Union
4. Maarten Pieter Schinkel & Julia Thielert, 2004. Estonia's Competition Policy: A Critical Evaluation towards EU Accession
5. OECD, 2001. Global Forum on Competition. Contribution from Estonia
6. OECD, 2009. Competition and the Financial Crisis.
7. Tatiana Mosteanu & Oana Maria Romano, 2013. Competition Policy and the Economic Crisis. European Union Case Study
8. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2012. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში.
9. საქართველოს მთავრობა, 2013. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, <http://www.economy.ge/?page=economy&s=7>.
10. საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2010. კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია N1551.
11. სლავა ფეტელევა და შალვა გოგიაშვილი, 2013. ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა

The Impact of Competition Policy on the Economic Environment and the Importance of International Obligations in this Process

Ivane Khasia

PhD student of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

i.khasia@yahoo.com

R e s u m e

One of the most important challenges for economic development in Georgia is the implementation of effective competition policy and institutionalization of this process. Moreover, further improvement of the competition policy is the priority direction within the framework of cooperation between Georgia and the European Union. Therefore, it is important to expand existing competition framework based on international experience and through deepening of cooperation.

The process of Euro integration for Georgia provides interesting opportunities to further develop competition environment based on European experience. Active engagement in bilateral cooperation with the EU is necessary to improve existing competition legislation and enforcement tools. In addition, experience sharing with EU countries provides good opportunity for further institutional development. The example of Estonia underlines importance of competition policy for liberal economy to create a competitive economic environment.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და სახელმწიფო მხარდაჭერა კომპანიების ჯანსაღი კონკურენციისთვის

თამარ ხახიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის დოქტორანტი

takokhakhishvili@gmail.com

არავინ დაობს იმ ფაქტზე, რომ კომპანიების წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ ბიზნეს გარემოზე, რომელშიც იგი მოღვაწეობს. ბიზნეს გარემო აყალიბებს კონკურენციის დონეს და შესაბამისად ცალკეული კომპანიის კონკურენტუნარიანობას. ცხადია, ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის სტაბილურობა და მიმზიდველი გარემოს ჩამოყალიბება, ამ მხრივ კი ქვეყნები ერთმანეთთან კონკურენციაში შედიან და პირველობისთვის ბრძოლობენ. ნაშრომის აღნიშნული ქვეთავი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის განხილვას ეძღვნება, რომელიც ბოლო პერიოდში არაერთი ეკონომისტის ინტერესის ობიექტს წარმოადგენს და რომელსაც მრავალ ეკონომიკურ ფაქტორს უკავშირებენ.

ხშირ შემთხვევაში განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებებისთვის აქვთ მიღწეული, ქვეყნის კეთილდღეობას მუდმივ პროცესად აღიქვამენ. შესაბამისად, მრავალი ადამიანის აზრით, ქვეყნის კეთილდღეობა მემკვიდრეობის მსგავსად საუკუნიდან საუკუნეზე გადადის, რაც რა თქმა უნდა, არასწორია. პირიქით, ქვეყნების ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად ემყარება ყოველ ნაბიჯზე მოპოვებულ წარმატებას. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინდუსტრიის უნარზე იყოს ინოვაციური და მუდმივად პასუხობდეს დინამიურ ბაზარს.

მრავალი ეკონომისტი ქვეყნების კონკურენტუნარიანობას როგორც მაკროეკონომიკურ ფენომენს ისე აღიქვამს, ის ისეთი ფაქტორებითაა განპირობებული როგორცაა გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი¹. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი იდეალურ მდგომარეობაში ყოფნა ყოველთვის არ მოასწავებს ეკონომიკურ კეთილდღეობას. მაგ., იაპონიამ, იტალიამ და სამხრეთ კორეამ მიაღწიეს ცხოვრების მაღალ დონეს მიუხედავად ბიუჯეტის დეფიციტისა; ასევე გერმანიამ და შვეიცარიამ - არასასურველი გაცვლითი კურსის არსებობის პირობებში და იტალიამ და კორეამ - მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიუხედავად. საზოგადოების ნაწილის აზრით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას იაფი და მოჭარბებული სამუშაო ძალა განაპირობებს. მაგრამ გერმანიამ, შვეიცარიამ და შვედეთმა ეკონომიკის განვითარება მაღალი ხელფასების და სამუშაო ძალის სიმჭირის პირობებში შეძლეს². კიდევ ერთი მოსაზრება კონკურენტუნარიანობას უხვ ბუნებრივ რესურსებს უკავშირებს. თუმცა, თუ ეს ასეა, რით აიხსნება იტალიის, გერმანიის, იაპონიის, შვეიცარიის და სამხრეთ კორეის წარმატება, ქვეყნების, რომლებსაც არც ისე დიდი ბუნებრივი რესურსი აქვთ? კიდევ ერთი პოპულარული ახსნა დაკავშირებულია კომპანიების მენეჯმენტთან. განსხვავებულ ინდუსტრიებს განსხვავებული მენეჯმენტი ესაჭიროებათ. მნიშვნელოვანია ასევე ძლიერი კავშირები, ამ მხრივ შვედეთის და გერმანიის კომპანიები საერთაშორისოდ არიან ცნობილები.

¹ პორტერი მ.ე., ჰარვარდის ბიზნეს წიგნი, Book: *On Competition*, 2008

² პორტერი მ.ე., ჰარვარდის ბიზნეს წიგნი, Book: *On Competition*, 2008

საერთაშორისო ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები ასევე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე, თუმცა მათ ასევე შეიძლება დიდი საფრთხე შეუქმნან ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდას შემდეგი გზით: ქმნიან საერთაშორისო ვაჭრობის საშუალებას იმ ინდუსტრიებში, სადაც პროდუქტიულობა მაღალია და იმ ინდუსტრიებში იმპორტის გზით, სადაც პროდუქტიულობა მეტნაკლებად მოისუსტებს. ყველა ქვეყანა ყველა დარგში ვერ იქნება კონკურენტული. საერთაშორისო ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები კიდევ იმ მხრივაც მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი ფაქტორი, რომ იგი ბაზარზე არსებულ კომპანიებს საერთაშორისო კონკურენტებთან შეჯიბრებისკენ უბიძგებს და საერთაშორისო სტანდარტებთან აახლოებს. ინდუსტრია დაკარგავს მიმზიდველობას, თუ მისი პროდუქტიულობა არც ისე მაღალია ვიდრე საერთაშორისო კონკურენტების. ხოლო თუკი ქვეყანა ვერ შეძლებს კონკურენცია გაუწიოს მაღალპროდუქტიულ და მაღალხელფასიან ინდუსტრიებს, ქვეყნის ცხოვრების დონის ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

როგორც წესი, დაბალანსებული ვაჭრობა ან დადებითი სავაჭრო ბალანსი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას არ განსაზღვრავს. დაბალი ხელფასების და სუსტი ვალუტის კურსის პირობებში, რა თქმა უნდა, ქვეყანა შეძლებს მიაღწიოს ექსპორტის მაღალ მაჩვენებელს, თუმცა ეს უკანასკნელი ქვეყნის მაღალ ცხოვრების დონეს არ ნიშნავს. კონკურენტუნარიანობა ასევე არ ნიშნავს სამუშაო ადგილების სიმრავლეს, რა თქმა უნდა, უხვი სამუშაო ადგილების პირობებშიც კი, თუ ხელფასები დაბალია, ქვეყნას ეკონომიკური კეთილდღეობა ექვ ქვეშ დგება.

აღმასის მოდელი


რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ არსებობს ქვეყნები, რომლებიც მუდმივი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევიან? პასუხი 4 ფართო ფაქტორით აიხსნება, ესენია³:

- I. წარმოების ფაქტორები - გამოცდილი მუშახელი, ინფრასტრუქტურა
- II. მოთხოვნის ფაქტორები - ქვეყნის შიდა მოთხოვნა ინდუსტრიის პროდუქტზე ან მომსახურებაზე
- III. მონათესავე და მომიჯნავე დარგები - დაკავშირებული ინდუსტრიების არსებობა ან არ არსებობა
- IV. ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია

XX საუკუნის მეორე ნახევარში მ. პორტერმა შეისწავლა 10 ქვეყნის 100-ზე მეტი დარგი და ქვედარგი, თავის წიგნში „საერთაშორისო კონკურენცია“ მოახდინა მათი ანალიზი და გააკეთა დასკვნა, რომ ეროვნული ფირმების ამ დარგებსა და ქვედარგებში მოქმედი საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მაკროგარემოში ხორციელდება მათი საქმიანობა საკუთარ ქვეყანაში. მაკროგარემო განისაზღვრება არა მარტო წარმოების ფაქტორებით, არამედ შიგა ბაზარზე მოთხოვნის ხასიათით, მონათესავე და მომიჯნავე დარგების განვითარებით, ქვეყანაში მენეჯმენტისა და კონკურენციის დონით, აგრეთვე მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკითა და შემთხვევითი მოვლენებითაც. ამ კომპონენტთა შეხამება, რომელთაც პორტერი დეტერმინანტებს უწოდებს, განსაზღვრავს ფირმების, ქვედარგებისა და ქვეყნების კონკურენტულ უპირატესობებს მსოფლიო ბაზარზე. ამ 4 დეტერმინანტის გარდა, არსებობს სახელმწიფოს ზეგავლენა და სხვა გარე-ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც წინასწარ საკმაოდ რთულია⁴.

³ დარსაველიძე დ., ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები. 2014

⁴ ახლოური ნ., ქართული მეღვინეობის პერსპექტივების შესახებ. ღვინის კლუბი, 2010



ეს ოთხი დეტერმინანტი განსაზღვრავს ქვეყნის გარემოს, რომელშიც კომპანიები იქმნება და ყალიბდება კონკურენციისთვის. ალმასის მოდელის თითოეული ფაქტორი და მთლიანობაში ყველა ფაქტორი, როგორც ერთი სისტემა აყალიბებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დონე მნიშვნელოვნად ემყარება სახელმწიფო მხარდაჭერასა და პოლიტიკას. სახელმწიფო ქმნის ბაზარზე მოქმედი კომპანიების განვითარების სხვადასხვა მხარდაჭერის პროგრამებს, რომელიც, თავის მხრივ, ამყარებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და შესაბამისად, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას. მაღალი კონკურენტუნარიანობა სახელმწიფოს აძლევს საშუალებას ხელი შეუწყოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შრომის ხარჯების შემცირების, სასურველი გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთის და მასშტაბის ეკონომიურობის გზით.

სახელმწიფო წარმოადგენს, ერთი მხრივ, დამხმარეს და ინდუსტრიის ხელშემწყობს, მეორე მხრივ კი არსებობს მოსაზრება, რომ გაცილებით უფრო წარმატებულ პრაქტიკას თავისუფალი საბაზრო პირობების ჩამოყალიბება ქმნის. ამ უკანასკნელი მოსაზრების თანახმად, ბაზარს უნდა მივცეთ „თავისუფალი ხელის“ პრინციპით განვითარების საშუალება. თუ ამ მოსაზრებებს ძირეულად შევისწავლით, აღნიშნული მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება მათ შორის ოქროს შუალედის პოვნაა. სახელმწიფოს უნდა ეკავოს კატალიზატორის და გამოწვევების სტიმულირების როლი. მან უნდა უბიძგოს კომპანიებს იყენენ მეტად ინოვაციურები და იღწვოდნენ მეტად კონკურენტული საქმიანობისაკენ. სახელმწიფოს არ შეუძლია შექმნას კონკურენტული ინდუსტრიები. ამის შესაძლებლობა მხოლოდ კომპანიებს აქვთ. სახელმწიფო ხელისუფლება ხშირად შეცდომას უშვებს მაშინ, როცა ინდუსტრიის ხელშესაწყობად მოკლევადიან პროგრამებს ნერგავს. როგორც წესი, კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ინდუსტრიას 10 წელზე მეტი პერიოდი სჭირდება⁵. პროცესი მოიცავს ადამიანური კაპიტალის განვითარების გრძელ გზას, ინვესტირებას პროდუქტებსა და პროცესებში, კლასტერების ჩამოყალიბებას, უცხოური ბაზრების დაპყრობას. პოლიტიკისთვის კი ათწლეული მთელი მარადისობაა. შედეგად მთავრობების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც დამყარებულია მოკლე პერიოდში

⁵ პორტერი მ.ე., ჰარვარდის ბიზნეს წიგნი, Book: On Competition, 2008

სარგებლის მიღებაზე, რაც სუბსიდიების გაცემით და მსგავსი სახით პროექტების განხორციელების გზით ხდება. ეს ყოველივე კი ანელებს ინოვაციებს.

სახელმწიფოს გააჩნია მრავალი საშუალება გავლენა მოახდინოს ბაზრის ქცევაზე – შექმნას მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, დააწესოს შეზღუდვები, წახალისოს კონკურენცია ან, პირიქით, მხარი დაუჭიროს მონოპოლიას და ამით შეაფერხოს მთელი რიგი წარმოებების განვითარება. არსებობს რამდენიმე მარტივი პრინციპი, რომლითაც სახელმწიფო ხელს უწყობს საბაზრო კონკურენციას, ესენია:

- ცვლილებების წახალისება
 - ქვეყნის შიდა კონკურენციის განვითარება
 - ინოვაციების მხარდაჭერა
 - სპეციალიზირებულ საწარმოო ფაქტორებზე ფოკუსირება
 - პროდუქტის, უსაფრთხოების და გარემო სტანდარტების გამკაცრება (მკაცრი ნორმები აიძულებს კომპანიებს მუდმივად გააუმჯობესონ ხარისხი, განავითარონ ტექნოლოგიები და უპახუსონ სოციალურ და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს)
 - ინვესტიციების განვითარების ხელშეწყობა (ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, ინოვაციებში, ფიზიკურ აქტივებში)
 - ქვეყნის შიდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გაძლიერება
- როგორ აღწევნ კომპანიები წარმატებას საერთაშორისო ბაზრებზე?**

ნაშრომის ზემოთ მოცემულ ნაწილში ვისაუბრეთ ქვეყნების კონკურენტუნარიანობასა და საბაზრო კონკურენციის ხელშეწყობის სახელმწიფო მექანიზმებზე, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროცესში მთავარ როლს თვით ბაზარზე მოქმედი კომპანიები თამაშობენ. ქვეყნის უპირველესი ამოცანაა, შექმნას საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად მიმზიდველი გარემო, უზრუნველყოს მისი მუდმივი გაუმჯობესება. ხოლო თავის მხრივ, კომპანიები მუდმივად ორიენტირებული უნდა იყვნენ პროდუქტიულობის გაზრდაზე, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ახალი მახასიათებლების დამატებასა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე. კომპანიები ეჯიბრებიან საერთაშორისო კონკურენტებს და იძენენ კონკურენტულ უპირატესობას მხოლოდ ძლიერი წნეხის და გამოწვევების არსებობის პირობებში, ისინი სარგებელს ნახულობენ ბაზარზე არსებული ძლიერი კონკურენტების, აგრესიული მომწოდებლების და მაღალი მოთხოვნილებების მქონე ადგილობრივი მომხმარებლების წყალობით.

ყველა კომპანია, რომელიც ლიდერ პოზიციას იკავებს საერთაშორისო ბაზრებზე, შეიმუშავებს სტრატეგიას, რომელიც განასხვავებს მას მისი კონკურენტებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა წარმატებული კომპანიის სტრატეგია განსხვავებულია, საბაზრო კონკურენციისთვის ფეხის აწყობისათვის მათი ძირითადი ფუნდამენტი ძალიან გავს ერთმანეთს. კომპანიები აღწევენ კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების გზით. ისინი წერგავენ ინოვაციებს სხვადასხვა მეთოდებით, იქნება ეს ახალი ტექნოლოგიები თუ ძველი მექანიზმების ახლებურად განხორციელება. ინოვაციებმა შესაძლოა თავი იჩინოს ახალი პროდუქტის დიზაინში, მისი წარმოების პროცესში, მარკეტინგის ნებისმიერ ასპექტში და ა.შ. ერთი კი ცალსახაა, ინოვაციები ყოველთვის გულისხმობს ინვესტიციებს ცოდნაში, ფიზიკურ აქტივებსა და ბრენდის ცნობადობაში.

ზოგი სახის ინოვაცია გულისხმობს კონკურენტული უპირატესობის შექმნას მთლიანად ახალი ბაზრის ათვისების ან ისეთ ბაზარზე შეღწევის გზით, რომელიც სხვებისგან მივიწყებულია. როდესაც კონკურენტები ნაკლები ინოვაციებით პასუხობენ, როგორც წესი კომპანია კონკურენტულ უპირატესობას აღწევს ხოლმე. კომპანიაში ინოვაციებმა შესაძლოა შემოადნოს ახალი კომპანიის ფორმირების შედეგად, ასევე არსებული კომპანიის პირობებში გამოცდილი მენეჯერების

წყალობით, კომპანიის დივერსიფიკაციით, ახალი რესურსების, უნარების შექმნის გზით. მას შემდეგ რაც კომპანია ინოვაციების დანერგვის გზით კონკურენტულ უპირატესობას მიაღწევს, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება მას მხოლოდ მისი მუდმივი გაუმჯობესების გზით შეუძლია. ადრე თუ გვიან, შედარებით დინამიური კონკურენტები მაინც იპოვიან გზას, შექმნან უკეთესი ან უფრო იაფი პროდუქტი. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თითქმის ნებისმიერი უპირატესობის იმიტირება შესაძლებელია და კონკურენტებს ძალიან მარტივად შეუძლიათ კომპანიის უპირატესობის „კოპირება“, თუ კომპანიამ შეწყვიტა ინოვაციების დანერგვა და გაუმჯობესება. ამის კარგი მაგალითია იტალიური საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი კომპანიები, რომლებსაც ფასის თვალსაზრისით კონკურენტული უპირატესობა ეკავათ და სამკაოდ გრძელი მიწოდების ჯაჭვიც ჰქონდათ აწყობილი, თუმცა ისინი დიდხანს შეყოვნდნენ თავდაპირველ სტრატეგიაზე. ამ პერიოდში კი გერმანულმა კონკურენტებმა შექმნეს ძლიერი ბრენდები და საერთაშორისო ბაზარს უფრო დიფერენცირებული პროდუქტი შესთავაზეს, რითაც პოზიციები გაიმყარეს მსოფლიოს ბაზრებზე. ასევე კარგი მაგალითია იაპონური ავტომობილების წარმოების ინდუსტრია. თავდაპირველად იაპონია პატარა და იაფიანი მანქანების წარმოებით გავიდა საერთაშორისო ბაზარზე, რომლებიც ადეკვატური ხარისხით და ფასით პოზიციონირდნენ ბაზარზე (დაბალი დანახარჯების პირობებში). მათ არ შეუწყვეტიათ ზრდა და მასშტაბის ეკონომიურობის მისაღწევად, დიდი თანამედროვე ქარხნების მშენებლობებში დაიწყეს დიდი ოდენობით ინვესტირება. მათ ააწყვეს just-in-time (უმალ მიწოდების) სისტემა. ყველა ამ გაუმჯობესებამ კი იაპონურ კომპანიებს მომხმარებელთა კმაყოფილება და გაყიდვების ზრდა მოუტანა. მოგვიანებით იაპონურმა ავტომწარმოებლებმა უფრო მაღალხარისხიანი ავანგარდული მანქანების წარმოება დაიწყეს და ბაზარს პრემიუმ ბრენდის სახელის მქონე ავტომობილები შესთავაზეს. კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად კომპანიებმა ახალ სტრატეგიაზე მუშაობა ჯერ კიდევ იმ დროს უნდა დაიწყონ, როცა არსებული სტრატეგია ჯერ კიდევ მოქმედია. იაპონურმა ავტო კომპანიებმა სწორედ ამ სტრატეგიით იხელმძღვანელეს.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ქვეყნების მაღალი კონკურენტუნარიანობა ჯანსაღი საბაზრო კონკურენციის გარდაუვალი წინაპირობაა. შესაბამისად, უადრესად მნიშვნელოვანია, ქვეყნებმა იზრუნონ კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ბაზარზე ლიდერობისთვის, რათა ამ ყოველივეს გათვალისწინებით შექმნან მიმზიდველი გარემო ბიზნესის საკეთებლად, კონკურენციის გასამწვავებლად, კომპანიებმა კი თავის მხრივ, დანერგონ ინოვაციები და შემოიტანონ სიახლეები ქვეყნის მიმზიდველობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. მაგალითები გვიჩვენებს რომ ერთადერთი გზა კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად მუდმივად ზრდა/განვითარებაა⁶. სახელმწიფო და კომპანიები მუდმივად უნდა იღვწოდნენ განვითარებისთვის, რადგან სწორედ მის შედეგად მიიღწევა კომპანიების და ქვეყნების კონკურენტუნარიანობა, აღნიშნული კი შეუქცევადი პროცესია - კონკურენტუნარიან კომპანიებს მივყავართ ქვეყნების კონკურენტუნარიანობისკენ, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნების კონკურენტუნარიანობა ქმნის მიმზიდველ გარემოს კონკურენტული ბაზრებისთვის.

⁶ OECD-ს სამუშაო ჯგუფი SME განვითარების საკითხებზე. SME-s კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. რეკომენდაციები საქართველოში SME-ს განვითარების სტრატეგია 2016-2020-სთვის. 2016

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პორტერი მ. ე., ჰარვარდის ბიზნეს წიგნი, Book: On Competition, 2008
2. დარსაველიძე დ., ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები. 2014
3. ახლოური ნ., ქართული მედვინეობის პერსპექტივების შესახებ. ღვინის კლუბი, 2010
4. OECD-ს სამუშაო ჯგუფი SME განვითარების საკითხებზე. SME-s კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. რეკომენდაციები საქართველოში SME-ს განვითარების სტრატეგია 2016-2020-სთვის. 2016

Competitiveness of the Countries and State Support of Healthy Competition of Companies

Tamar Khakhishvili

PhD student of Grigol Robakidze University

takokhakhishvili@gmail.com

R e s u m e

Competition is considered to be one of the strongest power of society that creates economic prosperity for nations. It does not matter which country is considered, competition takes places everywhere and includes organizations in every market or industry. In today's life when borders do not matter anymore, the effect of competition is enormous and is spread on different countries. Technological advancements have tackled companies to develop globally and expand the value chain activities in different countries. Michael Porter's Harvard Business School Book – "On Competition" tells a lot about the up mentioned discussions, therefore the paper is mostly based on the information referenced to the book.

„ერთიანი ეკონომიკური პირის“ ცნების თავსებადობა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან და მისი გამოყენების პრობლემატიკა ქართულ პრაქტიკაში

ლიანა ჯაფარიძე

ოქსფორდის უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის დოქტორანტი
liana.japaridze@law.ox.ac.uk

2017 წლის 19 ივლისს, შპს „აიტექნიკის“ საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში¹ საქართველოს კონკურენციის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“) მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის² (შემდგომში - „კონკურენციის კანონი“) მე-7 მუხლით დარეგულირებულ სუბიექტთა წრესთან მიმართებით. კერძოდ, სააგენტომ ევროკავშირის პრაქტიკის საფუძველზე განმარტა „ერთიანი ეკონომიკური პირის“³ ცნება და აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელში შემავალი პირები, მათი დამოუკიდებელი იურიდიული ბუნების მიუხედავად, შეუძლებელია იყვნენ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების მონაწილეები.⁴

აღნიშნული მიდგომა მისასაღებელია, რადგან ორივე ზემოხსენებული ტერმინის განმარტებისას ყურადღება მახვილდება ამ უკანასკნელთა ეკონომიკურ ბუნებაზე და არა სამართლებრივ განსაზღვრებაზე. მსგავსი მიდგომა უკვე მოცემულია კონკურენციის კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის გადამწყვეტი ფაქტორია პირის მიერ ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება და არა მისი სამართლებრივი ფორმა⁵.

განსახილველი გადაწყვეტილება ხაზს უსვამს, რომ განცალკევებული სამართლებრივი სტატუსის მქონე პირები შესაძლოა ერთ სუბიექტად იქნას მოაზრებული, თუკი მათ შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირი და ურთიერთზემოქმედების ხარისხი არ იძლევა მათი დამოუკიდებელ სუბიექტებად განხილვის შესაძლებლობას.

თუმცა, ქართული კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გარკვეულ ეტაპზე პრობლემატური ხდება იმის დადგენა, თუ რა სახის ურთიერთობები უნდა ჩაითვალოს იმგვარი მჭიდრო ეკონომიკური კავშირის არსებობის დამადასტურებელ საფუძველად, რომელიც სამართლებრივად დამოუკიდებელ სუბიექტებს ერთიან ეკონომიკურ ერთეულად აქცევს და

¹ „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 სექტემბრის N157 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.

² 2014 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

³ შენიშვნა: გადაწყვეტილებაში გამოყენებულია ტერმინი „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი“, თუმცა ამ ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, უმჯობესი იქნება ტერმინის ინგლისური შესატყვისი „single economic entity“ ითარგმნოს, როგორც „ერთიანი ეკონომიკური პირი“, რადგან აღნიშნული განმარტება უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს ამ უკანასკნელის განსხვავებას სხვა ეკონომიკური აგენტების - ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან.

⁴ იხ. სქოლიო 1, გვ. 22

⁵ იხ. სქოლიო 2, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“.

გამორიცხავს მათ შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობის შესაძლებლობას. წინამდებარე ნაშრომის მიზანია აღნიშნული პრობლემატიკის წარმოჩენა და მსჯელობა მისი გადაჭრის ოპტიმალურ გზებზე.

ტერმინი „ერთიანი ეკონომიკური პირი“ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - „CJEU“) პირმოა. მისი შემოღება კავშირის პირველადი კანონმდებლობის ლაკონურობამ განაპირობა. კერძოდ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების⁶ 101-ე მუხლი (შემდგომში - “TFEU 101-ე მუხლი“), რომელიც კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის ანალოგია, საუბრობს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების აკრძალვაზე, ტერმინი „ეკონომიკური აგენტის“ მნიშვნელობის განმარტების გარეშე. შესაბამისად, აღნიშნული განმარტება განხორციელდა სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით.

ხსენებული პრაქტიკიდან აშკარაა, რომ ტერმინი “ეკონომიკური აგენტის“ განმარტებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საბაზრო/ეკონომიკურ რეალობას, რომელთან მიმართებაშიც ხდება სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევა. შედეგად, შესაძლებელია გამოიყოს განმარტების სამი ძირითადი ასპექტი, რომელთა საფუძველზეც ხდება ამა თუ იმ სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად ყოფნის ფაქტის შემოწმება. ეს ასპექტებია:

ა. *ფუნქციური განმარტება* - პირი ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა ეკონომიკური/სამეწარმეო ფუნქციების განხორციელებისას, განურჩევლად მისი სამართლებრივი ფორმისა. მაგალითად, ეკონომიკურ აგენტად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია, რომელიც ყიდის კონკრეტული სპორტული ღონისძიების ბილეთებს/საგზურებს და ამგვარად მონაწილეობს შესაბამის ბაზარზე.⁷

ბ. *სიტუაციის შესაბამისი განმარტება* - პირი ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა მხოლოდ ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას. შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტად არ ითვლება კომერციული ორგანიზაცია, სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს გაწევისას, რადგან ეს უკანასკნელი მოქმედებს, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი და არა როგორც შესაბამისი ბაზრის მონაწილე.⁸

გ. *კოლექტიური განმარტება* - საბოლოოდ, ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა რამდენიმე პირის ერთობა, თუკი იკვეთება ამ პირებს შორის ისეთი მჭიდრო ეკონომიკური კავშირი/ ურთიერთხემოქმედება, რაც გამორიცხავს შესაბამის ბაზარზე მათ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად განხილვის შესაძლებლობას. სწორედ ამ სიტუაციაში მყოფ სუბიექტთა ჯგუფს ეწოდა CJEU-ს მიერ „ერთიანი ეკონომიკური პირი“⁹.

⁶ Treaty of the Functioning of the European Union, კონსოლიდირებული ვერსია, Official Journal C326, 26.10.2012, გვ. 13-390; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2FTXT>

⁷ იხ. 92/521/EEC: ევროკომისიის 1992 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება (IV/33.384 და IV/33.378 - ტურების პაკეტების დისტრიბუცია 1990 წლის მსოფლიო თასზე), Official Journal L326, 12.11.1992, გვ. 31-42; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31992D0521>

⁸ იხ. საქმე C-343/95, Diego Cali & Figli Srl v Servizi ecologici porto di Genova SpA (SEPG); ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/BG/TXT/?uri=CELEX:61995CJ0343>

⁹ იხ. საქმე C-73/95P, Viho Europe BV v Commission; სასამართლომ კომპანია Parker Pen Ltd-სა და მის შვილობილ კომპანიებს შორის არსებული დისტრიბუციის შეთანხმება არ ჩათვალა TFEU 101-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, რადგან ისინი წარმოადგენდნენ ერთიან ეკონომიკურ ერთეულს: შვილობილი კომპანიები მთლიანად იყვნენ დამოკიდებული მშობელ კომპანიაზე, მიჰყვებოდნენ მის ინსტრუქციებს და არ ჰქონდათ საკუთარი საბაზრო კურსის განსაზღვრის დამოუკიდებლობა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61995CJ0073>

CJEU-ს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად ხდება „ერთიან ეკონომიკურ პირში“ შემავალი სუბიექტების მიერ საერთო საბაზრო პოლიტიკის გატარება ფართო გაგებით. სასამართლო პრაქტიკიდან იკვეთება შემდეგი გარემოებები:

- „ერთიანი ეკონომიკური პირის“ შემადგენლობაში მყოფ პირთა რაოდენობა და ბუნება შესაძლოა მრავალნაირი იყოს - ეს შეიძლება იყოს ორი ან მეტი ფიზიკური/იურიდიული პირი.¹⁰ პირთა რაოდენობა და სამართლებრივი ბუნება ზეგავლენას არ ახდენს სუბიექტთა წრის „ერთიან ეკონომიკურ პირად“ დაკვალიფიცირებაზე.

- „ერთიანი ეკონომიკური პირის“ არსებობისთვის გადაწყვეტი ფაქტორია მასში შემადგენლობაში შემავალი პირების შესაძლებლობა, გადაწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთის გადაწყვეტილებებზე.¹¹ სტანდარტულად, სახეზეა მშობელ კომპანიაზე გარკვეულწილად დამოკიდებული ერთი ან რამდენიმე შვილობილი კომპანია, რომლებიც ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ ატარებენ „მშობლის“ პოლიტიკას, არსებითი ზეგავლენის არსებობის ფაქტიდან გამომდინარე.¹² ამავდროულად, პრაქტიკაში შესაძლოა შეგვხვდეს ორ ან მეტ მშობელ კომპანიაზე დამოკიდებული ერთი სუბიექტიც - გარკვეულ შემთხვევებში, ხდება მათი „ერთიან ეკონომიკურ პირად“ ჩათვლა.¹³

- არსებითი ზეგავლენა სახეზეა, თუ: ა) არსებობს მსგავსი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა და 2) დასტურდება მისი რეალურად გამოყენების ფაქტი.¹⁴

- ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა ფასდება შესაბამისი ბაზრის სამართლებრივი და ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე.¹⁵ ის, როგორც წესი, გამოიხატება შვილობილი კომპანიის საბაზრო/ეკონომიკური ქცევის პირდაპირი (მაგ. ინსტრუქციების)¹⁶ ან არაპირდაპირი (მაგ. საერთო პოლიტიკის გატარების შესახებ რეკომენდაციების)¹⁷ საშუალებით განსაზღვრის უფლებამოსილებაში.

- ზეგავლენის მოხდენის ფაქტი სახეზეა, როდესაც არსებობს შესაძლებლობის გამოყენების (მაგ. ერთიანი პოლიტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების კონტროლის ან/და ბლოკირების) პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულება.¹⁸ მაგალითად, ზეგავლენის მოხდენა ივარაუდება, როდესაც სახეზეა შვილობილი კომპანიის 100%-იანი ფლობა.¹⁹

სუბიექტების „ერთიან ეკონომიკურ პირად“ მიჩნევას მოჰყვება შესაბამისი შედეგები. კერძოდ, ერთი მხრივ, აღნიშნულ სუბიექტში შემავალ პირებს შორის შეთანხმებები აღარ ექცევა

¹⁰ იხ. საქმე 170/83, Hydrotherm v Compact; აღნიშნულ საქმეში, „ერთიან ეკონომიკურ პირად“ მიჩნეულ იქნა ერთი ფიზიკური და ორი იურიდიული პირის გაერთიანება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-170/83>

¹¹ იხ. საქმე T-76/08, EI du Pont de Nemours v Commission; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-76/08&language=EN>

¹² იხ. სქოლიო 9; ასევე, იხ. საქმე 107/82; AEG-Telefunken v Commission; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61982CJ0107>; საქმე C-286/98P, Stora Kopparbergs Bergslags v Commission; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-286/98>

¹³ იხ. სქოლიო 11

¹⁴ იქვე

¹⁵ მაგალითად, შეად. სქოლიო 10 და 91/50/EEC: ევროკომისიის 1991 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება (IV/32.732 - IJsselcentrale and others) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31991D0050>

¹⁶ იხ. სქოლიო 12

¹⁷ იხ. სქოლიო 11

¹⁸ იქვე

¹⁹ იხ. საქმე C-97/08, Akzo Nobel and others v Commission; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-97/08>

TFEU 101-ე მუხლის მოქმედების სფეროში²⁰, ხოლო მეორე მხრივ, კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებებზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს არა უშუალოდ ქმედების განმახორციელებელ, არამედ არსებითი ზეგავლენის მომხდენ პირს.²¹

როგორც CJEU-ს პრაქტიკის მიმოხილვიდან ჩანს, „ერთიანი ეკონომიკური პირისადმი“ მიკუთვნებადობა დგინდება ყოველ კონკრეტულ საქმეში ცალკ-ცალკე, პირებს შორის არსებული ურთიერთობების შესაბამისი ბაზრის სამართლებრივი და ეკონომიკური სპეციფიკის ჭრილში ანალიზის გზით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ცნება „ერთიანი ეკონომიკური პირი“, როგორც „ეკონომიკური აგენტის“ ერთ-ერთი სახე, მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ ბაზრებზე არსებულ ეკონომიკურ რეალობასთან და მისი არსებობის დადგენა ხდება სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით.

1. „ერთიანი ეკონომიკური პირი“ და „ურთიერთდამოკიდებული პირები“ - ტერმინთა მსგავსება და განსხვავება

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა ტერმინ „ერთიანი ეკონომიკური პირი“ არ იცნობს. თუმცა, როგორც 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, „ეკონომიკური აგენტის“ განმარტება იძლევა ხსენებული ტერმინის მის ერთ-ერთ ვარიანტად მოაზრების შესაძლებლობას. ამ მხრივ, გარკვეულწილად დამხმარე ფუნქციას ასრულებს კანონმდებლობაში არსებული „ურთიერთდამოკიდებული პირების“ ცნებაც, რომელიც, ერთი შეხედვით, ახლოს დგას ევროკავშირისეულ „ერთიანი ეკონომიკური პირის“ განმარტებასთან.

კერძოდ, კონკურენციის კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებული პირები არიან ისეთი პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობასა და ეკონომიკურ შედეგებზე. კანონში ჩამოთვლილია ურთიერთდაკავშირების 4 ამომწურავი შემთხვევა: ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოში მონაწილეობა/-ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა; ბ) ერთი პირის სამეთვალყურეო საბჭოში მონაწილეობა/-ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა და მეორე ეკონომიკური აგენტის აქციების/წილის საკონტროლო პაკეტის ფლობა; გ) ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვანი ხმის უფლების ფლობა; დ) ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ ფართოდაა განმარტებული და მოიცავს ნათესაურ კავშირებსაც კი.²²

მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ზემოხსენებურ ორ ცნებას შორის არსებობს თვისებრივი განსხვავება, რომლებიც პრობლემებს ქმნის მათი ერთმანეთის ანალოგებად მოაზრების თვალსაზრისით. ეს განსხვავება შემდეგშია:

- *ღია v დახურული მიდგომა* - ევროკავშირში, „ერთიანი ეკონომიკური პირის“ ცნება მოქნილია. მართალია, არსებობს განსაზღვრების ძირითადი ჩარჩო, თუმცა მსგავსი პირის არსებობის ფაქტი დგინდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე ცალკ-ცალკე, საქმის თავისებურებების გათვალისწინებით. შედარებისთვის, კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში მოცემული „ურთიერთდამოკიდებული პირების“ ჩამონათვალი მკაცრად განსაზღვრული და ამომწურავია - აქ ლავირების საშუალება არ არსებობს.

- *ეკონომიკური v დოგმატური მიდგომა* - ევროკავშირში, ტერმინი „ერთიანი ეკონომიკური პირი“ ბაზრის ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებითაა შექმნილი. შესაბამისად, დაშვებუ-

²⁰ იხ. სქოლიო 9 და სქოლიო 12

²¹ იქვე

²² იხ. 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი - საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 19; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>

ლია ერთმანეთისგან განცალკევებული სამართლებრივი ფორმის მქონე პირების ერთიან სუბიექტად განხილვა, რადგან ეს სუბიექტები საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებენ შესაბამის ბაზარზე. თავად ტერმინ „ერთიანი ეკონომიკური პირი“ ძირითადი აქცენტი სწორედ ეკონომიკურ ერთიანობაზეა გადატანილი. შედარებისთვის, საქართველოში, ტერმინი „ურთიერთდაკავშირებული პირები“ ამგვარად არაა გააზრებული - კონკურენციის კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტიდან ყოველთვის არ იკითხება ისეთი მჭიდრო ეკონომიკური კავშირის არსებობის აუცილებლობა, რომელიც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას იძლევა მხარის საბაზრო ქცევაზე და ყურადღებაა გამახვილებული იურიდიულ მხარეზე (მაგ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა, მეუღლეობა - საგადასახადო კოდექსის მიხედვით და ა.შ.). ეს კი, ურთიერთდაკავშირების ფაქტის დადგენისას, რიგ შემთხვევებში, იწვევს შესაბამისი ეკონომიკური ანალიზის უფულებებელყოფას. შედეგად, ცნებები „ერთიანი ეკონომიკური პირი“ და „ურთიერთდამოკიდებული პირები“ შინაარსობრივად შორდება ერთმანეთს.

ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებების შედეგად, ურთიერთდამოკიდებული პირების ცნება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე „ერთიანი ეკონომიკური პირის“ ევროკავშირისეული გაგება. აქედან გამომდინარეობს 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების სულისკვეთება: შეუძლებელია ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებული შეთანხმება ყოველთვის კანონის მე-7 მუხლის მოქმედების სფეროს გარეთ მოექცეს - ეს შეეწინააღმდეგება თავად კანონის მიზანს, დაიცვას ჯანსაღი საბაზრო კონკურენცია.²³

სწორედ ამაში მდგომარეობს მთავარი პრობლემა - მიუხედავად „ერთიანი ეკონომიკური პირის“ და „ურთიერთდამოკიდებული პირების“ ცნებების მსგავსებისა, ისინი იდენტურები არ არიან. შესაბამისად, საჭიროა, ქართულ პრაქტიკაში პირველი მათგანის იმგვარად გამოყენება, რომ ერთი მხრივ, არ მოხდეს ტერმინთა აღრევა, ხოლო მეორე მხრივ - უფლებამოსილების გადამეტება ამავე ტერმინების განსხვავებულად განმარტებისას.

2. გამოსავალი - ალტერნატივები

განხილული პრობლემის მოგვარების პირველი გზა თავად 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების ფორმატითაა შემოთავაზებული - მარეგულირებელმა ორგანომ უკვე აჩვენა, რომ მას შეუძლია, თითოეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეაფასოს ერთიანი ეკონომიკური პირის არსებობა-არარსებობის ფაქტი და საკუთარი პრაქტიკით გამიჯნოს ეს უკანასკნელი ურთიერთდამოკიდებული პირების ცნებისაგან.

ამ მიდგომის დადებითი მხარე ისაა, რომ სააგენტოს ეძლევა ლავირების მეტი საშუალება და შესაძლებელი ხდება, რომ კონკურენციის აღმასრულებელი პრაქტიკა მეტად დაეფუძნოს ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ რეალობას. თუმცა, უარყოფითია ის, რომ ტერმინი „ერთიანი ეკონომიკური პირის“ ნებისმიერ მსგავს განმარტებას მყარი საკანონმდებლო საფუძველი არ გააჩნია. შესაბამისად, ის მკაცრ განხილვას დაექვემდებარება სასამართლოს მხრიდან, რომელმაც შეიძლება რადიკალურად განსხვავებული მიდგომა აირჩიოს და ამ ტერმინის ანალოგად „ურთიერთდაკავშირებული პირები“ ჩათვალოს.

მეორე გამოსავალი საკითხის ე.წ. „რბილი სამართლით“ (რეკომენდაციებით) დარეგულირებაა. თუმცა, რისკი აქაც არსებობს - რეკომენდაციები სავალდებულო ხასიათისაა არაა და შესაბამისად, შესაძლოა მათ სათანადოდ ვერ უზრუნველყონ პრაქტიკაში ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება.

²³ იხ. სქოლიო 1, გვ. 22-23

საბოლოო გამოსავალი კი საკანონმდებლო ცვლილებებია, რომელიც ორი ალტერნატიული მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს: 1) კანონმდებლობაში ცალკ-ცალკე განიმარტოს „ერთიანი ეკონომიკური პირისა“ და „ურთიერთდამოკიდებული პირების“ ცნებები; 2) შეიცვალოს „ურთიერთდამოკიდებული პირების“ განმარტება იმგვარად, რომ მოხდეს მისი შინაარსობრივი გათანაბრება „ერთიანი ეკონომიკური პირის“ ცნებასთან.

კანონმდებლობის სიცხადის მიზნებისათვის, მეორე ვარიანტი აშკარად უმჯობესია - ოპტიმალურია, არსებობდეს ერთი ცხადად განმარტებული ტერმინი, ვიდრე მსგავსი სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი ორი ნაწილობრივ თანხვედრადი ცნება. თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია ტერმინის შინაარსის სრულყოფილად ჩამოყალიბების პრობლემატიკაც - როგორც აღინიშნა, ევროკავშირში ეს უკანასკნელი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განვითარდა და მისი შინაარსი შესაძლებელია სათანადოდ ვერ მოექცეს ერთი (თუნდაც დეტალური) განმარტების ფარგლებში.

ხაზგასასმელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ალტერნატივების გამოყენება შესაძლებელია მონაცვლეობით: მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. მოკლევადიან პერსპექტივაში, საკითხის სააგენტოს პრაქტიკით დარეგულირება ოპტიმალურია. თუმცა, სასურველია, ამას მოჰყვეს საშუალო ვადიან პერსპექტივაში რეკომენდაციების, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაც. ეს შესაძლებელს გახდის, რომ ტერმინი „ერთიანი ეკონომიკური პირი“ დროთა განმავლობაში მყარად და სწორი სახით დამკვიდრდეს ქართულ პრაქტიკაში.

დასკვნა: „ერთიანი ეკონომიკური პირის“ ცნება გარკვეულად ჰგავს კონკურენციის კანონში უკვე არსებულ ტერმინ „ურთიერთდამოკიდებულ პირებს“. ამავდროულად, პრაქტიკამ აჩვენა, რომ გარკვეულ სიტუაციებში, აღნიშნული ორი ტერმინი შინაარსობრივად შესაძლოა მკაფიოდ იმიჯნებოდეს ერთმანეთისაგან. ამ მოცემულობაში, საჭიროა შესაბამისი ზომების გატარება კანონმდებლობის ბუნდოვანებისა და მისი არასწორი გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

არსებობს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივა: სააგენტოს პრაქტიკის გამოყენება, რეკომენდაციების გაცემა, საკანონმდებლო ცვლილებები. ამ ალტერნატივების გამოყენება შესაძლებელია ერთმანეთის მიყოლებითაც - მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. შედეგად, შესაძლოა მოხერხდეს ქართულ პრაქტიკაში განხილულ ტერმინთან ნაწილობრივი კონფლიქტის დროულად და ოპტიმალურად გადაჭრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
3. Treaty of the Functioning of the European Union, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2FTXT>
4. „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 სექტემბრის N157 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
5. 92/521/EEC: ევროკომისიის 1992 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება (IV/33.384 და IV/33.378 - ტურების პაკეტების დისტრიბუცია 1990 წლის მსოფლიო თასზე); ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31992D0521>

6. 91/50/EEC: ევროკომისიის 1991 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება (IV/32.732 - IJsselcentrale and others) <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31991D0050>
7. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმე C-343/95, Diego Cali & Figli Srl v Servizi ecologici porto di Genova SpA (SEPG); <http://eur-lex.europa.eu/legal-content/BG/TXT/?uri=CELEX:61995CJ0343>
8. საქმე C-73/95P, Viho Europe BV v Commission; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61995CJ0073>
9. საქმე 170/83, Hydrotherm v Compact; <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-170/83>
10. საქმე T-76/08, EI du Pont de Nemours v Commission; <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-76/08&language=EN>
11. საქმე 107/82; AEG-Telefunken v Commission; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61982CJ0107>
12. საქმე C-286/98P, Stora Kopparbergs Bergslags v Commission; <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-286/98>
13. საქმე C-97/08, Akzo Nobel and others v Commission; <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-97/08>

Compatibility of the Term “Single Economic Entity” with the Competition Legislation of Georgia and the Problems of its Application in the Georgian Enforcement Practice

Liana Japaridze

*PhD student of the Faculty of Law
at Oxford University
liana.japaridze@law.ox.ac.uk*

R e s u m e

On July 19, 2017, Competition Agency of Georgia delivered its first decision regarding the alleged infringement of the Article 7 of Georgian Law on Competition (anti-competitive agreements), where it considered in details the essence of a single economic entity and application of this concept in Georgian market reality. The issue is indeed a problematic one, since the concept of the single economic entity is closely linked to the other concept – the one of related parties, which is already defined by the above-mentioned law. These two concepts both correspond with and contradict to each other in certain ways. This paper aims to show the similarities and differences between these concepts, as well as discuss alternatives of their optimal application in Georgian competition law.

ავტორთა სტილი დაცულია
The authors' style is retained

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი
ნანა კატაბავა
მარიამ ებრალიძე

Prepared for publication by:
Natia Dvali
Nana Katchabava
Mariam Ebralidze

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
Printed in TSU Press

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge

ISBN 978-9941-13-658-0